ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

შრომები

VIII

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

Institute of Georgian History

Proceedings

VIII

გამომცემლობა „მერიდიანი“
Meridian Publishers
თბილისი
Tbilisi
2013-2014

უაკ(UDC)94(479.22)
ს–323

რედაქტორები:
თედო დუნდუა
ალექსანდრე ბოშიშვილი

Editors:
Tedo Dundua
Alexander Boshishvili

სარედაქციო კოლეგია:
მარიამ ლორთქიფანიძე
გიული ალასანია
თეიმურაზ პაპასქირი
აპოლონ თაბუაშვილი
ქეთევან გოჩიტაშვილი
ლერი თავაძე
გიორგი ჟუჟუნაშვილი
შალვა გლოველი
ქეთევან მირზიკაშვილი
აკაკი ჩიქობავა
ემილ ავდალიანი
ეკა კვირკველია

Editorial Board:
Mariam Lordkipanidze
Giuli Alasania
Teimuraz Papaskiri
Apolon Tabuashvili
Ketevan Gochitashvili
Leri Tavadze
Giorgi Zhuzhunashvili
Shalva Gloveli
Ketevan Mirzikashvili
Akaki Chikobava
Emil Avdaliani
Eka Kvirkvelia

http://geohistory.humanities.tsu.ge
E-mail: geohistory@tsu.ge

რედაქტორები, სარედაქციო კოლეგია და ავტორები მადლობას უხდიან ქალაქ თბილისის საკრებულოს და მის თავმჯდომარეს, ირაკლი შიხიაშვილს ნომრის გამოსაცემად გაწეული ფინანსური დახმარებისთვის

© ტექსტი – ავტორები, 2013-2014
© შედგენა – თ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი, 2013-2014

ISSN 1987–9970



ექვთიმე თაყაიშვილი **Ekvtime Takaishvili**

შინაარსი

CONTENTS

წინასიტყვაობა 9

ქეთევან ნადირაძე
ექვთიმე თაყაიშვილი – მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე..... 13

გიორგი ჟუჟუნაშვილი, საბა სალუაშვილი
ექვთიმე თაყაიშვილი და „ქართველთა შორის წერა-კითხვის
გამავრცელებელი საზოგადოება“ (სამეცნიერო მოღვაწეობა) 21

Giorgi Zhuzhunashvili, Saba Saluashvili
Ekvtime Takaishvili and “Society for the Spread of Literacy Among the
Georgians” (Scientific Activity) (Summary) 46

ნათია ფიფია
მილეტელები შავიზღვისპირეთში (არისტოტელეს ერთი ცნობის
ინტერპრეტაციისათვის) 47

Natia Phiphia
Milesians in the Black Sea Region (According to One Note of Aristotle)
(Summary) 51

ზვიად კვიციანი
სვანეთი რომაულ სასაზღვრო ციხე-სიმაგრეების სისტემაში 52

Zviad Kvitsiani
Svaneti in Roman Frontier Fortress System (Summary) 65

ნესტან სულავა
ხატმებრძოლთა წინააღმდეგ პოლემიკის ასახვა
ქართულ ჰიმნოგრაფიაში 66

Nestan Sulava
The Reflection of the Polemics Against Iconoclasts in the Georgian
Hymnography (Summary) 79

ნინო სილაგაძე
სოფელ დმანისის დარბაზული ეკლესიები 80

Nino Silagadze
The One-nave Churches of Village Dmanisi (Summary) 104

გურამ კუტალაძე
ქვემო ჯავახეთის მფლობელ-მეპატრონეთა ვინაობის შესახებ 105

Guram Kutaladze
About the Identity of Kvemo (Lower) Javakheti Owners (Summary) 124

მამუკა წურწუმია
XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის
(ფასები *ნიკორწმიდელის დაწერილის* მიხედვით) 125

Mamuka Tsurtsumia
For the Social and Economic Picture of 11th Century Georgia
(Prices by *Nikortsmideli's Account*) (Summary) 162

სანდრო ნიკოლაიშვილი
ცვლილებები XII საუკუნის ქართულ საისტორიო მწერლობაში.
ბიზანტიური გავლენა და ქართული პერსპექტივა 163

Sandro Nikolaishvili
Changes in the 12th Century Georgian Historical Writings. Byzantine
Influence and Georgian Perspective (Summary) 175

მაია შაორშაძე
ახალი მასალები მიტროფანე ნინოწმინდელის შესახებ 176

Maia Shaorshadze
New Materials on Mitrophane, Bishop of Ninotsminda (Summary) 183

მაია პატარიძე
სვანეთის ნუმიზმატიკური განძების სპეციფიკა 184

Maia Pataridze
Specific Character of Coin Hoards from Svaneti (Western Georgian
Highlands) (Summary) 207

ხათუნა ბაინდურაშვილი
შეიხ სანანისა და დავით გარეჯელის იდენტობისათვის 208

Khatuna Baindurashvili
To the Issue of Identity of Sheikh Sanan and David of Gareji (Summary) 217

დიმიტრი შველიძე
რატომ მოკლეს ილია ჭავჭავაძე 218

Dimitri Shvelidze
Why Ilia Tchavtchavadze Was Murdered (Summary) 238

თენგიზ სიმაშვილი, ნინო სოზაშვილი
ფერეიდნელი ქართველების – ონიკაშვილისა და ხუციშვილის
ურთიერთობა ქართულ პოლიტიკურ პარტიებთან 1907-1910 წლებში 239

Tengiz Simashvili, Nino Sozashvili
Georgian from Fereydunshahr – Onikashvili and Khutsishvili's Relationship
with Georgian Political Parties in 1907-1910 (Summary) 258

ჯაბა სამუშია
მასალები გიორგი მაზნიაშვილის ბიოგრაფიიდან 259

Jaba Samushia
Material from the Biography of Giorgi Mazniashvili (Summary) 278

გიორგი სოსიაშვილი
რელიგიური უმცირესობები შიდა ქართლში
XX საუკუნის I მეოთხედში 279

Giorgi Sosiashvili
Religious Minorities in Shida Kartli Region in the First Quarter of the 20th
Century (Summary) 313

როლანდ თოფჩიშვილი
ქართველთა კვებითი კულტურის ისტორიიდან: სულუგუნი 314

Roland Topchishvili
From the Diet History of the Georgians: Suluguni (Summary) 330

როზეტა გუჯეჯიანი
ეფრატის (ევფრატის) თემი – Efeler (ზემო მაჭახელი, თურქეთის რესპუბლიკა) 331

Rozeta Gujejiani
The Ephrati Community – Efeler (Zemo (upper) Machakheli, Republic of Turkey) (Summary) 351

საერთაშორისო პრეზენტაცია
International Conferences

Tedo Dundua, Giorgi Zhuzhunashvili
Changing the Imperial Pattern: Life in the South-West Georgia under the Ottomans and the Russians (1870-1914) 352

Николай Джавахишвили
Некоторые аспекты проекта модернизации государственного строя Восточногрузинского царства, созданного накануне формирования местной администрации Российской империи 360

რეცენზია

ლერი თავაძე
რეცენზია ზურაბ ბატიაშვილის (დარუჯანაშვილი) ნაშრომზე: ტრაპიზონის იმპერია XIII საუკუნეში 375

წინასიტყვაობა

2013 წელი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით გამოცხადდა დიდი ექვთიმე თაყაიშვილის წლად. სასიამოვნოა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი გამოეხმაურა ამ დიდ წამოწყებას და შრომების მერვე ტომი მიუძღვნა ექვთიმე თაყაიშვილის ხსოვნას. თბილისის საკრებულო ყოველთვის გვერდით დაუდგება მსგავს პატრიოტულ ინიციატივებს, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ პატრიოტიზმი უპირველესად პროფესიონალიზმზეა დაფუძნებული. ამასთანავე, ყველა ადამიანის საზრუნავი უნდა იყოს ის, თუ რა წვლილს შეიტანს იგი თავისი ქვეყნის განვითარებაში. ამის ნათელი მაგალითი იყო სწორედ ექვთიმე თაყაიშვილი, რომელმაც ქვეყნის მსახურების სამაგალითო ნიმუში მოგვცა.

გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, ექვთიმე თაყაიშვილი ლიხაურში, გურიის ერთ პატარა სოფელში დაიბადა 1863 წლის 3 იანვარს, სიმონ თაყაიშვილისა და ნინო ნაკაშიძის ოჯახში. იგი ადრე დაობლდა და მის აღზრდაზე მამიდამ და ბებიამ იზრუნეს.

ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ექვთიმე სწავლას აგრძელებს პეტერბურგის უნივერსიტეტში, ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. სტუდენტობის პერიოდშივე, მისი ინიციატივით, ქართველ მოსწავლეთა ჯგუფმა თხოვნით მიმართა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორს, ალექსანდრე ცაგარელს, მათთვის საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის შესახებ ლექციები წაეკითხა. ასე რომ, მომავალი სწავლული იმ დროისათვის შესაფერისი ფართო ისტორიულ-ფილოლოგიური განათლებით აღჭურვილა და თან ქართველთმცოდნეობაშიც გაწაფულა. ალბათ, ამიტომაცაა მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა ჰუმანიტარული მეცნიერების ფართო სპექტრს რომ მოიცავს: ისტორიოგრაფიას, ეპიგრაფიკას, გეოგრაფიას, არქეოლოგიას, ხელოვნებათმცოდნეობას.

1887 წელს სამშობლოში დაბრუნებული ექვთიმე თაყაიშვილი მუშაობას იწყებს თბილისის სათავადაზნაურო სკოლასა და გიმნაზიაში, ხელს ჰკიდებს საქართველოს სიძველეთა შეკრებას და მათ მეცნიერულ დამუშავებას, რითაც აგრძელებს წყაროთმცოდნეობის დარგში თავისი მასწავლებლების გაკვალულ გზას. მეცნიერმა დიდი ამაგი დასდო ძველი ქართული ხელნაწერებისა და მატერიალური კულტურის ძეღგთა გადარჩენის, გამომზეურებისა და შესწავლის საქმიანობას. მისი ნაშრომები ორჯერ (1907-1911 წწ.) დაჯილდოვდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედლით. ღვაწლმოსილი მეცნიერი სამეცნიერო მოღაწეობასთან ერთად მრავალი საზოგადოებრივი და კულტურული საქმის მოთავე და მესვეურია: 1889 წელს დიმიტრი ბაქრაძის წინადადებით ირჩევენ საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის წევრად, ხოლო 1907 წლიდან იგი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარეა. 1894 წელს აირჩიეს საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის წევრად, მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიური განყოფილების წევრად. 1901 წლიდან იგი გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა და აღმოსავლეთმცოდნეობის თბილისის განყოფილების წევრია, ხოლო 1907 წელს – კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

ექვთიმე თაყაიშვილი თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, პროფესორი და არქეოლოგიური კათედრის გამგე იყო. სწორედ მისი წყალობითაა შესწავლილი და გამოკვლეული ისეთი ძეღგები, როგორიცაა ვანის ნაქალაქარი, საჩხერის ყორღანები, წალკა-თრიალეთის ძველი სამარხები. დიდმა ექთვიმემ ფეხდაფეხ შემოიარა ისტორიული ტაო-კლარჯეთი და შეისწავლა ამ რეგიომში არსებული ქართული სიძველეები. ოშკის, იშხანის, ოთხთას, პარხალის, ხახულის, ბანას და სხვა ძეგლების პირველი მეცნიერული კვლევა სწორედ ექვთიმე თაყაიშვილის სახელთაანაა დაკავშირებული. წლების მანძლზე დიდი ექვთიმეს ნაშრომები იყო ერთადერთი წყარო „თურქეთის საქართველოს“ შესასწავლად. წლების მანძილზე ექ. თაყაიშვილს ბევრი არქეოლოგიური ნივთი საკუთარი ხარჯითაც აქვს შეძენილი, რომელთაგანაც გამორჩეულია საჩხერის გათხრების ნიმუშები.

მეცნიერის შემოქმედებითი მუშაობის განხილვისას მისი გულისტკივილიც გავიხსენოთ: „საქართველო დავიარე და დავინახე, თუ რა უზარმაზარი მასალაა განწირული დავიწყებისა და ხშირად დაღუპვისთვისაც, პირდაპირ ამიტანა ფანატიურმა მისწრაფებამ, რაც შეიძლება მეტი მომესწრო, მით უმე-

ტეს, რომ ჩემ თანამედროვეთაგან აღარავინ მისდევდა ამ საქმეს... რამდენს ვცდილობდი, რას არ ვკიდებდი ხელს, მაგრამ რამდენი რამ მაინც ვერ მოვასწარი... არ იყო ხალხი, თითო-ოროლა კაცის მეტი არ ეკარებოდა ასეთ საქმეს, არ ესმოდათ ამის მნიშვნელობა და გემო!.. თითქოს გვყავდა ინტელიგენცია, მაგრამ ნამდვილად და ღრმად ვერავინ ხვდებოდა კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისა და ადგილობრივი შესწავლის აუცილებლობას!"

ექვთიმე თაყაიშვილი იყო ერთ-ერთი იმათგანი, ვისი დაუღალავი შრომის წყალობითაც საქართველოში ეროვნულ სამუზეუმო საქმეს ჩაეყარა საფუძველი. მისივე სიტყვით, იგი „მეძებარი ძაღლივით ეძებდა ნივთებს!"

განგებამ, ექვთიმე თაყაიშვილი, მომადლებულ ნიჭთან ერთად, სამშობლოს გამორჩეული სიყვარულითა და მაღალი ზნეობით დააჯილდოვა. გავიხსენოთ მისი მიმართვა ქართველი ემიგრანტებისადმი 1936 წელს, პარიზში ყოფნისას:

„ქართული სულიერი, გონებრივი და მატერიალური კულტურა რთულია, მრავალმხრივია და ბევრ რამეში მეტად თავისებურია. იშვიათია პატარა ერი, რომელსაც ასეთი მდიდარი ძველი კულტურა ჰქონდეს. ამ კულტურამ გადაარჩინა ქართველი ერი მოსპობას ჟამთა ვითარების აბობოქრებული ქარტეხილებისაგან, მისცა უნარი სიმტკიცისა, გამძლეობისა და ყოველი ჭირის გადატანისა. ვინც ამ კულტურას ასე თუ ისე არ იცნობს, ის არასოდეს იქნება ნამდვილი ქართველი, ჭეშმარიტად ქართული სულის მატარებელი, მას გადაგვარება მოელის, თუ ჯერ უკვე გადაგვარებული არ არის. ამიტომ მოვალენი ვართ ხელი შევუწყოთ ჩვენი კულტურის საფუძვლიანად შესწავლას, რაც უნდა გამოიხატოს საკულტურო მასალების შეკრებაში და უკვე შეკრებილის გამოქვეყნებაში...".

ექვთიმე თაყაიშვილი XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და XX საუკუნის 50-იან წლებში – საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ ურთულეს პერიოდში – ემსახურებოდა სამშობლოს, იგი ამ ეროვნულ ღირსების მქონე მოღვაწეა, რომელმაც გააგრძელა ილია ჭავჭავაძის გზა და რომლის ზნეობრივი ღირებულებები ყოველთვის სანიმუშო იქნება თითოეული ქართველისთვის.

ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებაში, საქართველოს ისტორიაში, არქეოლოგიაში, ეთნოგრაფიასა თუ სამუზეუმო საქმეში ისეთივე დიდია, როგორიც ლეგენდარული პატრიო-

ტისა, რომელმაც გადაარჩინა ეროვნული საგანძური. ქვეყნის წინაშე გაწეული ამაგისთვის მადლიერმა ერმა ექვთიმე თაყაიშვილს „საქართველოს მეჭურჭ-ლეთუხუცესი“ შეარქვა, ხოლო საქართველოს მართლმადიდებელმა სამო-ციქულო ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა და ექვთიმე ღვთისკაცი უწოდა.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე
ირაკლი შიხიაშვილი
2014 წელი

ქეთევან ნადირაძე

ექვთიმე თაყაიშვილი – მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

ექვთიმე თაყაიშვილი დაიბადა 1863 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ ლიხაურში. მან 1883 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და პეტერბურგის უნივერსიტეტში სასწავლებლად გაემგზავრა, სადაც ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე თავისუფალ მსმენელად ჩაირიცხა. 1887 წელს უნივერსიტეტი მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით დაამთავრა და საქართველოში დაბრუნდა. სადისერტაციო თემად ჰქონდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XV-XVII საუკუნეებში. 1887-1894 წლებში თბილისის სათავადაზნაურო სკოლასა და კლასიკურ გიმნაზიაში ასწავლიდა ბერძნულ და ლათინურ ენებს, ისტორიასა და გეოგრაფიას. შემდეგ ამავე გიმნაზიის დირექტორად დაინიშნა. იგი მოგონებებში წერს: „სათავადაზნაურო კი ერქვა, მაგრამ გლეხთა და სხვათა შვილებსაც ხშირად ვიღებდით, თუკი ვარგოდნენ... ბევრ სწავლა მოწყურებულს, ნიჭიერსა და კარგი მომავლის მქონე, მაგრამ ხელმოკლე ახალგაზრდას შევუწყვეთ ხელი საშუალო სწავლის მიღებაში“. ბატონი ექვთიმე 1895 წელს ილია ჭავჭავაძის ჩარევით დაქორწინდა ილიას გიმნაზიის მეგობრის, თბილისელი იურისტის, ივანე პოლტორაცკის ასულ ნინოზე, რომელიც მისი მძიმე, მაგრამ საინტერესო ცხოვრების ერთგული თანამგზავრი გახდა. ილიამ ექვთიმე ჯერ კიდევ პეტერბურგში სწავლის დროს გაიცნო და მას შემდეგ იგი მხედველობის არიდან არ დაუკარგავს. აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობის შედეგად, ექვთიმე სხვადასხვა დროს არჩეულ იქნა: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კომიტეტის, საქართველოს მუზეუმის კომიტეტის, რუსეთის აღმოსავლეთმცოდნეთა საზოგადოების, ფრანგ ნუმიზმატთა საზოგადოების, სააზიო საზოგადოების და სხვა საზოგადოებათა წევრად.

დიმიტრი ბაქრაძემ, თედო ჟორდანიამ და ექვთიმე თაყაიშვილმა კარგად გამოიყენეს მთავრობის განკარგულება და 1889 წელს დააარსეს „საქართვე-

ლოს საეგზარქოსო მუზეუმი“, რომლის უშუალო დანიშნულებას წარმოადგენდა საქართველოს ეკლესია-მონასტრებში შემონახული წერილობითი ძეგლების მოძიება, შეკრება, შენახვა და შესწავლა. ილია მუზეუმის დაარსების შესახებ „ივერიაში“ წერდა: „თუ ამ მუზეუმის გამგებელთა საკმარისი გულმოდგინება გამოიჩინეს, არ გავა ოთხი-ხუთი წელიწადი, რომ ეს ახლად დაწყებული საქმე არ გაძლიერდეს და ისეთი რამ არ შეიქმნას, რომ სხვისი ყურადღებაც მოიზიდოს, როგორც ნივთთა და ნაწერთა სიმრავლითა, ეგრეცა ღირსებითა და გამოსადეგობითა“. მართლაც, ეს დაწესებულება ძველი ქართული მწერლობის მდიდარ საგანძურად იქცა. მოგვიანებით თავად ექვთიმე იგონებდა: „საეკლესიო მუზეუმი წარმოადგენდა ერთადერთ დაწესებულებას, სადაც ლეგალურად შეგვეძლო შეკრება, კვლევა, საქართველოს ეკლესიის ისტორიის შედგენა და სხვა ამისთანები“.

ექვთიმე თაყაიშვილი თავად არის დამაარსებელი: ჟურნალ „მოამბის“, საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის მოყვარულთა წრის და, რაც მნიშვნელოვანია, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, რომლის უცვლელი თავმჯდომარეც თავად იყო 1907-1921 წლებში. შემთხვევითი არ არის, რომ ეს საზოგადოება ოფიციალურ დოკუმენტში მოიხსენიება, როგორც ერთადერთი „დაწესებულება, რომელიც სამეცნიერო აკადემიის მიზნებს ახორციელებს“. საზოგადოების ეგიდით მუდმივად იმართებოდა სხდომები, სადაც მეცნიერები დამსწრე საზოგადოებას აცნობდნენ საკუთარ კვლევებს. ეს კი ხელს უწყობდა სწორი მეცნიერული აზრის დამკვიდრებას. ექვთიმემ საზოგადოების სახელით გამოსცა ორი სერია – „ძველი საქართველო“, რომელშიც იბეჭდებოდა გამოკვლევები, რეფერატები და სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა და „საქართველოს სიძველენი“, რომელშიც ბეჭდავდნენ სიგელ-გუჯრებს, ისტორიულ წერილებს. ინტენსიურად ეწყობოდა ექსპედიციებიც, რომელთა მიზანი იყო არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნივთების შეგროვება, ისტორიული ძეგლების შესწავლა, ხალხური სიტყვიერების მასალის შეკრება.

დიდია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში. იგი თავიდანვე აირჩიეს ქართული უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების კომისიის წევრად და ამის შემდეგ ერთგულად ედგა გვერდით ამ დიდ საქმეში ივანე ჯავახიშვილს. 1918 წლის 21 მაისს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ მას დოქტორის ხარისხი მიანიჭა. 1920 წლისთვის ექვთიმე უნივერსიტეტში კითხულობდა სალექციო კურსებს: საქართვე-

ლოს სიძველეების შესავალი, ეპიგრაფიკა, ეკლესია-მონასტრების ისტორია, აგრეთვე განაგებდა არქეოლოგიის კათედრას. ბატონი ექვთიმე ფრიად მომთხოვნი ლექტორი უნდა ყოფილიყო. მის პირად არქივში დაცულია საქართველოს სიძველეთმცოდნეობის სტუდენტთა საგამოცდო პროგრამა, რომელშიც მკაცრადაა განსაზღვრული, ოთხი სემესტრის ბოლოს ამ საგანში რა ცოდნა უნდა ჰქონოდათ სტუდენტებს. ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს მათი ჩამონათვალი: 1. ისტორიის წინა დროის კულტურა, საზოგადოდ, კავკასიაშიც და, კერძოდ, საქართველოში. 2. ისტორიული დროის საქართველოში უძველესი მწერლობის ნაშთები, ხელნაწერები, სიგელ-გუჯრები და უძველესი წარწერები; ქართული წელთაღრიცხვა. 3. საქართველოს თვალსაჩინო ეკლესია-მონასტრების მოკლე ისტორია.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საფრანგეთში ევაკუირებულმა მენშევიკურმა მთავრობამ განკარგულება გასცა მთელი სამუზეუმო ქონება ყუთებში ჩაეწყოთ და უცხოეთში გაეტანათ. სამუზეუმო განძის მეთვალყურედ დამფუძნებელმა კრებამ ყველასგან ნდობით აღჭურვილი პირი ბატონი ექვთიმე თაყაიშვილი აირჩია. 1921 წლის 11 მარტს ექვთიმემ მეუღლესთან ერთად დატოვა სამშობლო და საქართველოს ძვირფას საგანძურს მცველად გაჰყვა. საფრანგეთში საქართველოს განძის ჩატანის ამბავი ფართოდ გახმაურდა და მისი შეძენის ბევრი მსურველიც გამოჩნდა. ნიუ იორკისა და ბრიტანეთის მუზეუმები ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ განძის თუნდაც მცირე ნაწილი, საფრანგეთს კი სურდა ეს ქონება ლუვრის საკუთრება გამხდარიყო, მეორე მსოფლიო ომის დროს კი ექვთიმესთან უკვე ნაცისტები მივიდნენ სიძველეების ჩამოსართმევად. შეიქმნა კომისია, რომელშიც ემიგრაციაში მყოფი ცნობილი დიპლომატი და მეცნიერი ზურაბ ავალიშვილიც შეიყვანეს, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად დაწერა დასკვნა, რომ ეს სიძველეები მხოლოდ ქართველი ერისთვის წარმოადგენდა ფასეულობას. მიუხედავად მატერიალური სიდუხჭირისა და მორალური პასუხისმგებლობისა ერის წინაშე, რომელიც, როგორც თვითონ წერდა, ექვთიმეს სატანჯველად ჰქონდა ქცეული, მისი განსაკუთრებული სტოიციზმისა და დიდი ძალისხმევის შედეგად, განძი საქართველოს საკუთრებაში დარჩა, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ საფრანგეთის მთავრობის მეთაურის გენერალ დე გოლის განკარგულებით, სტალინთან შეთანხმებით, 1945 წლის 11 აპრილს განძი ექვთიმესთან ერთად საქართველოში დაბრუნდა. როდესაც თავისი ქვეყნის დიდმა პატრიოტმა სამშობლო მიწაზე ფეხი

დაადგა, აკაკის ლექსი წაუკითხავს: „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო...“ და აკადემიკოს შალვა ამირანაშვილისთვის უთქვამს: ახლა შემიძლია ვთქვა, რომ შევასრულე ჩემი ვალი სამშობლოსა და ხალხის წინაშე.

ექვთიმე თაყაიშვილმა საფრანგეთში ყოფნის დროს დაწერა და წაიკითხა ლექციები თემებზე: საქართველო რომაელთა დროს, საქართველოს გაქრისტიანება, ქართული სტამბის ისტორია, ქართული ისტორიოგრაფია, ქართული ენის ადგილი მსოფლიო ენათა შორის და სხვა.

ექვთიმე თაყაიშვილი 1945 წლის 10 მაისს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორად აირჩიეს, ხოლო 1946 წელს – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. მან ამავე წელს უნივერსიტეტში საჯარო მოხსენება წაიკითხა: „ევროპაში ნახული ქართული ძეგლები და იქვე შეკრებილი ცნობები ქართული ძეგლების შესახებ“.

საბჭოთა საქართველოში პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე შექმნილი დაბრკოლებების შედეგად მრავალჭირნახულ მოხუც, მარტოხელა მეცნიერს ცხოვრება უმძიმდა. მას ახლობლები შიშის გამო ფარულად თუ მოიკითხავდნენ. სადღაც წამიკითხავს: მოამაგე შვილებისადმი გულგრილი ქართული საზოგადოება გარდაცვალებულთ მუდამ შესაშური გულმხურვალებით და კრძალვით ასაფლავებს. ექვთიმე თაყაიშვილს, ისევ შიშის გამო, ეს პატივიც ვერ მიაგეს. მის დაკრძალვას მხოლოდ 50-მდე ადამიანი ესწრებოდა. უნივერსიტეტთან პროცესია მცირე ხნით შეჩერდა, მანქანის გაუმართაობის მომიზეზებით, რათა ამით ფარულად მიენიშნებინათ მის ღვაწლზე უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. იგი ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს. ბატონმა აკაკი შანიძემ, ექვთიმე თაყაიშვილის ახლად გამოცემული წიგნით ხელში ტაოკლარჯეთის ძეგლების შესახებ, რომელსაც ბატონი ექვთიმე ვერ მოესწრო, მიმართა: „ძმაო ექვთიმე, შენ არც მიტინგი გჭირდება, არც სიტყვები. შენი მიტინგი შენი წიგნებია, შენი დამსახურებაა ერისა და ქვეყნის წინაშე“. გავიდა დრო, მისი ღვაწლი ქვეყნის წინაშე ქართველმა ერმა უკვე ხმამაღლა დააფასა. მან საბოლოო განსასვენებელი დიდ მამულიშვილთა გვერდით, მთაწმინდაზე მოიპოვა, ხოლო უნივერსიტეტის კედლებში მერამდენედ ტარდება მისდამი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციები და იბეჭდება პერიოდული სამეცნიერო გამოცემები. ამით ვიგონებთ მას და კიდევ ერთხელ მადლიერების განცდით ვადასტურებთ მისდამი დიდ სიყვარულსა და პატივისცემას, რაც ჩვენთვის უდავოდ დიდი პატივია.

ექვთიმე თაყაიშვილმა მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი სამეცნიერო

მემკვიდრეობა დატოვა. იგი იყო წყاროთმცოდნე და არქეოგრაფი, არქეოლოგი, ქართული მწერლობისა და ხალხური სიტყვიერების, ეპიგრაფიკის, ისტორიული გეოგრაფიისა და სამართლის ისტორიის მკვლევარი. მისი სამეცნიერო ინტერესები მრავალმხრივია, როგორც ყველა იმდროინდელი მკვლევრისა, რომლებიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდნენ. შემთხვევით არ ვახსენე XIX საუკუნის მეორე ნახევარი. მიუხედავად იმისა, რომ ექვთიმე თაყაიშვილი 1953 წელს გარდაიცვალა და სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია მეცნიერული მუშაობა, ხოლო ივანე ჯავახიშვილი 1940 წელს წავიდა ამ ქვეყნიდან, ვფიქრობ, რომ პირველი თავისი კვლევის მეთოდებით, ამოცანებითა და შედეგებით XIX საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიკოსთა პლეადას მიეკუთვნება, ვიდრე მეორის სამეცნიერო მემკვიდრეობის თანამოაზრედ წარმოგვიდგება. ამ აზრის გასაგებად საჭიროა მოკლედ განვმარტოთ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიკოსთა მიზნები და ამოცანები, რაც გამომდინარეობდა იქიდან, თუ რა დახვდათ მათ, როდესაც ისინი სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდნენ. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის ახალი თაობის ისტორიკოსებს – დავით ჩუბინაშვილს, დიმიტრი ბაქრაძეს, მოსე ჯანაშვილს. თედო ჟორდანიას. ალექსანდრე ცაგარელს, ექვთიმე თაყაიშვილს და სხვებს საკმაოდ არასახარბიელო ვითარება დახვდათ. ელემენტარულად, არ არსებობდა მყარი წყاროთმცოდნეობითი ბაზა, რაც აუცილებელი პირობაა ქვეყნის წარსულის მეცნიერულად დასაბუთებულად გააზრებისთვის. მათ მიზნად დაისახეს ქართული წყاროთმცოდნეობითი ბაზის შექმნით ძველი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ღრმა, საფუძვლიანი შესწავლით, ისტორიულ-ლიტერატურული ნაწარმოებების პუბლიკაციებითა და უცხო ენაზე ძირითადად, რუსულად, თარგმნით, საერთაშორისო კონგრესებსა და არქეოლოგიურ ყრილობებში მონაწილეობით პოპულარიზაცია გაეწიათ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვის გაეცნოთ ქართველი ერის მდიდარი ისტორიული წარსული. ყველაფერი ეს კი, მათი ღრმა რწმენით, ხელს შეუწყობდა სახელმწიფოებრიობადაკარგული ერის საინტერესო, თვითმყოფადი, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო ასპარეზზე გატანასა და ქართველოლოგიური მეცნიერების ევროპულ დონეზე განვითარებას. მიზნები კეთილშობილურია და შესრულების შემთხვევაში – მნიშვნელოვანი შედეგების მომტანი. სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი, გაირკვეს, თუ რამდენად გეგმაზომიერად შრომობდნენ ისინი ამისათვის, რას მიაღწიეს, სად დაუშვეს შეცდომა, რისი კეთება შეეძლოთ და არ გამოუვიდათ. ვფიქრობთ, მომავალში

ამ მხრივ საკმაოდ ვრცელი და რთული სამუშაოა ჩასატარებელი. ახლა კი შეიძლება დაბეჯითებით ითქვას: XIX საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიკოსებმა ახლებურად გაიაზრეს საქართველოს ისტორიის მთელი რიგი პრობლემები, ქართველოლოგიის წინაშე დააყენეს საქართველოს ისტორიის სისტემურად შესწავლის აუცილებლობა, შეეცადნენ ეპოქის შესაბამისად განესაზღვრათ საქართველოს ისტორიის შესწავლის ნაკლოვანებები, შექმნეს მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა, რისთვისაც კოლოსალური შრომა გასწიეს. მათ მიერ ამ დარგში გამოქვეყნებული შრომები დღესაც ფასდაუდებელ სამსახურს უწევს თანამედროვე ისტორიოგრაფიას. ისინი დიდი მონდომებით ცდილობდნენ საქართველოს ისტორიის მრავალფეროვანი წყაროების მოძებნას, მათ დამუშავებასა და პუბლიკაციას. თავიანთ უპირველეს მოვალეობად მიაჩნდათ საქართველოს ისტორიის წყაროების დაუღალავი ძიება და გამომზეურება, რადგან კარგად იცოდნენ, რომ საისტორიო მეცნიერების დასაყრდენს წყაროდან ამოკრეფილი ფაქტები წარმოადგენს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ევროპაში, ასევე ჩვენთანაც, ძირითადად, იმდროინდელი მეცნიერები დაკავებულები იყვნენ კონკრეტულ-პრაქტიკული საქმიანობით, ე.ი. წყაროს მოძიებითა და მისი კრიტიკული შესწავლით. ბუნებრივია, კრიტიკული შესწავლის მეთოდში იგულისხმება გარეგანი კრიტიკა – ძეგლის სანდოობის, ცნობების სიუხვისა და მნიშვნელობის, გამოყენებული წყაროებისა და თარიღის დადგენა, ასევე არქეოგრაფიული აღწერა – ხელნაწერის დასახელება, ფორმატის, მოცულობის, სტრიქონების რაოდენობის აღწერა, შედეგად – კატალოგიზაცია და არა ანალიზური მეთოდიკა, რაც მოგვიანებით შეიმუშავებს ევროპელმა მეცნიერებმა.

აგრეთვე საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ განმაზოგადებელი ნაშრომების შექმნას. დაიწყო საეკლესიო ცხოვრების შესახებ არსებული წყაროების თავმოყრა და მათზე დაყრდნობით საქართველოს ეკლესიის ისტორიის თანმიმდევრული გადმოცემა. და, რაც მთავარია, ყველაფერმა ამან მეცნიერების ახალ ეტაპზე აყვანის შესაძლებლობა მისცა მომავალ თაობას, რომლის სახესაც წარმოადგენს სწორედ ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც საფუძველი დაუდო საქართველოს ისტორიის სისტემურ კვლევას, რისთვისაც აუცილებელი გახდა დამხმარე დისციპლინების მკვიდრ ნიადაგზე დაყენება.

ვფიქრობთ, სწორედ ზემოთ აღწერილი პროცესის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ექვთიმე თაყაიშვილმა. ამას თავადვე ადასტუ-

რებს, როდესაც წერს: „ჩემი გამოცემები რომ არ ჰქონოდათ საყრდენად, ჩვენი დიდი მეცნიერებიც კი ძალიან ბევრს რასმე ისეთი სისავსით ვერ გააკეთებდნენ, როგორითაც შეძლეს“. ამასვე ადასტურებს ივანე ჯავახიშვილიც: „ექვთიმე თაყაიშვილმა თანამედროვე ქართულ საისტორიო მეცნიერებას დიდი სამსახური გაუწია და ყოველს მკითხველს და მკვლევარს საშუალება მისცა ქართული საისტორიო წყაროების შესწავლას შესდგომოდა“, – წერს იგი. ექვთიმეს კვლევის საკუთარი მეთოდებიც ჰქონდა. მაგალითად, ეპიგრაფიკულ ძეგლებს ის შემდეგნაირად იკვლევდა: წარწერას ცალკე არასოდეს არ განიხილავდა, არამედ ყოველთვის იმ ძეგლებთან ერთად სწავლობდა, რომელზედაც ამოკვეთილი იყო, ან რომელშიც ის საუკუნეების მანძილზე ინახებოდა. მისი აზრით, წარწერა და ძეგლი ერთმანეთის წარმოშობის მაუწყებელი იყვნენ. ამდენად, ძეგლი განსაზღვრავდა არა მხოლოდ წარწერის ადგილსამყოფელს, არამედ მისი ისტორიის წყაროსაც წარმოადგენდა. ზოგჯერ ძეგლის მეშვეობით ვლინდებოდა წარწერის თარიღი, მისი მნიშვნელობა ქვეყნის ისტორიაში. სწორედ ამიტომ მკვლევარი წარწერის შესწავლას იმ არქიტექტურული ძეგლის შესწავლით იწყებდა, რომელზედაც იგი იყო ამოკვეთილი. ხოლო მის კვლევებს ისტორიულ გეოგრაფიაში თითქმის ყველა ის ელემენტი ახასიათებს, რომელიც აუცილებელია ამ დარგში წარმატების მისაღწევად: გეოგრაფიული პუნქტების იდენტიფიკაცია, ფიზიკურ-გეოგრაფიული დაკვირვება, სამეურნეო და კულტურული ასპექტის, მოსახლეობის მიგრაციის პროცესის გათვალისწინება და ამავე დროს პრაქტიკული ძიების დიდი გამოცდილება.

ექვთიმე თაყაიშვილის „შრომათა ბიბლიოგრაფია“ 278 დასახელებას შეიცავს. მის მიერ გაწეული კოლოსალური შრომა საუკეთესოდ ვლინდება „ქართლის ცხოვრების“ შესწავლისადმი დამოკიდებულებაში. ვფიქრობთ, დიდი ხანია, დადგა დრო მისი ნაშრომების ხელახალი გამოცემისა. ეს საქმე უნივერსიტეტმა უნდა ითავოს.

ბოლოს, რიტორიკული კითხვა: იყო თუ არა ექვთიმე თაყაიშვილი წარმატებული მეცნიერი? დიახ, იყო, რადგან წარმატებულია მეცნიერი, რომელიც მის მიერ დასახულ მიზნებს პირნათლად ასრულებს და დღემდე აქტუალურია. რა იყო მისი წარმატების უპირველესი საიდუმლო? ამ კითხვას საუკეთესოდ პასუხობს ქრისტინე შარაშიძის სიტყვა, თქმული ექვთიმეს დაკრძალვაზე: „შენ, ძვირფასო ადამიანო, დაჯილდოებული იყავი ისეთი თვისებებით, რომელიც პატარა ადამიანს ქმნის დიდ პიროვნებად. რა არის ეს? რომე-

ლიმე ქვეყნის ბედნიერება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მტკიცედ, პატიოსნად და შეგნებით ასრულებს თავის მოვალეობას თითოეული მოქალაქე უბრალო მწყემსიდან დაწყებული ქვეყნის მმართველ პიროვნებამდე. თუ ისინი ერთგულად და პატიოსნად ეპყრობიან თავის მოვალეობას, თუნდაც სულ მცირედი იყოს ეს მოვალეობა, მაშინ ასეთი ქვეყნის კეთილდღეობა და ბედნიერება უზრუნველყოფილია". უდავოდ, აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის წარმატების უპირველესი საფუძველი თავის საქმისა და ქვეყნის ერთგულად მსახურება იყო.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VIII
თბილისი. 2013-2014

გიორგი ჟუჟუნაშვილი,
საბა სალუაშვილი

ექვთიმე თაყაიშვილი და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ (სამეცნიერო მოღვაწეობა)

„დიადი გარდაქმნების ეპოქაში“ რუსეთის იმპერიის მოწინავე საზოგადოებაში მომწიფდა აზრი, რომ არ კმარა ხალხის გათავისუფლება ყმობისაგან, თუ ის არ გათავისუფლდა გონებრივადაც. ამ მოსაზრების ხორცშესასხმელად იმპერიის ცენტრალურ გუბერნიებში დაიწყო ე.წ. „წერა-კითხვის კომიტეტების“ დაარსება. ქართველი მოწინავენიც ამ აზრს გაჰყოლიან და უცდიათ ამგვარივე სასოფლო დაწყებითი სკოლების დაარსება, მაგრამ ეს წამოწყება სათანადო მხარდაჭერის გარეშე ჩავარდა. ამ იდეას თითქმის 20 წლის განმავლობაში, უდიდესი შრომისა და დიდი დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ, მხოლოდ 1878-1879 წლისთვის ეღირსა განხორციელება და საყოველთაო ხასიათი მიიღო.[1]

1878 წლის 30 იანვარს შედგა საზოგადოების დამფუძნებელი საერთო კრება, რომელმაც მიიღო წესდება და ილია ჭავჭავაძეს, დიმიტრი ყიფიანსა და ბესარიონ ღოღობერიძეს დაავალა აღნიშნული წესდების მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარდგენა (ეს მოხდა 1879 წლის 26 მარტს, შეკვეცილი სახით დამტკიცდა 31 მარტს),[2] ხოლო 1879 წლის 15 მაისს თბილისის გუბერნიის საადგილმამულო ბანკის შენობაში შედგა **„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“** წევრთა პირველი საერთო სხდომა.

[1] საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი (შემდგომში: საისტორიო ცენტრალური არქივი). ფ. №481. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ფონდის აღწერილობა. რედ. შ. ჩხეტია და ა. იოვიძე. თბ. 1953, გვ. XIII.

[2] საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. №481. ფონდის აღწერილობა, გვ. XVI.

წესდების მიხედვით, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ევალებოდა – *„წერა-კითხვა და დაწყებითი სწავლა გავრცელებინა კავკასიის სამეფისნაცვლოში, სადაც ქართველები მოსახლეობდნენ. ამ მიზნის მისაღწევად საზოგადოება ეხმარება დაარსებულ სკოლებს, ხელს უმართავს. სადაც საჭიროდ დაინახავს, ან თვითონ ხსნის სკოლას, ან მოსახლეობას ეხმარება სკოლის მოწყობაში; უფლება აქვს დააარსოს სამკითხველოები, მოაწყოს სახალხო კითხვა, ბეჭდოს სახელმძღვანელოები და სხვა წიგნები, გამართოს სასწავლო ნივთების საწყობი, გამოსცეს ჟურნალი ან გაზეთი საკუთარი საჭიროებისათვის, დააარსოს ბიბლიოთეკები ხალხისთვის და სამწიგნობრო – თავისთვის...“*.[3]

ამის შესახებ ილია ჭავჭავაძე წერდა: *„...წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განზრახვა და მოქმედება შორს წვდება. თუ მართლა საზოგადოებამ მთლად აღასრულა ყველაფერი, რაც კი წესდებაში არის მოხსენიებული, იმედია, რომ ჩვენი ხალხის წარმატება და განვითარება ბევრად წინ წაიდგამს ფეხს; გავრცელდება სწავლა-განათლება სამშობლო ენაზე და მით მიეცემა ჩვენს ქვეყანას ის ყოვლად უსაჭიროესი ნიადაგი, ურომლოდ თვითმოქმედი ცხოვრება და წარმატება შეუძლებელია, გავა რამდენიმე ხანი და მაცხოვარი სხივი განათლებისა მოჰფენს ნათელსა ყოველს კუთხეს ჩვენის ქვეყნისას, რომელიც კი აქამომდე თვალგადუწვდენელ სიბნელეში იმყოფებოდა...“*.[4]

თავისი მიზნებიდან გამომდინარე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ხსნიდა სკოლებს, სამკითხველოებს, სიძველეთსაცავებს – მუზეუმებს, ბიბლიოთეკებს, კრებდა და იცავდა ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლებს: ხელნაწერებს, სიგელ-გუჯრებს, ისტორიულ და მხატვრულ ნაწარმოებებს, ძველ ქართულ მონეტებს და ა.შ. სცემდა და ავრცელებდა წიგნებს, დახმარებას უწევდა მოსწავლე ახალგაზრდობას.

„...საერთოდ კი, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებამ თავისი არსებობის განმავლობაში უეჭველად დიდი და ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა, მან ფასდაუდებელი შრომა გასწია ქართული ენისა და კულტურის განვითარების

[3] ტრ. რუხაძე. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. 1879-1927. თბ. 1960, გვ. 7.

[4] საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. №481. ფონდის აღწერილობა, გვ. XVIII.

საქმეში იმ მძიმე და დუხჭირ პირობებში, რომელშიც მას უხდებოდა მოღვაწეობა; თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ის იყო ერთ-ერთი მძლავრი კერა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა; ის იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროგრესულ-დემოკრატიული საზოგადოებრივი დაწესებულება, რომელმაც თავისი უანგარო მოღვაწეობითა და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლით, გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ქართველ ხალხში...“.[5]

* * *

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ეკლესია-მონასტრების ძარცვის, პარვისა და კერძო კოლექციონერებისთვის მიყიდვის გახშირებული ფაქტებით შეშფოთებული, გაათმაგებული ენერგიით იძიებდა და აგროვებდა ძველ ხელნაწერებს; ეს ფონდი შემოწირულობებითაც იზრდებოდა.[6]

საზოგადოებას ქართული ისტორიული ცხოვრების ამსახველი უამრავი ძეგლი დაუგროვდა. საჭირო იყო ამ ფასდაუდებელი საგანძურის წესრიგში მოყვანა. „...თედო ჟორდანია და მოსე ჯანაშვილი ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ ამ საგანძურის მოვლისა და გამომზეურებისათვის, მაგრამ ორი-სამი კაცი ამ ვეებერთელა სამუშაოს თავს აბა როგორ გაართმევდა! დიდი ქართველი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე ისტორიულ-არქეოლოგიური ძიებით იყო გატაცებული...“.[7]

სწორედ ამ დროს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში გამოჩნდა **ექვთიმე თაყაიშვილი**, რომელსაც საზოგადოების გამოჩენილ მოღვაწეთა შორის თავისი ღირსეული ადგილი უჭირავს. გამოჩენისთანავე, 1888 წლის მაისში, ექვთიმე თაყაიშვილი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობის წევრად აირჩიეს.[8]

---

[5] საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. №481. ფონდის აღწერილობა, გვ. XXVIII.

[6] საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. №481. აღ. 1. ს. №96. ნიკო დადიანის მიერ შემოწირული და ზაქარია ჭიჭინაძისაგან შეძენილი წიგნების სიები. 1885 წ. აპრილის 3 – დეკემბრის 28, ფურც. 2-5.

[7] აკ. სურგულაძე. ექვთიმე თაყაიშვილი: ცხოვრება და მოღვაწეობა. თბ. 1977, გვ. 35.

[8] საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. №489. აღ. 1. ს. №140. მორიგი და საგანგებო კრების ოქმები და საზოგადოების წლიური ანგარიშები. 1887 წ. მაისის 19 – 1888 წ. დეკემბრის 6, ფურც. 12.

„უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ განზრახული მქონდა პედაგოგიური მუშაობა, – იგონებს ექვთიმე თაყაიშვილი, – და სრულიადაც არ ვემზადებოდი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის, მაგრამ ძალაუნებურად კი მომიხდა ამ მხრივ მოქმედებაც. წერა-კითხვის საზოგადოებას (რომლის გამგეობის წევრობაც უჩემოდ დამაკისრეს) დაარსებული ჰქონდა ბიბლიოთეკა-მუზეუმი... ამას დაუკავშირდა ჩემ მიერ დაწყება სამეცნიერო მუშაობისა – თავი და თავი, პედაგოგიურის გარდა – დიმიტრი ბაქრაძისა და ნიკო მარის ჩაგონებით. ეს მოხდა 1890 წელს“.[9]

* * *

იხსენებდა რა წევრად არჩევისას საზოგადოებაში შექმნილ ვითარებას, **ექვთიმე თაყაიშვილი** წერდა: „საქართველო დავიარე და დავინახე, თუ რა უზარმაზარი მასალაა გაწირული დავიწყებისა და ხშირად დაღუპვისათვისაც. იმ ხანად უკვე გარკვეული მქონდა მუშაობის მთავარი მიზანი: რამდენადაც შეიძლებოდა და გარემოება ნებას მაძლევდა, შემეკრიბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის: ყოველი ღონე მეხმარა ძეგლთა დაღუპვისა და დაკარგვისაგან გადასარჩენად; რაც შეიძლება მეტი გამომემზეურებინა და მისაწვდომი გამეხადა მკვლევართათვის. ეს მიმაჩნდა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს საქმედ ამ პერიოდში იმ რწმენით, რომ როდესაც ასეთი მასალა საკმაოდ დაგროვდებოდა, გამოჩნდებოდნენ ჩვენში მეცნიერები, რომლებიც ჯეროვნად შეგვიდგენდნენ საქართველოს ისტორიას, გაგვიშუქებდნენ იმ მართლაცდა დიდ კულტურას, რომელსაც ქართველმა ერმა მიაღწია ჯერ კიდევ შორეულ წარსულში.“[10]; „...წერა-კითხვის საზოგადოების წევრად რომ ამირჩიეს (1888 წელს), მას შემდეგ, რასაკვირველია, დავიწყე იქ სიარული. შევხედე ბიბლიოთეკას, სადაც იკრიბებოდა ხელნაწერები და დავრწმუნდი, რომ კაცი არ იყო მათი პატრონი; ვისაც უნდოდა ურევდა შიგ ხელს.

[9] ე. თაყაიშვილი. რჩეული ნაშრომები. ტ. I. თბ. 1968, გვ. 337.

[10] ამონარიდი იხ.: ექვთიმე თაყაიშვილი (1863-1953). ბიობიბლიოგრაფია. შემდგენლები: ვ. გოგილაშვილი, ც. კვაჭაძე. თბ. 2010, გვ. 9; ე. კელენჯერიძე. აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის შრომათა ბიბლიოგრაფია. თბ. 1963.



ერთადერთი მზრუნველი იყო პეტრე უმიკაშვილი, დიდად პატიოსანი კაცი და კარგი მოღვაწე, მაგრამ საოცრად ნელი და მძიმე... ერთ წელიწადს ვეხვეწე პეტრე უმიკაშვილს, იმტვრევა და იბნევა ხელნაწერები, ჩასწერე მეთქი, მაგრამ სულ მეუბნებოდა, მოვიცლი, ყმაწვილო, და მერეო! ვუყურე, ვუყურე და მერე კი გულმა ვეღარ მომითმინა, ავდექი და მე თვითონ ჩავწერე. ეს რომ ნახა პეტრემ, მადლობა მითხრა. მერე მივყევი ხელი ქართულ ხელნაწერთა შემოწირვის პროპაგანდას ჩვენ საზოგადოებაში, ბუკინისტებისაგან მათ შეძენას და ა. შ...“.[11] სხვაგან ასე წერს: „ერთი სიტყვით, საზოგადოების წევრი რომ გავხდი, მივიხედ-მოვიხედე, შევატყვე, რომ იმ ძვირფას ხელნაწერებს კაცი პატრონი არა ჰყავდა და ძალაუნებურად მოვკიდე ხელი, დავუწყე პატრონობა. მერე თანდათან გამიტაცა, შემიყვარდა და დავიწყე ზრუნვა დაღუპვისაგან მათ გადარჩენაზე. თან ახალ-ახალსაც ვაგროვებდი. შემოწირულსაც აღარ ვჯერდებოდი, საზოგადოების ხარჯზე შეძენაც დავიწ-

[11] ე. თაყაიშვილი. რჩეული ნაშრომები, გვ. 337.

ყე“.[12]

ექვთიმეს საზოგადოების ბიბლიოთეკისთვის პირველი ხელნაწერი მისი საზოგადოებაში არჩევის მეორე წელს შეუძენია.[13] უკვე 1895 წელს კი შეუძენიათ „არჩილიანის“ ხელნაწერი.[14]





იმავე წელს საზოგადოებას, კვლავაც ექვთიმეს ინიციატივით, 27 მანეთად შეუძენია ექვსი ხელნაწერი და ძველი ნაბეჭდი წიგნები, რომელთა შო-

[12] ამონარიდი იხ.: ექვთიმე თაყაიშვილი (1863-1953). ბიობიბლიოგრაფია, გვ. 13.

[13] „ეს იყო ტყავის სვინაქსარი“ (ე. თაყაიშვილი. რჩეული ნაშრომები, გვ. 336).

[14] საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. №489. აღ. 1. ს. №349. საზოგადოების საერთო კრებების და გამგეობის სხდომათა ოქმები. 1893 წ. სექტემბრის 9 – 1896 წ. დეკემბრის 30, ფურც. 127.

რისაც ერთი ხუცურით დაწერილი ქართული ლექსიკონი ყოფილა.[15]

გვინდა მოვიყვანოთ ერთი საინტერესო ფაქტი იმის დასტურად, თუ როგორ ზრუნავდა ექვთიმე თაყაიშვილი ძველი ხელნაწერების შეგროვებაზე. საქმე ეხება 1907 წელს კოლა-ოლთისსა და ჩანგლში ჩატარებულ ექსპედიციას, რომლის მსვლელობისას ოლთისში, სოფელ ვაჩი-ძორის მახლობლად, მღვიმეში აღმოჩნდა საბუთები. ასე აღგვიწერს მომხდარს ავტორი: „ჩვენს ვაჩი-ძორის მისვლის წინა დღეებში ერთს მონადირეს ამ ნანგრევების მახლობლად კლდის წვერზე მოეკლა გარეული თხა. თხა ძირს აღარ ჩამოშვებულიყო? შუა ნაპრალზე კლდისა დასცემოდა ერთი მღვიმის ამოშენებულ კედელს, ჩაენგრია შერყეული კედელი და ჩავარდნილიყო მღვიმეში. მონადირე ასულა ზევით თხის ჩამოსატანად და მღვიმეში უპოვნია მთელი შეკვრა საბუთებისა, ზოგი დამპალი იყო, ზოგი ნაწილობრივ გადარჩენილიყო და ზოგი მთელად. მონადირემ საბუთები მოართვა უჩასკის უფროსს,... რომელიც ჩვენთან იყო. ჩვენ გვინდოდა წამოგველო საბუთები, ნაჩალნიკიც მომხრე იყო, მაგრამ მეორემ, ჩვენთან მყოფმან, ყარსის ღუბერნატორის საგანგებო მოხელემ... განაცხადა, რომ კანონით ნახული საბუთები ჯერ უნდა გადაეცეს ღუბერნატორს და შემდეგ შეიძლება მათი ამა თუ იმ დაწესებულებაში წარდგენაო. ჩვენ საბუთები გადმოვწერეთ და ფოტოგრაფიულადაც გადმოვიღეთ... სულ ექვსი საბუთი, ხუთი ქაღალდზეა დაწერილი, ერთი ტყავზე, ორის მარტო თავია დარჩენილი, ოთხი სრულად არის დაცული. ყველა დაწერილია მხედრულის ხელით. ჩვენი აზრით, მე-15 საუკუნის პირველი ნახევრისა“.[16]

---

[15] საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. №489. აღ. 1. ს. №349. საზოგადოების საერთო კრებების და გამგეობის სხდომათა ოქმები. 1893 წ. სექტემბრის 9 – 1896 წ. დეკემბრის 30, ფურც. 138.

[16] ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს. პარიზი, 1938, გვ. 61-67.

ექ. თაყაიშვილი

E. TAKAÏCHVILI

არქეოლოგიური ექსპედიცია კოდა-ოლთისში ჭ ჩანგლში 1907 წელს

EXPÉDITION ARCHÉOLOGIQUE en KOLA-OLTHISSI et en TCHANGLI

PARIS
პარიზი.
1908.

ვაჩი-ძორის მახლობლად მდვიმეში ნაპოვნი საბუთები.

ჩვენს ვაჩი-ძორის მისვლის წინა დღეებში ერთს მონადირეს ამ ნანგრევების მახლობლად კლდის წვერზე მოეკლა გარეული თხა. თხა ძირს აღარ ჩამოშვებულიყო, შუა ნაპრალზე კლდისა დასცემოდა ერთი მღვიმის ამოშენებულ კედელს. ჩაენგრია შერყეული კედელი და ჩავარდნილიყო მღვიმეში. მონადირე ასულა ზევით თხის ჩამოსატანად და მღვიმეში უპოვნია მთელი შეკვრა საბუთებისა. ზოგი დამპალი იყო. ზოგი ნაწილობრივ გადარჩენილიყო და ზოგი მთელად. მონადირემ საბუთები მოართვა უჩასტკის უფროსს, ფეოდორ ინეაველტსკის. რომელიც ჩვენთან იყო. ჩვენ გვინდოდა წამოვვიღო საბუთები, ნაპალნიკიც მომბრე იყო. მაგრამ მეორე, ჩვენთან მყოფმან. ყარსის ლუბერნატორის საგანგებო მოხელემ, სტეფანე ერმოლაევმა განაცხადა, რომ კანონით ნახული საბუთები ჯერ უნდა გადაეცეს ლუბერნატორს და შემდეგ შეიძლება მათი ამა თუ იმ დაწესებულებაში წარდგენაო. ჩვენ საბუთები გადმოვწერეთ და ფოტოგრაფიულადაც გადმოვიღეთ და მათი სურათები და ტექსტები მოგვყავს აქ (იხ. ტაბ. I — V). სულ ექვსი საბუთია, ხუთი ქაღალდზე დაწერილი. ერთი ტყავზე, ორის მარტო თავია დარჩენილი, ოთხი სრულად არის დაცული. ყველა დაწერილია მხედრულის ხელით. ჩვენის აზრით, მე-15 საუკუნის პირველ ნახევრისა.

I

პირველი საბუთი (იხ. ტაბ. I.) ფრიად საყურადღებოა. თქმა არ უნდა. ის ეხება იმ მონასტერს. რომლის ახლოს ნაპოვნია და ამით ირკვევა. ამ ახლა ვანქად წოდებულის მონასტრის. ძველი სახელი **ვაჩი-ძორი** ანუ **ვაჩე-ძორი** (როგორც დაეინახეთ. შატბერდის ხელ-



„მეორე საბუთი წერილია, როგორც ეტყობა, ერისთავის ზაზა ფანასკერტელის კარის კაცისა ანტონისა ვაჩიძორის მონასტის მოძთვრის აბრაამისადმი მიწერილი“

„მეხუთე საბუთი ეტყობა ნასყიდობის წიგნია“

ხელნაწერების შეგროვების პარალელურად ექვთიმე თაყაიშვილი 1890 წლიდან იწყებს ბიბლიოთეკის ხელნაწერთა აღწერას, რომლის შედეგებსაც პერიოდულად გაზეთ „ივერიაში“ აქვეყნებდა:

„როდესაც გაზეთ „ივერიაში“ დავსტამბე წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმის რამდენიმე ხელნაწერის აღწერილობა და თან ცალკე წიგნად გამოვეცი „სამი ისტორიული ხრონიკა“...

იმ თხზულებამ სახელი გამითქვა: ილია ჭავჭავაძეს დიდად მოეწონა... წერა-კითხვის საზოგადოებამ მომანდო მუზეუმის კატალოგის შედგენა. მაგრამ გამომიჩნდნენ მოწინააღმდეგენიც..., რომლებმაც შექმნეს განგაში, კატალოგს ვერ შეადგენს, მოუმზადებელია და ფულიც ტყუილად დაიხარჯებაო... გაზეთში მცირე პასუხი გავეცი და გადავწყვიტე, ქართულად კი აღარ შემედგინა აღწერილობა, არამედ – რუსულად, დამებეჭდა იგი სახალხო განათლების მზრუნველის კრებულში“.[17]

ექვთიმე თაყაიშვილმა 1889 წლის 24 იანვარს საზოგადოების წინაშე პირველმა დააყენა საკითხი არსებული წიგნსაცავებისთვის შესაფერისი შენობის მოძიების, ბიბლიოთეკისათვის შემოსავლის დანიშვნისა და სხვა საორგანიზაციო საკითხების გადასაწყვეტად სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ:

მე-4 სხდომა

ჟურნალი სხდომისა

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობის
თავს-მჯდომარეობდა: თავს-მჯდომარეს ამხანაგი: თ. ი. მაჩაბელი
დაესწრენ წევრნი: ეკ. გაბაშვილისა, ი. გოგებაშვილი, ნ. იოსელიანი, ალ. ჭიჭინაძე, ექ. თაყაიშვილი, და კანდიდატნი – ნ. მთვარელიშვილი, თ. ჟორდანია, დ. ფავლენიშვილი.
24 იანვარი 1889 წელსა

№	საგნის განხილვა	განჩინება
1	მოხსენება გამგეობის წევრის ბ-ნ ექ. თაყაიშვილისა, რომ საზოგადოების წიგნთსაცავს მეტი ყურადღება ჰქონდეს მიქცეული და ამ წიგნთსაცავის საქმე სხვაგვარად იყოს მოწყობილი, ვიდრე დღეს არის. უმთავრესნი მუხლნი ამ მოხსენების შემდეგნი არიან:	თანაგრძნობით მიღებულ იქნეს აზრი ბ-ნის თაყაიშვილისა და მუხლობრივ განისაჯოს. ი. მაჩაბელი

[17] ე. თაყაიშვილი. რჩეული ნაშრომები, გვ. 183.

	1) ამთავით მოვიპოვოთ სახლი ბიბლიოთეკისთვის და მივიღოთ ზომა, რომ მთელი ბიბლიოთეკა თუ არა, საუკეთესო წიგნები და ხელთნაწერები მაინც უშიშრად იყოს ცეცხლისაგან.	მიღებულ იქნეს ზომიერება, რომ ბიბლიოთეკა განცალკევდეს სრულიად კანცელარიისა და წიგნის მაღაზიისაგან ეხლავე და აღიკრძალოს ცეცხლის დანთება და პაპიროზის წევა ბიბლიოთეკაში. ი. მაჩაბელი
	2) გადავდვათ ბიბლიოთეკისთვის რამდენიმე პროცენტი მთელის ჩვენის წლიური შემოსავლისა, ან ერთხელ გადაწყვეტილი თანხა დაინიშნოს ბიბლიოთეკისთვის მოსახმარად.	
	3) შედგეს კომისია გამგეობის რამდენიმე წევრისაგან და მცოდნე კერძო პირებისაგან, რომელმაც უნდა მიიღოს თავისთავზე თითქმის მთელი ბიბლიოთეკის საქმე და გამოიმუშაოს პროგრამა თავის მოქმედებისათვის: ა) ნება ჰქონდეს ამ კომისიას საზოგადოების სახელით მიჰმართოს იმ პირთ, რომელთაც რაიმე ახალი ხელნაწერები აღმოუჩნდებათ და სთხოვოს მათ, ამ წიგნის უფასოდ შემოწირვა ჩვენის ბიბლიოთეკისათვის; თუ რომელიმე ხელთნაწერის შემოწირვა უფასოდ შეუძლებელი იქმნა, კომისიამ მიიღოს ზომები მის სასყიდლად ან კოპიოს გადმოსაღებად.	ამორჩეულ იქმნას კომისია ხუთის წევრისაგან: ბ-ნ. დიმიტრი ბაქრაძის, ე. თაყაიშვილის, თ. ჟორდანიას, ნ. მთვარელაშვილისა და ი. მანსვეტიშვილისაგან და ამათ მიენდოთ გამგებლობა ბიბლიოთეკისა. ი. მაჩაბელი

	ბ) კომისიას მიენდოს ვრცელი სამეცნიერო კატალოგის შედგენა ჩვენის ბიბლიოთეკისა. გ) კომისიამ მიიღოს თავისთავზე წიგნების სისტემატიური დაწყობა და სხვა ამგვარი შრომა, რაც საჭირო იქნება ბიბლიოთეკისათვის. დ) კომისია ეცადოს ცალკე ფულების შეკრებას ბიბლიოთეკისათვის და შეადგინოს საბიბლიოთეკო თანხა. ე) როდესაც კომისია საშუალებას მოიპოვებს, შეუდგეს საუკეთესო მასალის გამოცემას. ვ) საზოგადოდ ამ კომისიას ჰქონდეს ხასიათი პატარა საისტორიო და საარქეოლოგიო საზოგადოებისა, რომელსაც შეეძლება ბოლოს თავის ჟურნალიც დაარსოს. ზ) კომისიამ აძლიოს ანგარიში ყველაფერში ჩვენს გამგეობას. თ) კომისია იყოს შემდგარი თავჯდომარის, მისი ამხანაგისა და რამდენიმე წევრისაგან.	დამტკიცდეს ყველა ეს მუხლები, გარდა მუხლისა 3, რომელიც შეეხება კომისიის ხასიათსა და დაევალოს საზოგადოდ კომისიას, რომ თავის ანგარიში ყოველთვის წარმოუდგინოს გამგეობას. ი. მაჩაბელი

	4) შემოღებულ იქნეს ბიბლიოთეკაში ეგრეთ წოდებული ოქროს დაფა, რომელზედაც უნდა დაიწეროს სახელი და გვარი იმ პირთა, რომელნიც დიდს სარგებლობას მოუტანენ ბიბლიოთეკას თავის შემოწირულობით (ფულით თუ წიგნით), ან ზნეობრივი დახმარებით.	შემოღებულ იქმნას. ი. მაჩაბელი
	5) შემდგომში იქმნას დიდი დავთარი ლამაზი ყდით, სადაც ჩაიწეროს სახელი და გვარი ყველა მცირე შემომწირველისა და დაწვრილებით ცნობანი შემოწირვის თაობაზე, თუ რა შემოწირა და რამდენი.	ვიკმაროთ ის წიგნი, რომელიც არსებობს. ი. მაჩაბელი
	6) ამთავითვე დაინიშნოს ფული წიგნების ყდის გასაკეთებლად და ავეჯის შესაძენად ბიბლიოთეკისათვის.	დაენიშნოს კომისიას ბიბლიოთეკაზე მოსახმარებლად ის ფული, რომელიც საზოგადოებისაგან გადაწყვეტილია. ი. მაჩაბელი
	7) აღეკრძალოს ხელთნაწერების სარგებლობა-ხმარება, გარდა გამგეობის და კომისიის წევრებისა, მანამ ხელთნაწერები არ დაიწყობა, არ შეიკვრება და ვრცლად არ აღიწერება.	
	8) მოვაცალოთ ბიბლიოთეკას სამკითხველო, ან მთლად გავაუქმოთ, სასურველია წიგნის მაღაზიაც მოცილებულ იქმნას ბიბლიოთეკისაგან.	წინა მუხლში გადაწყვეტილია. ი. მაჩაბელი
	9) მიღებულ იქმნას ზომა, რომ გარდა ხელთნაწერ წიგნებისა შეგროვილიყოს გურჯები, სიგელები, სამართლის წიგნები, ისტორიული, იურიდიული აქტები და სხვანი.	წინა მუხლში გადაწყვეტილია. ი. მაჩაბელი

	10) ვეცადოთ შეძლებისამებრ შევიძინოთ პალეოგრაფიული კოპიოები ყველა შესანიშნავ ქართულ წარწერებისა, რომელნიც მოიპოვებიან საქართველოში ან უცხოეთში. 11) შევიძინოთ ყველა წიგნები, რომელნიც როდისმე ან სადმე დაბეჭდილან ქართულის ენაზე ან ქართული შრიფტით. 12) შევიძინოთ ყველა წიგნები, დაბეჭდილი უცხო ენებზე, რომელთ შინაარსი ეხება კავკასიას და განსაკუთრებით საქართველოს. 13) შევიძინოთ კატალოგები და სრული აღწერილობანი ყველა იმ ხელთნაწერისა, რომელიც გაბნეულია სხვადასხვა ბიბლიოთეკებში, რუსეთისა თუ უცხოეთისაში. 14) ვეცადოთ, რომ შეგროვილ იქმნას სრული კოლექცია ქართულის ნუმიზმატიკის. 15) ვეცადოთ, რომ ყოველგვარი საარქეოლოგო ნივთები შეგროვდეს. 16) მოვიპოვოთ ფოტოგრაფიული სურათები ძველის ეკლესიების და შენობებისა და აგრეთვე მათი პლანები. 17) მივიღოთ ეხლავე ზომა, რომ ჩუბინოვის ბიბლიოთეკა შევიძინოთ. 18) გამოვიწეროთ ყველა ის ჟურნალები, რომელიც აღმოსავლეთის გამოსაკვლევად არის დაარსებული, და შევიძინოთ ყველა ნომერი ჟურნალ აზიატიკისა.[18]	მე-9 მუხლად მე-18 მუხლად

[18] საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. №489. აღ. 1. ს. №66. საზოგადოების წევრთა საერთო კრებებისა და გამგეობის სხდომების ოქმები. 1884 წ.



№ 4

ჟურნალი სხდომისა.

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების მმართველობის

1889 წელსა.

№ №	საგანი განხილვისა.	გადაწყვეტა.
1.	[illegible]	[illegible]



ექვთიმე თაყაიშვილმა 1891 წლის 20 თებერვალს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წინაშე წამოაყენა საკითხი – სამეცნიერო კატალოგის გადასაწერად მწერლის დაქირავებისა და ამ საქმისთვის თვეში 15 მანეთის გამოყოფის შესახებ.[19]

ივნისის 9 – 1889 წ. ივლისის 2, ფურც. 262. ამ გადაწყვეტას მოჰყვა დადგენილება წიგნის მაღაზიისა და ბიბლიოთეკის არწრუნისეულ ქარვასლაში გადატანის შესახებ (ტრ. რუხაძე. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გვ. 68).

[19] საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. №489. აღ. 1. ს. №198. საზოგადოების გამგეობის სხდომების ოქმები. 1889 წ. სექტემბრის 1 – 1892 წ. თებერვლის 4, ფურც. 92.

* * *

რაც შეეხება ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო გამოკვლევებს, მისი ერთ-ერთი პირველი ნაშრომი, რომელიც მის მიერვე 1889 წელს აღმოჩენილ ე. წ. „პარხლის სახარებას“ შეეხებოდა, გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყოლია: „...როდესაც ჩემმა კრიტიკოსებმა ფართოდ გაშალეს ჩემთან პოლემიკა, სხვათა შორის, იმასაც მიკიჟინებდნენ, სწორედ არ აქვს გადმოწერილიო, მაგრამ პარხლისა და მასთან ერთად შატბერდის ხელნაწერთა ახალ, ჩემ მიერ დადგენილ თარიღს X საუკუნეს – კი ვერავინ უარყოფდა. ასეთ ბრალდებაზე პოლემიკურადვე გამოხმაურებას არავითარი აზრი არა ჰქონდა და გადავწყვიტე, ხელნაწერის პირი გადმომელო და მთლიანად დამებეჭდა... სწორედ ის არის, მშვენივრად რომაა გამოქვეყნებული «Материалы по археологии Кавказа» XII ტომში. ასეთი ნაბიჯი ნამდვილად სჯობდა ყოველგვარ პოლემიკას!...“.[20]

МАТЕРІАЛЫ
ПО
АРХЕОЛОГІИ КАВКАЗА,

ВЫПУСКЪ XII.


— 139 —

9. Пархальское четвероевангеліе.

[20] ე. თაყაიშვილი. რჩეული ნაშრომები, გვ. 305, 339.





ერთი წლის შემდეგ, 1890 წელს, მან გამოსცა „სამი ისტორიული ხრონიკა“, რომელშიც გაერთიანებული იყო ქართლის მოქცევის, სუმბატის ქრონიკა და მესხური დავითნის მატიანე. ამ გამოცემის შესავალში ავტორი წერდა: „ასეთი ხრონიკების გამოქვეყნება, მათი შედარება სხვა ხრონიკებთან და ისტორიულ ცნობებთან, სხვადასხვა მანუსკრიპტების სისტემაში მოყვანა და მათი ისტორიული ცნობების განმარტება, გუჯრების შეგროვება და გამოქვეყნება, სხვადასხვა ისტორიული წარწერების გარჩევა, აგრეთვე განმარტება, თუ რა მნიშვნელობა აქვს და რა ახალ მასალას გვაძლევს თითოეული ამგვარი წყარო და საზოგადოდ, ასეთი მასალების შეძლებისამებრ კრიტიკულად შესწავლა – აი, რა მიგვაჩნია ჩვენ, ჯერ ხანად მაინც, ყველაზე უსაჭიროესად ჩვენი ისტორიისათვის. ჩვენი ისტორიოგრაფიის ახლანდელი მდგომარეობა ასეთ შრომას თხოულობს ჩვენგან“.[21]

[21] სამი ისტორიული ხრონიკა. გამოცემული ვრცელი წინასიტყვაობით და შედარებით ქართლის ცხოვრებასთან და სხვა ხრონიკებთან ექვთიმე თაყაიშვილის მიერ. ტფ. 1890, გვ. CXLVIII, CXLXIX.



1891 წელს ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ გამოაქვეყნა „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“. ამ წიგნში, გარდა ზემოთ დასახელებულისა, დაბეჭდილა ეფრემ მცირის „უწყება მიზეზისა ქართველთ მოქცევისა, თუ რომელთ წიგნთა შინა მოიხსენიების“.[22]

1895 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა გამოაქვეყნა „სიბრძნე ბალავარისა“. ამის შესახებ აკ. სურგულაძე წერდა: „...წერა-კითხვის საზოგადოების ხელნაწერთა ფონდების დამუშავებისას ექვთიმე თაყაიშვილმა მიაგნო და აღწერა ბალავარიანის მრავალი რედაქცია... დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ექვთი-

[22] აკ. სურგულაძე. ექვთიმე თაყაიშვილი, გვ. 45.

მეს მიერ ბალავარიანის ქართული ტექსტის გამოქვეყნება ცალკე წიგნად 1895 წელს. დამატებაში ექვთიმემ აღწერა ექვსი ხელნაწერი (აქედან ხუთი წერა-კითხვის გამავრცელებლი საზოგადოების წინგსაცავისა), რომელშიც ჩართულია ბალავარიანის ტექსტი. ამავე დროს მეცნიერმა ერთმანეთს შეუჯერა სხვადასხვა ვარიანტი და მეორე დამატებაში მიუთითა მათ შორის სხვაობაზე. 1899 წელს ბალავარიანის ეს ქართული ვერსია ი. ჯავახიშვილმა თარგმნა რუსულად.[23]

ამავე 1895 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა გამოაქვეყნა XVIII საუკუნის ხელნაწერი „კათალიკოს-ბაქარიანი მღვდლის იესე ტლაშაძის მოთხრობა ლექსად". მართალია, აღნიშნული ლექსად დაწერილი მოთხრობა დიდი მხატვრული ღირებულებებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ იმდროინდელი ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორიის ამსახველ საყურადღებო ცნობებს შეიცავდა.

1896 წლის 29 ოქტომბერს ექვთიმე თაყაიშვილს საზოგადოების წინაშე დაუყენებია მარიამისეული „ქართლის ცხოვრების" დაბეჭდვის აუცილებლობა, რის გამოც ექვთიმე თაყაიშვილის თავმჯდომარეობით შემდგარა კომისია (წევრები: დ კარიჭაშვილი და ნ. მთვარელიშვილი), რომელსაც დაევალა „ქართლის ცხოვრების" გამოცემაზე მუშაობა.

1897 წლის 11 მარტს საზოგადოებამ მიიღო გადაწყვეტილება მისი გამოქვეყნების შესახებ. სულ დაიბეჭდა 600 ეგზემპლარი და თითოეულის ფასი 2,5 მანეთი იყო.[24] მარიამისეულმა „ქართლის ცხოვრებამ" დღის სინათლე 1906 წელს იხილა.

[23] აკ. სურგულაძე. ექვთიმე თაყაიშვილი, გვ. 55.

[24] საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. №489. აღ. 1. ს. №518. საზოგადოების გამგეობის სხდომების ოქმები. 1897 წ. იანვრის 7-1898 წ. დეკემბრის 29, ფურც. 20.



ექვთიმე თაყაიშვილის მეცნიერული მოღვაწეობის შედეგად გამოიცა და აღიწერა – „თამარიანის“, „ამირანდარეჯანიანის“, „როსტომიანის“, „შაჰნავაზიანის“, „ქილილა და დამანას“, „ბარამიანის“ და ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლების ხელნაწერები.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელს უკავშირდება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სახელით „ვეფხისტყაოსნის“ მოძიება, შესწავლა და გამოქვეყნება. როგორც თავად ექვთიმე ბრძანებდა, – „...სხვა ძეგლთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი „ვეფხისტყაოსნის“ ძველი ხელნაწერების აღმოჩენას და ლიტერატურაში უკვე ცნობილ ხელნაწერთა შეძენას მფლობელთაგან. სულ იმის იმედი მქონდა, არ შეიძლება, სადმე არ მოიძებ-

ნოს XVII საუკუნეზე უძველესი ხელნაწერი – მეთქი. მოლოდინი არ გამართლდა, მაგრამ ის მაინც შევძელი, რომ სხვადასხვა გზით შემეგროვებინა 16 თუ 17 ხელნაწერი, რომელთა შორის ზოგი ფრიად საყურადღებო გამოდგა როგორც ვარიანტებით, ისე საუცხოო მხატვრობითა და აშიათა შემკულობით. საერთოდ კი მოვკრიბე ცნობა 24 ხელნაწერის შესახებ. მათ შორის უძველესნი და უმნიშვნელოვანესნი დიდი ცდით შევიძინე წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმისათვის...".[25]

ექვთიმემ პირველმა დაადგინა, რომ „ვეფხისტყაოსნის" ჩვენ დრომდე მოღწეული არც ერთი ხელნაწერი არ არის XVII საუკუნის I ნახევარზე უფრო ძველი. „...დიდძალი მასალის შეჯერების საფუძველზე ე. თაყაიშვილი საბუთიანად ამტკიცებს, რომ „ვეფხისტყაოსნის" ვახტანგისეული რედაქცია კრიტიკული გამოცემაა, რომ „ქართული მეცნიერებისა და კულტურის სარბიელზე ამ შესანიშნავმა მოღვაწემ შესძლო გაეწმინდა „ვეფხისტყაოსანი" იმ დანართებისგან, რომლებიც შეიქმნა მე-17 საუკუნეში...".[26]

საზოგადოებას „ვეფხისტყაოსნის" გამოცემისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ 1903 წლის 10 თებერვალსა და 5 მარტს უმსჯელია[27] და მისი დაბეჭდვა ფრიად მნიშვნელოვან საქმედ მიუჩნევია.

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში" მოღვაწეობისას ჩატარებულ სამეცნიერო საქმეთა ერთგვარი დაგვირგვინება იყო ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ორტომეულად გამოშვებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა აღწერილობა".[28]

---

[25] ე. თაყაიშვილი. რჩეული ნაშრომები, გვ. 311.

[26] ალ. ბარამიძე. ახლო წარსულიდან. თბ. 1987, გვ. 209.
ექვთიმე თაყაიშვილი 1680 წელს გიორგი XI-თვის გადაწერილი „ვეფხისტყაოსანის" შესახებ წერდა: „ევროპის რომელსაც გინდა მუზეუმს რომ მიუტანო, უეჭველად მოგცემენ მილიონს" (ამონარიდი იხ.: ექვთიმე თაყაიშვილი (1863-1953). ბიობიბლიოგრაფია, გვ. 15).

[27] საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. №489. აღ. 1. ს. №877. გამგეობის წევრის მოხსენება და ხარჯთაღრიცხვა „ვეფხისტყაოსნის" გამოცემის შესახებ. 1903 წ. თებერვლის 10 – 1906 წ. მაისის 12, ფურც. 1-2.

[28] «Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения» (Т. 1. Тиф. 1902-1904; Т. 2. Тиф. 1906-1912).



Е. Такайшвили.

ОПИСАНІЕ
РУКОПИСЕЙ
„Общества распространенія грамотности среди грузинскаго населенія“.

Томъ I.
Вып. I.

Изданіе Управленія Кавказскаго Учебнаго Округа.

Отдѣл Научно-Справочной Литературы ЦГИА ГССР

ТИФЛИСЪ.
Типографія К. П. Козловскаго. Головинскій просп., № 12.
1902.

„აღწერილობათა უქონლობის გამო ძველი ქართული მწერლობის ძეგლები ჩვეულებრივ იბეჭდებოდა შემთხვევითი და უვარგისი დედნების მიხედვით, მაშინ როდესაც იმავე ტექსტების შემცველი საუკეთესო ნუსხები უყურადღებოდ იდო სიძველთსაცავებში. ასეთ პირობებში გასაკვირი არ იყო ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის გაუგებრობანი და კურიოზული შეცდომები...“.[29]

[29] ალ. ბარამიძე. ახლო წარსულიდან, გვ. 206.

ექვთიმეს მიერ გამოცემულმა „აღწერილობამ“ პრობლემა ნაწილობრივ გადაჭრა.[30]

„აღწერილობის“ „...მეორე ტომის პირველი ნაკვეთის გამოქვეყნების შემდეგ (1906 წ.) ნიკო მარმა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში ვრცელი რეცენზია წარადგინა, რომელშიც თაყაიშვილის ეს ნაშრომი ქართველოლოგიაში დიდ მოვლენად გამოაცხადა...“.[31]

საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ ე. თაყაიშვილის ნაშრომი საგანგებო აღნიშვნის ღირსად ცნო და ოქროს მედლით დააჯილდოვა.[32]

---

[30] ექვთიმე „აღწერილობის“ მესამე ტომის გამოცემასაც აპირებდა, მაგრამ, მისივე თქმით, საზოგადოების გამგეობის გადახალისებისა და ახალი წესების შემოღებიოს გამო ხელნაწერებზე ხელი აღარ მიუწვდებოდა (ე. თაყაიშვილი. რჩეული ნაშრომები, გვ. 338).

[31] აკ. სურგულაძე. ექვთიმე თაყაიშვილი, გვ. 74. 1905 წლის 5 აპრილის წერილში ექვთიმე თაყაიშვილი საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიას სთხოვდა მისი „აღწერილობანი“ მიეღოთ ნობელისმიერი პრემიის ნომინაციაზე. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც). ექვთიმე თაყაიშვილის ფონდი. №1704, ფ. 1). ამის პასუხად 1905 წლის 25 აპრილს მეცნიერებათა აკადემიიდან მას ატყობინებდნენ (წერილი №464): „მოწყალეო ხელმწიფევ ექვთიმე სიმონის ძევ, ამა წლის (1905 წელი – გ.ჯ., ს.ს.) 5 აპრილის თქვენი წერილის პასუხად, პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ თქვენი ნაშრომი: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა აღწერილობა“ მიღებულია აკადემიაში და ჩაწერილია 1907 წელს გრაფი დ. ა. ტოლსტოის სახელობის პრემიის მისაღებად კონკურსში (ისტორიულ-ფილოლოგიურ განყოფილებაში)“ (ხეც. ექვთიმე თაყაიშვილის ფონდი. №2139, ფ. 1).

[32] აკ. სურგულაძე. ექვთიმე თაყაიშვილი, გვ. 74. საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედლების მინიჭება სათავეს იღებს 1832 წლიდან და უკავშირდება აკადემიის მაშინდელი პრეზიდენტის – პავლე დემიდოვის სახელს. 1887 წელს აკადემიის პრეზიდენტი დიმიტრი ტოლსტოი წერდა, რომ „აკადემიის მიერ გასაცემი ჯილდო წაახალისებს მოკრძალებულ და საკუთარ შესაძლებლობებში ჯერ კიდევ დაურწმუნებელ მკვლევრებს, ხოლო დაჯილდოვებულთა რაოდენობის ზრდა წაადგება რუსეთს“. სხვა ჯილდოებთან (უვაროვის, ლომონოსოვის, პუშკინის, მიტროპოლიტ მაკარის, გოგოლის, კოსტომაროვის, ჟუკოვსკის...) ერთად დაარსდა დიმიტრი ტოლსტოის სახელობის მედალიც სახალხო განათლების მინისტრის თანამდებობაზე 14-წლიანი სამსახურის აღსანიშნავად. ეს მედალი გაიცემოდა ყოველ სამ წელიწადში ერთხელ აკადემიის მიერ გამორჩეული სამეცნიერო კვლევებისათვის (http://www.lgz.ru/article/18807/, http://www.prlib.ru/history/Pages/Item.aspx?itemid=1190, http://www.ras.ru/rasawards/f49146b5-4f80-4282-928f-97ca323839b8.aspx?hidetoc=0). საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედლის (წონა=148.28 გრ. ოქრო, დიამეტრი=58.2 მმ.) ავტორია ვ. ალექსეევი – სამედალო საქმეთა აკადემიკოსი, პეტერბურგის ზარაფხანის

მედალს თან ახლდა ოფიციალური დოკუმენტები, რომლებშიც დასახელებულია ჯილდოს გაცემის მიზეზები: „მოწყალეო ხელმწიფევ ექვთიმე სიმონის ძევ, თქვენ მიერ გრაფი დ. ა. ტოლსტოის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ თხზულებას: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა აღწერილობა“ (Т. 1. Вып. 1-4. Тиф. 1902-1904), მიენიჭა საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის პირველი საპატიო ოქროს მედალი.

ჩემთვის საპატიო მოვალეობად მივიჩნევ შეგატყობინოთ ამის თაობაზე. ამასთან ერთად, პატივი მაქვს შეგატყობინოთ, რომ ოქროს მედალი დამზადებისთანავე მოგერთმევათ.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ ჩემს აბსოლუტურ კეთილგანწყობაში“.[33]

წერილს ხელს აწერს სერგეი ოლდენბურგი, ცნობილი რუსი აღმოსავლეთმცოდნე და საიმპერატორო აკადემიის მუდმივი მდივანი (1904-1929 წლებში).

მისივე ხელიდან არის გამოსული შემდეგი წერილიც (№ 444, 1908

მთავარი მედალიერი. მედლის შუბლზე იყო წარწერა: „სახალხო განათლების მინისტრი 1866-1880. გრაფი დიმიტრი ანდრეის ძე ტოლსტოი“, ზურგზე კი ოთხ სტრიქონად – „სამშობლოს სასარგებლოდ და სადიდებლად შესრულებული სამეცნიერო ნაშრომისათვის“, რომელიც შემორკალულია დაფნის ორი რტოთი. მოგვიანებით, 1909 წელს კავკასიის არქეოლოგიური მასალების კრებულში (МАК, XII, М. 1909) დაბეჭდილი ნაშრომისათვის – „ქრისტიანული ძეგლები“ – იგი დაჯილდოვდა უკვე ოქროს დიდი მედლით (ხეც. ექვთიმე თაყაიშვილის ფონდი. №33, ფ. 2_r).

[33] წერილი დაწერილია 1907 წლის 22 დეკემბერს (№2158) (ხეც. ექვთიმე თაყაიშვილის ფონდი. №2139, ფ. 1).

წლის 13 თებერვალი), სადაც ექვთიმე თაყაიშვილს უკვე აცნობებენ, რომ ოქროს მედალი დამზადებული და გაგზავნილია. აკადემიის მდივანი ადრესატს თხოვს მედლის მიღებისთანავე შეატყობინოს.[34]



Непремѣнный Секретарь
императорской
АКАДЕМІИ НАУКЪ.
„24" Декабря 1907г.
№ 2158

Милостивый Государь

Евѳимій Семеновичъ,

Представленное Вами на соисканіе премій имени Графа Д.А.Толстого сочиненіе "Описаніе рукописей Общества распространенія грамотности среди грузинскаго населенія". Томъ I, вып.I - 4, Тифлисъ 1902 - 1904 г., удостоено ИМПЕРАТОРСКОЙ Академіею Наукъ первой почетной золотой медали.

Считая для себя пріятнымъ долгомъ увѣдомить о семъ Васъ, имѣю честь присовокупить, что медаль по изготовленіи будетъ Вамъ доставлена своевременно.

Примите увѣреніе въ совершенномъ моемъ почтеніи и преданности.

Его Высокородію
Е.С.Такайшвили.



Непремѣнный Секретарь
императорской
АКАДЕМІИ НАУКЪ.
„13" Февраля 1908 г.
№ 444

Милостивый Государь

Евѳимій Семеновичъ,

Въ дополненіе къ письму моему отъ 24-го декабря 1907 года за № 2158, имѣю честь препроводить при семъ почетную золотую медаль имени графа Д.А.Толстого, присужденную Вамъ ИМПЕРАТОРСКОЙ Академіею Наукъ за сочиненіе " Описаніе рукописей Общества распространенія грамотности среди грузинскаго населенія", и о полученіи ея покорнѣйше прошу меня увѣдомить.

Примите увѣреніе въ совершенномъ моемъ почтеніи и преданности.

Его Высокородію
Е.С.Такайшвили.

[34] ხეც. ექვთიმე თაყაიშვილის ფონდი. №2139, ფ. 2. გვინდა შევნიშნოთ, რომ დასახელებული პრემია ოქროს მედლის გარდა ითვალისწინებდა ფულად ჯილდოსაც 1000 მანეთის ოდენობით (მაგ.: იმავე წელს დაჯილდოვებული რუსი მედიკოსი ი. ზავადსკოი მედალთან ერთად იღებს ამ თანხას, რაც დასტურდება კიდეც დოკუმენტალურად). სამწუხაროდ, ამის შესახებ წარმოდგენილ საბუთებში არაფერია ნათქვამი. ექვთიმე თაყაიშვილსა და საიმპერატორო აკადემიის მუდმივ მდივანს (აკადემიასთან ზოგადად) შორის ურთიერთობა სხვადასხვა საკითხზე (სვანეთში ძვირფასი ხელნაწერების შენახვა-აღწერის (1911-1912 წლები), ქართული სიტყვიერების საკითხების (1916 წელი) შესახებ) შემდგომ წლებშიც გაგრძელდა, რის შესახებაც არაერთი დოკუმენტია შემორჩენილი (იხ.: ხეც. ექვთიმე თაყაიშვილის ფონდი. №1040, ფ. $2_{(r)}$, $2_{(v)}$, $3_{(r)}$, $3_{(v)}$, $4_{(r)}$, $4_{(v)}$; №1704, ფ. $2_{(r)}$, $2_{(v)}$, $3_{(r)}$, $3_{(v)}$, $4_{(r)}$, $4_{(v)}$, $5_{(r)}$, $5_{(v)}$, $6_{(r)}$, $6_{(v)}$, $7_{(r)}$, $7_{(v)}$, $8_{(r)}$, $8_{(v)}$, 9, $10_{(r)}$, $10_{(v)}$, 11, $12_{(r)}$, $12_{(v)}$).

* * *

დასკვნის სახით მოვიტანდით ვ. დუნდუას შეფასებას: „ვეცნობით რა... თაყაიშვილის შემოქმედებას, მისი დიდი სამეცნიერო გამოცდილების, მრავალმხრივი მეთოდიკური თუ „მეთოდოლოგიური“ დაკვირვებების ხასიათს, მის უამრავ სპეციალურ შენიშვნებს, მითითებებს, ვასკვნით, რომ მართალია, მას არ უკისრია – ერთი რამე სათანადო დანიშნულების სახელმძღვანელო შეედგინა, არ უცდია – დაეწერა, როგორც ამას ჰქონდა ადგილი, კერძოდ, მის თანამედროვე რუსეთის საისტორიო მეცნიერების სფეროში, შემაჯამებელი „მეთოდოლოგია“, მაგრამ მის შემოქმედებას უთუოდ კარგად უდგება ის დახასიათება, რომელიც თავის დროზე პრესნიაკოვმა მისცა ცნობილ წყაროთმცოდნეს ლაპო-დანილევსკის შემდეგი სიტყვებით: რომ ეს მეცნიერი იბრძოდა სრულყოფილი მეცნიერების მაღალი იდეალით აღძრული არა იმდენად კონკრეტული საისტორიო კვლევის გზით, რამდენადაც მეცნიერების საფუძვლების და მისი მეთოდოლოგიისა და წყაროთა კრიტიკაში მისამართი ტექნიკის შესწავლის გზით“.[35]

[35] ამონარიდი იხ.: ქ. ნადირაძე. ქართული ისტორიოგრაფია. სალექციო კურსი. თბ. 2012, გვ. 177-178.

Giorgi Zhuzhunashvili,
Saba Saluashvili

EKVTIME TAKAISHVILI AND "SOCIETY FOR THE SPREAD OF LITERACY AMONG THE GEORGIANS" (SCIENTIFIC ACTIVITY)

Summary

During "the Epoch of the Great Transformations" in the central provinces of the Russian Empire the founding of "Literacy Committees" had begun. The Georgian leading figures followed this idea and had tried to establish primary village schools. However it was realized only in 1878-1879. On May 15, 1879, the first meeting of the members of "Society for the Spread of Literacy Among the Georgians" took place in the building of "Bank of the Nobility" of the Tbilisi Gubernya.

According to its aims "Society for the Spread of Literacy Among the Georgians" opened schools, archives, museums, libraries, collected and preserved Georgian monuments of spiritual and material culture: manuscripts, charters, historical and fictional writings, old Georgian coins etc. They also published and delivered books and helped the younger generation.

In May, 1888 Ekvtime Takaishvili was elected as a member of the committee of "Society for the Spread of Literacy Among the Georgians". He simultaneously took honourable position among the leading figures of that society. He patronized old and discovered many unknown manuscripts. On his initiative the Society bought "Archiliani" and another 6 manuscripts. At the same time he composed and published the descriptions of manuscripts. He published three historical chronicles, "New Version of Life of St. Nino or the Second Part of Conversion of Kartli", "The Wisdom of Balavar", initiated the publication of queen Mariam's MS of "Life of Kartli", and published the collated texts of "the Knight in the Panther's Skin".

Ekvtime Takaishvili's scientific activity was honoured with Gold Medal by the Russian Imperial Academy of Sciences.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VIII
თბილისი. 2013-2014

ნათია ფიფია

მილეტელები შავიზღვისპირეთში
(არისტოტელეს ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის)

შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის იონიური ეტაპი ბევრ ქალაქში სუსტადაა გამოხატული და ეს ეხება ზოგადად შავიზღვისპირეთის ბერძნულ კოლონიებს და არა მხოლოდ კოლხეთის ბერძნულ ქალაქებს. რა შეიძლება იყოს იმის მიზეზი, რომ მილეტელები ზოგადად სუსტად არიან წარმოდგენილი, თუნდაც, კოლხეთის ტერიტორიაზე. ამ მხრივ ძალიან საინტერესო ინფორმაციაა დაცული არისტოტელეს ფრაგმენტებში:

557. ხოლო მილეტელებმა, ვიდრე ისინი არ განებივრდებოდნენ, სძლიეს სკვითებს, როგორც ამბობს ეფოროსი, ჰელესპონტთან ქალაქები ააშენეს, ევქსინის პონტო დაასახლეს ბრწყინვალე ქალაქებით და ყველანი მილეტში გაიქცნენ. მაგრამ როდესაც ისინი თანდათანობით განცხრომასა და ნებივრობაში ჩაცვივდნენ, გამოეცალა ქალაქს სიმამაცე“, ამბობს არისტოტელე. და ერთი ანდაზაც კი არსებობს მათ შესახებ: *„ძველად, ოდესღაც მამაცები იყვნენ მილეტელები“*.[1]

სამწუხაროდ, არისტოტელე მილეტელების „გაქცევის“ მიზეზს არ უთითებს და, შესაბამისად, თავსატეხად ტოვებს საკითხს, თუ რა იგულისხმება ამ „გაქცევაში“ – ათენელების მიერ მილეტელების განდევნა და აქ თავისი ჰეგემონობის დამყარება თუ მილეტელების მიერ თავისი ნებით ამ მიდამოების დატოვება იმ მიზეზით, რომ მათი მცდელობა ქალაქი დაეარსებინათ, ჩავარდა.

ცნობა, როგორც ჩანს, მიეკუთვნება ეფოროსს, რომელიც ცხოვრობდა ძვ. წ. 400-330 წწ. ეფოროსს მიაწერენ პირველი მსოფლიო ისტორიის შედგენას.[2]

---

[1] თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. II. (არისტოტელე, ნიკოლოზ დამასკელი, კლავდიუს ელიანუსი). თბ. 1969, გვ. 73.

[2] *Ephorus*. Encyclopedia Britannica. ონლაინ ვერსია იხ.: http://www.britannica.com/EBchecked/topic/189596/Ephorus

მის თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია. მისი ცნობები დაცულია ფრაგმენტების სახით, ჩართულია სხვა ავტორების თხზულებებში, მაგ., მას ხშირად იმოწმებს სტრაბონი. ცნობა ძვ.წ. IV საუკუნისაა, არაუგვიანეს ძვ.წ. 330 წლისა. თუმცა თავისთავად ინფორმაცია ეფოროსთანაც უფრო ადრეული წყაროებიდან უნდა მომდინარეობდეს: 1) ეფოროსი კომპილატორია და 2) ცნობა მილეტელების შავ ზღვაში აქტიურობის შესახებ, საფიქრებელია, რომ აქ ათენელების გაბატონებამდელ ვითარებას ასახავს.

არსებობს რამდენიმე ვარიანტი, თუ რას და როდინდელ ვითარებას უნდა ასახავდეს მილეტელებთან დაკავშირებული ეს ცნობა:

✓ მილეტელების მიერ შავი ზღვის კოლონიზაციის პირველ ეტაპზე დაარსებული კოლონიების ნაწილის ხელმეორე კოლონიზება გახდა საჭირო ისევ მილეტელების მიერ. მაგ., სინოპე და კიზიკოსი სამხრეთ შავიზღვისპირეთში ორჯერაა მილეტელების მიერ დაფუძნებული.[3] ეს ქმნის ეროგვარ საცდურს: ხომ არ ასახავს ეს ცნობა ამ ადრინელ ვითარებას. მილეტელები მოვიდნენ ძვ.წ. VIII საუკუნეში, თუმცა მათმა კოლონიებმა ვერ შეძლეს ვერც მნიშვნელოვანი კონტაქტების შენარჩუნება მეტროპოლიასთან, ვერც საკუთარი ეკონომიკური ბაზის შექმნა და დამოუკიდებელ პოლისებად ჩამოყალიბება და ისევ უკან დაბრუნდნენ. ძვ.წ. VIII საუკუნეში ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო: 1) კოლონისტების არასაკმარისი რაოდენობა, 2) კიმერიელების შემოსევების გამო (?) რეგიონის გავერანება. თუმცა ნაკლებად საფიქრებელია, ეფოროსის ცნობა ასეთ ადრინდელ ვითარებას ასახავდეს.

✓ მილეტელები შავ ზღვაში მათი აქტიურობის მეორე ეტაპზე (ძვ.წ. 630-494 წწ) ხშირად ქალაქებს აარსებდნენ პრინციპით – ბევრი და მცირე მოსახლეობით. თუკი თავდაპირველი ქალაქები სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტებში დააარსეს და ვრცელ ტერიტორიაზე შეიძლებოდა მხოლოდ ერთი ქალაქი ყოფილიყო, მეორე ეტაპზე სხვა ტაქტიკას ირჩევდნენ – ცდილობდნენ სანაპირო მაქსიმალურად აეთვისებინათ მცირე კოლონიებით. შესაბამისად, ცალკეულ დასახლებებში, ალბათ, ნაკლები რაოდენობის კოლონისტი იგზავნებოდა. პოლისის დამოუკიდებელი ეკონომიკური ბაზის შესაქმნელად საჭიროა კოლონისტთა ისეთი რაოდენობა, რომელიც საკმარისი იქნება სამრეწველო სექტორის ასამუშავებლად. კოლონიების ფუნქცია, მართალია, ნედლეულის მიწოდებაა მეტროპოლიისთვის, მაგრამ დამოუკიდებელმა ახალშენებმა

[3] Vanessa Gorman. Miletos: The Ornament of Ionia. A History of the City to 400 B.C.E. Michigan: University of Michigan. 2004. გვ. 257.

იმისათვის, რომ საბოლოო დამოუკიდებლობას მიაღწიონ, საკუთარი საწარმოო პროფილიც უნდა მოძებნონ. მაგ., ჩრდილო შავიზღვისპირეთის ქალაქებისთვის. ეს გახდა ხორბლის მიწოდება ბერძნული სამყაროსთვის, შედეგიც აშკარა იყო, ეგვიპტის მიერ ხორბლის ექსპორტის დაწყებამდე ყველაფერი წესრიგში ჩანდა, დაკნინება იწყება მხოლოდ ამ ხანიდან. დამოუკიდებელი ეკონომიკური ბაზის შესაქმნელად და საკუთარი საწარმოო პროფილის ასამუშავებლად საჭიროა მოწინავე ტექნოლოგიების მქონე ბერძნების ისეთი რაოდენობა, რომელიც საკმარისი იქნება თუნდაც ერთი დარგის გასავითარებლად. ჩვენი აზრით, შავიზღვისპირეთის კოლონიზაციის მილეტურ ეტაპზეც, განსაკუთრებით მის მეორე პერიოდში, ამ რეგიონში მოსული კოლონისტების რაოდენობა არ აღმოჩნდა საკმარისი ამისთვის. იონიელებმა მიატოვეს თვით ისეთი სტრატეგიული პუნქტიც კი, როგორიც იყო ქერსონესი და პონტოს ჰერაკლეადან მოსული კოლონისტები რეალურად მოახალშენეთა მეორე ნაკადია. სიმპტომატურია ისიც, რომ ათენელების მოსვლის დროისათვის კოლხეთის ქალაქების ბერძნების ახალი ნაკადით შევსება გახდა საჭირო. ფაქტია, დიოსკურია კლერუხებით შეივსო, ხოლო ფიჭვნარი ასევე გაიზარდა. იგი მცირე იონიური დასახლებიდან მნიშვნელოვან სავაჭრო ადგილად იქცა.

ჩვენი აზრით, არისტოტელეს ცნობა ასახავს ძვ.წ. V საუკუნის I ნახევრის ვითარებას. მილეტი შავიზღვისპირეთში თვით ძვ.წ. VI საუკუნის ბოლოს, V საუკუნის დასაწყისშიც კი აქტიურია, აარსებს 2 ქალაქს – მირკინოსს (მაკედონია) და ანქიალეს (აღმოსავლეთ პონტო). ამასთან, ინტერესიც ჯერ კიდევ ჰქონდა, რომ აქ ეაქტიურა – დაინტერესებული იყო გემებისთვის საჭირო სამშენებლო ხე-ტყის ექსპორტით მოსალოდნელი ბერძენ-სპარსელთა ომის წინ. მილეტელების უკან დაბრუნება, რომელსაც არისტოტელე აღნიშნავს, ძვ.წ. 479 წლის შემდეგი პერიოდით უნდა დათარიღდეს. ძვ.წ. 494-479 წწ. მილეტი სპარსელთა ხელშია და ნაკლებად სავარაუდოა, მილეტელ კოლონისტებს მაშინ მოენდომებინათ მეტროპოლიაში დაბრუნება. ეს უფრო ძვ.წ. 479 წლის შემდგომ მოვლენას ჰგავს, როდესაც ქალაქი სპარსელთაგან გათავისუფლდა.

ამრიგად, შავი ზღვის მილეტელი კოლონისტების ნაწილი, როგორც ჩანს, ძვ.წ. V საუკუნის I ნახევარში ისევ საკუთარ ქალაქში დაბრუნდა. მათი წასვლის მიზეზი იყო, ალბათ, კოლონისტების არასაკმარისი რაოდენობა, იმისათვის, რათა დამოუკიდებელი პოლისი ჩამოყალიბებულიყო, სავარაუდოდ, ასევე, კავშირის შესუსტებაც მილეტთან. მაგ., ასეთი დასახლება კოლხეთის სანაპიროზე შეიძლება ყოფილიყო იონიური ფიჭვნარი, დიოსკურიაც. ბათუმის

ციხის დასახლებას რაც შეეხება, აქედან კოლონისტები კიდევ უფრო ადრე წავიდნენ.[4] ა. კახიძის აზრით, ამის მიზეზი მისი შექმნის ძალადობრივი ხასიათია,[5] თუმცა მიზეზი ასევე შეიძლება იყოს კოლონისტების არასაკმარისი რაოდენობა, ეკონომიკური სტიმულების არარსებობა და შედეგი – მათი „გაქცევაა“ ამ რეგიონიდან. ჩვენ უფრო ვიხრებით იმ აზრისკენ, რომ ბათუმის ციხის დასახლება უფრო დროებითი პლაცდარმი იყო შემდგომი კოლონიების დასასახლებლად კოლხეთში.[6] დიოსკურიის შემთხვევაშიც, რადგან მნიშვნელოვანი ქრონოლოგიური წყვეტა იმპორტში არ შეინიშნება და შემდეგ ათენელი კოლონისტებით ჩანს შევსებული ადგილობრივი ტერიტორია, შესაძლებელია იგივე ვიფიქროთ. საერთო ჯამში, საინტერესოა ის ფაქტი, რომ არასასურველი პირობების გამო ჯერ კიდევ მილეტური კოლონიზაციის პერიოდში და მალევე მის შემდეგ კოლონისტებს შეიძლება დაეტოვებინათ შავიზღვისპირეთის რეგიონი.

როგორც ჩანს, მილეტელების ზოგიერთი ექსპერიმენტი შავი ზღვის რეგიონში წარუმატებელი იყო. მათ შორის თავდაპირველ ეტაპზეც. ეს ფაქტი არისტოტელესთან დადასტურებულია. რაც შეეხება ამის მიზეზს, სავარაუდოდ, ეს კოლონისტების არასაკმარისი რაოდენობაა. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ მილეტი ცნობილია იმით, რომ 90 კოლონია დააარსა. 90 არათანაბარზომიერად კოლონიზირებული კოლონიის დაარსებას მილეტელებისთვის სასურველი შედეგი, როგორც ჩანს, არ მოჰყოლია. მათ მცდელობას მხოლოდ ხანმოკლე ეფექტი ჰქონდა, სანამ ეს მცირე დასახლებები არსებობდნენ, ინარჩუნებდა მილეტთან კავშირს და, შესაბამისად, ინტენსიურ სავაჭრო ფუნქციებს. ხოლო მას შემდეგ, რაც მილეტი დაკნინდა და ამ მცირე დასახლებების მხოლოდ ამ ფუნქციით შენარჩუნება შეუძლებელი გახდა, დადგა საკუთარი ეკონომიკური ბაზის შექმნის საჭიროება. ეს კი მცირე რაოდენობის კოლონისტებმა ველარ მოახერხეს, ისინი უკან, მილეტში, გაიქცნენ და, ჩვენი აზრით, არისტოტელეს ცნობაც სწორედ ამ პროცესს ასახავს.

[4] ა. კახიძე. ფიჭვნარის ანტიკური ხელოვნების ძეგლები. ჟურნ.: „საბჭოთა ხელოვნება“. №9. თბილისი 1973, გვ. 32; ა. კახიძე. ბათუმის დასახლების შესწავლის ისტორიისათვის. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. 1989. № XVIII, გვ. 56.

[5] ა. კახიძე. ფიჭვნარის ანტიკური ხელოვნების ძეგლები, გვ. 32.

[6] ბათუმის ციხის დასახლების სტატუსის შესახებ ჩვენი მოსაზრება იხ. ნ. ფიფია. ელინური ექსპერიმენტი დასავლეთ საქართველოში – ბერძნული ახალშენები (გენეზისი, ისტორია). ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის მაცნე. თბ. 2013.

Natia Phiphia

MILESIANS IN THE BLACK SEA REGION (ACCORDING TO ONE NOTE OF ARISTOTLE)

Summary

Ionian stage of the Greek colonization of the Black Sea is not well represented on the archaeological sites. The reason for this relative "silence" is that the first settlements were not large. Miletus earned the name of the founder of 90 cities, although they were relatively small. The small number of the colonists was not enough and the cities were not able to create their own economic base. This resulted in the escape of the Milesians from the Black Sea region. Aristotle's information is very helpful concerning this issue. He attested that the Milesians had come to the Black Sea region and later escaped from there. This information suits the 1st half of the 5th c. B.C. The Milesian colonies should have declined after Miletus had been taken by the Persians, since the former lost their original purpose and could not gain a new one – to have their own economic base. Therefore, the Milesians seemed to have escaped from the Black Sea during this period.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VIII
თბილისი. 2013-2014

ზვიად კვიციანი

სვანეთი რომაულ სასაზღვრო ციხე-სიმაგრეების სისტემაში

ქართულ-რომაული ურთიერთობანი ძვ.წ. I საუკუნეში იწყება და რამდენიმე ეტაპს მოცავს. პირველ ეტაპზე რომაელთა ძალაუფლება იბერია-კოლხეთზე ზედაპირული ხასიათისა იყო, ვინაიდან ამ დროს რომაელებს აქ არ შეუცვლიათ არსებული წეს-წყობილება, ადგილობრივი კანონები და არც გარნიზონი ჩაუყენებიათ.[1]

ძვ.წ. 48 წელს კოლხეთს პონტოს მეფე ფარნაკე II დაეპატრონა, ამის შემდეგ, აღნიშნულ ქვეყნებს შორის ურთიერთობა დროებით შეწყდა. ძვ.წ. 47 წელს იულიუს კეისარმა ზელასთან მომხდარ ბრძოლაში ადვილად სძლია ფარნაკეს და კოლხეთი კვლავ რომაელთა ხელში გადავიდა.[2]

ყოველივე ამასთან მიმართებით საინტერესოა არქეოლოგიური და თანამედროვე ისტორიკოსთა მონაცემები. მაგ.: არქეოლოგიურად დასტურდება, რომ ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარში ან ამავე საუკუნის მესამე მეოთხედში დიოსკურიის ხორაზე მდებარე ეშერის ციხე-სიმაგრე აუღიათ და გაუნადგურებიათ კავკასიელ მთიელ ტომებს.[3]

---

[1] სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება არსებობს: მკვლევართა ერთი ნაწილი რომაული გარნიზონების ჩადგომას კოლხეთის სანაპიროზე ოქტავიანე ავგუსტუსის დროს ვარაუდობს (Н. Ю. Ломоури. Грузино-римские взаимоотношения. Тб. 1981, გვ. 211), მეორე – ძვ.წ. I ს-ის 60-იანი წლებით, მესამე – ვესპასიანეს ეპოქით ათარიღებს (В. А. Леквинадзе. Понтийский лимес. ВДИ (Вестник древней истории). М. 1969, № 2, გვ. 75-76.). ნაწილი კი ფიქრობს, რომ ამ პროცესს ახ. წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის მეორე ნახევრიდან უნდა ჰქონოდა ადგილი (გ. გამყრელიძე, თ. თოდუა. რომაული სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში. თბ. 2006, გვ. 56).

[2] გ. მელიქიშვილი. ისტორიული კოლხეთის მოსახლეობა ახ. წ. I ს-ში, ლაზთა სამეფოს წარმოქმნა და განმტკიცება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. თბ. 1970, გვ. 538.

[3] გ. ლორთქიფანიძე. ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბ. 1991, გვ. 42.

ამ მოვლენებს უნდა განმარტავდეს პლინიუსის ცნობა ჰენიოხების მიერ, პიტიუნტის აღება-განადგურების გარდა, კოლხეთის ქალაქ დიოსკურიადის „გაუდაბურება“-მიტოვების შესახებ (Plin., NH, VI, 15). არ არის გამორიცხული, რომ პოლემონისა და მისი მემკვიდრეების დროს დასავლეთ საქართველოს ციხე-სიმაგრეებში ჩააყენეს პონტოელთა გარნიზონები, რომლებიც შემდგომ რომაელმა ლეგიონერებმა შეცვალეს.[4]

ტაციტუსთან ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, კოლხეთსა და ბოსფორს შორის მოსახლე რომელიღაც ჰენიოხურ დაუმორჩილებელ ტომებზეა საუბარი. სწორედ ესენი, „ჰენიოხები“, ესხმოდნენ ამ დროს თავს რომაულ სამფლობელოებს და მხოლოდ მათ შეეძლოთ „იარაღით დამუქრებოდნენ რომაელებს“ (Tac., III, 48).

რომისა და დასავლეთ საქართველოს ურთიერთობის ახალი ეტაპი იწყება მას შემდეგ, როდესაც კოლხეთი რომაელებთან ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ პოლემონების პონტოს სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. სწორედ ამ დროს, ავგუსტუსის ეპოქაში, რომაელებმა იმპერიის შესასვლელი საზღვრების მისადგომების დაცვის მიზნით კოლხეთის ზოგიერთ ზღვისპირა პუნქტში თავიანთი გარნიზონები ჩააყენეს და შემდგომ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი უშუალოდ რომის იმპერიის შემადგენლობაში შეიყვანეს.[5]

63 წელს კოლხეთი ნერონის ბრძანებით პონტოსთან ერთად გალატიის პროვინციის შემადგენლობაში მოექცა. 72 წლიდან დომიციანეს მმართველობამდე კოლხეთი შედიოდა „კაპადოკიის სისტემაში“, რომელიც აერთიანებდა კაპადოკიისა და გალატიის პროვინციებს, ხოლო ამის შემდეგ, ცალკე ჩამოყალიბებული, კაპადოკიის ნაწილად გვევლინება.[6]

სპეციალისტების აზრით, რომაული „გარნიზონები ჩრდილო-აღმოსავლეთში შორეულ პუნქტებშიც იდგნენ, რათა აქედან თვალყური ედევნებინათ დარიალისა და დარუბანდის გადმოსასვლელებისათვის კავკასიაში.[7] როცა რომაელები პირველად მოვიდნენ საქართველოში, მათ დარიალი იბერიის სამეფოს ხელში დახვდათ, პირველი სიმაგრე აუშენებია იბერიის მეფე მირიან I-ს (ძვ.წ. II საუკუნის I ნახევარი). ქართველებს ეს ხეობა მიუდგომელი კედლით

[4] გ. ლორთქიფანიძე. ბიჭვინთის ნაქალაქარი, გვ. 42.
[5] ზ. კვიციანი. დასავლეთ საქართველოსა და რომის იმპერიის კულტურული ურთიერთობების ისტორიისათვის. თბ. 1997, გვ. 34.
[6] გ. მელიქიშვილი. ისტორიული კოლხეთის მოსახლეობა ახ. წ. I ს-ში, ლაზთა სამეფოს წარმოქმნა და განმტკიცება, გვ. 538.
[7] გ. ლორთქიფანიძე. ბიჭვინთის ნაქალაქარი, გვ. 43.

ჰქონდათ გამაგრებული. თუ რა მიზანი ჰქონდა ამ სიმაგრეს, ამაზე პირველ საუკუნეში მცხოვრები რომაელი მწერალი პლინიუსი მოგვითხრობს: „კავკასიის კარები უზარმაზარი ქმნილებაა ბუნებისა, მთების უეცარი გაპობის შედეგი, თვით გასასვლელი მოზღუდულია რკინით შემოჭედილი დირეებით. მდინარის გამოღმა აგებულია კუმანიად წოდებული სიმაგრე, აშენებული იმ მიზნით, რათა დაბრკოლონ მრავალრიცხოვანი ტომების გადმოსვლა (Plin., NH, VI, 30).

ახ. წ. I საუკუნის მეორე ნახევარში ამიერკავკასიაში „ველური ჩრდილოეთიდან“ მომთაბარეთა შემოსევის საშიშროება, ეტყობა, საკმაოდ აქტუალური იყო. რომაული სამხედრო ძალების კონცენტრაცია აღმოსავლეთ საზღვარზე და მისი კონტურების გარეთაც უნდა აიხსნას არა მხოლოდ საკუთარი აღმოსავლური პროვინციების დაცვის საჭიროებით, არამედ მათი ძირითადი პოლიტიკური ამოცანის კონტექსტშიც: უპირატესობა მოეპოვებინათ პოლიტიკური ზეწოლის ინტენსიურობის მხრივ ისეთი უდიდესი საკვანძო მნიშვნელობის არეალზე, როგორიც იყო კავკასია; ქედს გადაღმა, ჩრდილოეთით განთავსებული უზარმაზარი სამხედრო ძალა პერმანენტულ მზადყოფნაში იმყოფებოდა კავკასიონის სამხრეთით მიმდინარე პროცესებში ჩარევისათვის. ამ ძალას ნებისმიერ დროს შეეძლო დაერღვია წინააზიურ-ახლოაღმოსავლურ არეალში არსებული გეოპოლიტიკური ბალანსი. კავკასიონის უღელტეხილების კონტროლის საშუალებით იქმნებოდა მეტად ხელსაყრელი შესაძლებლობა) წინა აზიაში *Pax Romana*-ს ჩამოყალიბება-შენარჩუნებისათვის.[8] ამავე დროს ამიერკავკასიაში რომაელთა ძირითადი ამოცანა იყო, კავკასიაში ჩრდილოეთიდან გადმოსული ბარბაროსებისათვის გზის გადაკეტვა, ასევე საკუთარი სტრატეგიული ინტერესებისათვის მათი დაქვემდებარება. უკვე ასეთი საშიშროების არსებობის შესაძლებლობაც კი თავისთავად წარმოადგენდა რომაელთა ხელში მნიშვნელოვან იარაღს, მიმართულს მათი აღმოსავლელი ოპონენტების საწინააღმდეგოდ. ისეთი ძნელად სამართავი ძალებით მანიპულირება, როგორიც ჩრდილოელი მომთაბარეები იყვნენ, უკიდურეს მძიმე და სახიფათო ამოცანას წარმოადგენდა და რეგიონში რომის სამხედრო ნაწილების ყოფნას მოითხოვდა. რომაელთა გეგმების განსახორციელებლად აუცილებელი ხდებოდა მოკავშირე რეგიონული ძალაუფლების არსებობა რომაელებს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა მეტოქეებთან დაპირისპირებისას. ამ თვალთახედვით კავკასიის კარიბჭეზე გაბატონებულ იბერთა მიმხრობა უდიდესი

[8] გ. ქავთარაძე. „არიან-ქართლის“ საკითხისათვის. ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები. ტ. IX. თბ. 2009, გვ. 42.

სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი უნდა ყოფილიყო.[9]

აქვე უნდა განვიხილოთ პრევენტული დარტყმის მცდელობა. თავისი ზეობის წლების მიწურულს (66-67 წწ.) იმპერატორმა ნერონმა (54-68 წწ.) ახალი კავკასიური ექსპედიციის გრანდიოზული გეგმა წამოიწყო (Plin., NH, VI, 15, 40). ვარაუდობენ, რომ იმხანად იგი დარიალის უღელტეხილის გადალახვით იმიერკავკასიის დალაშქვრას აპირებდა.[10] კავკასიონის მთავარ ქედს აქეთ გადმოსულ და, შესაძლოა, ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში მოკალათებულ ალანებთან მიმართებით ეს ლაშქრობა სავსებით მოსალოდნელი იქნებოდა. ტაციტუსის (დაახლ. 56-117 წწ.) ინფორმაციით, ნერონმა მრავალ სამხედრო ნაწილს (გერმანიიდან, ბრიტანეთიდან, ილირიიდან) მოუყარა თავი კასპიის გადასასვლელებისაკენ (სავარაუდოდ, ალბანელთა წინააღმდეგ) გასაგზავნად იმ ექსპედიციისათვის (Tacitus. 1942: 1, 6, 02), მაგრამ იმპერიის დასავლეთში მომხდარი აჯანყების გამო ნერონის გეგმა ჩაიშალა. მოგვიანებით ეს გეგმა განახორციელა იმპერატორმა ვესპასიანემ (69-79 წწ.), როდესაც კაპადოკიის პროვინციაში მყოფი ჯარების ორი ლეგიონით გაძლიერება სწორედ ბარბაროსთა გამუდმებული თავდასხმებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. რომაული ლეგიონის – *XVI Flavia Firma*-ს სირიიდან სატალაში გადანაცვლების თარიღი – ახ.წ. 77 წელი და *Legio XII Fulminata*-სთან ამ ლეგიონის ერთ საექსპედიციო კორპუსად გაერთიანება ალანთა შემოსევისა და იმავდროულად რომაელთა კონტრშეტევის მაუწყებლად არის მიჩნეული.[11]

---

[9] რომაული გარნიზონების გაძლიერების მაგალითად უნდა მივიჩნიოთ დარიალში შენობათა მთელი სერია – საცხოვრებელი, ყაზარმა თუ ფუნდუკი. ციხის სამხრეთით დაფიქსირდა სამარხები. რამდენიმე სამარხის ძირზე დუღაბი იყო მოსხმული (ლ. წითლანაძე. დარიალის ციხე. ჟურნ.: „ძეგლის მეგობარი“. №27-28. თბ. 1971, გვ. 67). მიცვალებულთა დაკრძალვის ამგვარი წესი გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს პიტიუნტის ე.წ. კირხსნარიან სამარხებთან, რომლებიც რომაულ სამყაროს უკავშირდება. ეს კიდევ ერთი მოწმობაა რომაელთა გარნიზონის დარიალის ციხეში დგომისა. დარიალის ხეობაში რომაელთა ცალკეული შენაერთები ადრიანეს დროსაც (ახ.წ. 117-138 წწ.) უნდა მდგარიყო. იოანე ლიდუსის ცნობით, არიანეს მოუნახულებია დარიალი – „ალანთა ანუ ოვსთა კარიც“ (Ioan Lyd. De Magistr. III. 53). ცნობილია, რომ კაპადოკიის ლეგატი – ფლავიუს არიანე მხოლოდ იმ პუნქტებში ჩადიოდა, სადაც რომაელთა გარნიზონები იყო დისლოცირებული (თ. თოდუა. რომაული სამყარო და კოლხეთი. თბ. 2003, გვ. 16.).

[10] B. Isaac. The Limits of Empire. The Roman Army in the East. Oxford, 1990, გვ. 44.

[11] გ. ქავთარაძე. „არიან-ქართლის“ საკითხისათვის, გვ. 42.

ამავე ხანებში (75 წელი) რომაელებს, დასახული ღონისძიებების ფარგლებში, იბერებისათვის არმაზციხის გამაგრებაშიც კი გაუწევიათ დახმარება.[12]

ახ.წ. II საუკუნეში დასავლეთ საქართველოში უკვე ჩამოყალიბებულია ცალკეული სამეფო-სამთავროები. არიანეს ცნობით, ესენია: ჰენიოხებისა და მაკრონების სამთავროებისგან შემდგარი სამეფო, ლაზეთის სამეფო, აფსილების სამეფო, აბაზგებისა და სანიგების სამთავროები. არიანე მათ მეფეებსაც ასახელებს და აღნიშნავს, რომ მათ მეფობა რომის იმპერატორისაგან – ადრიანესაგან, აქვთ მიღებული, გარდა აფსილთა მეფე იულიანესი, რომელმაც ტრაიანესაგან მიიღო მეფობა. რომაელებს ზღვის სანაპიროზე აუგიათ ციხეები, სადაც მისი ჯარები იდგნენ, ქვეყნის შიდა რაიონებზე კი ხელი არ მიუწვდებოდათ. ეს ციხეები იყო რომაელთა გავლენის შენარჩუნებისა და იმპერიის საზღვრების უშიშროების დაცვის საშუალება. როგორც ვხედავთ, კოლხეთის ზღვისპირეთში რომაული გარნიზონები იდგნენ. რომაული ციხე-სიმაგრეებია (Castelum-ები) აფსაროსში, ფაზისში, სებასტოპოლისში, II საუკუნის მეორე ნახევრიდან პიტიუნტშიც. იულიუს კაპიტოლინის ცნობით, ლაზების მეფე ბაკური ადრიანეს მომდევნო იმპერატორს ანტონინე პიუსს დაუმტკიცებია ტახტზე, მაგრამ კოლხებს ამგვარი დამოკიდებულებისაგან ერთხანს კვლავ დაუღწევიათ თითქოს თავი. შემდეგ ხანებში დასავლეთ საქართველოს დამოკიდებულება საიმპერიო ადმინისტრაციისაგან უფრო ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებდა.[13]

ლაზები კი ფორმალურად რომაელთა ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ, მაგრამ მათ ევალებოდათ ზღვისპირა გარნიზონებთან ერთად იმპერიის მისადგომების დაცვა. ამგვარად, დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი და შიდა რაიონებიც ერთიანი სტრატეგიული ზონაა და რომაელთა გარკვეული ინტერესების სფეროს შეადგენდა. III საუკუნეში განსაზღვრული ცვლილებები

[12] რომაელთა მონაწილეობა მცხეთის საფორტიფიკაციო სამუშაოებში ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რასაც ადასტურებს მცხეთაში აღმოჩენილი, 75 წლით დათარიღებული იმპერატორ ვესპასიანეს წარწერა. მასში ნათქვამია: „თვითმპყრობელმა კეისარმა ფარსმანისა და ამაზასპის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარულ ხალხს ეს კედლები განუმტკიცეს“ (გ. წერეთელი. მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხნისა. თბ. 1985, გვ. 5-20). როგორც ჩანს, წარწერიანი ქვა დადგმული ყოფილა რომის იმპერატორის სახელით. სწორედ ამ დროიდან ვრცელდება იბერიასა და კოლხეთში ახალი, რომაული ტიპის სამშენებლო მასალები – გამომწვარი აგური, კერამიკული ფილები, კირხსნარი და სამშენებლო ტექნიკა.

[13] ზ. კვიციანი. დასავლეთ საქართველოსა და რომის იმპერიის კულტურული ურთიერთობების ისტორიისათვის. თბ. 1997, გვ. 35.

მოხდა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, იწყება ჩრდილოეთიდან მომთაბარე ტომთა შემოსევა და ბრძოლა მათ წინააღმდეგ.

წყაროთა თანახმად, III საუკუნის 70-იან წლებამდე შავი ზღვის სანაპიროებზე ბატონობდნენ გუთები. III საუკუნის შუა ხანებში კოლხეთის სანაპიროზე გუთების თავდასხმების შესახებ მოგვითხრობს V საუკუნის მეორე ნახევრის ავტორი ზოსიმე თავის „ახალ ისტორიაში“.[14]

გუთებს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ცენტრები ორჯერ დაულაშქრავთ. პირველი თავდასხმა, რომელიც 255-256 წლებში მომხდარა, გუთების დამარცხებით დამთავრებულა. მეორე ლაშქრობა კი 257 წელს მოეწყო და პირველთან შედარებით ფართო ხასიათისა ყოფილა. წყაროს თანახმად, გუთებს თავდაპირველად ალყა ფასისისათვის შემოურტყამთ, მაგრამ უშედეგოდ. ფასისის შედარებით მცირერიცხოვანმა დამცველებმა მომხდურნი უკუაქციეს, რაც, ერთი შეხედვით, გაოცებას იწვევს, ვინაიდან გუთებმა თითქმის დაუბრკოლებლად აიღეს ისეთი ძლიერი და საკმაოდ მრავალრიცხოვანი გარნიზონებით დაცული ქალაქები, როგორებიც იყო: ტრაპეზუნტი, გორგიპია, ფილიპოპოლისი, აბრიტუსი, ნოვუმი, პატიუნტი.[15] მართალია, ფასისის გარნიზონი რჩეული ლეგიონერებისაგან შედგებოდა და არტილერიითაც იყო შეიარაღებული, მაგრამ, ჩვენი ვარაუდით, დამხმარე ძალების გარეშე იგი მაინც ვერ შეძლებდა გუთების უკუგდებას. ასეთ „დამხმარე ძალებში“, პირველ რიგში, უნდა ვიგულისხმოთ ადგილობრივი მოსახლეობა.

270 წლის შემდეგ რომის იმპერიის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. რომაელებმა ნაისასთან ბრძოლაში სასტიკად დაამარცხეს გუთები და დუნაის იქით გადარეკეს, რის შემდეგაც ბალკანეთის პროვინციებში საუკუნო მშვიდობა დამყარდა. რომაელებმა შეძლეს თითქმის მთლიანად აღედგინათ აღმოსავლეთის საზღვარი. სწორედ ამ ხანებში უნდა მომხდარიყო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სიმაგრეებთან ერთად კავკასიონის ქედის გასწვრივ სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის განახლება-განმტკიცება.

ამ პროცესების პარალელურად, III საუკუნის ბოლოდან, რომის იმპერიის ცენტრი თანდათან აღმოსავლეთისაკენ ინაცვლებს და იგრძნობა რომაელთა ადმინისტრაციის ერთგვარი განმტკიცება აღმოსავლეთ პროვინციებში. ამ დროიდან რომის ძირითად პოლიტიკურ მოქიშპედ სასანური ირანი ხდება, რომელთანაც დაპირისპირებისას რომმა IV საუკუნის მეორე ნახევრიდან

[14] გეორგიკა. I. თბ. 1932, გვ. 266.
[15] თ. თოდუა. რომაული სამყარო და კოლხეთი, გვ. 32.

მნიშვნელოვანი მარცხი განიცადა. 387 წლის საზავო ხელშეკრულებით სომხეთის ოთხი მეხუთედი ერგო ირანს, ერთი მეხუთედი – რომს.[16]

ასეთ ვითარებაში რომის ხელისუფლებას აღმოსავლეთში სუსტ ვასალზე უფრო ძლიერი მოკავშირე ესაჭიროებოდა და იგიც იძულებულია არა მარტო შეურიგდეს ლაზეთის სამეფოს გაძლიერებას, არამედ ხელიც კი შეუწყოს მის აღმავლობას და მხარი დაუჭიროს მის საგარეო პოლიტიკას: ლაზიკა რომაელთათვის იქცა ჩრდილო კავკასიიდან შემოჭრილი მომთაბარე ტომების (ალანები, ჰუნები) მოწინააღმდეგე რეალურ ძალად. ამიტომ რომაელების მხარდაჭერით IV საუკუნის ბოლოსათვის ლაზეთის (ეგრისი) სამეფო უკვე მთელ დასავლეთ საქართველოს აერთიანებს. მისი ტერიტორია სამხრეთით მდ. ჭოროხის შესართავამდე ვრცელდებოდა, ხოლო ჩრდილოეთით მოიცავდა თანამედროვე აფხაზეთსა და მაღალმთიან სვანეთს.[17] ამგვარად, IV საუკუნის ბოლო არის ლაზეთის სამეფოს განსაკუთრებული გაძლიერების ხანა. რეალურად ლაზეთის მეფე, მართალია, რომის იმპერატორის ვასალია, მაგრამ, ჩანს, ეს დამოკიდებულება ფორმალურ ხასიათს ატარებდა. პროკოფი კესარიელი პირდაპირ აღნიშნავს: „ლაზები არც ხარკს იხდიდნენ, არც სხვა რამეში ემორჩილებოდნენ რომაელებს, მათი ერთადერთი ვალდებულება იყო ჩრდილოეთის საზღვრების დაცვა მომთაბარე ტომთა შემოსევებისაგან. რეალური ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე, ეს ვალდებულება მთლიანად ემთხვეოდა ლაზეთის სამეფოს ინტერესებს მომთაბარე ტომთა შემოსევებისაგან სამეფოს ტერიტორიის დაცვაში“.[18] ტერიტორიის დაცვით, პირველ რიგში, თვით ლაზეთის სამეფოს ხელისუფალნი იყვნენ დაინტერესებულნი, რომელთა დედაქალაქი არქეოპოლისი თავისი გრანდიოზული და პირველხარისხოვანი ფორტიფიკაციით სრულიად შეესაბამებოდა აღმავალი ეგრისის სამეფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტატუსს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გამორიცხულია, რომ ისეთი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის რეგიონი, როგორიც კავკასიონი იყო, რომაელებს დაუცველად დაეტოვებინათ. აღნიშნული ღონისძიების გატარების გარეშე რომი არათუ ვერ შეძლებდა კავკასიაში თავისი პოზიციების განმტკიცებას, არამედ ჩრდილო კავკასიის მთიელთა შემოტევებსაც ვერ შეაჩერებდა და ვერც შავ ზღვაზე ვაჭრობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. აქედან გამომ-

[16] Н. Ю. Ломоури. Грузино-римские взаимоотношения, გვ. 231.
[17] გ. მელიქიშვილი. ისტორიული კოლხეთის მოსახლეობა, ახ. წ. I ს-ში, ლაზთა სამეფოს წარმოქმნა და განმტკიცება, გვ. 538.
[18] გეორგიკა II. თბ. 1934, გვ. 126.

დინარე, ჩვენი აზრით, აღნიშნულ გადმოსასვლელებს რომაელები აკონტროლებდნენ ადგილობრივი დაქირავებული დამხმარე რაზმების მეშვეობით, რომ აქ პროვინციული ჯარის დამხმარე სასაზღვრო ნაწილები იდგნენ.[19]

ჩვენ მიერ გამოთქმული ვარაუდის გასამყარებლად მოვიყვანთ 2012 წელს თსუ სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვანელი. პროფ. ზ. კვიციანი) მიერ ჭუბერის თემის სოფ. ზედა მარღში, ადგილ შხიბარში აღმოჩენილ არტეფაქტებს. კერძოდ, სადაზვერვო შურფების გავლების შედეგად მიწის ზედაპირიდან 50 სმ. სიღრმეზე კულტურულ ფენაში წიდებთან ერთად აღმოჩნდა „T“ მაგვარი „ხახვისთავიანი“ (ჭვინტიანი) ბრინჯაოს ფიბულა (სურ. 1). ზომები: სიმაღლე =1,9 სმ, სიგანე შვერილთან =2,4 სმ, რკალის დიამეტრი =4 სმ, ნემსის სიგრძე =5 სმ, ნემსის ღეროს დიამეტრი =0,4. სვანეთის არქეოლოგიაში ეს პირველი შემთხვევაა. მანამდე ამ ტიპის ფიბულა აღმოჩენილი არ იყო. ადგილი „შხიბარი“ (ქართ. წიდა), მდ. ნენსკრას (ჭუბრულას) მარცხენა სანაპიროს შემაღლებულ ადგილზეა, რომელიც სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით ძალზედ მნიშვნელოვანი იყო. ამ ადგილიდან ჩანს ჩრდილოეთიდან მომავალი ბილიკები, ზემოდან დაჰყურებს მთელ ჭუბერის-ნენსკრის ხეობას. ჩვენი ვარაუდით, აქ უნდა ყოფილიყო საგუშაგო ციხე-კოშკი, თუმცა საბოლოო დასკვნის გაკეთებას აქ განხორციელებული არქეოლოგიური გათხრები მოგვცემს.

ეს ტერიტორია მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ამ მიდამოებში ვვარაუდობთ სწორედ ანტიკური (რომაული) ხანის ე.წ. ზარაფხანის ნაშთებს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ფიბულის აღმოჩენის ადგილიდან დაახლოებით 300 მეტრში 1913 წელს სამიწათმოქმედო სამუშაოების დროს აღმოჩნდა ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს ოქროს სტატერების მინაბაძები.[20]

ამ ტიპის ფიბულები ნაპოვნია იმ ადგილებში, სადაც რომაული ლეგიონები იდგნენ, მაგალითად, ბიჭვინთის ნაქალაქარის კულტურულ ფენებში: სამარხი № 419, თარიღი – III-IV საუკუნეები, სამარხი № 158, თარიღი – IV საუკუნე; ხახვისთავებიანი ნაზარდებით, კოპებით შემკული ბრინჯაოს ფიბულა – თხრილი 09.1988, ნაქალაქარის დასავლეთი კარიბჭე თარიღდება III-IV საუკუნეებით. მასიური ფიბულა ამავე ტიპისა დანგრეული სამარხიდან, თარიღი – IV საუკუნე, „ხახვისთავიანი“ ამავე ტიპის – III საუკუნის კულ-

[19] გ. ლორთქიფანიძე, ზ. კვიციანი, გ. გერაძე. სვანეთი ანტიკური ხანის საქართველოს ზარაფხანა. თბ. 2008, გვ. 16.

[20] ე. გაბლიანი. არქეოლოგიური გათხრები სვანეთში. ჟურნ.: „დროშა“. №19. თბ. 1930, გვ. 19.

ტურული ფენიდან, დასავლეთი კარიბჭე. აქვე აღმოჩნდა ორი ცალი „ხახვისთავიანი“ (მოოქრული) ფიბულა, თარიღი – IV საუკუნე.[21] ამ ტიპის ფიბულები გვხვდება რომაულ სირიაშიც.[22] მსგავსი პარალელებით და ზემოთ აღნიშნული პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ფიბულის თარიღი უნდა იყოს III-IV საუკუნეები.

ფიბულა რომაელ ჯარისკაცთა შემოტანილი უნდა იყოს, რამდენადაც აღწერილი ნივთები, როგორც წესი, მხოლოდ იმ რეგიონებში გვხვდება, სადაც რომაული გარნიზონები იდგნენ.

რომაული ხანის ავტორები საქართველოს ზღვისპირეთის თავდაცვით ხაზს ლიმესად არ იხსენიებენ. ისინი მას ჩვეულებრივ „რომაელთა სამფლობელოდ“ (Arr., PPE, 9), უმეტეს შემთხვევაში – „საზღვრად“ (Theodor., V, 34) მოიხსენიებენ. ჩვენ ვიზიარებთ მკვლევართა აზრს, რომ ამ საკმაოდ კარგად დაცულ ზონას პონტო-კავკასიის საზღვარი უნდა ეწოდოს,[23] რადგანაც მის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა რომაელთა პოზიციების განმტკიცება ამიერკავკასიაში და ჩრდილო კავკასიის რეგიონის გაკონტროლება, საკაბოტაჟო ნავიგაციისა და ვაჭრობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა შავიზღვისპირეთის სანაპიროებზე.

კავკასიონის ქედი წინაღობა იყო ჩრდილოკავკასიური მომთაბარე-მეომარი ტომების ტრანსკავკასიისა და მცირე აზიაში შემოჭრის წინააღმდეგ. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა უღელტეხილები, კერძოდ, სვანეთიდან გადასასვლელები. ვის ხელშიც ეს გზები იყო, მას შეეძლო კონტროლი გაეწია ჩრდილოკავკასიური მეომარი ტომების მოძრაობისათვის. რომაელების მიერ ადგილობრივ დაქირავებულ დამხმარე რაზმებში, რა თქმა უნდა, პირველ რიგში სვანები იქნებოდნენ.

ბერძნული-რომაული და სხვა ისტორიული წყაროები ადასტურებენ, რომ სვანები საუკეთესო მეომრები იყვნენ.

საკმარისია გავიხსენოთ სტრაბონის ცნობა სვანების შესახებ, რომელშიც ნათქვამია, რომ „სვანები საუკეთესონი არიან სიმამაცისა და ძალის მიხედვით, ფლობენ ისინი ირგვლივ (ყველაფერს) და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის... ჰყავთ მათ ბასილევსი

[21] გ. ლორთქიფანიძე. ბიჭვინთის ნაქალაქარი, გვ. 167.
[22] R. P. Harper. Second Prelimi nary Report on Excavations at Dibei Variasi Les Annuelle Archeologiques Arabes Syriennes. V. XXIV. 1974. II t.33 fiq. 11.
[23] თ. თოდუა. რომაული სამყარო და კოლხეთი, გვ. 34.

და საბჭო 300 მამაკაცისგან შემდგარი და, როგორც ამბობენ, ჰკრებენ ლაშქარს 200 000 (კაცის ოდენობით). მართლაც, მთელი ხალხი მეომარია. სვანები ისრის წვერებისათვის წამალს ხმარობენ და საოცრად იტანჯებიან მისი სუნის გამო მოუწამლავი ისრებით დაჭრილებიც კი" (Strabo, XI, II, 18).

ანალოგიურ ცნობებს გვაწვდიან უფრო გვიანდელი ხანის ბერძენი, რომაელი და ბიზანტიელი მწერლები: აპიანე, პლინიუსი, აგათია სქოლასტიკოსი, მენანდრე პროტიქტორი, პროკოფი კესარიელი და სხვები.

საბრძოლო მოქმედებების სტრატეგია და ტაქტიკა სვანებში რელიეფის მოხერხებულ გამოყენებაზე იყო აგებული. საბრძოლო მოქმედებისას სვანი მებრძოლები კარგად იყენებდნენ ხეობების ჩასაკეტად ვიწრო ადგილებს, მთებზე მოხერხებულად განლაგებულ თავდაცვით ნაგებობებს, ხშირ გაუვალ ტყეებს, მდინარეების ფონებს. ანტიკურ და შუა საუკუნეებში სვანთა ცხოვრებაში საომარ შეტაკებებისა თუ სხვა სახის მტრული შეხლა-შემოხლის საუკეთესო დადასტურებაა აქაური საბრძოლო კოშკები, ციხე-სახლები, დილეგები, ბურჯებიან-ქიმქონგურიანი გალავნები, დახურული წყალსადენები, საიდუმლო გვირაბები, მშვილდ-ისრები, არბალეტები და სხვა. სვანეთში გავრცელებული იყო მშვილდის შემდეგი სახეობები; სანადირო, ქვეითის, ცხენოსნის, არბალეტის ტიპის (მაგ., სვანური „ცხემადი").

სვანური არბალეტი („ცხემად"), შესაძლოა, ანტიკური პერიოდიდან გამოიყენებოდა სვანეთში. ცნობილია, რომ ბრძოლის დროს იყენებდნენ როგორც ჩვეულებრივ ხელით სასროლ არბალეტს, ასევე მოზრდილ მძიმე არბალეტებს, რომლებიც რომაული ბალისტის მსგავსი იყო. ცხემადის, როგორც წამყვანი სახეობის იარაღის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩანს თუნდაც იმაში, რომ სვანური კოშკების საბრძოლო სარკმელი-სათოფური დღემდე „სანცხვირად" ანუ საისრედ იწოდება. სვანური „ცხვი" – ნიშნავს როგორც ისარს, ასევე თოფის ტყვიასაც. რა თქმა უნდა, კოშკებსა და „სანცხვირიან" „სვანირიან" სასიმაგრო ნაგებობებში ცხემადის გამოყენება უტარო მშვილდთან შედარებით უფრო ეფექტური და მოსახერხებელი იყო.

სულხან-საბა წერს: „ისარი ზოგადი სახელი არს ყოველთა ისართაი. ხოლო განიყოფ(ვ)იან სხვა და სხვად სახელებითა".[24]

ჩვენი წინაპრები ამზადებდნენ სხვადასხვა სახის ისრისპირს, იმის მი-

[24] სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. ტ. I. თბ. 1991, გვ. 335.

ხედვით, თუ რა დანიშნულება ჰქონდათ მათ: საყალნო, სარჩა, ქეიბური, ქიბორჯი, ბოძალი, ყოდალი, ღრჯა, სეფქა, გეზი, სამალი, ბორბალი, წინწკიტელა. ზოგიერთ მათგანს ფართო პირი ჰქონდა, იმისათვის რომ ჭრილობა უფრო სისხლმდენი ყოფილიყო, ზოგიერთს კი ვიწრო, გრძელი პირი, რათა ჯავშანი გაეხვრიტა. არსებობდა სანადირო – ორტოტა ისრის პირები და სხვა.

მკვლევართა მიერ დამტკიცებულია, რომ ძვ.წ. III ათასწლეულიდან მოყოლებული სვანეთი უძველესი მელითონეების ქვეყანაა.[25]

სვანეთში იარაღის საკუთარი წარმოებისთვის საკმაოდ ძლიერი ბაზა არსებობდა, საამისოდ საჭირო ნედლეულის მარაგისა და ლითონის მოპოვება-დამუშავების მდიდარი ტრადიციების სახით აქ განვითარებული რკინის მეტალურგია იყო, რომლის არქეოლოგიური დადასტურებაა ზარგაშის მაღარო, ჭუბერის, ქვედა იფარის, დიზის მეტალურგიული მოედნები, ქვ. მარღის ქურა[26] სპილენძისა და პოლიმეტალების ამოსაღები მაღაროები (შტოლნები).[27]

რკინის იარაღების ადგილობრივ დამზადებას მოწმობს, აგრეთვე, ლაგურკასა (წმ. კვირიკესა და ივლიტას სახელობის) და გულის მთავარანგელოზის ეკლესიებში დაცული ისრისპირის წუნი და მესტიის მუზეუმში დაცული, ბოლომდე დაუმუშავებელი რკინის შუბისპირი. სვანეთში აღმოჩენილი რკინის ისრისა და შუბისპირების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის პარალელები არ მოიძებნება. ამ რეგიონისათვის დამახასიათებელია იარაღის წარმოების საკუთარი წესები. ამიტომაც იარაღების ერთი ნაწილი საბრძოლო იარაღის ლოკალურ ვარიანტად გვესახება.

რომაელების კავშირი სვანეთის მოსახლეობასთან სავაჭრო-ეკონომიკური ხასიათისაც იყო. კერძოდ, მათ ინტერესებში შედიოდა სასარგებლო წიაღისეულის (ოქრო, ვერცხლი, მარმარილო, ხე-ტყე, სელი, კანაფი, თაფლი, ტყავი, და სხვა) ათვისება. ბოლოდროინდელი გამოკვლევებით დოკუმენტურად მტკიცდება ადგილობრივი (ენგურისა და ცხენისწყლის მიდამოებში) ოქროს სარეწების არსებობა. დადგენილია, რომ ანტიკურ ხანაში სვანეთში ადგილობრივი თვითნაბადი ოქროდან იჭრებოდა ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს ოქროს სტატერების მინაბაძები. დადგენილია მათი შემთხვევითი აღმოჩენების ტომოგრაფია – ოქროს მონეტების აღმოჩენების ადგილები ზუს-

[25] მ. ჩართოლანი. ძველი სვანეთი. თბ. 1996, გვ. 32.
[26] ზ. კვიციანი, თ. თოდუა, მ. ცინდელიანი, რ. ხვისტანი. ჭუბერის ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების რკინის სადნობი ქურა. „საისტორიო ვერტიკალები“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ. 2012, გვ. 78.
[27] მ. ჩართოლანი. ძველი სვანეთი. თბ. 1996, გვ. 34.

ტად ემთხვევა გზებსა და გადასასვლელებს. ანტიკურ ხანაში აქ არსებული ფულადი მიმოქცევა (ელინისტური ხანის ინტერლოკალური ოქროს მონეტები, მათი ადგილობრივი მინაბაძები ძვ.წ. II და ახ.წ. II საუკუნეები და რომაული საფასეები) ადასტურებს სვანეთის მჭიდრო კავშირს დანარჩენ სამყაროსთან.[28]

სავარაუდოდ, სწორედ სვანეთის ოქრო, მის წარმოებაზე კონტროლის დაწესების ცდა (ასევე სვანეთზე გამავალი სავაჭრო-საქარავნო გზებიც) იყო ძირითადი მიზეზი შემდგომ პერიოდში აღმოსავლეთ რომსა და ირანს შორის წარმოქმნილი მწვავე დიპლომატიური დაპირისპირებისა.[29]

საბადოებში მოპოვებული ოქროს გარდა, ამ რეგიონს ჰქონდა და ამჟამადაც აქვს სხვა სიმდიდრეც, რომლის ფასი ძვირფასი ლითონისას არ ჩამოუვარდებოდა. ეს არის მარმარილო. სვანეთში მოთეთრო-რუხი ფერის მარმარილოს დიდი რეზერვი იყო. რა თქმა უნდა, იგი ვერ შეედრებოდა ეგეოსის აუზის კუნძულების თეთრ მარმარილოს, თუმცა უმაღლესი ხარისხისაა. რომაულ ხანაში ენგურის ხეობაში რომაელების მიერ აშენდა გრანიტისა და მარმარილოს ქვასატეხები. აქედან მარმარილო იგზავნებობდა ქალაქების – ფასისისა და სებასტოპოლისის – მშენებლობაზე.[30]

რომაული სამყაროს სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის ორგანიზებულ ჩამოყალიბებასა და გარნიზონთა რიცხობრივ ზრდასთან ერთად კოლხეთში (მათ შორის მთიანეთშიც) მასობრივად გავრცელდა რომაული იმპორტი (კერამიკა, მინა, ლითონის ნაწარმი და სხვ.), რომელთა შორის ტრადიციულად მცირე აზიის ცენტრების ნაწარმი დომინირებდა. სვანების ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მეტ-ნაკლები ინტენსივობით ვრცელდებოდა რომაული კულტურის ცალკეული ელემენტები. ეს მკაფიოდ აისახა სამშენებლო ხელოვნებაში, დაკრძალვის წესსა და რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში, რომაული გავლენა შეიმჩნევა აგრეთვე კერამიკულ წარმოებაში, საბრძოლო-სამეურნეო იარაღის (სვანური არაბალეტი ე.წ. „ცხემად“) ზოგიერთი სახეობასა და საიუველირო ხელოვნებაში.

ერთი სიტყვით, სვანეთის ჩართვამ რომაული სამყაროს სასაზღვრო-

[28] გ. ლორთქიფანიძე, ზ. კვიციანი, გ. გერაძე. სვანეთი – ანტიკური ხანის საქართველოს ზარაფხანა, გვ. 28.
[29] გეორგიკა III. თბ. 1936, გვ. 10-206.
[30] ზ. კვიციანი. მენანდრე პროტექტორის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის (არქეოლოგიური და გეოლოგიური მონაცემები). საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომების კრებული: საისტორიო ვერტიკალები. თბ. 2009, გვ. 43.

თავდაცვით სისტემაში გარკვეულად შეუწყო ხელი ამ მხარეში მოწინავე, მსოფლიო მნიშვნელობის რომაული კულტურის ცალკეული ელემენტების დანერგვა-გავრცელებას. ზღვისპირა ციხე-ქალაქებსა და მათ გარემომცველ სამყაროში სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკურ-კულტურული მდგომარეობა სტაბილური გახდა, შეჩერებულ იქნა ჩრდილო კავკასიელთა შემოტევა.

რომაულმა ტრადიციებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა კოლხეთის და, მასთან ერთად, სვანეთის შემდგომი განვითარების ისტორიულ-კულტურული გზა, რომელიც ქრისტიანულ სამყაროსკენ იყო ორიენტირებული.

აღმოჩენილი არტეფაქტები კიდევ უფრო ამაგრებს ჩვენ მიერ ადრე გამოთქმულ ვარაუდს სვანეთის ტერიტორიაზე, კავკასიონის უღელტეხილებთან რომაელთა მიერ დაქირავებული ადგილობრივი დამხმარე რაზმების არსებობის შესახებ.

სურ. 1

Zviad Kvitsiani

SVANETI IN ROMAN FRONTIER FORTRESS SYSTEM

Summary

Romano-Georgian relations date back to the 1st century B.C. and are divided into several phases. Some scholars think that Roman garrisons first appeared in Colchis during Augustus' reign (63 BC. – 14 AD.), others – in the 60s of the 1st century, the third group – by the reign of Vespasian (69-79 AD.). Most of scholars think that Roman garrisons were placed in the remote points to oversee the Darial and Daruband passes. Probably barbarian raids from the North of the Caucasian mountains represented very acute problem in the 1st century AD. The placement of Roman garrisons served two aims: to defend Rome's Eastern provinces; to gain control over the Caucasus. The barbarians from the North could always disturb political equilibrium in the Roman East. Considering this it was hardly surprising that the Romans tried to establish control over the Caucasus range. Without it Rome would not be able to stop barbarian raids and to secure trade over the Black Sea. In my opinion the Romans, apart from the Darial and Daruband, controlled the passes with the help of the locals, Svanetians.

The proposed theory is borne out by the artifacts unearthed during the TSU archaeological expedition of Svaneti (guided by Z. Kvitsiani) in Shkhibari, village Zeda Marghi, Chuberi district. In depth of 50 cm. in the ditch around an observing post a "T"-like fibula was found. This is the first finding of such a fibula. By controlling the passes with the Svanetians' help, the Romans were able to control barbarian movements from beyond the mountain range. The Roman presence also enabled the establishment and expansion of Roman culture. Roman traditions played huge role in Colchis' and, in particular, Svaneti's future historical-cultural development, which was oriented towards the Christian world.

The newly-found artifacts further strengthen the above-mentioned theory that for the control of the mountain passes the Romans were helped with the local auxiliary force. Svaneti in Roman times served as one of the strategic and military regions.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VIII
თბილისი. 2013-2014

ნესტან სულავა

ხატმებრძოლთა წინააღმდეგ პოლემიკის ასახვა ქართულ ჰიმნოგრაფიაში

ქართულ საღვთისმეტყველო მწერლობაში ხატთაყვანისცემის წინააღმდეგ ბრძოლის თემა გავრცელებული არ ყოფილა, რადგან იგი საქართველოში არასოდეს ყოფილა, შესაბამისად, თემა ჩვენში აქტუალური არც იყო. მაგრამ ხატმებრძოლობის წინააღმდეგ პოლემიკა, გარკვეული მინიშნებები მაინც შეიმჩნევა, რადგან საქართველო, ყველა სხვა ქრისტიანული მართლმადიდებლური ქვეყნის მსგავსად, სხვადასხვა ერესს ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა, უარყოფდა.

ხატთაყვანისცემის თემა ხელთუქმნელი ხატის შესახებ არსებული ცნობების საღვთისმეტყველო ლიტერატურაში გავრცელებასა და ასახვას უკავშირდება, რომლის კულტი ქრისტიანულ სამყაროში განსაკუთრებით ხატმებრძოლობის შემდგომ პერიოდში გავრცელდა, რაც კანონზომიერი, ბუნებრივი მოვლენა იყო, მიუხედავად იმისა, რომ ხელთუქმნელი ხატი მაცხოვრის სიცოცხლის, ამქვეყნიური ცხოვრების ბოლო დღეებიდან არსებობდა. ხელთუქმნელი ხატი ყველაზე მტკიცე საბუთი გახლდათ ხატთაყვანისმცემლებისა ხატმებრძოლთა წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ ხელთუქმნელი ხატის შესახებ არსებული ცნობების შემცველი წყაროების მიჩქმალვას. კონსტანტინე პორფიროგენეტი გვაუწყებს, რომ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, რომელიც მანდილზე იყო აღბეჭდილი, ედესიდან კონსტანტინოპოლს გადაუბრძანებიათ 944 წელს, ხოლო 945 წელს მან ხატს ქადაგება უძღვნა, რის შემდეგაც შეიქმნა ამ ხატისადმი მიძღვნილი თხზულებები და დაწესდა ლიტურგიული დღესასწაულიც 16 (29) აგვისტოს. ეს დღესასწაული ქართულ საეკლესიო კალენდარშიც აღინიშნება ანჩისხატობისა და მამა ანტონობის სახელით და ემთხვევა ედესიდან კონსტანტინოპოლში უფლის ხელთუქმნელი ხატის წაბრძანებას. ნესტან ჩხიკვაძის დაკვირვებით, წმინდა მანდილის, ანუ საუფლო ხატის დღესასწაული ლიტურგიკულ პრაქტიკაში წმ. გიორგი მთაწმიდელმა

დაამკვიდრა.[1]

წმ. იოანე დამასკელის „გარდამოცემაში“ ერთი საგანგებო თავი ეძღვნება ხატთა შესახებ მოძღვრებას, რომელშიც წმ. ბასილი დიდის დებულება – „პატივი ხატისა პირმშოჲსა მის სახისად აღიწევის“ – ხატთაყვანისცემის საფუძვლადაა მიჩნეული. წმ. ბასილი დიდის ეს თვალსაზრისი, მეტიც, ხელთუქმნელი ხატი ქრისტეს სახების ტოლფარდია და ურჯულოებს უნდა შეაგნებინონ თავიანთი აზრის სიმცდარე, რაც იოანე ანჩელის საგალობელში არა მხოლოდ გაზიარებულია, არამედ საგანგებოდაა წამოწეული, რადგან ხატის პატივისცემა ხატზე გამოსახულმა, მასზე აღბეჭდილმა ხატებამ განაპირობა.[2] ხატთაყვანისცემა არა ნივთისაკენ, არამედ ხატზე გამოსახულისაკენ მიმართულ პატივს გულისხმობს.

ხატთაყვანისცემის თემა, ხატმებრძოლობის წინააღმდეგ პოლემიკა ასახულია XII-XIII საუკუნეების ქართულ ჰიმნოგრაფიაში, კერძოდ, იოანე ანჩელის, არსენ ბულმაისიმისძისა და საბა სვინგელოზის საგალობლებში.

ვიდრე უშუალოდ ხატთაყვანისცემისა და ხატმებრძოლთა წინააღმდეგ პოლემიკის თემას შევეხებოდეთ, საჭიროა ითქვას, რომ საქართველოში რომელიმე მწვალებლობა არსებულიყო, 1057 წელს ანტიოქიის პატრიარქთან საქართველოს ეკლესიის სტატუსისა და საღვთისმეტყველო საკითხებზე პაექრობისას წმ. გიორგი მთაწმიდელი ასე თამამად ვერ განაცხადებდა თავის მკვეთრად გამოხატულ თვალსაზრისს: „და ვინაჲთგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არღარა უარგვიყოფიეს და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩუენი; და ყოველთა უვარის-მყოფელთა და მწვალებელთა შევაჩუენებთ და დავსწყევთ. ამას საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისასა და მცნებათა და ქადაგებათა ზედა წმიდათა მათ მოციქულთასა მტკიცე ვართ“.[3] ნათქვამი ნათლად მოწმობს საქართველოში ერესთა არარსებობას. სწორედ ამიტომ, ქრისტიანობის დამკვიდრების ადრეული პერიოდიდანვე ქართულად ითარგმნა მრავალი ანტიმწვალებლური საღვთისმეტყველო შრომა, რომლებმაც თავიანთი ისტორიული მისია შეასრულეს.

---

[1] ნ. ჩხიკვაძე. ავგაროზის ეპისტოლის შესახებ. ჟურნ. „გზა სამეუფო“, №1, 1996, გვ. 43.

[2] ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია. თბ. 2003, გვ. 117.

[3] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. II. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1967, გვ. 122.

საგალობლებში ხატმებრძოლთა წინააღმდეგ ბრძოლის ასახვა გამოწვეულია იმით, რომ სწორედ ამ წლებში გააქტიურდა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის თემა, ერთი მხრივ, XII საუკუნის მიწურულს იოანე ანჩელის შემთხვევაში მესიანური იდეის გააქტიურებისა და ანჩის მაცხოვრის ხატის მოჭედვის საფუძველზე ბექა ოპიზრის მიერ, მეორე მხრივ, XIII საუკუნის 30-იან წლებში, მესიანური იდეის გააქტიურებასთან ერთად, ლიტურგიკულ პრაქტიკაში მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის დღესასწაულის დაწესების აუცილებლობით.

საგალობლებში ხელთუქმნელი ხატის საქართველოში ჩამობრძანების ორი ვერსია შეინიშნება: 1. იოანე ანჩელის მიხედვით, ხატი წმ. ანდრია პირველწოდებულმა ჩამოაბრძანა და 2. არსენ ბულმაისიმისძისა და საბა სვინგელოზის მიხედვით, ხატი წმ. ანტონ მარტმყოფელმა მოაბრძანა საქართველოში. ეს მეორე ვერსია განსაკუთრებით საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ წმ. ანტონმა ხატი წამობრძანა იეროპოლიდან, რომელიც იმ პერიოდში, VI საუკუნეში, ნესტორიანელებს ეპყრათ, ანუ წმ. ანტონმა იგი ერეტიკოსებს გამოსტაცა და საქართველოში ჩამოაბრძანა. ეს ფაქტი ყურადღებას იქცევს ასურელ მამათა აღმსარებლობის საკითხის გასარკვევადაც, რადგან ნიკო მარის მოსაზრებით, რომელიც, მართალია, სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული არ არის, მაგრამ მაინც საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ასურელი მამები ნესტორიანელები იყვნენ, ხოლო საგალობლის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ წმ. ანტონ მარტმყოფელს „ეძჳნებოდა“ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ნესტორიანთა ხელში არსებობა და ამიტომ განიზრახა მისი წაბრძანება იეროპოლიდან და მისი გადარჩენა. თუ საქართველოში ნესტორიანობა ძლიერი მიმდინარეობა იყო, ცხადია, წმ. ანტონი ხატს საქართველოში ვერ წამოაბრძანებდა. ეს მეტად მნიშვნელოვანი საბუთია იმის სამტკიცებლად, რომ წმ. ანტონი და მასთან ერთად, სხვა ასურელი მამები არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდნენ ნესტორიანელები. არც შალვა ნუცუბიძის თვალსაზრისი ჩანს მართებული, როდესაც ასურელ მამებს უკავშირებს ნეოპლატონიზმს, კერძოდ, პეტრე იბერიელის მოღვაწეობას. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებას, რომელიც გასაზიარებელია, მისაღებად მიმაჩნია, რადგან, მისი თვალსაზრისით, ისინი დიოფიზიტები იყვნენ და სწორედ დიოფიზიტობის გასაძლიერებლად იყვნენ მოსულნი საქართველოში, სადაც, ქალკედონის მეოთხე მსოფლიო საეკლესიო გადაწყვეტილების მიუხედავად, ჯერ კიდევ აღმსარებლობის საკითხი მოუწესრიგებელ-დაულაგებელი იყო.

XII საუკუნის ბოლო მეოთხედის ქართველი ჰიმნოგრაფის იოანე ანჩელის „გალობანში ანჩისხატისანი“ ჩანს ხატთაყვანისცემის პატივისცემის აუცილებლობა: „ესმოდენ ურწმუნოთა, რომელნი არა თაყუანისცემენ ხატსა ქრისტეს ღმრთისასა და ყოველთა წმიდათა მისთასა, იტყოდეს რაჲ ბასილი, ვითარმედ უკუე პატივი ხატისა პირმშოჲსა მის სახისად აღიწევის, რომელსა ჩუენ მორწმუნენი თაყუანის-ვსცემთ“.[4] ჰიმნოგრაფმა ამ სიტყვებით დაიმოწმა ბასილი დიდის თვალსაზრისი, რომლის კვალობაზე მაცხოვრის ხატის პატივი მის სახეს უახლოვდება. ხატი ღვთისაკენ, უზენაესისაკენ ადამიანის მიმყვანებელი სულიერი სარკმელია, საზოგადოდ, ზეცის სარკმელია. ხატის კანონიკურობას საფუძველი ახალი აღთქმიდან ედება და მხოლოდ ერთ მუხლს დავიმოწმებ კორინთელთა მიმართ მეორე ეპისტოლიდან: „ხოლო ჩუენ ყოველნი განცხადებულითა პირითა დიდებასა უფლისასა განცვიცდით, მასვე ხატსა მივიცვალებით დიდებითი დიდებად, ვითარცა-იგი უფლისაგან სულად“ (II კორ. 3, 18), რასაც იმეორებს III-IV საუკუნეების საეკლესიო მოღვაწე ევსევი კესარიელი „საეკლესიო ისტორიაში“. ჰიმნოგრაფი იოანე ანჩელი ნათლად მიუთითებს, რომ ურწმუნოები თაყვანს არ სცემენ ხელთუქმნელ ხატს, ხოლო მორწმუნენი ბასილის სიტყვებს ეყრდნობიან და ხატს თვით მაცხოვრის სახის, პირმშო სახის გამოხატულებად აღიქვამენ. რაც მთავარია, ჩანს, რომ ჰიმნოგრაფმა ხატმებრძოლთა წინააღმდეგ პოლემიკა გამართა და ხატთაყვანისცემა მიიჩნია ქრისტიანული მოძღვრების ერთ-ერთ საფუძვლად.

ისეთი ღვთისმმოსავი, განათლებული და დახვეწილი ლიტერატურული გემოვნების მქონე ჰიმნოგრაფი, როგორიცაა საქართველოს მწყემსმთავარი, კათოლიკოსი XIII საუკუნის 30-იანი წლებში, არსენ ბულმაისისმისძე, ამხელს და კიცხავს მწვალებლებს. არსენის საგალობლებში ხატმბრძოლობის წინააღმდეგ ბრძოლის ანარეკლი შეინიშნება, რადგან იგი მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს ეძღვნება: „არამართლმადიდებლობით მიმხედველთა უხრწნელსა ხატსა შენსა ეწიენ ბუგრი განმხრწნელი, ნაწლევთა ლმობაჲ, გარდაედევინ თუალთა ბნელი უნათლოჲ, ნათელო და სიტკბოებაო და მჴსნელო ჩემო ქრისტე ღმერთო“.[5] ჰიმნოგრაფი მიუთითებს ერეტიკოსთა გმობისა და გაკიცხვის აუცილებლობაზე: „ყოველთა მგმობართა მისთა შევაჩუენებთ და განვაქიქებთ“.[6] საგალობელში მოტივირებულია ხორცშესხმული მაცხოვრის ხატის თაყვანისცე-

[4] ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 300.
[5] ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 320.
[6] ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 312.

მის აუცილებლობა: „არაჲ თუ სხუასა პირსა ქრისტესა ღმრთად ვიცნობთ, წარვედით ჩუენგან, ღმრთისმბრძოლნო, არამედ მასვე ერთსა, რომლითა თბე ჩუენი ჩუენგან მოიღო, საკჳთრად ღმრთად ჴორცშესხმულად აღვიარებთ და წმიდასა ხატსა მისსა მის თანა თაყუანისვსცემთ“.[7] „თბე ჩუენი“, ანუ ადამიანური სამოსელი – ხორციელი ბუნება, კაცობრიობის ცოდვას მიანიშნებს, რაც მთელ ტროპარს უდიდეს საღვთისმეტყველო დატვირთვას ანიჭებს, რადგან მაცხოვარმა მთელი კაცობრიობის ცოდვა იტვირთა ადამიანის სახის მიღებით და განწმინდა იგი ცოდვისაგან.

ჰიმნოგრაფი გმობს ხატთაყვანისცემის მოწინააღმდეგეებს, ზოგადად ხატმებრძოლებს და მათ იმ ჰურიებს ადარებს, რომლებმაც ღმერთი ვერ იცნეს; ჰიმნოგრაფი ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სახისმეტყველებით გადმოგვცემს თავის სათქმელს: „ღმრთეებაჲ დაუსახველ არს, არამედ ჴორცთა არსებისა მას ხატსა გამოვხატავთ, ურწმუნონო, დამამჴობელნი თქუენნი ვითარ ბოროტად ღმრთისმბრძოლთანი, რომელთა ეგე აღიფრტჳნვეთ საზღუარი მამათაჲ ჰურიაებრ“.[8] იგი მიმართავს მართლმორწმუნე მრევლს, რომ ჰურიათა მსგავსად კი არ დაგმონ ღვთის სიმდაბლე და ხატება, არამედ ღმრთივგონიერ ყრმებთან ერთად ოსანნა იღაღადონ. ყრმების ხსენებით მინიშნებულია სამი ყრმის გახურებულ ბრძმედში ჩაყრა ნაბუქოდონოსორის მიერ, რისთვისაც ჰიმნოგრაფმა სახეთა პარალელიზმის პრინციპი გამოიყენა და მთავარი სათქმელი მიაწოდა მსმენელსა თუ მკითხველს: „ნუ ჰურიაებრ ჰგმობ სიმდაბლესა, არამედ ყრმათა თანა ღმრთივგონიერთა ოსანნას ღაღადებდი, სამოსელთა წილ მიმფენი მართლაღსარებასა“.[9] სამოსლის მიფენით ბზობის დღესასწაულია სიმბოლურად წარმოსახული.

არსენ ბულმაისიმისძე ასახელებს ერეტიკული შეხედულებების მიმდევარ კონკრეტულ პიროვნებებსაც და ყველა მორწმუნისაგან მოითხოვს მათს გმობას. მან შეაჩვენა მონოფიზიტური მოძრაობისა და მიმართულების სულისჩამდგმელები – ევტიქი და დიოსკორე, წყევლა-კრულვა შეუთვალა მათ: „მეხდატეხილ იქმენინ დიოსკორე ევტუქის თანა ბილწნი, რომელთა აზმნეს ღმრთად აღსაარებაჲ ხატთაჲ მართლმადიდებელთა მიერ, რომელი ესე ნუ იყოფინ, ჰ ქრისტე, გარნა თანა ჩუენ განგებულებისა შენისა ხატიცა შენი გურწამს“.[10]

[7] ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 314.
[8] ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 320.
[9] ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 313.
[10] ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 318.

ევტიქი იყო კონსტანტინოპოლის ერთ-ერთი მონასტრის არქიმანდრიტი, რომელიც მონაწილეობდა მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებაში; იგი აქ წმ. კირილე ალექსანდრიელის მომხრე და ნესტორის მოწინააღმდეგე ყოფილა; მაგრამ მისი თანამედროვენი და საეკლესიო კრებების ოქმები მას მოიხსენიებენ როგორც შერყეული მართლმადიდებლური რწმენის მქონეს, მესამე მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ უკვე გამოკვეთილ მონოფიზიტს. მას, საკმაოდ ხანდაზმულს, 70 წლის ასაკში, 448 წლის ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე კონსტანინოპოლში ბრალი დასდეს ერეტიკოსობაში. იგი საგანგებოდ მოიხმეს ამ კრებაზე, რომელზეც დაგვიანებით გამოცხადდა. მართალია, თავდაპირველად წმ. კირილე ალექსანდრიელის შეხედულებებს იზიარებდა, მაგრამ ცალმხრივად წარმოაჩენდა საქმის არსს, ამბობდა, თითქოს კირილეს თხზულებებში ქრისტეს ორი ბუნების შესახებ არაფერი იყო ნათქვამი. მას ალექსანდრიელი წინამძღვრის სიტყვები კონტექსტიდან ამოგლეჯილად მოჰქონდა, რის გამოც მოძღვრება ერეტიკულ ხასიათს იძენდა. კრებამ იგი ერესში ამხილა, განსაჯა და განკვეთა. ალექსანდრიული იდეების მქონე და მისმა მიმდევარმა ეკლესიებმა – ეგვიპტის, იერუსალიმის, რომის საპატრიარქოებმა 448 წლის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებები არ გაიზიარეს და არ მიიღეს. 449 წელს ეფესოში მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, რომელიც მსოფლიო ეკლესიის ისტორიაში „ყაჩაღთა კრების“ სახელითაა ცნობილი. V საუკუნის 30-იან წლებში მიღწეულ ერთიანობას, უნიას, ანტიოქიურ-კონსტანტინოპოლურ და ალექსანდრიულ მიმართულებებს, საფრთხე დაემუქრა. უნიას ძლიერი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, მას დაუპირისპირდა ალექსანდრიის მაშინდელი პატრიარქი დიოსკორე, რომელიც ანტიმართლმადიდებლურ მიმართულებას მეთაურობდა. იგი თავისი წინამორბედი პატრიარქის წმ. კირილეს მოწინააღმდეგე აღმოჩნდა და უნიის მიმართ მტრული დამოკიდებულება გამოამჟღავნა. დიოსკორე გამოკვეთილი მონოფიზიტი იყო და იზიარებდა ევტიქის შეხედულებებს. დოკუმენტების მიხედვით, ფაქტობრივად, მონოფიზიტურ მოძრაობას დიოსკორე ხელმძღვანელობდა, მათ შორის, ევტიქის ქმედებებსაც იგი წარმართავდა. ეკლესიის ისტორიკოსები ამ კრებას მესამე მსოფლიო საეკლესიო კრების პაროდიას უწოდებდნენ. ალექსანდრიული სკოლის წარმომადგენლები, წმ. კირილეს შემდგომი მოღვაწეები, აღიარებდნენ მხოლოდ ნიკეის სიმბოლოს, ხოლო მომდევნო ორი მსოფლიო საეკლესიო კრების სიმბოლოები მიუღებლად მიაჩნდათ. „ყაჩაღთა კრებამ“ შეაჩვენა კონსტანტინოპოლელი პატრიარქი ფლავიანე, ევსევი, ანტიოქიის პატრიარქი დომნი, ტირო-

სის ეპისკოპოსი ირინეოსი, წმ. თეოდორიტე კვირელი, ივა ედესელი, ყველა ის პირი, ვინც უნიასა და ანტიოქიურ საღვთისმეტყველო მიმართულებას უკავშირდებოდა ან თანაუგრძნობდა. ამ კრებაზე განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა დიოსკორე.

სულ მალე, ამ კრებიდან ორი წლის შემდეგ, 451 წელს იმპერატორ მარკიანეს თანხმობითა და უნიის მომხრე მღვდელმთავართა ინიციატივით ქალკედონში მოწვეულ იქნა მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელზეც ორი მიმართულება იბრძოდა, ერთი მხრივ, ანატოლი კონსტანტინოპოლელის, მეორე მხრივ, დიოსკორეს მეთაურობით. კრებამ დაგმო „ყაჩაღთა კრების“ გადაწყვეტილებები. ერეტიკოსებმა მარცხი იწვნიეს, თუმცა ისინი მაინც აქტიურ წინააღმდეგობას უწევდნენ დიოფიზიტებს. საბოლოოდ კრებამ აღიარა მაცხოვრის ორბუნებოვნება, ანუ კანონიკურად ცნო დიოფიზიტობა და, შესაბამისად, უარყო მონოფიზიტობა, რომელიც დიოფიზიტურ თვალსაზრისს – მაცხოვრის ორბუნებოვნებას – ეჭვქვეშ აყენებდა. ამ კრებამ აღადგინა იმ პირთა პატივი, რომლებსაც დიოსკორემ აჰყარა.[11] შესაბამისად, დიოფიზიტურმა ცნობიერებამ ხატის პატივისცემის ქრისტიანული ტრადიცია გააგრძელა, ხოლო მონოფიზიტურმა ცნობიერებამ ხატი უარყო, რადგან იგი მაცხოვრის ერთბუნებოვნებას, მხოლოდ მის ღვთაებრივ საწყისს აღიარებდა.

არსენ ბულმაისიმისძე ახსენებს და გმობს ყველაზე გამოკვეთილ ხატმებრძოლს, ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე V-ს, ლეონ ისავრიელის ძეს, რომელიც კოპრონიმის სახელით მოიხსენიება საისტორიო წყაროებში (კოპრონიმი სკორის მოსახელეს ნიშნავს), ხოლო არსენმა მის ეპითეტად „სახელხენეში“ გამოიყენა: „მეხდატეხით დაიწ̓ჯნ კონსტანტინე სახელხენეში და ბილწნი ბანაკითურთ, რომელმანცა აღაღო ჯოჯოხეთი პირი თ̓სი განგმობად, უხრწნელსა ხატსა ზედა ქრისტესსა და ღმრთისმშობელისა წმიდათასა თანა, რამეთუ მოძღურებაჲ ქრისტესი დათრგუნა“.[12] კონსტანტინე V, რომელიც მამის იდეოლოგიურ-პოლიტიკურ გზასა და გეზს მიჰყვებოდა, ხატთაყვანისმცემელთა მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. მიუხედავად ამი-

[11] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1967; Лебедев А. П. Вселенские соборы, т. Ш, 1896. т. 4, 1904; Поснов М.Э. История христианской церкви, Киев, 1991; Тальберг Н. История христианской церкви, Москва-Нью-Йорк, 1991. გვ. 156-160, 307.

[12] ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 322.

სა, ვ. ბოლოტოვის ცნობით, მას თითქოს ხატმებრძოლთა წრეებში „მეცამეტე მოციქულსაც კი უწოდებდნენ“.[13] როგორც საისტორიო წყაროები მიუთითებენ, ხატმებრძოლობის ისტორია 730 წლიდან იწყება, როდესაც ბიზანტიის იმპერატორმა ლეონ III ისავრიელმა გამოსცა ედიქტი, რომლის თანახმად ბიზანტიაში ხატების თაყვანისცემა აიკრძალა. 60 წლის განმავლობაში გრძელდებოდა მართლმორწმუნეების სასტიკი დევნა, კერძოდ, ხატთაყვანისმცემელ ეპისკოპოსებს დევნიდნენ, წმინდა ხატებს ანადგურებდნენ, ყოველივე სიწმინდეს ხელყოფდნენ; ხატმებრძოლთ არაფერი წმინდა შეუბღალავი არ დაუტოვებიათ, რასაც კი ფიზიკური სახე ჰქონდა.

კონსტანტინე სახელხენეშმა 754 წელს მოიწვია საეკლესიო კრება, რომელიც ვლაქერნის ღვთისმშობლის ტაძარში შედგა და რომელსაც 338 სასულიერო პირი ესწრებოდა. კრებამ დაგმო ხატთაყვანისმცემლობა. მან დახურა ეკლესია-მონასტრები, მიითვისა მათი ქონება, ებრძოდა ბერ-მონაზვნებს, შემწყნარებლობას იჩენდა მწვალებელთა მიმართ. თუმცა, ისინი ჯვრებისა და წმინდა ნაწილების ხელყოფისაგან ერთხანს თავს იკავებდნენ. ბიზანტიის იმპერიაში ხატმებრძოლობის ხანგრძლივი პერიოდი გამოიწვია ძირითადად ამ იმპერიის პოლიტიკურმა კურსმა, რომელიც სასულიერო წოდების დამორჩილებასა და საეკლესიო საქმეებში აქტიურ ჩარევას ისახავდა მიზნად. ამასთანავე, ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ბიზანტია ანტიკური კულტურის მემკვიდრეა, ხოლო ანტიკური ხელოვნება განსხვავებულ ესთეტიკას მისდევდა, რომელსაც ბიზანტიის იმპერიაც ამკვიდრებდა. ხატთაყვანისცემა ხატმებრძოლებს კერპთაყვანისმცემლობად მიაჩნდათ და აცხადებდნენ, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანობის ძირითად დოგმატს – სწავლებას ღმერთკაცის შესახებ; მათი აზრით, ხატთაყვანისმცემლები ერესში ვარდებოდნენ და აღიარებდნენ ნესტორიანობასა და არიანობას, ანუ მონოფიზიტობას; ისინი იმოწმებდნენ და ამახინჯებდნენ წმ. ეპიფანე კვიპრელის, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის, წმ. ბასილი დიდის, წმ. იოანე ოქროპირის, წმ. ათანასე დიდის, ამფილოქე იკონიელის, წმ. თეოდოტე ანკვირელისა და ევსევი კესარიელის მოძღვრებებს. კონსტანტინემ 754 წლის კრებას VII მსოფლიო საეკლესიო კრება უწოდა, რომლის გადაწყვეტილებები შემდგომში საგანგებოდ განიხილა 787 წლის ნამდვილმა VII მსოფლიო საეკლესიო კრებამ, დაგმო ისინი და აღადგინა ხატთაყვანისმცემლობა, რაც კრების დადგენილებებში აისახა. ნიკეაში

[13] ვ. ბოლოტოვი. ეკლესიის ისტორია მსოფლიო კრებების პერიოდში. გიორგი გვასალიას თარგმანი. თბ. 2009, გვ. 665.

მოწვეულმა VII მსოფლიო საეკლესიო კრებამ ადრეული ხანის წმინდა მამებისა და წმ. იოანე დამასკელის შრომების საფუძველზე განსაზღვრა და დაადასტურა ხატთა შექმისა და მათი თაყვანისცემის დოგმატის ჭეშმარიტება. მართალია, კრებამ ხატმებრძოლობისათვის დაძებნილი სარწმუნოებრივი საფუძვლები და დებულებები უარყო, დაამხო, მაგრამ ხატების თაყვანისცემამ ბოლომდე მაინც კარგა ხანს ვერ მოიკიდა ფეხი და ჩამოყალიბდა სახეცვლილი ე. წ. „ზომიერი ხატმებრძოლობა“, რომელიც კვლავ უპირისპირდებოდა ხატთაყვანისცემას. „ზომიერი ხატმებრძოლობის“ წინააღმდეგ საბოლოო პასუხის გაცემა, მისი საბოლოო დამხობა ღმერთმა IX საუკუნის I ნახევრის ღვთისმეტყველს წმ. თეოდორე სტუდიელს დააკისრა. მან წმ. იოანე დამასკელის ხატთაყვანისცემის გამომხატველი ფუნდამენტური შრომების საფუძველზე ხატთაყვანისმცემლობის ჭეშმარიტება სიღრმისეული საღვთო სიბრძნით დაასაბუთა და ხატთაყვანისცემის უარმყოფელებს პასუხის გაცემის საშუალება არ მისცა, რასაც შედეგად მოჰყვა ხატთაყვანისცემის ჭეშმარიტებაში გაურკვეველ ადამიანთა მწვალებლობიდან მართლმადიდებლობაზე გადასვლა, ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მათი მოქცევა. წმ. თეოდორე სტუდიელი თავის ნაშრომში „მეორე შრომა ხატმებრძოლთა წინააღმდეგ“, რომელიც დაწერილია VII მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ დოგმატური განჩინების მიღების შემდეგ, დეტალურად განიხილა ხატთაყვანისცემცემლობის უარმყოფელ „ზომიერ ხატმებრძოლთა“ ერესის მიმდევრების საბუთები, მათ უწოდა ერეტიკოსები და დაამტკიცა მათი უსუსურობა. თუმცა რეალურ აღდგენამდე კიდევ დიდი დრო გავიდა, ვიდრე ბიზანტიის დედოფლის, ნეტარ თეოდორას მმართველობისას 843 წელს კონსტანტინოპოლის კრებაზე მართლმადიდებლობის საზეიმო დღესასწაული დაწესდა.

არსენ ბულმაისიმისძემ ამავე საგალობლის ერთ ტროპარში შეაჩვენა თეოდოსი და სისინი, როგორც ორთოდოქსული ქრისტიანული რელიგიის მოწინააღმდეგენი, რომელთა საქმიანობა და წვლილი ხატთაყვანისცემის წინააღმდეგ ბრძოლაში რომის პაპმა ადრიანემ და კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ტარასიმ დაგმეს: „შეჩუენებასა მისცნეს თეოდოსი და სისინი სხუათა თან ზრახვათა მათთა“.[14] არსენ ბულმაისიმისძემ საგალობლის სხვა ტროპარშიც შეაჩვენა ორთოდოქსული ქრისტიანული რელიგიის მოწინააღმდეგენი, ოღონდ ამჯერად სახელთა ხსენების გარეშე: „ჰ ქრისტე, შენდა ღმრთად ჭეშმარიტად, ხოლო ხატისა პირისა შენისასა მგმობარნი შეაჩუენენ ბილწნი და ეშ-

[14] ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 322.

მაკსა მისცენ და მოსრენ ბანაკითურთ და საუკუნოჲთა მით ცეცხლითა განაქარვე ყოვლად ულხინებელად".[15]

ვინ იყვნენ საგალობელში ნახსენები ხატმებრძოლები თეოდოსი და სისინი? „აპსიმარის უკანონო შვილად" წოდებული თეოდოსი და პამფილიის პერგამოსის მიტროპოლიტი სისინიოს პასტილა VIII საუკუნის შუა ხანებში მოღვაწეობდნენ და იყვნენ გამოკვეთილი ხატმებრძოლები, რომლებიც 754 წლის საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის ძალზე აქტიურნი იყვნენ, ამ კრებას თავმჯდომარეობდა თეოდოსი. ყოველივე ამას ამ კრების ოქმები, დადგენილებები და დოკუმენტები მოწმობენ. კერძოდ, 787 წლის კრების ოქმებიდან ცნობილია, რომ 13 ოქტომბერს მიიღეს მსოფლიო კრების (საბოლოო) ὅρος და „ანათემაზე გადასცეს 754 წლის საეკლესიო კრება; ასევე, ანათემირებულ იქნენ თეოდოსი ეფესელი, სისინიოს პასტილა და ბასილი ტრიკაკავა; აგრეთვე, ანასტასი, კონსტანტინე და ნიკიტა (კონსტანტინოპოლელები), როგორც ახალი არიოზი, ნესტორი და დიოსკორე".[16] ფაქტობრივად, ანათემას გადასცეს ყველა ის ეპისკოპოსი, რომელიც წმინდა ხატების თაყვანისცემას უარყოფდა. რაც შეეხებოდა უკვე გარდაცვლილ ეპისკოპოსებს, რომლებიც ხატთაყვანისმცემლები იყვნენ, საუკუნო ხსენება განუწესეს ხატმებრძოლთა წინააღდეგ აქტიურ მებრძოლ ეპისკოპოსებს: წმ. გერმანე კონსტანტინოპოლელს, წმ. იოანე დამასკელს და წმ. გიორგი კვიპრელს. კრებაზე წაიკითხეს ტარასისა და კრების სახელით იმპერატორებისადმი გაგზავნილი ეპისტოლე და ცნობა, რომელიც კრების გადაწყვეტილებების სახით კონსტანტინოპოლის კლიროსისათვის უნდა ეუწყებინათ. მთავარი ის იყო, რომ ხატმებრძოლობა მხოლოდ ეკლესიური მოვლენა არ ყოფილა, მას უფრო მეტად პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. როგორც კი ამ ბრძოლას პოლიტიკური ფუნქცია გამოაკლდა და ეს მოხდა IX საუკუნის 30-40-იანი წლების მიჯნაზე, ხატმებრძოლობა საბოლოოდ დამარცხდა და ხატთაყვანისცემაც აღდგა.

არსენმა ახსენა მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრება და მისი ერთ-ერთი მთავარი აქტიური მონაწილე ფაქტობრივად, კრების მოწვევის ინიციატორი ირინე დედოფალთან ერთად, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ტარასი; ჰიმნოგრაფი ახსენებს აგრეთვე რომის პაპს ადრიანეს; სწორედ ამ ორი წმიდა მამის ძალისხმევითა და ირინე დედოფლის მხარდაჭერით აღდგა ხატთაყვანისცემა: „მკჳდროვნისა ყოველ მსოფლიომან კრებამან დიდგონებათა მამათა

[15] ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 325.
[16] ვ. ბოლოტოვი. ეკლესიის ისტორია მსოფლიო კრებების პერიოდში, გვ. 694.

დიდებულმან პაპმან ანდრიან და ტარასი ნეტართა დაამტკიცეს, ცეს წმიდათა ხატთა პატივი და შეჩუენებასა მისცნეს თეოდოსი და სისინი სხუათა თან ზრახვათა მათთა“.[17] ტარასი საერო პირი იყო, რომელსაც სახელმწიფო მდივნის თანამდებობა ეკავა ირინეს დედოფლობის დასაწყისში. იგი ყოფილა უგანათლებულესი პიროვნება, პატრიარქობას დასთანხმდა იმ პირობით, თუ ხატთაყვანისმცემლობა აღდგებოდა და საამისოდ მოაწვევინა კიდეც მსოფლიო საეკლესიო კრება. ტარასი პატრიარქად უკურთხებიათ 784 წლის ქრისტესშობის დღეს. 787 წელს ნიკეაში მიმდინარე მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებას თავმჯდომარეობდა და წარმართავდა პატრიარქი ტარასი, რომელსაც ეს თანამდებობა სჭერია 806 წლამდე. კრებას მხარს უჭერდა რომის პაპი ადრიანე პირველი (772-795),[18] რომელიც ტარასის პატრიარქად არჩევით მაინცდამაინც კმაყოფილი არ იყო, რადგან ტარასი საერო პირი იყო და ყოველგვარი იერარქიული საფეხურების გავლის გარეშე იქნა ხელდასხმული პატრიარქად ირინე დედოფლის მხარდაჭერით.[19] მართალია, კრებამ აღადგინა ხატთაყვანისცემა, მაგრამ, ზემოთაც აღვნიშნეთ, საბოლოო გამარჯვებამდე კიდევ ნახევარ საუკუნეზე მეტმა განვლო. ხატმებრძოლები რელიგიურ სიწმინდეებს, ხატებს, ფრესკებს, საზოგადოდ, რელიგიურ ხელოვნებას, უმაქნისსა და უწმინდურს უწოდებდნენ. ხატმებრძოლთა საპირისპიროდ, ხატთაყვანისმცემელთა შეხედულების თანახმად, ქრისტიანულ ხელოვნებას უდიდესი სულიერი მისია ეკისრებოდა, რადგან მას შეეძლო რელიგიასთან მჭიდრო კონტაქტი ჰქონოდა. ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ ხატთაყვანისმცემლობის საბოლოო აღდგენის შემდეგ (843 წ.) კვლავ აღორძინდა და განვითარდა მონუმენტური და დაზგური ფერწერა. აქტიურად შემოვიდა ხელთუქმნელი ხატის თემა, რომელიც ქრისტიანობის გავრცელების პირველსავე საუკუნეში არსებობდა.

არსენ ბულმაისიმისძე თავის საგალობლებში ერეტიკოსთა წინააღმდეგ ბრძოლას წარმართავს ჰიმნოგრაფიისათვის დამახასიათებელი მკაცრად რეგლამენტირებული სამეტყველო ლექსიკით. საგალობლის ლიტურგიული ფუნქცია მრევლთან ურთიერთობას ისახავს მიზნად, ხოლო ლიტურგიის უმთავრე-

[17] ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 322.

[18] А. П. Лебедев. Вселенские соборы. т. 3. 1896. т. 4. 1904; М. Э. Поснов. История христианской церкви. Киев. 1991; Н. Тальберг. История христианской церкви. Москва-Нью Йорк. 1991.

[19] А. П. Лебедев. Вселенские соборы. т. 3. т. 4; М. Э. Поснов. История христианской церкви; Н. Тальберг. История христианской церкви.

სი მიზანი ღმერთის დიდება, მისკენ მიმავალი გზების ძიებაა. საგალობელი ძლიერ ზეგავლენას ახდენს მსმენელისა თუ მკითხველის ფსიქოლოგიური სახის ჩამოყალიბებაზე, ამიტომ საგალობლით გამოთქმული ყოველი მოსაზრება გაწონასწორებული, გააზრებული ლექსიკით უნდა გადმოიცეს. ჰიმნოგრაფი მიუთითებს ერეტიკოსთა გმობისა და გაკიცხვის აუცილებლობაზე: „ყოველთა მგმობართა მისთა შევაჩუენებთ და განვაქიქებთ“.[20] საგალობელში მოტივირებულია ხორცშესხმული მაცხოვრის ხატის თაყვანისცემის აუცილებლობა: „არაჲ თუ სხუასა პირსა ქრისტესა ღმრთად ვიცნობთ, წარვედით ჩუენგან, ღმრთისმბრძოლნო, არამედ მასვე ერთსა, რომლითა თბე ჩუენი ჩუენგან მოიღო, საკჳთრად ღმრთად ჴორცშესხმულად აღვიარებთ და წმიდასა ხატსა მისსა მის თანა თაყუანისვსცემთ“.[21] „თბე ჩუენი“, ანუ ადამიანური სამოსელი – ხორციელი ბუნება, ღვთისაკენ კაცობრიობის სწრაფვას მიანიშნებს, რაც მთელ ტროპარს უდიდეს საღვთისმეტყველო დატვირთვას ანიჭებს, რადგან მაცხოვარმა მთელი კაცობრიობის ცოდვა იტვირთა ადამიანის სახის მიღებით და განწმინდა იგი ცოდვისაგან.

XIII საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფი, არსენ ბულმაისიმისძის თანამედროვე საბა სვინგელოზიც იმავე თვალსაზრისს გამოთქვამს წმ. ანტონ მარტმყოფელის მიერ ხელთუქმნელი ხატის საქართველოში ჩამობრძანებასთან დაკავშირებით და იგი ქართველი ერის რჩეულობის ერთ-ერთ გამოხატულებად მიაჩნია: „მეგობარ ქრისტესა, და არა მონა, ბრძანებითა საუფლოჲთა თქუენ მეგობარნი ჩემნი ხართ. იქმნა საკუთარ ანტონი განთქუმული, სერაბინ ექმნა რაჲ ხატსა ქრისტესსა აღმომყვანებელი ედესით... ესე პირმშოჲ ხატი აღმობრწყინდა და გამოაჩინა პირი სამოციქულოსა ნაწილსა უბიწოსა დედისა ქალწულისასა და გუაცხოვნა წყალობითა თჳსითა...“.[22] ასევე მნიშვნელოვანია საბას საგალობელში არსენისეული თვალსაზრისის დამოწმება, რომლის მიხედვით, საქართველომ „კეცზე“ დატვიფრული ხატება დაიმკვიდრა: „ნეფსით დამდაბლდი ჴორცთა ჩემთა მიმხუმელი, ნეფსით ტილოჲ ხატითა ელვარეჰყავ, ნეფსით საუფლოჲ პირი კეცთა ზედა ასტჳფრე, შეუძველო ბეჭედო და ხატო მამისა არსებისა...“.[23]

საქმე ისაა, რომ ხატმბრძოლობის ეს სიმძიმე ქართულ ეკლესიას არ გადაუტანია, იგი საქართველოში არ ყოფილა. ამ ბრძოლის არსებობა არაა

[20] ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 312.
[21] ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 314.
[22] ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 339.
[23] ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 340.

დამოწმებული არც ერთ საღვთისმეტყველო ძეგლსა თუ დოგმატურ-პოლემიკურ თხზულებაში. თუ რატომ არ წარმოიშვა ხატმებრძოლობა საქართველოში, ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ VIII-IX სს. საქართველო ჯერ კიდევ არ იყო ერთიანი ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო და ქართველ მთავრებსა თუ მეფეებს არ შესწევდათ სასულიერო პირებთან დაპირისპირების ძალა. ჩანს, არც იყო ამის აუცილებლობა, რადგან სასულიერო წოდება, მიუხედავად მისი ავტორიტეტის აშკარა აღმასვლისა, მაინც არ იყო ისეთი ძლიერი, როგორც ბიზანტიის იმპერიაში. არც ისაა შემთხვევითი, რომ VIII საუკუნის მეორე ნახევარსა და IX საუკუნის დასაწყისში საქართველო პოლიტიკური თვალსაზრისით ორ სამყაროდაა გაყოფილი: აღმოსავლეთ საქართველოში არაბები ბატონობენ, დასავლეთში ბიზანტიის იმპერიას უპყრია პოლიტიკური უპირატესობა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცალკე განსახილველი საკითხია და იგი ამჯერად ჩვენი სტატიის თემას სცილდება.

ხატმებრძოლთა წინააღმდეგ ბრძოლის ანარეკლი მხოლოდ იმ საგალობლებში დაისვა, რომელთა თემა ხატებია, რომლებიც ხატებისადმია მიძღვნილი. კერძოდ, იოანე ანჩელმა ანჩისხატისადმი მიძღვნილ, ხოლო არსენ ბულმაისიმისძემ და საბა სვინგელოზმა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ საგალობლებში წარმოაჩინეს მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგიის ბრძოლა ხატმებრძოლთა წინააღმდეგ თვითდამკვიდრებისათვის. მათ დაგმეს ყოველგვარი ერესი, კერძოდ, მონოფიზიტობა და ხატმებრძოლობა. მნიშვნელოვანი სწორედ ისაა, რომ ეს პრობლემა დასმული იყო მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ საგალობლებში. საგულისხმოა ისიც, რომ ჰიმნოგრაფიამ შეიმუშავა შესაფერისი სტილი და ლექსიკა არამართლმადიდებლური რელიგიებისა და მწვალებლების სამხელად და მართლმადიდებლობის განსამტკიცებლად.

Nestan Sulava

THE REFLECTION OF THE POLEMICS AGAINST ICONOCLASTS IN THE GEORGIAN HYMNOGRAPHY

Summary

The article is dedicated to the reflection of image-worshipping in the Georgian hymnography. The topic of iconoclasm has no place in the Georgian theological writings, because iconoclasm as such never existed in Georgia. Nevertheless, there are some signs of the polemics against iconoclasts, since Georgia, like other Orthodox Christian countries, always fought different heresies.

The theme of the Vernicle Icon became extremely popular after iconoclasm as a reaction of image-worshippers against it, though the icon had been existing since the last days of the Savior's worldly life. The Vernicle Icon was the strongest evidence of image-worshippers in their battle against iconoclasts who tried to conceal any trace of it in the written sources.The Keramion (Vernicle Icon of the Savior) was brought to Georgia in 6th c. by St. Anton Martkopeli, whereas the Mandilion (known also as the Image of Edessa) was moved to Constantinople in 944. According to the works of St. Basil, St. John of Damascus, and Theodore the Studite, who tell much about the icons, an icon was worshipped because of the image depicted on it.

The problem of image-worshipping and the polemics against iconoclasts are reflected in 12th-13th cc. Georgian hymnography, mainly in the songs by Ioanne Ancheli, Arsen Bulmaisimisdze, and Saba Sungelos. The struggle against iconoclasts was reflected only in those church songs which were dedicated to icons. For example, Ioanne Ancheli in the song dedicated to the Anchiskhati Icon, Arsen Bulmaisisdze and Saba Svingelozi in the songs dedicated to the Vernicle Icon of the Savior expressed the struggle of image-worshippers against iconoclasts. These songwriters condemned any kind of heresy, especially Monophysitism and iconoclasm. Very important is that the problem was reflected in the songs dedicated to the Vernicle Icon of the Savior. The Christian hymnography developed corresponding style and vocabulary to reveal heretics, and to strengthen the Orthodox religion.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VIII
თბილისი. 2013-2014

ნინო სილაგაძე

სოფელ დმანისის დარბაზული ეკლესიები

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. დმანისში (ან დუმანისში) და მის შემოგარენში დარბაზული ტიპის სამი ეკლესია მდებარეობს (სურ. 1), რომელთა შესახებაც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობები საკმაოდ მწირია.[1] ამავე დროს ხსენებულ ტერიტორიაზე ჩვენ მიერ დაფიქსირებულია აგრეთვე ნაკლებად შესწავლილი რამდენიმე რელიეფური სტელა. წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით, უფრო დეტალური ინფორმაცია წარმოვადგინოთ ამ არქიტექტურული და რელიეფური ძეგლების შესახებ.

პირველი ეკლესია, რომელსაც დმანისის მოსახლეობა ღვთისმშობლისას უწოდებს, საკუთრივ სოფელშია განლაგებული, მეორე – მის კუთვნილ სათიბების ტერიტორიაზე, დმანისსა და მის აღმოსავლეთით მდებარე სოფ. ლიპს შორის ოდესღაც არსებული დამაკავშირებელი გზის მახლობლად. ამ უკანასკნელს ადგილობრივი მცხოვრებნი მთავარანგელოზის ეკლესიად მოიხსენიებენ. მესამე, ყველაზე მეტად დაზიანებული მცირე ტაძარი დმანისიდან ფიტარეთისაკენ მიმავალი გზის მახლობლად, მაღალ ბორცვზეა განლაგებული, სოფლიდან ორიოდე კილომეტრის მოშორებით. ამ ეკლესიას პირობითად წმ. გიორგისას უწოდებენ. სოფელ დმანისის მოსახლეობა წარსულში, ძირითადად, ოსური იყო, ამჟამად აქ უმეტესობას ჩამოსახლებული სვანები წარმოადგენენ და მათ გადმოცემით იციან ეკლესიების სახელები. ტაძრებში პერიოდულად შესაბამისი ტრადიციული სვანური დღესასწაულები აღინიშნება (საინტერესოა, რომ ღვთისმშობლის ეკლესიას სოფლის მკვიდრნი ზოგჯერ ლამარიას სახელითაც კი მოიხსენებენ), თუმცა არც ერთი ეკლესია არაა მოქმედი. ამრიგად, ეკლესიების ორიგინალური სახელები და მათთან დაკავშირებული გადმოცემები, როგორც ჩანს, დაკარგულია.

სოფ. დმანისსა და მის მეზობელ, თითქმის დაცარიელებულ სოფ. ლიპს

[1] კერძოდ, არსებობს მხოლოდ პასპორტები ზედაპირული აღწერილობით.

შორის მდებარე ე. წ. მთავარანგელოზის ეკლესია მცირე ზომის დარბაზულ ეკლესიას წარმოადგენს მინაშენით სამხრეთიდან (სურ. 2, 3). დარბაზის ზომებია 4,50X2,80 მ. აღმოსავლეთის კედლის მაქსიმალური სიმაღლე 6 მ-ია, ჩრდილოეთისა – 3. კედლების სისქე 90 სმ-ს აღწევს. ეკლესიის ფასადები აგებულია მსხვილი, კარგად დამუშავებული, თბილი ტონის მოყვითალო ქვიშისფერი კვადრებით – ალგეთის ტუფით. ქვები ყველა ერთი ზომის არაა, თუმცა თითქმის ყველგან დაცულია წყობის ჰორიზონტალური რიგები (სურ. 4). ქვის დამუშავების ტექნიკა ძალზე მაღალი ხარისხისაა. ინტერიერში გამოყენებულია იგივე, ოდნავ უფრო წვრილი ქვიშისფერი კვადრები, თუმცა ალაგ-ალაგ ჩართულია მუქი რუხი ბაზალტი. კამარა ჩამოქცეულია, მინაშენი და დარბაზის სამხრეთი კედელი დანგრეულია, თუმცა ჩანს, რომ ერთადერთი კარი დარბაზს მინაშენიდან ჰქონდა, რომელიც, სავარაუდოდ, მინაშენის შესასვლელის ღერძზე იყო განლაგებული. საკურთხევლის ნაწილში სარკმლის თაღი და კონქი აშკარად მოგვიანო შეკეთების დროინდელია (სურ. 5). სამხრეთ კედელში ამოსულია დიდი ხე, რაც ძალზე ამძიმებს ძეგლის მდგომარეობას.

დასავლეთის კედელი შედარებით უკეთაა შემონახული, შემორჩენილია აგრეთვე სარკმლის ქვედა ნაწილი (სურ. 6). ჩრდილოეთის მხარეს კედელი ნაწილობრივ დანგრეულია, მაგრამ იქვე დაგდებული სწორკუთხად ამოჭრილი ქვის ბლოკი საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ აქაც ერთი სარკმელი არსებობდა. იქვე, ჩრდილოეთის კედელთან, ეკლესიის გარეთ დავაფიქსირეთ მიწაში ჩასული მასიური ბლოკი ხერხულა ფორმით და კუთხის პროფილირებული ქვა (სავარაუდოდ, კარნიზის ელემენტები?).

რაც შეეხება ნაგებობის აღმოსავლეთ ნაწილს, აფსიდში გაჭრილია ერთი, საკმაოდ დიდი ზომის სარკმელი, რომელიც უფრო დაბლა მდებარეობს, ვიდრე დასავლეთის და სავარაუდო ჩრდილოეთის სარკმელი. სარკმლის აქეთ-იქით ორი მცირე, თითქმის კვადრატული ნიშია. კონქი ჩამოქცეულია და ნაწილობრივაა შემორჩენილი, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ისევე როგორც აფსიდს, კონქს ნალისებრი ფორმა არ გააჩნდა (სურ. 7). აფსიდისპირა პილასტრები არაა (შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტრიუმფალური თაღი დაკიდებული იყო), დარბაზი მცირე ზომების გამო არაა დანაწევრებული პილასტრებით. ეკლესიის შიგნით დავაფიქსირეთ ორი რკალისებრი ფორმის ქვა (სურ. 8) (სავარაუდოდ, შესასვლელი ტიმპანის თაღის ფრაგმენტები?). ასეთივე რკალისებრი ფორმის ქვა გდია ეკლესიის სამხრეთით, მინაშენის კედლის ხაზის გარეთ (სავარაუდოდ, მინაშენის შესასვლელის ტიმპანის თაღის ფრაგ-

მენტი?). აქვე დავაფიქსირეთ კიდევ ერთი ბრტყელი პროფილირებული ფილა.

ეკლესიის გარშემო ყველგან ყრია ქვის კვადრები, თუმცა ყველაზე მეტი რაოდენობა სამხრეთით, დანგრეული მინაშენის მხარესაა. ყურადღებას იქცევს მათი დიდი, თუმცა არაერთგვაროვანი ზომა და ფორმა და დამუშავების საკმაოდ მაღალი ხარისხი. გალავნის ფრაგმენტები არ ჩანს. სავარაუდოდ, მინაშენი ეკლესიის თანადროული არაა, რადგან სამშენებლო ტექნიკის ხასიათი ოდნავ განსხვავებულია. 1979 წელს ც. დადიანიძის მიერ შედგენილი პასპორტის მიხედვით, ძეგლის აღმოსავლეთ ფასადზე, ლავგარდანის კუთხის ქვაზე არსებობდა წარწერა: „ქრისტე, შეიწყალე სული მიქაელისი“.[2] დღეს ეს წარწერა გამქრალია, რადგან ლავგარდანი მთლიანადაა ჩამოცვენილი.

სოფ. დმანისის მთავარანგელოზის ეკლესიის სავარაუდო თარიღთან დაკავშირებით გამოთქმულია ვარაუდი – XI ს. ჩვენი აზრით, ნაგებობა უფრო მეტი დამაჯერებლობით შეიძლება დათარიღდეს X ს-ით. ამ ნაგებობის უახლოეს პარალელად და საუკეთესო ანალოგიად შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, სოფ. ალექსეევკას მიდამოებში მდებარე დარბაზული ეკლესია (სურ. 11). რადგანაც ეს უკანასკნელი ტაძარი უკეთაა შესწავლილი – სამიოდე წლის წინ მის ტერიტორიაზე ჩატარდა არქეოლოგიური კვლევები და სარესტავრაციო სამუშაოები – საშუალება გვაქვს დავეყრდნოთ ამ ახლადმოპოვებულ ინფორმაციას. ნაგებობა მდებარეობს სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთით ერთ კილომეტრში, ნასოფლარ დრანეთის ტერიტორიაზე, მდ. ტორნეს მარჯვენა ნაპირზე.[3] „ერთვის ქციას ხევი ტორნე, ირაგის ხეობის მდინარე. გადმოსდის ბერდენის მთას, მოდის სამხრით,“ – წერს ვახუშტი ბატონიშვილი.[4]

დრანეთის ეკლესია შესწავლილია ი. ციციშვილის მიერ, რომელიც მას VIII-IX სს-ით ათარიღებს, ხოლო მისი ფასადების რესტავრაციას – XI ს-ით,[5] და გ. ლაღიაშვილისა და გ. პატაშურის მიერ 2010 წელს ჩატარებული

[2] სავარაუდოდ, ამ წარწერამ მისცა საფუძველი ეკლესიის პირობით სახელწოდებას.

[3] ხსენებულ მდინარეს ამჟამად ასლანკა ეწოდება. სახელწოდება ალექსეევკის მკვიდრ რუსულ მოსახლეობას ეკუთვნის, რომელიც აქ XIX საუკუნეშია ჩასახლებული, თუმცა მდინარის ქართული სახელი ნახსენებია ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში.

[4] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 32.

[5] ი. ციციშვილი. ალექსეევკა-დრანეთის ძველი ეკლესია. საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIII. თბ. 1951, გვ. 313-319.

არქეოლოგიური და სარესტავრაციო სამუშაოების ფარგლებში. უკანასკნელი მონაცემებით ძეგლის პირველი ფენა დათარიღებულია X ს-ით, ხოლო მეორე – XIV-XV სს-ით.[6]

ალექსეევკა-დრანეთის ეკლესია წარმოადგენს ორსაფეხურიან ცოკოლზე აღმართულ საკმაოდ მოზრდილ დარბაზულ ნაგებობას მინაშენით სამხრეთით, რომელიც ფასადს მთელ სიგრძეზე მიუყვება.

როგორც უკვე აღინიშნა, მის სტრუქტურაში გამოყოფილია ორი სამშენებლო ფენა. პირველი ფენის სამშენებლო მასალა და ტექნიკა თითქმის მთლიანად ემთხვევა დმანისის ე. წ. მთავარანგელოზის ეკლესიისას: კედლები აგებულია კლდის ნატეხი ქვით და დუღაბით, ხოლო პერანგში გამოყენებულია ანალოგიური მოოქროსფრო ტონის ალგეთის ტუფი, რომელშიც ალაგ-ალაგ ჩართულია მუქი ფერის ბაზალტის კვადრები. ფასადის საპირე ქვები ფაქიზადაა გათლილი, მათი ზომა ყველგან ერთნაირი არაა, თუმცა შეძლებისდაგვარად დაცულია ჰორიზონტალური მწკრივები.

ალექსეევკა-დრანეთის ეკლესიის შიდა სივრცე, დმანისის ეკლესიისაგან განსხვავებით, დანაწევრებულია ერთი წყვილი საკმაოდ შვერილი სამსაფეხურიანი პილასტრით, საიდანაც გადადის კამარის ორსაფეხურიანი საბჯენი თაღი და თითო, გრძივი კედლების დამანაწევრებელი, თაღი (სურ. 12). დასავლეთის კედლის კუთხეებს ასევე აუყვება თითო სამსაფეხურიანი პილასტრი, მაშინ როდესაც დმანისის ეკლესიის დასავლეთი კედელი სადადაა გადაწყვეტილი. დმანისის ეკლესიის აფსიდში გაჭრილი მცირე კვადრატული ნიშების მაგიერ აქ უფრო მოზრდილი, მაღალი და ღრმა სწორკუთხა ნიშებია მოცემული (მათგან ერთი ამჟამად ამოქოლილია) (სურ. 13). ყველა ეს განსხვავება ალექსეევკა-დრანეთის ეკლესიის მოზრდილი ზომებითაა განპირობებული. ასევე, უფრო დიდი ზომით და რთული სტრუქტურითაა გამორჩეული ამ უკანასკნელის მინაშენი-სტოა, რომელიც შვიდი ბურჯითაა დანაწევრებული (სურ. 14). სწორედ მის ტერიტორიაზე ჩატარდა ძირითადი არქეოლოგიური სამუშაოები. სტოა უდავოდ ეკლესიის უძველეს ფენას განეკუთვნება და ძალზე საინტერესო ფორმა აქვს. ხსენებული ეპოქის შედარებით მოკრძალებული ზომის დარბაზულ ეკლესიებში იშვიათად გვხვდება ასეთი საზეიმო, რთული არქიტექტურული ფორმის მქონე სტოები. მის სტრუქტურაში ჩართულია, აგ-

[6] გ. ლაღიაშვილი, გ. პატაშური. კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძარი ნასოფლარ დრანეთთან. „ძველი ხელოვნება დღეს“. №1. თბ. 2010, გვ. 41-50.

რეთვე, ადრეული პერიოდის რელიეფური სტელების ფრაგმენტები. ერთ-ერთი სტელა ოთხწახნაგა სვეტს წარმოადგენს, რომლის ერთი წახნაგი შემკულია ურთიერთგადამკვეთი რომბების ორნამენტით, მეორე – ფოთლოვანი მოტივით. მესამე წახნაგზე (ეს უკანასკნელი სვეტის წინა ფასადს წარმოადგენს) გამოსახულია საფეხურებიან კვარცხლბეკზე აღმართული გაფოთლილი ღერო. ღეროზე ასხმულია მედალიონი, რომელშიც ბოლნური ჯვარია ჩასმული. ხსენებული ღერძული კომპოზიცია, როგორც ჩანს, მთელი ქვასვეტის სიგრძეზე მეორდებოდა, თუმცა სტელა გადატეხილია და მისი ერთი ფრაგმენტი გამოყენებულია სტოას დამანაწევრებელი თაღედის სვეტად, მეორე, უფრო მცირე ნატეხი კი – მის სვეტისთავად (ის პერპენდიკულარულად ადევს სვეტს ზევიდან) (სურ. 15).

თაღედში კიდევ ერთი ძველი სტელაა გამოყენებული: მინაშენის აფსიდის ჩრდილოეთ კუთხესთან ჩასმულია ქვაჯვარი, რომლის წინა პირზე განირჩევა მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებული ვაზის გამოსახულება (სურ. 16). ორივე სტელის ორნამენტიკა დიდ მსგავსებას პოულობს ქვეშის ეკლესიის კედელში ჩატანებულ სტელასთან (V-VI სს.) (სურ. 17), ბალიჭის (VI-VII სს.)[7] და დემირბულაღის (VI-VII სს.)[8] სტელებთან, სათხის ეკლესიის ინტერიერში, ჩრდილოეთ კედელში ჩაშენებულ სტელასთან (VI ს.),[9] დამბლუტის-წყლის მცირე ეკლესიის ქვაჯვარის ფრაგმენტთან (VI ს.),[10] ბოლნისის სიონის დასავლეთ ფასადში ჩაშენებულ ფრაგმენტთან (VI ს.),[11] ბოლნისის მხარეთმცოდნეობით მუზეუმში დაცულ სტელასთან (VI ს.)[12] და სხვ. ამდენად, ალექსეევკის ეკლესიის სტელებიც, სავარაუდოდ, VI-VII სს. განეკუთვნება.[13]

საბედნიეროდ, ალექსეევკა-დრანეთის ეკლესიაზე, დამახასიათებელი არ-

[7] გ. ჯავახიშვილი. ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელები. თბ. 1998. გვ. 18, ტაბ. XXVII.

[8] გ. ჯავახიშვილი. ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელები, გვ. 21, ტაბ. XXXVI.

[9] გ. ჯავახიშვილი. ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელები, გვ. 20, ტაბ. XXXI.

[10] გ. ჯავახიშვილი. ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელები, გვ. 26, ტაბ. II.

[11] კ. მაჩაბელი. ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები. თბ. 2008, ტაბ. 67.

[12] კ. მაჩაბელი. ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები, ტაბ. 72.

[13] გ. ლაღიაშვილი, გ. პატაშური. კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძარი ნასოფლარ დრანეთთან, გვ. 45-50.

ქიტექტურული დეტალების გარდა, შემორჩენილია ასევე ორნამენტული მორთულობაც, რომელიც, სამშენებლო ტექნიკასა და ტიპოლოგიურ თავისებურებებთან ერთად, ძეგლის აგების და გადაკეთების თარიღის დაზუსტების შესაძლებლობას იძლევა. დიდი ზომის კარგად დამუშავებული კვადრების გამოყენება X ს-ის ხუროთმოძღვრების დამახასიათებელი ნიშანია (განსაკუთრებით, ქვემო ქართლში). X საუკუნესვე განეკუთვნება უდავოდ აღმოსავლეთი სარკმლის საპირის ჩუქურთმა, რომელიც S-ისებური ორნამენტის ორგვარ სახეობას წარმოგვიდგენს (სურ. 18). ანალოგიურ ორნამენტს ჩვენ ვხედავთ აგრეთვე ჯაყისმანის ტაძრის დასავლეთ სარკლმის საპირეზეც, რომელიც თამამად შეიძლება X ს-ის მიწურულით დათარიღდეს.[14] ამავე ეპოქაზე მიუთითებს აგრეთვე ალექსეევკა-დრანეთის ეკლესიის ინტერიერში არსებული მასიური პილასტრების ფორმა და მათი კაპიტელები, რომლებიც შემკულია სადა წრეების ორი რიგით (სურ. 19). კაპიტელების ასეთი დეკორი ძალზე გავრცელებულია VIII-X სს-ის ქართულ არქიტექტურაში, განსაკუთრებით – ქვემო ქართლსა და ჯავახეთში. ძეგლს აქვს წარწერაც შესასვლელის მარჯვენა ბურჯზე – „ქრისტე შეიწყალე ...გალატოზი იოანე და მისნი ძენი“. წარწერას ი. ციციშვილი XVII-XVIII სს. ათარიღებს, გ. გაგოშიძე – X-XI სს-ით.[15]

ამდენად, ალექსეევკა-დრანეთის ეკლესია, რომელსაც ბოლო დროის გამოკვლევების საფუძველზე კვირიკესა და ივლიტას ეკლესიასაც უწოდებენ[16], დმანისის მოკრძალებულ ტაძართან შედარებით დიდი ზომებით, ინტერიერის რთული სტრუქტურითა და საზეიმო, რიტმული კომპოზიციის მქონე სტოით გამოირჩევა. სამაგიეროდ, დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ორივე ძეგლის სამშენებლო ტექნიკა და თითქმის იდენტურია მათი გეგმაც. ამრიგად, ალექსეევკა-დრანეთის შედარებით უკეთ შემონახული და შესწავლილი ეკლესია საშუალებას გვაძლევს მისი ანალოგიით, სავარუდოდ, X ს-ით დავათარიღოთ დმანისის მთავარანგელოზის ტაძარიც.

დავუბრუნდეთ დმანისის მთავარანგელოზის ეკლესიას. ამ საინტერესო

[14] ნ. სილაგაძე. ჯაყისმანის მონასტერი. თბილისი. 2011, გვ. 10-13.

[15] ი. ციციშვილი. ალექსეევკა-დრანეთის ძველი ეკლესია. გვ. 313-319; გ. ლაღიაშვილი, გ. პატაშური. კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძარი ნასოფლარ დრანეთთან. გვ. 41-50.

[16] არქეოლოგიური გათხრებისას ეკლესიის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ვერცხლის კანდელი წარწერით, რომელზეც ეკლესიის პატრონები – კვირიკე და ივლიტა – არიან მოხსენიებული. იხ. გ. ლაღიაშვილი, გ. პატაშური. კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძარი ნასოფლარ დრანეთთან, გვ. 45-50.

ძეგლის ღირებულება მხოლოდ მისი ხუროთმოძღვრებით არაა განსაზღვრული. აუცილებელია განვიხილოთ აგრეთვე ორი რელიეფური სტელა, რომლებიც ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე დავაფიქსირეთ. ერთი, შედარებით მცირე ფილა-სტელა, ეკლესიიდან აღმოსავლეთით არის აღმართული. მასიურ ბაზისზე სწორკუთხა ბლოკი დგას, რომლის წინა პირზე ამოკვეთილია ერთი დიდი და ოთხი მცირე ჯვარი. ცენტრალური დიდი ჯვარი ბოლოებში გაგანიერებული მკლავებით დამუშავებულია პარალალური ხაზებით. მის ქვევით რკალზე ოთხი მცირე ჯვარია განლაგებული (სურ. 9). ფილის ზედა ნაწილი დაზიანებულია და, ამგვარად, ძნელია იმის თქმა, იყო თუ არა აქ ასევე მოცემული მცირე ჯვრები ან რაიმე სხვა ელემენტები. ამ სტელის ზუსტი დათარიღება საკმაოდ დიდ სირთულეს წარმოადგენს, რადგან მასზე არსებული მარტივი, კონსერვატული ტიპის გამოსახულებები ნებისმიერ პერიოდში შეიძლება იყოს გაკეთებული.

მეორე სტელა, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო, მიყუდებულია ტაძრის დასავლეთის კედელზე. საკმაოდ დიდი ზომის ფილაზე ცენტრში გამოსახულია ბოლოებში გაგანიერებული მკლავების მქონე ჯვარი. მკლავები დამუშავებული შტრიხებით და ბოლოებში – დეკორატიული ხვეულებით. ჯვარი აღმართულია ბუნზე, რომელიც, თავის მხრივ, საფეხურებიან კვარცხლბეკს ეყრდნობა. ბუნიდან ხაზებით დამუშავებული „ფრთები“ (აყვავებული ჯვარი) და ჰორიზონტალურად მიმართული ღეროებია ამოზრდილი. ეს უკანასკნელები ფოთლოვანი ორნამენტით სრულდება. მარცხენა ღეროდან გადმოკიდებულია ყურძნის მტევანი (როგორც ჩანს, ანალოგიური ელემენტი მარჯვენა მხარეს წაშლილია). საფეხურებიან კვარცხლბეკზე ამოკვეთილია ასევე აყვავებული მომცრო ჯვარი. კომპოზიცია მოქცეულია მარტივად პროფილირებულ ოვალურ ჩარჩოში და კიდევ ერთ, სწორკუთხა, განიერ ორნამენტულ ჩარჩოში. ოვალური ჩარჩოს გარეთ, სტელის ზედა ნაწილში, ჯვრის აქეთ-იქით ორი დეკორატიული მედალიონია (ასტრალური სიმბოლოები). გარე დეკორატიული არშია შედგება ტეხილი ხაზისა და პალმეტებისაგან. სტელის ქვედა მარცხენა კუთხეში მოცემულია ნახევრად წაშლილი წარწერა (სურ. 10).

ფილის დანარჩენი წახნაგები სადაა. ბაზისი დაკარგულია. რაც შეეხება წარწერას, იგი, სავარაუდოდ, სომხურია.[17] და საერთოდ, სტელა უფრო სომხურ ხაჩკარს მოგვაგონებს. ამის სასარგებლოდ მრავალი დეტალი მეტყველებს:

[17] სამწუხაროდ, ცუდი დაცულობის გამო წარწერის გაშიფვრა ვერ მოხერხდა.

• სტელის ორნამენტული გაფორმება, სტილისტური თვალსაზრისით, უფრო მოგვიანო ხანაზე, განვითარებულ შუა საუკუნეებზე, XI-XII სს-ზე, შესაძლოა, XIII საუკუნეზე მიუთითებს. საინტერესოა, რომ უკანასკნელი წლების კვლევების შუქზე (ოშკის ტაძრის სტლები) ირღვევა ის წარმოდგენა, რომ თითქოს საქართველოში სტელებს IX ს-ის შემდეგ თითქმის აღარ აღმართავდნენ. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, განვითარებული შუა საუკუნეებით დათარიღებული ქართული სტელები მაინც დიდ იშვიათობას წარმოადგენს. სამაგიეროდ, განვითარებული და გვიანი შუა საკუნეების ხაჩკარები მრავლადაა სომხეთში და მის ფარგლებს გარეთაც – ყველგან, სადაც ისტორიულად არსებობდა ან არსებობს სომხური მოსახლეობა.

• დმანისის ტაძრის დასავლეთ კედლეზე მიყუდებული ფილის ფორმა და მასზე ამოკვეთილი დეკორატიული კომპოზიცია საკმაო მსგავსებას ამჟღავნებს სომხური ხაჩკარებთან. უდავოა, რომ ტრადიციული ხაჩკარი – სწორკუთხა ფილა, რომლის ერთ მხარესაც მოცემულია ჯვრის გამოსახულება გარკვეულ ორნამენტებთან კომბინაციაში, ადრექრისტიანული (V-VII სს.) ჯვრით დაგვირგვინებული სტელისგან, ქვასვეტის, ქვაჯვარის ფორმისაგან წარმოიშვა, რომელიც თითქმის ერთნაირი იყო სომხეთშიც და საქართველოშიც. მაგრამ საქართველოში მოგვიანებით ხაჩკარის ფორმა აღარ განვითარდა, რისი მიზეზიც უნდა ვეძიოთ სარწმუნოებრივ განსხვავებაში ჩვენსა და ჩვენს მეზობლებს შორის, უფრო სწორედ, სარწმუნოებით განპირობებულ განსხვევებული სახვითი ფორმების არსებობაში. განსხვავებით საქართველოსგან, სომხეთში თითქმის ერთნაირი ფორმის ხაჩკარებს მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ქმნიან და დღესაც აგრძელებენ ამ ტრადიციას.

• რაც შეეხება ფილაზე ამოკვეთილ კომპოზიციას, იგი ასევე ტრადიციულია სომხური ხაჩკარებისთვის: ესაა ბოლოებში გაგანიერებული წაგრძელებული ფორმის განედლებული დიდი ჯვარი მკვეთრი სილუეტით. სომხურ ხაჩკარებზე, როგორც წესი, ჯვრის ქვედა ბოლოდან ამოიზრდება გაღუნული ნახევარპალმეტები (მაგ., ტალინის სტელა (IX-X სს.)[18] (სურ. 20) და სხვ.). ჩვენს შემთხვევაში პალმეტებს ოდნავ მოუხეშავი, პარალელური ხაზებით დამუშავებული ფორმა აქვს.

• ხაჩკარების შემამკობელი ჯვარი, როგორც წესი, აღმართულია ბუნზე, ბუნზე თითქმის ყოველთვის სახეზეა მედალიონი, რომელიც ჩვენ შემთხვევაში

[18] А. Якобсон. Армянские хачкары, 1986. armenianhouse.org/yakobson/armenian-khachkars, გვ. 11.

დამუშავებულია კონცენტრული წრეებით. დმანისის ხაჩკარზე ბუნიდან ჰორიზონტალურად გამოიზრდება ორი ღერო ფოთლებით და თითო ჩამოკიდებული მტევნით. ასეთი რამ ასევე ტრადიციულია სომხური ხაჩკარებისთვის – მაგ., ირინდის VII ს-ის სტელაზე მოცემული ანალოგიური განშტოებები გადმოკიდებული მტევნებით.[19] ხაჩკარებზე ტრადიციულად შეიძლება იყოს მოცემული რომელიღაც სხვა ნაყოფებით – უფრო ხშირად ესაა ვაშლი ან ბროწეული: მაგ., ანისის და ახპატის გავიტის ხაჩკარები (X-XII სს.) (სურ. 21, 22, 23), ბიურაქანის ხაჩკარი (XI-XII სს.) და სხვ.[20]

• სომხური ხაჩკარების უმრავლესობაზე, როგორც ჩვენს შემთხვევაში, ჯვარი საფეხურისებრ კვარცხლბეკზე დგას. კვარცხლბეკზე კიდევ ერთი განედლებული ჯვარია ამოკვეთილი.

• სომხურ ხაჩკარებზე, დმანისის ფილის მსგავსად, ჯვარი მოქცეულია მდიდრულ ჩარჩოში, რომელიც პორტალს მოგვაგონებს. ჩვენს შემთხვევაშიც ჩარჩო ორმაგია – გარე სწორკუთხა და შიდა თაღოვანი. გარე ფართო ჩარჩო მორთულია ტეხილი ორნამენტით და პალმეტებით. თავად ჯვრის ზედაპირი შტრიხებითაა დამუშავებული, ხოლო ბოლოები – მცირე ხვეულებით. ასევე, მდიდრულად ორნამენტირებული ჩარჩო და ჯვრის ზედაპირზე შტრიხები ან წნული დეკორი ახასიათებს სომხურ ნიმუშებს, განსაკუთრებით – XI-XIII სს-ის ხაჩკარებს.

• წარწერა სომხურ ხაჩკარებზე, როგორც წესი, მოცემულია ხოლმე კვარცხლბეკზე ან მის ქვეშ, როგორც ჩვენს შემთხვევაში.

ამრიგად, ჩვენი აზრით, დმანისის ეკლესიასთან არსებული ორნამენტირებული ფილა-სტელა XI-XIII სს-ის სომხურ ხაჩკარს წარმოადგენს და არაფერი აქვს საერთო თავად ეკლესიის ნაგებობასთან, რომელიც დაახლოებით X ს-ის მიწურულს უნდა იყოს აგებული. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, როგორ ან როდის აღმოჩნდა ფილა ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე. როგორც ვიცით, ზოგადად ქვემო ქართლში და საკუთრივ სამშვილდის „ქვეყანაში“, სადაც განლაგებულია სოფელი დმანისი, ყოველთვის არსებობდა ბილინგვიზირებული სომხური მოსახლეობა, ხოლო გარკვეულ ეპოქებში ეს ტერიტორია ტაშირ-ძორაგეტის, ანუ კვირიკიანთა სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა[21]

[19] А. Якобсон. Армянские хачкары, გვ. 12.
[20] А. Якобсон. Армянские хачкары, გვ. 22, 25.
[21] ნ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ქვემო ქართლი. ნაკვ. I. თბ. 1979, გვ. 70-71.

(IX ს-ის შუა ხანები – 1065 წ.).[22] ამდენად, XI-XIII სს-ის სომხური ხაჩკარი სოფელ დმანისში შეიძლება როგორც განვითარებულ ან გვიან შუა საუკუნეებში, ასევე XIX ან XX ს-ში გადმოეტანათ.

სოფ. დმანისის ტერიტორიაზე მდებარეობს კიდევ ერთი დარბაზული ეკლესია, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ღვთისმშობლისას უწოდებს. შენობა ნაწილობრივ მიწაშია ჩასული, კედლები და მიმდებარე ტერიტორია მცენარეებითაა დაფარული. ნაგებობის გარე ზომები მინაშენებითურთ 7,5X 6,5 მ-ია. აღმოსავლეთ ნაწილში კედლის სიმაღლე მიწის დონიდან დაახლოებით 2,9 მ-ია (სურ. 24, 25).

შენობა აგებულია სხვადასხვა ზომის, და ფორმის მსხვილი, უხეშად დამუშავებული, ძირითადად რუხი ფერის ქვისაგან, თუმცა გვხვდება, ასევე, თბილი ტონის ქვიშისფერი, მოწითალო და მუქი, თითქმის შავი ბაზალტის კვადრებიც. როგორც ჩანს, კედლები თითქმის მთლიანად თავიდანაა გადაწყობილი, რადგან მათ წყობაში ჩართულია როგორც კარგად დამუშავებული კვადრები (როგორც ჩანს, თავდაპირველი), ასევე ფიქალები, ფლეთილი ქვა და მრგვალი ფორმის ქვებიც კი. ფლეთილი ქვები და ფიქალები უმეტესად დასავლეთ კედელში გვხვდება, რომელიც, როგორც ჩანს, განსაკუთრებით დაზიანდა დროთა მსვლელობისას. ყოველივე ამის გამო ეკლესიის ფასადები უჩვეულოდ, საკმაოდ ფერწერულად გამოიყურება. სავარაუდოდ, შენობამ მრავალი ნგრევა და გადაკეთება განიცადა. მრავალფეროვნებით ყველაზე მეტად გამოირჩევა აღმოსავლეთის ფასადი, სადაც ერთადერთი სარკმლის თავსართად გამოყენებულია შვერილი ოვალური ფორმის ქვა, რომელიც ჰორიზონტალურადაა ჩასმული კედელში. თავად სარკმელი გაჭრილია წრიული ფორმის დიდ ქვაში და გასაღების ჭუჭრუტანის ფორმა აქვს.[23] აღმოსავლეთ ფასადზე გაჭრილი სარკმლის ქვეშ მოთავსებულია ფილა ჯვრის რელიეფური გამოსახულებით. ჯვარი თითქმის ტოლმკლავაა და მცირე წრიული მედალიონი აქვს. თავად ქვა, რომელზეც რელიეფია ამოკვეთილი, მკვეთრად გამოირ-

[22] მატიანე ქართლისაი. ქართლის ცხოვრება. ტ. I. თბ. 1955, გვ. 257-259; ა. ბოშიშვილი. ლორე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება: დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა. თბ. 2012, გვ. 90-106, გვ. 91-93.

[23] დაახლოებით ასეთივე ზომის და ფორმის ქვა გასაღების ფორმის ნახვრეტით გდია ნაგებობის გარეთ, მის დასავლეთ კედელთან. სავარაუდოდ, ეს დასავლეთ მხარეს არსებული სარკმლის ფრაგმენტია.

ჩევა თავისი ღია, მოოქროსფრო თბილი ტონალობით უფრო მუქი ფერის კედლის ფონზე.

დარბაზულ ეკლესიას სამხრეთითა და ჩრდილოეთით სხვადასხვა დროის მინაშენი აქვს. ეკლესიის მთავარი დარბაზი გადახურულია ოდნავ შეისრული კამარით, რომელიც ფიქალებით ქარგილზეა ამოყვანილი. ინტერიერში დარბაზის ზომებია 6,4X3 მ. კამარის აღმოსავლეთი და დასავლეთი მხარეები დანგრეულია, თუმცა შემორჩენილი ნაწილის მიხედვითაც ცხადად ჩანს, რომ კამარა არაა თავდაპირველი. აფსიდი არასწორი მოხაზულობისაა და სხვადასხვაგვარი ქვებითაა აგებული, საგულდაგულოდ დამუშავებული, კარგად გათლილი კვადრები გამოყენებულია მხოლოდ მის შვერილებზე. აფსიდში ერთი სარკმელია გაჭრილი. ეს სარკმელი, რომელიც ფასადზე არასწორი, გასაღების ჭუჭრუტანის ფორმით გამოდის, შიგნიდან ჩვეულებრივი თაღოვანი მოხაზულობისაა. ერთი სარკმელი მოთავსებულია აგრეთვე დარბაზის სამხრეთ კედელში, ის სამხრეთ მხარეს არსებული მინაშენის სახურავის მაღლაა გაჭრილი. სავარაუდოდ, კიდევ ერთი სარკმელი იყო დასავლეთ მხარესაც, თუმცა დღეს მხოლოდ მისი ნაშთია შემორჩენილი. საკურთხეველში დგას ტრაპეზი – სწორკუთხა მოვარდისფრო ტონის ქვა ჯვრის გამოსახულებით. ტრაპეზის გარდა, აქ კიდევ ერთი კუბური ფორმის, თითქმის დიაგონალზე გატეხილი რელიეფური ქვაა. მის ერთ წახნაგზე წრიული წნული დეკორია მოცემული, მეორეზე – განედლებული ჯვრის გამოსახულება. ქვა, სავარაუდოდ, სტელის ფრაგმენტს წარმოადგენს. დარბაზის სიმაღლე ინტერიერში ამჟამინდელი იატაკის დონიდან ჩამოქცეული თაღის ზენიტამდე დაახლოებით 4 მ-ია, დასავლეთ კედლის შემორჩენილი სიმაღლე 3,4 მ-ია. ზედაპირული დაკვირვების შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მთლიანად ნაგებობა დაახლოებით ნახევარი მეტრის სიღრმეზეა ჩამჯდარი მიწაში.

დარბაზს ორი კარი აქვს (სამხრეთ და ჩრდილოეთ მხარეს), რომლებითაც იგი მინაშენებს უკავშირდება. სამხრეთის მინაშენი უკეთაა შემორჩენილი. იგი მთელ სიგრძეზე მიუყვება დარბაზს და ბრტყელი აფსიდით ბოლოვდება აღმოსავლეთის მხარეს. მისი სიგანე დაახლოებით 1,37 მ-ია. მინაშენი ნახევარცილინდრული კამარითაა გადახურული, რომელიც, მთავარი დარბაზის კამარის მსგავსად, ფიქალებითაა აგებული. მისი შესასვლელი კარი ნახევრად მიწითაა ამოვსებული. როგორც ჩანს, მინაშენი არაა თავდაპირველი. მისი კედლის წყობა მთლიანად ფიქალებისა და რიყის ქვისაგან შედგება, მაშინ როდესაც მომიჯნავე ცენტრალური დარბაზის კედელი მსხვილი კვადრებითაა

ნაგები.

ჩრდილოეთის მინაშენი აღმოსავლეთის მხრიდან აფსიდითაა დაბოლოებული. მისი გარე კედელი, კონქი და კამარა მთლიანად დაშლილია. მინაშენის სიგანე დაახლოებით 1,6 მ-ია. შემორჩენილია მხოლოდ კამარის მცირე მონაკვეთი აფსიდის წინ (სურ. 26). შესასვლელი, რომელიც აკავშირებდა ამ მინაშენს მთავარ დარბაზთან, ამჟამად თითქმის ამოვსებულია ფლეთილი ქვით. მთლიან შენობაზე სახურავის საფარი არაა შემორჩენილი.

ნაგებობის გარშემო მრავალი საინტერესო ფრაგმენტი ყრია. ერთ-ერთი ასეთია სამხრეთის კედელთან მიყუდებული სტელა, რომელზეც გამოსახულია დიდი რელიეფური ჯვარი. ჯვარი კვარცხლბეკზეა აღმართული და ბოლოებში გაგანიერებული ფორმა აქვს, ხოლო თავად ფილა კუთხეებწაკვეთილ სწორკუთხედს წარმოადგენს. ეკლესიის ეზოში მრავლადაა, აგრეთვე, ნაწილობრივ მიწით დაფარული საფლავის ქვა. მათ შორის არის რამდენიმე საყურადღებო ნიმუში: მაგ., ორი ქვა, რომლებსაც შეკაზმული ცხენის ფორმა აქვს. ერთ-ერთ ასეთ ქვაზე ერთ მხარეს სქემატურადაა გამოსახული ადამიანი, მეორეზე კი – ცხენი. მეორე, უფრო მსხვილ, ცხენის ფორმის ქვაზე ნათლად იკითხება ჯვრის და უზანგების გამოსახულებები ორივე მხარეს.

ძეგლის დათარიღება ძალზე რთულია მისი ამჟამინდელი მდგომარეობის გამო, თუმცა მაინც შესაძლებელია რამდენიმე მომენტს მივაქციოთ ყურადღება: კედლის წყობაში ნაწილობრივ შემორჩენილი შედარებით კარგად დამუშავებული მსხვილი კვადრები (სავარაუდოდ, თავდაპირველი წყობის ნაშთები) ახლოსაა ქვის დამუშავების იმ ტექნიკასთან, რომელიც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე იყო გავრცელებული ადრეულ შუა საუკუნეებში. ნაგებობის გეგმა, როგორც ჩანს, შეცვლილია დროთა განმავლობაში; სავარაუდოდ, მას თავდაპირველად ერთი მინაშენი ჰქონდა ჩრდილოეთის მხრიდან, ხოლო სამხრეთის მინაშენი მოგვიანებითაა აგებული. ამაზე მიუთითებს ჩრდილოეთის მინაშენის ფორმა – იგი აფსიდითაა დაბოლოვებული, თანაც აფსიდი ძალზე ღრმაა. სამწუხაროდ, დანგრეული ჩრდილოეთის კედელი არ იძლევა იმის გარკვევის საშუალებას, სტოას ფორმის იყო ხსენებული მინაშენი თუ არა. ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ზედაპირული დაკვირვების შედეგად ვერ მივაკვლიეთ რაიმე არქიტექტურულ დეტალს (სვეტის, თაღის ფრაგმენტს და სხვ.), რომელიც ამ საკითხის გადაჭრაში დაგვეხმარებოდა, ამისათვის გაწმენდითი სამუშაოების ჩატარებაა აუცილებელი. თუმცა დარბაზული ტიპის ეკლესია მინაშენით ერთ-ერთი მხრიდან (სულ ერთია, სტოას ტიპისაა ეს მინაშენი თუ

ეკვდერს წარმოადგენს), ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადრეულ შუა საუკუნეებში, კერძოდ კი, მრავლადაა ასეთი ნაგებობები ქვემო ქართლის თუ ჯავახეთის ტერიტორიაზე. ესენია აკვანებას, თრიალეთი-ოლთისის, თეთრიწყაროს, ტამალას და სხვ. ეკლესიები. დმანისის ეკლესიის სიახლოვეს ასეთი გეგმის მქონე დარბაზული ეკლესიები ასევე მრავლადაა, მაგალითად, ასეთია სულ ორიოდე კილომეტრში მდებარე ლიპის დანგრეული ეკლესიაც.

რაც შეეხება სამხრეთის მინაშენს, ჩვენი აზრით, იგი არ განეკუთვნება ეკლესიის თავდაპირველ გეგმას და მოგვიანებითაა აგებული, თუმცა ამ გადაკეთების თარიღის დადგენა ამ ეტაპზე შეუძლებლად მიგვაჩნია. ეს საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს, რადგან მინაშენი შიგნიდან შელესილია და ნაწილობრივ მიწაშია ჩასული.

მესამე ეკლესია სოფლიდან სამხრეთის მიმართულების, ფიტარეთისკენ მიმავალი გზის პირას, მაღალი ბორცვის წვერზე მდებარეობს. გადმოცემით, დმანისის ოსური მოსახლეობა მას „რად ძვარს“ უწოდებდა, დღეს ის წმ. გიორგის ეკლესიის სახელითაა ცნობილი. ესაა ძლიერ დანგრეული მცირე დარბაზული ეკლესია. მთლიანად ჩამოქცეულია კამარა და ნაწილობრივ – კონქი. დარბაზის ზომებია 5,70X3,40 მ (სურ. 27). დასავლეთის და ჩრდილოეთის მხრიდან კედლები ღრმადაა ჩასული მიწაში, ხოლო დარბაზის იატაკი დაფარული ჩამონაშალი ქვით. როგორც ჩანს, ეკლესიას მნიშვნელოვანი გადაკეთება განუცდია – კედლები თითქმის მთლიანად თავიდან ამოუყვანიათ. სამშენებლო მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ზომის და ფორმის ქვა (მათ შორის – ფლეთილიც). თუმცა ალაგ-ალაგ შემორჩენილი თლილი, მოყვითალო ტონის დიდი კვადრები იმის ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ სწორედ ესაა ნაგებობის თავდაპირველი საშენი მასალა (სურ. 28).

ეკლესიას ერთი შესასვლელი აქვს სამხრეთიდან. საკურთხევლის აფსიდი ნახევარწრიულია და მცირე შვერილებით გამოიყოფა. მასში ერთი ვიწრო სარკმელი და ორი ღრმა თაღოვანი, ოდნავ ასიმეტრიული ფორმის ნიშია (სურ. 29). შესასვლელი ინტერიერში ტიმპანითაა დაგვირგვინებული, რომელსაც ასევე არარეგულარული მოხაზულობა აქვს. დასავლეთის და ჩრდილოეთის კედლების ზედა ნაწილები დანგრეულია, ამიტომ შეუძლებელია ითქვას, ჰქონდა თუ არა ეკლესიას კიდევ სარკმლები.

ფასადების დეკორატიულ აქცენტებს აფსიდის სარკმლის მოჩარჩოება და სამხრეთის შესასვლელის ბალავარი წარმოადგენს. ორივე შექმნილია თბი-

ლი ტონის ქვიშისფერი ქვისგან. სარკმლის საპირე ხაზოვანი დეკორითაა შემკული, კარის ბალავარზე კი ამოკეთილია ნალისებრი ფორმის თაღოვანი თავსართი, გადანაკეცებზე თითო მაღალი ჯვარია აღმართული. კიდევ ერთი ჯვარი მოცემულია კომპოზიციის ცენტრში (სურ. 30). ეკლესიის გარშემო ყრია მასიური პროფილირებული ქვები, როგორც ჩანს – თარო-კარნიზის ფრაგმენტები. ეს კარნიზი, სავარაუდოდ, შენობის თავდაპირველ ფენას განეკუთვნება (ერთ ადგილას, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ერთი ასეთი ქვა შერჩენილია კედელზე). სამშენებლო ტექნიკის ხასიათითა და შემორჩენილი დეკორატიული დეტალების (ეკლესიის ბალავრის რელიეფის მსგავსი დეკორატიული მორთულობა შემორჩენილია ამავე რეგიონში მდებარე სოფ. დიდი კლდეისის წმ. გიორგის VI-VII სს-ის ეკლესიის სარკმლის თავსართზე (სურ. 31)) თავისებურებების გათვალისწინებით ეკლესია, სავარაუდოდ, ადრეული შუა საუკუნეების ძეგლს წარმოადგენს.

ილუსტრაციები



სურ. 1

სურ. 2

სურ. 3

სურ. 4

სურ. 5

სურ. 6

სურ. 7

სურ. 8

სურ. 9

სურ. 10

სურ. 11

სურ. 12

სურ. 13

სურ. 14

სურ. 15

სურ. 16

სურ. 17. ქვეშის ეკლესიის სტელა. VI ს.

სურ. 18

სურ. 19



სურ 20. ტალინის სტელა. IX-X სს.

სურ. 21 ხაჩკარი ანისიდან. 952

სურ. 22. ხაჩკარი ახპატის გავიტიდან. XII ს.

სურ. 23. ხაჩკარები ახპატის გავიტიდან

სურ. 24

სურ. 25

სურ. 26

სურ. 27

სურ. 28

სურ. 29

სურ. 30

სურ. 31. დიდი კლდეისის წმ. გიორგის ეკლესიის სარკმლის თავსართი

Nino Silagadze

THE ONE-NAVE CHURCHES OF VILLAGE DMANISI

Summary

The present paper covers some Medieval architectural complexes and relief-sculptures being beyond thorough academic research. Now in Tetritskaro municipality, these monuments belong to historical province Kvemo (Lower) Kartli. They are concentrated around the old town Samshvilde.

Village Dmanisi and neighboring places in Tetritskaro municipality have three small Medieval one-nave churches lacking scholarly commentaries. One of them, one-nave church labeled after St. Virgin by the local folk, has stoa from the North and is dated by the 6th-7th cc. We think of southern stoa as having been added later.

The so-called Archangel church, situated at the distance of 1km. from the village, is one-nave construction of the second half of the 10th c. with the relief-stellae scattered nearby, Armenian khachkar (the 12th-13th cc.) among them.

Situated on the road towards Phitareti, the third church seems to be reconstructed for several times. Additionally and unfortunately, it is badly damaged. We think about Early Middle Ages as of time of its construction, though, gradually, it has been changed in different times.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VIII
თბილისი. 2013-2014

გურამ კუტალაძე

ქვემო ჯავახეთის მფლობელ-მეპატრონეთა ვინაობის შესახებ

ქვემო ჯავახეთის მიკროქვეყნები, როგორც ცნობილია, „ჰევობითი“ განფენისაა, განსხვავებით ზემო ჯავახეთისაგან, სადაც გეომორფოლოგიურ თავისებურებათა გამო მცირე ქვეყნები ჯგუფდება არა ხეობათა მიხედვით, არამედ ზეგანზე მოფენილ ტბათა, იშვიათად მშრალი ქვაბულების ირგვლივ. ყოველი ასეთი ერთეული ქმნის ცალკე მიკროქვეყანას, რომლის „ძირითადი, ცენტრალური პუნქტის სახელი გადადის ტბაზე, ტბიდან კი მთელ რაიონზე ვრცელდება“ – მაგ: ფარავანი>ფარავნის ტბა>ფარავნის მიკროქვეყანა.[1] როგორც ჩანს, ამ თავისებურებამაც განაპირობა რეგიონის ადრიდანვე ცენტრალური ხელისუფლების დომენად ქცევა, რაც, ბუნებრივია, აქ მსხვილი სამამულე მფლობელობის არსებობას გამორიცხავდა – მიწა-წყალზე „წვრილი მფლობელები, უციხო და უმონასტრო აზნაურები“ ჩანან.[2]

რაც შეეხება ქვემო ჯავახეთს, აქ მტკვრისა და თავფარავნის წყლის (ჯავახეთის მტკვარი) ხეობები, შემავალი მცირე ხევებით, „აყალიბებს“ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს, რომლებიც სოციალ-პოლიტიკური ვითარების ცვლის კვალდაკვალ მსხვილ სამამულე-სამფლობელოებად იქცა, რაზეც ამჯერად ვისაუბრებთ.

ჯავახეთი, ლეონტის მიხედვით, წუნდის ერისთავის საგამგებლოში შედიოდა, რომლის საჯდომი – წუნდა ქალაქი – სამეფო სახლის საზაფხულო რეზიდენციაც არის, ამდენად, ქვეყნის ერთ-ერთი ცენტრიც, საიდანაც „ჟამითი-ჟამად“ სახელმწიფოს მართავს ფარნავაზის სამეფო კარი. საერისთავოს

[1] დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. თბ. 1985, გვ. 83.
[2] დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 83.

მთლიანობა – „ფანვარითგან ვიდრე თავადმდე მტკვრისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლა და არტანი“ – ჩანს, შენარჩუნებულია ვახტანგ გორგასლის ზეობის ხანაშიც, ნასარ წუნდის ერისთავის მმართველობისას,[3] თუმცა საერისთავოს პირველი დანაწილებაც ვახტანგ მეფის ინიციატივას მიეწერება: დაჩის, მეფე მამის ანდერძისამებრ, რჩება წუნდის საერისთავოს ნაწილი – ზემო ჯავახეთი, როგორც უძველესი სამეფო დომენი, ხოლო დანარჩენი ტერიტორია (მათ შორის, ქვემო ჯავახეთი) გადადის ნახევარძმების, ლეონისა და მირდატის, მფლობელობაში; ლეონის გარდაცვალების შემდეგ დაჩიმ მირდატს დედული მამულის, „ეგრის-წყალსა და კლისურასა შუა“ მდებარე „ქვეყნის“, სანაცვლოდ ფარავნიდან მტკვრამდე, ე.ი. ზემო ჯავახეთი (საკუთარი დომენი) მიუბოძა, „დაიპყრა მირდატ, ძემან ვახტანგისამან, ფარავნითგან და ტასისკარიდან ვიდრე ზღუადმდე სპერისა, და ერისთავობდა მუნ; და იყო მორჩილ დაჩი მეფისა, ძმისა თჳსისა“.[4] ამ აქტით მეფემ, ერთი მხრივ, მისთვის სტრატეგიულად საინტერესო ტერიტორიაზე („ეგრის-წყალსა და კლისურასა შუა, მირდატის დედული საზღვარი საბერძნეთისა“) უშუალო კონტროლი დააწესა და, მეორე მხრივ, კვლავ აღადგინა წუნდის ქვეყნის მთლიანობა, ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებადი საერისთავოს სახით, რაც წუნდა ცენტრის დამცრობა-დაქვეითების ხანამდე, მის წილ თმოგვის ციხისა და მისი „მიმდგომის“ შექმნა-დაწინაურებამდე უნდა შენარჩუნებულიყო, ე.ი. მანამ, სანამ ქვემო ჯავახეთში ახალი საციხისთავოები წარმოიშობოდა. ეს პროცესი წუნდის, ჯერ როგორც მიკროქვეყნის, შემდეგ მისი გამსხვილება-საერისთავოდ ჩამოყალიბების გზის უკუპროცესად წარმოგვიდგენია – თავდაპირველად არტაანის, კოლათურთ, ქვეყნის ჩამოცილება, რასაც შემდეგ მცირე ქვეყნების გაჩენა მოჰყვა.

თმოგვის ციხე-ქვეყანა, იგივე წუნდის მიკროქვეყანაა, მგელციხე-ხერთვისშორისი კანიონის, ნიალის მითვლით, მომცველი, სახელ და მფლობელობაცვლილი, რომლის თავდაპირველ მეპატრონეთა ვინაობის შესახებ რაიმე ხელშესახები წერილობითი ცნობა არ მოგვეპოვება. ამდენად, მხოლოდ იმის გამეორებით შემოვიფარგლებით, რომ თმოგვის, როგორც სტრატეგიული პუნ-

[3] ლეონტი მროველი. ცხოვრება მეფეთა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. 1. თბ. 1955, გვ. 24.

[4] ჯუანშრი. ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. 1. თბ. 1955, გვ. 205.

ქტის, დაწინაურება, შესაძლოა, გვარამ მამფალის პოლიტიკას მიეწერებოდეს.[5] მოგვიანებითაც ციხე ბაგრატიონთა ურთიერთმოქიშპე სახლების ხელშია, ალბათ, რეგიონში პირველობის დაჩემებისდა მიხედვით. ცნობილი არეშტის სტელის წარწერით, რომელიც ასე იკითხება: „† სახელითა ღმრთისათაჲთა. აშოტ [ან: ადარნასე] ძემან გურგენ კურაპალატისამან შეწირა არეშტი საყდარსა კუმურდოჲსად“,[6] ზემო ჯავახეთი, გურგენ კურაპალატის მემკვიდრეთა მფლობელობაშია, შესაბამისად, უნდა ვიგულისხმოთ, რომ თმოგვის ციხე კუმურდოსთან ერთად IX საუკუნის ბოლოსა და X საუკუნის I ნახევარში ბაგრატიონთა კლარჯული სახლის წარმომადგენელთ უპყრიათ. ამის შემდეგ კი იგი უშუალოდ სამეფო ციხედ ქცეულა, რასაც სუმბატ დავითის ძის ნაამბობი მალე, ბაგრატ მესამის მიერ „კლარჯ ხელმწიფეთა“ – სუმბატ და გურგენის შეპყრობა-პატიმრობისა და მათ კუთვნილ ციხეთა „აღხუნის“ შესახებ, ადასტურებს.[7] თვითმპყრობელი მეფე თმოგვის ფლობით რეგიონში პოზიციებს იმყარებს. ვვარაუდობთ, მდგომარეობა ბაგრატ მესამის გარდაცვალების შემდეგ იცვლება – გიორგი I-ისა და ბასილი ბულგართმმუსვრელის დაპირისპირების პერიოდში. შესაძლოა, მეფის მიერ თმოგვის ერისთავად განწესებული მოხელე-დიდებული ბიზანტიასთან აშლილი ურთიერთობით მოსაგებლეობს და მამულობით იჩემებს თმოგვს, რასაც XI საუკუნის პირველი ნახევრის საისტორიო წყაროები გვიმოწმებს: „მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით, 1032 წელს ბაგრატ მეოთხის მოშულარმა ლიპარიტ ბაღვაშმა გამოიყვანა „...დემეტრე ძმა ბაგრატისი, საბერძნეთით ბერძენთა მეფისა ლაშქრითა... მოადგეს ატენს, არე-არე მოწუეს ქართლი.

და ყვეს ლიპარიტს კახნი და ბერძენნი. და ვერ წაიღეს ატენი, რამეთუ ციხეთა-უფალნი კაცნი მტკიცედ იყვნეს ერთგულებასა ზედა ბაგრატისსა, თჳნიერ ფარსმან თმოგველისა და ბეშქენ ჯაყელისა თუხარისისა ერისთავისა“.[8] ათონის ქართველთა მონასტრის, ივირონის, გიორგი მთაწმინდელის წინამძღვ-

[5] დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 219.

[6] ვ. სილოგავა. კუმურდო ტაძრის ეპიგრაფიკა. თბ. 1994, გვ. 79.

[7] სუმბატ დავითის ძე. ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა შენიშვნები და საძიებელი დაურთო გონელი არახამიამ. თბ. 1990, გვ. 53.

[8] მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1955, გვ. 298.

რობის დროინდელი (1044-1056 წწ.), ერთ-ერთი აღაპი ამბობს: „თუესა ივლისსა 8, წმიდისა პროკოპისი. აღაპად განგვიწესებია ფარსმან თმოგველისადა, ყოვლითა მოსწრაფებითა აღესრულებოდენ, რამეთუ მრავალნი წყალობანი ქმნნა ჩვენ ზედა წინაშე ბაგრატ აფხაზთა მეფისა“.[9]

ჯავახეთის XI საუკუნის რამდენიმე წარწერით ცნობილია ფარსმან ერისთავთ-ერისთავი – ზედა თმოგვის ეკლესიის სამხრეთის კარის თავზე, მის აღმოსავლეთ ნაწილში იკითხება მოსახსენებელი სამ სტრიქონად, ასომთავრული ზედწერილით: „ქრისტე შეიწყალე სული ფარსმან ერისთავთ ერისთავისა იოვანეს ძისა ჭიმჭიმელისაჲ“.[10] ფარსმან ერისთავთ-ერისთავს მოიხსენიებს სათხის (ზემო ჯავახეთი) ეკლესიის წარწერაც: „ადიდენ ღმერთმან ფარსმან ერისთავთა-ერისთავი. აღაშენა ესე ეკლესიაჲ სადიდებლად მათდა. მშობელთა მათდა სალოცველად“.[11] მირაშხნელი ბერი გიორგას წარწერა კი 1065 წელს ალფ-არსლანის შემოსევისას ახალქალაქის ბრძოლაში ფარსმან ერისთავთ-ერისთავის დაღუპვის ამბავს გვაუწყებს – „† სახელითა ღმრთისაჲთა, მე, გიორგ[ა] ხუცესმან დავწ[ერე] მას ჟამს, ოდეს გას მოვიდ[ა] [.....] ხორასანი ქალაქით.

მე, გიორგაჲ ფრიად ცოდვილს. მეწიფა მოვიდა ჯავახეთს და შეჰრისხა ყოველი ყოველს ქრისტესდა. მეტად ახალქალაქი[თ] წაიღო, ას[წყ]უიდა და ტყვედ წაი[ღო]. ყოველი მესხი აზნაური შიგან დგა. ფარსმან პირ-ექ[მ]ნ[ა] მეფეს. მოკლეს და ყოველი ასწყუიდ[ეს].

უფალო, შეუნდვენ გოჰარის ცო[დვ]ან[ი], [ა]მენ; და მირაშხნელ[თა] ყოველთა შეუნდვენ, უფალო, ამენ; [მეცა] ფრიად ცოდ[ვი]ლი მომიჴსე[ნეთ], [გიორგა] ბერი“.[12]

ფარსმანი, მოტანილი ეპიგრაფიკული მასალის თანახმად, მეფის მოხელეა ერისთავთ-ერისთავი, მთელი ჯავახეთის, ზემოსი და ქვემოსი, მმართველი, ამიტომაც გვევლინება ორივეგან ეკლესიათა და ზღუდე-ციხეთა მაშენებლად. იმავე ფარსმან ერისთავთ-ერისთავი ქართლის ცხოვრებასა და ივირონის

[9] ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა სააღაპე წიგნი. თბ. 1998, გვ. 76. ჩანაწერს ე. მეტრეველი 1044-1048 ან 1054-56 წწ. ათარიღებს.

[10] გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში. თბ. 1992, გვ. 215.

[11] ვ. სილოგავა. ერთი ეპიგრაფიკული ძეგლი თურქ-სელჩუკთა შემოსევის შესახებ XI საუკუნის საქართველოში (მირაშხნის წარწერა). კრ.: ასპინძა სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე. ახალციხე. 2000, გვ. 238.

[12] ვ. სილოგავა. ერთი ეპიგრაფიკული ძეგლი თურქ-სელჩუკთა შემოსევის შესახებ XI საუკუნის საქართველოში (მირაშხნის წარწერა), გვ. 231.

აღაპში, როგორც ვნახეთ, „თმოგველი“ ზედწოდებით მოიხსენიება, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი თმოგვსა და მის შესავალს მამულობით მესაკუთრეობს, თმოგვისა და მისი ქვეყნის უფალია და თმოგვში, როგორც ჯავახეთის ადმინისტრაციულ ცენტრში, ზის.[13]

ლიპარიტ ბაღვაშის თავგასულობას წინაღმდგომი ბაგრატ IV ახალქალაქის მშენებლობა-გაფართოებით ქალაქსა და მის „სამოქალაქოს“, პრაქტიკულად, მთელ ზემო ჯავახეთს, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, კვლავ სამეფო დომენად აქცევს. გამარჯვებული მეფის მიერ კლდეკარის ერისთავის მხარდამხარ მებრძოლი ფარსმანისთვის ჯავახეთის ერისთავის სახელოს დანარჩუნება ამ უკანასკნელის პოლიტიკური ფიგურის მნიშვნელობაზე მიგვითითებს, რასაც, ბუნებრივია, ფარსმანის თმოგველობა, თმოგვის მამულობით ფლობა აპირობებს.

ნარატიული წყაროები დუმან ფარსმან თმოგველის წარმომავლობის შესახებ, ეპიგრაფიკული მასალა, როგორც ვნახეთ, მხოლოდ ფარსმანის მამას ასახელებს – იოანე ჭიმჭიმელს. ჩვენი კულტურის ისტორია იცნობს სხვა იოანე ჭიმჭიმელსაც, ფილოსოფოსს, „ისტორიანი და აზმანის“ ავტორის მიხედვით, დემეტრე I-ის „შესხმა-მითხრობის“, ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, აწ დაკარგული, „როგორც ეტყობა დიდი ისტორიული პოემის“ ავტორს.[14] თხზულების დასასრულს თამარის მემატიანე წერს:

„იოანე იტყჳს ჭიმჭიმელი:
თუ თალი მილისეველმან სფერო შესახა შამსისი,
მან ისტრულაბსა დასცა და მიდგა დაყიყა ჯამსისი.
დავით, – ვთქუა, – ზესთა განდიდნეს, მით ჴრმალი ჴორცსა ჭამს მისი
და აქილევისებრ ძალითა მპყრობ ელადეთსა ჴამს ისი“.[15]

ფარსმანის მამა იოვანესა და ქართული კულტურის მოღვაწე ამ იოვანეს სახელიცა და ზედწოდებულებაც ერთნაირი აქვთ. მათი ჭიმჭიმელობა წარმომავლობა-სადაურობის, უკეთ, რომ ვთქვათ პუნქტის მამულობით ჭერაფლობის აღმნიშვნელია. ამ, ჩვენი აზრით, საგულისხმო ფაქტის გათვალისწი-

[13] დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 220.
[14] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. 2, გვ. 308.
[15] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. 2. თბ. 1959, გვ. 114 (ლექსი განხილული აქვს პ. ინგოროყვას და ი. ლოლაშვილს (ლიტერატურა და ხელოვნება, 1950 №35).

ნებით ეს ორი იოანე, შესაძლებელია, სახლიშვილებად მივიჩნიოთ, ჭიმჭიმის მფლობელ დიდებულთა სახლისა, სადაც სახელი იოანე ტრადიციულ საგვარეულო სახელს წარმოადგენდა. ექვთიმე თაყაიშვილი თავის „სამუსულმანო საქართველოში“ წერს: „ამ მხარეში არის კიდევ ერთი დიდი სოფელი მაღალ ზეკარზე (უღელტეხილზე), იშხანის მახლობლად (სოფელი იშხანის სამუხტაროში შემოდის), სოფელში 208 სული მცხოვრებია და ყველა ქართულად ლაპარაკობს. ამ სოფლის სახელი რუკაზე არის **ჩილჩიმი**, მაგრამ ნამდვილად მისი სახელია **ჭიმჭიმი** და მცხოვრებნიც ასე გამოთქვამენ მის სახელს. ამ სოფლის სახელი გვამცნევს, თუ საითგან წარმოსდგა სახელწოდება ცნობილის ქართველი მეცნიერის და ფილოსოფოსის იოანე ჭიმჭიმელისა, რომელიც ამდენ დავას და უჯერო განმარტებას იწვევდა მკვლევართა შორის“.[16]

მართალია, ფარსმანის მამა ჭიმჭიმელია, მაგრამ შვილი, ვფიქრობთ, თმოგვის მამულობით მფლობელი უკვე თმოგველია. საფიქრებელია, რომ ბაგრატ III-მ კლარჯ ხელმწიფეთა ნაქონები თმოგვის სამეფოდ ქცეული ციხე ჭიმჭიმელთა სახლის წევრს, სავარაუდოდ, იოანეს მომხრეობა-თანამოსაგრეობისათვის უწყალობა, რომლის მემკვიდრეც, ციხის სამამულოდ დაპატრონებისდა კვალად თმოგველად იწოდა.

ფარსმან ერისთავთერისთავის მონადევართა შესახებ ჩვენი საისტორიო წყაროები დუმან; როგორც ჩანს, უნაშენოდ გადაგებული[17] ფარსმან თმოგველით, XI საუკუნის საქართველოს თვალსაჩინო პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწით, დაესრულა პირველ თმოგველ დიდებულთა ფეოდალური სახლი მაშინ, როდესაც ჭიმჭიმელები კვლავაც აგრძელებენ ცხოვრებას.

ფარსმან თმოგველის გარდაცვალების შემდეგ თმოგვის ციხე-ქვეყანა სამეფო საკუთრებაში ჩანს, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების მისანდო და ერთგულ მოხელეთ საგამგებლოთა და საქონელად მიებოძებოდათ, მაგრამ ისინი, ვითარც მოსაკარგავენი, თმოგველებად აღარ იწოდებიან (სხვათა შორის, ესეც ფარსმან თმოგველის განსხვავებული მდგომარეობის, მის მიერ თმოგვის სამამულედ ჭერის მიმათითებელია).

ფარსმან თმოგველის შემდეგ, წყაროების მიხედვით, თმოგვის პირველ

[16] ე. თაყაიშვილი. სამუსულმანო საქართველო. წიგნ.: დაბრუნება. I. თბ. 1991, გვ. 223.

[17] ფარსმანის სავარაუდო განსასვენებლად ვ. სილოგავა ზედა თმოგვის ეკლესიას მიიჩნევს. იხ. ვ. სილოგავა. ერთი ეპიგრაფიკული ძეგლი თურქსელჩუკთა შემოსევის შესახებ XI საუკუნის საქართველოში (მირაშხნის წარწერა), გვ. 238.

მქონებელ-მოსაკარგავედ ქვაბულისძენი გვევლინებიან; 1072 წელს, როცა გიორგი II-მ განდგომილი ერისთავნი ქრთამ-საბოძვარით შემოირიგა, თმოგვი და სხვანი „საქონებელნი“ ნიანია ქვაბულისძეს ხვდა წილად. იგი კლდეკარის ერისთავის ივანე ლიპარიტის ძისა და ვარდან სვანთა ერისთავის გვერდით, როგორც დ. ბერძენიშვილი ფიქრობს, „შესაძლოა, იმდროინდელი ჯავახეთის ან მისი ერთი ნაწილის ერისთავი იყო“.[18] ნიანიას შემდეგ თმოგვი და „მიმდგომნი მისნი“ მის ძეს, კახაბერს გადაეცა. დავითის ისტორიკოსი 1089 წლის აღდგომა დღეს ასე აღწერს: „მთანი მაღალნი და კლდენი მყარნი სახედ მტუერისა დაიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნეს... რომელთა თანა თმოგვჯცა დაიქცა და დაიპყრა ქუეშე კახაბერი ძე ნიანიაჲსი ცოლითურთ“.[19] ასე ტრაგიკულად დასრულებულა ქვაბულისძეთა მფლობელობა თმოგვის ქვეყანაში. ამის შემდეგ წყაროები თმოგვისა და მისი შესავალი ქვეყნის მქონებელ ფეოდალთა ვინაობის შესახებ თითქმის საუკუნის მანძილზე არაფერს გვეუბნება. მხოლოდ თამარის ისტორიკოსის შემწეობით ვიგებთ, რომ „აზნაურისა ყმობისაგან ღმრთის მობაძაობითა კაც-ქმნილი“ აფრიდონი გიორგი III-ის წყალობით 1178 წლისათვის მსახურთუხუცესობამდე მიწევნულა და „თმოგვისა და სხუათა ციხეთა და ქუეყანათა პატრონობამდის“ აღზევებულა.[20] მისი „ნებითა და თნევითა ლაშქართათა“ მოშლისა და დამხობის შემდეგ თმოგვი ამირსპასლარ გამრეკელ თორელს გადასცემია; 1190-1191 წლიდან კი, როცა „მიიცვალა გამრეკელი ამირსპასალარი, და თმოგვისაგან კიდე არა დააკლეს შვილთა მისთა... შეიწყალეს სარგის ვარამისძე (მხარგრძელი – გ.კ.) დალოცეს და უბოძეს თმოგჯ...“.[21] თმოგვის ციხე-ქვეყნის მამულობით ჭერა სარგისისა და მის შთამომავალთათვის იმდენად ღირსაღსანიშნი გარემოება აღმოჩნდა, რომ მათს ახალ გვარწოდებულებად გაფორმდა. ასე გამოვიდნენ ისტორიის ასპარეზზე სხვა, ახალი თმოგვე-

[18] დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 220.

[19] ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზექალა შანიძემ. თბ. 1992, გვ. 164.

[20] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. 2, გვ. 30.

[21] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. 2, გვ. 55.

ლები. „უკვე სარგის I-ის დროიდან“ მხარგრძელთა ეს შტო თმოგველებად იწოდება[22] – სარგის I, თაყაიდინი, მხარგრძელი (სახელია), სარგის II. თმოგველი ფეოდალები ცნობილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეები არიან, იმდენად ცნობილნი და მორჭმულნი, რომ მათი დროშის ქვეშ თემობრივ-ქვეყნობრივ ლაშქარს გულისხმობენ ძველი მემატიანენი. თამარმა, ამბობს მატიანე, სალაშქროდ მოუხმოო „მესხთა, თორელთა, თმოგველთა, ჰერ-კახთა და სომხითართა“. ან კიდევ: „მესხნი ლაშქარნი... თორელნი, თმოგველნი და ტაოელნი“.[23] შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მატიანის „თმოგველნი“ (მის ქვეშ მოაზრებული თემობრივი ლაშქარი) ფარავს და ანაცვლებს ადრინდელ „წუნდელთ“. წუნდის დამცრობისა და თმოგვის აღზევების კვალობაზე, პრაქტიკულად, იმავე ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულიდან გამომავალ საქვეყნო-თემობრივ ლაშქარს „ქვეყნის“ ახალი ცენტრისა და საერისთავო რეზიდენციის მიხედვით შეერქვა სახელი. დ. ბერძენიშვილის შენიშვნით, „თორელთა გვერდით, თმოგველებს აქ ჯავახეთის ერთ ნაწილზე მიუწვდებოდათ ხელი. მათი მამულებიდან კონკრეტულად დასახელებული მიწები ჩანს ვანის ქვაბთა მონასტრის განგების მინაწერებში, მონასტრისათვის მათ შეუწირავთ კუერნაული ვენახი ფიაში, საგუბარი, ნაწალკოტევი ყანა მირაშხანს, ჭალა გულაური, ზედა ვარძიის მესამედი, ერთი ვენახი მილახს, ლუკაური ვენახი და სხვ.“.[24]

XII საუკუნეში წუნდის მიდამოები, თმოგვის ციხის შესავლის ნაწილი, „გურგენათ მამულად“ იწოდება და აქ ფრიად აღმშენებლობლობით საქმიანობას წევს იჩქით გურგენისძე. „სახელითა ღმრთისაჲთა, მე იჩქითმან, გურგენის ძემან, აღვაშენე ეკლესია ესე, მამული ჩუენი, სახელსა ზედა წმიდისა ნათლისმცემლისასა, სალოცველად სულისა ჩემთათვის და მშობელთა ჩემთა“, – ამბობს წუნდის ეკლესიის წარწერა. იჩქითის საქმიანობის ეს მხარე აღუნუსხავს მეზობლად მდებარე ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერებსაც – პირველი წარწერა, გ. გაფრინდაშვილის მიერ 1186-1204 წლებით დათარიღებული, ასე იკითხება: „იესო ქრისტე, ადიდე ორთავე შინა სუფევათა მეფეთა

[22] დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 221.

[23] ბასილი ეზოსმოძღვარი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. 2, გვ. 102.

[24] დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 223.

მეფე და დედოფალი თამარ, რომლისა ზე მე, იქჩით გურგენის ძემან აღვაშენე კედელი ესე და დავასვენენ ხატნი მაცხოვარისაჲ, ღმრთისმშობლისაჲ, ნათლისმცემლისაჲ, და ჯუარი წმ. სვიმეონისი, ვინცა ილოცვიდეთ, მეცა მომიხსენეთ".[25] დაბა ასპინძის რუსთაველის მუზეუმში დაცულია ვა(ჰ)ანის ქვაბებიდან მოტანილი ქვა იჩქითის ზედწარწერით, ვ. სილოგავას მიერ XII ს. დასასრულითა და XIII ს. დასაწყისით დათარიღებული – „ესე არს სამკვიდრებელი ჩუენ – გურგენათი. მე, იჩქითმან აღვაშენე. შეგჳნდვნეს ღმერთმან".[26] ცოტათი ამაზე გვიან იერუსალიმის ჯვრის მონასტერში განუწესებიათ – „თუესა ნოემბერსა კგ მასვე დღესა აღაპი იჩქითისა გურგენის ძისა შეუნდვნენ ღმერთმან".[27] აქვე, ჯვრის მონასტერში, სტოდიერი გადაუწერია (დათარიღებულია XII საუკუნით) მიქაელ გურგენისძეს, რომელიც ი. ტალახაძის ვარაუდით, რაც მოგვიანებით დ. ბერძენიშვილმაც გაიზიარა, იგივე იჩქით გურგენისძეა, იერუსალიმის ქართულ სავანეში სქემაშემოსილი.[28]

მოტანილი წარწერები ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ზუსტ და ფასეულ ინფორმაციას გვაწვდის: ა) წუნდა გურგენისძეთა სამკვიდრო „ქვეყანაა" („მამული ჩვენი"), ბ) მათ ვანის ქვაბთა მონასტერი საძვალე-„სამკვიდრებელად" უქცევიათ, გ) წარწერებით იჩქითი უშვილძირობა, ღმერთს მშობლებს ავედრებს და არაფერს ამბობს თანამეცხედრესა ან შვილებზე, დ) სტოდიერის მჩხრეკელი მიქაელ გურგენისძეც ტექსტის ანდერძში იმავე „ფორმულას" იმეორებს – ეს სულთა განმანათლებელი შრომა „სალოცველად სულისა ჩემისა და მშობელთა ჩემთა" გავწიეო. აქედან ვასკვნი, რომ იჩქითი და მიქაელი მართლაც ერთი და იგივე პიროვნებაა.

წუნდისა და ვანის ქვაბებში იჩქითის საქმიანობისას თმოგვის ციხე ჯერ, როგორც ვნახეთ, სამეფოა, ხოლო 1190-1191 წლიდან მხარგრძელთა ხელშია. ხომ უპრიანი იქნებოდა, თუნდაც საკარგავ-საგამგებლოდ ადგილობრივ, „გურგენათ" დიდებულ სახლს, თმოგვის ციხის შესავლის ნაწილის მამულობით მპყრობელს, სჭეროდა იგი? იქნებ იჩქითი გურგენისძეობით ერთ დროს თმოგვის ციხეში პყრობილი და გარდაცვლილი გურგენ „კლარჯის"

[25] გ. გაფრინდაშვილი. ვანის ქვაბის განძი. ძეგლის მეგობარი. № 6. 1966, გვ. 8.
[26] ვ. სილოგავა. იჩქით გურგენიძის სამი წარწერა. ნერგი. № 1-7. 1994, გვ. 2.
[27] ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიიდან. თბ. 1962, გვ. 86.
[28] ი. ტალახაძე. ვაჰანის ქვაბთა მონასტრის პერსონოლოგიისათვის. ონომასტიკური ძიებანი. № 1. ახალციხე. 1995; დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები, გვ. 222.

ჩამომავალია? ასეთი დაშვების შემთხვევაში გასაგები ხდება სამეფო კარის სიფრთხილე, შესაბამისად, თმოგვზე გურგენისძეთა „ხელმიუწვდომლობის“ ისტორიული საფუძველი, მაგრამ ეს ცალკე მსჯელობის საგანია. როგორც უნდა იყოს, ისინი თმოგვის შესავლის ერთი ნაწილის „მამულობით“ მფლობელნი არიან, მაგრამ უკვე XII საუკუნის ბოლოსათვის მათი სამამულო მოშლილა, იჩქითი არც წუნდაში და არც ვანის ქვაბებში არა ჩანს, იგი შემონაზვნებული, სავარაუდოდ, უმონაგროდ გადაეგო. ამით საბოლოოდ ამოვარდა გურგენიძეთა სახლი და „მამული გურგენათი“, როგორც ბეითალმანი, სამეფო მფლობელობაში ჩაირიცხა – თამარის მეფობის მეოცე წელს (1204 წ.) ვაჰანის ქვაბებში ზღუდის გამაგრებას ანტონ კათალიკოსი ხელმძღვანელობს.

რაც შეეხება თმოგველ დიდებულთა მორჭმულ სახლს, მისი დაკნინება XIII საუკუნის ბოლოდან ბექა ჯაყელის მიერ ჯავახეთის დაპყრობით იწყება. 1308 წლით დათარიღებულ ჯავახეთის სოფელ იხტილას ეკლესიის წარწერაში უკვე ამ გვარის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი, თმოგველთა ქალი რუსუდანი, ცოლი ქვეშელი ლიპარიტისა, იხსენიება: „ქ. გათავდა ქვეშელისა ლიპარიტის ცოლისა და თმოგველთა ქალისა რუსუდანისაგან, შეუნდვენ ღმერთმან. ქორონიკონი იყო ფკ. მურვანისა ძესა იოვანეს შეუნდვენ ღმერთმა. ქ. ბაღათურსა და მისსა შვილსა გიორგის შეუნდვენ ღმერთმან“.[29] ვ. ცისკარიშვილმა გაარკვია, რომ ქვეშელი ლიპარიტი თორელთა სახლის შვილია, თორელები კი ქვეშის მფლობელებად ადრიდანვე ჩანან.[30] თმოგველი

[29] ვ. ცისკარიშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. თბ. 1959, გვ. 94.

[30] ბაგრატ VI-ის 1468 წლის სიგელი ჯავახიშვილებისადმი: „მოვიდეს წინაშე ჩვენსა ჩვენნი დიდათ ერთგულნი და ჩვენისა მორ(ჭ)უმისა და გადიდებისათვის დღე და ღამე მომჭირნე-მოცადენი ჯავახისშვილნი: ზაქარია, კახა და ზაზა და გვიაჯნეს და მოგვახსენეს, რათამცა ერთგულობისა მათისა სამუქბოდ სიგელითა ამითა შევიწყალე და ძველნი სიგელნიცა უნახეთ თამარ მეფისაგან და სხვათა ჩვენთა გვართა და ჩამომავალთაგან სამკვიდროდ ბოძებული. და ახლადვე დიდი ფასი და საქონელი გამოიღეს და მათივ მკვიდრი მამული მათივე ალალითა საქონლითა მათვე მივჰყიდეთ და დაუმტკიცეთ – სომხითს ქვეში, ციხითა, ბაჟითა და მისითა მიდგომითა“. ამ სიგელით ჩანს, რომ ჯავახიშვილები თორელობით, თორელთა სახლის შვილობის გამო, თამარის დროიდანვე ფლობდნენ ქვეშს. ჰამამლუს წარწერის („ადიდენ ღმერთმან მეფეთა მეფე თამარ, ერისთავი კახა“) დამდებ ერისთავს დ. ბერძენიშვილი თორელად თვლის. მისივე დასკვნით, „ქვეშისციხე და ხევი მათ დიდხანს შეინარჩუნეს, რისთვისაც თორელთა ამ შტოს ქვეშელები ეწოდა“ (დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 98).

რუსუდანი თედო ჟორდანიას XIII საუკუნის შუა წლების მოღვაწე სარგის თმოგველის ასულად მიაჩნია, რასაც ბოლომდე არ იზიარებს ცისკარიშვილი იმ არგუმენტით. რომ სარგისსა და რუსუდანს ქრონოლოგიურად დიდი დრო, დაახლოებით ნახევარი საუკუნე, აშორებს, თუმცა თვლის, რომ „ეს შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, სავსებით გამორიცხული არ არის“.[31]

იხტილას ეკლესიის ამ წარწერას რამდენიმე წლით უსწრებს თმოგვის ციხის წმ. მარინეს ეკლესიის წარწერა: „სახელითა ღვთისაჲთა... დაბადებულთაგან მიუცთომელი შენსა მიუცთომლობასა და ძალსა შემოქმედსა ... მიუცთომლად შეცოდებული, დაბადებული შენი სამინამ, რომლისათუის არა ვინ არს ხელისაბყრობელი თუინიერ შენ ღვთაებისაგან კიდე, წმიდაო მარინა, მადლისა მას საღვთოისა, რომლისათუისა სისხლნი დასთხიენ, სახელსა შენსა ზედა აღმიშენებია ესე მცირე ეკლესიაჲ მონასა შენსა სამინამს, მეოხ მეყავ ორთავე შინა ცხოვრებასა. აღეშენა ესე ეკლესიაჲ ქორონიკონსა ფკგ, ხელმწიფობასა ყაზანისასა და მეფობასა დავითისასა, ამენ“. წარწერა, როგორც ვხედავთ, თარიღიანია, დასახელებული ქორონიკონი (ფკგ) 1303 წელს გვაძლევს.[32] მოხსენიებული ისტორიული პირების ქრონოლოგია ასეთია: ჰულაგუიანი ყაენი ყაზანი 1295-1304 წლებში მართავდა საილხანოს, ქართველი მეფე დემეტრე II თავდადებულის ძე დავით VIII (1293-1311) არის; წარწერის დამდებ სამინამის პიროვნება კი სხვა წყაროებით უცნობია, ამდენად, მის სახლისშვილობაზე ვერაფერს ვიტყვით, უეჭველად ერთია, სამინამი თმოგველი არაა, იგი აქ მას შემდეგ ჩანს, რაც XIV საუკუნიდან თმოგვი თმოგველთაგან „დაობლდა“.[33] რაც შეეხება დავით დემეტრეს ძეს, როგორც ცნობილია, 1297 წელს ყაზან ყაენის ოპოზიციაში აღმოჩნდა, ამიტომ ყაენმა მას ძმა ვახტანგი დაუპირისპირა, წარწერის შესრულების დროისათვის საქართველოს მეფის ტიტულს იგი ფლობდა. ამდენად, მოსალოდნელი იყო სამინამს,

[31] ვ. ცისკარიშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 96.

[32] გ. გაფრინდაშვილი. თმოგვის გუმბათიანი ეკლესიის 1303 წლის საამშენებლო წარწერა. კრ.: მესხეთი. ისტორია და თანამედროვეობა. ახალციხე. 2000, გვ. 25-27.

[33] ვაჰანის ქვაბთა ტიპიკონის XIV-XV საუკუნეების ორი მინაწერი იცნობს „თმოგუწლისა ჩაისრისა ასულ გულშარს“, რომელსაც „დამიდვეს აღაპი მამისა ჩემისათ ს.....და დედისა ჩუენისათ ს...მელანიასა და ჩემისა შვილისათჳს აღაპი ხავროზისათჳს“. თმოგველები მხარეში აღარ არიან. მათი ასული, ჯავახეთში გათხოვილი, მონასტერს სწირავს მამულებს (ი. ტალახაძე. ვაჰანის ქვაბთა განგება, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა. თბ. 2009, გვ. 97).

ყაენის უზენაეს მბრძანებლად ამღიარებელ ქტიტორს, ყაზანის ხელდასხმული და მისანდო, ასე ვოქვათ, ქვეყნის ფორმალური მმართველი მეფე ვახტანგ III დაესახელებინა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამბოხებულ დავითს ყაენმა 1302 წელს შემოსარიგებლად ჯავახეთი გადასცა, იგი აქ, ზემო ჯავახეთში, ქართველ მეფეთა ოდინდელ რეზიდენციაში, ალასტანში, გამაგრდა, ამით სათავე დაედო ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ შტოს. დავით ალასტანელის საგამეგოში დანარჩენ ჯავახეთთან, ცხადია, თმოგვის ქვეყანაც ერთიანდებოდა; დავითი ჯავახეთის „მეფეა“, თმოგვი „სამეფო“ ციხე და სამინამი, ალბათ, მისი მოხელე, თმოგვის ციხისთავი, თუმცა, როგორც ითქვა, წყაროები დუმან მისი ჩამომავლობის თაობაზე.

XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე გვაქვს გარკვეული ინფორმაცია თმოგვისა და მისი შესავალის მეპატრონეთა ვინაობის შესახებ. 1953 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა, შ. ხანთაძემ, გ. ჯამბურიამ და ნ. შოშიაშვილმა, თმოგვის ციხეზე მიაკვლიეს ასომთავრულთარიღიან წარწერას, რომელიც წარწერისვე ქრონიკონით უცთომლად თარიღდება 1350 წლით: „შეწევნითა და ძლიერებითა ვარძიის ღვთიშობლისაჲთა, ქრონიკონსა ლ̃Თ დავიწყე ზღუდე ესე მე მეფეთ-მეფის დავითის ვარძიელმა საწოლის მწიგნობარმა, თმოგუს მურვან კჳითხაის ძემან. თეოდორე დადგა“.[34] წარწერის დავით მეფეთ-მეფე გიორგი ბრწყინვალის ძე დავით IX (1346-1360) – მისი ამ ტიტულით მოხსენიება მაუწყებელია იმისა, რომ 1. ჯავახეთზე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია ფორმალურად მაინც აღდგენილია[35] და 2. თმოგვი შესავლითურთ ისევ სამეფო ხელისუფლებისად იგულვება, რომელსაც მეფის მოხელე (ვარძიელი საწოლის მწიგნობარი) განაგებს.

ვინ არის მურვან კჳთხაის ძე?

მურვანი სახელი რეგიონის, თითქმის თმოგვის წარწერის თანადროული სხვა წყაროთიცაა ჩვენამდე მოღწეული. ვაჰანის მონასტრის განგება, უფრო ზუსტად, მისი რამდენიმე მინაწერი იცნობს ამ სახელის მატარებელთ, რომელებიც, დოკუმენტის მიხედვით, „ღარიბაის ძენი“ არიან; ტიპიკონის 1393 წლის მინაწერში, მაგალითად, ვკითხულობთ: „მე მურვან ღარიბას ძე, რა-

[34] ვ. ცისკარიშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 107.

[35] იხ.: ბახტაძე, ჯაყელთა საგვარეულოს ისტორია XI-XV საუკუნეებში. თბ. 2008.

მეთუ უკვიდრო ვიყავ ცოდვათა ჩემთა სიმრავლისაგან... ჩემისა ძისა ღარიბა არსლანისთვის...“. მინაწერებში ამ სახლის სხვა წარმომადგენლებიც არიან დასახელებულნი: საგია და ინდუსტარი, მათი მეუღლეები, მამადედა და დუნიაი, და შვილები – ქავთარელა და ფოცხუერი.

ვ. ცისკარიშვილმა იმაზე დაყრდნობით, რომ „...თმოგვის ზღუდის ამშენებლის სახელი უდგება იმავე პერიოდში ვაჰანის მონასტრის მფლობელთა საგვარეულო სახელს“ თმოგვის მაშენებელი მურვანი ვაჰანის მონასტრის განგების მინაწერებით ცნობილ „ღარიბაის ძეთა“ საგვარეულოს მიაკუთვნა, ხოლო ღარიბასძენი, „რადგან ჯაყელებში ხშირად გვხვდება სახელი მურვანი,“ ჯაყელთა შტო-განაყოფად ივარაუდა.[36] მურვან კჯითხაის ძის ღარიბასძეთა სახლის წევრობის შესახებ მოსაზრება გაიზიარა დ. ბერძენიშვილმაც.[37] ი. ტალახაძე, მიუხედავად სახელთა იდენტობისა, თმოგვის წარწერის მურმანსა და ტიპიკონის მინაწერის მურვანს სხვადასხვა პიროვნებებად თვლის და, შესაბამისად, სხადასხვა სახლის შვილებად მიიჩნევს მათ: „XIV საუკუნისათვის თმოგვს უკვე კჯითხისძეები ფლობენ, ხოლო ვანის ქვაბთა ბატონებად უხვად შემწირველი ღარიბასძეები ჩანან“.[38] ჩვენ ამ უკანასკნელი ვარაუდისაკენ ვიხრებითი შემდეგი არგუმენტების გამო: კჯითხისძე 1350 წლის წყაროთი დადასტურებული გვარწოდებაა, ღარიბაისძეთა შესახებ ინფორმაციას კი ოთხი ათეული წლის შემდგომი წაყროდან ვიგებთ. თუ მურვან კჯითხისძეს ღარიბაისძეთა სახლის შვილად მივიჩნევთ, მაშინ უნდა დავუშვათ ამ ფეოდალურ სახლში სახელი (მეტსახელი) კჯითხი//კჯითხა-ს არსებობა, რომელმაც ღარიბასძეთა ახალი შტო, შესაბამისად, სხვა გვარწოდებულობის მქონე – კჯითხისძე-დააფუძნა, ასეთი რამ კი საამდროოდ მეცნიერულ მიმოქცევაში არსებული მასალებით არ დასტურდება. ხშირად ყოფილა, ერთი ფეოდალური სახლის მემკვიდრე და მონაცვლე ახალ საგვარეულოში წინაპართა გვარწოდებულება საკუთარ სახელად გაფორმებულა და ასე დაუმკვიდრნია თავი (მაგ. მხარგრძელი თმოგველი; ოთარი შალიკაშვილი). ჩვენს შემთხვევაში არც ასეთი ფორმით დასტურდება ამ ორი გვარის სისხლისმიერი მოდგამობა-მემკვიდრეობა; ტიპიკონის მინაწერებში, ზემორე ეს ითქვა, ფიგურირებს მურ-

[36] ვ. ცისკარიშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 108.
[37] დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 224.
[38] ი. ტალახაძე. ვაჰანის ქვაბთა განგება, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, გვ. 97.

ვან ღარიბას ძე და მისი შვილი ღარიბა არსლანი, „ღარიბასძის სძალნი“ მა-
მა-დედა და დუნია, მათი შვილები, ქავთარელა და ფოცხვერი, და მინაწერის
შესრულების მომენტისათვის უკვე გარდაცვლილი მეუღლეები, ღარიბასძენი
საგია და ინდუსტარი. ამდენად, გვეეჭვება, რომ ამ ორ მურვანს, თმოგვის
წარწერისა და ვაჰანის ქვაბთა განგების მინაწერებისა, ერთმანეთთან გვა-
რიშვილობა აკავშირებდეს; როგორცა ჩანს, კუთხისძე მხოლოდ სამეფო ციხე-
თმოგვის მფლობელია, ხოლო ღარიბასძენი – იქვე, მტკვარგაღმა ვანის მო-
ნასტრისა და თმოგვის შესავალის სხვა მიწა-მამულებისა. ჩვენ არც ღარიბას-
ძეთა ჯაყელთა სახლისაგან წარმომავლობის აზრს ვიწყნარებთ მხოლოდ იმ
საბუთით, რომ „ჯაყელებში ხშირად გვხვდება სახელი მურვანი“ (ვ. ცისკა-
რიშვილი); ჯაყელთა საგვარეულოს სათავესთან, ქართულ ისტორიოგრაფიის
დღევანდელი მონაცემებთ, როგორც ცნობილია, ახალ ჩორჩანელთა ფეოდა-
ლური სახლი დგას, მირიან ბაჰლაუნდის ძენი სულა და ბეშქენი; მათი მონა-
დევარნი ემემკვიდრებიან სამცხეს – ციხისჯვარ-ასპინძის ხევს, ჯაყისწყლის,
ფოცხოვისა და ურავლისწყლის ხეობებს. ძველ მატიანეთა ფურცლებს პირ-
ველ ჯაყელად ამ ბეშქენის შთამომავალი თუხარისის ერისთავი ბეშქენი შე-
მორჩენია, მონადევრად მურვანია დასახელებული, სავარაუდოდ – ბეშქენის
ძე, ერისთავი ყველისა, რომელიც ჯაყელთა ამ შტო-განშტოების სამემკვიდ-
რეო სახელის „დამწესებელია“; ჩვენს ისტორიოგრაფიაში მიღებულია, რომ
ჯაყელების ეს განაყოფი, ბეშქენ ჩორჩანელისაგან მომდინარე, ყუთლუ-არსლა-
ნით დაესრულა XII საუკუნის დასასრულს; მსგავსადვე, ბეშქენიდანვე გამომა-
ვალი ბოცოსძე ჯაყელთა სახლიშვილობა შეწყდა XIII საუკუნის 60-იან
წლებში. საბოლოოდ, გვარ-წოდება ჯაყელი მირიან ბაჰლაუნდის შვილის სუ-
ლას მოდგმას შერჩა, ცნობილი სულა კალმახის ერისთავის (XI საუკუნის
შუა ხანები) მემკვიდრეებს, ივანე-ყვარყვარე ციხისჯვარელ-ჯაყელის სახლის
შთამომავალთ, ისტორიოგრაფიაში „ახალ ჯაყელებად“ წოდებულთ. ამ საგვა-
რეულოში კი სახელი მურვანის მქონე პირი წყაროებისათვის უცნობია,[39] ისე-
ვე როგორც არ ვიცნობთ ღარიბა სახელის (მეტსახელის) მატარებელ პირს,
სავარაუდოდ, ღარიბასძეთა გვარის დამდებს. ამდენად, სავსებით სარწმუნოა,
რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მურვანი სახელის რეგიონში ფართოდ გავ-
რცელებასთან გვაქვს საქმე. განგების მინაწერებში მოხსენიებულია პატრონ
ივანე ათაბაგ-ამირსპასალარი (1391-1444 წწ.); რამდენიმე მინაწერში პატრო-
ნი ყუარყუარე, თანამეცხედრე მისი ანა და შვილნი მათნი – მზეჭაბუკი და

[39] მ. ბახტაძე. ჯაყელთა საგვარეულოს ისტორია XI-XV საუკუნეებში, გვ. 78.

ქაიხოსრო. ი. ტალახაძე თვლის, მინაწერი ეკუთვნის ათაბაგ ყუარყუარე III-ს (ათაბაგობდა 1515-1535 წლებში), რომლის უმცროსი ძე ქაიხოსრო ათაბაგად გვხვდება 1545-1573 წლებში.[40] ვაჰანის ქვაბთა მონასტრისადმი შეწირულობანი გაუღია ამ ქაიხოსრო ათაბაგის მემკვიდრე ყვარყვარე IV-საც: „...შეიწირე მცირე ესე ძღვენი მე ათაბაგისა ყუარყუარესათჳს და მანუჩარისათჳს და ძისა ჩემისა ქაიხოსროსთჳს და თუალშვენიერისათჳს სადღეგრძელოდ და საჴსრად სულისა ჩუენისა“. მკვლევრები თვლიან, რომ საბუთი შესრულებული უნდა იყოს 1574-78 წლებს შორის, მანამ, სანამ ძმებს ყუარყუარესა და ქაიხოსროს შორის შუღლი ჩამოვარდებოდა.[41] ჯავახეთში ჯაყელთა სახლის მფლობელობის გაფართოება და განმტკიცება სხვა რიგის პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებთან ერთად იწვევდა ცვლილებებს რეგიონის სოციალურ სტრატიგრაფიაში, რის შედეგადაც ბევრი ძველი, ტრადიციული არისტოკრატული საგვარეულო დაემცრო და დაკნინდა ან, სულაც, გაქრა ისტორიის ასპარეზიდან, რაც, რასაკვირველია, სტაბილურ ვითარებაში ვერ ჩაივლიდა. აშკარაა, თმოგვის ქვეყნის ერთიანობა ამ პერიოდისათვის ირღვევა, ქვეყანა ნაწილდება სხვადასხვა, ახალნერგ სახლებს შორის, რომელთა რიცხვი XIII საუკუნის მიწურულიდან მატულობს.

ვაჰანის მონასტრის ტიპიკონის რამდენიმე, XIII-XIV საუკუნეების მიჯნის მინაწერი რჩეულასძეთა დაწერილს წარმოადგენს – „...ამათ ყოველთა წმიდათა შუამდგომლობითაჲ შევსწირეთ და მოგაჴსენეთ წმიდასა მთავარმოწამესა გიორგის ვანისქუაბთა ბატონმან როსტევან და ჩემთა ძმათა თაყაჲ და ვასარსი(?) და შანშე და ჩემთა შვილთა ვახტანგ და ზავრად...“; მეორე მინაწერში (XIV საუკუნის დასაწყისი) ვანის ქვაბთა „ბატონ როსტევანი“ უკვე გვარწოდებულობასაც გვიმხელს: „...დაგიწერეთ და მოგაჴსენეთ... ჩუენ რჩეულასძეთა როსტევან და ჩუჱნთა შვილთა ვახტანგ, ზევრად და ხივრო...“; ორივე დაწერილის ავტორი, როგორც ვხედავთ, ერთი და იგივე პირია და ქრონოლოგიურადაც ეს მინაწერები საკმაოდ ახლოს დგას ერთმანეთთან.[42] არსებობს კიდევ ერთი დაწერილი, ამჯერად რჩეულაშვილების მიერ შესრულებული, რომელსაც XV საუკუნეს განაკუთვნებენ მკვლევრები: „...გკადრეთ

[40] ი. ტალახაძე. ვაჰანის ქვაბთა განგება, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, გვ. 99.
[41] ი. ტალახაძე. ვაჰანის ქვაბთა განგება, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, გვ. 100.
[42] ი. ტალახაძე. ვაჰანის ქვაბთა განგება, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, გვ. 94.

და მოგაჴსენეთ და შემოგწირეთ ჩუᲩნ, რჩეულაშვილთა ენუქ და ალფეზ...“. მიჩნეულია, რომ რჩეულასძე და რჩეულაშვილი „სემანტიკურად ტოლფარდი პარალელური ფორმებია“, თუმცა ძე-თი წარმოება გვარწოდებულებისა უფრო არქაულ იერს ატარებს.[43] რჩეულაშვილები ოლადასა და ვანის ქვაბებს შორის ავრცელებენ სამამულო მფლობელობას.[44]

არსებობს ერთი მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტი – „ქ. წ~დისა და ცათა მობაძავისა კათოლიკე სამოციქულოსა საპატრიარქოსა მცხეთისა ეკლესიისა ძუელითგან საქონებელნი და სამწყსონი სამცხეს თავადნი და სოფელნი“ – 1516 წლის ახლოს შედგენილი სავსებით განსაზღვრული მოტივითა და მიზანდასახულებით, რომელიც ზემორე აღნიშნული სოციალური ტრანსფორმაციისა და ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში თმოგვის ოდესღაც ერთიანი, ქვეყნის მემამულე ფეოდალთა ვინაობის შესახებაც პირველხარისხოვან, მეტყველ ცნობებს გვაწვდის;

საბუთში ვკითხულობთ:

„...12. ხერთვისარნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა ქამქამისძისა ეულზედა არიან, ამატაკიანთ აქუს.

13. თმოგუელნი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა შალიკაშვილთა ელისბაალს და იოთამს აქუს.

14. ბულღადარას შვილნი სასაფლაოთი, მონასტრითა და კარის ეკლესიითა რჩეულანთა და ფროდიანთა აქუს“.[45]

მოტანილი ამონაწერის ანალიზით შევძლებთ დავასკვნათ:

ა) საბუთის შედგენის დროისათვის ხერთვისი შესავლითურთ (ციხე, საძვალე-მონასტერი, კარის ეკლესია – მამულობის ე.ი. მემკვიდრეობითი ფლობის სრული ატრიბუტიკა) ამატაკიშვილებს ჰკუთვნებიათ, „ქამქამიძისა ეულზედა მსხდომთ“.

სარგის კაკაბაძე, მის კვალზე შოთა ლომსაძე, ხერთვისის თავდაპირველ მფლობელად (საბუთის მონაცემებით) ქამქამიძეებს მიიჩნევს, რომელთა ეულზე ჯერ მოსულან ხერთვისარნი, შემდგომად კი ამატაკიშვილები.[46] ვფიქ-

[43] ი. ტალახაძე. ვაჰანის ქვაბთა განგება, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, გვ. 95.

[44] დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 111.

[45] ქ. შარაშიძე. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს). თბ. 1961, გვ. 34.

[46] შდრ. ს. კაკაბაძე. კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ. თფ. 1920, გვ. 10-11; შ. ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი. თბ. 1975, გვ. 480.

რობთ, წყაროს კონტექსტი, მით უმეტეს, აწმყო დროის ფორმით გამართვა ტექსტისა, უფრო იმის მიმანიშნებელია, რომ ქამქამიძეთაგან დაობლებულ ხერთვისართა სამკვიდროს ამატაკიანთი დამკვიდრებიან, ხოლო ხერთვისარნი ციხისა და მისი მიმდგომის უწინარეს მფლობელებად გამოიყურებიან. თავისი სემანტიკით „ხერთვისარი“ სამოხელეო შინაარსის მატარებელი ტერმინი ჩანს, ცენტრალური ხელისუფლების მოხელე-ციხისთავის ტიტულატურა, მოგვიანებით ხერთვისის ქვეყნის ჩამოყალიბებისა და ციხის უფლის მიერ მისი მამულობით ჭერა-მეპატრონეობის შესაბამისად სოციალურ შინაარსს გამოცვლილი, უკვე ხერთვისისა და მისი შესავლის მფლობელ-მქონებელთა გვარწოდებულებად გარდაქმნილი (მსგავსი ტრანსფორმაცია გვარწოდებულებად ქცევამდე უნდა განეცადა სლესარი, ოთარი და სხვა ტერმინებსაც). ხერთვისარ დიდებულთა ფუძესახლის შესახებ, სამწუხაროდ, არავითარი ინფორმაცია არ მოგვეძებნება. საანალიზო საბუთი მხოლოდ იმას გვაუწყებს, რომ მათი სამკვიდრო ქამქამიძეთა მამულად ქცეულა, გამოცანად რჩება როგორ და რა ვითარებაში, თუმცა ამ უკანასკნელთ სხვა წყაროც იცნობს.

ხერთვისის ციხის კარის თავზე არსებულა წარწერა, რომელიც მარი ბროსეს დიუბუასეული ჩანახატის საფუძველზე გაუშიფრავს, საბოლოოდ კი, ე. თაყაიშვილს ბროსესეული „მასალის საფუძველზე“ ასე ამოუკითხავს: „სახელითა ღვთისათა, ოხითა და შეწევნითა წმიდისა მშობელისა ღვთისათა, მინდობითა წმიდისა იოანე მახარობელისათა, ვიწყე მეფეთ-მეფისა მოლარეთ-უხუცესმა ზაქარია, ძემან ქამქამისშვილისამან, ოფელმან კოშკი და გალავანი ესე ქრონიკონსა მბ და გავათავეთ მდ. ღმერთო... გულხინე, ამინ“.[47] წარწერის ქორონიკონის მიხედვით ზაქარია ქამქამისშვილი მეფე დავით IX-ის მოლარეთუხუცესია, რომელსაც მშენებლობა წამოუწყია 1354 წელს და 1356 წელს გაუსრულებია. ცისკარიშვილის აზრით, „ქამქამისშვილის ძის, ზაქარიას მიერ ხერთვისში კოშკისა და გალავნის აშენება იმისი მაჩვენებელია, რომ იგი ადგილობრივი ფეოდალია“.[48] მიგვაჩნია, რომ ხერთვისი ჯერ კიდევ სამეფო ციხეა, რომელიც ერთგულ მოხელეს სამფლობელოდ ჰკუთვნებია, რაზეც ტექსტში ზაქარიას სადაურობის აღნიშვნა მიგვანიშნებს. „ოფი“, აკად. მ. ბროსეს თქმით, გეოგრაფიული პუნქტია შავი ზღვის ნაპირზე, ტრაპიზონის მახლობლად, ხოლო სახელი „ქამქამი“ სვანეთის ერთ წარწერაში იხსენიე-

[47] ვ. ცისკარიშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 111.
[48] ვ. ცისკარიშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 112.

ბა“.[49] ზაქარია რომ ხერთვისის მამულობით მფლობელი ყოფილიყო, თავს უთუოდ ხერთვისარად მოიხსენიებდა, მაგრამ იგი ოფელია, ოფის მამულობით მფლობი. როდის დაიმკვიდრა, და რომ ასე მოხდა, ამას მოტანილი საბუთი ამოწმებს, მის მონაგრად ხერთვისი, არ ჩანს. ისტორია ხერთვისის ქამქამიძეთაგან ეულად დარჩომის მიზეზზეც დუმს; წარწერის შესრულებიდან თითქმის საუკუნე-ნახევრის შემდეგ შედგენილი „მცხეთის ეკლესიის საქონებელთა“ ნუსხის მიხედვით მხოლოდ იმას ვიგებთ, რომ მათ სამკვიდროს ამატაკიშვილები დაჰპატრონებიან.[50]

ბ) ღარიბაძეთა შემდეგ თუ მათსავე გვერდით თმოგვის შესავალის ნაწილის მეპატრონეობა ბულღადარასშვილებს დაუჩემებიათ; ბულღადარასშვილები კი ფროდიანთა და რჩეულანთ (რჩეულაშვილებს) უთმობენ ცხოვრების სარბიელს.

გ) დაბოლოს, თმოგვის ციხე-შესავალს (მის მეტ ნაწილს, სხვა წყაროებით ჩანს, ნიალითურთ) სასაფლაოთა, მონასტრითა (იგულისხმება ვანის მონასტერი) და კარის ეკლესიით შალიკაშვილები, ელისბაალი და იოთამი, ემამულებიან.

როგორც დავინახეთ, თმოგვის ქვეყნის ერთიანობა საფუძვლიანადაა დარღვეული, მთელი ქვემო ჯავახეთი (ოდესღაც წუნდის ქვეყანა) სხვადასხვა ფეოდალურ გვარს დაუმკვიდრებია – კვითხისძე, ღარიბასძე, ქამქამისშვილი (ქამქამისძე), ამატაკისშვილი, რჩეულაძე-რჩეულაშვილი, ბულღადარაშვილი, შალიკაშვილი და ბოლოს – ჯაყელები. ასეთი ვითარებაში ატყდა „შინაური ომი“ საათაბაგოში, „რომელმაც ღია კარები დაახვედრა მტერს“. შეთქმულება ჯაყელთა სახლის წინააღმდეგ 1576 წელს დაიწყო და „ბატონების“ საპასუხო მოქმედება მის დასაცხრომად 1578 წლამდის გრძელდებოდა და დამთავრებული არ იყო ხსენებული წლის თებერვალში, როცა „ოთმანიანი რვაათასი

[49] ვ. ცისკარიშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 112.

[50] ხერთვისის წარწერაზე დაყრდნობით ვ. ცისკარიშვილმა „სამცხის მიერ მონღოლთაგან ხასობის მიღების შემდეგ (1266 წელი), საქართველოს სამეფოსთან მისი დამოკიდებულების“ საკითხსაც მიაქცია ყურადღება და აღნიშნა, რომ „სამცხის მთავრები ფორმალურად მაინც არიან მეფის ვასალები და, ამდენად, მათი მოხელეობაც სავსებით რეალურია“ (ვ. ცისკარიშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 115). ვთვლით, კვითხისძისა და ქამქამისძის შემთხვევები ამის დასტურად არასაკმარისია, ვინაიდან ორივე შემთხვევაში ჯავახეთის ეს ნაწილი, როგორც ჩანს, ჯერ დავით ალასტანელს, პროვინციის მეფესა და შემდეგ დავით IX-ს ემორჩილება.

კაცი“ თავს დაესხა ყარახანს და ამით განახლდა ოსმალებისა და ყიზილბაშების მორიგი შეტაკება ამიერკავკასიის დაუფლებისათვის“.[51] ირან-ოსმალეთის ამ ომს ოსმალთა მიერ სამცხის სრული ინკორპორაცია და, შესაბამისად, „ქართველობის“, ანუ ქართული სოციალ-ეკონომიკური და უფლებრივ-პოლიტიკური სისტემის მოშლა და მის წილ „ოსმალობის“ დანერგვა მოჰყვა, რამაც, ბუნებრივია, მთლიანად შეცვალა არათუ ტრადიციული ფეოდალური მიწისმფლობელობის სისტემა, არამედ წარჩინებული ფეოდალური სახლების ისტორიული განვითარებაც.

[51] ქ. შარაშიძე. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), გვ. 155.

Guram Kutaladze

ABOUT THE IDENTITY OF KVEMO (LOWER) JAVAKHETI OWNERS

Summary

As we know Tsunda dukedom (saeristavo) comprised Kola-Artaani along with Javakheti in the south-west of Georgia. Approximately from 9th century as a result of the disintegration of Tsunda "country" (Tsunda dukedom) new administrative districts had emerged in Kvemo (Lower) Javakheti. The large district, "Country" of Tmogvi (Tmogvi and its surroundings) was established in the canyon of the Mtkvari and the waters of Tavpharavani from Khertvisi to Mgeltsikhe, which comprised Niala-Buzmareti as well.

As a result of its strategic importance, from the times of the reign of Bagrat III (978-1014), the "country" of Tmogvi was the royal domain, however later it had become the feudal estate of Tmogveli noble house. After the death of the duke of dukes (eristavt-eristavi) Pharsman Tmogveli, probably, Tmogvi and its surroundings again became the royal domain, and the royal officials from Kvabulisdze noble family, Niania and his son, Kakhaber who died in 1089 on the Eastern day after the earthquake in Tmogvi, had become the beneficiaries of this land. Later, during the reign of Giorgi III (1156-1184), Tmogvi was governed by the msakhurtukhutsesi (head of the royal household) Aphridon and later this land was bestowed to Gamrekel Toreli. From 1190-1191 Tmogvi was the fief of the Tmogveli family, a branch of the Mkhargrdzeli family. At the same time the lands of Tsunda and Vani Caves were the fief of Gurgenisdze feudal family, but after their extinction their fief again became the royal domain (beginning of the 13th century). From the beginning of 14th century Tmogveli family is absent from Kvemo (Lower) Javakheti. As a result of political and sicio-economic events, the region had disintegrated further, from the late 13th-early 14th centuries the royal domain was diminished and a number of noble feudal families with their paternal estates had emerged on its place. Before the Ottoman conquest, the feudal lords of Kvemo (Lower) Javakheti were as follows: Jakeli, Shalikashvili, Rcheulashvili, Burghadarashvili, Amatakishvili, etc.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VIII
თბილისი. 2013-2014

მამუკა წურწუმია

XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები *ნიკორწმიდელის დაწერილის* მიხედვით)

ფასებს დიდი მნიშვნელობა აქვს თანადროული საზოგადოების სოციალური თუ ეკონომიკური რეალიების აღსადგენად. ფასების დადგენა შუა საუკუნეების საქართველოში საკმაო სიძნელეს აწყდება, რისი მიზეზიც წყაროების მონაცემთა სიმწირეა. ამ მხრივ, მრავალფეროვანი მონაცემების წყალობით, იშვიათი გამონაკლისია *ნიკორწმიდელის დაწერილი*, რომელიც XI საუკუნის მეორე ნახევარშია შედგენილი რაჭის ნიკორწმინდის მონასტრის უცნობი წინამძღვრის მიერ და მისი საქმიანობის ერთგვარი შეჯამებაა. *ნიკორწმიდელის დაწერილი* წარმოადგენს ანგარიშგებას, რომელშიც ჩამოთვლილია ყიდვის, შეწირვის, მშენებლობის და სხვ. თითქმის ოთხმოცამდე აქტი, რომლებიც იძლევიან მდიდარ მასალას მოცემული ეპოქის სოციალ-ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად. მათგან ორმოცდაორი საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ფასებზე XI საუკუნის საქართველოში.

ნიკორწმიდელის დაწერილი საფუძვლიანად შეისწავლა და გამოსცა მამისა ბერძნიშვილმა,[1] რომლის ძირითადი დებულებები (საბუთის დათარიღება, სოციალური მდგომარეობა და სხვ.), გარკვეული კორექტივების და დაზუს-

[1] მ. ბერძნიშვილი. ნიკორწმიდის „დაწერილი“. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკვ. 34. 1962, გვ. 25-42; მ. ბერძნიშვილი. მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ (ნიკორწმიდელის „დაწერილი“). თბ. 1979, გვ. 1-124; დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა. ქართული ისტორიული საბუთები. I. IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1984, გვ. 39-44.

ტებების მიუხედავად, დღესაც ძალაშია.[2]

ამასთან, მიუხედავად საბუთის გამოწვლილვით შესწავლისა, მ. ბერძნიშვილს ფასებისა და მიწის ან რამე სხვა ერთეულის ზომის დადგენა არ უცდია. ალბათ, მკვლევარი ამის შესაძლებლობას გამორიცხავდა, როგორც ეს ჩანს ერთი მისი დასკვნიდან: „მაგრამ სახელდობრ რას უდრიდა „ყანაᲲ :ა:“ და „ვენაᲯი :ა:“, ამის გარკვევის საშუალებას ჩვენი საბუთი არ იძლევა“.[3] როგორც საბუთის შესწავლამ გვიჩვენა, *ნიკორწმიდელის დაწერილში* შესაძლებელი აღმოჩნდა გარკვეული კანონზომიერებების დადგენა და, შედეგად, ძირითადი ფასებისა და სამიწათმოქმედო ერთეულების გამოყვანა. გაირკვა აგრეთვე იმდროინდელი შეიარაღების ფასიც, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს XI საუკუნის საქართველოს სოციალური სურათისათვის და რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.[4]

---

[2] იხ. ი. ანთელავას შენიშვნები, განსაკუთრებით ისტორიულ პირთა იდენტიფიკაციასა, ტოპონიმიკასა და ზოგიერთი ტერმინის („ხელწერა“, „ძოლო“, „აჟურა“, „კაბალა“) გამოყენებასთან დაკავშირებით. ი. ანთელავა. ნიკორწმინდის „დაწერილის“ დათარიღებისათვის. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია (მაცნე). 1. 1980, გვ. 192-197; ი. ანთელავა. ნიკორწმინდელის „დაწერილის“ დათარიღების ზოგიერთი საკითხი. „მაცნე“. 4. 1981, გვ. 144-157. იხ., აგრეთვე, საპასუხო წერილიც: მ. ბერძნიშვილი. ნიკორწმინდელის „დაწერილის“ დათარიღების შესახებ. „მაცნე“. 4. 1980, გვ. 152-163.

[3] მ. ბერძნიშვილი. მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები, გვ. 113. ასეთივე პესიმისტურია მ. ლორთქიფანიძის შეფასებებიც: „ფუძის ოდენობის ზუსტი განსაზღვრა აღებული ხანისათვის [VI-XIII სს.] შეუძლებელია“; „არსებული მასალის საფუძველზე ამ საზომი ერთეულების [„მიწა“, „ყანა“, „დღიური“, „გუთანი“] კონკრეტული ოდენობის გარკვევა შეუძლებელია“. მ. ლორთქიფანიძე. გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა (VI ს. – XIII ს. დამდეგამდე). ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან. რედ. მ. დუმბაძე. ნაწ. 1. თბ. 1967, გვ. 19, 24.

[4] *ნიკორწმიდელის დაწერილის* მიხედვით იარაღის ფასის დადგენისას შეცდომა დაუშვა ქ. ჩხატარაიშვილმა. ის თვლიდა, რომ „ნიკორწმინდის დაწერილით“ (XI ს.) ერთი ჯაჭვის ღირებულება ერთი გლეხის ფასს უდრიდა“. ქ. ჩხატარაიშვილი. ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში. თბ. 1979, გვ. 97. საბუთის მიხედვით კი, ერთი გლეხის ფასი ბევრად აღემატება ერთი ჯაჭვის ფასს. *ნიკორწმიდელის დაწერილის* გამოყენება იარაღის ფასისათვის სცადა ირაკლი ბაქრაძემაც. იხ. ი. ბაქრაძე. X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის (არქეოლოგიური მონაცემებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით). თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IV. 2011, გვ. 62. მკვლევრის მიერ მოყვანილი უზუსტო ციტატიდან ჩანს, რომ მას თავად არ უსარგებლია დოკუმენტით, რამაც, შესაბამისად, მცდარი დასკ-

აქტების ჩამონათვალი

სანამ უშუალოდ საბუთის განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროა თავიდანვე წარმოვადგინოთ ჩვენთვის საინტერესო აქტების ჩამონათვალი, განვმარტოთ რიგი ტერმინებისა და ერთეულებისა და მოკლედ ჩამოვაყალიბოთ გარიგების შინაარსი. სიმარტივისათვის აქტები დავნომრე, რათა თავიდან ავიცილოთ ხშირი გამეორებებია. სიაში დედნისეული თანმიმდევრობა შენარჩუნებულია, მხოლოდ ზოგიერთი ისეთი აქტი, რომელიც გარიგებას არ შეიცავს და ჩვენი მსჯელობისათვის ღირებული არ არის, გამოტოვებულია. ყოველი აქტის ქვეშ მიწერილია მისი მოკლე შინაარსი, რომელიც გარიგების არსს გადმოგვცემს.

1. *მეტეხარას დებორიანის ძისაგან ვიყიდე გლეხი ა. და მისოკს მივეც ძულოი*[5] *ახალი ერთი და შედეგი ძულოი ა, ტაბასტაი*[6] *სომხური ბ, ჯაჭკ ა, და ჴარი კარგი ა, სასთაული ხირაითა*[7] *კარგი ა, და ქაფი*[8] *ჯაჭკსაი ა, და მოწამე არიან კაცნი.*[9]

ამ გარიგების მიხედვით, ერთ გლეხს ცვლიან 2 ხალიჩაში (რომელთაგან მეორე ნაკლები ხარისხისაა), 2 ქვეშსაგებში, 1 ჯაჭვის პერანგში, 1 ხარში, 1 ბალიშში და 1 ქაფში.

2. *მისვე დებორიანის ძისაგან ვიყიდე პარტახტი ა, და მივეც ცხენი ა, და ჩაბალახი*[10] *გუდამაყრული ა, და მოწამე არიან კაცნი.*[11]

ვნა განაპირობა. ი. ბაქრაძის მიხედვით, „ჯაჭვი, „ქაფი ჯაჭვისა“, ცხენი და „ჩაბალახი გუდამაყრული“ ყოფილა 9 (ზ) გლეხისა და ხმლის ტოლფასი“. ი. ბაქრაძე, X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის, გვ. 62, შენ. 10. როგორც ქვემოთ დავინახავთ, შეიარაღების ასეთი ფასი სიმართლეს არ შეესაბამება (თავი გავანებოთ იმას, რომ ქართული ანბანის „ზ“ უდრის 7-ს და არა 9-ს).

[5] *ძულოი* (*ძოლო*) პატარა ხალიჩაა. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. ტ. II. თბ. 1993, გვ. 356.

[6] *ტაბასტაი* ქვეშსაგებია. მ. ბერძნიშვილი. მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები, გვ. 110.

[7] *სასთაული ხირაითა* არის თხელი ფარდაგის ბალიში. მ. ბერძნიშვილი. მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები, გვ. 95.

[8] *ქაფი* აღჭურვილობის ნაწილია და მხრის დამცავ ლითონის ფირფიტას წარმოადგენს.

[9] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 40.

[10] *ჩაბალახი* ლითონის საბრძოლო თავსარქმელია.

[11] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 40.

აქ მიტოვებულ მიწაში 1 ცხენს და 1 ჩაბალახს იძლევიან.

3. *და მუნვე, მეტეხარას, კასლის ძისაგან ვიყიდე ვენაკი ა, და მივეც ჴარი ა, და საჴნისი ბ, და მოწამე არიან კაცნი.*[12]

ვენახი ღირს 1 ხარი და 2 სახნისი.

4. *ჯინჭარაჲს ძისა გლეხისაგან ვიყიდე ნაოთხალი ვენაკისაჲ, ჩ(უე)ნ თანა ედვა და გავისაკუთრე და მივეც ზროხაჲ ა, და ორმოცისა დრამისა ჴმელადი. და მოწამე არიან კაცნი.*[13]

მეოთხედ ვენახში იხდიან 1 ძროხას და 40 დრამას (ამ ფასის ხმელადს).

5. *მუნვე, მეტეხარას ჯინჯინოძისაგან ვიყიდე ვენაკი, ჩუენსა გლეხსა თანა-ედვა და მივეც ფური ა, და ჴმელადი სამოცდათხუთმეტისა დრამისა, და მოწამე არიან კაცნი.*[14]

ვენახი ღირს 1 ფური (ძროხა) და 75 დრამა (ამ ფასის ხმელადი).

6. *და მუნვე ზნაკუას ე(რისთავთ)-ე(რისთავ)მ(ა)ნ მ(ი)ქელ წორბელისა-გან და ვახტანგისავან იყიდა მიწაჲ ტყიანი და მათ უბოძა ფასად ჯაჭჷ ბ, და იგი მიწაჲ წ(მიდ)ა ნიკოლაოზს შემოსწირა.*[15]

ტყიანი მიწა ღირს 2 ჯაჭვი.

7. *და მუნვე ზნაკუას ვიყიდე აგარასთანა აბულათაჲს ძისაგან ვენაკი ა და ყანაჲ ა, მისთჷს მივეც ცხენი კარგი ა, და მოწამე არიან კაცნი.*[16]

ვენახის და ყანის ღირებულება უდრის 1 კარგი ცხენის ფასს.

8. *და მუნვე, ზნაკუას, ვახტანგის გლეხისაგან ვიყიდე ყანაჲ ა. და მივეც ხუარბალი გრივი*[17] *გ. და მოწამე არიან კაცნი.*[18]

ყანა ღირს 3 გრივი (300 კგ.) ხორბალი.

9. *მუნვე, ზნაკუას, კეპოჲს ძისაგან ვიყიდე ყანაჲ ა. და მივეც ჴარი ერთი, რკინაჲ ლიტრაჲ*[19]*რვაჲ და ქალამანი ბ. და მოწამე არიან კაცნი.*[20]

ყანის სანაცვლოდ აძლევენ 1 ხარს, 8 ლიტრა რკინას და 2 ქალამანს.

---

[12] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 40.
[13] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 40.
[14] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 40.
[15] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 40.
[16] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 40.
[17] 1 გრივი 100 კგ. მარცვლეულს შეიცავდა. გოჩა ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან. თბ. 1973, გვ. 83-84.
[18] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 40.
[19] XI საუკუნეში 1 ლიტრა 406.25 გრამს უდრიდა. გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 51.
[20] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 40.

10. *და მუნვე, ზნაკუას, ვახტანგის გლეხსა მივეც სახლი ა. და მისგან ავიღეთ ყანაი ა. და მოწამე არიან კაცნი.*[21]

ყანას ცვლიან სახლში; სამწუხაროდ, არ ჩანს, თუ რა ტიპის სახლია გარიგების ობიექტი.

11. *გლეხსა ჩუენსა ცხენი მოჰპარეს მუნვე, ზნაკუას, და საზღავად ავიღეთ მიწაი ნაკუეთი ბ. და მოწამე არიან კაცნი.*[22]

აქ მიწის 2 ნაკვეთის ფასი შეესაბამება ცხენის ფასს.

12. *საკვდს რომელ ვიყიდენ მიწანი: ქველაიესძისაგან ვიყიდე ზახლეულს მიწაი ა, და მისთჳს მივეც ჴარი ა, საკნისი ა, და მოწამე არიან კაცნი.*[23]

მიწა ღირს 1 ხარი და 1 სახნისი.

13. *შუბავთაგან ვიყიდე კაჩაეთს ყანაი ა, და ჴევჴმელს ა, მისთჳს მივეც ჴარი ა, საკნისი ა, და მოწამე არიან კაცნი.*[24]

2 ყანა ღირს 1 ხარი და 1 სახნისი.

14. *შხროს ზ(ედ)ა ნავარქაესაგან ვიყიდე ყანაი და მისთჳს მივეც ხუარბალი გრივი ა, საკნისი ა, და მოწამე არიან კაცნი.*[25]

ყანის სანაცვლოდ იხდიან 1 გრივ (100 კგ.) ხორბალს და 1 სახნისს.

15. *ცისკარაეს ძისაგან ვიყიდე შხროს ამომართებით ყანაი და ტყე და მისთჳს მივეცი ფასად დრაჰკანი ა, საკნისი გ.*[26]

ყანა და ტყე ერთად უდრის 1 ოქროს ფულს და 3 სახნისის ღირებულებას.

16. *ნეჩრელთაგან ვიყიდე კაჩაეთს ყანისა ნახევარი და მისთჳს მივეცით ფური ა, ხაჭოი კაბიწი ბ, ფეტჳ კაბიწი*[27] *ე, მოწამე არიან კაცნი.*[28]

ნახევარ ყანაში იხდიან 1 ფურს (ძროხას), 2 კაბიწ (20 კგ.) ხაჭოს და 5 კაბიწ (50 კგ.) ფეტვს.

17. *ქუმელოანს ვიყიდე სგოჯაეს ძისაგან ყანაი ა და მივეც რკინაი და მატყლი დრამისა ლ-საი, მოწამე არიან კაცნი.*[29]

ყანა ღირს 30 დრამა (ამ ფასის რკინა და მატყლი).

---

[21] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 40.
[22] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 40.
[23] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 41.
[24] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 41.
[25] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 41.
[26] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 41.
[27] 1 კაბიწი 10 კგ. მარცვლეულს უდრიდა. გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 92-93.
[28] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 41.
[29] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 41.

18. *თერნეულისა თავსა ვიყიდე თავბრტყელისაგან ყანაი და მივეც ფასად ოცისა დრამისაი, და მოწამე არიან კაცნი.*[30]

აქ ყანაში 20 დრამას იხდიან.

19. *ხოტევს ვიყიდე გაბოშისაგან მიწაი და მივეც ჴარი ა...*[31]

მიწის სანაცვლოდ 1 ხარს აძლევენ.

20. *ჩაყრივისაგან ვიყიდე მიწაი და მივეც ოთხმოცისა დრამისაი, მოწამე არიან კაცნი.*[32]

მიწა ღირს 80 დრამა.

21. *ვიყიდე აგარასავე თანა ყანაი ოტაბოის ძისაგან და მივეც ჴარი ა და ქუაბი ა, საქუაბე*[33] *ა და ჴარის ტყავი ა, და მოწამე არიან კაცნი.*[34]

ყანაში აძლევენ 1 ხარს, 1 ქვაბს და საქვაბეს, 1 ხარის ტყავს.

22. *კოროფხისშვილისაგან ვიყიდე ყანაი აგარასა თანა და მივეც ჴარი ა, და მოწამე არიან კაცნი.*[35]

ყანა ღირს 1 ხარი.

23. *ლატკაიისაგან ვიყიდე მიწა ხილოანი და მივეც ჴარი ბ, ხუარბალი გრივი გ, და მოწამე არიან კაცნი.*[36]

ხეხილიანი მიწა ღირს 2 ხარი და 3 გრივი (300 კგ.) ხორბალი.

24. *და ვიყიდე სამთა ჯუართა იმერით ყანაი ეფრემის ძისაგან და მივეც ლაფაჩაი*[37] *სტავრისაი და მელის ტყავი შიგან ამოკერებული. მოწამე არიან კაცნი.*[38]

ყანას ცვლიან მელისბეწვიან სტავრის ლაფაჩაზე.

25. *ვიყიდე მასვე მიწასა თანა ლიმსაისგან ყანაი და მივეც ზროხაი ბ, და მოწამე არიან კაცნი.*[39]

ყანა ღირს 2 ძროხა.

---

[30] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 41.
[31] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 41.
[32] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 42.
[33] *საქუაბე* აქ ქვაბის ჩამოსაკიდ ჯაჭვს ნიშნავს. მ. ბერძნიშვილი. მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები, გვ. 107, შენ. 93.
[34] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 42.
[35] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 42.
[36] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 42.
[37] *ლაფაჩა* არის მამაკაცის ძვირფასი სამოსი, წამოსასხამი. ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. ტ. III-IV. თბ. 1962, გვ. 116-117.
[38] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 42.
[39] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 42.

26. *და ვიყიდე მასვე მიწასა თანა იალმაგისაგან ყანაჲ და მივეც მას დრაჰკანი კოსტანტინატი ბ. მოწამე არიან კაცნი.*[40]

ყანაში 2 ბიზანტიურ ოქროს იხდიან.

27. *ძირგეულს ვიყიდე სეფესა ყანასა თანა ჭარტლისძისაგან ყანაჲ და მივეც ორი მოცეთი ზროხაჲ.*[41] *მოწამე არიან კაცნი.*[42]

ყანის სანაცვლოდ აძლევენ 2 ძროხას.

28. *მუნვე, ძირგეულს, მოვიგე ყანაჲ გრივისა ერთისა სათესავი და მოწამე არიან კაცნი.*[43]

აქ ნახსენებია 1 გრივი (100 კგ.) მარცვლეულის სათესი ფართობის მქონე ყანა.

29. *მუნვე, ძირგეულს, მოვიგე ყანაჲ ექუსისა კაბიწისა სათესავი და მოწამე არიან კაცნი.*[44]

ნახსენებია 6 კაბიწი (60 კგ.) მარცვლეულის სათესი ფართობის მქონე ყანა.

30. *კაჩაეთს სქელაეთგან ავიღე ყანაჲ ცხენისა საზღავად და მივეც ჴჯაჲსძესა.*[45]

ცხენის საზღაურად ყანას იღებენ.

31. *ველიშეულს ფარსმანისძეთაგან ვიყიდე ორი ნაკუეთი ყანაჲ და მივეც ჯაჭჷ ა და დრაჰკანი კოსტანტინატი ბ. და მოწამე არიან კაცნი.*[46]

2 ნაკვეთ ყანაში აძლევენ 1 ჯაჭვის პერანგს და 2 ბიზანტიურ ოქროს.

32. *ჴივშს გუნაფაჲსძისაგან ვიყიდე ვენაჴი და მივეც ჴარი ა, ცხოვარი ა, და საჴნისი ა, მოწამე არიან კაცნი, და გლეხთა მივეც.*[47]

ვენახში იხდიან 1 ხარს, 1 ცხვარს და 1 სახნისს.

33. *მუნვე, ჴივშს, ზოსქელისაგან ვიყიდე ვენაჴი და მივეც ჴარი ა, საჴნისი გ, და ქალამანი შოლტი*[48] *ა, მოწამე არიან კაცნი, და მივეც გლეხსა*

---

[40] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 42.

[41] *მოცეთი* (*მოცედი*), საბას მიხედვით, ერთი წლის (ერთ წლამდე) ძროხაა. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, ტ. I. თბ. 1991, გვ. 286-287.

[42] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 42.

[43] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 42.

[44] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 42.

[45] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 42.

[46] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 42.

[47] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 42.

[48] *შოლტი* აქ ტყავის ნაჭერია, საიდანაც ერთი წყვილი ქალამანი გამოდის. გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 143.

საბეგროდ.[49]

ვენახის სანაცვლოდ აძლევენ 1 ხარს, 3 სახნისს და 1 საქალამნე ტყავს.

34. *და შქმერს ვიყიდე შქულოჲსგან გლეხი ა, და სასეფონი ყანანი და ფასად მივეც ჯორი ა, ცხენი ა, დრაჰკანი კოსტანტინატი გ, ჴარი ბ, ფური ა. და მოწამე არიან კაცნი.*[50]

1 გლეხის და უცნობი რაოდენობის ყანების ფასად იძლევიან 1 ჯორს, 1 ცხენს, 3 ბიზანტიურ ოქროს, 2 ხარს და 1 ძროხას.

35. *ვიყიდე ცხილათს გლეხი აბულახტარისაგან ა, და მივეც ცხენი ხუადი ორი, სტავრაჲ*[51] *კაბაჲ ა, დრაჰკანი კოსტანტინატი ბ, და ავშარაჲ*[52] *რკინისაჲ ა.*[53]

1 გლეხის სანაცვლოდ იხდიან 2 ცხენს, 1 სტავრის კაბას, 2 ბიზანტიურ ოქროს და 1 რკინის ავშარას.

36. *[ოკრი]ბას ვიყიდე აჩეჩელისაგან გლეხი ა ბობოთს, და მივეც ცხენი ა, ჴარი ა, დრაჰკანი კოსტანტინატი გ. ცკლი ლიტრა იდ და ბოსლაი ა და ჴელის საწერლად მივეც ცკლი ლიტრაჲ თ, და მოწამე არიან კაცნი.*[54]

აქ 1 გლეხი ღირს 1 ცხენი, 1 ხარი, 3 ბიზანტიური ოქრო, 14 ლიტრა ცვილი და 1 ბოსლაი (?); დამატებით, საბუთის შესადგენად იხდიან 9 ლიტრა ცვილს.

37. *საწირესვე ღ(მრ)თის-მშობლისა გლეხისაგან ვიყიდე ვენაჴი და მივეც ფური ა, აჟურაჲ ძ.*[55]

ვენახში იხდიან 1 ძროხას და 40 აჟურას.

38. *მუნვე, საწირეს, ვიყიდე ყანაჲ და მივეც ფური ა, ჯაჭკ ა, ჩაბალახი ვეცხლი დრამაჲ კ, და მოწამე არიან კაცნი.*[56]

ყანაში აძლევენ 1 ძროხას, 1 ჯაჭვს, 1 ჩაბალახს, 20 დრამას (თუ 20 დრამის ღირებულების ჩაბალახს?).

39. *ოკრიბას, ჯუარისას, ვიყიდე ნასრაჲსა ასულისაგან გლეხი, რომე-*

---

[49] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 42.
[50] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 42.
[51] *სტავრა* – ბიზანტიური აბრეშუმის ქსოვილი. ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, გვ. 172-175.
[52] *ავშარა* ცხენის აკაზმულობის ნაწილია.
[53] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 42-43.
[54] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 43.
[55] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 43.
[56] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 43.

ლი მიეცა მისდა წირქუალელის ძესა, მამამთილსა მისსა, ჴე[ლ]წერით უკ(უნისამდ)ე, და მისთჳს მივეც ფასად ცხენი ა, დრაჰკანი დუკატი ზ, და ფური ბ, და მოწამე არიან კაცნი.[57]

1 გლეხი ღირს 1 ცხენი, 7 დუკატი და 2 ძროხა.

40. *და მე დამხუდა იადგარი ნახევარწერილი ა და გავასრულე ყ(ოვლ)ითავე სისრულითა, შევმოსე და მოვცუარე და შევჭედე და მისისა დაწერისა და შეკაზმვისათჳს მივეც დრაჰკანი დუკატი იე.*[58]

იადგარის ნახევრის გადაწერა და მისი ყდით შემოსვა 15 ბიზანტიური ოქრო ჯდება.

41. *და ვიყი[დე] წიგნი პარაკლიტონი ა და მივეც ფასად ცხენისა ნახევარი.*[59]

პარაკლიტონი ღირს ცხენის ფასის ნახევარი.

42. *და შემდგომად პირველ დაწერილისა ამის კ(უალა)დ ვიყიდენ ცხილათს გლეხნი ბ ნი[მრ] [...] მისაგან და მივეც ფასად დრაჰკანი დუკატი ლვ.*[60]

2 გლეხში იხდიან 36 ბიზანტიურ ოქროს.

საბუთში გამოყენებული ფულადი ერთეულები

ნიკორწმიდელის დაწერილში გვხვდება შემდეგი ფულის ერთეულები: *დრაჰკანი, კონსტანტინატი, დუკატი, დრამა* და *აჟურა*. XI საუკუნის საქართველოში ფასების გამოსარკვევად საჭიროა დადგინდეს მათი რაობა და მსყიდველობითი უნარი.

ცნობილია, რომ ძველ ქართულში *დრაჰკანი* ოქროს ფულის ზოგად სახელს წარმოადგენდა.[61] ასე აღინიშნებოდა საქართველოში მოქმედი უცხოური წარმომავლობის სხვადასხვა ოქროს მონეტა. XI-XIII საუკუნეების საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული და ანგარიშსწორების უნივერსალურ საშუალებას წარმოადგენდა ბიზანტიური ოქროს მონეტაც. ეს არ არის გასაკვირი, რადგანაც ბიზანტიური ოქროს ნომისმა, მუსლიმურ დინართან ერთად, მსოფლიო ფულის როლს ასრულებდა. XI საუკუნეში ბიზანტიის იმპერიის

[57] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 43.
[58] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 43.
[59] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 43.
[60] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 44.
[61] ი. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია. თხზულებანი. ტ. IX. თბ. 1996, გვ. 554.

აღმავლობის შედეგად ნომისმა ამიერკავკასიის მთელ ტერიტორიაზე გავრცელდა.[62] სხვადასხვა ხარისხის ნომისმების მიმოქცევამ ბიზანტიურ ოიკუმენაში მონეტების ზედსახელები წარმოშვა, რაც მოსახერხებელი იყო მათი ზუსტი იდენტიფიკაციისათვის.[63] ასეთი ქართული ზედსახელებია *დუკატი*, რომელიც კონსტანტინე X დუკას (1059-67) ოქროს მონეტას შეესაბამება და *კონსტანტინატი*, რომელიც კონსტანტინე IX მონომახის (1042-55) ნომისმაა.[64] აღსანიშნავია, რომ კონსტანტინე IX-ის მეფობიდან დაწყებული

[62] გ. ჯაფარიძე. ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI-XIII საუკუნეების საქართველოში. „მაცნე". 3. 1976, გვ. 84-85, 88.

[63] გ. ჯაფარიძე. ოქროს მონეტის ტერმინოლოგია, გვ. 90.

[64] *დუკატის* და *კონსტანტინატის* იდენტიფიკაციისათვის იხ. R. P. Blake. Some Byzantine Accounting Practices Illustrated from Georgian Sources. Harvard Studies in Classical Philology. Vol. 51. Cambridge. 1940, გვ. 25-26; გ. ჯაფარიძე. ოქროს მონეტის ტერმინოლოგია, გვ. 91. ამ მონეტების რაობაზე განსხვავებული აზრი გააჩნია მ. ბერძნიშვილს, რომელიც თვლის, რომ დუკატი მიხეილ VII-ის (1071-78) ნომისმაა, კონსტანტინატი კი – კონსტანტინე X-ის. მკვლევარს მიაჩნია, რომ გრიგოლ ბაკურიანის ანდერძში ჩამოთვლილი ნომისმების ზედსახელები ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა დალაგებული და, შესაბამისად, ეკუთვნის: რომანატი – რომანოს III-ს (1028-34), მონომახატი – კონსტანტინე IX-ს (1042-55), დუკატი (?), სკეპტრატი – ექვსთავედი, რომანოს IV დიოგენს (1068-71), აგრეთვე მიხაილატი – მიხეილ VII-ს (1071-78). ამის შემდეგ მან სცადა არარსებული ტერმინის „დუკატ-კონსტანტინატის" დადგენა და მის საფუძველზე (!) დუკატის მიხეილ VII-ისათვის მიკუთვნება. მამისა ბერძნიშვილი. მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები, გვ. 28-30. ამჯერად მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მკვლევრის მიერ მოყვანილი არგუმენტები სარწმუნო არ არის და მისი დასკვნა თავადვე არღვევს იმ ლოგიკურ კონსტრუქციას, რომლის მეშვეობითაც ცდილობს შედეგის მიღებას ანუ, თუკი დუკატი მიხეილ VII-ს (1071-78) ეკუთვნის, ბერძნიშვილის მოსაზრება ბაკურიანის ანდერძში მონეტების ქრონოლოგიური რიგის მიხედვით ჩამოთვლასთან დაკავშირებით მცდარია. მცდარია აგრეთვე და ბერძნიშვილის მსჯელობას არღვევს *სკეპტრატის* გაიგივება *ექვსთავედთან*, რომანოს IV-ის მონეტასთან. *სკეპტრატის* თაობაზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, მაგრამ არც ერთს საერთო არა აქვს ექვსთავედთან. გრირსონი მას თვლის კონსტანტინე IX-ის I კლასის მონეტად, იმპერატორი მეტად მდიდრული სკიპტრითაა გამოსახული. *Catalogue* of the Byzantine Coins in the Dumbarton Oaks Collection and in the Whittemore Collection. Ed. by Alfred E. Bellinger and P. Grierson. Vol. 3, part 1, 2nd ed. Washington, 1993, გვ. 60. მორისონის აზრით, *სკეპტრატი* კონსტანტინე X-ის I კლასის მონეტაა, სადაც იმპერატორს ლაბარუმი უპყრია ხელთ. Cécile Morrisson. Coinage and Money in Byzantine Typika. Dumbarton Oaks Papers. 56. 2002, გვ. 266, შენ. 24. ამ საკითხზე აქ აღარ შევჩერდებით, რადგან მომავალში ვაპირებთ უფრო ვრცლად გავაშუქოთ ბიზანტიური მონეტების იდენტიფიკაციის საკითხი.

1069 წლამდე ბიზანტიური ნომისმის სინჯი თანდათანობით კლებულობს და მასში ყოველწლიურად 0.4 პროცენტით იზრდება ვერცხლის შემცველობა. ნომისმის ოქროს შემცველობა 21.5 კარატიდან (90%) 17 კარატამდე (70%) ეცემა.[65] ფ. გრირსონის მიხედვით, კონსტანტინე IX-ის ნომისმის სინჯი 17.5-23 კარატია (72-94.5%). მის მიერ მოჭრილი 4 განსხვავებული კლასის ჰისტამენონ ნომისმა ძირითადად 19-22 კარატ ოქროს შეიცავს.[66] კონსტანტინე X-ის ორი კლასის ნომისმის სინჯი კი 17.5-19 კარატია (72.5-78%).[67]

როგორც ვხედავთ, კონსტანტინე X-ის ნომისმის სინჯი ცოტათი უფრო დაბალია, ვიდრე მისი წინამორბედისა. მიუხედავად იმისა, რომ მათი მიღება სავალდებულო იყო იმპერიაში და თეორიულად ისინი თანაბარი ძალისად ითვლებოდნენ, თავად მონეტების მეტსახელები მოწმობს, რომ მათ შორის განსხვავებას ხედავდნენ. ძნელი სათქმელია, თუ რომელი კლასის ნომისმებია მოხსენიებული *ნიკორწმიდელის დაწერილში* და რა მნიშვნელობას ანიჭებდა ადგილობრივი მოსახლეობა ბიზანტიური ოქროს სინჯთა შორის სხვაობას. გადაჭრით რამეს თქმა ძნელია, თუმცა საბუთში, ზედსახელის გარეშე, საფასედ გამოყენებული ოქროს მონეტა (დრაჰკანი) თითქოსდა იმაზე მიუთითებს, რომ ეს სხვაობა განსაკუთრებული მნიშვნელობის არ უნდა ყოფილიყო და ყველა მათ განიხილავდნენ, როგორც მეტ-ნაკლებად თანაბარ ოქროს მონეტებს.[68] კვლევის დროს, რამე სხვაობის დადგენა ოქროს მონეტების ღირებულებებს შორის ვერ მოხერხდა და, პირობითად, მათ თანაბარი ძალის მქონედ მივიჩნევ.

დრამა, ივ. ჯავახიშვილის თანახმად, ვერცხლის ფულის აღმნიშვნელი ტერმინი იყო ქართულ წყაროებში.[69] დრამა ასევე აღნიშნავდა წონის ერთეულსაც შუა საუკუნეების საქართველოში. როგორც წონის ერთეული, ის შეესაბამებოდა არაბულ დირჰამს (2.97 გ.). რაც შეეხება მონეტას, ის ყოველთვის არ შეესაბამებოდა თავის რეალურ წონით მნიშვნელობას.[70] ჩვენთ-

---

[65] Cécile Morrisson. Money, Coins and the Economy. The Byzantine World. Ed. by P. Stephenson. London, 2010, გვ. 37.

[66] Catalogue of the Byzantine Coins. Vol. 3, part 1, 2nd ed. გვ. 40, ტაბ. 3, 733.

[67] Catalogue of the Byzantine Coins. Vol. 3, part 1, 2nd ed. გვ. 40, ტაბ. 3.

[68] ოქროს მონეტების სინჯთა შორის სხვაობა არ ჩანს ფავნელის დაწერილშიც, სადაც ფასის განმსაზღვრელი ფაქტორი მხოლოდ ოქროს წონაა და არა მისი სინჯი: „მივათუალენით სოფელნი და მომიწონა ოცდაათი ლიტრა ოქრო...“ დაწერილი ფავნელისა მღვიმისადმი. ქართული ისტორიული საბუთები. I, გვ. 18.

[69] ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთმცოდნეობა, გვ. 556.

[70] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 33-40.

ვის საინტერესო ეპოქაში, უცხოური ფულის გარდა, ხმარებაში ძირითადად ბაგრატ IV-ის (1027-72) ვერცხლის მონეტები იქნებოდა. დღეისათვის ცნობილია 40 ასეთი მონეტა, რომელთა რემედიუმი 1.56-2.22 გრამია.[71] როგორც ვხედავთ, ერთი და იმავე მონარქის მიერ მოჭრილი მონეტებიც კი წონით საკმაოდ განსხვავდებოდა. ამიტომაც ანგარიშსწორებას მონეტების აწონის გზით ახდენდნენ.[72] ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ *ნიკორწმიდელის დაწერილშიც* ამ ხერხს მიმართავდნენ. ასე რომ, უმნიშვნელო დამრგვალებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დრამა 3 გრამ ვერცხლს შეესაბამებოდა.

აჟურა, ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ბიზანტიური ვერცხლის ფულია, რომელიც ქართულ ნათარგმნ ძეგლში („უწყებაჲ და თხრობაჲ აღშენებისათჳს წმიდა სოფიის ტაძრისა“) ბერძნულ *ἀργυρός* (*არგვიროს*) შეესაბამება.[73] სამწუხაროდ, რას წარმოადგენს ეს ბიზანტიური ვერცხლის ფული განმარტებული არ არის.[74] საქმე ისაა, რომ ასეთი სახელწოდების ფულის ერთეული ბიზანტიის სამონეტო სისტემაში არ დასტურდება. VIII-XI საუკუნეებში ბი-

[71] გ. დუნდუა, ი. ჯალაღანია. ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი. თბ. 2009, გვ. 160.

[72] წონით ანგარიშსწორების ფაქტები გარკვევითაა დადასტურებული ფავნელის საბუთში: „მივათუალენით სოფელნი და მომიწონა ოცდაათი ლიტრა ოქრო, ოცდაათი ლიტრა ვერცხლი...“ დაწერილი ფავნელისა მღვიმისადმი, გვ. 18. ამავე საბუთის უფრო გვიანდელი მინაწერი დამკვიდრებულ პრაქტიკაზე მეტყველებს: „თეთრსა რა ანგარიში უნდა: კაბარჭითა გარდაუწყე.“ დაწერილი ფავნელისა მღვიმისადმი, გვ. 18. ვერცხლის წონით მითვლაზე მოგვითხრობს ჩვაბიანის მთავარანგელოზთა ეკლესიის XI საუკუნის წარწერაც: „სამოცდასამი აჟურა, შჳდი დრახ[კანი, ხუ]თისა დრახკნისა წონით სხვაი შეყრილი ვეცხლი, ხუთი ბეჭედი – ესე გიორგის, ხუცეს(ს)ა, ხაფთანანსა მიუთვალა სოფელმ(ა)ნ“. სვანეთის წერილობითი ძეგლები (X-XVIII სს.): ეპიგრაფიკული ძეგლები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ. ტ. II. თბ. 1988, გვ. 371-372.

[73] ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთმცოდნეობა, გვ. 558.

[74] აჟურა არ არის განმარტებული არც სოფიის ტაძრის მშენებლობის შესახებ ქართული ნათარგმნი ძეგლის გამომცემლის ო. ბერიძის მიერ, იხ. ბიზანტიური ტრაქტატი სოფიის ტაძრის აშენების შესახებ და მისი შუასაუკუნეობრივი ქართული თარგმანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ო. ბერიძემ. თბ. 1982, გვ. 9, 42; და არც ვ. სილოგავას მიერ, რომელმაც გამოსცა ჩვაბიანის მთავარანგელოზთა ეკლესიის წარწერა, რომელშიც აჟურა არის ნახსენები. ვ. სილოგავა. ზემო სვანეთის გრაფიტები. სვანეთი. II. 1979, გვ. 119-120. ორივე ავტორი ი. ჯავახიშვილს ეყრდნობა და აჟურას ბიზანტიურ ვერცხლის ფულად თვლის.

ზანტიაში ძირითად ვერცხლის ფულს *მილიარესიონი* წარმოადგენდა. მაკედონური დინასტიის (867-1056) დროს მისი წონა იყო 3.03 გრამი. ის ნომინალურად ნომისმის 1/12-ს უდრიდა.[75] რეალურად, X საუკუნის მიწურულისათვის ერთი ნომისმის ღირებულება 14 მილიარესიონი იყო.[76] ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ბერძნული *არგვირა* ქართველ მთარგმნელს ერთხელ აჟურად, მეორეგან კი ვერცხლად გადმოუთარგმნია.[77] ქართული ნათარგმნი ძეგლის ბერძნულ დედანთან გადამოწმებამ გვიჩვენა, რომ ვითარება სხვაგვარადაა: სინამდვილეში, თეოდორ პრეგერის მიერ გამოცემულ ბერძნულ თხზულებაში, რომლითაც ივ. ჯავახიშვილიც სარგებლობდა, *ἀργυροῦ* მხოლოდ ერთგან (მეცხრე თავი, 84-ე გვერდი) გვხვდება;[78] მეორეგან (მეათე თავი, 86-ე გვერდი) კი, აჟურად არის ნათარგმნი არა *არგვირა*, არამედ *მილიარესიონი* (*μιλιαρίσια*),[79] რომელიც წარმოადგენდა კიდეც ვერცხლის ფულის ერთეულს ბიზანტიაში. ცხადია, რომ ქართველი მთარგმნელისათვის *მილიარესიონი* და *აჟურა* (*ἀργυροῦ*) ერთი და იგივე იყო. არგვირონი (*ἀργυροῦ*), როგორც ფულის ერთეულის მეტსახელი, შემჩნეული აქვთ ბიზანტინოლოგებსაც. ქართული წყაროს გათვალისწინების გარეშე, ისინი ვარაუდობენ, რომ ვერცხლის მილიარესიონს ბიზანტიაში არგვირონსაც უწოდებდნენ.[80] როგორც ვხედავთ, ქართული მონაცემები ეჭვმიუტანლად ადასტურებს ამ იდენტიფიკაციას. ისმის კითხვა: რატომ უნდა გამოერჩიათ ქართულ წერილობით თუ ეპიგრაფიკულ ძეგლებში *აჟურა* სხვა ვერცხლის ფულისაგან, რომელსაც *დრამა* ეწოდებოდა? არ არის გამორიცხული, რომ **აჟურა საქართველოში მხოლოდ ბიზანტიურ ვერცხლის ფულს (მილიარესიონს) აღნიშნავდა, დრამა კი არაბულ დირჰამს და საქართველოშივე მოჭრილ ადგილობრივ ვერცხლის ფულს ეწოდებოდა**. ის, რომ აჟურა მხოლოდ XI საუკუნის მანძილზე გვხვდება საქართ-

[75] P. Grierson. Miliaresion. The Oxford Dictionary of Byzantium. Ed. by Al. P. Kazhdan. Vol. 2. Oxford. 1991, გვ. 1373.

[76] C. Morrisson. Byzantine Money: Its Production and Circulation. The Economic History of Byzantium: From the Seventh through the Fifteenth Century. Ed. by A. E. Laiou. Washington. 2002, გვ. 930.

[77] ივანე ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთმცოდნეობა, გვ. 558.

[78] Scriptores originum Constantinopolitanarum. Rec. Th. Preger. Fasc. I. Leipzig. 1901, გვ. 84.

[79] Scriptores originum Constantinopolitanarum, გვ. 86.

[80] Catalogue of the Byzantine Coins in the Dumbarton Oaks Collection and in the Whittemore Collection. Ed. by Philip Grierson. Vol. 5, part 1. Washington. 1999, გვ. 23; Cécile Morrisson. Coinage and Money in Byzantine Typika, გვ. 264-265.

ველოში და შემდგომ აღარ შეინიშნება მიმოქცევაში,[81] მხარს უჭერს ამ ვარაუდს. უეჭველია, ეს დაკავშირებულია ბიზანტიიდან ვერცხლის ფულის შემოდინების შეწყვეტასთან. მართლაც, XI საუკუნის ბოლოს ალექსი კომნენოსის (1081-1118) მიერ ჩატარებული ფულადი რეფორმის შემდეგ ბიზანტიის სამონეტო სისტემიდან ამოიღეს ვერცხლის მილიარესიონი და ასე თუ ისე სუფთა ვერცხლის ფულმა შეწყვიტა არსებობა კომნენოსთა სამონეტო სისტემაში.[82]

ასე რომ, დრამა (2.97 გ.) და აჟურა (3.03 გ.) ვერცხლის ერთი და იმავე წონის ფულის ერთეულს შეესაბამებოდნენ და XI საუკუნეში მათი ფასი ნომისმის 1/14-ად შეიძლება ჩაითვალოს.

ფასები დაწერილის მიხედვით

მ. ბერძნიშვილის მართებული დასკვნით, *ნიკორწმიდელის დაწერილში* „გაყიდვის ობიექტად დასახელებული ყანა, მიწა და ვენახი გარკვეული ოდენობის საზომ ერთეულს წარმოადგენენ“.[83] საბუთში ნასყიდი ან შეწირული ყანა (ისევე როგორც, ვენახი) აღინიშნება მთელი ან სხვა რიცხვით, რაც მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ამ ტერმინის ქვეშ ფართობის გარკვეული ოდენობა იგულისხმება.[84] საბუთის შემდგომმა შესწავლამ და გარკვეული კანონზომიერებების დადგენამ უჩვენა, რომ მკვლევარი არ ცდებოდა; მეტიც, შესაძლებელია მიწის ამ ნაკვეთების ფასების და ფართობის დადგენაც. ცხადია, რომ ერთმნიშვნელოვანი სიდიდეების მიღება ყველა შემთხვევაში ვერ მოხერხდება, რაც განპირობებულია იმით, რომ ფასის წარმოქმნაზე სხვადასხვა გა-

[81] აჟურა იხსენიება *ნიკორწმიდელის დაწერილში*, გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში, სოფიის ტაძრის მშენებლობის შესახებ ნათარგმნ ძეგლში, ჩვაბიანის მთავარანგელოზთა ეკლესიის და ადიშის მაცხოვრის ეკლესიის წარწერებში. დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 43; ბიზანტიური ტრაქტატი სოფიის ტაძრის აშენების შესახებ, გვ. 26-27; გიორგი მცირე. ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. წ. II. თბ. 1967, გვ. 184; ვ. სილოგავა. ზემო სვანეთის გრაფიტები, გვ. 119; სვანეთის წერილობითი ძეგლები (X-XVIII სს.), გვ. 235, 371. ყველა ეს ძეგლი XI საუკუნეს მიეკუთვნება, იხ. ვ. სილოგავა, ზემო სვანეთის გრაფიტები, გვ. 119-120, შენ. 28.

[82] C. Morrisson. Byzantine Money: Its Production and Circulation, გვ. 932-933.

[83] მ. ბერძნიშვილი. მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები, გვ. 96.

[84] მ. ბერძნიშვილი. მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები, გვ. 112-113.

რემოება მოქმედებდა და არაერთგვაროვანს ხდიდა მას. ჩვენს შემთხვევაში, გარდა მიწის ნაკვეთების სხვადასხვა მდებარეობისა და მოსავლიანობისა, გასაყიდი ფასი განპირობებული იქნებოდა გამყიდველის „სიჯიუტით", ნაკვეთის ღირებულებით თავად მონასტრისათვის (მაგალითად, მისი ადვილი ინტეგრაციის საშუალება უკვე არსებულ სამეურნეო სისტემაში) და მრავალი სხვა ფაქტორით.

ყანა. *ნიკორწმიდელის დაწერილში* ყანა ყიდვა-გაყიდვის აქტებში 20-ზე მეტჯერ გვხვდება და მისი ღირებულება საკმაო მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, რამდენჯერმე გვხვდება ყანის ერთნაირი ფასი, რაც მისი სავარაუდო ღირებულების დადგენის საშუალებას იძლევა. ორ შემთხვევაში, იალმაგისაგან და ფარსმანისძეთაგან ნაყიდი ყანა ღირს 2 კონსტანტინატი,[85] რაც ნიშნავს, რომ საშუალოდ ყანის ფასი 2 ოქრო იყო. ამ მონაცემთან ახლოა ყანის ფასი ვერცხლით ყიდვის შემთხვევებში:[86] 30 და 20 დრამა ოქროზე რომ გადავიყვანოთ (1:14), მივიღებთ 2.14 და 1.42 ოქროს. ორიოდე შემთხვევაში ყანის ფასი უფრო მეტია, განსაკუთრებით, ეს ეხება საწირეში ნაყიდ ყანას,[87] მაგრამ ეს გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს.

ხორბალი. ყანის გაყიდვის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი აქტები საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ სხვა კანონზომიერებები და ფასები. მაგალითად, ვიცით, რომ ყანა ღირს 2 ოქრო და ამავე დროს მას 300 კგ. ხორბალში ცვლიან.[88] გამოდის, ამ რაოდენობის ხორბლის ფასი 2 ოქროა, აქედან გამომდინარე 1 ოქრო ღირს 150 კგ. ხორბალი. მაგრამ ასეთ დაანგარიშებას მხოლოდ მაშინ ექნება აზრი, თუკი მიღებულ სიდიდეებს გადავამოწმებთ და მათ სიზუსტეში დავრწმუნდებით. ასეთ საკონტროლო სიდიდედ კი სწორედ ხორბლის ფასი გამოგვადგება. ხორბლის ფასს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა წინაინდუსტრიულ საზოგადოებებში. ბიზანტიელი ისტორიკოსი მიხეილ ატალიატე წერდა, რომ ხორბლის ფასი განაპირობებდა სხვა დანარჩენ ფასებს და ადამიანთა მიერ მოთხოვნილ გასამრჯელოსაც.[89] შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთის მოსახლეობის რაციონში ძირითადი პრო-

[85] 26-ე და 31-ე აქტები, გვ. 42.

[86] სგოჯაის ძისაგან და თავბრტყელისაგან ნაყიდი ყანები. მე-17 და მე-18 აქტები, გვ. 41.

[87] 38-ე აქტი, გვ. 43.

[88] ზნაკუას, ვახტანგის გლეხისაგან ნაყიდი ყანა. მე-8 აქტი, გვ. 40.

[89] M. Attaleiates. The History. Translated by A. Kaldellis and Dimitris Krallis. Cambridge, MA, 2012, გვ. 370-371; A. E. Laiou. Cécile Morrisson. The Byzantine Economy. Cambridge, 2007, გვ. 135.

დუქტი ხორბლის პური იყო. საზოგადოების დაბალი ფენები, ისევე როგორც ევროპაში, შემოსავლის ნახევარს მაინც პურის შესაძენად ხარჯავდნენ.[90] ამიტომაც ხორბლის ფასის შესახებ მონაცემები შედარებით უხვია. IX-XI საუკუნეების კონსტანტინოპოლში 1 მოდი (12.8 კგ.) ხორბალი, ჩვეულებრივ, 1/12 ნომისმა ღირდა.[91] ეს ნიშნავს, რომ 153.6 კგ. (12.8 კგ. X 12) ხორბლის ფასი 1 ბიზანტიური ოქროს ნომისმა იყო. XI საუკუნის მეორე ნახევარში პალესტინაში 1 კაფიზი (199.09 კგ.) ხორბალი ღირდა 1.33-1.625 დინარი,[92] რაც ნიშნავს, რომ 150 კგ. ხორბალი 1-1.22 დინარი ღირდა. XI საუკუნის ბაღდადისათვის ე. აშტორი ნორმალურ ფასად მიიჩნევს 0.75 დინარს 100 კგ. ხორბალში, XII საუკუნისათვის კი – 0.68 დინარს.[93] ე.ი. XI საუკუნის ბაღდადში 150 კგ. ხორბალი ღირდა 1.125 დინარი, XII საუკუნეში კი – 1.02 დინარი. როგორც ვხედავთ, XI-XII საუკუნეების კონსტანტინოპოლში, პალესტინასა და ბაღდადში, 150 კგ. ხორბალი ყველგან დაახლ. 1 ოქრო ღირდა. ეს ფასი ზუსტად ემთხვევა ჩემს გამოთვლებს, რომელთა მიხედვითაც, 150 კგ. ხორბალი საქართველოში 1 ოქრო ღირდა. ასეთი თანხვედრა არ შეიძლება იყოს შემთხვევითი და მეტყველებს ამ გამოთვლების სისწორეზე. ამის შემდეგ უკვე თამამად შეგვიძლია გავაგრძელოთ ფასების დადგენა შერჩეული მეთოდის მიხედვით.

ჯაჭვის პერანგი. ერთ შემთხვევაში *ნიკორწმიდელის დაწერილი* საშუალებას იძლევა პირდაპირ განვსაზღვროთ ჯაჭვის პერანგის ფასი. ველიშეულს ფარსმანისძეთაგან ნაყიდ ორ ნაკვეთ ყანაში წინამძღვარი 1 ჯაჭვს და 2 ოქროს იხდის.[94] ადვილი საანგარიშოა, რომ ჯაჭვის პერანგის ღირებულება უდრის ერთი ნაკვეთი ყანის ფასს – ანუ 2 ოქროს.

ძროხა, ხარი. ადვილია ძროხის და ხარის ფასის დადგენაც. ორჯერ, ლიმსაიისგან და ჭარტლისძისაგან შეძენილი ყანის სანაცვლოდ მონასტერი 2 ძროხას იხდის,[95] კოროფხისშვილისაგან ნაყიდ ყანაში კი – 1 ხარს.[96] რად-

[90] E. Ashtor. The Diet of Salaried Classes in the Medieval Near East. Journal of Asian History. 4. 1970, გვ. 2-3, 17-19.
[91] C. Morrisson, Jean-Claude Cheynet. Prices and Wages in the Byzantine World. The Economic History of Byzantium: From the Seventh through the Fifteenth Century. Ed. by A. E. Laiou. Washington, 2002, გვ. 830.
[92] E. Ashtor. Histoire des prix et des salaires dans l'Orient médiéval. Paris, 1969, გვ. 243.
[93] E. Ashtor. Histoire des prix et des salaires dans l'Orient médiéval, გვ. 102.
[94] 31-ე აქტი, გვ. 42.
[95] 25-ე და 27-ე აქტები, გვ. 42.
[96] 22-ე აქტი, გვ. 42.

განაც ყანის ფასი 2 ოქროა, ძროხის ღირებულება 1 ოქრო, ხარის კი – 2 ოქრო გამოდის. საინტერესოა, რომ ხარის და ძროხის ფასის თანაფარდობა იგივე იყო ფრანკთა სამეფოშიც. რიპუარული კანონის (*Lex Ripuaria*) მიხედვით, კაროლინგების დროს ერთი ხარი ორ ძროხას უდრიდა.[97] საქართველოშიც ასეთ თანაფარდობა გვაქვს: ყანას ხშირად ცვლიან ხარში ან 2 ძროხაში, მარტო ძროხაში კი – არასოდეს. რქოსანი პირუტყვის ფასები რეალური ჩანს მოცემული პერიოდისათვის. მაგალითად, 1067 წელს სირიაში კამეჩი 2-3 ოქრო ღირდა.[98]

სახნისი. ჩვენი საბუთის მეშვეობით შესაძლებელია სახნისის ფასის დადგენაც. ნავარქაؤსაგან ნაყიდ ყანაში მონასტერი იხდის 100 კგ. ხორბალს და 1 სახნისს.[99] ვიცით, რომ ყანა ღირს 2 ოქრო და იმავდროულად 300 კგ. ხორბალი ანუ სახნისის ღირებულება 200 კგ. ხორბალის შესატყვისია და დაახლ. 1.33 ოქროა. რამდენად რეალურია ეს ფასი? ჩანს, სახნისის ეს ღირებულება მეტ-ნაკლებად მართებულია. 1352 წელს კრეტაზე ვინმე ნიკოლას სირიანოსი კანდიელ მჭედლებს 100 სახნისს უკვეთავს და თითოეულში 1 ოქროს ჰიპერპერონს იხდის.[100] დიდ შეკვეთაში მჭედლებს შესაძლოა ფასიც დაეკლოთ, ანდა, საუკუნეების მანძილზე ფასს გარკვეული ცვლილება შეიძლება განეცადა. ყოველ შემთხვევაში, ფასების ასეთი სიახლოვე საცნაურია და უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ რკინის სახნისი 1-1.33 ოქროს ფარგლებში ღირდა.

სტავრის სამოსი. *ნიკორწმიდელის დაწერილში* ასახულია ფეოდალური საზოგადოების სწრაფვა ფუფუნებისა და მდიდრული სამოსისაკენ. ეფრემის ძე ყანას ცვლის მელის ბეწვით გაწყობილ ძვირფას წამოსასხამში.[101] აქედან შეიძლება დავადგინოთ, რომ ასეთი წამოსასხამის ფასი 2 ოქროა.

გლეხი. გლეხის ფასი ადვილად შეგვიძლია გამოვიყვანოთ. მონასტრის წინამძღვარი ცხილათში ნაყიდ 2 გლეხში 36 დუკატს („დრაჰკანი დუკატი ლვ“) იხდის[102] ანუ 1 გლეხის ფასი 18 ოქროა. რატომ ღირს გლეხი ასე

---

[97] Ф. Кардини. Истоки Средневекового Рыцарства. Сретенск. 2000, გვ. 298.

[98] C. Morrisson, Jean-Claude Cheynet. Prices and Wages in the Byzantine World, გვ. 839.

[99] მე-14 აქტი, გვ. 41.

[100] Cécile Morrisson, Jean-Claude Cheynet. Prices and Wages in the Byzantine World, გვ. 845, შენ. 77.

[101] 24-ე აქტი, გვ. 42.

[102] 42-ე აქტი, გვ. 44.

ძვირი? საბუთში გლეხის გაყიდვისას ყოველთვის არის მითითებული ადგილი, სადაც გლეხია შეძენილი. მ. ბერძნიშვილის დაკვირვებით, ეს იმიტომ ხდება, რომ გლეხი იყიდება თავის საცხოვრებელ ადგილთან ანუ მიწასთან ერთად. მიწასთან ერთად ხდება გლეხის შეწირვაც. ეს არის ის მიწა, რომელზეც ცხოვრობს და მუშაობს გლეხი, მისი ფუძე.[103]

მიუხედავად იმისა, რომ *ნიკორწმიდელის დაწერილში* გაყიდვისას გლეხის რაოდენობა აღნიშნულია, როგორც ერთი („გლეხი ა"), ცხადია, რომ გლეხი თავის ოჯახთან (ისევე როგორც, მიწასთან) ერთად, როგორც კომლი ისე იყიდება. ამის პირდაპირი მითითება საბუთშივე მოიპოვება, როდესაც მონასტრის წინამძღვარი ცხილათს აბულახტარისაგან ნაყიდ ერთ გლეხს („გლეხი ა") მიწას აძლევს („მუნვე, ცხილათს, მოვიგე მიწაჲ და მივეც მათვე საკაბალოდ")[104] და მას მრავლობით რიცხვში მოიხსენიებს („მივეც მათვე"). ეს ნიშნავს, რომ საბუთში მოხსენიებული გლეხის სყიდვა კომლის სახით, მის ოჯახთან ერთად ხდება და რაოდენობა არა გლეხის სულს, არამედ მის კომლს აღნიშნავს.

ასე რომ, XI საუკუნის საქართველოში გლეხის კომლი თავისი ადგილ-მეურნეობით 18 ოქრო ღირდა.

ცხენი. *ნიკორწმიდელის დაწერილში* აღნუსხული აქტების მიხედვით, სამი კატეგორიის ცხენის ფასის დადგენაა შესაძლებელი. ესენია – კარგი ანუ საბრძოლოდ გამოსადეგი ცხენი, სამარქაფო ცხენი და ჯაგლაგი.

კარგი ცხენი. ოკრიბაში ნასრაჲს ასულის გლეხში მონასტერი იხდის 1 ცხენს, 7 დუკატსა და 2 ძროხას.[105] როდესაც ვიცით გლეხისა და ძროხის ფასი, იოლია ისეთი ტოლობის შედგენა, სადაც უცნობი (X) მხოლოდ ცხენის ფასია: 18 ოქრო = X + 7 ოქრო + 2 ოქრო. ცხადია, რომ X ანუ ცხენის ღირებულება 9 ოქროს უდრის. დაწერილის სხვა აქტებიდან ჩანს, რომ ცხენის ფასი 8 ოქროც შეიძლება ყოფილიყო.[106] საერთო ჯამში, კარგი ანუ საბრძოლოდ გამოსადეგი ცხენის ღირებულება 8-9 ოქროდ შეიძლება ვიანგა-

[103] მ. ბერძნიშვილი. მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები, გვ. 79-80.
[104] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 43.
[105] 39-ე აქტი, გვ. 43.
[106] როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს ფასი დასტურდება მე-7 აქტით (გვ. 40), სადაც ერთად აღებული ვენახისა და ყანის ღირებულება უდრის კარგი ცხენის ფასს და მე-11 აქტით (გვ. 40), სადაც ცხენის ფასი მიწის 2 ნაკვეთია.

რიშოთ.

სამარქაფო ცხენი. ცხილათში აბულახტარისაგან ნაყიდი გლეხის ფასია 2 ცხენი (ხვადი), 1 სტავრის კაბა, 2 კონსტანტინატი და 1 რკინის ავშარა.[107] სტავრის კაბა პირობითად სტავრის ლაფაჩის ფასად ანუ 2 ოქროდ შეგვიძლია ვიანგარიშოთ, რკინის ავშარა კი 1 ან მაქსიმუმ 2 ოქროდ; ე. ი. 1 ცხენის ფასი დაახლ. 6 ოქროა (18 ოქრო - 2 ოქრო - 2 ოქრო - 1 ან 2 ოქრო = 13/12 : 2 = 6.5/6 ოქრო). ასეთი ცხენის ღირებულება ცოტათი ჩამორჩება უკეთესი, „კარგი" ცხენის ფასს და მისი შემცვლელი, ანუ *მარქაფა* ცხენია.

ჯაგლაგი (საბარგო) ცხენი. კაჩაეთს სქელაეთგან ცხენის საზღაურად მონასტერი იღებს ყანას.[108] ცხადია, რომ აქ იაფ, ჯაგლაგ ცხენთან გვაქვს საქმე, რასაც მხოლოდ სოფლის მეურნეობაში ან საბარგოდ (სატალახედ) თუ გამოიყენებოდა. ასეთი ცხენის ღირებულება 2 ოქრო იყო.[109]

ჯორი. შქმერში შქჯლოჲსგან მონასტერი ყიდულობს 1 გლეხს და უცნობი რაოდენობის ყანას, რის სანაცვლოდაც იხდის 1 ჯორს, 1 ცხენს, 3 ოქროს, 2 ხარს და 1 ძროხას.[110] ჯორის ფასის გამოყვანისას, მიუხედავად იმისა, რომ ყველა დანარჩენი ფასი ცნობილია, მოგვიწევს ერთი ლოგიკური ალბათობის დაშვება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ჯორის ფასი არ უნდა მივიჩნიოთ კარგი ცხენის ფასის ტოლად. ამ დაშვების შემდეგ მსჯელობა იოლია: ტოლობის მარცხენა მხარეს ყანების უცნობი რაოდენობა 2-ის ტოლია, რადგან სხვა შემთხვევაში, ჯორის ფასი ძალიან გაიზრდება; ამავე პრინციპით, ტოლობის მარჯვენა მხარეს კარგი ცხენი იგულისხმება (აქ არც 2-ოქროიანი ჯაგლაგი არ გამოდგება, რადგანაც ამ შემთხვევაში გაყიდულის ფასი (მინ. 22 ოქრო) შეთავაზებულზე მეტი იქნება). საბოლოოდ, ტოლობა ასეთ სახეს მიიღებს: 22 ოქრო (გლეხი + 2 ყანა) = X + 8 ოქრო (კარგი ცხენი) + 3 ოქრო + 4 ოქრო (2 ხარი) + 1 ოქრო (ძროხა) ანუ 22 ოქრო = X + 16, ე.ი. ჯორის ფასი უდრის 6 ოქროს. ეს გასაკვირი არ არის, რადგან ჯორი ყოველთვის ძვირი ღირდა:[111] XIII საუკუნის შუახანებში გრი-

---

[107] 35-ე აქტი, გვ. 42-3.
[108] 30-ე აქტი, გვ. 42.
[109] ცხენის ფასი 2 ოქრო გამოდის მე-2 აქტშიც (გვ. 40), იხ. ქვემოთ ჩაბალახის ფასზე მსჯელობა.
[110] 34-ე აქტი, გვ. 42.
[111] C. Morrisson, Jean-Claude Cheynet. Prices and Wages in the Byzantine World, გვ. 840-841.

გოლ სურამელის დაწერილში „შეკაზმული დიდად კარგი ჯორი“ 400 თეთრადაა შეფასებული, უბრალო ცხენი კი – 350 თეთრად.[112]

მიწა. მ. ბერძნიშვილის აზრით, რადგან ყანა სახნავ-სათეს, უკვე დამუშავებულ ნიადაგს გულისხმობს, მიწა კი – დაუმუშავებელს, „მიწა ყანაზე უფრო იაფი ჩანს“.[113] ამ დასკვნას მკვლევარი შერჩევითად აღებული შედარების (ხოტევში 1 ხარად ნაყიდი მიწის და აგარაში უფრო ძვირად ნაყიდი ყანის) საფუძველზე აკეთებს. სინამდვილეში კი, მიწა ყანაზე ორჯერ უფრო ძვირი უნდა იყოს, როგორც ეს პირდაპირ ჩანს იმ შემთხვევაში, როდესაც 1 ხარის და 1 სახნისის ღირებულება ერთგან უდრის 1 მიწას (საპადს ქველაღსძისაგან ნაყიდი მიწა),[114] მეორეჯერ კი – 2 ყანას (შუბავთაგან კაჩაეთს და ჭევჭმელს ნაყიდი ყანები).[115] აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მიწის ღირებულება ყანაზე ორჯერ მეტია ანუ 4 ოქროა. ამ ფასს ადასტურებს ზნაკვაში ნაყიდი ტყიანი მიწაც, რომლის ფასი 2 ჯაჭვის პერანგია,[116] ანუ ისიც 4 ოქრო ღირს. ამავე ფასზე მიუთითებს მე-11 აქტიც, საიდანაც ვიგებთ, რომ მოპარული ცხენის საზღაურად მიწის 2 ნაკვეთს იღებენ.[117] კარგი ცხენის ფასი ჩვენი საბუთის 39-ე აქტის მიხედვით 9 ოქროა; თუ ნაკვეთის ფასად 4 ოქროს ვიანგარიშებთ, დაახლოებით ამდენივე, 8 ოქრო, ღირს მიწის 2 ნაკვეთიც. უმნიშვნელო სხვაობის მიზეზი თავად ცხენის ფასი შეიძლება იყოს, რომელიც, ალბათ, 8 ოქროს უდრიდა. იშვიათად, მიწის ფასი ნაკლებია (მხოლოდ ერთ შემთხვევაში, როდესაც ხოტევში ნაყიდი მიწა მხოლოდ 1 ხარი ანუ 2 ოქრო ღირს)[118] ან მეტია (ჩაყრივისაგან ნაყიდი მიწა 80 დრამა ანუ 5.7 ოქრო ღირს).[119] თუმცა ეს საერთო სურათს არ ცვლის. ბუნებრივია, უფრო ძვირი ღირს მიწა, რომელზეც ხეხილია გაშენებული. ასეთი მიწის ფასი 2 ხარი და 300 კგ. ხორბალი,[120] ანუ 6 ოქროა.

[112] შეუვალობის განახლების დაწერილი ქართლის ერისთავ გრიგოლ სურამელისა შიომღვიმისადმი. ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. II. თბ. 1965, გვ. 43.

[113] მ. ბერძნიშვილი. მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები, გვ. 58-59.

[114] მე-12 აქტი, გვ. 41.

[115] მე-13 აქტი, გვ. 41.

[116] მე-6 აქტი, გვ. 40.

[117] მე-11 აქტი, გვ. 40.

[118] მე-19 აქტი, გვ. 41.

[119] მე-20 აქტი, გვ. 42.

[120] 23-ე აქტი, გვ. 42.

საბოლოოდ, უნდა დავასკვნათ, რომ მიწის ნაკვეთის ფასი 4 ოქრო იყო.

ვენახი. დოკუმენტში ვენახის შესახებ არსებული მონაცემები რომ დავაჯგუფოთ, ვნახავთ, რომ ვენახის ფასი დაახლ. 4-6 ოქროა. 4 ოქროს ფარგლებში ჯდება საწირეში ნაყიდი ვენახი, რომლის ნაცვლადაც 1 ძროხა და 40 აჟურა[121] ანუ (1 ოქრო + 40:14=2.85 ოქრო) 3.85 ოქროა გადახდილი; მეტეხარას ნაყიდი ვენახი, რომელიც ღირს 1 ხარი და 2 სახნისი[122] ანუ (2 ოქრო + 2X1.33 ოქრო) 4.66 ოქრო; ცოტათი ნაკლები ღირს ჭივშს ნაყიდი ვენახი, რომელშიც 1 ხარი, 1 ცხვარი და 1 სახნისია გადახდილი,[123] რაც დაახლ. (2 ოქრო + ? + 1.33 ოქრო) 3.5 ოქროს შეადგენს. მონაცემების მეორე ჯგუფის მიხედვით, ვენახის ფასი 6 ოქროა. ასე, ჯინჯინოძისაგან შეძენილ ვენახში 1 ძროხას და 75 დრამის საქონელს იხდიან,[124] რაც (1 ოქრო + 75:14=5.35 ოქრო) 6.35 ოქროა; ზოსქლელისაგან ნაყიდი ვენახი კი 1 ხარი, 3 სახნისი და საქალამნე ტყავი ღირს[125] ანუ დაახლ. (2 ოქრო + 3X1.33 ოქრო+ ?) 6 ოქრო. ამავე თანხაზე მიუთითებს ზნაკვაში შემდგარი ერთი გარიგებაც, რომლის მიხედვით აბულათაის ძეს ვენახისა და ყანის ნაცვლად კარგი ცხენი მისცეს.[126] კარგი ცხენის ფასი 8 ოქროა, ყანის – 2 ოქრო, რაც ნიშნავს, რომ ვენახის ფასი 6 ოქროს უდრის.

გამონაკლისი და შედარებით ძვირი ჩანს ჯინჭარაის ძის გლეხისაგან ნაყიდი მეოთხედი ვენახის ფასი, რომელიც (1 ძროხა, 40 დრამა = 1 ოქრო + 40:14=2.85) 3.85 ოქრო გამოდის.[127] ამავე ფასად (1 ფური, 40 აჟურა) საწირეში „ღ(მრ)თის-მშობლისა გლეხისაგან“ ვენახის სრული ნაკვეთი შეიძინეს.[128] როგორც ჩანს, მეოთხედი ვენახის ასეთი ფასი განაპირობა იმ ფაქტმა, რომ იგი მონასტრის ვენახის მეზობლად მდებარეობდა („ჩ(უე)ნ თანა ედვა“)[129] და წინამძღვარს მათი გაერთიანების სურვილი ექნებოდა, რაც, ალბათ, მოხერხებულად გამოიყენა კონტრაგენტმა გლეხმა.

ჩაბალახი. *ნიკორწმიდელის დაწერილის* მე-2 აქტში დებორიანის ძეს

[121] 37-ე აქტი, გვ. 43.
[122] მე-3 აქტი, გვ. 40.
[123] 32-ე აქტი, გვ. 42.
[124] მე-5 აქტი, გვ. 40.
[125] 33-ე აქტი, გვ. 42.
[126] მე-7 აქტი, გვ. 40.
[127] მე-4 აქტი, გვ. 40.
[128] 37-ე აქტი, გვ. 43.
[129] ვენახების მდებარეობისათვის იხ. მ. ბერძნიშვილი. მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები, გვ. 71.

მიტოვებულ მიწას (პარტახტს) ცხენსა და გუდამაყრულ ჩაბალახში უცვლიან.[130] თუ მიწის ღირებულებას, ჩვეულებრივ, 4 ოქროდ ვიანგარიშებთ და მას დაბალფასიანი, ჯაგლაგი ცხენის ღირებულებას ანუ 2 ოქროს გამოვაკლებთ, ჩაბალახის ფასი 2 ოქრო გამოვა.

წიგნის ფასი. ხელნაწერი წიგნი ყოველთვის ძვირი ჯდებოდა. ასე იყო XI საუკუნის საქართველოშიც, სადაც ნიკორწმიდის წინამძღვარი საგალობელთა კრებულში – პარაკლიტონში ცხენის ფასის ნახევარს ანუ 3-4 ოქროს იხდის,[131] იადგარის (ლიტურგიკული კრებულის) გადაწერის დასრულება და მოჭედილი ყდით შემოსვა კი 15 ოქრო უჯდება.[132]

სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების ფართობი

ყანის ფართობი

როგორც უკვე ვთქვით, *ყანა* გარკვეული ოდენობის დამუშავებული მიწის ერთეულს გულისხმობს. ამ ერთეულისაგან განსხვავებულ სიდიდეს უკვე დასათესი მარცვლეულის ოდენობით აღნიშნავენ.[133] საბუთში ორგან ვხვდებით 100 კგ. (1 გრივი) და 60 კგ. (6 კაბიწი) მარცვლეულის (ალბათ, ხორბლის) სათეს ყანას.[134] ფართობის რა ოდენობასთან გვაქვს საქმე?

X საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე VII პორფიროგენეტისათვის შედგენილი სამიწათმოქმედო ტრაქტატი *გეოპონიკა* განსაზღვრავს თესვის ნორმას, რომლის მიხედვითაც 1 მოდ მიწაზე (1,250 კვ.მ.) 1 მოდი ხორბალი (12.8 კგ.) ითესებოდა. ეს საკმაოდ მჭიდრო თესვად ითვლებოდა და ყოველ კვადრატულ მეტრზე 300 მარცვალს მოითხოვდა.[135] გამოდის, 100 კგ. მარცვლით 1 ჰექტარი მიწის დათესვა შეიძლებოდა, 60 კგ.-ით კი – 0.6 ჰა-ის.

განსხვავებული მონაცემები მოგვეპოვება უფრო გვიანდელი პერიოდის საქართველოსათვის. ვახტანგ VI-ის თანახმად, დღიურ მიწაზე 2.5 კოდი

[130] მე-2 აქტი, გვ. 40.
[131] 41-ე აქტი, გვ. 43.
[132] მე-40 აქტი, გვ. 43.
[133] მ. ბერძნიშვილი. მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები, გვ. 112.
[134] 28-ე და 29-ე აქტები, გვ. 42.
[135] J. Lefort. The Rural Economy, Seventh-Twelfth Centuries. The Economic History of Byzantium: From the Seventh through the Fifteenth Century. Ed. by A. E. Laiou. Washington. 2002, გვ. 260.

მარცვლეული ითესებოდა.[136] ამ დროისათვის, XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის I ნახევარში, კოდი 30 კგ. ხორბალს იტევდა.[137] გამოდის, დღიურ მიწაზე[138] 75 კგ. ხორბალი ითესებოდა და 60 კგ. მარცვლით 0.4 ჰექტარი მიწის დათესვა შეიძლებოდა, 100 კგ.-ით კი – 0.67 ჰა-ის.

საყურადღებოა, რომ ორივე შემთხვევაში, როდესაც საბუთში მარცვლეულით სათესი ყანაა ნახსენები, მონასტრის წინამძღვარი ამ ყანას იგებს და არ ყიდულობს. *მოგება* შეძენის ყიდვისაგან განსხვავებული სახეა, არ საჭიროებს რაიმეს დახარჯვას და *მომგების* მოხერხებაზეა დამყარებული.[139] უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ხერხით შეძენილი და სათესი მარცვლეულის ოდენობით განსაზღვრული ყანის ფართობი ნაკლები უნდა იყოს ტიპური ყანის ფართობთან შედარებით, რომელსაც მონასტერი, ჩვეულებრივ, ყიდულობდა.

რადგანაც 1 გრივის (100 კგ.) სათესი ყანა არის 0.67 ან 1 ჰა, საბუთის ყანის ფართობი ამაზე მეტი, ალბათ, 2 ჰა უნდა იყოს. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ დროისათვის, ყოველი დათესილი 1 მარცვალი, საშუალოდ, 4-5 მარცვლის მოსავალს იძლეოდა.[140] გლეხის 4-5 სულიან ოჯახს რომ არსებობა შეძლებოდა[141] და ბეგარაც გადაეხადა, 2 ჰა ყანა მაინც უნდა დაეთესა.[142]

მიწის ფართობი

რა თქმა უნდა, დამუშავებული მიწა დაუმუშავებელზე უფრო ძვირია, მაგრამ რადგანაც ჩვენი საბუთის *მიწა* ორჯერ უფრო ძვირი ჩანს, ვიდრე *ყა-*

---

[136] ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთმცოდნეობა, გვ. 662; გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 158.

[137] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 99.

[138] დღიური მიწა დაახლ. 0.5 ჰა უდრიდა. გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 158. უფრო დაწვრილებით, იხ. ქვემოთ.

[139] მ. ბერძნიშვილი. მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები, გვ. 56-57.

[140] J. Lefort. The Rural Economy, Seventh-Twelfth Centuries, გვ. 259-260.

[141] საშუალოდ, სხვა საკვებთან ერთად, შუა საუკუნეებში მიწის მუშაკს 200 კგ. ხორბალი წლის განმავლობაში ყოფნიდა. J. Lefort. The Rural Economy, Seventh-Twelfth Centuries, გვ. 302.

[142] ასეთივე ფართობს ღებულობს დ. მეგრელაძე XVII-XVIII სს. მონაცემების გათვალისწინებით: „ხუთსულიანი ოჯახის გამოსაკვებად საკმარისი იყო დაახლოებით 3-4 დღიური ვარგისი სახნავ-სათესი“. დ. მეგრელაძე. გლეხთა ეკონომიური მდგომარეობისათვის XVII-XVIII სს. ქართლის მასალების მიხედვით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. 5. 1965, გვ. 202.

ნა, ის გაცილებით დიდ ფართობს უნდა გულისხმობდეს, ვიდრე ეს დამუშავებული ყანაა. რას ნიშნავს საბუთის *მიწა* და რა ფართობის ნაკვეთი იგულისხმება მასში?

როგორც უკვე დავადგინეთ, *ნიკორწმიდელის დაწერილის* მიხედვით, *მიწა* 4 ოქრო ღირს. მიწის ეს ღირებულება სტაბილური ჩანს, რაშიც 1200 წლის მახლობლად ხარაისძეების მიერ დაწერილი საბუთი გვარწმუნებს, სადაც 8 ოქროს საფასედ 2 გუთანი მიწა ჩანს: „...და ესე შესამოსელი რვა დრაჰკნად ვაჭრულად დააფასეს. მას შინ ოქროდ არ ძალ-გიჩნდა და მოგუეც ორი გუთანი მიწაი მჭედლიური“.[143] საბუთიდან ისიც ჩანს, რომ მიწის საზომი ერთეული ერთი გუთანი მიწა იყო და რომ ერთი გუთანი მიწა 4 ოქრო ღირდა. ხარაისძეების საბუთის გარდა, გუთანი, მიწის საზომი ერთეულის მნიშვნელობით, გვხვდება 1230-იანი წლების დასაწყისის წირკნელის დაწერილში[144] და 1259/60 წლის მღვიმისადმი დაწერილში.[145]

რას ნიშნავს *გუთანი მიწაი*? ი. პეტრუშევსკიმ დაადგინა, რომ ირანში წყვილი ხარების შებმა, რომელსაც *ჯუფთ-ი გავ* და *ჯუფთ-ი ავამილ* ეწოდებოდა, გამოიყენებოდა მიწის საზომ ერთეულად და ნიშნავდა წყვილი ხარის მიერ გუთნით დამუშავებულ ფართობს.[146] სახნავი ფართობის ეს საზომი ირანსა და მის მეზობელ ქვეყნებში უძველესი დროიდან არსებობდა. წინა და ცენტრალურ აზიაში მას თავისი სინონიმები ჰქონდა. როგორც ვხედავთ, საქართველოში მას *გუთანი მიწაი* შეესაბამებოდა. ფასიდან გამომდინარე, ჩანს, რომ ქართული ისტორიული საბუთების *მიწა* და *გუთანი მიწა* ერთი და იგივე სიდიდეა. საინტერესოა, თუ რა ფართობს უდრის ერთი გუთანი მიწა? აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში მიწის ფართობის საზომად *ღღიურსაც* იყენებდნენ. გ. ჯაფარიძის თანახმად, XIX საუკუნეში სხვადასხვა მაჩვენებლის გათვალისწინებით ღღიური მიწა 3,900-5,000 კვ.მ.-ს უდრიდა, საიდანაც უფრო მისაღებ სიდიდედ 0.5 ჰა მიაჩნია.[147] რუსეთში, გერმანიასა

[143] დაწერილი კუირიკე და ბასილი ჭარაისძეებისა გიორგი მუშერისძისადმი. ქართული ისტორიული საბუთები. I, გვ. 92.

[144] დაწერილი დემეტრე წირკნელისა საბასადმი. ქართული ისტორიული საბუთები. I, გვ. 113.

[145] დაწერილი ძაგან აბულეთისძისა მღვიმისადმი. ქართული ისტორიული საბუთები. I, გვ. 140.

[146] И.П. Петрушевский. Земледелие и аграрные отношения в Иране XIII-XIV веков. М. 1960, გვ. 145.

[147] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 158.

თუ პოლონეთში, დღიური მიწის ფართობი 0.33-0.5 ჰექტარის ფარგლებში მერყეობდა. როგორც ჩანს, 0.5 ჰა ფართობის ის მაქსიმუმი იყო, რომელიც გლეხს შეეძლო დღის განმავლობაში დაემუშავებინა.[148] ივანე ჯავახიშვილი *გუთანს* და *დღიურს* თანაბარ სიდიდეებად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ გუთანი „წარმოადგენდა, ალბათ, მიწის იმ ოდენობას, რომლის მოხვნაც გუთნეულს ერთი დღის განმავლობაში შეეძლო".[149] ამავე აზრის იყო ს. კაკაბაძეც: „*დღიური* და *გუთანი*, ცხადია, ერთი დღის სახნავ მიწას ნიშნავდა".[150] ასეთ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, რადგან *გუთანი მიწა* არსად არ ემთხვეოდა *დღიურ მიწას*. ირანში *გუთანი მიწა* დღიურზე გაცილებით მსხვილი ერთეული იყო. შუა საუკუნეების ლატვიაში სეზონის განმავლობაში ცხენით და გუთნით დამუშავებულ მიწას, მეზობელ სლავთა მსგავსად, *სოხა* ეწოდებოდა. *სოხა* მიწის უფრო მსხვილი ერთეული იყო, ვიდრე – *ჯუდზიენს*, ცხენ-გუთნით დღეში დამუშავებული მიწა.[151] ასევე რუსულ მასალაზე დაყრდნობითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ *სოხის* ფართობი ბევრად მეტია, ვიდრე დღის განმავლობაში დამუშავებული მიწა.[152]

მაშ, რა ფართობს უდრის ერთი გუთანი მიწა? ი. პეტრუშევსკის მიხედვით, *ჯუფთის* სიდიდე მერყეობდა ადგილისა და ნიადაგის მიხედვით და შეესაბამებოდა გუთნეულის მიერ სეზონზე დამუშავებულ, დახნულ და დათესილ ფართობს. ირანში ჯუფთის საშუალო სიდიდე 6-7 ჰექტარი იყო; ასეთივე ფართობი ჰქონდა ხორბლისა და ქერისათვის განკუთვნილ მიწებზე ჯუფთს ხორასანსა და ცენტრალურ აზიაში.[153] არ არის გამორიცხული, რომ ერთი გუთანი მიწის ფართობი საქართველოშიც შესაბამისი სიდიდე ყოფილიყო. ეს არ ეწინააღმდეგება ჩემთვის ცნობილ სხვა მონაცემებს. ასე, მაგალითად, ერთი შებმის მიერ დამუშავებული მიწის ფართობი, რომელიც გლეხის სრულ ფუძეს შეესაბამებოდა, შუა საუკუნეების პრუსიაში 5.5-8.5 ჰა, პოლო-

---

148 А.Л. Шапиро. Русское крестьянство перед закрепощением (XIV-XVI вв.). Л. 1987, გვ. 55-57.

149 ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთმცოდნეობა, გვ. 663.

150 ს. კაკაბაძე. ქართული მეტროლოგია. საისტორიო მოამბე. I. 1925, გვ. 58.

151 Я. К. Земзарис. Метрология Латвии в период феодальной раздробленности и развитого феодализма (XIII-XVI вв.). Проблемы источниковедения. IV. 1955, გვ. 190-191.

152 Е. И. Каменцева, Н.В. Устюгов. Русская метрология, изд. 2-е. Москва. 1975, გვ. 95-97.

153 И. П. Петрушевский. Земледелие и аграрные отношения в Иране XIII-XIV веков, გვ. 289-290.

ნეთში – 8.5 ჰა, დანიაში კი 9-10 ჰა იყო.[154] ბიზანტიაში ერთი წლის განმავლობაში წყვილი ხარის (*zeugarion*) მიერ დამუშავებული მიწის ფართობი, ე. შილბახის მიხედვით, 8-დან 20 ჰექტარამდე მერყეობდა და საშუალოდ 13.8 ჰა უდრიდა;[155] თუმცა ა. ჰარვეი შენიშნავს, რომ შილბახის მიერ გამოყვანილი ეს საშუალო მაჩვენებელი გაზრდილია გვიანდელი, XV საუკუნის, მონაცემების გამოყენების ხარჯზე.[156] ჟ. ლეფორი 8-10 ჰექტარით, ზოგან კი უფრო ნაკლებით (5.5 ჰა) ანგარიშობს ამ ფართობს.[157] ეს სიდიდეები მისაღები უნდა იყოს საქართველოსთვისაც, სადაც 10 ჰა მაქსიმალური მაჩვენებელი შეიძლება იყოს, მინიმალური კი – 5-6 ჰა; ასე რომ, საშუალოდ, გუთანი მიწის ფართობი 6-7 ჰექტარის ფარგლებში შეგვიძლია ვივარაუდოთ.

რა დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან ქართული საბუთების *მიწა*, *გუთანი მიწა* და გლეხის ფუძე? შუა საუკუნეების საქართველოში გლეხის ფუძე იყო ძირითადი სამეურნეო და საგადასახადო ერთეული. ნორმალურ პირობებში ერთ სრულ ფუძეზე გლეხის ერთი კომლი იჯდა.[158] კომლი, როგორც საგადასახადო ერთეული, დადასტურებულია VII საუკუნეში ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელში“,[159] სრული ფუძე, როგორც დასაბეგრი ერთეული ჩანს მონღოლთა აღწერიდან.[160]

გლეხის სრულ ფუძეში იგულისხმებოდა მიწის ნაკვეთი, ბაღი, სახლი

[154] А. Л. Шапиро. Русское крестьянство перед закрепощением (XIV-XVI вв.), გვ. 60-61.

[155] E. Schilbach. Byzantinische Metrologie. München. 1970, გვ. 67-70.

[156] A. Harvey. Economic Expansion in the Byzantine Empire, 900-1200. Cambridge. 1989, გვ. 54, შენ. 72.

[157] J. Lefort. The Rural Economy, Seventh-Twelfth Centuries, გვ. 247.

[158] მ. ლორთქიფანიძე. მიწისმფლობელობის ფორმების საკითხისათვის IX-X სს. საქართველოში. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. 34. 1962, გვ. 21-23; ზ. ჯამბურია. საქართველოს სოციალური ისტორიის ზოგიერთი საკითხი. „მაცნე“. 2. 1989, გვ. 24.

[159] დედანშია *სახლი*, რაც იგივე მნიშვნელობისაა. ეთერ სიხარულიძე. ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელის“ აბუ ‘უბაიდისეული ვარიანტი. თბ. 2001, გვ. 6.

[160] მონღოლთა აღწერის შედეგად, „ცხრასა გლეხსა, სრულისა მიწისა მქონებელსა, ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან“. ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ. თბ. 1987, გვ. 116. კომლი და ფუძე, როგორც საგადასახადო ერთეული, იხ. მ. ლორთქიფანიძე. გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა (VI ს. – XIII ს. დამდეგამდე). გვ. 21-22.

და სამეურნეო ნაგებობები. ვენახი, რომელსაც გლეხი ფლობდა, გამოყოფილი იყო და ცალკე იბეგრებოდა. როგორც მ. ბერძნიშვილის დაკვირვებით ჩანს, გლეხის მიწა საკმაო ფართობისაა, რადგან გლეხის ფუძის, როგორც საგადასახადო ერთეულის, შესაქმნელად საკმარისი არ იყო ყანის 2 ნაკვეთი: ვინმე ეფრემის შემოწირულ ორ ყანას ნიკორწმიდელი ნასყიდ მიწას უმატებს, აერთიანებს და ზედ გლეხს ასახლებს, რომელმაც ბეგარა უნდა იხადოს:[161] „ეფრემ შემოსწირა ყანაჲ ბ ხოტევლისა სულისათჳს. იგი და ნასყიდი ერთგან შევკრიბე და გლეხი დავასახლე აგარასა შინა და ბეგარასა გარდაიჴდიდის“.[162]

ივ. ჯავახიშვილის თანახმად, თამარ მეფის მიერ შიომღვიმისადმი გაცემული სიგელის და მისი მინაწერების მიხედვით, გლეხის *ფუძე* და *მიწა* „ერთი და იგივე იყო და „მიწაჲ“ ფუძეს უდრიდა“.[163] მართლაც, საბუთში, გლეხი ქოსაისძენი, რომლებიც ერთ მიწაზე ორ კომლად სახლობდნენ, ერთგან დამოწმებული არიან, როგორც „მიწად ერთი და კუამლად ორი“,[164] მეორეგან კი – „ფუძედ ერთი და კუამლად ორი“.[165] ამავე აზრისაა ნ. ბერძენიშვილი, რომელიც თვლის, რომ გლეხის ფუძის „ქართული შესატყვისი, ან თუ შესატყვისი არა, ამათი ნათესავი ტერმინი, შეიძლება იყოს დადასტურებული **მიწა**“;[166] ამასვე იმეორებს ზ. ჯამბურიაც: „გლეხის ფუძის სინონიმური მნიშვნელობით იხმარებოდა „მიწა“.[167] როგორც ვხედავთ, ქართულ ისტორიოგრაფიაში სრულიად სამართლიანად არის გაიგივებული გლეხის *ფუძე* და საბუთებში მოხსენიებული *მიწა*.

როგორც უკვე დავადგინეთ, *მიწა* და *გუთანი მიწა* ერთი სიდიდეა. ე. ი. საქართველოში გლეხის სრული ფუძე და *გუთანი მიწა* ერთი და იგივე იყო და 6-7 ჰა-ს უდრიდა. ამის დასტურს თამარ მეფის იმავე საბუთში ვპოულობთ, რომელშიც ვკითხულობთ, რომ მღვიმის წყლის მომარაგებისათვის („წყლის კაზმვისათვის“) მიჩენილ გლეხის ორ კომლს, რომლებიც ერთ ფუძეზე (მიწაზე) ისხდნენ, ანტონ ჭყონდიდელმა ჯამში 12 დღიური მიწა და

[161] მ. ბერძნიშვილი. მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები, გვ. 80.
[162] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 42.
[163] სიგელი თამარ მეფისა მღვიმისადმი. ქართული ისტორიული საბუთები. I, გვ. 100-101; ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთმცოდნეობა, გვ. 661.
[164] ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთმცოდნეობა, გვ. 100.
[165] ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთმცოდნეობა, გვ. 102.
[166] ნ. ბერძენიშვილი. „მოლაშქრეობის“ შესახებ. „მაცნე“. 3. 1991, გვ. 175.
[167] ზ. ჯამბურია. საქართველოს სოციალური ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 24.

ვენახი გამოუყო: „და ამათ გლეხთა ორთავეს სწორად მივსცენით მიწანი მონასტრისაგან სხალტბას, სახელდებით: ბოტკოს და დიდველს დღისა ათისაი და წყაროისა სათავესა ორისა დღისაი და ვენაკი, რ(ომე)ლ საკრებულოი იდვა სხალტბას".[168] ქოსაისძეების ორი კომლი ერთ სრულ მიწაზე იჯდა, მათ შემდეგ „წყლის კაზმვისათვის" მისცეს 12 დღიური მიწა და ვენახი, რაც ერთი სრული მიწის (ფუძის) შესაბამისი იქნებოდა. სხალტბის ამ საბუთის და სხვა მონაცემების (ი. გძელიშვილის მიერ არქეოლოგიურად შესწავლილი ნასოფლარები, ს. მაკალათიას მასალა ხევსურეთზე და ი. ჭავჭავაძისა – საკომლოს სიდიდეზე) საფუძველზე ზ. ჯამბურიამ გარკვევით აჩვენა, რომ გლეხის სრული ფუძე 12 დღიურ მიწას უდრიდა.[169] 12 დღიური მიწა დაახლ. 6 ჰა-ს უდრის და ეს რიცხვი შეესაბამება ერთი გუთანი მიწის ფართობს. რომ შევაჯამოთ, ისტორიული საბუთების *მიწა*, *გუთანი მიწა* და გლეხის *ფუძე* ერთი და იგივე სიდიდეა, მისი ფართობი დაახლ. 6-7 ჰა-ია და 4 ოქრო ღირს.

ჯავთა გაეთი

ნიკორწმიდელის დაწერილიდან ვიგებთ, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ფისკალური ერთეული, გლეხის ფუძის და მისი მიწის ნაკვეთის გარდა, გამწევი საშუალების მიხედვითაც დგინდებოდა.[170] ნიკორწმიდის წინამძღვარი ერთგან აღნიშნავს: „ლეითის ძ[რო]ხაჲ (?) საჩხეორს სასკესა[171] დაესხა და დაკოდნა და მისთჳნ საზღავად ავი[ღე] საკადს სახლი ჯავთა გაეთი და ზედა [კა]ბალაჲ დავსდევით".[172] საბუთის *ჯავთა გაეთი* სპარსული

[168] სიგელი თამარ მეფისა მღვიმისადმი, გვ. 103.

[169] ზ. ჯამბურია. საქართველოს სოციალური ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 12-16. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ი. გძელიშვილის მონაცემები საეჭვოა. ის ხელოვნურად უთანხმებს არქეოლოგიურ მასალას და შიომღვიმის საბუთის მონაცემებს სხალტბაში 10 დღიური მიწის შესახებ. იოსებ გძელიშვილი. რუსთაველის ეპოქის ქართული სოფელი. საქართველო რუსთაველის ხანაში. თბ. 1966, გვ. 196.

[170] პრიმიტიული იარაღით მიწის დამუშავებისას ყველაფერი ამ დროს დახარჯულ ძალაზე იყო დამოკიდებული. ასეთ ვითარებაში გამწევი ძალის არსებობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. Б.Д. Греков. Что такое обжа? Известия АН СССР. 13-14. 1926, გვ. 1249. სწორედ ამიტომ იმდროინდელი ფართობის საზომი და საგადასახადო ერთეულები ხშირად, მიწის დამმუშავებელ ძალასთან არის არსობრივად და ტერმინოლოგიურად მიბმული.

[171] სასკე, საბას მიხედვით, საფუტკრეა. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ. II, გვ. 54.

[172] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 44.

წყაროების *ჯუფთ-ი გაკი* უნდა იყოს.[173] როგორც აღინიშნა, *ჯუფთ-ი გაკ* ირანში წყვილი ხარების შებმას ეწოდებოდა.[174] ლეითის ძროხის მიერ დაზიანებული საფუტკრის საზღაურად კაბალადადებული „სახლი ჯავთა გაეთი“ გულისხმობს სახადში მდებარე, ლეითის კუთვნილ ფისკალურ და ეკონომიკურ ერთეულს – სახლს (ფუძეს), რომელიც ხარების შებმას ფლობს; საქართველოში, ისევე როგორც ბიზანტიაში ასეთი გლეხი (*zeugaratos*)[175] აღინიშნებოდა ტერმინით, რომელიც წყვილ ხარს ნიშნავდა (*zeugarion*).[176] ჯავთა გაეთის კაბალა მონასტრის მიერ მათი ხარების შებმის გამოყენებას უნდა გულისხმობდეს.

ვენახის ფართობი

ვენახის ფართობის დასადგენად სხვადასხვა, მათ შორის, უცხოური მონაცემებიც უნდა გავითვალისწინოთ. ბიზანტიაში ვენახები, მეტწილად, მცირე ფართობის (1,000 კვ. მ. ან ცოტათი მეტი) იყო და მათ ძირითადად წვრილი მიწათმოქმედნი ფლობდნენ.[177] ვენახი შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო იყო. ისინი შედარებით თანაბრად, მცირე ნაკვეთებად იყო განაწილებული, თუმცა იყვნენ გლეხები, რომლებიც ვრცელ ვენახებს (2.5 ჰა) ფლობ-

[173] უნდა ითქვას, რომ *ჯავთა გაეთის* მნიშვნელობა დღემდე არ იყო ცნობილი: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსში ის შეტანილია ლექსიკონში, ძახილის ნიშანიც უსვია, მაგრამ ახსნილი არ არის. ქართული ისტორიული საბუთები. I, გვ. 261. *ჯავთა გაეთი* არ არის განმარტებული არც ი. დოლიძის გამოცემაში. ნიკორწმიდის იადგარი. ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. III. თბ. 1970, გვ. 27-34. საურმაგ კაკაბაძის რუსულენოვან გამოცემაში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ გამოთქმის აზრი გაუგებარია. Грузинские документы IX-XV вв. в собрании Ленинградского отделения Института востоковедения АН СССР, перевод и комментарии С.С. Какабадзе. Москва. 1982, გვ. 47. მ. ბერძნიშვილი მართალი იყო, როდესაც „სახლი ჯავთა გაეთს“ მიიჩნევდა, როგორც ლეითის კუთვნილ გლეხის კომლს, მაგრამ ტერმინის შინაარსი მასაც არ ესმოდა, რადგან ჯავთაგაეთი გვარსახელად მიაჩნდა. მამისა ბერძნიშვილი. მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები, გვ. 84, შენ. 58, 103.

[174] И. П. Петрушевский. Земледелие и аграрные отношения в Иране XIII-XIV веков, გვ. 145.

[175] Mark C. Bartusis. Zeugaratos. The Oxford Dictionary of Byzantium. Ed. by A. P. Kazhdan. Vol. 3. Oxford. 1991, გვ. 2224-2245.

[176] Mark C. Bartusis. Zeugarion. The Oxford Dictionary of Byzantium. Ed. by A. P. Kazhdan. Vol. 3. Oxford. 1991, გვ. 2225.

[177] J. Lefort. The Rural Economy, Seventh-Twelfth Centuries, გვ. 254.

დნენ.[178] XI საუკუნის ბიზანტიაში 1 მოდი (1250 კვ.მ.) ვენახი 4-6.5 ბიზანტიური ნომისმა ღირდა. 1097 წელს მაკედონიაში მიტოვებული ვენახი 3 ნომისმად გაიყიდა.[179]

როგორც ვხედავთ, მოცემული პერიოდისათვის, ბიზანტიასა და საქართველოში ვენახის ფასი დაახლოებით ერთნაირია (4-6 ოქრო). აქედან, თითქოს შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართველი გლეხის ვენახის ფართობი ბიზანტიურს (დაახლ. 1,000-2,000 კვ.მ.) შეესაბამებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ასე არ არის. ცნობილია, რომ შედარებით მცირე ფართობზე გაშენებულ ვენახს საკმაოდ მაღალი შემოსავალი მოჰქონდა. სახნავ მიწასთან შედარებით თუ ვიანგარიშებთ, მასზე 10-13-ჯერ ნაკლებ ფართობზე გაშენებულ ვენახს იგივე შემოსავალი ჰქონდა.[180] მართლაც, თუკი ბიზანტიაში დაბეგრის ინდექსის მიხედვით ვიმსჯელებთ, აღმოჩნდება, რომ ვენახის ფასი 8-12-ჯერ აღემატებოდა ამავე ფართობის და საუკეთესო ხარისხის სახნავ მიწას.[181] ამ პროპორციით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში ვენახის ნაკვეთის ფართობი დაახლ. ნახევარი (ან ცოტა მეტი) ჰექტარის ფარგლებში იქნება (*მიწის* ფართობი 6-7 ჰა/12). საბედნიეროდ, ისეთი მონაცემიც გაგვაჩნია, რომელიც ამ ჰიპოთეტური რიცხვის დაზუსტების საშუალებას იძლევა. ქვემო ქართლში, მდ. ჭივჭივას ხეობასა და ბედენის პლატოზე XI-XIII საუკუნეების ნასოფლარების არქეოლოგიურად შესწავლის შედეგად ი. გძელიშვილმა დაადგინა, რომ თითქმის ყველა გლეხის ოჯახს მარანი ჰქონდა; ყოველი მათგანი სამ ქვევრს მაინც ფლობდა და 600 ლ ღვინოს ინახავდა.[182] ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ღვინის მოსავალის შესახებ მონაცემები განსხვავებულია, თუმცა საშუალოდ ერთ ჰექტარზე 20 ჰექტოლიტრამდე მოსავალს ანგარიშობენ.[183] ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით, 600 ლ (ანუ 6 ჰლ) ღვინოს მოწევას 3,000 კვ. მ. (ანუ 0.3 ჰა) ვენახი დასჭირდებოდა.

---

178 A. E. Laiou. The Agrarian Economy, Thirteenth-Fifteenth Centuries. The Economic History of Byzantium: From the Seventh through the Fifteenth Century. Ed. by A. E. Laiou. Washington. 2002, გვ. 347.

179 C. Morrisson, Jean-Claude Cheynet. Prices and Wages in the Byzantine World, გვ. 832-833.

180 15-20 მოდზე გაშენებულ ვენახს 200 მოდზე დათესილი ხორბლის შესაბამისი შემოსავალი მოჰქონდა. C. Morrisson, J.-C. Cheynet. Prices and Wages in the Byzantine World, გვ. 836.

181 Angeliki E. Laiou. The Agrarian Economy, Thirteenth-Fifteenth Centuries, გვ. 360.

182 ი. გძელიშვილი. რუსთაველის ეპოქის ქართული სოფელი, გვ. 193.

183 J. Lefort. The Rural Economy, Seventh-Twelfth Centuries, გვ. 256, შენ. 164.

უნდა ვიფიქროთ, რომ საშუალოდ ქართველი გლეხი 0.3-0.5 ჰა ვენახს ფლობდა და მისი ღირებულება 4-6 ოქროს შეადგენდა.

ეკლესიის მსახურთა როგა

ნიკორწმიდელის დაწერილის მიხედვით ირკვევა ეკლესიის მსახურთა სარგოც XI საუკუნის საქართველოში. მონასტრის წინამძღვარი ცნობას გვაწვდის ქართლიდან დასავლეთ საქართველოში გადმოყვანილი ხუცესების გასამრჯელოზე: „ქართველნი ხუცესნი მოვიყვანენით და და[ვა]კარგენით: მათ ზ(ედ)ა გაგჳცემია დრაჰკანი კოსტანტინატი ნბ სააღვსებოდ“.[184] ტექსტიდან ვიგებთ, რომ უცნობი რაოდენობის ხუცესებს „საკარგავი“ გაუჩინეს („დავაკარგენით“)[185] და მათ სააღდგომოდ („სააღვსებოდ“) 52 ოქრო მისცეს. რას წარმოადგენს ეს 52 ოქრო და როგორ ნაწილდება ის?

დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ 52 ოქრო არის არა ერთჯერადად გაცემული თანხა, არამედ ხუცესთა ჯამაგირი. ცნობილია, რომ ბიზანტიაში მთელი წლის ჯამაგირს, ჩვეულებრივ, წელიწადში ერთხელ გასცემდნენ.[186] გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ შედგენილი პეტრიწონის ტიპიკონი პირდაპირ აწესებს, რომ მონასტრის ბერებისათვის როგა,[187] ანუ წლიური სარგო, მხოლოდ აღდგომის დღეს გადაეხადათ.[188] ცხადია, რომ ნიკორწმიდის ხუცესებისათვის აღდგომისას გაცემული თანხა მათ წლიურ სარგოს წარმოადგენს.

რამდენი იყო ერთი ხუცესის წლიური სარგო? ამისათვის უნდა დავადგინოთ, თუ რამდენ ხუცესზეა ჯამაგირის საერთო თანხა გაცემული. საბედნიეროდ, თავად რიცხვი 52 გვეხმარება ხუცესთა რაოდენობის დადგენაში: რადგან ჯამაგირი მთელ რიცხვებში იქნებოდა გამოხატული, გონივრული გასამრჯელოს ოდენობის მისაღებად რიცხვი 52 უნაშთოდ მხოლოდ 4-ზე იყო-

[184] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა, გვ. 43.

[185] მამისა ბერძნიშვილი. ნიკორწმიდის „დაწერილი“, გვ. 41.

[186] N. Oikonomides. The Role of the Byzantine State in the Economy. The Economic History of Byzantium: From the Seventh through the Fifteenth Century. Ed. by Angeliki E. Laiou. Washington. 2002, გვ. 979, 1014.

[187] ბიზანტიაში ყოველწლიურ სარგოს „როგა“ ერქვა, რომელსაც შემდგომში ქართულად „როქი“ ეწოდა. ივანე ჯავახიშვილი. ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის. თხზულებანი. ტ. IX. თბ., 1996, გვ. 273.

[188] პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი. ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. III. თბ. 1970, გვ. 62; C. Morrisson. Byzantine Money: Its Production and Circulation, გვ. 948.

ფა (52/4=13).[189] გამოდის, ნიკორწმიდის მონასტერს 4 ხუცესი ჰყავდა მოწვეული და მათ წელიწადში 13 ოქროს უხდიდა. რამდენად შეესაბამება ეს გასამრჯელო იმდროინდელ რეალობას? ბიზანტიაში სოფლის მღვდლის შემოსავალი, როგორც წესი, 6 ოქროს აღწევდა.[190] გასაგებია, რომ ისეთ ძლიერ მონასტერში, როგორიც ნიკორწმიდა იყო, უკეთესი პირობები იქნებოდა. შედარებისათვის, XI საუკუნის ბოლოს პეტრიწონის მონასტრის დასი სამ ხარისხად იყო დაყოფილი. პირველი დასის (ჟამის მწირველი მღვდელნი, ორი იკონომოსი, დეკანოზი და სხვა წინამძღოლნი, რიცხვით თხუთმეტნი) ძმების როგა 20 ოქრო იყო, მეორე დასის (15 ძმა) – 15 ოქრო, მესამე დასის (20 ძმა) კი – 10 ოქრო.[191] პეტრიწონის მონასტერი, რომელსაც ძლიერი და შეძლებული მფარველი, – გრიგოლ ბაკურიანის ძე, – ჰყავდა, ბიზანტიის იმპერიაშიც კი გამოირჩეოდა. ამ ფონზე ნიკორწმიდელ ხუცესთა გასამრჯელო (13 ოქრო) საკმაოდ მნიშვნელოვნად გამოიყურება. როგორც ჩანს, ნიკორწმიდის ხუცესნი თავიანთი მონასტრის მეორე ან, სულაც, პირველ დასს მიეკუთვნებოდნენ.

ასე რომ, XI საუკუნის საქართველოში შეძლებული მონასტრის ხუცესის წლიური სარგო 13 ოქროს შეადგენდა.

აღჭურვილობის ფასი

ნიკორწმიდელის დაწერილი გვეხმარება შეიარაღების ფასების დადგენაშიც. XI საუკუნეში ქართველი მოყმის აღჭურვილობის ფასის დასადგენად უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმ დროს მხედარს მოვალეობის სრულყოფილად შესასრულებლად ესაჭიროებოდა საბრძოლო და მარქაფა ცხენი, ხმალი, შუბი, ფარი, მუზარადი, ჯაჭვის პერანგი, რომ აღარაფერი ვთქვათ ქაფზე, საბარკულზე, კარავზე და საბარგო ცხენზე.

ნიკორწმიდელის დაწერილის მიხედვით, კარგი ანუ **საბრძოლო ცხენის** ფასი 8-9 ოქროა. არ უნდა დაგვავიწყდეს უნაგირიც, რომელიც ხანდახან ცხენზე ძვირიც კი ღირდა. ცხენზე ძვირი, მდიდრული უნაგირი გვხვდება დი-

[189] 3-დან 12-ის ჩათვლით 52 უნაშთოდ არ იყოფა არც ერთ სხვა რიცხვზე; ორზე გაყოფას გამოვრიცხავ, რადგანაც ამ შემთხვევაში ხუცესთა ჯამაგირი 26 ოქროს მიაღწევდა, რაც პეტრიწონის მონასტრის I დასის ბერების როგასაც კი აღემატება.

[190] C. Morrisson, Jean-Claude Cheynet. Prices and Wages in the Byzantine World, გვ. 868, შენ. 137.

[191] პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი, გვ. 62.

დი ფეოდალების – ფავნელის („ერთი ცხენი სამასად [სამას თეთრად – მ.წ.], ერთი უნაგირი ხუთასად ყუელასა მჯობი“)[192] და გრიგოლ სურამელის („ცხენი ერთი – სამასორმოც და ათ თეთრად ნასყიდი, უნაგირი ოქროჲთა და ზარხოჲთა მოჭედილი – ექუსას თეთრად დაფასებული“) სიგელებში.[193] გასაგებია, რომ ასეთი მდიდრული, „ყუელასა მჯობი“ და ოქროთი მოჭედილი უნაგირი ყველა მოლაშქრეს არ ექნებოდა, მაგრამ არც ჩვეულებრივი უნაგირის ფასი იყო უმნიშვნელო. XIII საუკუნეში მსახურისათვის წართმეულ უნაგირს 100 თეთრად აფასებს მომჩივანი.[194] ასევე გასათვალისწინებელია ცხენის სხვა აკაზმულობაც, თუნდაც *ნიკორწმიდელის დაწერილში* მოხსენიებული ავშარა. ალბათ, არ შევცდებით, თუ **ცხენის სრულ აკაზმულობას უნაგირთან** ერთად 3-4 ოქროდ მაინც შევაფასებთ.[195] საბ უთის მიხედვით დადგინდა **მარქაფა** ცხენის (6 ოქრო) და **საბარგო** (სატალახე) ცხენის (2 ოქრო) ფასიც.

ამ დროისათვის **ხმლის** ფასის შესახებ საქართველოში მონაცემები არ გაგვაჩნია. კაროლინგების დროს ხმლის ფასი ცხენისას უტოლდებოდა და 7 ძროხა ღირდა.[196] ალ-ქინდი, IX საუკუნის არაბი ავტორი, რომელმაც ხალიფა მუთასიმისათვის (833-42) დაწერა ტრაქტატი „ხმლებზე და მათ ნაირგვარობაზე“, გვაწვდის ცნობებს სხვადასხვა ტიპის ხმლებისა და მათი ფასების შესახებ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ საუკეთესო ხმლების ფასს, რომლებიც 50-100 დინარი ღირდა, ქინდის მიხედვით, სხვადასხვა ხარისხის გრძელი მახვილის ფასი 5 ან 10-15 ოქროს დინარი იყო.[197] გვიანდელ ხევსურეთში ხმლების ფასი საკმაოდ მაღალია: დავითფერულს 25 ძროხად აფასებდნენ, ფრანგულს 10-12 ძროხად, გორდას კი – 4-5 ძროხად.[198] 1738 წელს იასე თულაშვილმა თიანეთის მოურავისაგან ნაბოძები ხმალი 8

---

[192] დაწერილი ფავნელისა მღვიმისადმი, გვ. 18.

[193] შეუვალობის განახლების დაწერილი ქართლის ერისთავ გრიგოლ სურამელისა შიომღვიმისადმი, გვ. 43.

[194] ს. კაკაბაძე. XIII საუკუნის საჩივრის წიგნი. საისტორიო კრებული. III. 1928, გვ. 99.

[195] რაღა თქმა უნდა, აქ არ შედის ცხენის აბჯარი, რომელიც მეტად ძვირი გახლდათ და არც იყო სავალდებულო რიგითი მხედრებისათვის.

[196] Франко Кардини. Истоки Средневекового Рыцарства, გვ. 298.

[197] Medieval Islamic Swords and Swordmaking: Kindi's Treatise “On Swords and Their Kinds.” Edition, translation, and commentary by Robert G. Hoyland and Brian Gilmour, introduction by J. Allan. Oxford. 2006, გვ. 33.

[198] ს. მაკალათია. ხევსურეთი. თბ. 1984, გვ. 147.

ძროხის საფასურად გაყიდა.[199] ამ მონაცემების გათვალისწინებით, საშუალოდ, ხმლის ფასი 8 ოქროდ მივიჩნიე.

ჩვენი საბუთის მიხედვით **ჩაბალახი** 2 ოქრო უნდა ღირდეს. ყანჩაეთის სახარების მინაწერში, რომელსაც ე. თაყაიშვილი კალიგრაფიულად XV-XVI საუკუნეებით ათარიღებს, ვინმე ბილქან ათარის ძე ჯაჭვისა და მუზარადის სანაცვლოდ მონასტერს ვენახს აძლევს.[200] XI საუკუნის ფასებით რომ ვიანგარიშოთ, მუზარადის ფასი 2-4 ოქრო გამოვა: ვენახის ფასს (4-6 ოქრო) გამოკლებული ჯაჭვის ფასი (2 ოქრო).

ნიკორწმიდელის დაწერილით, **ჯაჭვის პერანგის** ფასი 2 ოქროა. უნდა ითქვას, რომ ეს მხოლოდ მოკლე და არცთუ საუკეთესო ხარისხის ჯაჭვის ფასი უნდა იყოს. გრძელმკლავებიანი, მუხლამდე ჩამოგრძელებული, ფარეშიანი რგოლებით შედგენილი ჯაჭვის აბჯრის შეძენა ამ ფასით შეუძლებელი იქნებოდა.

ჯაჭვის პერანგის ფასიდან გამომდინარე, **საბარკულის** ღირებულება, რომელიც გაცილებით ნაკლებ შრომას და ოსტატობას საჭიროებს, 1 ოქროდ უნდა ვიანგარიშოთ.

ქაფი საბუთში ისეთ გარიგებაშია მოხსენიებული, რომ მისი ღირებულების ზუსტად დადგენა ვერ ხერხდება. არსებული ფასებიდან გამომდინარე, შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ მხრის დამცავი, პატარა ზომის წყვილი (ორივე მხარზე გასაკეთებელი) ლითონის ფირფიტა 1 ოქრო მაინც ეღირებოდა.

დაახლოებით უნდა დავადგინოთ **შუბისა** და **ფარის** ფასიც. ფრანკთა სამეფოში ორივე ერთად 2 ძროხა ღირდა.[201] თუ გავითვალისწინებთ, რომ ფარს ბევრი დეტალი სჭირდებოდა (ხე, ტყავი, რკინის უმბონი, სალტეები და მანჭვლები), შუბს კი – რკინის პირი და გამძლე ხისაგან დამზადებული გრძელი ტარი, შუბის და ფარის ღირებულება 1-2 ოქრო მაინც უნდა ყოფილიყო.[202]

მოლაშქრეს უნდა ჰქონოდა **კარავი** და ცხენი „მათითა გაწყობილებითა“ ანუ ცხენის ნალები ლურსმნებითურთ, სხვადასხვა სამზარეულო (ქვაბი და

[199] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი ნ. ბერძენიშვილი. ტ. I. თბ. 1940, გვ. 401.
[200] ექ. თაყაიშვილი. ყანჩაეთის ტყავის სახარება და მისი მინაწერები. ძველი საქართველო. I. 1909, გვ. 62-63.
[201] Франко Кардини. Истоки Средневекового Рыцарства, გვ. 298.
[202] სათადარიგო შუბი რომც არ გავითვალისწინოთ.

სხვ.) და სამეურნეო (ნაჯახი და სხვ.) მოწყობილობა და სხვ. კარავისა და სხვა მოწყობილობების ფასი, სულ ცოტა, 3-5 ოქრო იქნებოდა. საკმარისია ითქვას, რომ (XI და XIV საუკუნის მონაცემებით) ქვაბი ბიზანტიაში 1 ოქრო ღირდა.[203]

საბოლოოდ, აღჭურვილობის ფასები ასე ჩამოყალიბდება: საბრძოლო ცხენი – 8-9 ოქრო, სამარქაფო ცხენი – 6 ოქრო, საბარგო – 2 ოქრო, ცხენის აკაზმულობა – 3-4 ოქრო, ხმალი – 8 ოქრო, ჩაბალახი – 2-4 ოქრო, ჯაჭვის პერანგი – 2 ოქრო, საბარკული – 1 ოქრო, ქაფი – 1 ოქრო, შუბი და ფარი – 1-2 ოქრო, კარავი – 3-5 ოქრო. სრულად აღჭურვილი მხედრისათვის, ჯამში ეს შეადგენს 37-44 ოქროს, საკმაოდ დიდ თანხას, რომლის მსყიდველობითი უნარი საქონლის მთელი ჯოგია (37-44 ძროხა). ისიც ცხადია, რომ სალაშქროდ წასასვლელად ესეც არ არის საკმარისი; სრული სურათისათვის უნდა გავითვალისწინოთ სამარქაფო და საბარგო ცხენების აკაზმულობაც, მხლებელი, საგზალი და ა.შ. მინიმალურად აღჭურვილი მძიმე ცხენოსნის შეიარაღების ფასიც რომ ვიანგარიშოთ (ქაფის, საბარკულის, საბარგო ცხენის და კარვის გარეშე), თანხა მაინც სოლიდური გამოდის და 30-35 ოქროს შეადგენს.

დასკვნა

კვლევის შედეგად დადგინდა:

– *ნიკორწმიდელის დაწერილში* მოხსენიებული და XI საუკუნის საქართველოში გამოყენებული ფულის ერთეულები და მათი კურსი;

– მიწის ნაკვეთების (ყანა, მიწა, ვენახი) ფასი და ფართობი, გლეხის ფასი, ხორბლის ფასი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (ძროხა, ხარი), ცხენის (საბრძოლო, სამარქაფო და საბარგო) და ჯორის ფასი, სამეურნეო იარაღის (სახნისი), აღჭურვილობის (ჯაჭვის პერანგი, ჩაბალახი და სხვ.), ძვირფასი სამოსისა (სტავრის ლაფაჩა, სტავრის კაბა) თუ წიგნის ღირებულება;

– ახალი ფისკალური ერთეულის, ჯავთა გაეთის, რაობა.

რა თქმა უნდა, აქ გამოყვანილი ყველა ფასი მკაცრად დადგენილ სიდიდედ არ უნდა მივიჩნიოთ და გარკვეული პირობითობები მათი გამოყვანისას ზემოთ უკვე აღინიშნა. თუმცა, რიგ შემთხვევებში (ხორბალი, რქოსანი პი-

[203] C. Morrisson, Jean-Claude Cheynet. Prices and Wages in the Byzantine World, გვ. 853.

რუტყვი, ჯორი, მიწის ნაკვეთი, სახნისი), როდესაც მიღებული ფასის გადამოწმება ხერხდება, მათი რეალობა ეჭვს არ იწვევს.

დადგენილი ფასები საინტერესოა იმდროინდელი საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად.

აღსანიშნავია გლეხის სიძვირე, გლეხის კომლი თავისი ადგილ-მამულით 18 ოქრო ღირს, მაშინ როდესაც, საშუალოდ, მიწა 4 ოქრო, ყანა კი – 2 ოქრო ღირს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან შუა საუკუნეებში მიწა დამუშავებისა და მასზე დახარჯული შრომის გარეშე უსარგებლო იყო.[204] ამასთან, გლეხთან შედარებით მიწის სიიაფე უჩვენებს, რომ მიწა ბევრია, მოსახლეობა კი – არცთუ ხალხმრავალი.

ნიკორწმიდელის დაწერილის მიხედვით, საქართველოში შუა საუკუნეების ტიპური ეკონომიკის სურათს ვხედავთ, სადაც ჭარბობს ნატურალური ეკონომიკა, თუმცა აღებ-მიცემობაში ნაღდი ფულიც გამოიყენება. სულ საბუთის 43 გარიგებიდან[205] 26 ბარტერული გაცვლის საშუალებით ხორციელდება, 17 შემთხვევაში ყიდვა-გაყიდვის აქტში მონაწილეობს ფული (გარიგებების თითქმის 40%), მაგრამ სინამდვილეში, მისი ხვედრითი წილი უფრო დაბალია; რიგ გარიგებებში ის ფასის მხოლოდ ნაწილს შეადგენს: ფული ჯამურად 9 ასეთი გარიგების საერთო მოცულობის 23%-ა.[206] ფულით სრულად მხოლოდ 8 სავაჭრო ოპერაციაა შესრულებული, რაც 19%-ს ფარგლებშია. აქვე ერთი კანონზომიერება შეინიშნება: რაც მეტია საქონლის ფასი, მით მეტია ოპერაციაში ნაღდი ფულის მოცულობა. საერთო ჯამში, წარმოდგენილი მონაცემებით, მონეტარული ეკონომიკის წილი მაღალია და 33%-მდე აღწევს,[207] რაც საქართველოსათვის საკმაოდ მაღალ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს.[208] თუმცა ამ მაჩვენებელს ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ და მისი განზოგადება ქვეყნის მთელ მეურნეობაზე არასწორი იქნებოდა: გასათვალის-

[204] A. E. Laiou. The Human Resources. The Economic History of Byzantium: From the Seventh through the Fifteenth Century. Ed. by A. E. Laiou. Washington. 2002, გვ. 47.

[205] რამდენიმე მათგანი ამ სიაში არ არის შეტანილი.

[206] დაახლ. 23 ოქრო 100 ოქროს ღირებულების საქონელიდან.

[207] სულ საბუთში დაახლ. 274 ოქროს ღირებულების საქონელია დასახელებული, საიდანაც 90 ოქრო ნაღდი ფულითაა გადახდილი. ეს დაანგარიშება ზემოთ დადგენილ ფასებს ეფუძნება და, ამდენად, საკმაოდ პირობითია.

[208] შედარებისათვის, XII საუკუნეში ბიზანტიის ეკონომიკის მონეტიზაციის დონე 46%-ს აღწევდა. A. E. Laiou. The Byzantine Economy: An Overview. The Economic History of Byzantium: From the Seventh through the Fifteenth Century. Ed. by A. E. Laiou. Washington. 2002, გვ. 1154.

წინებელია, რომ ქართული საეკლესიო სენიორიები დიდ ფულად კაპიტალს ფლობდნენ და ფულადი მეურნეობის მაღალი ხვედრითი წილით ხასიათდებოდნენ. შიომღვიმის მონასტრის ფეოდალური ორგანიზაციის შესწავლისას ასეთ დასკვნამდე მივიდა ბ. ლომინაძე, რომელიც წერდა: „საერთოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს მონასტრებში შედარებით საერო სენიორიებთან მეტად მაღალ დონეზე იდგა სასაქონლო-ფულადი მეურნეობა“.[209] ასეთ დასკვნას მხარს უჭერს *ნიკორწმიდელის დაწერილში* ასახული სურათიც: მონასტერს შეუძლია მოწვეულ ხუცესებს სარგო ნაღდი ფულით, ოქროს მონეტებით გადაუხადოს, მაშინ როდესაც, საბუთში ასახული საერო პირთა შეწირულების 15 აქტიდან ყველა ნატურითაა (მიწა, გლეხი, სხვადასხვა საქონელი) განხორციელებული და ერისკაცთა ხელში მყოფი ფულადი სახსრების სიმცირეზე მიუთითებს.

კვლევის შედეგად მიღებული მძიმე ცხენოსნის აღჭურვილობის ფასი (37-44 ოქრო) ნათლად უჩვენებს, რომ ძვირადღირებული იარაღისა და აღჭურვილობის შეძენა და ფლობა მხოლოდ მიწის საკმაო რაოდენობის მფლობელს შეეძლო. ეს ნიშნავს, რომ იმდროინდელი საზოგადოების წევრი, რომელსაც საკმარისი ოდენობის მიწის ნაკვეთი თუ სხვა ქონება არ გააჩნდა (ან არ შეეძლო მისი მიღება სხვისი დახმარებით), ვერ გამოვიდოდა სალაშქროდ ცხენოსნად აღჭურვილი. შეძლებული მემამულე და მისი მძიმედ შეიარაღებული ამალა შუა საუკუნეების საქართველოს მებრძოლ ელიტას წარმოადგენდა, რომელთა რიგებში მოხვედრა დაბალი ფენებისათვის მეტად გაძნელებული იყო. ეს კი, თავის მხრივ, მიუთითებს საზოგადოების შორს წასულ სოციალური დიფერენციაციისა და ფეოდალიზაციის პროცესზე.

[209] ბ. ლომინაძე. შიომღვიმე. თბ. 1953, გვ. 37-38.

Mamuka Tsurtsumia

FOR THE SOCIAL AND ECONOMIC PICTURE OF 11TH CENTURY GEORGIA (PRICES BY *NIKORTSMIDELI'S ACCOUNT*)

Summary

The present study discusses the account written in the second half of the 11th century by the abbot of the Nikortsminda monastery in Racha (Western Georgia). It is a list containing nearly eighty acts of buying, donating, and constructing that provides a rich material for studying social-economic history of given age. Forty two of them allow us to discuss prices in the 11th century Georgia.

Research revealed certain regularities in acts and, as a result, the basic prices and agricultural units were ascertained. The price of armament is also determined, which is of great importance for the social picture of the 11th century.

The study established following:

– Monetary units and their value used in the 11th century Georgia;

– The price and the area of Land (land, arable land, vineyard), prices of the peasant, wheat, cattle (cow, ox), horse (warhorse, riding and packhorse) and mule, agricultural tools (ploughshare), military equipment (chain shirt, helmet, etc.), expensive clothes and books;

– The new fiscal unit – *javta gaeti*;

– The wage of the clergymen.

According to the *Nikortsmideli's Account* in Georgia we can see an economic picture typical of the Middle Ages where the economy is dominated by barter but monetary transactions were used also.

The price of heavy horseman equipment, established in the study, clearly shows that expensive weapon and equipment was only affordable for a wealthy landowner. This means that a member of the society who did not have a sufficient amount of land or other property, could not go to the battle equipped as a cavalryman. The wealthy landowner and his heavily armed houshold constituted the elite of the medieval Georgian army. Because of high prices for weapon, the lower strata of society found it difficult to be the member of such elite. This, in turn, indicates the further developed process of social differentiation and feudalization.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VIII
თბილისი. 2013-2014

სანდრო ნიკოლაიშვილი

ცვლილებები XII საუკუნის ქართულ საისტორიო მწერლობაში. ბიზანტიური გავლენა და ქართული პერსპექტივა

ნაშრომის მიზანია იმ ცვლილებების მიმოხილვა, რომელიც ქართულმა საისტორიო მწერლობამ XII საუკუნეში განიცადა და რომლებმაც უცნობი ავტორის თხზულებაში *„ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“* ჰპოვა ასახვა. გარდა ამისა, შევეცდებით განვსაზღვროთ, თუ რა გავლენა იქონია ბიზანტიური საისტორიო მწერლობის ტრადიციებმა დავითის ისტორიკოსის ნაშრომსა და, ზოგადად, მის კონცეფციაზე.

დავით აღმაშენებლის ეპოქაში საისტორიო მწერლობა გახდა იდეოლოგიურად დეტერმინიზებული. მასში ძირითადი აქცენტი იდეალური მმართველის იმიჯის შექმნაზე გაკეთდა. ეს ტენდენცია აშკარა მსგავსებას ბიზანტიურ სამყაროსთან პოულობს და განსხვავდება წინამორბედი, ბაგრატიონების ადრეული პერიოდის საისტორიო მწერლობის ტრადიციისაგან.

დავითის ისტორიკოსამდე, ბაგრატიონთა ეპოქის საისტორიო მწერლობის, კერძოდ, ისტორიული ნარატივების – *„ცხოვრებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა“* და *„მატიანე ქართლისაჲ“* – ძირითად მიზანს მოვლენების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოცემა წარმოადგენდა. ეს ავტორები მოვლენების გაბმული თხრობით იყვნენ დაკავებულნი და ნარატივში ნაკლებად აისახებოდა სამეფო იდეოლოგიისა და პოლიტიკური აზროვნების ის ტენდენციები, რომელთაც დავითის ისტორიკოსის ნაშრომში ვხვდებით.

დავითის ისტორიკოსმა მკაფიოდ გამოკვეთილი სამეფო იდეოლოგია და ღვთივკურთხეული ქრისტიანი მონარქის კონცეფცია ჩამოაყალიბა, რომელიც ღმერთთან განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში იმყოფება.[1]

[1] ბაგრატიონების ხელისუფლებაში მოსვლამდე ქართული სამეფო იდეოლოგია უფრო სპარსულ გავლენას განიცდიდა და საკმაოდ შორს იყო ბიზანტიური მოდელისაგან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბაგრატიონებამდელი სამეფო ძალაუფლების თეორია მთლიანად სპარსულ კონტექსტ-

ამასთანავე, დავითის ისტორიკოსის პანეგერიკული ჟანრის თხზულება დიდ ყურადღებას უთმობს მეფის პირადი ღირსებებისა და ქრისტიანი მონარქისათვის დამახასიათებელი თვისებების ხაზგასმასა და წარმოჩენას. სწორედ მეფის გმირული საქმეების, გასაოცარი მიღწევებისა და ღირსებების საფუძველზეა აგებული დავითის ისტორიკოსის ნარატივი. მასში დავითი წარმოჩენილია იმ ღირსებების ნათელ მაგალითად, როგორებიცაა: სიმხნევე, სიბრძნე, სამართლიანობა, ფილანტროპია და ღვთისმოსაობა. უფრო მეტიც, მეფე განდიდებულია, როგორც იდეალური ქრისტიანი მონარქი და ღმერთის წარმომადგენელი დედამიწაზე (ბიზანტიური იმპერიული იდეოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი). ზოგჯერ მეფე დავითი ბიბლიურ პერსონაჟებთან და იდეალიზირებულ ქრისტიან იმპერატორ, კონსტანტინე დიდთანაც კი არის გატოლებული.[2] გარდა ბიბლიური და ადრექრისტიანული პერსონაჟებისა, დავითის ისტორიკოსი ხშირად ახდენს მეფის კლასიკური ეპოქის ავტორების გმირებთან შედარებასაც.[3]

უცნობი ავტორის მდიდარი პოლიტიკური ლექსიკონი და ეპითეტები, რომლებსაც იგი დავითის შესამკობად იყენებს, პირობითად სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: პირველ ჯგუფს განეკუთვნებიან ძველი აღთქმის პერსონაჟები – მეფე დავითი, სოლომონ წინასწარმეტყველი და მოსე. ზემოაღნიშნულ ლიდერთა ღირსებები, გონიერება და სამართლიანობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ უცნობი ავტორის თხზულებაში, რადგან სწორედ ეს თვისებები ხდება იდეალური მმართველის მთავარი მახასიათებელი საქართველოში. მეორე ჯგუფში ერთიანდებიან ანტიკური ეპოქისა და ანტიკური ავტორების პერსონაჟები: ალექსანდრე მაკედონელი და ჰომეროსის აქილევსი, აგამემნონი, პრიამოსი, ჰექტორი და ოდისევსი. ისინი უბადლო მეომრები და სამხედრო საქმის მცოდნენი არიან. სწორედ მათთან მეფე დავით IV-ის მეომრული თვისებები ხშირად არის შედარებული. ზოგ შემთხვევაში უცნობი ავტორი დავით მეფეს ალექსან-

---

ში იყო წარმოდგენილი. იხილეთ: S. H. Rapp, Jr. From Bumberazi to Basileus. Writing Cultural Synthesis and Dynastic Change in Medieval Georgia (Kartli). New Constantines: The Rhythm of Imperial Renewal in Byzantium, 4th-13th Centuries. ed. P. Magdalino. Ashgate, Variorum, 1994, გვ. 101-116; S. H. Rapp, Jr. Imagining History at the Crossroads: Persia, Byzantium, and the Architects of the Written Georgian Past. PhD dissertation. The University of Michigan, 1997.

[2] ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზექალა შანიძემ. თბ. 1992, გვ. 171, 209.

[3] ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 185, 186, 192-193.

დრე მაკედონელზე და აქილევსზე უფრო მაღლაც კი აყენებს.[4] მესამე ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ პოსტ-ბიბლიური და ადრექრისტიანული პერსონები: კონსტანტინე დიდი, მოციქული პავლე, ბასილი დიდი და წმინდა ანტონი.[5]

ბიზანტიის იმპერიაში არსებული ტრადიციის მსგავსად უცნობი ავტორის დისკურსშიც ბიბლიური დავითი, სოლომონი და ალექსანდრე მაკედონელი სამეფო იდეოლოგიის პროპაგანდის საუკეთესო მოდელები არიან.[6]

თამამად შეიძლება ითქვას, რომ უცნობმა ავტორმა თავის თხზულებაში *„ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“* შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო აზროვნებაში ახალი და განსხვავებული ენა და ჟანრი შემოიტანა. მან ხაზი გაუსვა მმართველის ღვთივკურთხეულობისა და რჩეულობის პრინციპს, რომელიც კონცეფტუალურ მსგავსებას ბიზანტიურ მოდელთან ამჟღავნებდა, და ბიბლიურ და კლასიკურ პერსონაჟებთან მეფის მუდმივი შედარება დავით IV-ის იმიჯის საფუძვლად აქცია. ქართველი ისტორიკოსის ნარატივის სტრუქტურა და კონცეფცია, რომლითაც იგი ხელმძღვანელობს, საოცარ მსგავსებას ამჟღავნებს საისტორიო მწერლობის იმ ახალ ტენდენციასთან, რომელიც ბიზანტიის იმპერიაში X საუკუნიდან დამკვიდრდა. მაკედონელთა დინასტიის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ბიზანტიის იმპერიაში იმპერატორის იმიჯი და ძალაუფლების რეპრეზენტაცია ახალ ელემენტებს იძენს. განახლებული იმპერიული იდეოლოგია მანამდე არნახული დინასტიური პროპაგანდითაცაა განპირობებუ-

[4] ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 193, 202.

[5] ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 208.

[6] D. Angelov. Imperial Ideology and Political Thought in Byzantium, 1204-1330. Cambridge University Press, 2007, გვ. 79. ბიზანტიურ იმპერიულ იდეოლოგიაზე, პოლიტიკურ აზროვნებაზე და ძალაუფლების რეპრეზენტაციაზე იხილეთ: D. Angelov. Imperial Ideology and Political Thought in Byzantium, 1204-1330. Cambridge University Press, 2007; E. Barker. Social and Political Thought in Byzantium. Oxford. Clarendon Press, 1961; G. Dagron. Emperor and Pries. the Imperial Office in Byzantium. Cambridge University Press, 2003; N. Bell. Three Political Voices from the Age of Justinian. Liverpool University Press, 2009; F. Dvornik. Early Christian and Byzantine Political Philosophy. Origins and Background. Vol. 2. Washington, DC: Dumbarton Oaks Studies, 1966; D. M. Nicol. Byzantine Political Thought. The Cambridge History of Medieval Political Thought c. 350-1450. Cambridge, Cambridge University Press, 2008; F. Oakley. Kingship. The Politics of Enchantment. Malden, Blackwell Publishing, 2006; P. Magdalino and R. Nelson. The Emperor in the Byzantine Art of the Twelfth Century. Tradition and Transformation in Medieval Byzantium ed. P. Magdalino. Vivarium, Aldershot, 1991; Z. Gavrilović. Divine Wisdom as Part of Byzantine Imperial Ideology. Zograf, 11 (1980); A. Walker. The Emperor and the World: Exotic Elements and the Imaging of Middle Byzantine Power Ninth to Thirteenth Centuries C.E. Cambridge University Press, 2012.

ლი. ა. მარკოპულოსის თანახმად, ახალგაზრდა მაკედონური დინასტიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი დინასტიური პროპაგანდის ინტელექტუ-ალურ შემოქმედებაზე აღბეჭდვა იყო. მაკედონური დინასტიის დამაარსებელმა ბასილ I-მა (867-886) კარგად გამოიყენა ლიტერატურა და ხელოვნება საკუ-თარი დინასტიის განდიდების, პროპაგანდისა და მისი წინამორბედი დინასტიის დასაკნინებლად.[7] ისტორიული პერსონების უკვდავყოფის იდეამ ისტორიულ ნა-რატივს წინამორბედებთან შედარებით ახალი სტრუქტურა და ჟანრი შესძინა.

X საუკუნეში, ბიზანტიის საიმპერატორო კარმა ჩამოაყალიბა ახალი კონცეფცია, თუ როგორ უნდა დაწერილიყო ისტორია და რა შინაარსის უნ-და ყოფილიყო იგი. ახალი ტენდენციების თანახმად, ავტორის მთავარი ფუნქ-ცია იდეოლოგიზირებულად დეტერმინიზებული ნარატივის შექმნა გახდა. იგი იდეალურ მმართველზე, იმპერატორზე იქნებოდა ფოკუსირებული, რომლის გარშემოც თხრობა უნდა განვითარებულიყო. ამიერიდან ბიზანტიის იმპერიაში ქრონოგრაფიების ტიპის საისტორიო მწერლობა ბიოგრაფიული ჟანრით შე-იცვალა. ახალი საისტორიო მწერლობის მიზანი არა მარტო წარსულის გად-მოცემა, არამედ მმართველისათვის მისაბაძი ქცევის წესების და ღირსებების მოდელის დამკვიდრება გახდა.[8] გარდა ამისა, ისტორიულ თხზულებას გარკ-ვეული ესთეტიური კრიტერიუმები და კომპოზიციური თანმიმდევრობა უნდა დაეკმაყოფილებინა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, თუ რა კრიტერიუმებით ხა-სიათდებოდა იდეალური იმპერატორი X საუკუნის ბიზანტიაში და რა ხერ-ხებს მიმართავდნენ ბიზანტიელი ავტორები თავიანთი მონარქების განსადი-დებლად. კონსტანტინე პორფიროგენიტის მიხედვით, ბასილ I ღვთის მიერ არჩეული მონარქია, რომლის მთავარ მისიას იმპერიის მართვა და გადარჩენა წარმოადგენს. იგი ნიჭიერი მმართველისათვის აუცილებელი ყველა ღირსები-თაა დაჯილდოვებული, რომლის ტახტზე ასვლაც ზებუნებრივი ნიშნებით ემ-ცნოთ. ბასილის იმიჯის შექმნაში უდიდესი როლი ტრადიციული ბიზანტიური იმპერიული იდეოლოგიის ისეთი ელემენტების ხაზგასმას დაეკისრა, როგორე-ბიცაა: სამართლიანობა, ფილანტროპია, გულუხვობა და თავდამბლობა.[9]

---

[7] A. Markopoulos. Constantine the Great in Macedonian Historiography: Models and Approaches. New Constantines, The Rhythm of Imperial Renewal in Byzantium, 4th-13th Centuries. ed. P. Magdalino. Aldershot, Ashgate, 1994, გვ. 159.

[8] A. Markopoulos. Byzantine Historical Writing at the End of the First Millennium. Byzantium in the Year 1000. ed. P. Magdalino. Boston, Brill, 2003, გვ. 185.

[9] A. Markopoulos. Constantine the Great in Macedonian Historiography: Models and Approaches, გვ. 191.

დავუბრუნდეთ ქართულ მაგალითს. თუ ყურადღებით გავადევნებთ თვალს უცნობი ავტორის თხზულებას, შევამჩნევთ, რომ ისტორიული ნარატივის მთავარ საყრდენს და ფუნქციურ ელემენტს მეფე დავითის რამდენიმე ღირსება წარმოადგენს. სწორედ მათ გარშემო ვითარდება მთელი ისტორია. დავით აღმაშენებლის იმიჯის შექმნაში ბიზანტიური იმპერიული იდეოლოგიისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა კომპონენტია გამოყენებული. ქართველი მეფე წარმოდგენილია, როგორც განსაკუთრებულად მამაცი მეომარი და მხედართმთავარი.[10]

> *„ხოლო თვით მეფე არა ვითარცა სხუაჲ ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თვისთა, ანუ შორით უზახებდა, ვითარცა ერთი მთავართაგანი, არამედ უპირატეს ყოველთასა თვით წინა-უვიდოდა და ვითა ლომი შეუზახებდა ხმითა მაღლითა და ვითა გრიგალი მი-და-მოიქცეოდა, ...ვიდრემდის ფრიადისა ცემისაგან არა თუ ვითარცა ძუელსა ელიაზარს დ[უდეაჲს]სა ხელი ხრმლისა ვადასა ოდენ დაეწება, არამედ ჴრმლით მისით უკმომდინარითა სისხლითა წიაღნი აღსავსედ ეტვირთნეს“.*[11]

ზემოაღნიშნული ამონარიდი კარგად მიანიშნებს, თუ რაოდენ დიდი

[10] ქართულ საისტორიო მწერლობაში, განსხვავებით ბიზანტიურისა, მეფის როგორც უბადლო მეომრის და ნიჭიერი სარდლის წარმოჩენას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. ეს ტენდენცია, უფრო სპარსულ, ვიდრე ბიზანტიურ კონტექსტში, ჯერ კიდევ ჯუანშერის „ცხოვრებაჲ ვახტანგ გორგასლისაში“ ჩანს. მეფე/მმართველი წარმოჩენილია სასანური/სპარსული მეფე-გმირის მსგავსად. მეფე ზებუნებრივი ფიზიკური ძალით დაჯილდოებული გოლიათი და ბუმბერაზი იყო. ბიზანტიის იმპერიაში იმპერატორის მეომრულ თვისებებზე განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება X საუკუნის მეორე ნახევარში ნიკიფორე ფოკასა და იოანე ციმისხის მმართველობის დროს შეინიშნება, თუმცა ეს ტენდენცია საბოლოო სახეს ალექსი I კომნენოსის დროს ღებულობს, როდესაც აშკარა ხდება ბიზანტიური იმპერიული იდეოლოგიის მილიტარიზაცია. იმპერატორი ხდება არქეტიპული მეომარი და უბადლო სარდალი. ამ საკითხის წარმოჩენას საისტორიო მწერლობაშიც დიდი ყურადღება ეთმობა. იხილეთ: A. Kazhdan, A. Wharton Epstein. *Changes in Byzantine Culture in the Eleventh and Twelfth Centuries*. Berkeley, University of California Press, 1990, გვ. 110-112; M. Mullett. Alexios I Komnenos and Imperial Renewal. *New Constantines*, გვ. 259-267; M. Mullett. the Imperial Vocabulary of Alexios I Komnenos. *Letters, Literacy and Literature in Byzantium*. ed. M. Mullett. Ashgate, Variorum, 2007, გვ. 359-397. *The History of Leo the Deacon: Byzantine Military Expansion in the Tenth Century*. Introduction, translation, and annotations by Alice-Mary Talbot and Denis F. Sullivan. Washington, Dumbarton Oaks, 2005.

[11] ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 172-172.

მნიშვნელობა ენიჭებოდა უცნობი ავტორისათვის ბიბლიურ, და კერძოდ, ძველი აღთქმის პერსონაჟებთან დავით IV-ის შედარებას. ამასთან ერთად, ავტორის პოლიტიკური ლექსიკონი დიდ წილად იყო დამოკიდებული ბიბლიური პირების მოხსენიებასთან და გარკვეული პასაჟების ციტირებასთან. თხზულების ესოდენ რიტორიკული სტილი სწორედ სამეფო ხელისუფლების უკეთ რეპრეზენტაციის საშუალებას იძლეოდა და მას განსაკუთრებულ ლიტერატურულ ღირებულებას ანიჭებდა. ზემოაღნიშნული ტენდენცია, რომელიც ქართულ საისტორიო მწერლობაში იჩენს თავს, ბიზანტიური რიტორიკული ტრადიციების გავლენაზე მიანიშნებს. ბიზანტიის იმპერიის ლიტერატურულ წრეებში ძალზე პოპულარული რიტორიკული სახელმძღვანელოები პირდაპირ მიუთითებდნენ მკითხველს, თუ რა დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყო ქრისტიანი იმპერატორი ძველი აღთქმის პერსონაჟებთან.[12] იმპერატორი, როგორც მთავარსარდალი, კანონმდებელი და ქრისტიანი ხალხის ლიდერი უნდა გაიგივებულიყო ძველი აღთქმის გმირებთან.[13] კონსტანტინე დიდის მმართველობის პერიოდიდან დამკვიდრდა ტრადიცია, რომლის თანახმადაც, იმპერატორი მოიხსენიებოდა როგორც „ახალი დავითი“ და „ახალი სოლომონი“. მას ხშირად აიგივებდნენ, ასევე, მელქისედეკსა და მოსესთან. ძველ აღთქმის პირებთან საკუთარი თავის გატოლებით და გაიგივებით ბიზანტიის იმპერატორები ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ მათ ბიბლიური პერსონების საერო და სასულიერო ფუნქციები მემკვიდრეობად ერგოთ.[14] ფრანგი ბიზანტინისტის გ. დაგრონის აზრით, „ბიზანტიის იმპერიაში ძველი აღთქმას კონსტიტუციის მსგავსი ღირებულება გააჩნდა. არც ახალი მოვლენა და არც ახალი იმპერატორი არ ჩაითვლებოდა ჭეშმარიტად მანამ, სანამ არ მოხდებოდა მათი ძველ აღთქმასთან დაკავშირება“.[15]

ბიბლიურ პერსონაჟებთან ერთად კლასიკური ავტორების ციტირებამ და ანტიკური ეპოქის გმირების მოხსენიებამ უცნობი ქართველი ავტორის ნაშრომში აქტიური დატვირთვა შეიძინა. მათ შორის ყველაზე საგულისხმოა ალექსანდრე მაკედონელის ხშირი ხსენება. ზოგ შემთხვევაში უცნობი ავტორი თავის ნარატივში მეფე დავითს მაკედონელზე უფრო მაღლაც კი აყენებს.

[12] C. Rapp. Old Testament Models for Emperors in Early Byzantium. in Old Testament in Byzantium. ed. P. Magdalino. Washington, Dumbarton Oaks Research Library and Collection, 2010, გვ. 193-196.

[13] ცხორებაᲲ მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 175.

[14] F. Dvornik. Early Christian and Byzantine Political Philosophy, გვ. 645.

[15] G. Dagron. Emperor and Priest, გვ. 50.

იგი აღნიშნავს, რომ დავითის სამხედრო ნიჭი უფრო შთამბეჭდავია და სასწაულებრივია, ვიდრე ალექსანდრესი.[16] თხზულების მიხედვით, მეფე დავითის ქმედება ბრძოლის ველზე თავისი სიდიადით აღემატება ტროელთა, აქილევსისა და ჰომეროსის სხვა გმირების მიღწევებსა და საგმირო საქმეებს. კლასიკური ელემენტების ისტორიულ დისკურსში შემოტანა კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ დავითის ისტორიკოსი კარგად იცნობს ბიზანტიურ რიტორიკულ ტრადიციებს და, ამავე დროს, საისტორიო მწერლობის იმპერიისეული ჟანრის გავლენასაც განიცდის. ჯერ კიდევ III საუკუნეში მენანდრე რიტორი პანეგირიკებს საკუთარი გმირების აქილევსთთან და ჰომეროსის პოემის სხვა პერსონაჟებთან შედარებას ურჩევდა.[17] მოგვიანებით, მენანდრეს ეს რეკომენდაცია ბიზანტიის იმპერიაში უცვლელ ტრადიციად იქცა. უცნობმა ქართველმა ავტორმა არა მარტო გაითვალისწინა ეს, არამედ თავისებური ინტერპრეტაცია შესთავაზა მკითხველს და დავით აღმაშენებელი ჰომეროსის გმირებზე მაღლაც კი დააყენა. მაგალითისათვის, მან ტროას ომი დავითის სამხედრო მოქმედებებთან შედარებით ნაკლებ შთამბეჭდავად მიიჩნია. ზემოაღნიშნულიდან აშკარა ხდება, რომ დავითის ისტორიკოსი ზედმიწევნით იცნობდა ბიზანტიურ იმპერიულ იდეოლოგიას და საისტორიო მწერლობის ტრადიციას, რომელშიც იმპერატორის ჰომეროსის გმირებთან, განსაკუთრებით აქილევსთან და ალექსანდრე მაკედონელთან შედარება საკმაოდ გავრცელებული და მიღებული ფორმა იყო. ეს ტრადიციაც მენანდრე რიტორის სახელთანაა დაკავშირებული, რომელიც ჰომეროსის პოემებს ასახელებდა იმ რეკომენდირებულ ნაშრომთა შორის, საიდანაც ორატორებს თავიანთი გმირების განსადიდებლად შესაფერისი მაგალითები უნდა ამოელოთ.[18] უცნობმა ავტორმა აშკარად კარგად იცოდა, თუ ვისთვის უნდა შეედარებინა საკუთარი გმირი, რათა ნარატივი უფრო შთამბეჭდავი და საინტერესო ყოფილიყო, ხოლო მეფე – ქების და განდიდების ღირსი.

გარდა სამხედრო სიქველისა, ანონიმი ავტორის თზხულებაში დავით მეფის სხვა ღირსებებს – სიბრძნე, სამართლიანობა, ღვთისმოშიშობა და ფილანტროპია – დიდი ყურადღება აქვს დათმობილი.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ინოვაციური ასპექტი, რომელშიც ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ამ პერიოდში ჩნდება და ასახვას დავი-

[16] ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 186.
[17] D. A. Russell, N. G. Wilson. Menander Rhetor. Oxford, Oxford University Press, 1981, გვ. 87.
[18] D. A. Russell, N. G. Wilson. Menander Rhetor. A Commentary, გვ. 87.

თის ისტორიკოსის ნაშრომში ჰპოვებს, არის ბრძენი მეფის იდეა, რაც, ჩემის ღრმა რწმენით, ბიზანტიური იმპერიული იდეოლოგიის გავლენის შედეგია. სიბრძნე, როგორც სხვა იმპერიული ღირსებები, იდეალური მმართველის სახის შექმნაში სერიოზულ როლს თამაშობს. სიბრძნე, რომლის წყაროდაც თავად ღმერთია მიჩნეული, კიდევ უფრო ამყარებდა იდეალური და ღვთივკურთხეული მონარქის იმიჯს.

მაკედონური დინასტიის ხელისუფლებაში მოსვლასთან ერთად ბიზანტიის იმპერიაში ბრძენი მმართველის იდეა განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. ამ იდეის ხორცშესხმული მაგალითია იმპერატორი ლეო VI ბრძენად (ფილოსოფოსად) წოდებული, რომლისთვისაც შთაგონების წყარო ბიბლიური მეფე-ბრძენი სოლომონი გახლდათ. სოლომონის სიბრძნე ღვთისაგან ბოძებული წყალობაა, რომელმაც ასახვა ბიბლიური მეფის რელიგიური ხასიათის თხზულებებში ჰპოვა. გარკვეულწილად ლეო VI თავისი განსწავლულობით და ცოდნით „ახალ სოლომონს“ განასახიერებდა. იმპერატორი, რომელიც რელიგიური ხასიათის თხზულებებს (ჰომილიებს) წერდა, დაკავებული იყო სამართალწარმოებით და ეკლესიების მშენებლობით. იგი საკუთარი თანამედროვეების მიერ აღქმული იყო, როგორც ცოდნის სვეტი და ბურჯი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბიზანტიაში, ლეო VI-ის გარდა, არც ერთ იმპერატორს არ უცდია ამგვარად ხაზი გაესვა საკუთარი განსწავლულობისა და „სიბრძნისათვის“.

დავუბრუნდეთ ქართულ მაგალითს. უცნობი ავტორის ნაშრომში იგრძნობა ბრძენი მმართველის კონცეფციის ჩამოყალიბების მცდელობა. ერთ-ერთ მონაკვეთში, ავტორის თანახმად, დავით მეფეს ღვთისაგან სიბრძნე ჰქონდა მინიჭებული, „იხილა რაჲ მშვიდმან და **ღმრთით-განბრძნობილმან მეფემან**“.[19] გარდა ამისა, უცნობი ავტორი თხზულების სხვადასხვა ნაწილში არაერთხელ აკეთებს აქცენტს მეფის სიბრძნეზე.[20] მისი აზრით, ღვთაებრივი სიბრძნე განსაზღვრავდა მეფის წარმატებას და სწორედ ამ ღვთაებრივი სიბრძნის წყალობით გახდა დავითი ჰარმონიისა და კეთილდღეობის გარანტი. ამგვარად, ღვთაებრივ სიბრძნეს დავითის ავტორიტეტისა და სამეფო იდეოლოგიის შექმნაში განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა.

ღვთაებრივი სიბრძნის კონცეფციას ბიზანტიურ იმპერიულ იდეოლოგიაში გამორჩეული ადგილი ეჭირა. ბიზანტიის საიმპერატორო კარის ცერემონიების დროს, იმპერატორებს ხშირად მოსეს, ბიბლიურ დავითს, სოლომონს და

[19] ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 168.
[20] ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 190.

კონსტანტინე დიდს ადარებდნენ. ორატორთა მხრიდან განსაკუთრებულ ქებას იმსახურებდა იმპერატორთა „სიბრძნე“, რომლის საშუალებითაც ისინი ქვეყანას მართავდნენ.

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისის“ მიხედვით, მეფის სიბრძნე პირდაპირ კავშირში იყო „ღმერთის შიშთან,“ რადგან სწორედ ღმერთის შიში მოიაზრებოდა სიბრძნის დასაბამად და წყაროდ: „ესე შიში უფლისაჲ მოიგო სიყრმითგან თვისით დავით“;[21] ქრისტიანულ პოლიტიკურ ფილოსოფიაში ღვთის შიში (ღმრთისმოშიშობა) სიბრძნის წყაროდ მიიჩნეოდა. ამ იდეამ ნათელი გამოხატულება VI საუკუნის ავტორის, აგაპეტუსის თხზულებაში *„რჩევა იმპერატორისადმი“* ჰპოვა, რომელიც იმპერატორ იუსტინიანე I-ს (527-565) მიეძღვნა.[22] ზემოაღნიშნულ ნაწილში დავითის ისტორიკოსის მიერ მეფის ბრძენად წარმოჩენა, ჩემის აზრით, შეიძლება აერთიანებდეს ორ – ღმრთისმოშიში ქრისტიანი მონარქისა და ფილოსოფოსი მმართველის (მეფე-ფილოსოფოსის) – იდეას. კიდევ ერთი თვისება, რომელიც ქართველი მეფის განსწავლულობას ხაზს უსვამდა, იყო დავითის განსაკუთრებული წიგნიერება და წიგნებისადმი მისი სიყვარული.[23]

სხვა სამეფო ღირსებებთან ერთად თხზულება განსაკუთრებულ აქცენტს მეფის ღვთისმოსაობაზე აკეთებს, რაც ჭეშმარიტი ქრისტიანი მმართველის პორტრეტის შექმნას ემსახურება. სწორედ დავითის ეს თვისება განაპირობებს უფლის წყალობას და სამეფოს იმ განსაცდელს არიდებს, რომელიც მას ადრეულ წლებში თავს დაატყდა. საკუთარი სწორი ცხოვრების წესის წყალობით, დავითი მთელი სამეფოს სიმშვიდეს, წარმატებასა და ჰარმონიას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, იგი რწმენის ჭეშმარიტ დამცველადაც გვევლინება.

უცნობი ავტორის თანახმად, სამართლიანობა დავით მეფის ერთ-ერთ ღირსებას წარმოადგენს, რომელიც ნაწარმოებში მაღალი რიტორიკული სტილით არის განდიდებული და წარმოჩენილი. მეფე რეპრეზენტირებულია, როგორც უმაღლესი მსაჯული და მშვიდობის გარანტი.[24] ამავე კონტექსტში შეგვიძლია განვიხილოთ მეფის, როგორც მომრიგებლის როლი მისი ჩრდილოკავკასიური ლაშქრობის დროს. ტექსტის ამ პასაჟში საგულისხმო საკითხზე კეთდება აქცენტი. ამ შემთხვევაში დავითი ოსებისა და ყივჩაღების მომრიგე-

[21] ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 200.
[22] N. Bell. Three Political Voices from the Age of Justinian. Liverpool University Press, 2009, გვ. 33.
[23] ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 201.
[24] ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 210.

ბელ უმაღლეს მსაჯულად გვევლინება. თავისი სამართლიანობის წყალობით, მეფე ახერხებს ორ ხანგრძლივად დაპირისპირებულ ხალხს შორის მშვიდობის დამყარებას. თხზულების თანახმად, უფლის მსგავსად, დავითსაც განსჯის დროს „არასდა მიდრკებოდა წამი სასწორისა მისისაჲ“.[25] უცნობი ავტორის მიერ სამართლიანობისათვის ეგზომ დიდი მნიშვნელობის მინიჭებაც, სავარაუდოდ, ბიზანტიური ტრადიციის გავლენით აიხსნება. ბიზანტიური პოლიტიკური თეორიით, იმპერატორი სხვა დანარჩენ ღირსებებთან ერთად სამართლიანი და სამართალმწარმოებელი უნდა ყოფილიყო.

უცნობი ავტორის რიტორიკულ დისკურსში მეფის ფილანტროპიას მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. ღარიბ-ღატაკებზე მონარქის მუდმივი ზრუნვა მეფის იმიჯის შექმნაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. დავითის ისტორიკოსის თანახმად, მეფე მოწყალებას ყოველდღიურად გასცემდა და გლახაკების იმ თანხას ურიგებდა, რომელიც მისი უშუალო შრომით იყო მოპოვებული.[26] საჭიროდ მივიჩნევ, განვმარტო ფილანტროპიის ზოგადი არსი და მნიშვნელობა ქრისტიანულ აზროვნებაში. ისევე, როგორც სხვა იმპერიულ ღირსებებს, ფილანტროპიას ბიზანტიურ სოციალურ და პოლიტიკურ აზროვნებაში ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. მენანდრე რიტორი თავის რიტორიკულ სახელმძღვანელოში ფილანტროპიას სამართლიანობის ნაწილად და მის გამომხატველად მიიჩნევს. იგი პანეგირიკებს ურჩევს, ხშირად გაამახვილონ ყურადღება იმპერატორის ფილანტროპიაზე.[27] ფილანტროპიას იმპერიულ ღირსებებს შორის ყველაზე მნიშვნელოვნად თვლის გვიანანტიკური ხანის ავტორი თემისტიოსიც.[28]

საყურადღებოა ქართულ საისტორიო მწერლობაში კონსტანტინე დიდის ფენომენის გაჩენა, რომელსაც სამეფო იდეოლოგიისა და იდეალური მმართველის იმიჯისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. დავითის ისტორი-

[25] ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 207.

[26] ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 208-209. რამეთუ იყო მისა კისაკი მცირე, რომელსა აღავსებდის რაჲ დრაჰკნითა დღე სარწმუნო[დ] თჳსითა ჭელითა, სამწუხროდ ცალიერი მოაქუნდის იგი მხიარულსა სულითა და პირითა; და ოდესმე ნახევარი წარაგის მისი, და ოდესმე არავინ ეპოვნის და ეგრეთ სავსე მისცეს დამარხვად ხვალისა და სულთქუმითა თქჳს: „დღეს ვერა მივეც ქრისტესა მარცხებითა ჩემთა ცოდვათაჲთა“. და ამას იქმოდის არათუ ჭელოსანთა მორთმეულისაგან, ანუ საჭუჭლით, არამედ ჭელთა თჳსთა ნადირებულთა, რომელთაგანი ოდესმე თჳსსა მოძღუარსა იოვანეს მისცა დრაჰკანი, ვითერ ოცდახუთათასეული რაჲთა განუყოს გლახაკთა. და ესეცა მცირედი მრავლისაგან თქუმად შე[სა]ძლებელ“.

[27] D. A. Russell, N. G. Wilson. Menander Rhetor, გვ. 89-91.

[28] D. Angelov. Imperial Ideology and Political Thought in Byzantium, გვ. 112.

კოსმა ქართველი მეფე, მისი აქტიური საეკლესიო პოლიტიკისა და განსაკუთრებით რუის-ურბნისის კრების მოწვევის გამო, კონსტანტინე დიდს შეადარა, „და ესეცა მიმსგავსებულად დიდისა კოსტანტინესა აღასრულა მეფემან დავით“.[29] ამ შედარებას სერიოზული დატვირთვა აქვს. იგი დავითის „მეორე კონსტანტინედ“ წარმოჩენას ისახავს მიზნად. მეფემ ქვეყანაში უნდა გააატაროს კონსტანტინესეული პოლიტიკა, რაც ამავე დროს, მონარქსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის თავისებურ ფორმას გულისხმობს. კონსტანტინესეული იდეოლოგიის შემდგომ აღორძინებას ბიზანტიის იმპერიაში ალექსიოს I კომნენოსის (1081-1118) ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ეყრება საფუძველი. გ. დაგრონის მიხედვით, კონსტანტინე დიდის ფენომენი მთელი მართლმადიდებლური სამყაროს მმართველებისათვის ლეგიტიმაციისა და საკუთარი განსაკუთრებულობის დემონსტირების საშუალებას იძლეოდა.[30]

იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას, თუ რა იდეოლოგიური დატვირთვა ჰქონდა კონსტანტინე დიდის ფიგურას, საჭიროდ მივიჩნევ, მოკლედ შევეხო ბიზანტიურ პოლიტიკურ აზროვნებას. ბიზანტიაში იდეალური ქრისტიანი იმპერატორის კონცეფციის ჩამოყალიბება მჭიდროდ იყო დაკავშირებული პირველი ქრისტიანი იმპერატორის, კონსტანტინე დიდის სახელთან. მისი მმართველობის დროს ევსევი კესარიელის მიერ იმპერიული იდეოლოგიის ქრისტიანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა აზროვნების მოდელი, რომლის თანახმადაც, იმპერატორი განიხილებოდა, როგორც ღმერთის რჩეული და მისი წარმომადგენელი დედამიწაზე. ამასთანავე, იმპერატორი ღმერთთან განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა ღვთაებრივი სიტყვის (*logos*) მეშვეობით. ევსევის კონცეფციის მიხედვით, კონსტანტინეს იმპერია ზეციური სამეფოს მიწიერი ანარეკლი იყო.[31] იმპერატორ კონსტანტინეს უნდა ემცნო ხალხისათვის ღვთის სიტყვა, გამოეცა სამართლიანი კანონები და დაეყენებინა მისი სამწყსო ჭეშმარიტების გზაზე.[32] IV საუკუნეში შემუშავებული ეს კონცეფცია სამომავლოდ ბიზანტიური იმპერიული იდეოლოგიის ქვაკუთხედად იქცა.

ამრიგად, დავითის უცნობმა ისტორიკოსმა აშკარად ახალი დისკურსი შემოიტანა ქართულ სივრცეში. წინამორბედი ავტორებისაგან განსხვავებით, მან მკვეთრად ბიზანტიური ტიპის ღვთივკურთხეული და რჩეული ქრისტიანი

---

[29] ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 171.
[30] G. Dagron. Emperor and Priest, გვ. 201.
[31] D. M. Nicol. Byzantine Political Thought, გვ. 52.
[32] ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 52.

მმართველის კონცეფცია შექმნა. მის ნაშრომში აშკარად იგრძნობა ბიზანტიური პოლიტიკური აზროვნებისა და იმპერიული იდეოლოგიის და, ამასთანავე, ბიზანტიური საისტორიო მწერლობის გავლენა. ამის დამადასტურებელია უცნობი ავტორის მიერ დავით IV-ის იმიჯის შექმნაში ხუთი იმპერიული ღირსების: სიმხნევის, სიბრძნის, ფილანტროპის, ღვთისმოშიშობისა და სამართლიანობის აქტიური გამოყენება, რომლებიც თხზულების ფაბულას წარმოადგენს. შედარებითი პერსონაჟებისა და რიტორიკული ეპითეტების ხშირი გამოყენება ააშკარავებს უცნობი ავტორის მიერ იმ პოლიტიკური ლექსიკონის გამოყენებას, რომელსაც ბიზანტიურ პანეგირიკულ ნაშრომებსა და საისტორიო მწერლობაში ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. ქართულ რეალობაში დავით IV პირველი მონარქია, რომლის იმიჯი აერთიანებს ბიზანტიური იმპერიული იდეოლოგიის კონცეფციასა და ამ იდეოლოგიისათვის დამახასიათებელ ყველა ძირითად ელემენტს.

Sandro Nikolaishvili

CHANGES IN THE 12th CENTURY GEORGIAN HISTORICAL WRITINGS. BYZANTINE INFLUENCE AND GEORGIAN PERSPECTIVE

Summary

This article aims to observe the generic changes that occurred in medieval Georgian historical writings, reflected in Anonymous' *The Life of King of the Kings Davit (Tskhoreba Mepet-mepesa Davitisi)*. In contrast to the previous historical writings from the Bagrationis era, *The Chronicle of Kartli (Matiane Qartlisai)* and *The Life and Tales of the Bagrationis (Tskhoreba da Utskeba Bagratonianta)*, *The Life of King of the Kings Davit* constructed the image of an ideal ruler by means of sophisticated and rhetorical devices. In his encomiastic narrative, the Anonymous demonstrated a great deal of knowledge of the Byzantine political ideas and rhetorical traditions. The Byzantine Imperial virtues in the Anonymous' narrative buttressed King Davit's image, represented as a shining example of courage, wisdom, justice, piety, and philanthropy. Viewing King Davit as a second Constantine was another intricate aspect of the renewed Georgian historical writings. Similar to the Byzantine literary tradition, Anonymous attempted to glorify Davit by comparing his deeds to the first Christian Emperor's (Constantine's) achievements.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VIII
თბილისი. 2013-2014

მაია შაორშაძე

ახალი მასალები
მიტროფანე ნინოწმინდელის შესახებ

ნინოწმინდელ ეპისკოპოს მიტროფანეს (არაგვის ერისთავის ძის) შესახებ საისტორიო წყაროებში ძალიან მცირე ცნობები მოიპოვება. ჩვენს ნაშრომში – „ნინოწმინდის საეპისკოპოსო XVI-XVIII სს-ში," მისი ნინოწმინდელად მოღვაწეობის თარიღი განსაზღვრული გვაქვს დაახლოებით 1738-40 წლებით. ახლახან ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მივაკვლიეთ ერთ დოკუმენტს **Ad-184**, რომლის შინაარსმა და მიახლოებითმა დათარიღებამ საერთო სურათი შეცვალა. **„პირობისა და ფიცის წიგნი ნინოწმინდაში დასაფლავების აკრძალვის შესახებ, მიცემული ბოქაულთუხუცეს დემეტრე ჩოლოყაშვილის მიერ ნინოწმინდელ მიტროფანე ერისთვისშვილისათვის,"** კატალოგის მიხედვით, დათარიღებულია ქორონიკონით ტჟგ, 1705 წლით. სიგელი დღემდე გამოქვეყნებული არ ყოფილა და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მიტროფანე ნინოწმინდელის შესახებ არათუ სიგელები, საერთოდ ცნობებიც კი ძალზე მცირე რაოდენობით მოგვეპოვება, ამ დოკუმენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სიგელის ტექნიკური აღწერილობა ასეთია:

დაწერილია ქაღალდზე, ზომა: 43,4X25,8 სმ. დაზიანებულია გადანაკეც ადგილებში. დაზიანებული ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. მელანი: ყავისფერი. ხელი: მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის ბოლოს დასმულია ორი წერტილი. დედნის თარიღი: ტჟგ, 1705წ.

დოკუმენტში მოხსენიებული ისტორიული პირები არიან: ნინოწმინდელი მიტროფანე ერისთვისშვილი, ბოქაულთუხუცესი ჩოლოყაშვილი დემეტრე, ბიძა: სუფრაჩი ფარემოზ, ფარემოზის მეუღლე – ზა[ა]ლ ერისთვის ქალი ელენე, გარეჯელნი, ენდრონიკაშვილი ალავერდელი, ჩოლაყაშვილი სამებელი, თურმიშხან, კახეთის მდივანი ონანა. დოკუმენტის დამწერია: ონანა კახეთის მდივანი. ხელრთვები: არ აქვს. ბეჭდები: აქვს დემეტრე [ჩოლოყაშვილის] ოთ-

ხკუთხა ბეჭედი.

სიგელის სრული შინაარსი ასეთია:

ქ. ესე წიგნი, ფიცი და პირი მოგართვი თქუენ წმიდა ნინოსა, მოციქუ/ლსა და ნინოწმიდელს ერისთვისშვილს მიტროფანეს წმიდის ნ/ინოს ყმათა და სულ ერთობილთ გარეჯელთა მე, ჩოლა/ყაშვილმა <u>გიორგიმ,</u>[1] ბოქოულთ-ხუცესმა დემეტრემ, შვილთა და მომავალთა/ სახლისა ჩვენისათა, ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ბიძაჩვენი ს/უფრაჩი ფარემოზ და მისი მეულლე ბატონი ელენე,[2] უშვილო იყო და სიკუდილის დროს ანდერ/ძი ასრე დაადგო, რომ ნინოწმიდას მიმიღევითო, შამოგვეხვეწა ზ/ა{ა}ლ ერისთავის ქალი ჩვენი რძალი ბატონი ელენე, რომ ბიძის თქ/ვენის ანდერძს ნუ გამატეხინებთ და მოვინდომეთ მანდ ნინოწმი/დას დასაფლავება. შეიყარენით საყდრის ყმა და სულ ერთობი/ლთ გარეჯელნი და ასრე გვითხარით, რომ არას ჴელმწიფის ოჴმში/ წმიდის ნინოს ტაძარი არ გაჭრილაო, მანამდი ფიცი, პირი და/ წიგნი არ მოგეცით, მანამდისი არ მიგვაღებინეთ ახლა ეს საფიცარი/ მოგეცით. აწე ჩვენა და ანუ ჩვენმა მონათესავემან და ანუ ჩვენ/ისა გვარისა კაცმან წმიდას ნინოში დასაფლავება მოინდომოს მ/ასმცა რი{ს}ხავს თავად დაუსაბამო ღ(მერ)თი და ყოველნი მისნი წმინდანი ზ/ეცისანი და ქუეყანისანი ჴორციელი და უჴორცონი წმიდა ნინო ღ/მთის მოციქული და შვიდთა კრებათაგანმც შეჩვენებული იქმნების მ/ისი მკუდარი და ცოცხალი. დამამტკიცებელი ამისი ღ(მერ)თ(მა)ნ აკურთხო/ს ენდრონიკეშვილის ბატონის ალავერდლის მოწმობითა და თ/ავდებობითა და ჩოლაყაშვილის ბატონის სამებლისა და თურმიშხანისა/ და კახეთის მდივნის ონანას მოწმობითა და თავდებობითა. ტყგ. ბეჭედი: დემ{ე}ტრე.

მართალია, სიგელში ნახსენები ალავერდელი ენდრონიკაშვილისა და სამებელი ჩოლოყაშვილის სახელები ნახსენები არ არის, მაგრამ ორივე შემთხვევაში სახელი ნიკოლოზი უნდა იგულისხმებოდეს, რადგან ისინი აღნიშნულ კათედრებზე XVII ს-ის ბოლოსა და XVIII ს-ის. დასაწყისში ჩანან. დროდადრო ეს მღვდელმთავრები იცვლიან კიდეც კახეთის საეპისკოპოსო კათედრებს.

ნიკოლოზ ენდრონიკაშვილი დაახლოებით 1671-1676 წლებში ნინოწმინდის კათედრას განაგებს. მან 1671 წელს განაახლა, მოახატვინა და შეამკო ნინოწმინდის ტაძრის კანკელი, მანვე ააშენა კარიბჭეც.[3] 1673 წლის და-

[1] ამ ადგილზე ეს სიტყვა გადაშლილი და ჩამატებულია.
[2] ეს სიტყვაც ჩამატებულია.
[3] კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები. კრებული შეადგინა და განმარტებები დაურთო თ. ბარნაველმა. თბ. 1961, გვ. 121.

ვით-გარეჯის უდაბნოს წარწერის მიხედვით, ის გარეჯის მონასტერში მისულა და ერთი დიდმარხვა დაუყვია. მისივე წარწერებია წმ. დავითის ლავრაში, უდაბნოს მონასტრის მთავარ ეკლესიასა და სატრაპეზოში.[4] ნიკოლოზ ნინოწმინდელის ხელმოწერა ცნობილია აგრეთვე 1676 წლის ნიკოლოზ IX კათოლიკოსის (ამილახვრის) წერილიდან, რომელსაც იგი რუსეთის მეფეს უგზავნის.[5] 1514 წლის „ვალეს ოთხთავი," რომლის მთარგმნელია გიორგი მთაწმინდელი, მოგვიანებით ნიკოლოზ ნინოწმინდელს განუახლებია, რაზეც მისივე წარწერა მიგვითითებს.[6] ის განაგებდა რუსთავისა და ალავერდის ეპარქიებსაც. ალავერდელად იგი 1685-1694 წწ. მოჩანს. 1690 წელს სხვა ეპისკოპოსებთან ერთად მონაწილეობას იღებს კრებაში, რომელმაც ონოფრე მაჭუტაძე დავით-გარეჯის წინამძღვრად დაადგინა. ის მოწმე და გამრიგეა, ასევე, მრავალი სიგელისა. ნიკოლოზ ალავერდელს ედავებოდა სახლთუხუცესი ოთარ ჩოლოყაშვილი ალავერდის საყდრის კუთვნილ მამულებზე ენგიანში. ნიკოლოზს ამბა-ალავერდელის გვირგვინი კათოლიკოსის ნებართვის გარეშე დაუდგამს და ამის გამო თბილელისადმი გაგზავნილ წერილში სთხოვს, რომ უშუამდგომლოს და შეარიგოს კათალიკოსთან (1685-88 წწ.).[7] 1695 წელს ალავერდელად უკვე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი ჩანს.

1690 წლის დავით-გარეჯის მონასტრის საქმეთა განწესებაში მონაწილეობას იღებს სამებელი ეპისკოპოსი ნიკოლოზიც (ჩოლოყაშვილი). 1696 წლის დოკუმენტით „კახთ ეპისკოპოსთა და დარბაისელთა სითარხნის გუჯარი დავით გარეჯისადმი" ვგებულობთ, რომ სამებელის კათედრას განაგებს კვლავ ნიკოლოზი, მდივან-მწიგნობართუხუცესის ძე.[8] 1697 წ. მისი დაკვეთით გადაიწერა „მცხეთური ქართლის ცხოვრება." 1701 წელს ნიკოლოზ სამებელი შეწირულობის წიგნს აძლევს უდაბნოს ნათლისმცემლის მონასტერს.[9] იგი მონაწილეა აგრეთვე 1702 წლის საეკლესიო კრებისა, რომელმაც სამონასტრო

[4] გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები. ტ. I. ნაკ. I. წმ. დავითის ლავრა, უდაბნოს მონასტერი (XI-XVIII სს.). გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა და ზ. სხირტლაძემ. თბ. 1999, გვ. 85, 190, 360.

[5] Переписка Грузинскихь царей сь Российскими Государями от 1639 г. по 1770 г. СПБ. 1861, გვ. 92-93.

[6] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც). ფ. A-401.

[7] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIXსს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1970, გვ. 594-595.

[8] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 607.

[9] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 630-632.

წესისა და რიგის თაობაზე განჩინება მიიღო.[10] 1705 წელს სამებელი მონაწილეა ჩოლოყაშვილების გაყრის საქმისა.[11] ნიკოლოზ სამებელი მოწმეებშია დასახელებული 1709 წლის დოდოს მონასტრის შეწირულობის სიგელში.[12] ის სიგელს გასცემს 1710 წელსაც. 1710 წელსვე მეფე დავით იმამყულიხანი კაწარეთის წმ. სამების ტაძარს და სამებელ ეპისკოპოს ნიკოლოზს სწირავს იმ მამულებს, რომლებშიც საეპისკოპოსო ძველი დროიდანვე ფლობდა.[13] XVIII ს-ის ერთი სიგელით ნიკოლოზ სამებელი დავით-გარეჯის მამულების – სოფ. აკურასა და ვანთას საქმეს არიგებს[14] და სხვ.

1717 წელს საგარეჯოს მოურავი სამების საყდარს სწირავს გლეხებს მამულებითურთ. 1718 წელს მამულებისა და გლეხების გამო გარეჯის ნათლისმცემლის წინამძღვარსა და სამებელს შორის დავა მიმდინარეობდა, რომელსაც მეფე დავით იმამყულიხანის დავალებით სახლთუხუცესი არიგებს. სიგელი საინტერესოა იმით, რომ მასში მოთხრობილია ძველი დროის ამბებიც, როცა ამბა-ალავერდელმა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა თავის სამებლობაში მოოხრებული ნათლისმცემლის მონასტრის მეორედ აღმშენებელ მამებს თავიანთი მამულები დაუბრუნა. საბუთში შემდეგ კი ნათქვამია: „და ამას უკან მდივნის შვილი ნიკოლოზ სამებლად მჯდარიყო და რაც ნათლისმცემლის მამული იმის დროს გამოჩენილიყო, იმასაც ჭელი აეღო და ნათლისმცემლის წინამძღვრებისათვის დაენებებინა და გუჯარიც დაედვა...“.[15] ამ სიგელიდან ჩანს, რომ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი სხვა პირია და ნიკოლოზ მდივნისშვილი – სხვა. როგორც ირკვევა, სამებელად ჯერ ჩოლოყაშვილი იყო, შემდეგ კი მდივნისშვილი. თუმცა ამ პერიოდის სამი ნიკოლოზ ეპისკოპოსი ხშირად იცვლიდა აღმოსავლეთ საქართველოს კათედრებს.

1761 წლის საბა ნინოწმინდელის ერთ სიგელში მოთხრობილია შაჰაბასის მიერ დავით-გარეჯის მონასტრის აოხრების ამბავი. თეიმურაზ I-ის იმერეთში გადასვლისა და უკან დაბრუნების შემდეგ ნათლისმცემლის მონასტერში ახალი მოღვაწენი მისულან. მათ მატერიალური დახმარებისთვის ნი-

[10] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 633-635.
[11] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV. სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIIIსს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1972, გვ. 213-215.
[12] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 654-663.
[13] თ. ჟორდანია. ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები. ფოთი. 1903, გვ. 32-36.
[14] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV, გვ. 231-232.
[15] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV, გვ. 275-276.

ნოწმინდელ იოსებ არაგვის ერისთავის შვილისათვის მიუმართავთ. მაშინ ნინოწმინდელს მათთვის შემწეობა ვერ აღმოუჩენია და ამიტომ მოახალშენეებს ნიკოლოზ სამებელისათვის (ჩოლოყაშვილისათვის) უთხოვიათ დახმარება. ამის შემდეგ ნათლისმცემლის მონასტერი მის საგამგეოში გადასულა (XVIII ს-ის II ნახ-მდე).[16] ეს გამოყოფა ერეკლე I-ის მეფობაში (1688-1703 წწ.) მომხდარა, ჩვენი ვარაუდით, 1692-1693 წლებში.

როგორც აღვნიშნეთ, XVII ს-ის 80-90-იან წლებსა და XVIII ს-ის დასაწყისში, ისტორიული საბუთების მიხედვით, ჩანს სამი ნიკოლოზ ეპისკოპოსი, რომლებიც ერთდროულად აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა საეპისკოპოსო კათედრაზე მოღვაწეობენ. ისინი დროდადრო იცვლიან ამ კათედრებს, რაც მკვლევარებში ზოგჯერ გაურკვევლობას იწვევს. 1690 წ. ონოფრე მაჭუტაძის დავით-გარეჯის წინამძღვრად დასმაში მონაწილეობენ: ალავერდელი ნიკოლოზ, რუსთველი ნიკოლოზ და სამებელი ნიკოლოზ. აქედან ერთი ენდრონიკაშვილია, მეორე მდივან-მწიგნობართუხუცესის ძე და მესამე ჩოლოყაშვილი. საბუთების მიხედვით ირკვევა, რომ 1685-1695 წლებში ალავერდის კათედრაზე მოღვაწეობს ნიკოლოზ ენდრონიკაშვილი, ხოლო 1695-1700 წლებში ამ კათედრას ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი განაგებს. 1694 წლის ერთ საბუთში, რომელიც გ. ჯანდიერს თავის ნაშრომში აქვს გამოყენებული, მოიხსენიება ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, რომელსაც იგი რუსთველ ეპისკოპოსად მიიჩნევს.[17] ჩვენი აზრით, ამ დროს ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი ჯერ კიდევ სამებელი ეპისკოპოსია, ხოლო ამბა ალავერდელად ნიკოლოზ ენდრონიკაშვილი, ვიდრე 1695 წ-მდე. ისინი მომდევნო წლებშიც ჩანან სხვადასხვა შეცვლილ საეპისკოპოსო კათედრებზე. (ნიკოლოზ ენდრონიკაშვილი ამბა ალავერდელად 1740-იანი წლების სიგელებიდანაც კი ჩანს, მაგრამ, სავარაუდოდ, იგი სხვა პირია).

სიგელში მოხსენიებული ონანა არის ვახტანგ VI-ის კარის ცნობილი მდივანი, პოეტი ონანა ქობულაშვილი, მეფესთან დაახლოებული თანამოღვაწე. მან გალექსა და გამართა „ქილილა და დამანას“ სათანადო ადგილები, მისი გადაწერილი უნდა იყოს თეიმურაზ I-ის თხზულებათა კრებულის საუკეთესო

[16] ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები. ტ. V (საბუთები XVIII საუკუნისა). ტფ. 1913, გვ. 76-77.

[17] გ. ჯანდიერი. XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის (ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი). ჟურნ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. ტ. I. თბ. 1971, გვ. 343.

ნუსხა[18] და ა. შ.

ღურმიშხან სახლთუხუცესი (ჩოლოყაშვილი) მოიხსენიება 1693-1696 წლების სიგელებში. მისი შვილია ედიშერ სახლთუხუცესი, ძმა ნიკოლოზ ალავერდელის (ჩოლოყაშვილის) და ქმარი ცნობილი მარიამ-მაკრინასი.

ზემოთ აღნიშნული მიტროფანე ნინოწმინდელისათვის მიცემული სიგელის ბოლოს ნახსენები არ არის ქორონიკონი, პირდაპირ დასმულია ტჟგ (როგორც უკვე ვთქვით, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კატალოგში იგი ასეა შესული), მისი წაკითხვა, ასევე, შესაძლოა, როგორც ტპგ. მართლაც, სიგელი დაწერილი ჩანს ან სწორედ 1695 წელს (ტპგ), ან 1705 წელს (ტჟგ). პ. კარბელაშვილის მითითებით, ნინოწმინდელ იოსებ ვაჩნაძეს ვახტანგ VI-ის მომხრეობისათვის დაატოვებინეს ნინოწმინდის კათედრა და ეპარქიას დროებით რუსთველი ბესარიონი განაგებდა.[19] ჩვენი ვარაუდით, მიტროფანე ნინოწმინდელს, შესაძლებელია, სწორედ ამ პერიოდში მიაბარეს ეს კათედრა, რადგან სიგელში აღნიშნული პირები დაახლოებით ამ დროისათვის მოღვაწეობდნენ. ნინოწმინდელი იოსებ ვაჩნაძე საისტორიო დოკუმენტებში ჩანს 1702-1703 წლებში, ხოლო შემდეგ იგი აღარ ჩანს 1708-1709 წლამდე. მისი ეპისკოპოსად კვლავ დაბრუნებისა და 1737 წლამდე აქ მოღვაწეობის შემდეგ, ჩვენი ვარაუდით, მიტროფანე თუმცა ცოტა ხნით, მაგრამ, შესაძლოა, კვლავ იკავებს ნინოწმინდელის კათედრას (დაახლოებით, 1738-40 წლებში). გაურკვეველი რჩება ის, რომ მიტროფანე გარდაცვლილი არ ჩანს ჯერ კიდევ 1763 წლამდე, როცა მისი დაკვეთით სახარება-სამოციქულო გადაწერეს[20] (K-104). როგორც ჩანს, აქ რაღაც შეცდომას აქვს ადგილი და მეტ დაზუსტებას მოითხოვს. თუ იგი XVII ს-ის ბოლოს ან XVIII ს-ის დასაწყისში უკვე ეპისკოპოსია, 1763 წელს მისი სიცოცხლე დიდ ეჭვს ბადებს. როგორც 1772 წლის წარწერიდან ვიცით, მისი აღდგენილია ბოდორნის ტაძარიც, თუმცა იგი მის დასრულებას ვერ მოსწრებია.[21] ამდენად, მიტროფანე ნინოწმინდელის XVII ს-ის ბოლოს ან XVIII ს-ის დასაწყისში ეპისკოპოსად მოღვაწეობა გამორიცხავს მის XVIII ს-ის II ნახევარში არათუ ეპისკოპოსობას, არამედ სიცოცხლესაც კი. როგორც ჩანს, ან ზემოთ აღნიშნული სიგელის თა-

[18] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც). ფ. S-403.
[19] საქართველოს ეროვნული არქივი (სეა). ფ. 1461, საქმე №17.
[20] ლ. მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ. I. ნაკ. I. თბ. 1962, გვ. 353.
[21] Е. Такайшвили. Археологические экскурсии, разыскания и заметки. Вып. V. Тиф. 1915, გვ. 48-49.

რიღშია უზუსტობა, ან მომდევნო ხანის მინაწერსა და ცნობებში. ამ საკითხს შემდგომი კვლევები და ახალ წყაროთა გამოჩენა გადაჭრის.

მიტროფანე ნინოწმინდელს დავით-გარეჯის მონასტერში გაუგრძელებია თავისი მოღვაწეობა, რასაც პ. კარბელაშვილიც აღნიშნავს: „მოხუცების ჟამს სცხოვრებდა დავით-გარეჯის უდაბნოში, იქვე აღსრულდა და დასაფლავდა წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. აღწერა წიგნი „წინწილისა“.[22]

[22] საქართველოს ეროვნული არქივი (სეა). ფ. 1461, საქმე №17.

Maia Shaorshadze

NEW MATERIALS ON
MITROPHANE, BISHOP OF NINOTSMINDA

Summary

Historical sources contain very little information about Mitrophane, son of duke of Aragvi, bishop of Ninotsminda. Our special research "Bishopric of Ninotsminda in 16th-18th centuries", dates the period of his activities as bishop by 1738-40. The author of this article has just recently discovered the document (Ad-184) in the National Centre of Manuscripts, contents and dating of which has made the scholars to revise the whole historiographical discourse around Mitrophane of Ninotsminda. The document is dated by 1705 and it has not been published until present. If the dating of this document is correct, then Mitrophane already served as bishop approximately in late 17th-early 18th cc. On the other hand, there are documents indicating that Mitrophane was still alive in 1763 when the Holy Gospel was rewritten on his order. It is extremely doubtful whether Mitrophane could have served as bishop in both 1705 and 1763. That is why, supposedly, either the above-mentioned document from the National Centre of Manuscripts, or later report that Mitrophane was still alive in second half of the 18th century is dated incorrectly. The issue still needs further studies.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VIII
თბილისი. 2013-2014

მაია პატარიძე

სვანეთის ნუმიზმატიკური განძების სპეციფიკა

ნუმიზმატიკური მეცნიერების შესწავლის ძირითადი წყარო მონეტა და სამონეტო განძია. სამონეტო განძი თავისთავად გულისხმობს ქონებას, რომელიც სხვადასხვა მიზნით გროვდებოდა. ხშირად ეს იყო ოჯახის დანაზოგი, რომლის შეგროვებაში რამდენიმე თაობაც კი იღებდა მონაწილეობას. სამონეტო განძში სახელმწიფოში მიმოქცევაში მყოფი სხვადასხვა ფული ილექებოდა და ამიტომაც განძი უტყუარი საბუთია ქვეყნის ამა თუ იმ პერიოდის ფულადი მიმოქცევის სურათის აღსადგენად, საშინაო და საგარეო სავაჭრო ურთიერთობების გასაცოცხლებლად და, რაღა თქმა უნდა, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კავშირების გადმოსაცემად.

საქართველოში ნუმიზმატიკური განძების მეცნიერული შესწავლა, ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში იღებს სათავეს.[1] სერიოზული შრომაა გაწეული ცალკეული ისტორიული ეპოქის სამონეტო განძების ტოპოგრაფიის, შემადგენლობის, ქრონოლოგიის შესწავლის კუთხითაც,[2] თუმცა უნდა

[1] Е. А. Пахомов. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. вып. I-IX. Баку. 1926-1959 г.г.; А. Н. Зограф. Распостранение находок античных монет на Кавказе. Труды нумизматического отдела гос. Эрмитажа. I. Ленинград. 1945.

[2] დ. კაპანაძე. XV საუკუნის ქართული ფულის გორის განძი. სსმმ. ტ. X-B. თბ. 1940; თ. ლომოური. ქოდალას განძი. სსმმ. ტ. XIV-B. თბ. 1947; Д. Капанадзе. Клад монет начала XI в. Тбилисского эмира Али ибн Джафара – Эпиграфика Востока. т. XIV. 1961; В. Голенко. Клад синопских и колхидских монет из Кобулети (1948). ВДИ, №1. თ. ლომოური. პატარა ჯიხაიშში აღმოჩენილი XVI ს-ის განძის გამო. სსმმ. თ. XVII-Б. 1953; К. В. Голенко. Клад монет из села Тобаниери. ВВ. XVI. М. 1959; ირ. ჯალაღანია. XIV საუკუნის თბილური მონეტების ლენინგორის განძი. სმამ. ტ. XXII. №2. თბ. 1959; თ. აბრამიშვილი. XIII-XIV სს. დასავლურ-ქართული (კირმანეული). თბ. 1959; გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში. თბ. 1964; თ. აბრამიშვილი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები. თბ. 1965; К. В. Голенко, Д. Г. Капанадзе. Четыре клада

ითქვას, რომ საქართველოში აღმოჩენილი განძების მეთოდოლოგიური შეს-

---

колхидок. НЭ. т. VI. 1966; რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში 1971; საქართველოში აღმოჩენილი სინოპური მონეტები. ჟურნ.: „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. №1. თბ. 1971; М. Г. Антадзе, Р. В. Кебуладзе. Клад золотых монет из Лехнрского ушелья. НЭ. т. IX. М. 1971; ირ. ჯალაღანია. ქუფური მონეტების ტოპოგრაფია საქართველოში. თბ. 1972; გ. დუნდუა. საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები. ჟურნ.: „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. №1. თბ. 1973; თ. აბრამიშვილი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პართული მონეტების კატალოგი. თბ. 1974; ირ. ჯალაღანია. საქართველოს სამონეტო განძები. თბ. 1975; Р. В. Кебуладзе. Клад из села Цихесулори. Нумизматический сборник. Тб. 1977; Т. С. Кутелия. Клад монет XVII в. Из Норио. Нумизматический сборник, посвященный памяти Д. Г. Капанадзе. Тб. 1977, გვ. 135-149; გ. დუნდუა. საქართველოს სამონეტო განძები (რომაული ხანის მონეტები სოფ. ეკიდან და სეფიეთიდან). თბ. 1979; И. Джалагания. Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв. Тб. 1979; Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики). Тб. 1979; მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1982; თ. აბრამიშვილი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ტრაპიზონის ასპრების და დასავლურქართული ფულის (კირმანეულის) კატალოგი. თბ. 1984; მ. ანთაძე. ქვახვრელის განძი. სსმმ. ტ. XXXVIII-B. თბ. 1986; ც. ღვაბერიძე. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან. თბ. 1986; С. М. Шамба. Монетное обращение на территории Абхазии (V в. до н. э. - XIII в. н. э.). Тб. 1987; თ. ქუთელია. ირანული სპილენძის ფულის კატალოგი. (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდების მიხედვით). თბ. 1990; ც. ღვაბერიძე. ილხანთა ირანის სპილენძის ფულის კატალოგი. თბ. 1994; გ. დუნდუა. ანტიკური ხანის უცხოური მონეტების განძები კოლხეთიდან (ძვ. წ. IV - ახ. წ. IV სს.). კრებ.: „გურია“ (მხარის კვლევა-ძიების შედეგები). II. თბ. 1997; I. Tsukhishvili, G. Depeyrot. History and coin finds in Georgia. (Late Roman and Byzantine hoards (4th-13th c.) 2003; თ. ლომოური. ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში. თბ. 2005; ც. ღვაბერიძე. სოფელ ფოკის განძი. არქეოლოგიური ჟურნალი. IV. თბ. 2006; თ. ქუთელია. იყალთოს განძი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. I (46-B). თბ. 2010; ც. ღვაბერიძე. ახალციხის ზარაფხანა (XIV-XVI სს.). ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში. № 19. თბ. 2010; ც. ღვაბერიძე. ყარაღაჯის განძი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე I (46-B). თბ. 2010; მ. პატარიძე. სვანეთში აღმოჩენილი ანტიკური ხანის მონეტები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. III. თბ. 2011; თ. ქუთელია. XVII საუკუნის მონეტები სოფელ აბანოდან (კოდის განძი). საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. III (46-B). თბ. 2012; ც. ღვაბერიძე. ნახიდურის განძი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. III (46-B). თბ. 2012.

წავლა, სისტემაში მოყვანა და კლასიფიკაცია მათი აღმოჩენის ვითარების და ხასიათის მიხედვით დღემდე არ მომხდარა.

წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთი მიზანი სწორედ აღნიშნული ხარვეზის შევსების მცდელობაა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სრულიად საქართველოს განძების სრულყოფილი სისტემატიზაცია ამ ნაშრომის ამოცანას არ წარმოადგენს. ჩვენ შემოვიფარგლეთ მხოლოდ საქართველოს ერთი რეგიონით, სვანეთით. აქ აღმოჩენილი სამონეტო განძების მაგალითზე ვეცდებით მოვახდინოთ, პირველ რიგში, ამ განძების კლასიფიკაცია, გამოვავლინოთ თავისებურებანი, რაც გამოარჩევს მას საქართველოს სხვა რეგიონის ნუმიზმატიკური განძებისგან. სვანეთის ნუმიზმატიკური მასალის მრავალფეროვნება დანიშნულების, ხასიათის და აღმოჩენის გარემოებების მიხედვით ამის საშუალებას ნამდვილად გვაძლევს.

შესასწავლ მასალას წარმოადგენს მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, უშგულის ციხე-სახლში დაცული ნუმიზმატიკური განძები. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ასევე ჩავრთოთ სვანეთიდან შემოსული, საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის ნუმიზმატიკურ ფონდებში დაცული განძებიც.

განძების შესწავლის და დაკვირვების შედეგად ცნობილი ნუმიზმატი, სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟის ნუმიზმატიკური კაბინეტის გამგე ვ. პოტინი, დაეყრდნო რა მანამდე სხვადასხვა მეცნიერთა მიერ წარმოდგენილ განძების სისტემატიზაციას, მივიდა დასკვნამდე, რომ ყველა ძირითადი შემთხვევის გათვალისწინებით არსებობს სამი ტიპის განძი: ***ეკონომიკური, საკულტო და ეთნოგრაფიული.***[3] განძების ასეთ კლასიფიკაციას ჩვენ სავსებით ვიზიარებთ.

ეკონომიკური განძი[4] თავის მხრივ იყოფა სხვადასხვა კატეგორიად: ხანგრძლივი, მცირე დაგროვების განძებად და ერთეულ სამონეტო აღმოჩენებად.

პირველ კატეგორიას მიეკუთვნება სამონეტო ჯგუფი, რომელიც შეგროვდა კერძო პირის ან, თუნდაც, ოჯახის მიერ სხვადასხვა გარემოებაში. შესაძლებელია, ეს ყოფილიყო დანაზოგი ან სიმდიდრე. თვითონ სახელწოდება – ხანგრძლივი დაგროვება განძის რამდენიმე წლის ან საუკუნის ქრონოლოგიურ დიაპაზონს გულისხმობს. ეკონომიკურია, აგრეთვე, მცირედი დაგროვების განძიც, რომელიც გაცილებით მოკლე დროის ინტერვალს მოიცავს და

[3] В. М. Потин. Введение в нумизматику. Труды государственного Эрмитажа, XXVI. Ленинград. 1986, გვ. 107.
[4] В. М. Потин. Введение в нумизматику, გვ. 109.

ერთეული სამონეტო აღმოჩენებიც, რომლებიც, შესაძლოა, კულტურულ ფენებშიც შეგვხვდეს არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ ჩატარებული გათხრების შედეგად და შემთხვევითაც.

სახელწოდება – „ეკონომიკური განძი", ვფიქრობთ, ზუსტად ასახავს აღნიშნული განძების ხასიათს. ეს ჯგუფი მონეტებისა თავისი მიმოქცევაში ბრუნვის დროს ეკონომიკური იყო, ანუ წარმოადგენდა ფულს, დანაზოგს და მათი საუკუნეების შემდეგ აღმოჩენისასაც მკვლევართათვის და მეცნიერებისთვის გარკვეული ისტორიული პერიოდის ფინანსური, სავაჭრო ანუ ეკონომიკური სურათის მომცემია.

საკულტო განძების[5] შემადგენლობაში შედის როგორც ხანგრძლივი დაგროვების და დროის მცირე ინტერვალში დაგროვილი განძი, ასევე ერთეული აღმოჩენებიც, მხოლოდ მათი წარმომავლობაა განსხვავებული. ისინი საკულტო ადგილებში ან ეკლესია-სალოცავებშია აღმოჩენილი. ამ ჯგუფში მოიაზრება, აგრეთვე, შენობის საძირკველში მოხვედრილი მონეტები, რაც უკავშირდება ტრადიციას, რომლის მიხედვითაც ეს მონეტები ნაგებობისთვის მიტანილი ძღვენი-შეწირულობა იყო. განსაკუთრებული ადგილი ამ ჯგუფის მონეტებში უჭირავს ეგრეთ წოდებულ „ქარონის ობოლს". როგორც ცნობილია, ძველი ბერძნები გარდაცვლილს თვალებზე აფარებდნენ მონეტებს – „ობოლს" ან პირის ღრუში უდებდნენ და ატანდნენ, ვინაიდან თვლიდნენ, რომ ადამიანს იმიერცხოვრებაშიც სჭირდებოდა ფული, რომელიც მდინარე სტიქსზე გადასასვლელად მებორნისთვის უნდა გადაეხადა. ეს ტრადიცია შუა საუკუნეებშიც გვხვდება. მიუხედავად მისი საკულტო წარმომავლობისა, ჩვენი აზრით, ამ მონეტებს ეკონომიკური ფუნქციაც აქვთ, ვინაიდან სამარხში ბუნებრივია, ის მონეტა ხვდებოდა, რომელიც მიმოქცევაში იყო კონკრეტულ პერიოდში და, შესაბამისად, ფულადი მიმოქცევის სურათის მომცემია. გარდა ამისა, სპეციალისტებისთვის, სამარხეული მონეტები არქეოლოგიური ძეგლის ზუსტ დამათარიღებელ წყაროს წარმოადგენს.

ეთნოგრაფიული განძები[6] მისი დანიშნულების მიხედვით იყოფა რამდენიმე ჯგუფად. ყველაზე გავრცელებულია სამკაულად გამოყენებული მონეტები. ეს ყველაზე პოპულარული, მაგრამ თავისებური ტრადიციაა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. მეორე კატეგორიას მიეკუთვნება ცალმხრივი, ანუ საგანგებოდ მოჭრილი მონეტები, რომელსაც ტანისამოსის, სამკაულის, მუსი-

[5] В. М. Потин. Введение в нумизматику, გვ. 111.
[6] В. М. Потин. Введение в нумизматику, გვ. 121.

კალური ინსტრუმენტების, და იარაღის მოსართავი დანიშნულება აქვს მხოლოდ და არა ფულის ფუნქცია.

განძების მიღებული კლასიფიკაცია ერთ-ერთი საბოლოო შედეგია, სადამდეც მივიდნენ მკვლევრები. ეს ის ძირითადი ჯგუფებია, რომლებიც ყველაზე გავრცელებულია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, მაგრამ ვინაიდან თითოეულ ქვეყანას, და მათ შორის საქართველოსაც, გამომდინარე თავისი კონფესიური, ეთნოლოგიური და გეოპოლიტიკური თავისებურებებიდან, გარკვეული სპეციფიკა აქვს, საჭირო ხდება გარკვეული ცვლილებების შეტანა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ საკითხის კვლევისათვის სვანეთის ნუმიზმატიკურ განძებს მოვიშველიებთ.

სვანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამონეტო განძები თვისობრივად მრავალფეროვანია. აქ გვხვდება თითქმის ყველა კატეგორიის და წარმომავლობის განძი, როგორც არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგად აღმოჩენილი, ასევე სხვადასხვა ეკონომიკური თუ ეთნოგრაფიული ხასიათის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა ამ განძს ერთი გამაერთიანებელი ნიშანი აქვს, უმეტესობა ეგრეთწოდებულ საეკლესიო განძს – შეწირულობას წარმოადგენს.

სვანეთში უძველესი დროიდან წესად იყო სხვადასხვა ეკლესია-სალოცავისთვის მონეტების შეწირვა, რაც, ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით, ოჯახის ბედის, სიუხვისა და ჯანმრთელობის საწინდარი იყო. ეთნოგრაფიული ჩანაწერებით ვიგებთ, რომ მამაკაცები ეკლესიებს ძირითადად იარაღს სწირავდნენ (მშვილდს, ისარს, ისრისპირს, ხანჯალს, თოფის ტყვიებს და ვაზნებს), ქალები – მძივებს, გახვრეტილ ქვებს, მონეტებს და ქალის სამკაულს. თითოეულ ნივთს თავისი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგალითად, ისარი და ტყვია შეწირული იყო ბიჭის დაბადების აღსანიშნავად; ქვა და მონეტა – ოჯახის ბედი-ბარაქის და სიუხვისათვის.[7] ეკლესიებში დაცული ნივთები ხელშეუხებელი და წმინდა იყო მოსახლეობისთვის, ამიტომაც სვანეთში არსებულმა ჩვეულებამ არაერთი იშვიათი მონეტა შემოუნახა მეცნიერებას.[8]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განძების სისტემატიზაცია, ძირითადად, მათი აღმოჩენის გარემოებით ხდება, მაგრამ სვანეთის შემთხვევაში განსაკუთრებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. აქ თითქმის ყველა განძის წარმომავლობა

[7] მ. ჩართოლანი. 1973 წლის სვანეთის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის შედეგები. სსმმ. XXXII-B. თბ. 1977, გვ. 12.
[8] მ. პატარიძე. სვანეთში აღმოჩენილი ანტიკური ხანის მონეტები, გვ. 31.

ეკლესიასთანაა დაკავშირებული, ამიტომ მათი კლასიფიკაცია შესაძლებელია მხოლოდ ქრონოლოგიური შემადგენლობის მიხედვით. ერთი მთავარი თვისება, რაც აქაურ განძებს ახასიათებთ, ისაა, რომ უმეტესწილად ერთი და იგივე განძი ერთდროულად საკულტოცაა, ეკონომიკურიც და ეთნოგრაფიულიც. ამ მოსაზრების ნიმუშად გადავწყვიტეთ, ავიღოთ უშგულის ციხე-სახლის უნიკალური კომპლექსი, ქისა მონეტებით და მძივებით, რომელიც დღემდე მოღწეული ერთადერთი ხელუხლებელი მონეტებიანი ქისაა (**ტაბულა I, სურ. 1**).

2009 წლის აგვისტო-სექტემბერში, სვანეთის (მესტია-უშგული) ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში ექსპონატების ინვენტარიზაციის მიზნით (იუნესკოს-UNESCO-ს პროექტი) საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან მიგვავლინეს კომპლექსური ჯგუფი. ჩვენს ამოცანას წარმოადგენდა ნუმიზმატიკური მასალის შესწავლა. ამ სამუშაოს შესრულებისას შესაძლებელი გახდა შეგვესწავლა და დავკვირვებოდით სვანეთის სამონეტო განძებს.

უშგულის ციხე-სახლში დაცული ქისები ჩაჟაშის მაცხოვრის ეკლესიიდან გადმოიტანეს. ის თავისი პირვანდელი სახით თითქმის ხელუხლებელი დაგვხვდა, სავარაუდოდ ისეთი, როგორიც სალოცავში იყო. ამ კომპლექსის შესწავლით, ფაქტობრივად, ცოცხლდება სალოცავებისათვის მონეტების, ქვებისა და მძივების შეწირვის სვანური ტრადიცია. ერთი შეხედვით მცირე ზომის ქისა საკმაო ინფორმაციას იტევს, მასში მოთავსებული მონეტები, ჟეტონები და ქვები ერთდროულად საკულტო, ეკონომიკური და ეთნოგრაფიული ხასიათისაა. მაგალითად, ქვა, მძივი და ცალმხრივი მონეტები, რომლებსაც სამკაულად გამოიყენებოდა, ეთნოგრაფიულ დანიშნულებას აძლევს ამ განძს, თუმცა იქვეა ერთად ასხმული 116 თურქული ახჩის განძი (**ტაბულა I, სურათი 2**) და აგრეთვე სათითაოდ, სავარაუდოდ, რიტუალურად შეწირული მონეტები. ეს კომპლექსი საკულტოა და ის ძღვენს, შეწირულობას წარმოადგენს ეკლესიისთვის, მაგრამ იმისათვის, რომ ზუსტად განისაზღვროს ამ განძის ხასიათი, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ დეტალურად შეგვესწავლა ამ კომპლექსის შემადგენლობა. როგორც უკვე განძის შემადგენლობის აღწერისას აღვნიშნეთ, ქისაში გახვრეტილი და ერთად ასხმული 116 თურქული ახჩა დაგვხვდა. სავარაუდოდ, ეს მონეტები გარკვეულ დანაზოგს წარმოადგენდა, რომელიც მათი მიმოქცევის მომენტში ან მოგვიანებით გახვრიტეს და ძაფზე ასხმული შესწირეს ეკლესიას, ან, შესაძლოა, ეს მონეტები განძად იპოვა პიროვნებამ და ეკლესიას არა როგორც ფული, არამედ როგორც სიმდიდრე, ისე შესწირა. ნებისმიერ შემთხვევაში დასადგენია ქრონოლოგია, რათა დავად-

გინოთ, არის თუ არა ის მიმოქცევის სურათის მომცემი, თუ შემთხვევით შეგროვილი მონეტებია? მონეტების ატრიბუციის შედეგად შემდეგი სურათი მივიღეთ.

№	სულთანი	წონა	ზომა	ლითონი	ზარაფხანა	თარიღი ჰიჯრით/ევროპული	დასახელება
1	აჰმედ II (1690-1695)	0,59	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1103/1691-92	ახჩა
2	მუსტაფა II (1694-1703)	0,39	14/14	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1110/1698-1699	ახჩა
3	აჰმედ III (1703-1730)	0,35	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1115/1703-04	ახჩა
4	აჰმედ III (1703-1730)	0,18	13/13	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1115/1703-04	ახჩა
5	მაჰმუდ I (1730-1754)	0,27	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1143/1730-1731	ახჩა
6	მაჰმუდ I (1730-1754)	0,40	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1143/1730-1731	ახჩა
7	მაჰმუდ I (1730-1754)	0,44	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1143/1730-1731	ახჩა
8	მაჰმუდ I (1730-1754)	0,42	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1143/1730-1731	ახჩა
9	მუსტაფა III (1757-1773)	0,35	15/15	ვერცხლი	ისლამბოლი	1171/1757-1758	ახჩა
10	მუსტაფა III (1757-1773)	0,24	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა
11	მუსტაფა III (1757-1773)	0,30	14/14	ვერცხლი	??	1171/1757-58	ახჩა
12	მუსტაფა III (1757-1773)	0,30	15/15	ვერცხლი	მისრი	1171/1757-58	ახჩა
13	მუსტაფა III (1757-1773)	0,24	14/14	ვერცხლი	მისრი	1171/1757-58	ახჩა
14	მუსტაფა III (1757-1773)	0,39	15/15	ვერცხლი	მისრი	1171/1757-58	ახჩა
15	მუსტაფა III (1757-1773)	0,33	15/15	ვერცხლი	მისრი	1171/1757-58	ახჩა
16	მუსტაფა III (1757-1773)	0,30	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
17	მუსტაფა III (1757-1773)	0,26	14/14	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
18	მუსტაფა III (1757-1773)	0,38	15/15	ვერცხლი	ისლამბოლი	1171/1757-1758	ახჩა
19	მუსტაფა III (1757-1773)	0,36	14/14	ვერცხლი	ისლამბოლი	1171/1757-1758	ახჩა
20	მუსტაფა III (1757-1773)	0,32	15/15	ვერცხლი	მისრი	1171/1757-58	ახჩა

21	მუსტაფა III (1757-1773)	0,11	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
22	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,28	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
23	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,37	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
24	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,35	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
25	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,40	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
26	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,39	14/14	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
27	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,20	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
28	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,31	15/15	ვერცხლი	ისლამბოლი	1203/1788-1789	ახჩა
29	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,38	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
30	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,39	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
31	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,40	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
32	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,36	14/14	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
33	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,39	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
34	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,24	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
35	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,20	14/14	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
36	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,34	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
37	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,25	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა

38	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,42	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
39	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,31	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
40	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,30	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
41	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,36	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
42	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,42	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
43	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,30	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
44	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,16	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
45	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,15	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
46	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,15	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
47	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,20	13/13	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
48	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,14	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
49	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,27	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
50	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,23	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
51	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,37	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
52	სელიმ III (1788-1807)	0,18	14/14	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1223/1798-1799	ახჩა
53	სელიმ III (1788-1807)	0,17	14/14	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1212/1797-1798	ახჩა
54	მუსტაფა IV (1807-1809)	0,09	14/14	ბილონი	კონსტანტინოპოლი	1222/1807-1808	ფარა
55	მაჰმუდ II (1808-1840)	0,16	13/13	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1223/1808-1809	ახჩა

56	მაჰმუდ II (1808-1840)	0,15	12/12	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1223/1808-1809	ახჩა
57	მაჰმუდ II (1808-1840)	0,33	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1243/1827-1828	ახჩა
58	აბდულ მეჯიდი (1840-1860)	0,30	15/15	ვერცხლი	ისლამბოლი	1271/1854-1855	ახჩა
59	აჰმედ II (1690-1695)	0,59	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1103/1691-92	ახჩა
60	მუსტაფა II (1694-1703)	0,39	14/14	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1110/1698-1699	ახჩა
61	აჰმედ III 1703-1730	0,35	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1115/1703-04	ახჩა
62	აჰმედ III 1703-1730	0,18	13/13	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1115/1703-04	ახჩა
63	მაჰმუდ I (1730-1754	0,27	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1143/1730-1731	ახჩა
64	მაჰმუდ I (1730-1754	0,40	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1143/1730-1731	ახჩა
65	მაჰმუდ I (1730-1754	0,44	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1143/1730-1731	ახჩა
66	მაჰმუდ I (1730-1754	0,42	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1143/1730-1731	ახჩა
67	მუსტაფა III (1757-1773)	0,35	15/15	ვერცხლი	ისლამბოლი	1171/1757-1758	ახჩა
68	მუსტაფა III (1757-1773)	0,24	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-1774	ახჩა
69	მუსტაფა III (1757-1773)	0,30	14/14	ვერცხლი	??	1171/1757-58	ახჩა
70	მუსტაფა III (1757-1773)	0,30	15/15	ვერცხლი	მისრი	1171/1757-58	ახჩა
71	მუსტაფა III (1757-1773)	0,24	14/14	ვერცხლი	მისრი	1171/1757-58	ახჩა
72	მუსტაფა III (1757-1773)	0,39	15/15	ვერცხლი	მისრი	1171/1757-58	ახჩა
73	მუსტაფა III (1757-1773)	0,33	15/15	ვერცხლი	მისრი	1171/1757-58	ახჩა
74	მუსტაფა III (1757-1773)	0,30	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
75	მუსტაფა III (1757-1773)	0,26	14/14	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
76	მუსტაფა III (1757-1773)	0,38	15/15	ვერცხლი	ისლამბოლი	1171/1757-1758	ახჩა
77	მუსტაფა III (1757-1773)	0,36	14/14	ვერცხლი	ისლამბოლი	1171/1757-1758	ახჩა
78	მუსტაფა III (1757-1773)	0,32	15/15	ვერცხლი	მისრი	1171/1757-58	ახჩა
79	მუსტაფა III (1757-1773)	0,11	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა

80	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,28	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
81	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,37	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
82	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,35	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
83	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,40	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
84	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,39	14/14	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
85	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,20	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
86	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,31	15/15	ვერცხლი	ისლამბოლი	1203/1788-1789	ახჩა
87	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,38	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
88	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,39	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
89	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,40	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
90	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,36	14/14	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
91	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,39	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
92	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,24	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
93	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,20	14/14	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
94	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,34	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
95	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,25	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა

96	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,42	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
97	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,31	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
98	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,30	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
99	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,36	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
100	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,42	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
101	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,30	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
102	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,16	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
103	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,15	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
104	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,15	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
105	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,20	13/13	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
106	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,14	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
107	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,27	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
108	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,23	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1187/1773-74	ახჩა
109	აბდულ ჰამიდ I (1773-1788)	0,37	15/15	ვერცხლი	მისრი	1187/1773-74	ახჩა
110	სელიმ III (1788-1807)	0,18	14/14	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1223/1798-1799	ახჩა
111	სელიმ III (1788-1807)	0,17	14/14	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1212/1797-1798	ახჩა
112	მუსტაფა IV (1807-1809)	0,09	14/14	ბილონი	კონსტანტინოპოლი	1222/1807-1808	ახჩა

113	მაჰმუდ II (1808-1840)	0,16	13/13	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1223/1808-1809	ახჩა
114	მაჰმუდ II (1808-1840)	0,15	12/12	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1223/1808-1809	ახჩა
115	მაჰმუდ II (1808-1840)	0,33	15/15	ვერცხლი	კონსტანტინოპოლი	1243/1827-1828	ახჩა
116	აბდულ მეჯიდი (1840-1860)	0,30	15/15	ვერცხლი	ისლამბოლი	1271/1854-1855	ახჩა

როგორც მონეტების განსაზღვრამ აჩვენა, სულთნების ზეობა და სამონეტო ემისიის ქრონოლოგია გვაძლევს მიმოქცევის 150-წლიან დიაპაზონს. იწყება სულთან აჰმედ II-ის (1690-1695 წწ.) ფულებით და მთავრდება აბდულ მეჯიდის (1840-1860 წწ.) მონეტებით. ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ქისაში მოთავსებული, ერთად ასხმული ოსმალური ფული ეკონომიკური ინფორმაციის მატარებელია და შეგვიძლია დაბეჯითებით დავასკვნათ, რომ XVII-XVIII საუკუნეებში როგორც დასავლეთ საქართველოში, ისე მის უკიდურეს მთიანეთში, სვანეთში, თურქული გავლენა მძლავრობს და გადახდის კანონიერ საშუალებას თურქული ფული წარმოადგენს.[9] ამის საფუძველს გვაძლევს ის დიდი ოდენობა ოსმალური ახჩებისა, რომლებიც გვხვდება უშგულსა და მესტიაში. საქართველოში ოსმალური საფასეების შესწავლა მერი ანთაძე-ჩადუნელის სახელს უკავშირდება.[10] ჩვენს ქვეყანაში თურქული მონეტების აღმოჩენის უამრავი შემთხვევაა დაფიქსირებული, მაგრამ გასაოცარია, რომ მონეტების გავრცელების ტოპოგრაფიაში სვანეთი დაფიქსირებული არ არის იმ დროს, როდესაც არა მარტო უშგულის, არამედ მესტიის მუზეუმის ნუმიზმატიკური განძების 70 %-ს თურქული მონეტები წარმოადგენს. უფრო მეტიც, უშგულში დაცული ზოგიერთი ნომინალი არ გვხვდება ისეთ დიდ საცავში, როგორსაც ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური ფონდი წარმოადგენს.

ქისაში იყო თურქული ფულის ცალკეულ ეგზემპლარებიც, რომელთა შეწირვა, სავარაუდოდ, სათითაოდ, ეტაპობრივად ხდებოდა. მათში შერეულია 1961 წლის საბჭოთა კავშირის 1-კაპიკიანი, ჟეტონები, რომლებიც, ასევე XX

[9] მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, გვ. 68.
[10] მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით.

საუკუნით თარიღდება. როგორც ცნობილია, ამა თუ იმ განძის დათარიღება მასში შემავალი ყველაზე ადრინდელი და ყველაზე გვიან მოჭრილი მონეტით ხდება, მაგრამ ვინაიდან ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს შეწირულ განძთან, ვფიქრობთ, ამ უნიკალური კომპლექსის დათარიღება ორგვარად უნდა მოხდეს. პირველი ნაწილი, რომელიც აშკარად ეკონომიკური ინფორმაციის მომცემია, XVII-XIX საუკუნეებით თარიღდება, ხოლო განძის მეორე ნაწილი – XX საუკუნით, 100-წლოვანი ქრონოლოგიური წყვეტა ამ განძის საკულტო ხასიათზე მიანიშნებს. თუ მეცნიერებაში დამკვიდრებული დათარიღების მეთოდით ვიხელმძღვანელებთ, მთლიანი ქისის კომპლექსი XVII-XX საუკუნეებისაა.

უშგულის ციხე-სახლში მივაკვლიეთ ყვარყვარე ათაბაგის (1451-1498 წწ.) მონეტას (**ტაბულა II, სურათი 3**).

მისი აღწერილობა ასეთია:

ვერცხლი. წ. 0,77გრ; ზ. 18/13მმ.

ავერსი: ხაზოვან ოთხკუთხედში ორსტრიქონიანი ზედწერილი მხედრული ასოებით – ყრ/ყრ (ზედწერილი შესრულებულია შებრუნებულად), „ყვარ-ყვარე“.

რევერსი: თევზის სქემატური გამოსახულება. გამოსახულების ზემოთ და ქვემოთ რვაქიმიანი ვარსკვლავი.

მონეტა ორგანაა გახვრეტილი.

მონეტა ჩაჟაშის მაცხოვრის ეკლესიიდან იქნა გადმოტანილი. ერთი ეგზემპლარით ძნელია დავასკვნათ, რომ სამცხის ათაბაგის მიერ მოჭრილი ფული დიდი ინტენსივობით მიმოიქცეოდა სვანეთში. ვინაიდან ის გახვრეტილია, შეიძლება ვიფიქროთ, რომ როგორც, სამკაული ისე შესწირეს ეკლესიას. გასათვალისწინებელია სვანური ყოფისათვის დამახასიათებელი ერთი საინტერესო ტრადიციაც – სხვადასხვა კუთხის მომლოცველების მიერ სვანეთის სალოცავებისადმი გაცემული შეწირულობა. საქართველოს ყველა რეგიონიდან მოდიოდნენ სვანეთში მეფეები, დიდებულები, რომლებიც საუკეთესო საგანძურს არ იშურებდნენ ისეთი უძლიერესი სალოცავებისათვის, როგორებიცაა ლამარიას ღვთისმშობლის ეკლესია, ჩაჟაშის მაცხოვრის ეკლესია და ა.შ. შესაძლოა, მომლოცველებს მოჰყვებოდათ თან ფული, რომელსაც ძვირფას ხატებსა და ვერცხლის ჭურჭელთან ერთად სწირავდნენ. შეგვიძლია დავუშვათ, რომ ასეთი სახის შეწირულობას წარმოადგენს უშგულის ციხე-სახლში მიკვლეული ყვარყვარე ათაბაგის (1451-1498 წწ.) მონეტა. მაგრამ დაბეჯითებით მტკიცება მოსაზრებისა, რომ ამ მონეტას მხოლოდ საკულტო ფუნქცია აქვს,

ვფიქრობთ, მართებული არ უნდა იყოს, მით უმეტეს იმ დროს, როდესაც მესტიის მუზეუმში დაცულია განძი, რომელშიც კირმანეულ თეთრთან ერთად არის სამცხის ათაბაგების მონეტაც (ამ განძს ჩვენ ქვემოთ შევეხებით). ყვარყვარე ათაბაგის მონეტების მრავალი ვარიანტია ცნობილი, რაც მოწმობს იმას, რომ ახალციხის ზარაფხანა საკმაოდ დიდ პროდუქციას უშვებს[11] და მიმოქცევის არეალიც[12] არა მარტო სამხრეთ, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოსაც მოიცავს. აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი სვანეთში ამ მონეტების მოხვედრაც.

როდესაც სვანეთის საკულტო დანიშნულების ნუმიზმატიკურ მასალაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა განვიხილოთ ასევე ჩაჟაშის მაცხოვრის ეკლესიიდან გადმოტანილი ალექსანდრე მაკედონელი სტატერის მინაბაძი[13] **(ტაბულა II, სურათი 3).**

აღწერილობა:

ავერსი: მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავის გაუხეშებული, სქემატური გამოსახულება. გამოსახულების წინ ოთხი, ხოლო უკან ერთი რელიეფური წერტილი.

რევერსი: ფრთოსანი არსება პირდაპირ (გამარჯვების ქალღმერთი ნიკეს გამოსახულების სქემატური ასლი), გამოსახულების ორივე მხარეს თითო წყვილი რელიეფური წერტილი.

მონეტა ორ ადგილზეა გახვრეტილი.

ალექსანდრე მაკედონელის სხვა მინაბაძი გახვრეტილი არ არის. როგორც ჩანს, ის აღმომჩენმა (მპოვნელმა) გახვრიტა და როგორც ძვირფასი სამკაული, ისე შესწირა სალოცავს. ამ რეგიონში მინაბაძების აღმოჩენის უამრავი შემთხვევა გვაქვს, რაც გვაძლევს იმის უფლებას, კიდევ ერთხელ დასაბუთებულად ვთქვათ, რომ სვანეთისთვის ამ მონეტების მიმოქცევა უცხო არაა და უფრო მეტიც, ეს რეგიონი მინაბაძების გავრცელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არეალია.

სალოცავებისთვის ფულის შეწირვის ტრადიცია საქართველოს სხვა კუთხეებისთვისაც იყო დამახასიათებელი, განსაკუთრებით ეს მთიან რეგიონებს ეხება. მაგალითისთვის გვინდა მოვიყვანოთ აღმოსავლეთ საქართვე-

[11] ც. ღვაბერიძე. ახალციხის ზარაფხანა (XIV-XVI სს.), გვ. 226; გ. დუნდუა, თ. დუნდუა. XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა ემისიები. თბ. 2011, გვ. 10.

[12] ც. ღვაბერიძე. ახალციხის ზარაფხანა (XIV- XVI სს.).

[13] მ. პატარიძე. სვანეთში აღმოჩენილი ანტიკური ხანის მონეტები, გვ. 28.

ლოს მთიანეთში, კერძოდ თუშეთში, შენაქოში აღმოჩენილი მონეტა.[14]

1975 წელს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა პირველად მოაწყო დაზვერვით-არქეოლოგიური ექსპედიცია მთა-თუშეთში (ხელძღვანელი რუსუდან დოლაბერიძე) – შენაქოში, ნიშტაყოს ბორცვზე, კორდოვანი ფენის აღების დროს ვერცხლის მონეტა აღმოჩნდა, რომელიც, ექსპედიციის ხელმძღვანელის გადმოცემით, რეზო ქებულაძემ განსაზღვრა და დაადგინა, რომ იყო ბაგრატ IV-ის მონეტა ნოველისიმოსის ტიტულით.[15]

მონეტის აღმოჩენის ადგილი სალოცავია, ეგრედ წოდებული „ხატი“. როგორც ცნობილია, ნიშტაყოს ბორცვი ძვ.წ. II-I საუკუნიდან XII საუკუნემდე საკულტო-სარიტუალო სალოცავს წარმოადგენდა.[16] ბიზანტიურტიტულებიანი ქართული მონეტების აღმოჩენის ადგილი, როგორც წესი, დასავლეთ საქართველოა: აფხაზეთი, სვანეთი, ვანი (ციხესულორი).[17] ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან ამ მონეტის ტიპი ბიზანტიურია და X-XI საუკუნეებში ქართველი მეფეები, რომლებსაც აქტიური ურთიერთობა ჰქონდათ ბიზანტიის იმპერიასთან, რეალურად მხოლოდ დასავლეთ საქართველოს განაგებდნენ. აღმოსავლეთ საქართველოს ფულად მიმოქცევაში წამყვანი ადგილი აღმოსავლურ მონეტებს და ჯაფარიანთა არაბული დინასტიის მიერ თბილისში მოჭრილ ფულს ეჭირა. ყოველივე ამ ფაქტის გათვალისწინებით შეუძლებელია ამ ერთმა ეგზემპლარმა ბიზანტიურტიტულებიანი ქართული მონეტების გავრცელების ტოპოგრაფიაში რამე კორექტივი შეიტანოს. აქ საქმე გვაქვს მხოლოდ სარიტუალო დანიშნულების მონეტასთან. საგულისხმოა, რომ შუა საუკუნეებში გავრცელებული იყო წმინდანისგამოსახულებიანი მონეტების ამულეტებად გამოყენების ტრადიცია.[18] აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ ბაგრატ IV ნოველისიმოსის მონეტას მასზე არსებული ვლაქერნის ღვთის-

[14] მ. პატარიძე. ბაგრატ IV ნოველისიმოსის მონეტა სოფელ შენაქოდან. საისტორიო კრებული. 1. თბ. 2011, გვ. 283.

[15] მ. პატარიძე. ბაგრატ IV ნოველისიმოსის მონეტა სოფელ შენაქოდან, გვ. 284.

[16] რ. დოლაბერიძე. თუშეთის ფიბულები. სსმმ. 45. თბ. 2003-2004, გვ. 200.

[17] ღ. ქებულაძე. დავით აღმაშენებლის ბიზანტიურტიტულიანი ვერცხლის მონეტები. სსმმ. XXXIX-B. თბ. 1987, გვ. 45; Е. А. Пахомов. Монеты Грузии.Тб. 1970, გვ. 51-74; დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 1969, გვ. 61-68; Р. В. Кебуладзе. Клад из села Цихесулори, გვ. 98-109; ვ. სილოგავა. სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა. თბ. 2006, გვ. 223-252; თ. დუნდუა. X-XII სს. ქართული მონეტები და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი. თბილისის უნივერსიტეტის შრომები. თბ. 1992, გვ. 310.

[18] В. М. Потин. Введение в нумизматику, გვ. 121.

მშობლის გამოსახულების გამო ამულეტის დანიშნულება ჰქონდა.[19]

ბიზანტიურტიტულებიანი ქართული მონეტები, საქართველოში ძალზედ მცირე რაოდენობით შემოგვრჩა.[20] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გავრცელების არეალში შედის სვანეთი. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია ზემო სვანეთიდან, კერძოდ, კალას თემიდან კვირიკესა და ივლიტას ეკლესიის საგანძურიდან შემოსული დავით აღმაშენებლის ვერცხლის მონეტა, რომელიც 1949 წელს გიორგი ჩუბინაშვილის ექსპედიციამ ჩამოიტანა.[21] დავით აღმაშენებლის ვერცხლის მონეტის ერთი ეგზემპლარი მესტიის მუზეუმშია დაცული. როდესაც მესტიის მუზეუმში დაცულ მონეტებზე ვმუშაობდით, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ბიზანტიურტიტულებიანი ქართული მონეტის ფრაგმენტმა, რომელიც კვირიკე და ივლიტას ეკლესიიდან არის გადმოტანილი. ვითვალისწინებთ რა ამ ტიპის მონეტების მცირერიცხოვნებას, გადავწყვიტეთ გამოვაქვეყნოთ (**ტაბულა II, სურათი 5**).

ვერცხლი. წ. 0.36 ზ. 25/13

ავერსი: ვლაქერნის ღვთისმშობლის გამოსახულების ნაწილი, ჩანს მხოლოდ ნაკეცებიანი სამოსი გულზე ვარდულით, კისერი და შარავანდედის ფრაგმენტი.

რევერსი: მონეტის კიდეზე ოდესღაც არსებული წარწერების ნაშთები, რომელთა ამოკითხვა შეუძლებელია, ხოლო ცენტრში ასომთავრული წარწერა „და სევასტოსი."

მონეტის ატრიბუცია ძნელდება შემდეგი გარემოებების გამო. ირგვლივი წარწერა, სადაც, როგორც წესი, განთავსებულია მეფის სახელის ინიციალი, არ იკითხება. ვლაქერნის ღვთისმშობლის იკონოგრაფიით შეუძლებელია ამ მონეტის განსაზღვრა. „სევასტოსის" ტიტულით ამ პერიოდში ორი მეფეა ცნობილი, გიორგი II და დავით IV აღმაშენებელი. გვაქვს თანაბარი საფუძველი, ვივარაუდოთ ორივე მონარქი. მონეტის დაცულობა არ იძლევა საშუალებას, დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომელ მეფეს მიეკუთვნება ეს საფასე. ჩვენთვის საყურადღებოა ამ მონეტის ფრაგმენტის აღმოჩენის ადგილი – კვირიკეს და ივლიტას ეკლესიის საგანძური. ფრაგმენტიც გახვრეტილია და მასაც სა-

[19] მ. პატარიძე. ბაგრატ IV ნოველისიმოსის მონეტა სოფელ შენაქოდან, გვ. 284.

[20] მ. პატარიძე. ბაგრატ IV ნოველისიმოსის მონეტა სოფელ შენაქოდან, გვ. 283.

[21] მ. პატარიძე. დავით აღმაშენებლის ვერცხლის მონეტა მესტიის მუზეუმიდან. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. II (47-B). თბ. 2011, გვ. 277.

რიტუალო კონტექსტი აქვს.

კვირიკეს და ივლიტას სახელობის (ლაგურკის) აშენების ზუსტი თარიღი უცნობია, მაგრამ ეკლესიის მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ თევდორეს და 1112 წელსაა შესრულებული. ამის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ტაძრის დასავლეთ კედელზე არსებული ასომთავრული წარწერა.[22] ამ დროისთვის მეფე კვლავ დავით აღმაშენებელია. ცნობილია, რომ 1103 წლიდან ის ყოველგვარ ბიზანტიურ ტიტულზე უარს ამბობს და ამ ტიპის მონეტებს აღარ ჭრის, მაგრამ აღნიშნული ტიპის მონეტები ამ პერიოდისათვის მიმოქცევაში კვლავ რჩება. ჩვენი აზრით, ეს მონეტები მიმოქცევის თანადროულად მოხვდნენ სალოცავში. აქედან გამომდინარე, ხომ არ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს დავით აღმაშენებლის საფასის ფრაგმენტია? ვფიქრობთ, ამ მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება, თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენი საკვლევი თემა, ამ მონეტების ატრიბუციის გარდა, მისი ხასიათი და წარმომავლობაა. ამ თვალსაზრისით კი, კონკრეტული მონეტის ამა თუ იმ მეფისადმი კუთვნილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭება.

ბიზანტიურტიტულებიანი ქართული მონეტები, სავარაუდოდ, უფრო რეგალიურ, პროკლამაციურ ხასიათს ატარებდა. მათი ემისიის სიხშირე დამოკიდებული იყო ქართველი მეფეების მიერ ბიზანტიურ საკარისკაცო წოდებების: სევასტოსის, კესაროსის, ნოველისიმოსის მიღებაზე. ამიტომაც ამ ტიპის მონეტები მცირე რაოდენობით იჭრებოდა, გარდა ამისა, მონეტების წონა და ფაქტურაც არ იძლეოდა მათი დაგროვების და დიდხანს ბრუნვის საშუალებას. სწორედ ეს უნდა იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ბიზანტიურტიტულებიანი ქართული მონეტები დღემდე საკმაოდ მცირე რაოდენობით შემოგვრჩა. სვანეთის უძლიერეს სალოცავში შემონახულ ამ ტიპის მონეტებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ნუმიზმატიკის კვლევის საქმეში.

სვანეთის ნუმიზმატიკურ განძებში მრავლად არის აგრეთვე წმინდა ეკონომიკური განძები, რომელთა საფუძვლიან კვლევას შემდგომში ვგეგმავთ, ამ ეტაპზე სვანეთის ეკონომიკური განძების საჩვენებლად შევარჩიეთ სამი განძი, რომელთაც შემადგენლობის მიხედვით პირობითად „კირმანეული თეთრის სამი სვანური განძი“ ვუწოდეთ.[23]

[22] რ. ყენია, ნ. ალადაშვილი. ზემო სვანეთი (შუა საუკუნეების ხელოვნება. გზამკვლევი). თბ. 2000, გვ. 46.

[23] „კირმანეული თეთრი“ – დასავლეთ საქართველოში, XIII-XVII საუკუნეებში გავრცელებული ტრაპიზონული ასპრების ქართული მიმბაძველობაა.

განძების შემადგენლობა ასეთია:

I განძი

განძში მხოლოდ კირმანეული თეთრია. შედგება 25 მონეტისგან, აქედან 1 ცალი ტრაპიზონის იმპერატორის, მანუელ I-ის (1238-1263 წწ.), მონეტების მიმბაძველობაა. დანარჩენი იოანე II-ის (1280-1297 წწ.) მონეტების მიხედვითაა მოჭრილი. 7 ეგზემპლარი, თამარ აბრამიშვილის კლასიფიკაციის მიხედვით, იოანე II-ის ასპრების II ტიპია, რომლისთვისაც დამახასიათებელია იმპერატორის გამოსახულება სამრკალიანი გვირგვინით. დანარჩენი 17 ცალი იოანე II-ის ასპრების მინაბაძის I ტიპია. განძი თარიღდება XIII-XV საუკუნეებით.

II განძი

შედგება 25 მონეტისაგან, აქედან 16 ეგზემპლარი კირმანეული თეთრია, 1 ცალი სამცხის საათაბაგოს მონეტაა, XV-XVI საუკუნე; 1 ცალი მონღოლური შეიხ ოვეისი ჯელაირი, XIV საუკუნე (1356-1374); 1 ც. – XVI საუკუნის დაკნინებული ქართული, ზუსტი ატრიბუცია ძნელდება ცუდი დაცულობის გამო; 6 ც. – აღმოსავლური გაურკვეველი. განძი თარიღდება XIV-XVI საუკუნეებით.

III განძი

შედგება 17 მონეტისაგან, აქედან 7 ეგზემპლარი კირმანეული თეთრია, რომელშიც 1 ც. ტრაპიზონის იმპერატორის მანუელ I-ის (1238-1263 წწ.) მონეტების მიმბაძველობაა; 2 ც. – იოანე II-ის (1280-1297 წწ.) დანარჩენ კირმანეულებზე იმპერატორების სახელები არ განირჩევა, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კირმანეული თეთრის ერთი ეგზემპლარი, რომელიც მეცნიერებაში კირმანეულის ახალი სახითაა ცნობილი. მსგავსი მონეტები სულ 10 ცალად იყო ცნობილი სვანეთის ამ განძის შესწავლამდე.[24]

1 მონეტა გიორგი VII-ს (1386/87-1407 წწ.) ეკუთვნის.[25] ერთი ეგზემპლარი აჰმედ ჯელაირის და გიორგი VII-ის მონეტაა XIV ს-ის 80-იანი წლების ბოლო, XVს-ის I ნახევარი.[26] დანარჩენი მონეტები თურქული ახჩე-

[24] თ. აბრამიშვილი. ახალი სახე კირმანეულისა. სსმმ. XVI-B. თბ. 1950, გვ. 137.

[25] თ. ლომოური. ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში, გვ. 137; გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 29,

[26] თ. ლომოური. ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში, გვ. 139; გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 30.

ბია, რომლებიც მოგვიანო პერიოდს, XVIII-XIX საუკუნეებს, მიეკუთვნება. განძის წარმომავლობის შესახებ ცნობები, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება, მაგრამ მისი შემადგენლობა გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ის საეკლესიო წარმომავლობისაა, მაგრამ, ამავდროულად, ეკონომიკური ინფორმაციის მატარებელიც. აქედან გამომდინარე, განძის დათარიღებისას ვფიქრობთ, უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან ორი ასპექტი. პირველი ნაწილი, რომელიც ეკონომიკურ სურათს გვაძლევს, XIII-XV საუკუნეებით თარიღდება, მაგრამ იგივე განძი, როგორც შეწირულობა, XIII-XIX საუკუნეებისაა.

წინა ორი განძი ცნობილია, რომ ზემო სვანეთშია აღმოჩენილი და მესტიის მუზეუმში მუშაობისას ცალკე ჯგუფებად შემოსული დაგვხვდა. თითოეული ამ განძის ქრონოლოგიური დიაპაზონი და შემადგენლობა გვაძლევს სრულ საფუძველს ვიფიქროთ, რომ ისინი ეკონომიკური ხასიათის, „მიმოქცევის განძებია“ და საკმაოდ ინფორმატიულია მეცნიერებისთვის. კერძოდ, ამ განძების მონაცემებით ფართოვდება კირმანეული თეთრის გავრცელების არეალი. კირმანეული თეთრის ცირკულაციის დღემდე არსებულ ტოპოგრაფიულ რუკაზე[27] სვანეთი დატანილი არ არის. გარდა ამისა, აღნიშნულ რეგიონში ამ მონეტების ბრუნვამ, შესაძლოა, გავლენა იქონიოს ემიტენტის გარკვევაზე. კირმანეული თეთრის სვანური განძები მნიშვნელოვანი მონაპოვარია აგრეთვე ამ ტიპის მონეტების მიმოქცევის ქრონოლოგიის დასადგენადაც. II განძი სრულ საფუძველს გვაძლევს კირმანეული თეთრის მიმოქცევაში ყოფნის ზედა საზღვარი XVI საუკუნემდე გადავწიოთ.

სვანეთის ნუმიზმატიკური განძების კლასიფიკაციამ ცხადად აჩვენა მათი ფუნქციონალური მრავალფეროვნება, ამავდროულად, ამ განძების თავისებურებაც, რომელიც მდგომარეობს შემდეგში – სვანეთის მონეტების საკულტო-საეკლესიო წარმომავლობის მიუხედავად, ეს ის ფულია, რომელიც აქტიურად იბრუნვის და ორგანულია ამ რეგიონისათვის. ამიტომაც ისინი მაინც ეკონომიკური ინფორმაციის მატარებლები არიან და უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენენ ამ რეგიონის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობის და სავაჭრო კავშირების ისტორიის შესასწავლად.

[27] თ. აბრამიშვილი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ტრაპიზონის ასპრების და დასავლურქართული ფულის (კირმანეულის) კატალოგი, გვ. 108-113; თ. აბრამიშვილი. XIII-XIV სს. დასავლურ-ქართული (კირმანეული), გვ. 112-113; К. В. Голенко. Клад монет из села Тобаниери, გვ. 169-17.

შემოკლებები:

სმამ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე
სსმმ – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე
ВВ – Византийский временник
НЭ – Нумизматика и эриграфика

ტაბულა I

სურ. 1

სურ. 2

ტაბულა II

სურ. 3

სურ. 4



სურ. 5

Maia Pataridze

SPECIFIC CHARACTER OF COIN HOARDS FROM SVANETI (WESTERN GEORGIAN HIGHLANDS)

Summary

Numismatic material from Svaneti demonstrates a specific characteristic: great majority of recovered coins were deposited in temples as votive hoards. Throughout the centuries coins circulating on the territory of Georgia had been amassed in these hoards. From the ancient times, the Svans would traditionally dedicate coins to various temples and shrines seeking from heavenly powers the happiness, abundance of wealth and good health for their families. The votive hoards can be divided into two main types: a) the so-called "currency hoards" that reflect immediate currency situation in country for the moment of donation; b) the so-called "church donation hoards" that had accumulated together coins and occasionally precious and semi-precious stones over long periods of time. The classification of Svaneti coin hoards has clearly demonstrated both their functional variety and specific peculiarity due to their provenance. Despite the cultic-temple character of the Svaneti coins, they once circulated as currency and were organic to the region and its economic dynamics. It can be assumed that the Svaneti coin hoards bear meaningful economic information and serve as a valuable source for reconstruction of the political-economic development of the region and its trading connections.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VIII
თბილისი. 2013-2014

ხათუნა ბაინდურაშვილი

შეიხ სანანისა და დავით გარეჯელის იდენტობისათვის

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აღმოსავლურ საცავში დაცულია ხელნაწერი P-174. ეს არის მაჯდ-ოს-სალტანეს „ქალაქ თბილისის აღწერა". წიგნზე არსებული მინაწერის თანახმად, იგი 1894 წლის 3 დეკემბერს (ჰიჯრ. 1312 წელი) მაჯდ-ოს-სალტანეს ბრძანებით ვინმე სეიფულ-ლაჰს გადაუწერია. ტექსტი 1971 წელს თარგმანითა და კომენტარებით გამოსცა მაია მამაცაშვილმა.

მაჯდ-ოს-სალტანეს „თბილისის აღწერა" წარმოადგენს ახალი სპარსული სალიტერატურო ენის ნიმუშს. ხელნაწერი გადაწერილია მაღალი ხარისხის ევროპულ ქაღალდზე მომსხვილო კალიგრაფიული ნასთალიყით. ტექსტი ჩასმულია ორი წითელი ხაზისაგან შემდგარ ჩარჩოში. ყდა ევროპულია, მუყაოსი. ხელნაწერის პირველი და მეორე გვერდი რამდენადმე დაზიანებულია. წიგნს არ აქვს შესავალი. საინტერესოა ისიც, რომ იგი ბისმალიით არ იწყება. წიგნი დაწერილია მარტივი ენით და თავისუფლად იკითხება. ავტორი ხშირად იყენებს ფრანგულიდან და რუსულიდან შემოტანილ ტერმინებს. ავტორს შენიშვნები სტრიქონების ქვეშ ჩამოაქვს, რომლებიც უფრო წვრილი ასოებითაა დაწერილი, ვიდრე ძირითადი ტექსტი. ერთი სიტყვით, ავტორი თავის ნაშრომს გარეგნულად ევროპულ იერს აძლევს.[1]

გენერალი მაჯდ-ოს-სალტანე „აღწერაში" გვაძლევს XIX საუკუნის ბოლო წლების თბილისის დეტალურ აღწერას.

მაჯდ-ოს-სალტანეს საინტერესო ცნობა აქვს დაცული თბილისში ერთერთი მთის კალთაზე შეიხ სანანის აკლდამის არსებობის შესახებ. მ. მამაცაშვილი წერს, რომ მთა, რომელსაც მაჯდ-ოს სალტანე ასახელებს, არის

[1] მაჯდ-ოს-სალტანე. ქალაქ თბილისის აღწერა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმანი და კომენტარები დაურთო მაია მამაცაშვილმა. თბ. 1971, გვ. 11.

მთაწმინდა და აღნიშნავს, რომ „შეიხ-სენანი – იგივე მამა დავითია, მუსლიმანთა გადმოცემით შეიხ-სენანს შეუყვარდა ქართველი ქალი, მიიღო ქრისტიანობა და გახდა მღვდელმსახური – მამა დავით გარეჯელი.“[2]

მამა დავით გარეჯელზე არსებული ლეგენდა, რომლის მიხედვითაც VI ს-ის პირველ მესამედში თბილისის მთაწმინდის კლდის გამოქვაბულში მოღვაწეობდა მამა დავითი. იგი ყოველ ხუთშაბათს დღევანდელი ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში, სადაც იმ დროს დედათა მონასტერი არსებობდა, ქრისტიანობის განმტკიცებისათვის ქადაგებდა. მის რელიგიურ მოღვაწეობას დაუპირისპირდნენ მოგვები, რომლებმაც ერთ-ერთი ფეხმძიმე მონაზონი დაითანხმეს, რათა ბავშვის მამად სახალხოდ მამა დავითი დაესახელებინა. ასეც მოხდა, თუმცა, ლეგენდის თანახმად, ბავშვმა დავითის მოთხოვნით დედის მუცლიდან დაასახელა მამამისის ვინაობა. ამ ბრალდების გამო ხალხმა ქალი ჩაქოლა და „გვამი დედა-კაცისა ქვათაშუა დატოვეს. აქედან წარმოსდგა სახელწოდება ქვაშუეთი, ანუ ქვაშვეთი“. არსებობს ლეგენდის სხვა ვერსიაც: თითქოს ხალხი დამორჩილებოდეს მამა დავითის მუდარას და ქალისათვის სიცოცხლე ეჩუქებინოს, მაგრამ მამა დავითის წყევის თანახმად, ქალმა ქვა შვა ბავშვის მაგიერ.[3]

XXI საუკუნის დასაწყისში ლეგენდა დავით გარეჯელის შესახებ რამდენჯერმე მოხვდა სამეცნიერო კვლევის სფეროში.[4]

---

[2] მაჯდ-ოს-სალტანე. ქალაქ თბილისის აღწერა, გვ. 52.

[3] კალისტრატე ცინცაძე. ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია თფილისში. გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვა და საძიებელი დაურთო მ. ქავთარიამ. ქართული ეკლესიის ისტორია. მასალები და გამოკვლევები. 2. თბ. 1994, გვ. 9-10, 118; გ. საბინინი. საქართველოს სამოთხე. სრული აღწერაი ღუაწლთა და ვნებათა საქართუ8ლოს წმიდათა. პეტერბურგი. 1882. გვ. 268-269; Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссіею (АКАК). Тифлис. 1873. т. V, გვ. 1039-1040.

[4] მ. ჩხარტიშვილი. დავითგარეჯის ქვაბოვანი მონასტრის ისტორიის ჰაგიოგრაფიული წყაროები. Analecta Iberica (ისტორიის, რელიგიისა და კულტურის საკითხები). I. თბ. 2001, გვ. 140; ნ. ღამბაშიძე. წმ. დავით გარეჯელთან დაკავშირებული დღესასწაულები, „საქართველოს სიძველენი“. თბ. 2003. №4-5, გვ. 46-50; ე. ბუბულაშვილი. საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები. თბ. 2007, გვ. 238-240; დ. მერკვილაძე. სატაძრო მშენებლობის დასაწყისი დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსში. ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები. IX. თბ. 2009, გვ. 70; ნ. პაპუაშვილი. სათნო გადმოცემა „მამა დავითი და შეცდენილი ქალი“, კრებ. „ასურელი მამები აღმოსავლურ და დასავლურ ტრადიციებში“. თბ. 2009, გვ. 98; დ. მერკვილაძე. მითი და ისტორია ხალხურ თქმუ-

შეიხ სანანისა და მამა დავით გარეჯელის იდენტობას ყურადღება მიაქცია მ. ალექსიძემ.[5] მის კრებულში შესულია ავტორის მიერ 2000-2008 წლებში დაწერილი ლიტერატურათმცოდნეობითი, წყაროთმცოდნეობითი და ისტორიული ხასიათის ნარკვევები. XIX საუკუნის თბილისში სპარსული კულტურის შესწავლისას ავტორი დეტალურად განიხილავს XVIII-XIX საუკუნეების სპარსელი ავტორების ცნობებს თბილისში შეიხ სანანის აკლდამის არსებობის შესახებ და აქვე საუბრობს სპარსულ, აზერბაიჯანულ და ქართულ პოეზიაში შეიხ სენანის ანარეკლის შესახებ. მეცნიერს მიაჩნია, რომ ლეგენდა შეიხ სანანის შესახებ ქართულ სინამდვილეში XVIII საუკუნეში უნდა გაჩენილიყო.[6]

დავით გარეჯელისა და შეიხ სანანის იდენტობის საკითხს შეეხო დ. მერკვილაძე ნაშრომში „წმ. მამა დავით გარეჯელი და მისი სავანეები". მკვლევარი სარგებლობს მხოლოდ მ. მამაცაშვილის მიერ გამოცემული მაჯდ-ოს სალტანეს ქალაქ თბილისის აღწერით, რომელშიც ვკითხულობთ: „ერთი მთის ძირას ეკლესიაა გაშენებული. იქვეა საფლავი ცნობილი შეიხ სენანისა. ეს საფლავი მუსლიმანთათვის და ქრისტიანთათვის ზიარების ადგილია. შეიხ სენანის საფლავს ახლაც პატივს სცემს ხალხი და წმინდა ადგილად რაცხს მას" (მ. მამაცაშვილის თარგმანი).[7] დ. მერკვილაძე სამართლიანად შენიშნავს, რომ, სამწუხაროდ, მ. მამაცაშვილი არ უთითებს წყაროს, რომელშიც თბილისელ მუსლიმთა შორის ამ გადმოცემის არსებობის თაობაზე იქნებოდა აღნიშვნა და დასძენს: „გარკვევით ისიც კი არ ჩანს, მაჯდ-ოს-სალტანე ამ შემთხვევაში ნამდვილად მთაწმინდას გულისხმობს, თუ არა. მით უფრო, რომ სინამდვილეში აქ ეკლესია შუაგულ მთის ფერდობზე, მცირე ბაქანზეა აგებული და არა მთის ძირას. ასეც რომ იყოს, ტექსტის მიხედვით მაინც ძნელია დანამდვილებით ითქვას, რომ ავტორი შეიხ-სენანის საფლავს ამ ეკლესიაში (ან ეკლესიასთან) უთითებს".[8] მ. მამაცაშვილის მიერ გამოცემული წიგნის წინასიტყვაობას მოსდევს ვლ. ფუთურიძის წერილი „მაჯდ-ოს-სალტანე და

ლებაში დავით გარეჯელის შესახებ. ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები. თბ. 2010; დ. მერკვილაძე. წმ. მამა დავით გარეჯელი და მისი სავანეები. თბ. 2012.

[5] მ. ალექსიძე. სპარსელები და სპარსული კულტურა XIX საუკუნის საქართველოში. თბ. 2009.

[6] მ. ალექსიძე. სპარსელები და სპარსული კულტურა XIX საუკუნის საქართველოში, გვ. 20-21.

[7] მაჯდ-ოს-სალტანე. ქალაქ თბილისის აღწერა, გვ. 40.

[8] დ. მერკვილაძე. წმ. მამა დავით გარეჯელი და მისი სავანეები, გვ. 14.

მისი შრომები, რომელშიც აღნიშნავს, „ჩანს XIX საუკუნის დამლევს ცოცხალი ყოფილა ისევ ლეგენდა, რომელიც შეიხ სანანის სახელს უკავშირებს მამა დავით გარეჯელს“.[9] სამწუხაროდ, წყაროს არც ვლ. ფუთურიძე ასახელებს.

ჩვენი სტატიის მიზანია კიდევ ერთხელ გავაანალიზოთ აღმოსავლურ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული თქმულება შეიხ სანანის შესახებ, საქართველოში მისი შემოსვლის დრო და გარემოება და ასევე წარმოვადგინოთ უკვე გამოცემული ტექსტის ჩვენთვის საინტერესო ადგილის შესწორებული თარგმანი.

VIII საუკუნეში ერაყისა და სირიის ტერიტორიაზე სუფიზმის წარმოშობა-გავრცელებასთან ერთად აღმოსავლურ ლიტერატურაში გაჩნდა თქმულება, რომელიც სწრაფად გავრცელდა მთელ აღმოსავლურ სამყაროსა და მათ შორის კავკასიაშიც. თქმულების თანახმად, სუფი შეიხს – სანანს, რომელიც ყველასათვის პატივსაცემი პიროვნება იყო და, მისი მრწამსიდან გამომდინარე, ოჯახის შექმნა და მიწიერი სიყვარული ეკრძალებოდა, ახალგაზრდა ქრისტიანი გოგო, ერთი გადმოცემის მიხედვით კი ქართველი გოგო, შეუყვარდა, რომლის გამოც თავს მრავალი განსაცდელი დაატყდა. ეს თქმულება არსებობს სპარსულ, არაბულ, აზერბაიჯანულ და ქურთულ ენებზე.

პირველად თქმულების ფოლკლორული ვარიანტი დაამუშავა და პოემა დაწერა XII საუკუნის ცნობილმა ირანელმა პოეტმა ათარიმ („ფრინველთა საუბარი“).[10] ათარის მიხედვით, ეს არის ისტორია შეიხისა, რომელიც დიდი ხნის წინ არაბეთში, მექაში ცხოვრობდა. მან თავის 400 მოწაფესთან – მიურიდთან ერთად ორმოცდაათი წელი გაატარა ღვთისმსახურებაში. ერთ ღამეს შეიხმა სიზმარში ნახა ლამაზი გოგონა. გამოღვიძებულს გულმა უთხრა, რომ რუმში წასულიყო. იგი მოწაფეებთან ერთან რუმში წავიდა. როცა ქალაქის შემოგარენს მიუახლოვდა, ტაძრის სარკმლიდან სიმღერის ხმა შემოესმა. შეიხმა სარკმელთან მზესავით ლამაზი ქრისტიანი გოგონა დაინახა და იგი ერთი დანახვით შეუყვარდა. შუა ხანს გადაცილებულმა შეიხმა სანანმა გოგონას ყველა სურვილი შეასრულა (ღვინო დალია, ხერყე გაიხადა, შემოირტყა წელზე – გაქრისტიანდა. გოგონამ ხან ღორები ამწყემსინა, ხან ძვირფასი ურვადი მოსთხოვა). მოწაფეებმა შეიხი ძლივს მოიყვანეს გონს. მან თავისი საქციელი შეინანა. კვლავ გამუსლიმდა, განწმენდის რიტუალი ჩაატარა, ხერ-

[9] მაჯდ-ოს-სალტანე. ქალაქ თბილისის აღწერა, გვ. 10.
[10] დ. კობიძე. სპარსული ლიტერატურის ისტორია. თბ. 1975, გვ. 242-280.

ყე ჩაიცვა და ჰიჯაზისაკენ წავიდა. გოგონას კი ღვთიური დარიგება მოევლინა. მან შეინანა საკუთარი საქციელი, დაედევნა შეიხს და ისლამი მიიღო, მაგრამ გოგონამ შეიხის ნახვით გამოწვეული მღელვარება ვერ გადაიტანა და მის ხელებში დალია სული.

შემდეგ შეიხ სანანის გამიჯნურების ამბავს თავიანთი პოემები მიუძღვნეს ასევე XIV საუკუნის ქურთმა პოეტმა ფაკი თეჰრანიმ („შეიხი სანანი“)[11] და XV საუკუნის ირანელმა პოეტმა ალიშერ ნავოიმ („ფრინველთა ენა“)[12].

XVIII საუკუნეში შეიხი სანანი კავკასიაში და, კერძოდ, თბილისში ძალზე პოპულარული ფიგურა იყო. აქ ჩამოყალიბდა შეიხის ისტორიის ლოკალური ვერსია, რომელშიც შეცვლილია არა მხოლოდ გეოგრაფიული არეალი (მოქმედება საქართველოში ხდება), არამედ ამბის ბოლოც: გაქრისტიანებული შეიხი მთაწმინდაზე, მამა დავითის ეკლესიის ეზოშია დაკრძალული. თბილისელ მუსლიმთა წარმოდგენაში შეიხი წმ. მამა დავით გარეჯელთან გაიგივდა. მთაწმინდაზე ქრისტიანებთან ერთად თბილისელი მუსლიმებიც დადიოდნენ, რადგან მუსლიმური ტრადიციით იქ შეიხ სანანის აკლდამა ეგულებოდათ. XIX ს. სპარსი მოგზაური ფარჰად მირზა წერს: „შეიხ სანანის საფლავი თბილისშია და ეკლესია ქალაქის სამხრეთით, მთის კალთაზე, მისი სახელით არის ცნობილი“.[13] უფრო ვრცლად ეხება ამ თემას ფარაჰანი. მისი თქმით, „ქალაქის შუაგულში, მთის სამხრეთ კალთაზე არის ეკლესია, სადაც გადმოცემით შეიხ სანანის საფლავია. ქართველებს შეიხ სანანი ძალიან სწამთ და ეს აკლდამა მათთვის სალოცავი ადგილია. წელიწადში ერთხელ ქალაქის და ახლო სოფლების მოსახლეობა ფგუფ-ჯგუფად მოდის შეიხის საფლავზე სალოცავად და თან შესაწირავიც მოაქვთ“.[14] ეს ეკლესია თბილისში სწორედ შეიხ სანანის სახელით იყო ცნობილი“.[15]

როგორც ჩანს, მამა დავით გარეჯელის და შეიხ სანანის შესახებ და-

[11] Факи Тейран. Шейх Санан. Критический текст, перевод, примечания и предисловие М. Б. Руденко. М. 1965.

[12] დ. კობიძე. სპარსული ლიტერატურის ისტორია, გვ. 428.

[13] მ. ალექსიძე, სპარსელები და სპარსული კულტურა XIX საუკუნის საქართველოში, გვ. 110; Safar nama-ye Farhad Mirza, tashih va tashie Golam Reza Tabatabai, Tehran, 1366/1987, გვ. 50.

[14] Safar nama-ye Mirza Mohamad Hasayn Hosayni Farahani, გვ. 79. ვიმოწმებ მ. ალექსიძის ნაშრომიდან (სპარსელები და სპარსული კულტურა XIX საუკუნის საქართველოში), გვ. 110.

[15] Safar-nama-ye Farhad Mirza, tashish va tashie Golam Reza Tabatabai, Tehran, 1366//1987, 50.

ფიქსირებულ ლეგენდებში ქალის არსებობამ, რაც ამ ორი სასულიერო პირის „ცოდვის მიზეზად“ იქცა, ფოლკლორში მოახდინა ამ პიროვნებათა სინთეზი და თბილისელი და კავკასიელი მუსლიმებისათვის ისლამამდელი ქრისტიანი სასულიერო პირი მუსლიმ შეიხთან გაიგივდა.

ჩვენ მიერ შესრულებული სპარსული ტექსტის (იქ, სადაც საუბარია შეიხ სანანის აკლდამაზე) თარგმანი მ. მამაცაშვილის თარგმანისაგან ოდნავ განსხვავებული სახით მივიღეთ:



... و بعد کلیسای است که در ابتدای ابادی درست شده در دمانه کوه مقبره شیخ صنعان معروف است
که هم مسلمین و هم عسویان او
را زیارت نموده و مزار او را محترم و کرامی می شمارند.

„ . . . და შემდეგ არის ეკლესია, რომელიც ქალაქის დაარსებისას აუშენებიათ. მთის კალთაზე ცნობილი შეიხ სანანის საფლავია, რომელსაც მუსლიმებიც და ქრისტიანებიც თაყვანს სცემენ და მის საფლავს მოწიწებით ეპყრობიან“ (P-174, 25 ვ).

საინტერესოა, რომ მაჯდ-ოს-სალტანეს „ქალაქ თბილისის აღწერას“ ახლავს ფოტო (P-174, 25 რ), (რაც მაია მამაცაშვილის მიერ გამოცემულ ტექსტს არ აქვს), რომელზეც გამოსახულია მამა დავითის ეკლესია. მის ქვემოთ კი ვკითხულობთ სპარსულად ავტორის მიერ გაკეთებულ წარწერას: „შეიხ სენანის აკლდამა“ (იხ. დანართი).

XIX საუკუნის ბოლოს თბილისში მამადავითობის დღეს საზეიმო მსვლელობაში თბილისელი მუსლიმებიც იღებდნენ მონაწილეობას. ეს დღესასწაული საერთო-სახალხო ზეიმს წარმოადგენდა. წმ. მამა დავითი გაუთხოვარი და უშვილო ქალების მფარველად ითვლებოდა და მრავალი ქალი, მიუხედავად კონფესიური კუთვნილებისა, ასრულებდა დადებულ აღთქმას და

ფეხშიშველი ადიოდა მთაწმინდაზე.[16]

ის, რომ შეიხი სანაანი გაიგივდა VI ს-ის. (ე. ი. ისლამამდელ) წმინდანთან, აშკარად მიუთითებს გადმოცემის ფოლკლორულ ძირებზე.[17] ერთადერთი სპარსელი ავტორი, რომელიც ქრისტიანულ ეკლესიასთან შეიხის დაკრძალვამ დააეჭვა, იყო სეიდ მოჰამად რეზა თაბათაბაი თაბრიზი. იგი აღნიშნავს, „ქალაქის დასავლეთით . . . მთის კალთაზე გუმბათი მოსჩანს, რომელიც ცნობილია, როგორც შეიხ სანანის აკლდამა, თუმცა შესაძლოა, ეს სამარხი შეიხის დაკრძალვის ადგილი არც არის“.[18] საგულისხმოა, რომ XIX საუკუნის და XX საუკუნის დასაწყისის არც ერთი ქართველი მკვლევარი არ ახსენებს სუფი შეიხ სანანის გაქრისტიანებისა და მამა დავითად გადაქცევის ლეგენდას (მ. ბროსე, პლ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, ი, პროცენკო, მ. ჯანაშვილი, დ. ნათიევი), როგორც ჩანს, იმდენად აბსურდულად მიაჩნდათ და არ იზიარებდნენ, რომ მიზანშეწონილადაც არ თვლიდნენ ამ ამბის დაფიქსირებას. ამის შესახებ მხოლოდ ირანელი ავტორები საუბრობენ.

საინტერესოა, როდის უნდა გაჩენილიყო თბილისში ლეგენდა შეიხ სანანის ქრისტიან გოგოზე გამიჯნურების ისტორია. შეიხი სანანი სუფი მოღვაწეა, სუფიზმი კი VIII საუკუნეში თანამედროვე ერაყისა და სირიის ტერიტორიაზე ჩაისახა, საიდანაც გავრცელდა აღმოსავლეთის სხვა მუსლიმურ ქვეყნებში. IX საუკუნის ბოლოს ბაღდადური ანუ პასიური სუფიზმი გავრცელდა ირანში, არაბეთსა და ეგვიპტეში. სუფიური მოძღვრების შემოსვლა ირანიდან საქართველოში, დაახლოებით, X საუკუნეში უნდა ვივარაუდოთ. ამ პერიოდში თბილისი აღმოსავლეთის ერთ-ერთი ცნობილი მუსლიმურ-თეოლოგიური ცენტრია.[19] 1082-1122 წწ. სუფი რინდებს თავიანთი თავშესაფარი ჰქონდათ, სადაც სუფიურ რიტუალებს ასრულებდნენ.[20] იქიდან გამომდინარე, რომ სუფიური მოძღვრება ძალზე პოპულარული იყო XII-XIII საუკუნეების

[16] მ. ალექსიძე. სპარსელები და სპარსული კულტურა XIX საუკუნის საქართველოში, გვ. 107-108. გაზ. Кавказ, 1851, №4, 1888, № 152.

[17] მ. ალექსიძე სპარსელები და სპარსული კულტურა XIX საუკუნის საქართველოში, გვ. 113.

[18] Sayyed Mohamad Reza Tabatabai Tabrizi, გვ. 92. მ. ალექსიძე, სპარსელები და სპარსული კულტურა XIX საუკუნის საქართველოში, გვ. 113.

[19] ხ. ბაინდურაშვილი. რინდი – იდეოლოგიური ფენომენი. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები. VIII. თბ. 2004, გვ. 80-91.

[20] მ. გაბაშვილი. თბილისი 1082-1122 წლებში. ქართული წყაროთმცოდნეობა. IV. თბ. 1973, გვ. 8-22; ე. სიხარულიძე. ალ-ფარიკი საქართველოში. სემიტოლოგიური ძიებანი. III. თბ. 1985, გვ 90.

საქალაქო ცხოვრებაში. მიგვაჩნია, რომ სწორედ ამ პერიოდში უნდა შემოსულიყო ფოლკლორული სახით აღმოსავლეთის მუსლიმური ქვეყნებიდან და თბილისელ მუსლიმებს შორის გავრცელებულიყო ლეგენდა შეიხ სანანის შესახებ. ეს ლეგენდა ისე შეერწყა დავით გარეჯელზე არსებულ ინფორმაციას, რომ მუსლიმთათვის დავით გარეჯელი შეიხ სანანთან გაიგივდა და მუსლიმ და ქრისტიან მორწმუნეთა საერთო თაყვანისცემის ობიექტად იქცა, რაც თბილისისათვის უცხო მოვლენა არ ყოფილა. XVIII საუკუნიდან ამ ინფორმაციას ირანელი მოგზაურები წერილობით აფიქსირებენ.

დანართი


270. Тифлисъ. Церковь Святаго Давида съ восточной стороны
مقبرهٔ شیخ صنعان

Khatuna Baindurashvili

TO THE ISSUE OF IDENTITY OF SHEIKH SANAN AND DAVID OF GAREJI

Summary

In the Oriental archives of the National Centre of Manuscripts the manuscript P-174 has been kept. This is Majd-os-Saltanes' "Description of the city Tbilisi", which contains important information on the history of the XIX century Tbilisi. Especially interesting is the information regarding the sepulchre of sheikh Sanan. According to the legend, circulated in the XIX century, sufi sheikh Sanan was associated with David of Gareji. In the present work there is an analysis of a widespread theory about sheikh Sanan, his arrival and activities in Georgia, and also a translation of the part of the text we are interested in. In addition, in the article are analysed the reports of Iranian travellers in XVIII-XIX cc., who attest that in Tbilisi, on a mountain with a church, there is sheikh Sanan's sepulchre venerated by Georgians as well as Iranians. In the legend about David of Gareji and sheikh of Sanan the existence of a woman, which became a cause for "sinning", made a synthesis of the above-mentioned two religious men in the folklore. Thus, for Tbilisi and Caucasian Muslims, David of Gareji was identified with sheikh Sanan. The sufism was quite widespread in the XII-XIII cc. urban life. In my opinion, exactly in these centuries, the legend about sheikh Sanan was dissipated among the Muslims of Tbilisi. This legend was merged with the existing information about David of Gareji, that for the Muslims the latter was identified with sheikh Sanan, and became an object of reverence for both Christians and Muslims. This legend was narrated by Iranian travellers from the XVIII century onwards.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VIII
თბილისი. 2013-2014

დიმიტრი შველიძე

რატომ მოკლეს ილია ჭავჭავაძე

უკანასკნელ წლებში არაერთი საინტერესო ნაშრომი გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებების შესახებ. მკვლევრებმა: შოთა ბადრიძემ, გივი ჟორდანიამ, გურამ ყორანაშვილმა, თენგიზ სიმაშვილმა, ნოდარ გრიგალაშვილმა და სხვებმა ბევრ საიდუმლოს ახადეს ფარდა, საუკუნის მკვლელობის მრავალი ფაქტი გამოავლინეს, არაერთი ახალი მოსაზრების დასაბუთება ცადეს.

ზემოაღნიშნულ მკვლევართა ნაშრომების ძირითადი მიზანი ილიას ფიზიკური აღსასრულის კონკრეტულ გარემოებებს ეძღვნება. ამ გარემოებამ კი, ავტორებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ილიას მკვლელობის პოლიტიკური მოტივების პრობლემატიკისადმი ინტერესი თითქოს შეანელა. რა თქმა უნდა, ზოგადად ცნობილია, რომ მკვლელობის მიზეზი ილიას დიდი ეროვნული მოღვაწეობა და ეროვნული მოძრაობის თავკაცობა იყო, მაგრამ ეს არ კმარა. ეს სავსებით მართებული თეზისი კონკრეტულ-ისტორიული ფაქტ-მოვლენებით ხორცშესხმას მოითხოვს.

მაინც, რატომ მოკლეს ილია ჭავჭავაძე; რაში გამოიხატებოდა ილიას კავშირი 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში მიმდინარე ეროვნულ მოძრაობასთან: რატომ გახდა საჭირო მისი ფიზიკური ლიკვიდაცია; ვინ იყო დაინტერესებული და რა კონკრეტული მიზეზებით იყო გამოწვეული ილიას თავიდან მოშორება; რა მიზნებს ისახავდა ილია უშუალოდ 1905-1907 წლების პერიოდში და რით განსხვავდებოდა მისი კონკრეტული მიზნები მისივე ადრინდელი მოღვაწეობისაგან, რამაც მას პრაქტიკულად და სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირა მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალები; კონკრეტულად რომელ ისეთ პროცესებთან იყო დაკავშირებული ილია ჭავჭავაძე, რომლებიც მის მოწინააღმდეგეებს უშუალოდ უშლიდა ხელს თავიანთი მიზნების განხორციელებაში? გვინდა ამ მიზეზების დადგენა-დაფიქსირება,

ზოგი ძველი არგუმენტის გახსენებით, ზოგი ახალი გარემოების წარმოჩენით, გვსურს ვცადოთ საერთო სურათის წარმოდგენა.

1907 წლის ზაფხულში საქართველოში კვლავ მძიმე ვითარება იდგა. 3 ივნისს იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ რუსეთის მეორე სახელმწიფო სათათბირო გარეკა, რითაც რევოლუციის დამარცხება ოფიციალურად გაფორმდა. იმპერიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პეტრე სტოლიპინი მეთოდურად შეუდგა „რევოლუციის ლიკვიდაციის" განხორციელებას, რომელიც, პირველ რიგში, რევოლუციური მოძრაობის ლიდერებისა და აქტივისტების ნეიტრალიზებას გულისხმობდა. ციხეებსა და ციმბირის გადასახლებაში ან ემიგრაციაში აღმოჩნდნენ ცნობილი სოციალ-დემოკრატი მენშევიკები და ბოლშევიკები, სოციალისტ-რევოლუციონერები, ანარქისტები, ზედიზედ ანადგურებდნენ ტყეში მოქმედ ტერორისტულ დაჯგუფებებს, „ტყის ძმებს", სხვადასხვა ჯურის პარტიზანულ თუ პარტიათა სამხედრო და გაყაჩაღებულ-გაბანდიტებულ რაზმებს.

რევოლუციის დამარცხებამ განსაკუთრებით მძიმედ, ბუნებრივია, ყველაზე გავლენიან – სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაზე იმოქმედა. მკვეთრად შესუსტდა ქართველ „მესამე დასელთა" აქტივობა. აი, ამგვარი თავისებური რევოლუციური დეპრესიის ფონზე საქართველოში ჯერ კიდევ ფეხზე იდგა ეროვნული მოძრაობა. პატრიოტული ორგანიზაციები კვლავ აქტიურობდნენ. იმჟამინდელი, დავაკონკრეტოთ, 1907 წელს მოქმედი პატრიოტული მიმართულების პოლიტიკური პარტიები, დაჯგუფებები, უპარტიო ინტელიგენტური ჯგუფები, პრესის ორგანოები, ავტოკეფალისტები და სხვანი კვლავ ენერგიულად მოქმედებდნენ.

1907 წლის საერთო ვითარებას თუ გადავავლებთ თვალს, საქართველოში ეროვნული მოძრაობა რამდენიმე მიმართულებით მოქმედებდა და რამდენიმე ეროვნული პროექტის განხორციელებას კვლავ ცდილობდა:

ეროვნული მოძრაობის პირველი მიმართულება – ეროვნულ-პოლიტიკურ ძალებს თავისი ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მოღვაწე ილია ჭავჭავაძის სახით, მომხრეები ჰყავდა იმპერიის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში – რუსეთის სახელმწიფო საბჭოში. ეს იყო პარლამენტის ზედა პალატა, რომელსაც ადრე თვით იმპერატორი აკომპლექტებდა თავისი ყველაზე ერთგული მომხრეებით. 1906 წლიდან რევოლუციის ზეგავლენით სახელმწიფო საბჭოს ნახევარს კვლავ ნიკოლოზ II ადგენდა, მაგრამ საბჭოს შემადგენლობის მეორე ნახევარში შედიოდნენ თავადაზნაურობის წრიდან არჩეული წევ-

რები. ესენი იყვნენ გუბერნიების თავადაზნაურთა მარშლები, მაღალი რანგის ჩინოვნიკები, გრაფები, ბარონები, გუბერნატორები, და ა. შ.

ამ იმპერიისა და იმპერატორის ერთგულ დიდმოხელეთა წრეში რამდენიმე პროგრესული მოღვაწეც მოხვდა, რომლებმაც სახელმწიფო საბჭოში მცირერიცხოვანი მემარცხენე ფრაქცია შეადგინეს. მემარცხენე ფრაქციაში საბჭოს 196 წევრიდან სულ 13 დეპუტატი შედიოდა. სწორედ ამ ჯგუფში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეკავა ილია ჭავჭავაძეს. ფრაქციაში შედიოდნენ მაშინდელი რუსეთის გამოჩენილი მეცნიერები – ეკონომისტები, ისტორიკოსები, სამართალმცოდნეები, ინტელექტუალები, მაგ.: ვ. ი. ვერნადსკი – მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორის თანაშემწე; ა. ა. მანუილოვი – მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორი; ა. ს. ლაპო-დანილევსკი – ცნობილი ისტორიკოსი; ვ. ი. სერგეევიჩი – პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი; მაქსიმე კოვალევსკი – ცნობილი ისტორიკოსი, სოციოლოგი, პარლამენტარიზმის თეორეტიკოსი და პეტერბურგის აკადემიის წევრი და სხვა.

1906 წლიდან მაქსიმე კოვალევსკი პეტერბურგში გამოსცემდა გაზეთ „სტრანას“. მან თავისი გაზეთის ფურცლებზე აღფრთოვანებული პასაჟები უძღვნა ილია ჭავჭავაძის ეროვნულ და დემოკრატიულ შეხედულებებს. რუსი აკადემიკოსის აზრით, ილია ჭავჭავაძე ღრმად იცნობდა საკუთარი ქვეყნის საჭიროებებს და დაჟინებით მოითხოვდა განაპირა მხარეებისათვის ფართო თვითმმართველობას, მათი საერობო პალატების მიერ ადგილობრივი კანონების გამოცემის უფლებით. კოვალევსკი წერდა: „თავადი ჭავჭავაძე მიიჩნევს, რომ „მიწების ჩამოშორების საკითხში აუცილებელია ყველაზე ფართო დათმობები მშრომელი მასების ინტერესებისათვის. ამგვარი, უაღრესად დემოკრატიული პოზიციის გამო, კოვალევსკი ილიას უწოდებდა მემარცხენე პარტიების პროგრამების „ბრწყინვალე მომხრეს“.[1]

ილიას ფართო დემოკრატიული და ეროვნული პროგრამის წარმოსადგენად მკითხველს გვინდა შევთავაზოთ რუსულ პრესაში ჩვენ მიერ მიკვლეული ინტერვიუ, რომელიც ილიამ მისცა გაზეთ „პეტერბურგსკი ლისტოკის“ კორესპონდენტს. შემოკლებით მოგვყავს ინტერვიუს ტექსტი, რომელიც პირველად 1993 წელს გამოვაქვეყნეთ.

კორესპონდენციაში ვკითხულობთ: „საქართველოს და, საერთოდ, კავკასიის წარმომადგენელი, სახელმწიფო საბჭოს ახალი წევრი, ცნობილი ქარ-

[1] М. Ковалевскій. Будущій Государственный Советъ. Газ. «Страна», 11 апреля 1906 г.

თველი მწერალი და პუბლიცისტი თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე თავისი პოლიტიკური მრწამსით სახალხო თავისუფლების (ე. ი. კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტიის – დ.შ.) მომხრეა. ჩვენ საშუალება მოგვეცა გვესაუბრა შორეული საქართველოდან ჩამოსულ პატივცემულ თავადთან.

– სანამ ამომრჩევლად ამირჩევდნენ, ამისთვისაც მთელი ბრძოლის გადატანა მომიხდა, – გვითხრა თავადმა, – მე ვარ საერთოდ კავკასიის და კერძოდ საქართველოს ფართო თვითმმართველობის მომხრე ადგილობრივი საკანონმდებლო ხელისუფლებით, მით უფრო ყველა იმ საშინელებათა შემდეგ, კვლავ რომ გრძელდება კავკასიაში.

– ქართველი და საერთოდ კავკასიელი აზნაურობა ყოველთვის წავა აგრარულ საკითხში ყოველგვარ დათმობებზე, თუკი მიწების იძულებითი ჩამორთმევა მიჩნეული იქნება დიდი საერთო-სახალხო მნიშვნელობის საქმედ. მაგრამ ბევრნი წინ აღუდგნენ ძველი კავკასიელი აზნაურების ამ პატიოსან აზრს. დაიწყეს ლაპარაკი ფედერაციის შესახებ, ლაპარაკი, რომ ამგვარი აზრი სხვა არაფერია, თუ არა რუსეთის დაქუცმაცების სურვილი და ა. შ.

– მე ვარ რეფორმირებული სახელმწიფო საბჭოს წევრი და მთელის ჩემის ძალით ვიქნები ამ თვალსაზრისზე. რა გამოვა აქედან, – თქვა თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ, – ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს“.[2]

უაღრესად დემოკრატიულმა და ეროვნულმა პროგრამამ ილია ჭავჭავაძეს რუსეთის საზოგადოების წრეებში უფრო მეტი მტერი შესძინა, ვიდრე მეგობარი. ერთი მხრივ, მას წინ აღუდგნენ რუსეთის ერთიანობის ყველანაირი მომხრეები – ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლები, მემარჯვენეები, ნაციონალ-შოვინისტები. სახელმწიფო საბჭოს აბსოლუტური უმრავლესობა, ცხადია, ღია ან ფარულ მტრად გადაიკიდა ილიამ. აღმოჩნდა, რომ რუსეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სეპარატისტი იჯდა, რაც გაუგონარი ფაქტი გახლდათ სახელმწიფო საბჭოს ასწლოვან ისტორიაში.

მეორე მხრივ, ილიას ავტონომისტურ-სახელმწიფოებრივი იდეალები არც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და სხვა ცენტრალისტური პოლიტიკური ორგანიზაციებისთვის იყო მისაღები. მათთვისაც ქართველი ხალხის წარმომადგენელი სახელმწიფო საბჭოში პერსონა ნონ გრატად უნდა ყოფილიყო მიჩნეული.

ასეა თუ ისე, საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკურ მოძრაობას ილიას

[2] დ. შველიძე. პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. ფედერალისტები. თბ. 1993, გვ. 185; Газ. «Петербургский листок», 9 апреля 1906 г.

სახით რუსეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ჰყავდა თავისი წარმომადგენელი, რომლის პოზიციას, სიტყვასა და საქმიანობას დიდი რეზონანსის და პრაქტიკული შესაძლებლობების პოტენციალი გააჩნდა მთელი იმპერიის მასშტაბით.

ეროვნული მოძრაობის მეორე მიმართულება – საქართველოში წარმატებით დაიწყო და მიმდინარეობდა გამოკვეთილი ეროვნული მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაციის – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნა-ჩამოყალიბების პროცესი.

1900-იანი წლების დასაწყისამდე ილია ჭავჭავაძეს საერთოდ არც უცდია და საჭიროდაც არ მიაჩნდა ეროვნულ-დემოკრატიული პოლიტიკური პარტიის შექმნა. მან ამგვარი პარტიის შექმნის შესაძლებლობა მხოლოდ 1905 წლის განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს მიიჩნია მიზანშეწონილად. 1905 წლის მეორე ნახევარში ილიამ ინტელიგენციის ერთ-ერთ შეკრებაზე მხარი დაუჭირა კიტა აბაშიძის ინიციატივას, რომ საქართველოში უნდა შექმნილიყო წმინდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების პარტია. 1905 წლის შემოდგომაზე, თანამედროვეთა ინფორმაციის მიხედვით, საადგილმამულო ბანკში შედგა პატრიოტულად განწყობილ მოღვაწეთა ყრილობა. მასში მონაწილეობდნენ ექვთიმე თაყაიშვილი, ვასო ყიფიანი, გიორგი გვაზავა, პავლე თუმანიშვილი, ნიკო თავდგირიძე და სხვანი. სწორედ ამ შეკრებაზე ილიამ წამოაყენა ეროვნული ხასიათის დემოკრატიული მოძრაობის შექმნის წინადადება.

პარტიის ჩამოყალიბების პროცესი გაგრძელდა, მაგრამ იმხანად მას მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის მასშტაბები ჰქონდა. მას შემდეგ კი, რაც ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოში აირჩიეს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნის, მისი პროგრამის, მიზნებისა და მასში ილია ჭავჭავაძის მონაწილეობის ფაქტმა მთელ იმპერიაში გამოიწვია რეზონანსი. 1906 წლის აპრილში პეტერბურგის გაზეთები ინფორმაციას ავრცელებდნენ, რომ თბილისში შეიქმნა პარტია, რომელმაც წამოაყენა საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა, როგორც პარტიის პროგრამის ძირითადი პუნქტი. გაზეთი „სტრანა“ კი აუწყებდა იმპერიის საზოგადოებას, რომ ახალი პარტიის „ცენტრალურ კომიტეტში“ ქართველი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად შედიოდა და „პარტიის პროგრამის შედგენაში ენერგიული მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩეულმა თავადმა ჭავჭავაძემ“.[3]

ახლა ვცადოთ ამ ფაქტის ანალიზი. სხვა ქართულმა პოლიტიკურმა

[3] Газ. «Страна», 11 апреля 1906 г.

ძალებმა ილიაზე ადრე წამოსწიეს ავტონომიის ფორმით ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მოთხოვნა: მაგ., იმავე სოციალისტ-ფედერალისტებმა. მათ, როგორც ცნობილია, 1903 წელს პარიზში გამოცემულ გაზეთში „საქართველო“ დაასაბუთეს ეს მოთხოვნა. მაგრამ ფედერალისტების პარტია იყო რევოლუციური. ის იარაღითაც ებრძოდა რუსეთის მონარქიას და ეს არავის უკვირდა. საქართველოში უფრო რადიკალური პარტიებიც იყვნენ, რომლებსაც სამყაროს გადატრიალება უნდოდათ და ესეც არავის უკვირდა.

მაგრამ ილია ჭავჭავაძე იმპერიის საკანონმდებლო ორგანოში თავადაზნაურობამ აირჩია. ის იმყოფებოდა იმპერიის წარმომადგენლობით ორგანოში, რომლის შემადგენლობის 95% მაინც იმპერიისა და იმპერატორის ერთგული იყო. ამიტომაც ქართველი დეპუტატის სიტყვას, პროგრამას, და პოზიციას, რომელიც თავადაზნაურობის სახელით კი არა, მთელი საქართველოსა და კავკასიის სახელით გამოდიოდა, ბევრად დიდი მასშტაბი და რეზონანსი ჰქონდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძემ, ისე როგორც მანამდე არავინ ქართველთაგან, რუსეთის იმპერიის ნაციონალისტურ პოლიტიკურ ელიტას თვალწინ ააფარა ქართველობის უპირველესი მიზანი – ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მოთხოვნა და ახლა უკვე ამ მიზნის განხორციელებისათვის იგი პოლიტიკურ პარტიას ქმნიდა. ეს უპრეცედენტო მოვლენა გახლდათ.

უკვე ამ დროიდან, როცა სახელმწიფო საბჭოში აირჩიეს და როცა საბოლოოდ დაფიქსირდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნა, ილია ჭავჭავაძე საბოლოოდ იქცა მისი ყველანაირი მოწინააღმდეგეების სამიზნედ. აქამდე საქართველოში მისი შეურიგებელი ოპონენტები სოციალ-დემოკრატები იყვნენ. ამის შემდეგ ილიას შეურიგებელი მტრების არმიას უცებ შეემატა რუსეთის სახელისუფლო და მემარჯვენე პოლიტიკური ელიტა. ცხადია, იმპერიის ხელისუფლებას, და სპეცსამსახურებს არც აქამდე ეხატათ გულზე ქართველობის აღიარებული ლიდერი, მაგრამ აქამდე თავადი ჭავჭავაძე, ასე თუ ისე, ახერხებდა რუსულ უმაღლეს ბიუროკრატიასთან კომუნიკაციას. მას პატივისცემით იღებდნენ, უსმენდნენ და ანგარიშსაც უწევდნენ კავკასიის მეფისნაცვლის სასახლეში. მაგრამ 1906 წლის აპრილიდან და ილიას მხრიდან ლამის რადიკალური ეროვნული და დემოკრატიული პროგრამის წამოყენების დროიდან მის მიმართ ხელისუფლების მეტ-ნაკლებად შემრიგებლობას წერტილი დაესვა.

ეროვნული მოძრაობის მესამე მიმართულება – 1905-1907 წლების

განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ქართველ სამღვდელოებასაც ჩაუსახა იმედი. მან ენერგიული ბრძოლა წამოიწყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. 1905 წლის დასაწყისიდან მთელ საქართველოში მიმდინარეობდა სხვადასხვა დონის კრებები, თავყრილობები ავტოკეფალიის მოთხოვნით. 1905 წლის დეკემბერში თბილისში ჩატარდა ქართველი სამღვდელოების კრება, რომელმაც მიიღო უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი: „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის გეგმა (პროექტი)“.[4]

ამ დროს თვით რუსეთშიც მიმდინარეობდა რეფორმატორული მოძრაობა რუსული ეკლესიის მართვა-გამგეობის დემოკრატიზაციისათვის. რუსულ საეკლესიო წრეებს სურდათ სახელმწიფოს მეურვეობისათვის თავი დაეღწიათ. მათი მიზანი იყო, გაუქმებულიყო რუსული ეკლესიის სახელმწიფო მმართველობის ორგანო – უწმინდესი სინოდი და მართვა-გამგეობა გადასცემოდა პატრიარქს და საეკლესიო კრებას. ამ საკითხების გადასაჭრელად გადაწყდა მოწვეულიყო სრულიად რუსეთის საეკლესიო კრება, მაგრამ იმისათვის, რომ კრებაზე განსახილველი საკითხები მოემზადებინათ, გადაწყვიტეს კრებამდე მოეწვიათ წინარე თათბირი.

ქართველმა საეკლესიო მოღვაწეებმა განიზრახეს სწორედ ამ წინარე თათბირზე წამოეყენებინათ ავტოკეფალიის მოთხოვნის საკითხი. ასეც მოხდა: 1906 წლის ივნისიდან დეკემბრამდე პეტერბურგში მიმდინარეობდა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირი. მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა საეკლესიო მოღვაწეებმა კირიონმა და ლეონიდემ და მეცნიერებმა – ნიკო მარმა, ალექსანდრე ცაგარელმა, ალექსანდრე ხახანაშვილმა მყარად დაასაბუთეს საქართველოს ეკლესიის აღდგენის კანონიერება, წინარე თათბირმა არ შეიწყნარა ქართული ეკლესიის მოთხოვნა.

ილია ჭავჭავაძე აქტიურად უჭერდა მხარს ავტოკეფალისტურ მოძრაობას, მჭიდროდ თანამშრომლობდა მოძრაობის ლიდერებთან. მიუხედავად წინარე თათბირზე განცდილი წარუმატებლობისა, ქართველი ავტოკეფალისტები 1907 წელსაც აგრძელებდნენ ბრძოლას. სახელმწიფო საბჭოში არჩევის შემდეგ ილია ჭავჭავაძე ქართველ საეკლესიო ლიდერებს ნამდვილ მფარველად და შუამავლად ეგულებოდათ რუს იერარქიასთან და მსხვილ ბიუროკრატებთან ურთიერთობის დროს. პეტერბურგში გამგზავრების წინ ილია დაესწრო კავკასიის მეფისნაცვალთან შემდგარ თათბირს, რომელიც ავტოკეფალიის სა-

[4] გ. ბურდული. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე. თბ. 2007, გვ. 13.

კითხს იხილავდა. პეტერბურგში ილია ალექსანდრე ცაგარელთან ერთად სტუმრობდა და ხანგრძლივად ესაუბრა პეტერბურგის მიტროპოლიტ ანტონს. იგი დაუზარელად მიჰყვებოდა ავტოკეფალისტ თავკაცებს და მათი თხოვნით მოლაპარაკებებს აწარმოებდა რუს მსხვილ ბიუროკრატებთან, საეკლესიო თანამდებობის პირებთან. ხმები დადიოდა, რომ ილია ჭავჭავაძე საქართველოს ავტონომიისა და საეკლესიო ავტოკეფალიის საკითხებზე რუსეთის იმპერატორთან აპირებდა შესვლას.

მაგრამ რუსეთის ხელისუფლება ავტოკეფალურ მოძრაობასაც სასტიკად ებრძოდა. მაგალითისათვის 1905 წლის 31 მაისს თბილისში დატრიალებული ამბავიც საკმარისია. ამ დღეს მიმდინარეობდა ქართველი სამღვდელოების ყრილობა, რომელიც ავტოკეფალიის მოთხოვნას ეხებოდა. როგორც ჟურნალი „მწყემსი“ იუწყებოდა, ხელისუფლების მიერ სპეციალურად გამოწვეულმა „ყაზახებმა“ და „სტრაჟნიკებმა“ მათრახების ცემით დაშალეს ყრილობა და დიდძალი ხალხი შენობიდან გამოყარეს.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი ნაწილი იყო. საერთო ეროვნული ფრონტის ამ უბანზე აქტიური მონაწილეობა კიდევ ერთი დამატებითი ფაქტორი გახლდათ, რომ ეროვნული მოძრაობის მტრები დაპირისპირებოდნენ ილია ჭავჭავაძეს. მის მოწინააღმდეგეთა არმიას ემატებოდა რუსული საეკლესიო ცენტრალური და ადგილობრივ-კავკასიური იერარქია, რომლებსაც თავიანთ მოსისხლე მტრად უნდა მიეჩნიათ ავტოკეფალური მოძრაობის მფარველი და ერთ-ერთი მეთაურიც, სახელმწიფო საბჭოს წევრი თავადი ჭავჭავაძე.

ეროვნული მოძრაობის მეოთხე მიმართულება – ეროვნულმა ძალებმა საქართველოში ყველაზე გავლენიან და ძლიერ რევოლუციურ ორგანიზაციასთან, ქართველ სოციალ-დემოკრატებთან, გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიეს. 1906 წლის ზაფხულში პეტერბურგში, სასტუმრო „ევროპაში“, ილია ჭავჭავაძე შეხვდა პირველი სახელმწიფო სათათბიროს ქართველ სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს: ნოე ჟორდანიას, ისიდორე რამიშვილს, ივანე გომართელს, სიმონ წერეთელსა და სერგო ჯაფარიძეს. შეხვედრას ესწრებოდნენ ალექსანდრე ცაგარელი, ჟურნალისტი მალაქია ბოლქვაძე და ცნობილი ქართველი ბიზნესმენი დავით სარაჯიშვილი, რომელმაც მოაწყო ეს შეხვედრა.

მოლაპარაკების საგანი საქართველოს ავტონომიის მოთხოვნის საკითხი იყო. იმხანად პირველ სათათბიროში შექმნილი იყო ავტონომისტების ფრაქცია. მასში იმპერიის სხვადასხვა ხალხის 63 წარმომადგენელი შედიოდა. მათ

შეემატა სოციალისტ-ფედერალისტი დეპუტატი იოსებ ბარათაშვილი. სწორედ ის აპირებდა საქართველოს ავტონომიის მოთხოვნის აღძვრას სათათბიროში. მთავარი საშიშროება ავტონომიის მოთხოვნას ისევ ქართველი სოციალ-დემოკრატებისაგან ელოდა. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომლის წევრებიც ქართველი სოციალ-დემოკრატები იყვნენ, როგორც ცნობილია, ავტონომიის სასტიკი მოწინააღმდეგე იყო წარმოადგენდა და ქართველი მესამედასელებიც მწვავედ ებრძოდნენ ავტონომიის იდეას.

მიუხედავად ამისა, ილიამ მოახერხა ქართველი მარქსისტი დეპუტატების დათანხმება, რომ ისინი სათათბიროში ავტონომიის მოთხოვნის წინააღმდეგ კრინტს არ დაძრავდნენ. როგორც მალაქია ბოლქვაძე თავის ცნობილ მოგონებებში გადმოგვცემს, ქართველ სოციალ-დემოკრატ ლიდერებს – ნოე ჟორდანიას და ისიდორე რამიშვილს, ილიასთვის განუცხადებიათ: „ჩვენ საქართველოს ავტონომიას არც დავიცავთ და არც წინააღმდეგ ვიტყვით არაფერს“. შემდეგში მოლაპარაკების შედეგით კმაყოფილ ილია ჭავჭავაძეს ბოლქვაძისთვის აზრი გაუზიარებია: „ჩვენ ვიცოდით, რომ ისინი საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგნი არიან. ეს ყველამ ვიცოდით. მაგრამ ის, რაც გუშინ გამოირკვა – ახალია. ამათთან, ბელადებთან, ისიდორესთან და ნოესთან, შესაძლოა მოლაპარაკება, – სხვებთან კი ჩვენში... ფანატიკოსები არიან დალოცვილნი. შეიძლება ორ სხვა და სხვა უკიდურესს პარტიას ვეკუთვნოდეთ, მაგრამ ჩვენ ერთად ლაპარაკი უნდა შეგვეძლოს“.[5]

ეროვნულ ძალებსა და სოციალ-დემოკრატ ლიდერებს შორის შეთანხმება, თუნდაც პოლიტიკური რეალობის ერთ უბანზე – სახელმწიფო სათათბიროში, ეროვნული მოძრაობის მნიშვნელოვანი წარმატება იყო. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ილია ჭავჭავაძის მიერ მიღწეული კომპრომისი ქართველ მენშევიკ სოციალ-დემოკრატებთან არც შემდგომ სახელმწიფო სათათბიროებში დარღვეულა. ქართველი მენშევიკი სოციალ-დემოკრატები ავტონომიის წინააღმდეგ არც სხვა დროს გამოსულან სათათბიროში, თუმცა არც მხარდაჭერა გამოუხატავთ. შეიძლება ითქვას, რომ ავტონომიის საკითხში სახელმწიფო სათათბიროებში ქართველი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ამ საკანონმდებლო ორგანოში ყოველთვის დიდ როლს თამაშობდნენ, ნეიტრალიტეტის პოზიციაზე იდგნენ. ეს ილია ჭავჭავაძის დამსახურება იყო.

მაგრამ აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტონომიის ფორმით ქართული სახელმწიფოს აღდგენის მოთხოვნის წინააღმდეგ საქართველოში არც

[5] მ. ბოლქვაძე. ახლო წარსულიდან. ჟურნ.: „განათლება“. 1908, №3-4, გვ. 8.

მენშევიკებს და, მით უფრო, არც ბოლშევიკებს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. სათათბიროში შეთანხმება საქართველოს პოლიტიკურ რეალობაზე არ ვრცელდებოდა და აქ სოციალ-დემოკრატების ორივე ფრთა ილია ჭავჭავაძეს, როგორც ავტონომისტური ბანაკის ლიდერსაც, ისე ებრძოდა.

ეროვნული მოძრაობის მეხუთე მიმართულება – ეროვნულ-პოლიტიკური ბანაკის ერთი ჯგუფი ცდილობდა სახელმწიფოს აღდგენისათვის სამართლებრივი საშუალებებით ებრძოლა. ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის ისტორიული უფლების დასაბუთებას და პოპულარიზაციას ევროპულ სივრცეში უკვე დიდი ხანია აწარმოებდა ვარლამ ჩერქეზიშვილი. 1906 წელს ცნობილი ანარქისტ-ნაციონალისტი სამშობლოში ჩამოვიდა და ახალი დიდი პროექტის განხორციელებას შეუდგა. 1907 წლის ზაფხულში ჰააგაში უნდა ჩატარებულიყო მსოფლიო სამშვიდობო კონფერენცია. ჩერქეზიშვილის განზრახვა გახლდათ, რომ კონფერენციისთვის წარედგინათ ქართველი ხალხის პეტიცია, რომელშიც აღძრული იქნებოდა მოთხოვნა ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის კანონიერების შესახებ.

ვარლამ ჩერქეზიშვილმა გიორგი გვაზავასთან და მიხაკო წერეთელთან ერთად შეადგინა პეტიციის ტექსტი. პეტიციის არსი შემდეგი გახლდათ: რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთს შორის 1783 წელს დაიდო საერთაშორისო ხელშეკრულება. იგი გულისხმობდა რუსეთის მფარველობაში ქართული სახელმწიფოს შესვლას. 1801 წელს რუსეთმა დაარღვია ეს ხელშეკრულება, ქართული სახელმწიფო გააუქმა და დაიპყრო. დაირღვა საერთაშორისო სამართალი. ქართველი ხალხი მიმართავდა ჰააგის კონფერენციის სახით საერთაშორისო სამართალს, რათა მას აღედგინა დარღვეული სამართლიანობა – მოეთხოვა რუსეთის იმპერიის ხელისუფლებისათვის აღედგინა კანონიერება. ქართველ ხალხს ჰქონდა კანონიერი უფლება ჰქონოდა საკუთარი სახელმწიფო, რათა კუთვნილი ადგილი დაემკვიდრებინა მსოფლიოს თავისუფალ ერებს შორის.

პეტიციის ინიციატორები შეუდგნენ ტექსტზე ხელმოწერების შეგროვებას. ხელს აწერდნენ პოლიტიკოსები, რევოლუციონერები, ინტელიგენციისა და კულტურის წარმომადგენლები, მეცნიერები, გლეხები, მუშები, სტუდენტი ახალგაზრდები, ყველა, ვისაც პატრიოტიზმი და გამბედაობა ეყოფოდა. ბუნებრივია, რომ ხელმომწერთა ვინაობა გამჟღავნდებოდა და სპეცსამსახურების ყურადღების არეში მოხვდებოდა. პეტიციაზე ხელმოწერა სამოქალაქო გამბედაობის ხარისხზე იყო დამოკიდებული თითოეული ხელმომწერის მხრიდან.

ბუნებრივია, ასეთი დიდი მასშტაბის ღონისძიება ილია ჭავჭავაძის მონაწილეობის, მისგან რჩევის აღებისა და რეკომენდაციის გარეშე არც ჩაივლიდა და ვერც ჩაივლიდა. ვარლამ ჩერქეზიშვილი, ეს იმპერიისაგან დევნილი ანარქისტი, ილია ჭავჭავაძის განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა. ილია იმასაც არ უფრთხოდა, რომ ევროპაში მყოფი ანარქისტი ემიგრანტის ათობით სტატია თავის „ივერიაში“ გამოექვეყნებინა 1890-იან წლებში. ახლა ამნისტიის წყალობით 1906 წელს სამშობლოში ჩამოსული ჩერქეზიშვილი და მისი ფრანგი მეუღლე ფრიდა ილიას ოჯახის სასურველი სტუმრები იყვნენ. 1908 წლის 25 სექტემბერს უკვე დაქვრივებული ოლღა გურამიშვილი მარჯორი უორდროპს სწერდა ლონდონში: „ვისიამოვნე გულით, რომ ვაზიანი (ვარლამ ჩერქეზიშვილი) თავის ცოლით გინახამთ. დიდათ ვიკითხებ იმათ მაღალკეთილშობილება ადამიანობას. ორივენი შემკულნი არიან მაღალი გულკეთილობით. როდესაც ნახოთ, ან სწერდეთ, ჩემი უგულითადესი უღრმესი პატივისცემა უძღვენით“.[6]

უფრო ადრე, 1906 წელს, ოლღა გურამიშვილი მარჯორის სწერდა, ამას წინათ, თქვენი ნაცნობი ინგლისელი ნევინსონი ილიას ეწვია და, სამწუხაროდ, მე ვერ ვნახე, რადგან სახლში არ ვიყავიო. ეს ნევინსონი ცნობილი ინგლისელი ჟურნალისტი იყო, რომელიც ვარლამ ჩერქეზიშვილმა ჩამოიყვანა და მთელი საქართველო მოატარა. ცხადია, ნევინსონი ილია ჭავჭავაძესთან ჩერქეზიშვილმა მიიყვანა და წარუდგინა. ილიასთან ინგლისელი ჟურნალისტის ვიზიტის ერთ-ერთი მიზეზი ქართველთა პეტიციაც უნდა ყოფილიყო. ნევინსონი აქტიურად იყო ჩაბმული პეტიციის დანიშნულებისამებრ რეალიზაციის პროცესში. სწორედ მან ჩაიტანა ლონდონიდან ჰააგაში პეტიციის ტექსტი და გაუგზავნა კონფერენციის ორგანიზატორებს. როგორც ჩერქეზიშვილი იგონებს, როდესაც 1907 წლის ივნისში ჰააგის სამშვიდობო კონფერენცია გაიხსნა თუ მისი მიმდინარეობის პერიოდში, ერთ დღეს, მონაწილე 44 ქვეყნის 250 წარმომადგენელს მაგიდაზე დახვდა კონვერტი წარწერით „საქართველოს პეტიცია“.[7]

ერთი სიტყვით, ჩერქეზიშვილისა და ილია ჭავჭავაძის დიდი და რისკიანი მეგობრობა იმიტომ გავიხსენეთ, რომ, ვფიქრობთ, საქართველოს ხალ-

[6] გ. შარაძე. ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე. თბ. 1984, გვ. 267.

[7] ვ. ჩერქეზიშვილი. საქართველოს პეტიცია საერთაშორისო კონფერენციისადმი ჰააგაში 1907 წ. წიგნში: ვარლამ ჩერქეზიშვილი. თხზულებანი. ტ. I. თბ. 2011, გვ. 28.

ხის პეტიციაზე ილია ჭავჭავაძესაც უნდა მოეწერა ხელი. ძნელი წარმოსადგენია, სხვაგვარად რომ ყოფილიყო, თუმცა ჯერჯერობით საამისო დამადასტურებელი დოკუმენტი არ გაგვაჩნია. ყოველ შემთხვევაში საქართველოს ხალხის პეტიციის მომზადება და მასზე ხელმოწერები 1906 წლის დასასრულსა და 1907 წლის პირველ ნახევარში მიმდინარეობდა. პეტიციის ტექსტი 1907 წლის 18 ივნისითაა დათარიღებული. ყოველივე ეს ილიას სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ხდებოდა და ამ ფართომასშტაბიან აქციაში მონაწილეობა ილიასა და ქართული სახელმწიფოს აღდგენის მტრებისათვის ილიას ლიკვიდაციის კიდევ ერთი დამატებითი მიზეზ-ფაქტორი შეიძლება ყოფილიყო.

ეროვნული მოძრაობის მეექვსე მიმართულება – ქართულ ისტორიოგრაფიაში არის ანარეკლი იმ ხმებისა, რომლებიც 1900-იანი წლების საქართველოში დადიოდა ილია ჭავჭავაძის შესაძლებელი განზრახვის შესახებ, რომ იგი აპირებდა იმპერატორ ნიკოლოზ II-სთან შესვლას. აუდიენციის მიზანი და საგანი, რა თქმა უნდა, საქართველოს ავტონომიის საკითხი უნდა ყოფილიყო. ისეთი ხმებიც დადიოდა, რომ თითქოს ეს შეხვედრა შემდგარიყოს. პირდაპირი არგუმენტირებული ცნობა ან ინფორმაცია ამგვარი შეხვედრისა არ არსებობს და არც უნდა ჰქონოდა ადგილი. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ ინფორმაცია ვერ დაემალებოდა ვერც მაშინდელ საზოგადოებას და ვერც ისტორიოგრაფიას დარჩებოდა შეუმჩნეველი.

მაგრამ იმის დასაბუთება კი სავსებით შესაძლებელია, რომ ასეთი განზრახვა ნამდვილად არსებობდა.

ილია ჭავჭავაძეს რომ 1906 წლის აპრილამდე მოენდომებინა რუსეთის იმპერატორთან აუდიენცია, შესაძლებელია ამის განხორციელება შეუძლებელი ყოფილიყო გასაგები მიზეზების გამო – მას საამისო მდგომარეობა არ გააჩნდა: ის არც თავადაზნაურობის მარშალი იყო, არც რაიმე სერიოზული ჩინის პატრონი. 1906 წლის აპრილის შემდეგ კი, როცა ილია რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო-სათათბირო ორგანოს წევრი გახდა, მას უკვე სრულიად ლეგიტიმური შესაძლებლობა გაუჩნდა, ეფიქრა იმპერატორთან აუდიენციაზე. ეს ერთი ფაქტორი, რომელიც რეალურს ხდის ილია ჭავჭავაძის იმპერატორთან აუდიენციის განზრახულობას. ამ გზას, როგორც ავტონომიის მიღწევის საშუალებას, განიხილავდა და მისი განხორციელებისათვის, შესაძლოა, იბრძოდა ეროვნული მოძრაობის ერთი ჯგუფი. ეს ჯგუფი იბრძოდა, აგრეთვე, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის და მის მისაღწევად ერთ-ერთ საშუალებად რუსეთის იმპერატორთან შესვლას და მისი მხარდაჭერის მოპოვე-

ბას მიიჩნევდა. ამ ჯგუფში შედიოდნენ საეკლესიო მოღვაწეები და პეტერ-ბურგში მცხოვრები ქართველი მეცნიერები: ეპისკოპოსები – კირიონი, ლეონი-დე, მეცნიერები – ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი და სხვ.

მეორე ფაქტორი, რომელიც ბუნებრივს ხდის ილია ჭავჭავაძის განზ-რახვის შესაძლებლობას, თვით რუსეთის იმპერატორისაგან უნდა ყოფილიყო მოტივირებული. დავუშვათ, რომ ნიკოლოზ II მართლაც იყო დაინტერესე-ბული საქართველოს ავტონომიის რაიმე ფორმით აღიარების საკითხით, ვინ იყო იმ დროს საქართველოში ისეთი პიროვნება, რომელსაც იმპერატორი ამ საკითხის განსახილველად მიიწვევდა? რუსული ბიუროკრატიის ქართველი წარმომადგენლები იმპერატორის ცნობისმოყვარეობას ვერ დააკმაყოფილებდ-ნენ. ამ საკითხზე მოსათათბირებლად ვერც თავადაზნაურობის მარშლები გა-მოდგებოდნენ, რადგან ისინი ერთი ვიწრო კლასის წარმომადგენლები იყვნენ და იმპერატორს საქმის რეალურ ვითარებას ვერ გადაუშლიდნენ. რევოლუცი-ური და ეროვნული პარტიების აქტორებს რუსეთის იმპერატორი ვერ დაელა-პარაკებოდა. სრულიად ბუნებრივად და ნათლად იკვეთება იმდროინდელ სა-ქართველოში ერთადერთი პიროვნება, რომელიც როგორც, ერთი მხრივ, მთე-ლი საქართველოს წარმომადგენელი და, მეორე მხრივ, სახელმწიფო საბჭოს წევრი, სრულიად აკმაყოფილებდა საიმპერატორო კარის ეტიკეტს. სწორედ მას და არავის სხვას შეეძლო რუსეთის იმპერატორს შეხვედროდა და ობიექ-ტური ინფორმაცია მიეწოდებინა საქართველოს ავტონომიის საკითხზე და ამ მხრივ მისაღები კანდიდატურა ყოფილიყო ნიკოლოზ II-ისთვის.

დაბოლოს, მესამე ფაქტორი. მართლა იყო თუ არა რუსეთის იმპერა-ტორი საქართველოს ავტონომიის საკითხით დაინტერესებული? დიახ, ნიკო-ლოზ II მართლაც იყო დაინტერესებული ამ პრობლემით. იმისათვის, რომ იმპერატორის დაინტერესება დავასაბუთოთ, ცოტა გრძელი გზა უნდა ავირ-ჩიოთ და ერთ ჩვენს კარგა ხნის წინ გამოქვეყნებულ ნარკვევს გადავხედოთ, რომელშიც ნაწილობრივ შევეხეთ ამ საკითხს.

როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ 1907 წლის 19 დეკემბერს საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრედ აღიარა ელისაბედ ბაგრატიონი. ელისაბედი გახლდათ გიორგი XII-ის შთამომავლის, ილია ბაგრატიონის, მეუღლე. როგორც ელისაბედი თავის მოწოდებებსა და ბროშურებ-ში წერდა, ნიკოლოზ II-მ ელისაბედ ბაგრატიონს უბოძა „სამეფო გვირგვინი და სიგელი“. ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელსაც მკვლევარმა მარინე გულეიშვილმა-მურღულიამ 1963 წელს მიაკვლია, დასათაურებული იყო ასე: „საქართველოს

სამეფოს აღდგენა სრულიად რუსეთის სიუზერენის ხელმწიფე ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის უმაღლესი ხელისუფლების მფარველობის ქვეშ (1783 წლის 24 ივლისის რუსეთ-საქართველოს შორის დადებული მფარველობითი ტრაქტატის არტიკულების საფუძველზე)". დოკუმენტს ხელს აწერდა „ქართლ-კახეთისა და სრულიად საქართველოს მეფე, მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, ყაზახის, ბორჩალოს, შამშადილის, კაკის, შექის, შირვანის, გამგებელი განჯისა და ერევნის, ელისაბედ ბაგრატიონი".[8]

2002 წელს ჩვენ მივაკვლიეთ დამატებით ცნობებს ელისაბედ ბაგრატიონის შემდგომი საქმიანობის შესახებ, რომელნიც საისტორიო არქივის ერთერთ საქმეშია თავმოყრილი და დასათაურებული შემდეგი სახით: „მიწერ-მოწერა ქ. თბილისში მცხოვრები თავადის მეუღლის ელისაბედ ბაგრატიონის მიერ საქართველოს სამეფოს აღდგენის მოთხოვნით მოწოდების გავრცელების შესახებ". ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 1907 წლის 7 მაისს „საქართველოს საკითხი", ანუ საქართველოს სამეფოს აღდგენის შესახებ მოთხოვნა, ელისაბედ ბაგრატიონს შეუტანია განსახილველად რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროში, უმაღლეს სენატში და მინისტრთა საბჭოში.

მაინც როდიდან, კონკრეტულად რა დროიდან უნდა დაინტერესებულიყო ნიკოლოზ II საქართველოს საკითხით? ორი ვერსია შეიძლება არსებობდეს. პირველი ვერსიით, იმპერატორისთვის უკვე 1907 წლის დასაწყისიდან იყო ცნობილი, რომ საქართველოში ემზადებოდნენ ჰაგის კონფერენციისათვის პეტიციის წარსადგენად და რომ, ამავდროულად, ელისაბედ ბაგრატიონის თხოვნები შევიდა რუსეთის შესაბამის სამინისტროებსა და სახელმწიფო სტრუქტურებში.

მეორე ვერსია უფრო მყარია. ნიკოლოზ II-ისთვის მაშინ მაინც გახდა ცნობილი „საქართველოს საკითხი", როცა ქართველების პეტიცია ჰაგის კონფერენციაზე იქნა წარდგენილი და მის შესახებ ვრცელი ინფორმაციები გამოქვეყნდა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის გაზეთებში. როგორც ცნობილია, ჰაგის სამშვიდობო კონფერენცია 1907 წლის 15 ივნისს გაიხსნა და 18 ოქტომბრამდე მიმდინარეობდა. მას შემდეგ, რაც ქართველებმა რუსეთის მონარქიას უჩივლეს საერთაშორისო ფორუმზე და რომანოვების დინასტიას ბრალი დასდეს საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევაში, ნიკოლოზ II დაინტე-

[8] ამის შესახებ იხ: დ. შველიძე. ელისაბედ ბაგრატიონი – საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრე. ჟურნ.: „საისტორიო ვერტიკალები". თბ. 2002, №2, გვ. 48.

რესდა საქართველოს საკითხით. რუსეთის დიპლომატიამ გადაწყვიტა, რომ საერთაშორისო სამართლისათვის სათანადო პასუხი გაეცა. ამისათვის ნიკოლოზ II-მ ცნო საქართველოს და ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის შთამომავლების უფლება სამეფო ტახტზე და გადაწყვიტა, ფორმალურად ეცნო საქართველოს სამეფო, ანუ საქართველოს მონარქიული ავტონომია. სწორედ ყოველივე ამისი შედეგი იყო ელისაბედ ბაგრატიონის საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრედ ცნობა 1907 წლის 19 დეკემბერს ნიკოლოზ II-ის მიერ. რომანოვების დინასტიამ ამით თავისი ისტორიული დანაშაული გამოასწორა და თავი იმართლა საერთაშორისო სამართლის წინაშე.

ისმება კითხვა: ნიშნავდა თუ არა რაიმე კომპრომისს იმპერიის ხელისუფლების მხრიდან ელისაბედ ბაგრატიონის საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეობითი უფლების ცნობა? გარკვეული ფორმალური კომპრომისი იყო. ეს ნაბიჯი, როგორც აღვნიშნეთ, ნიკოლოზ II-ის მხრიდან დასავლეთის სახელმწიფოების წინაშე ერთგვარი რევერანსი გახლდათ. ელისაბედის ტახტის მემკვიდრედ ცნობა არ გახმაურებულა. გარდა ამისა, ეს მხოლოდ ერთჯერადი აქტი იყო, რომელსაც არავითარი რეალური გაგრძელება არ ექნებოდა. საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრედ რუსეთის ხელისუფლებამ სპეციალურად შეარჩია ისეთი პიროვნება, რომელსაც რეალური პოლიტიკური პერსპექტივა არ გააჩნდა საქართველოში. ჯერ ერთი, ელისაბედ ბაგრატიონი ეროვნებით რუსი ქალბატონი გახლდათ, გვარად ბეზობრაზოვა. მეორეც – იგი უშვილო იყო. ელისაბედის სამეფო ტახტის მემკვიდრედ ცნობას მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა რუსეთის ხელისუფლება. მიუხედავად ამისა, ცნობილია, რა თავსატეხი გაუჩინა ქართველი ბაგრატიონების რუსმა რძალმა იმპერიის ხელისუფლებას.[9]

მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა. ჩვენ ის გვაინტერესებს ამჟამად, რომ ნიკოლოზ II ჰაგის კონფერენციის მიმდინარეობის იმ დღიდან მაინც იწყებს დაინტერესებას საქართველოს ავტონომიის საკითხით, როცა ქართველების პეტიცია შევიდა კონფერენციის პროცესში. სწორედ ამ დროიდან – 1907 წლის ივნისიდან, მზადდება პირობები, რომ ნიკოლოზ II დაელაპარაკოს კომპეტენტურ და მდგომარეობითაც ღირსეულ პიროვნებას, რათა გაერკვეს საქმის არსში და გაიგოს ქართველების პოზიცია. ასეთი პიროვნება იმდროინდელ საქართველოში მხოლოდ ილია ჭავჭავაძე შეიძლებოდა ყოფილიყო. ამის

[9] დ. შველიძე. ელისაბედ ბაგრატიონი – საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრე, გვ. 48-55.

შესახებ მოწმობს მაშინდელ საქართველოში გაძლიერებული ხმები, რომ ილია ჭავჭავაძე იმპერატორთან აუდიენციას აპირებდა. ეს უკვე, გამომდინარე ზემოაღნიშნული მოვლენებიდან, სავსებით ბუნებრივი და რეალური ჩანს.

ეროვნული მოძრაობის მეშვიდე მიმართულება – საქართველოში მიმდინარეობდა ეროვნულ-პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციის სერიოზული პროცესი და ამ პროცესის ცენტრში ილია ჭავჭავაძე იდგა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა ზემოაღნიშნული ძირითადი ძალა და მიმართულება ილია ჭავჭავაძესთან იყო დაკავშირებული. ის მოიაზრებოდა ყველა ამ პროცესის ცენტრალურ მაკოორდინებელ პიროვნებად. ილია ჭავჭავაძე, რომელიც მანამდე იყო ქართველი ხალხის ეროვნული საზოგადოებრივ-კულტურული მოძრაობის აღიარებული ორგანიზატორი, 1905-1907 წლებში გახდა სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის პოლიტიკური ლიდერი. მის ავტორიტეტს უსიტყვოდ აღიარებდნენ სოციალისტ-ფედერალისტების პარტია, ანარქისტები თუ კონსტიტუციურ-დემოკრატიული იდეების ქართველი მიმდევრები; ილიას ავტორიტეტს აღიარებდა ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, ე. წ. ავტონომისტი-სოციალ-დემოკრატები, სოციალ-დემოკრატთა გავლენის ქვეშ მყოფი საქართველოს გლეხური, წვრილბურჟუაზიული თუ სხვა ფენების სოლიდური მოაზროვნე ნაწილი. ეს დიდი საშიშროება იყო ქართული იდეის ყველანაირი მოწინააღმდეგეებისთვის.

ვინ იყვნენ ისინი?

ავტონომიის ფორმით ქართული სახელმწიფოს აღდგენისა და მისთვის მებრძოლი მოძრაობის პოლიტიკური ლიდერის უპირველეს მტრად და შეურიგებელ მოწინააღმდეგედ, ცხადია, რჩებოდა და იყო რუსეთის მონარქისტული იმპერიის ხელისუფლება, განსაკუთრებით მისი მხარდამჭერი მემარჯვენე ძალები, სპეცსამსახურები და ა. შ.

ქართული სახელმწიფოს იდეის სასტიკი მოწინააღმდეგე იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე, მენშევიკური და ბოლშევიკური ფრაქცია, მათი ქართული ორგანიზაციები და მხარდამჭერები. რევოლუციის დამარცხებამ ძლიერ შეასუსტა პარტიის პოზიციები. საქართველოში ბოლშევიკებმა სრულიად დაკარგეს გავლენა და პირველობა მენშევიკებს დაუთმეს. მენშევიკი სოციალ-დემოკრატები იძულებულნი გახდნენ, ხელი აეღოთ შეიარაღებულ ბრძოლაზე და საპარლამენტო და ლეგალურ-პროპაგანდისტულ საქმიანობაზე აეღოთ ორიენტაცია. რაც მთავარია, რევოლუციაში დამარცხებული

სოციალ-დემოკრატები განსაკუთრებული გაღიზიანებით ადევნებდნენ თვალ-ყურს საქართველოში გაძლიერებულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოძრაობას.

ნაციონალიზმის გაძლიერებას სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრთა აღიქ-ვამდა, როგორც „მასებზე" გავლენის დაკარგვის საშიშროებას და ამ საფრთხეს წონასწორობიდან გამოჰყავდა მესამედასელი ლიდერები, აქტივისტები და მათი მხარდამჭერები. რუსულ-კავკასიურ ბიუროკრატიას ისინი ვეღარ ებრძოდნენ. სა-მაგიეროდ, მათ პროპაგანდისტული ბრძოლის მახვილი მიმართეს ქართული ნა-ციონალიზმის წინააღმდეგ. პრესა გაივსო ქართული „ბურჟუაზიული ნაციონა-ლიზმის", „თავადაზნაურული ნაციონალიზმის", სხვა კლასობრივი მტრების კრი-ტიკით. ბოლშევიკმა ფილიპე მახარაძემ მიზანში ილია ჭავჭავაძე ამოიღო. სიმართ-ლე უნდა ითქვას: ქართული სოციალ-დემოკრატიის „დალაი ლამამ" – ნოე ჟორ-დანიამ, პირიქით, თავი ანება ილიას წინააღმდეგ კრიტიკას და მწვავე პოლემიკას აწარმოებდა ქართული ნაციონალიზმის მეორე მთავარი იდეოლოგის – არჩილ ჯორჯაძის წინააღმდეგ. რამდენიმე წლის განმავლობაში ქართველი საზოგადოება სუნთქვაშეკრული ადევნებდა თვალყურს პრესაში ატეხილ ანტიავტონომისტურ-სახელმწიფოებრივ კანონადას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ საქართვე-ლომ ყველა საგარეო მოწინააღმდეგე დაამაარცხა და რჩებოდა ერთადერთი მტერი – ქართული ნაციონალიზმი, რომლის ლიკვიდირების შემდეგ ქვეყნიერებაზე სო-ციალური იდილია დამყარდებოდა.

როცა სოციალ-დემოკრატებზე ვსაუბრობთ, რა თქმა უნდა, არ უნდა დაგვავიწყდეს რსდმპ-ს უკან მდგარი დიდი რევოლუციური „მასა", კლასობ-რივი ბრძოლის ბანგით ფანატიზირებული, სოციალური უსამართლობით გაწა-მებული და გაბოროტებული მოსახლეობის ჯგუფები: ტერორისტები, ტყეში გავარდნილი „წითელი რაზმები", შურისმაძიებელი „ტყის ძმები", გლეხურ-მუშური ფენებიდან გამოსული სხვადასვა ტიპის გაბანდიტებული ინსურგენ-ტები, რომელთა ერთობლიობა ქმნიდა დიდ, საშიშ, ანტისოციალურ სტიქიას, ანუ, როგორც აკაკი ბაქრაძე უწოდებდა – ლიანგს. აგრესიული ქუჩა, აგრესი-ული ატმოსფერო, აგრესიული ყოველდღიურობა ცალკე ფაქტორს ქმნიდა და უმართავი, უკონტროლო სტიქიის სახეს ატარებდა. „ხალხი ჯერ არ დაწყნა-რებულა, ღელავს და ბობოქრობს.., – წერდა ოლღა გურამიშვილი მარჯორი უორდროპს. – ღმერთმა უწყის, როდის მოეღება ბოლო ჟლეტას და სიკვ-დილით სიცოცხლის მოსპობას. ჩვენ ქალაქ თბილისშიც დღე არ გავა, რომ სადმე იქვე ქუჩაში ბომბი არ გაისროლონ... ძალიან აუტანელი დრო!".[10]

[10] გ. შარაძე. ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე, გვ. 268.

ერთი სიტყვით, ილია ჭავჭავაძის მოსალოდნელი მოკვლის საფრთხე ჰაერში ტრიალებდა. ის სოციალ-დემოკრატმა ლიდერებმა და იდეოლოგებმა იდეურად მოამზადეს. ამგვარ ვითარებაში იმპერიის სპეცსამსახურებს ისღა დარჩენოდათ, გაყუჩებულიყვნენ და მოვლენების თავიანთთვის სასურველი მსვლელობისათვის ხელი არ შეეშალათ, პირიქით, ფარულად ხელიც კი შეეწყოთ.

და აი, ამ დროს თბილისში, საგურამოსა და პეტერბურგს შორის დადიოდა ერთი კაცი, რომელიც მრავალმხრივი ნიშნით იყო მიჩნეული არაერთი სოციალური ფენის, არაერთი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენის, პროცესისა თუ ინსტიტუტის სიმბოლური განმასახიერელ-მატარებელად. ილია იყო: მავანთათვის – თავადაზნაურობის თავკაცი; მავანთათვის – მემამულე; სხვებისთვის – მსხვილი ბანკირი; ზოგიერთებისთვის – შეურიგებელი და დაუნდობელი პოლემისტი; სხვათათვის – მშრომელი და დაჩაგრული გლეხობის ქომაგი, ყმათა განმათავისუფლებელი, ბატონყმობისა და ყოველგვარი უსამართლობის მტერი; მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ყველასათვის – ერის, ეროვნების დამცველი, ნაციის იდეოლოგი და მამამთავარი, რომელიც ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისათვის მიმდინარე მოძრაობის მთავარი პოლიტიკური ლიდერი გახდა. რატომ მოკლეს? თუ ილია ჭავჭავაძე ცოცხალი არ იქნებოდა, რამდენიმე ზემოდასახელებულ-დასაბუთებული ეროვნული მოძრაობის მიმართულებას ან წერტილი დაესმებოდა ან დიდი ხნით შეფერხდებოდა. ასე შეიძლებოდა ეფიქრა და ფიქრობდა კიდეც საქართველოს იდეის ყველა მოწინააღმდეგე. თუ ილიას ფიზიკური ლიკვიდაცია განხორციელდებოდა:

პირველი – ქართულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოძრაობას რუსეთის იმპერიის უმაღლეს საკანონმდებლო-სათათბირო ორგანოში, სახელმწიფო საბჭოში, აღარ ეყოლებოდა წარმომადგენელი, დიდი გავლენის მქონე მფარველი და მრჩეველი, პრაქტიკული მხარდამჭერი;

მეორე – ვეღარ შეიქმნებოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელა ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისათვის, მებრძოლი ძალებისათვის, ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის. შემდგომში ასეც მოხდა – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნა მხოლოდ ათი წლის შემდეგ – 1917 წელს, რუსული მონარქიის დამხობის შემდეგ გახდა შესაძლებელი;

მესამე – საქართველოში იმხანად მიმდინარე ძლიერი ავტოკეფალისტური მოძრაობა შეწყდებოდა, დამარცხდებოდა, კარგა ხნით ჩაკვდებოდა. ეს ასეც

მოხდა. ილიას მკვლელობის შემდეგ იმპერიის ხელისუფლებამ საქართველოში ეგზარქოსად მოავლინა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოძულე ნიკონი. ეს აქტი ავტოკეფალური მოძრაობის სასიკვდილო განაჩენს ნიშნავდა. მას შემდეგ, რაც 1908 წელს ეგზარქოსი ნიკონი მოკლეს, იმპერიის ხელისუფლებამ ეს აქტი კარგად გამოიყენა. მკვლელობა ავტოკეფალური მოძრაობის ლიდერებს დააბრალა და ისინი გადაასახლა. ავტოკეფალური მოძრაობა საქართველოში კარგა ხნით მინელდა;

მეოთხე – საფრთხე შეექმნებოდა და ჩაიშლებოდა ილიას მიერ ინიცირებულ-მიღწეული შეთანხმება ქართველ სოციალ-დემოკრატებთან, რათა ამ უკანასკნელებს თავი შეეკავებინათ ავტონომიის წინააღმდეგ კრიტიკისაგან სახელმწიფო სათათბიროში მაინც;

მეხუთე – ილიას მკვლელობის შემდეგ საქართველოში აღარ იქნებოდა ისეთი ავტორიტეტული, მაღალი სოციალური სტატუსის მქონე პატრიოტი, ერის სახელით მოლაპარაკე პიროვნება, რომელსაც შეეძლებოდა ან საქართველოს ავტონომიის ან ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე რუსეთის იმპერატორთან საუბარი;

მეექვსე და ყველაზე მთავარი – შეწყდებოდა ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ძალებისა და მოძრაობის კონსოლიდაციის პროცესი.

აი, რამდენ საფრთხეს შეიცავდა და თავისი სხეულით და გონით ატარებდა ილია ჭავჭავაძე და თუ ის აღარ იქნებოდა, რამდენი პრობლემა მოუგვარდებოდა მის ყველა და ყველანაირ მოწინააღმდეგეს.

დასკვნის მაგიერ: წინამდებარე წერილის მიზანი იმ მიზეზთა დაფიქსირება-დასაბუთება გახლდათ, თუ რატომ გახდა საჭირო ილია ჭავჭავაძის ფიზიკური ლიკვიდაცია. ამ წერილის შინაგანი ლაიტმოტივი კი ის გახლავთ, რომ ილიას კონკრეტული მკვლელი, რომელიმე პარტია, ხელისუფლება თუ პირთა ჯგუფი იმდენად არ იყო, რამდენადაც ის ატმოსფერო, ის განხეთქილება, რომელიც პოლარულად აპირისპირებდა ქართული საზოგადოებისა და ქვეყნის მოსახლეობის ორ დიდ ბანაკს. 1900-იან წლებში ჩასახული მახინჯი მოვლენა ქართული საზოგადოების განხეთქილებისა შემდგომშიც არაერთხელ განმეორდა.

იგივე და უფრო დიდი მასშტაბით განმეორდა 1980-იან წლებში და ეროვნული ხელისუფლების დამხობით დაგვირგვინდა; ამ განხეთქილებამ დააპირისპირა საქართველოს ქართული მოსახლეობა მთელი 1990-ანი წლების განმავლობაში; ამ განხეთილების განეიტრალება ვერ შეძლო ვერც ერთი

პრეზიდენტის ხელისუფლებამ. პირიქით, ისინი თითქოს ხელსაც უწყობდნენ პოლარიზაციას ზოგი თავისი გაუაზრებელი პოლიტიკით, ზოგი – კარიერისტული ეგოცენტრიზმით, ზოგი კი – საზოგადოების გარდაქმნის იდეალის ძალისმიერი დანერგვით. ხოლო კონფრონტაციული საზოგადოების, ურთიერთდაპირისპირებული მოსახლეობისა და პოლიტიკური ელიტის ატმოსფეროში ყოველთვის ჩნდებოდნენ და გამოჩნდებიან სხვადასხვა ჯურის ბერბიჭაშვილების მსგავსი შემსრულებლები. ესაა ილიას მკვლელობის მთავარი გაკვეთილი და პასუხი კითხვაზე: რატომ მოკლეს ილია ჭავჭავაძე.

Dimitri Shvelidze

WHY WAS MURDERED ILIA TCHAVTCHAVADZE

Summary

The period from 1905 to 1907 saw the intensification of the process of consolidation of national political forces. The idea of restoration of a national state became popular. It started with the creation of National-Democratic Party and the strengthening movement for restoration of the Autocephaly of the Georgian Orthodox Church.

During this period, Ilia Tchavtchavadze became a political leader and a main figure in the movement for the restoration of statehood. All branches of the national movement were gathering around him. Nevertheless the personality of Ilia Tchavtchavadze appeared to be unacceptable for the opponents of Georgian statehood, especially for the Russian government and the Social-Democratic Party.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VIII
თბილისი. 2013-2014

თენგიზ სიმაშვილი,
ნინო სოზაშვილი

ფერეიდნელი ქართველების – ონიკაშვილისა და ხუციშვილის ურთიერთობა ქართულ პოლიტიკურ პარტიებთან 1907-1910 წლებში

ქართულ ისტორიოგრაფიაში ბევრი რამ შეუსწავლელია ფერეიდნელ ქართველებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. როგორც ირკვევა, ქართული ისტებლიშმენტის და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ნაწილი ჯერ კიდევ 1900-იანი წლების დასაწყისში დაინტერესებული იყო საქართველოს ფარგლებს გარეთ კომპაქტურად მცხოვრებ ქართველებთან კავშირ-ურთიერთობის დამყარებით. თუმცა, მათი ინტერესი სხვადასხვა მიზნიდან გამომდინარეობდა. იაკობ გოგებაშვილის, სამსონ ფირცხალავას, ზაქარია ჭიჭინაძის, გიორგი ლასხიშვილის და სხვა თანამედროვეების მოგონებებიდან ჩანს, რომ 1907 წელს საქართველოში ორი ფერეიდნელი ქართველი – ყოლამ-ჰუსეინ ონიკაშვილი და ყოლამ-რეზა ხუციშვილი ჩამოვიდნენ.[1]

ონიკაშვილის და ხუციშვილის საქართველოში ჩამოსვლის და აქ ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ საინტერესო წერილი აქვს მიძღვნილი გიორგი მახარაძეს. მისი ინფორმაციით, ისინი საქართველოში პირველად 1896 წელს ჩამოსულან, ხელმეორედ კი – 1907 წლის იანვარში. გ. მახარაძის მოძიებული მასალების მიხედვით, ისინი ჯერ ცნობილ საზოგადო მოღვაწე ლუარსაბ ბოცვაძესთან დაუბინავებიათ, შემდეგ კი მათთვის უმასპინძლია მღვდელ ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილს. „ქართველთ შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ უკისრია მათი პატრონობა. იაკობ გოგებაშვილი წერს: *„წერა-კითხვის საზოგადოებამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამ ძვირფასი სტუმრების ბედში. გადასდო საკმარისი ფული მათ შესანახად,*

[1] გ. მახარაძე. პირველი ფერეიდნელები, რომლებმაც წინაპართა სამშობლო მოინახულეს. ჟურნალი „გზა“, №3 (397), 2008 წ. 17-23 იანვარი.

დაუნიშნა მასწავლებლად საუკეთესო ქართველი პედაგოგი, რომელმაც სამიოდე თვის განმავლობაში საფუძვლიანად შეასწავლა ქართული წერა-კითხვა, გააცნო ზედმიწევნით ქართული“.[2]

იმდროინდელი ქართული საზოგადოების ეროვნულ ნიადაგზე მდგომ პირებს ონიკაშვილი და ხუციშვილი დაჰყავდათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, უმართავდნენ საღამოებს და აამბობინებდნენ ფერეიდანში მცხოვრები ქართველების ცხოვრების შესახებ.

როგორც ჩანს, ქართული სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წამყვანი წევრებიც დიდ დაინტერესებას იჩენდნენ ამ ადამიანების მიმართ. დასახელებული პარტიის ერთ-ერთი აქტიური წევრი, სამსონ ფირცხალავა, მოგზაურობების დროს ონიკაშვილს და ხუციშვილს ხშირად დაჰყვებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.[3]

სამსონ ფირცხალავა წერს: *„ერთი ასეთი მოგზაურობის დროს მცხეთის სადგურზე მოულოდნელად შევეჩეხეთ ილიას – ის, ალბათ, საგურამოდან თბილისში მოდიოდა. ილია ბუფეტიდან გამოდიოდა, ჩვენ ბუფეტში შევდიოდით. მივესალმე ილიას. იგი ყურადღებით ჩააცქერდა ჩემს თანამგზავრებს, მიხვდა, ვინც იყვნენ, შევატყვე, უნდოდა მათთან გამოლაპარაკება, მაგრამ მე რატომღაც უხერხულად მივიჩნიე გაჩერება და მაშინვე ბუფეტში შევედი ჩემი თანამგზავრებით. მალე ვიგრძენი ჩემი შეცდომა და საყვედური ვუთხარი ჩემს თავს. რატომ ვიყავი ასე ტლანქი, ვერ გამოვიჩინე უბრალო ზრდილობა და თავაზიანობა და არ მივეცი საშუალება მოხუცს, დამსახურებულს მოღვაწეს, დიდს პოეტსა და მამულიშვილს დამტკბარიყო ცოტა ხანს მაინც საქართველოს მოწყვეტილ ქართველებთან შეხვედრით და საუბრით? რატომ? იმიტომ, რომ ილია ვითომც „მემარჯვენე“ იყო და მე ჩემი თავი „მემარცხენედ“ მიმაჩნდა?“.*[4]

ზემოდასახელებულ თანამედროვეთა მოგონებების მიხედვით, ხუციშვილისა და ონიკაშვილის ჩამოსვლის მიზანი და ერთადერთი სურვილი იყო, *„აქაურ ქართველობას როგორმე მუდმივი კავშირი ჰქონოდა სპარსეთის ქართ-*

[2] ი. გოგებაშვილი. პატარა საქართველო სპარსეთში (ისტორიული მოთხრობა). http://www.urakparaki.com/?m=13&Forum=20&Theme=297&st=20.

[3] ს. ფირცხალავა. მაჰმადიანი ქართველები საქართველოს გარედ სპარსეთში. http://www.ai-ia.info/online-arqivi/111-samson-pircxalava-mahmadiani-qartvelebi-saqartvelos-gared.htm

[4] ს. ფირცხალავა. მაჰმადიანი ქართველები საქართველოს გარედ სპარსეთში.

ველებთან, რომ იქ ფერეიდანში ქართული სკოლა გახსნილიყო და იქიდან ჩამოეყვანათ რამდენიმე ყმაწვილი აქ, საქართველოში აღსაზრდელად და მოსამზადებლად“. ფერეიდანში უკან დაბრუნებულ ონიკაშვილსა და ხუციშვილს თან გაატანეს „დედა-ენა“ და სხვა ქართული სახელმძღვანელოები. ზოგიერთი ცნობის მიხედვით მათთვის გაუყოლებიათ მასწავლებელიც, მაგრამ საზღვარზე გადასვლისას ყაჩაღები დასხმიან თავს, მასწავლებელი დაუჭრიათ და იგი უკან დაბრუნებულა. ის გეგმა, რომ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სახელით გაეხსნათ პირველი ქართული სკოლა, ჩაშლილა. ამასთან, თეირანში გულის ავადმყოფობით გარდაცვლილა ხუციშვილი.

ფერეიდნელი ქართველების შემდგომი ბედის შესახებ ზემოდასახელებულ თანამედროვეებთან მწირ მასალას ვხვდებით. გ. ლასხიშვილის ინფორმაციით – *„ერთი მათგანი რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ დაბრუნებულა საქართველოში, მაგრამ ყოველი გეგმა კავშირის დაჭერისა და იქ ქართული სკოლის დაარსებისა, სრულ დავიწყებას მიეცა“.*[5]

ს. ფირცხალავას სიტყვებით: *„ონიკაშვილი დიდხანს ელოდა აქედან კაცის ჩასვლას და სკოლის გამართვას და რაკი ვერაფერს ელირსა, მეორედ ჩამოვიდა.“* მისი მოგონებების მიხედვით, საქართველოში კვლავ ჩამოსული ონიკაშვილი (1910 წელი) დაუპატიმრებიათ და 7 თვეს ციხეში მჯდარა, შემდეგ რუსეთის იმპერიის ტერიტორიიდან გაუძევებიათ, ირანში დაბრუნებულა და სავარაუდოდ მალევე გარდაცვლილა.[6]

ფერეიდნელი ქართველების საქართველოში ჩამოსვლა და მათი ქართული საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოქცევა არ გამოეპარა მეფის საიდუმლო პოლიციას – თბილისის „ოხრანკის“ განყოფილებას. საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ თბილისის „ოხრანკის“ განყოფილებას ონიკაშვილისა და ხუციშვილის შესახებ ინფორმაციას სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიაში „ოხრანკის“ საიდუმლო აგენტები აწვდიდნენ.

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის შესახებ საიდუმლო ცნობების მიმწოდებელი აგენტის – დიმიტრი ჯაშის, აგენტურული მეტსახელით „სლუჩაინის“ მოხსენებებში გვხვდება ვრცელი, დეტალური ინფორმაცია სოციალისტ-ფედერალისტების პარტიული კონფერენციებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. ასევე გვხვდება დოკუმენტები, რომელშიც აღნიშნულია,

[5] გ. ლასხიშვილი. მემუარები. http://www.webmix.ge/vvi/doc.php?doc=902.

[6] ს. ფირცხალავა. ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების გარშემო. http://www.ireporter.ge/ilia-tchavtchavadzis-gardatsva/.

რომ დასახელებული პარტიის მიზანს წარმოადგენდა დაემყარებინათ კავშირი თურქეთსა და ირანში, ფერეიდანში, მცხოვრებ ქართველებთან.[7]

დ. ჯაში – „სლუჩაინის“ 1910 წლის დასაწყისში მიწვდილ ერთ-ერთ „აგენტურულ ცნობაში“ საუბარია სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის იმ პრაქტიკული ნაბიჯების შესახებ, რის საშუალებითაც ეს პარტია ცდილობდა ირანსა და თურქეთში კომპაქტურად მცხოვრებ ეთნიკურად ქართველ მუსულმანებთან მჭიდრო კავშირების დამყარებას. ჯაში-„სლუჩაინის“ ინფორმაციით, ქართველების რაოდენობა თურქეთში – 200000-ს, ხოლო ირანში 300000-400000 ადამიანს აღწევდა.[8] აქვე ვკითხულობთ: *„რუსი ქართველების სპარსელ ქართველებთან ურთიერთობა დაიწყო ჯერ კიდევ 1907 წელს, როდესაც ისპაჰანის ადგილიდან – გურჯისტანიდან* (იგულისხმება ფერეიდანი – ავტ.) *თბილისში ჩამოვიდნენ კოლა-მრეზი ხუციშვილი და კოლა-ჰუსეინ ონიკაშვილი.“* ჯაში-„სლუჩაინი“ აღნიშნავს, რომ ონიკაშვილსა და ხუციშვილს თბილისში შეუსწავლიათ ქართული ენა (რეალურად საქართველოში მათ შეისწავლეს ქართულად წერა-კითხვა – ავტ.) და გაცნობიან სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის მიზნებს (დოკუმენტი 1).

ჯაში-„სლუჩაინის“ ამ „აგენტურულ ცნობაში“ მითითებულია, რომ ხუციშვილი დაბრუნდა სამშობლოში და დააარსა „სპეციალური ბიურო“ – *„რომელსაც თავის მიზნად დაუსახია გურჯისტანი (ფერეიდანი – ავტ.) ქართული სკოლების ქსელით დაეფარა, რათა ამ გზით მოემზადებინათ ნიადაგი პროპაგანდისათვის ფედერაციული კავშირის შექმნის შესახებ... ბიუროს მოვალეობაა თბილისში მივლინება განსაკუთრებულ-უნარიანი ახალგაზრდების – სპარსელი ქართველებისა, რათა მათ შეისწავლონ მშობლიური ქართული“.*[9]

როგორც ზემოთ განხილული მასალებიდან ჩანს, სოციალისტ-ფედერალისტური პარტია დაინტერესებული იყო საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები თანამემამულეების ბედით და საკმაოდ შორს მიმავალი გეგმებიც ჰქონდა. ცხადია, ამ პარტიის აქტიური საქმიანობა არ შედიოდა რუსეთის საიდუმლო პოლიციის ინტერესებში და 1910 წელს ჯაში-„სლუჩაინის“ და სხვა აგენტების საქმიანობამ შედეგი გამოიღო, სოციალისტ-ფედერალისტური

[7] საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 95. აღწერა 1. საქმე 48.
[8] საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 95. აღწერა 1. საქმე 48, გვ. 83.
[9] საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 95. აღწერა 1. საქმე 48.

პარტიის ლიდერები და წამყვანი წევრების უმეტესობა, მათ შორის ს. ფირცხალავა, გ. ლასხიშვილი და სხვები დააპატიმრეს.[10]

საარქივო მასალების მიხედვით, დაახლოებით იმავე დროს, 1910 წლის მაისში, დააპატიმრეს საქართველოში დაბრუნებული ფერეიდნელი ქართველი ონიკაშვილი. მისი დაპატიმრების შესახებ ინფორმაცია მოიპოვება თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს მასალებში. კერძოდ, სამმართველოს უფროსის, პესტრულინის მოხსენებაში, რომელიც ეხება სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ლიდერებისა და სხვა აქტიური წევრების დაპატიმრებას. მოხსენებაში მოცემულია ცნობები მათი საქმიანობის შესახებ. ამ ცნობებში კი ონიკაშვილის შესახებაცაა საუბარი. დოკუმენტის მიხედვით, 1910 წლის 4 მაისს – *„საქმიანი მონაწილეობისათვის სპარსეთში აგიტაცია-პროპაგანდაში, სპარსეთის ქვეშევრდომი ისპაჰანის მხარის, ფერეიდანის ოლქის, სოფელ მარტყოფის (ახორაბალი) ქართველი გლეხი კოლაგალ ჰუსეინ მაგომეთ-ოღლი ონიკაშვილი, 35 წლის, გაჩხრეკილ და დაპატიმრებულ იქნა დუშეთის მაზრაში“*.[11]

ამ დოკუმენტის ავტორს, სავარაუდოდ, აგენტ ჯაში-„სლუჩაინის“ მიწოდებული ინფორმაციითაც უსარგებლია, რადგან თითქმის სიტყვასიტყვით მეორდება ინფორმაცია, რომ *„ონიკაშვილი ჯერ კიდევ 1907 წელს სპარსელ ქართველ კოლა-რეზამ ხუციშვილთან ერთად ჩამოვიდა თბილისში, სადაც შევიდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრებთან ახლო ურთიერთობაში“*. აქვე მეორდება, რომ ონიკაშვილსა და ხუციშვილს *„ქართველ სპარსელებში უნდა გაეტარებინათ იდეა სპარსელ, თურქი და რუსი ქართველების“* მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ფედერაციული კავშირის შექმნის შესახებ. ამ დოკუმენტებში ონიკაშვილისა და ხუციშვილის ქართულად წერა-კითხვის მასწავლებლებად დასახელებული არიან – სამსონ ფირცხალავა და ლუარსაბ ბოცვაძე. მითითებულია, რომ ირანში დაბრუნებულმა ზემოდასახელებულმა ფერეიდნელმა ქართველებმა სპარსეთში ქართული სკოლების დაარსება დაიწყეს.[12]

ამასთან, 1910 წლის მაისში საიდუმლო პოლიციის თანამშრომლებმა უკვე დანამდვილებით იცოდნენ, რომ 1909 წელს გარდაიცვალა ხუციშვილი

---

[10] თ. სიმაშვილი. თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების აგენტი დიმიტრი ჯაში და სოციალისტ-ფედერალისტები. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. IV. თბ. 2012.

[11] საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 153. აღწერა 1. საქმე 1834. გვ. 1, 9.

[12] საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 153. აღწერა 1. საქმე 1834.

და არა ონიკაშვილი. ირკვევა ისიც, რომ მათ უკვე მიღებული ჰქონდათ ინ-ფორმაცია 1910 წლის მარტში ონიკაშვილის უკან დაბრუნების შესახებ. საქართველოში ონიკაშვილის დაბრუნების მიზეზად დასახელებულია ინიციატივა, *„სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ინიციატივა – სპარსეთში, თურქეთში და რუსეთში მცხოვრები ქართველების გამაერთიანებელი კონგრესის მოსამზადებლად.“* აღნიშნულია, რომ ამ მიზნის განსახორციელებლად ონიკაშვილი სხვა ფედერალისტებთან ერთად საქართველოდან თურქეთში აპირებდა წასვლას, მაგრამ 1910 წლის 4 მაისს დააპატიმრეს დუშეთის მაზრის სოფელ წინამძღვრიანთკარში.

როგორც სხვა მასალებიდან გაირკვა, ფერეიდნელი ქართველები, ხუციშვილი და ონიკაშვილი, ჯერ კიდევ 1907 წელს, საქართველოში ჩამოსვლისას, გარკვეული დროის განმავლობაში დუშეთის მაზრის სოფელ წინამძღვრიანთკარშიც ცხოვრობდნენ. ვახტანგ გიორგის ძე წინამძღვრიშვილის ხელნაწერის, „მოგონებები ილია ჭავჭავაძის შესახებ“, მიხედვით, რომელიც ალექსანდრე კოჭლავაშვილის ფონდში მოვიძიეთ, მათი ოჯახი ე.წ. „მესამედასელთა“ შეკრების ადგილს წარმოადგენდა.[13]

ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ: ისიდორე რამიშვილი, ფილიპე მახარაძე, ნოე ჟორდანია და სხვა სოციალ-დემოკრატები. მოგონებების ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ მათთან იმალებოდნენ *„ირანიდან ფარულად ჩამოსული ქართველი ძმები ონიკაშვილები“*. ვ. წინამძღვრიშვილი წერს: *„ფერეიდნელი ქართველების მათ ოჯახში ყოფნა გაიგო სოფელ ახატნის პრისტავმა საშა ნათიშვილმა და მისი მამა გააფრთხილა – „ვიცი, ონიკაშვილები თქვენთან იმალებიან, რაც სახიფათოა როგორც მათთვის, ასევე თქვენთვის და აქედან წავიდნენო.“* ვ. წინამძღვრიშვილის სიტყვებით, ისინი *„მართლაც გაემგზავრნენ და ერთი მათგანი ბაქოში (თეირანში – ავტ.) გარდაცვლილა“*.[14]

ალ. კოჭლავაშვილის ფონდში არსებულ სხვა დოკუმენტში, კერძოდ,

[13] ალექსანდრე კოჭლავაშვილი მუშაობდა სხვადასხვა პარტიულ და სახელმწიფო ორგანოში, მათ შორის 1952-1953 წლებში იყო სსსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი. 1941 წლის 23 მაისიდან 6 აგვისტომდე მუშაობდა სსსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ნაწილის უფროსად. ამ დროს რამდენიმეჯერ დაკითხული ჰყავს გიგლა ბერბიჭაშვილი. იყო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. სხვა თემატიკასთან ერთად 1950-1960-იან წლებში ნაყოფიერად მუშაობდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მასალებზე.

[14] საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი. ალექსანდრე კოჭლავაშვილის ფონდი. წინამძღვრიანთკარის მცხოვრებლების მოგონებები.

პავლე წინამძღვრიშვილის 1958 წელს დაწერილ მოგონებაში, აღნიშნულია, *„ვახტანგის (ვ. წინამძღვრიშვილი) მამა გიორგი იყო ილია წინამძღვრიშვილის ბიძა და ირანიდან ჩამოსული ძმები ონიკაშვილები ერთხანს თავს ინახავდნენ გიორგის ოჯახში“*.[15]

ახლად მოძიებული მასალებიდან ირკვევა, რომ 1910 წლის გაზაფხულზე ირანიდან საქართველოში დაბრუნებული ონიკაშვილის როლი სრულიად განსხვავებული იყო იმისგან, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. კერძოდ, 1908-1914 წლებში დუშეთის მაზრის სოციალ-დემოკრატიული პარტიის სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელის, 1905-1921 წლებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრის, გიორგი ტატიშვილის დღემდე გამოუქვეყნებელი მოგონებები საკმაოდ საინტერესო მასალებს შეიცავს ამ საკითხთან დაკავშირებით.[16]

გ. ტატიშვილი თავის ერთ-ერთ დღემდე გამოუქვეყნებელ მოგონებაში, სათაურით „კოლია ონიკაშვილი პერსია“, სულ სხვაგვარად აღწერს იმ პერიოდში ხუციშვილის და ონიკაშვილის საქართველოში ჩამოსვლის რეალურ მიზეზებს (დოკუმენტი 2).[17] მისი სიტყვებით, 1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ სოციალ-დემოკრატი „წითელრაზმელები“ იძულებული გახდნენ, წასულიყვნენ თურქეთსა და ირანში დაწყებულ რევოლუციებში მონაწილეობის მისაღებად. სხვა მოგონებაში, „ციმბირიდან გამოპარვა“, ტატიშვილი საკუთარ თავს ასახელებს გორისა და დუშეთის მაზრაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის პასუხისმგებელ პირად. აღნიშნავს, რომ, სწორედ მას ევალებოდა ირანში რევოლუციონერების გაგზავნის ორგანიზება. მისი სიტყვებით – *„1908 წლის ივნისში 5 რიცხვიდან ცენტრალურმა კომიტეტმა გორიდან დუშეთის მაზრაში გამიყვანა მაზრის კომიტეტად და დამავალეს: 1. აღმედგინა დაშლილი პარტიული ორგანიზაციები; 2. წითელ რაზმელი ტერორისტები, რევოლუციონერი ხელმძღვანელები თავიანთი იარაღებით*

---

[15] საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი. ალექსანდრე კოჭლავაშვილის ფონდი. წინამძღვრიანთკარის მცხოვრებლების მოგონებები, №27433.

[16] გვინდა აქვე მივუთითოთ, რომ გიორგი ივანეს ძე ტატიშვილი (ტატიაშვილი) იყო ის პირი, ვინც სოციალ-დემოკრატიული პარტიის დავალებით „იძიებდა“ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეს და ცდილობდა, ამ პარტიისგან აეცილებინა ილიას მკვლელობაში მათი ტერორისტების მონაწილეობის კვალი. ამ საკითხს სხვა კვლევაში შევეხებით.

[17] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება. ფონდი 267. აღწერა 1. საქმე 58, გვ. 3-4.

დიდი სიფრთხილით პერსიაში გამეგზავნა რევოლუციონერებთან სათარ-ბეგ-ხანთან დასახმარებლად...; 3. ყველაზე დიდი სახიფათო იყო პოეტ ილია ჭავ-ჭავაძის ვერაგულად მკვლელების აღმოჩენა. სასტიკი დავალება – ორში ერ-თი ან სიკვდილი ან შესრულებაო, ასეთი იყო თბილისის კომიტეტის დავა-ლება ყოველთვის".[18]

ალ. კოჭლავაშვილის ფონდში მოვიძიეთ გიორგი ტატიშვილის 1958 წლის 26 ნოემბრით დათარიღებული წერილი, რომელშიც იგი აკონკრეტებს, რომ 1908 წლის ივნისში გორში წავიდა ვ. ცაბაძის მითითების თანახმად, რათა განეიარაღებინა იქ მოქმედი „წითელრაზმელები". ამ დავალების შესრუ-ლების შემდეგ გ. ტატიშვილი უკვე თბილისის კომიტეტის დავალებით წა-სულა დუშეთში და იქაც განუიარაღებია „წითელრაზმელები"' და მათი ნაწი-ლი სპარსეთში გაუგზავნია.[19]

გ. ტატიშვილი, სხვა, ასევე გამოუქვეყნებელ დოკუმენტში – 1949 წელს სსსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, ასევე სსსრ პროკურო-რის თანაშემწის სახელზე გაგზავნილი განცხადებაში, სათაურით „წერილი საგურამოდან", კვლავ იმეორებს ზემოაღნიშნულს და წერს, რომ დუშეთის მაზრაში მისი ჩასვლის და შეხვედრის შემდეგ „წითელრაზმელების" ხელმძ-ღვანელებმა ტერორისტების ნაწილს მისცეს ფული, პასპორტები და „პერ-სიაში გაისტუმრეს". ასევე მოქცეულა ცნობილი ტერორისტი და ადგილობ-რივი „წითელი რაზმის" უფროსი ილიკო იმერლიშვილიც, რომელმაც, მისი სიტყვებით, *„6 კაცი დაიტოვა და დანარჩენი თავშესაფრად გააგზავნა დროე-ბით"*. გ. ტატიშვილი სხვა მასალებშიც ადასტურებს, რომ სწორედ იგი უზ-რუნველყოფდა დუშეთის მაზრიდან ირანში რევოლუციონერების და „წითელ რაზმელების" გაგზავნას.[20]

გ. ტატიშვილის მიხედვით, მას ამ საქმეში ქმედით დახმარებას უწევდ-ნენ – *„პერსიაში გატაცებული გამაჰმადიანებული ქართველები კოლია ონი-კაშვილი და ფედო ხუციშვილი"*.[21] ტატიშვილი სხვაგან წერს, რომ ონიკაშ-

[18] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება. ფონდი 267. აღწერა 2. საქმე 10, გვ. 26-34.
[19] საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატუ-რის სახელმწიფო მუზეუმი. ალექსანდრე კოჭლავაშვილის ფონდი. გიორ-გი ტატიშვილის ხელნაწერი, 48ხ.
[20] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატუ-რისა და ხელოვნების განყოფილება. ფონდი 303. აღწერა 1. საქმე 1059, გვ. 1-14.
[21] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება. ფონდი 267. აღწერა 2. საქმე 10, გვ. 26-34.

ვილი და ხუციშვილი საქართველოში 1907 წელს ჩამოვიდნენ და ქართული საზოგადოების წარმომადგენლებმა *„ბევრგან მიიწვიეს, შესახვედრი საღამოები გაუმართეს“*, მაგრამ *„მათი მიზანი და დავალება სულ სხვა იყო“*.[22] მისი სიტყვებით, ონიკაშვილი და ხუციშვილი ირანში დაწყებული რევოლუციის მეთაურებმა – სათარ-ხანმა და ბაგირ-ხანმა გამოგზავნეს. მათ საქართველოს რევოლუციურ კომიტეტთან და ამხანაგ სტალინთან, სერგო ორჯონიკიძესთან დადეს ხელშეკრულება, რომ *„აქედან იარაღით და „წითელ რაზმელებით“ და ხელმძღვანელი რევოლუციონერი ამხანაგები გაეგზავნათ და დახმარებოდნენ.“* აქვე ვკითხულობთ: *„ონიკაშვილის და ხუციშვილის ხელმძღვანელობით დიდი საიდუმლოებით იგზავნებოდა იარაღი, რევოლუციის ხელმძღვანელები და „წითელ რაზმელები“ პერსიაში“*. როგორც ჩანს, რევოლუციის ხელმძღვანელებში ტატიშვილი გულისხმობდა სერგო ორჯონიკიძეს და ვლასა მგელაძეს, ვისაც იგი ირანში წასული სოციალ-დემოკრატების „წითელი რაზმების“ ხელმძღვანელებად ასახელებს.[23]

გ. ტატიშვილის ცნობებით, დუშეთის მაზრაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის „წითელი რაზმების“ წევრების, ტერორისტების გაგზავნის ცენტრი, სოფელ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა – *„რევოლუციის გაუტეხელი ციხე და მთავარი შტაბი და ჩვენი თავშესაფარი იყო“*.[24] მისი ერთ-ერთი მოგონების მიხედვით, წინამძღვრიანთკარის სკოლას 1910 წლის 10 თებერვალს(?!), ღამის 12 საათზე, მცხეთის ბოქაული ქუმსიაშვილი, *„ერთი ასეული ყაზახებით ჟანდარმ-ჯაშუშები და დუშეთის მაზრის სტრაჟნიკების უფროსი საშა (შაშა) ნათიშვილი“* თავს დასხმიან. გ. ტატიშვილს მიმალვა მიუსწრია, მაგრამ სკოლის გამგის ოჯახში სძინებია *„ფედო ხუციშვილის ამხანაგ კოლია ონიკაშვილს“*, რომელიც მაშინვე დაუპატიმრებიათ და დუშეთის ციხეში ჩაუსვამთ. სკოლიდან წაუღიათ დიდძალი არალეგალური ლიტერატურა, პროკლამაციები, წიგნები. ტატიშვილი წერს, რომ როდესაც ბოქაულმა ქუმსიაშვილმა გაიგო, რომ, *„ონიკაშვილი იყო პერსიიდან და აქედან „წითელ რაზმელებს“ და იარაღს პერსიაში აგზავნიდა, უთქვამს – ჩვენ შენ დიდი ხანია გეძებთო და ახლა შენ და შენს ამხანაგებს გაზღვევინებ-*

[22] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება. ფონდი 267. აღწერა 1. საქმე 58, გვ. 3-4.
[23] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება. ფონდი 267. აღწერა 1. საქმე 48, გვ. 1-16.
[24] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება. ფონდი 267. აღწერა 2. საქმე 10, გვ. 26-34.

თო“.[25]

ამის შემდეგ ონიკაშვილის კვალი დაუკარგავთ – *„ონიკაშვილი დუშეთის ციხეში დიდხანს ყავდათ და მერე რა უყვეს არ ვიცი – წინათ როცა წავიდოდა პერსიაში იწერებოდა ხოლმე“* (დოკუმენტი 3).[26]

ონიკაშვილის, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის მნიშვნელოვანი მოკავშირის როლს, ადასტურებს გ. ტატიშვილის სხვა გამოუქვეყნებელი მოგონება სათაურით „პერსიის რევოლუციის ხელმძღვანელი კოლია ონიკაშვილის დაპატიმრება წინამძღვრიშვილის სკოლაში“.[27] ამ და სხვა მოგონებაში იგი უთითებს, რომ იმ დროს იყო *„დუშეთის მაზრის ს.დ. პარტიის კომიტეტის თავმჯდომარე და ჩვენ მაშინვე... დუშეთის მაზრის კომიტეტის კრებაზე გადავწყვიტეთ ბოქაულ ქუმსიაშვილის და დუშეთის მაზრის სტრაჟნიკების უფროსის საშა ნათიშვილის სიკვდილი. ერთად ეს დავალება მივეცით მცხეთის რაიონის წითელი რაზმის უფროსს ამხ. იმერლიშვილს, რადგან ეს სკოლა და მოხდენილი ონიკაშვილის დაპატიმრება, დალუპვა იმის რაიონში საგურამოში მოხდა. წითელი რაზმის უფროსმა იმერლიშვილმა დავალება კარგად შეასრულა. ბოქაული ქუმსიაშვილი დაიჭირა. ბაზალეთის ტყეში მოკლეს და მკვდარი ცეცხლში დაწვეს, ეს მთელი დუშეთის მაზრის ხალხმა იცის“*.[28]

ამრიგად, ჩანს ონიკაშვილი მართლაც საკმაოდ მნიშვნელოვანი და საჭირო ფიგურა იყო სოციალ-დემოკრატებისათვის, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი ასახსნელია ის სისატიკე, რითაც ილიკო იმერლიშვილი გაუსწორდა მის დამტუსაღებელს. გვინდა აქვე დავამატოთ, რომ არა მარტო გიორგი ტატიშვილის, არამედ დუშეთის მაზრაში იმ დროს მოქმედი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის სხვა წევრებისა და „წითელრაზმელების“ მოგონებებში მითითებულია, რომ საგურამოს რაიონში მოქმედებდა ილიკო იმერლიშვილის „წითელი რაზმი“.[29]

---

[25] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება. ფონდი 267. აღწერა 1. საქმე 58, გვ. 3-4.

[26] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება. ფონდი 267. აღწერა 2. საქმე 10, გვ. 26-34.

[27] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება. ფონდი 267. აღწერა 1. საქმე 58, გვ. 3-4.

[28] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება. ფონდი 267. აღწერა 2. საქმე 10, გვ. 31.

[29] 1936 წლის შემდეგ, როდესაც ლავრენტი ბერიას მითითებით პარტიული ფუნქციონერი კოტე გორდელაძე იწყებს ილიას მკვლელობის შესა-

დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებით ილიკო იმერლიშვილის „წითელ რაზმში“ შედიოდა გიგლა ბერბიჭაშვილიც. მასალები პირდაპირ ადასტურებენ, რომ ილიკო იმერლიშვილი, გიგლა ბერბიჭაშვილი და პავლე ფშავლიშვილი ერთობლივად ჩადიოდნენ მკვლელობებს, ფულის გამოძალვას, ადამიანების გატაცებას და სხვა სახის დანაშაულებებს 1907-1910 წლებში. დოკუმენტების გარდა, ზემოთ დასახელებული პირების ერთ ბანდაში თუ „წითელ რაზმში“ ყოფნის ფაქტს ადასტურებს ბატონ ნოდარ გრიგალაშვილის მიერ მოძიებული, დაახლოებით 1908-1909 წლებში გადაღებული ილიკო იმერლიშვილის „წითელრაზმელების“ ერთობლივი ფოტოსურათი, რომელთა რიგებში დიდი ალბათობით გიგლა ბერბიჭაშვილიცაა.[30]

გიორგი ტატიშვილის 1933 წელს დაწერილი ავტობიოგრაფიის მიხედვით, გიგლა ბერბიჭაშვილი დუშეთის მაზრაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის აქტიური წევრი და „წითელ რაზმელი“ იყო: *„დუშეთის მაზრის ერთ-ერთ სოფელში... კომიტეტის სახელით რამდენიმე შეიარაღებულმა ადამიანმა ფულის გამოძალვა დაუწყო გლეხებს. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი კომიტეტის დავალებით მათი დაჭერა... დაეკისრათ ლავრენტი ასათიანს, გიგლა ბერბიჭაშვილს, სანდრო მამულაშვილს და სანდრო ოძიშვილს“* (დოკუმენტი 4).[31]

გიგლა ბერბიჭაშვილის, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის „წითელრაზმელის“, საქმიანობა დასტურდება სხვა დოკუმენტებითაც. მაგალითად, 1933 წლის 15 მარტს დაწერილ სანდრო მამულაშვილის ავტობიოგრაფიაში ვკითხულობთ: *„ჩვენში მოდიოდნენ ხელმძღვანელი რევოლუციონერი ამხანაგები ისიდორე რამიშვილი, შაქრო უზნაძე, ლავრენტი ასათიანი და შემდეგ გიორგი ტატიშვილი, არსენ წითლაძე, ადგილობრივი სოფლიდან კოლა*

ხებ მასალების შეგროვებას, სოციალ-დემოკრატი გიორგი ტატიშვილი და სხვები აღარ ახსენებენ, რომ ილიკო იმერლიშვილი საგურამოს ტერიტორიაზე I მოქმედი „წითელი რაზმის“ უფროსი იყო. მიზეზი უკვე გარკვეულია – ილიას მკვლელობის მეოთხე მონაწილე სწორედ ადგილობრივი „წითელი რაზმის“ უფროსი, ილიკო იმერლიშვილი, მეტსახელით „იმერელი“ იყო. იხ.: თ. სიმაშვილი. უახლესი დოკუმენტები და ილია ჭავჭავაძის მკვლელობა (ილიას მკვლელობიდან გასული 105 წელი). თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. VI. თბ. 2012.

[30] ნ. გრიგალაშვილი. ერთი უნიკალური ფოტოს გამო. გაზ. „24 საათი“. 26 ივნისი. 2012.

[31] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის II განყოფილება (ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი). ფონდი 93. აღწერა 2. საქმე 858, გვ. 8.

ოძიაშვილი, გიგლა ბერბიჭაშვილი და სხვები. ვმუშაობდით რ. ს. დემოკრ. მუშათა პარტიის ხაზით... სოფელ წინამძღვრიანთკარის სასწავლებელში ფერმის თავზე კრება მოიწვიეს მთელი საგურამოს რაიონის ასისთავების და პარტიული ხელმძღვანელების საერთო კრება... მეორე დღეს დუშეთიდან სტრაჟნიკების ურიადნიკი ვასილა მოვიდა ჩვენს სოფელში კაზაკებით. დამიჭირა და გიგლა ბერბიჭაშვილს და სანდრო ოძიაშვილსაც ძებნა დაუწყეს სოფელში. თქვენ გუშინ სკოლის თავზე წინამძღვრიანთკარში კრებაზე იყავითო“.[32]

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ილიას მკვლელობის საქმის გამოძიება, თავის მხრივ, სწორედ გიორგი ტატიშვილს დაავალა, რომელიც 1936 წლის შემდეგ პერიოდში დაწერილ თავის მოგონებში უკვე უარყოფით კონტექსტში იხსენიებდა ივანე ინაშვილს, პავლე ფშავლიშვილს და გიგლა ბერბიჭაშვილს. გ. ტატიშვილი 1941-1942 წლებში გამართულ გიგლა ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესზე ილიას მკვლელობაში გ. ბერბიჭაშვილის აქტიურ მონაწილეობაზე ჩვენებას ჩვენებაზე იძლეოდა. როგორც სასამართლოს მასალებიდან ჩანს, ის და სხვა პირები ყოველნაირად ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, თითქოსდა გ. ბერბიჭაშვილი ირანში არ იყო ნამყოფი.

დღეს მოძიებული მასალების მიხედვით, სასამართლო პროცესის დროს დასმული კითხვა – იმყოფებოდა თუ არა გიგლა ბერბიჭაშვილი ირანში, შესაძლებელია ითქვას, რომ დადებითადაა პასუხგაცემული. თვით გიგლა ბერბიჭაშვილის წინასწარი დაკითხვების საგამოძიებო ნაწილის უფროსი ალ. კოჭლავაშვილი წერს: *„შეიძლება ითქვას, რომ ბერბიჭაშვილი ირანში ნამდვილად ნამყოფი უნდა იყოს. ბერბიჭაშვილის ჩვენებებში მოცემულია მთელი რიგი ცნობები, რომლებიც მიგვითითებენ, რომ ამ ცნობების მფლობელი იმ მოვლენების თვითმხილველი იყო“.*[33] მართლაც, გიგლა ბერბიჭაშვილის წინასწარი დაკითხვისას თუ სასამართლოზე მიცემულ ჩვენებებში საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია მისი ირანში ყოფნის შესახებ. და, რაც მთავარია, – როგორც მისი ჩვენებებიდან ირკვევა, იგი ფერეიდანში ცხოვრობდა გარკვეული დროის განმავლობაში!

მაგალითად, გიგლა ბერბიჭაშვილის 1941 წლის 20 აგვისტოს წინას-

[32] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის II განყოფილება (ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი). ფონდი 93. აღწერა 2. საქმე 166, გვ. 8.

[33] საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი. ალექსანდრე კოჭლავაშვილის ფონდი. ბერბიჭაშვილი ირანში, №27432.

წარი დაკითხვის ოქმში (დაკითხავს კოჭლავაშვილი. ავტ.) გამომძიებლის – ალ. კოჭლავაშვილის შეკითხვაზე: ირანში ფერეიდნელ ქართველებს ხომ არ შეხვედრიხართ? ბერბიჭაშვილი თავიდან პასუხობს დადებითად, ხოლო შემდეგ კი უარყოფს. შემდეგ დღეებში დაკითხვებისას გ. ბერბიჭაშვილი რამდენიმეჯერ კვლავ დადებითად პასუხობს კითხვას მისი ფერეიდანში ყოფნის შესახებ (დოკუმენტი 5). ერთგან ასე ამბობს – *„1908 წელს ისევ დავბრუნდი თეირანში, დავრჩი იქ 1910 წლამდე. 1910 წელს ომი გაჩაღდა... თავი დავანებე ჯარს ავადმყოფობის გამო და გადავედი ფერეიდანში, სადაც ქართველების სოფლებია. იქ დავრჩი 1917 წლამდე“*.[34] და აქ ისმება ლოგიკური კითხვა – რატომ ფერეიდანში? ვინ იყო გიგლა ბერბიჭაშვილისათვის იქაურ ქართველებში მასპინძლის მისამართის მიმცემი? რეკომენდაციის გამწევი? იქნებ ეს იყო ფერეიდნელი ონიკაშვილი, რომელიც 1910 წელს, სწორედ საგურამოში, წინამძღვრიანთკარში, დუშეთის მაზრის ტერიტორიაზე, სადაც გ. ბერბიჭაშვილი სხვა სოციალ-დემოკრატ „წითელ რაზმელებთან“ ერთად „მოღვაწეობდა“, შეხვდა ბერბიჭაშვილს და, სხვა ტერორისტების მსგავსად, ისიც „დააკვალიანა“ ირანში გადასასვლელად.

ამრიგად, როგორც ზემომოყვანილი მასალებიდან ჩანს, ონიკაშვილს ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების გარდა, დიდი ხნის კავშირი ჰქონდა სოციალ-დემოკრატებთან და, როგორც ვნახეთ, იგი მათი ერთგული მოკავშირე და „წითელ რაზმელების“ ირანში გაგზავნის ერთ-ერთი ორგანიზატორიც იყო. ამასთან, ეს მასალები გვიჩვენებს, თუ რა განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ საქართველოში მოქმედ პარტიებს საქართველოს გარეთ კომპაქტურად მცხოვრები ქართველებისადმი – თუ სოციალისტ-ფედერალისტების მიზანი იმავე ფერეიდანში ქართული სკოლების გახსნა, ადგილობრივ ქართველებთან მჭიდრო კავშირ-ურთიერთობის დამყარება იყო, სოციალ-დემოკრატებისათვის ფერეიდნელ ქართველებთან კავშირი იყო გზა ირანში გადასასვლელად და იქ რევოლუციური საქმიანობის გასაგრძელებლად.

P.S. მოძიებული მასალების მიხედვით, აღნიშნულ პერიოდში სოციალ-დემორატიული პარტიის ტერორისტები არა მარტო ირანში, არამედ თურქეთშიც „მოღვაწეობდნენ“, რაც მომავალ კვლევას ითხოვს.

[34] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს მესამე განყოფილება. ფონდი 8. აღწერა 25. საქმე 683. გიორგი პლატონის (პეტრეს) ძე ბერბიჭაშვილის ბრალდების საქმე მწერალ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში.



1

სსგა. ფ. 95, აღ. 1, საქ. 42

№№ по порядку.	Мѣсяцъ и число поступленія свѣдѣній.	Краткое содержаніе поступившихъ свѣдѣній.	Мѣры, принятыя на мѣстѣ.
I	25. Февраля	Въ данное время въ партіи Грузинскихъ соціалистовъ-федералистовъ поднятъ вопросъ о созданіи тѣсной связи между русскими грузинами (православными) и грузинскими магометанами, проживающими въ Турціи (около 200 тыс. человѣкъ) и въ Персіи (около 300-400 тыс.), въ цѣляхъ провитія идеи федеративнаго устройства грузіи на автономныхъ началахъ (созданія федеративнаго союза при конечной цѣли независимости Грузіи). Начало сношеній русскихъ грузинъ съ персидскими было положено еще въ 1907 году, когда изъ персидской провинціи Испаганъ, изъ мѣстности Гурджистана пріѣзжалъ въ Тифлисъ нѣкій Кола Мрази ХУЦИШВИЛИ и Кола Мусейнъ ОНИКАШВИЛИ (послѣдній въ 1909 году скончался). Оба они въ Тифлисѣ изучили коренной грузинскій языкъ и были ознакомлены съ цѣлями, преслѣдуемыми партіей Грузинскихъ соціалистовъ-федералистовъ. ХУЦИШВИЛИ возвратился на родину, основалъ особое бюро, которое поставило своею цѣлью покрыть Гурджистанъ сѣтью грузинскихъ школъ, чтобы впослѣдствіи этимъ путемъ подготовить почву для пропаганды идеи созданіе федеративнаго союза.	Указаніе агитаторамъ принять изъ свѣдѣній при дальнѣйшей разработкѣ въ свѣдѣніи по партіи соціал.-федерал.

2

21 28 1

კოლია ონიკაშვილი ვერსია

ეს ჩემი ისტორიაში დაუვიწყარი სახელი, წითელი რაზმელების დამსახურება იქნება არ დაიჯეროს საღ ვერსია, ოსმალეთის რევოლუცია და სადა საქართველოს წითელი რაზმელებიო.

აი დასაწყისი დამახარებელიც:

1907 წელს მეფის მთავრობის ნებართვით საქართველოში ჩამოვიდნენ დიდი ხნით ცყვეთ საქართველოდან დაცალებული ქართველები ახლა გამახმადიანებული – ფედო ხუციშვილი და კოლია ონიკაშვილი, მათ დაიარეს ბევრი სოფლები და ქალაქები, მათ ბევრგან მიიწვიეს შესახვედრი საღამოები გაუმართეს ყველგან პატივის ცემით მიიღეს, სამშობლოდან ტანჯვაწამებით გაცალებულნი. მათ დაიარეს და ნახეს თავიანთი სოფელი გორის გვერძე სოფელი ხიდისთავი, ნახეს მოკლედ ნათესავები და სახლისკაცები, ნახეს, მაგრამ მათი დავალება და მიზანი სულ სხვა იყო.

იქ, როცა შახის ჩამოგდების რევოლუცია იწყებოდა, რევოლუციის მეთაურებმა გვარი-საოარხანმა და მეორემ მარგის ხანმა – გამოგზავნეს საქართველოს რევოლუციონერ კომიტეტთან ხელშეკრულება დასდეს ამხ.იოსებ სტალინთან, სერგო ორჯონიკიძესთან, რომ აქედან იარაღით და წითელი რაზმელებით და ხელმძღვანელი რევოლუციონერები გაეგზავნათ და დახმარებოდნენ, ონიკაშვილის და ფედო ხუციშვილის ხელმძღვანელობით დიდს საიუმღოებით იგზავნებოდა იარაღი და რევოლუციონერი ხელმძღვანელები და წითელ რაზმელები ვერსიაში იგზავნებოდნენ. განსაკუთრებით ის პირნი, რომლებსაც შავი რეაქციის გამარჯვების შედეგად ციხე-ციმბირიდან სახრჩობელა ელოდათ, ეს ასევე მოხდა. ძალიან ბევრმა ტერორისტმა წითელ რაზმელებმა ძვირფასი სიცოცხლე შეინარჩუნა და რევოლუციის უკვლავი ისტორიაშიც ჩაეწერა გმირის სახელიც დაიმსახურა.

267, 1, 58

3

ხელი ციხე და მთავარი შტაბი და ჩვენი თავშესაფარი. ეს მეფის მოხელე ჯამუშებსაც მხედველობიდგან არ გამოეპარაო და ბოლოს მიაგნეს მაინც 1910 წლის 10 თებერვალს ღამე დაგვეცნენ მცხეთის რაიონის ბოქაული ქუმსიაშვილი დუშეთის მაზრის სტრაჟნიკების უფროსი მიშა ნათიშვილი, ერთი ასეული ყაზახი და სტრაჟნიკებით სოფელ წინამძღვარიანთ ილიას სკოლას გარედგან აღეცამეთარგეს გაჩხრიკეს და დაპატიმრეს და წაიყვანეს გამახმადიანებული ქართველი კოლიაკ ონიკაშვილი და სკოლიდგან დიდი ძალი არაელეგალური წიგნები და პროკლამაციები წაიღეს ონიკაშვილი დუშეთის ციხეში დიხხანს ყავდათ და მერე რა უყვეს, წინათ როცა წავიდოდა პერსიაში წერილს იწერებოდა ხოლმე, მას შემდეგ აღარაფერი გამგია ცოცხალი გადარჩა თუ მოკლეს იმ ღამეს მათი ცაცემა სკოლის ყარაულმა აღრე გამაგებინა და სკოლის ფერმაში გადავხტი და იქ დავიმალე მათი დაჭერა სიკვდილს გადავრჩი და კოლია ონიკაშვილი კი სამუდამოთ ამ ხსენებული სკოლიდგან სამუდამოთ დაიკარგა. ეს დიდი ისტორიული რევოლუციის საქმე მოხდა და ბევრიც სხვაც ამ სკოლაში უნდა ეს მოინახოს საქართველოს რევოლუციის არხივში უეჭველად იქნება.

ჩვენ იმის შემდეგ დუშეთის მაზრის კომიტეტის კრებაზე გადავწყვიტეთ ბოქაულ ქუმსიაშვილს და დუშეთის მაზრის სტრაჟნიკების უფროსის საშა ნათიაშვილის ორივეს სიკვდილი, ერთად ეს დიდი დავალება მივეცით მცხეთის რაიონის წიფელ რაზმის უფროსს ამხ. იმერლიშვილს რადგან ეს სკოლა და მოხელენი ონიკაშვილს დაპატიმრება დაეკვა იმის რაიონში საგურამოში მოხდა. წიფელი რაზმის უფროსმა იმერლიშვილმა დავალება კარგად შეასრულა ბოქაული ქუმსიაშვილი დაიჭრა ბაზალეთის ტყეში მოკლეს და მკვდარი ცეცხლში დაწვეს, ეს მთელი დუშეთის მაზრის ხალხმა იცის.





5

ეროხვი ანდუკის-ძე ბერიძე შეკრებილ
ხალხურ ლექსებიდან – 1940 წ. 9 აპრილი.

ეროხვი: რამდენი წლიდან ხართ ანდუკის ნაკეთი ფოლოლოლ ანდუკად?

ანდუკი: ანდუკის ნაკეთი ვარ 1905 წლიდან ა/ფ № 152955ჯ. დავიბადე 1878 წელს, ანდუკაში ვარ მეფეობა დაწყებული ანდუკაზე ოჯახურად ბოლ.

ეროხვი: 1905 წ. (ფოლოლოლ ანდუკაში მეფეობა) ეს ანდუკა ან ანდუკა და ამჟამინდელ ფასად ოდენა? ნუ ეკვესთ ამ ფასზე?

ანდუკი: ამაზე ფოლოლ ანდუკაში მეფეობა – ეს ანდუკა ერთეული ეკეთებოდა ფეხსაცმელი ფასი. ეს ფოლ ფასად ეფასებოდა, ანდ ამ ფასად ეფასებოდა ეს ანდუკა, ანდ ეკეთებოდა ეს ანდ-ანდ ადამიანებს ფოლ, ანდ ეკეთებოდა ეს ანდუკა ანდ ეკეთებოდა ანდუკაში.

ეროხვი: სად ნასწავლია ანდუკობა?

ანდუკი: ანდუკობა ნასწავლი 1907 წელს ანდუკიანად ბოლ ავეში.

ეროხვი: ისევ ნასწავლია ანდუკობა, ანდ ვინ ასწავლა ნასწავლი?

ანდუკი: ბიძაჩემ შეკეთებულ ეკეთებდა ეს ბ ავეკეთებდა ეს ბ ეკეთებდა ეს ბ ეკეთებდა – ეს ეკეთებდა ავეკეთებდა ეს ეკეთებ. ნასწავლი ბ ანდუკობა ფოლ, ნასწავლი ანდ ეკეთებ ანდ ეკეთებ.

ეროხვი: ანდუკობა ეფასებოდა ეს ეფასებოდა ეს ეფასებ ავ!?

ანდუკი: ანდუკობა ეფასებოდა: ეფასებოდა, ეფასებოდა, ეფასებოდა ეფასებოდა (ეფასებ ეფასებ ეფასებ). ეფასებ ეფასებ ეფასებ ეფასებ ეფასებ ეფასებ ეფასებ ეფასებ ეფასებ

ონიკაშვილი და ხუციშვილი (მარჯვნიდან) მღვდელ ვასილ კარბელაშვილის ოჯახის წევრებთან ერთად.

ფოტო დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში

Tengiz Simashvili,
Nino Sozashvili

GEORGIAN FROM FEREYDUNSHAHR – ONIKASHVILI AND KHUTSISHVILI'S RELATIONSHIP WITH GEORGIAN POLITICAL PARTIES IN 1907-1910

Summary

Much has to be done in the Georgian historiography regarding the history of Fereydunshahr Georgians. The relationship of Fereydunshahr Georgians and the political establishment of Georgia at the beginning of 1900s is also the issue of our research.

The history of Kolam-Hussayn Onikashvili's and Kolam-Hussayn Khutsishvili's visit and deeds in Georgia in 1907-1910 is a matter of special attention. The influential Georgians from "The Society for the Spread of Literacy Among the Georgians" and the Georgian Socialist-Federalists had a huge interest over these men. According to their memoirs, Khutsishvili and Onikashvili declared that their only goal in Georgia was to establish the relationship between the local Georgians and the Georgians of Iran, and also to open Georgian schools.

But from another source it is clear that in 1910 Onikashvili, after having returned back to Georgia, had allied himself with the Social-Democrat Party's organization in Dusheti District. He was a liaison person who arranged the departure of Social-Democrat terrorists, the Georgian revolutionists, to Iran. According to the author, Gigla Berbichashvili, one of the key persons of Ilia Chavchavadze's murder, was sent to Iran, namely in Fereydunshahr, with the support of Onikashvili.

The conclusion is that Onikashvili had a long time contacts not only with Socialist-Federalists, and Social-Democrats, but he was also responsible for organizing the departure of the "Red Guards" to Iran.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VIII
თბილისი. 2013-2014

ჯაბა სამუშია

მასალები გიორგი მაზნიაშვილის ბიოგრაფიიდან

გიორგი მაზნიაშვილი ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, თუმცა სოციალ-დემოკრატიულ ხელისუფლებას არ უყვარდა და არ სწყალობდა. გენერალიტეტი აფასებდა, მაგრამ ყველა უცნაურ ადამიანად მიიჩნევდა. ბოლშევიკებს ებრძოდა 1921 წლის თებერვალში, მაგრამ იმავე წლის მარტიდან საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში ჩადგა, დაინიშნა წითელი ქართული დივიზიის უფროსად. ბოლშევიკებთან მხოლოდ რამდენიმე თვე გაძლო, ოქტომბერში დააპატიმრეს და ორწელიწადნახევრიანი ტუსაღობის შემდეგ გაათავისუფლეს იმ პირობით, თუ ქვეყანას დატოვებდა. ემიგრაციაში ვერ გაძლო და კვლავ საქართველოში დაბრუნდა, შეეცადა, წყნარად ეცხოვრა სამშობლოში, მაგრამ 1937 წელს კომუნისტებმა, როგორც ხალხის მტერი, დააპატიმრეს და დახვრიტეს. ასეთი ცხოვრების გზა განვლო გიორგი მაზნიაშვილმა 1917 წლის შემდეგ, როდესაც ის საქართველოში ჩამოვიდა და გადაწყვიტა თავისი ქვეყნის სამხედრო სფეროს მშენებლობაში მიეღო აქტიური მონაწილეობა.

გენერალი მაზნიაშვილი შტაბის გენერალი არ ყოფილა, ის სამხედრო ნაწილებს უშუალოდ ფრონტის ხაზზე სარდლობდა და შესანიშნავი მცოდნე იყო მეომართა ფსიქოლოგიისა. საშუალო ტანის, გამხდარი აღნაგობის გენერალი თავისი პრინციპულობით, ვაჟკაცური ხასიათით, სამართლიანობით ადამიანებში პატივისცემას იწვევდა, მათ შორის იმათშიც კი, რომლებიც პოლიტიკურად არ ენდობოდნენ მას. მიუხედავად იმისა, რომ ყველას მკაცრი და უკარება ეგონა, საოცრად სენტიმენტალური და მიმნდობი ადამიანი იყო. ინიციატივა, საკითხის, პრობლემის მოგვარებისა და გადაჭრის სურვილი მისი სტიქია გახლდათ. ფრონტის ხაზზეც ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ დასახული სამხედრო ამოცანა შეესრულებინა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მაზნიაშვილის ცხოვრება საკმაოდ

ტრაგიკულად წარიმართა. თავიდან, თითქოს საბჭოთა რეჟიმი მოწყალების თვალით უყურებდა „მეფის რუსეთისა და მენშევიკების მთავრობის“ გენერალს, მაგრამ მალე ეს წყალობა რადიკალურად შეიცვალა და იგი, სხვა პატრიოტთა მსგავსად, მეტეხის ციხეში აღმოჩნდა.

ბოლშევიკების მიერ გენერალ მაზნიაშვილის დაპატიმრებისა და საქართველოდან გასახლების საკითხისათვის

1921 წლის შემდეგ გიორგი მაზნიაშვილის ბიოგრაფიის დეტალები დღემდე არ არის დაზუსტებული. მისი „მოგონებებიდან“ ისე ჩანს, თითქოს 1921 წლის 6 სექტემბერს, დაპატიმრების შემდეგ მან ციხეში ორ წელიწადნახევარი გაატარა და 1923 წლის 20 მაისს გათავისუფლდა (თარიღები მითითებული გვაქვს გ. მაზნიაშვილის მოგონებების მიხედვით). თუმცა, უნდა ითქვას, რომ მაზნიაშვილი სისხლის სამართლის საქმის №8374-59-ის მიხედვით ვითარება ოდნავ განსხვავებულადაა წარმოდგენილი. მართალია, 1992-1993 წლების მოვლენებისას მაზნიაშვილის საქმე №8374-59 განადგურდა, მაგრამ ჩვენამდე მოაღწია 1977-1978 წწ. საქართველოს სსრ პროკურატურაში რეაბილიტაციის მუხლით დაწყებული გამოძიების მასალებმა, ე. წ. „საზედამხედველო წარმოებამ“, სადაც ამონარიდების სახით მოცემულია ციტატები 1937 წელს შექმნილი საქმიდან.[1] 1977 წელს გამოძიების დაწყება განაპირობა გიორგი მაზნიაშვილის ვაჟის, ბორისის, წერილმა, რომელიც მან 1977 წლის 14 ნოემბერს გაუგზავნა კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლეონიდ ბრეჟნევს.[2] ამის საპასუხოდ, სასწრაფო წესით საქართველოში დაიწყო მაზნიაშვილის საქმის გადახედვა. რესპუბლიკის პროკურორმა ლ. თალაკვაძემ გამოძიება დაავალა იუსტიციის მრჩეველს, საქართველოს სსრ პროკურორის უფროს თანაშემწეს, გ. სვანიშვილს. დასკვნით დოკუმენტში შევიდა ამონარიდები ძველი საქმიდან და სწორედ ამის წყალობით გადარჩა გ. მაზნიაშვილის საქმიდან

[1] საქართველოს შსს-ს არქივი (I). ფ. № 6. საქ. № 371226. მუშაობაში გაწეული დახმარებისთვის გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ საქათველოს შსს არქივის დირექტორს ბატონ ომარ თუშურაშვილს და საქართველოს შსს არქივის II განყოფილების (ყოფილი პარტიული არქივი) უფროსს ივანე ჯახუას.

[2] საქართველოს შსს-ს არქივი (I), ფ. № 6. საქ. № 371226, გვ. 2-4.

რამდენიმე პასაჟი. გენერალი მაზნიაშვილი საბჭოთა ხელისუფლებას დაუპატიმრებია 1921 წლის 6 ოქტომბერს[3] (და არა 6 სექტემბერს), მიუსჯიათ სასჯელის უმაღლესი ზომა, რომლებიც მოგვიანებით შეუცვლიათ 5 წლით თავისუფლების აღკვეთით. რამდენიმე თვეში იგი საერთოდ გაუთავისუფლებიათ. სწორედ ამავე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს საბჭოთა საქართველოს სამხედრო კომისარ თენგიზ ჟღენტისადმი გაგზავნილი გ. მაზნიაშვილის წერილი. დოკუმენტიდან ჩანს, რომ გენერალი ჯერ კიდევ ციხეშია. იგი აღნიშნავს: „ჩემი ბრძოლა საბჭოთა რუსეთის ჯარების წინააღმდეგ“. ეს ფაქტი ცნობილია, ამას არ უნდა ფიცი, მაგრამ როგორც ზემოთ მოგახსენეთ – ეს ხომ მრავალგზის ნაპატიები მქონდა, უწინარეს ყოვლისა, დეკრეტით და მერე თქვენი და ს. ორჯონიკიძის სიტყვებით. ამგვარად, არ არის დანაშაულის ელემენტები ჩემს დასასჯელად“.[4] ეს წერილი სამხედრო კომისარიატში გატარებულია 1922 წლის 14 დეკემბრით. მას ადევს ორი რეზოლუცია: 1. მამია ორახელაშვილისა და ფილიპე მახარაძის – „პატიმრობა შეეცვალოს შემდეგში გადასახლებით“ და 2) სერგო ორჯონიკიძის – „გათავისუფლებულ იქნას“.[5] როგორც ჩანს, პარტიულ ლიდერთა პოზიცია მაზნიაშვილის საქმეზე გაიყო. ორახელაშვილი-მახარაძე უფრო რადიკალურები იყვნენ, მაშინ როცა ორჯონიკიძე უფრო „წყალობდა“ დაპატიმრებულ გენერალს. ეს გასაგებიცაა და ამის შესახებ აქცენტი წერილში რამდენჯერმეა გაკეთებული. 1921 წლის თებერვალ-მარტში მაზნიაშვილსა და ორჯონიკიძეს შორის ოფიციალური თუ სიტყვიერი შეთანხმება არსებობდა ხელშეუხებლობის შესახებ. ბათუმში თურქთა წინააღმდეგ სამხედრო კამპანიის წარმართვა, წითელი არმიის ფორმირებაში მონაწილეობა, სწორედ ორჯონიკიძის დასტურით მოხდა. ამიტომაც გასაგებია ეს უკანასკნელი უფრო მეტ „პასუხისმგებლობას“ გრძნობდა გენერლის მიმართ. 1977 წლის სისხლის სამართლის საქმიდან ჩანს, რომ გიორგი მაზნიაშვილი ჯერ გაათავისუფლეს და მალევე ხელახლა დაიჭირეს. საქართველოს სსრ პროკურატურის დასკვნაში აღნიშნული იყო: „1923 წლის იანვარში მაზნიევი გ. ი. ხელახლა იქნა დაპატიმრებული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების და სხვა დანაშაულებების ბრალდებით, რისთვისაც საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგიის 19 იანვრის დადგენილე-

[3] Постановление об отказе в опротестовании решения быв. тройки НКВД ГССР. საქართველოს შსს-ს არქივი (I). ფ. № 6, საქ. № 371226, გვ. 80.

[4] აღნიშნული წერილის პუბლიკაცია იხ.: ც. ჩხარტიშვილი. გენერალი გიორგი მაზნიაშვილი. თბ. 2008, გვ. 28-29.

[5] ც. ჩხარტიშვილი. გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, გვ. 29.

ბით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა, თუმცა განაჩენი შეიცვალა საქართველოდან 5 წლით გაძევებით“.[6]

გიორგი მაზნიაშვილს თავის წიგნში მოტანილი აქვს 1923 წლის 20 მაისს საქართველოს სსრ საგანგებო კომისიის განაჩენი. ამ დოკუმენტში ზემოთ აღწერილი რეალობა კარგად იკითხება, თუმცაღა ისტორიოგრაფიაში ამას არ აქცევდნენ ჯეროვან ყურადღებას.[7] საქართველოს საგანგებო (ჩეკა) კომისიის განაჩენის ტექსტში ვკითხულობთ: „ქვემოდ ჩამოთვლილ პირების შესახებ, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ სამხედრო ცენტრისა და ბანდიტიზმის ორგანიზაციის გამო საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის საგანგებო კომისიამ (ჩეკა) დაადგინა შემდეგი: 1. მაზნიაშვილი გიორგი ივანეს ძეს, 51 წლის, ყოფილი აზნაური, ყოფილი გენერალი, 1921 წელს კონტრრევოლუციისათვის მისჯილი ჰქონდა საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ გამოსასწორებელ სახლში ჯდომა 5 წლით, შემდეგ გათავისუფლებული იყო ამინისტიის გამო. როგორც გამოძიებიდან გაირკვა, ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე, საქართველოს წითელი არმიის დივიზიის უფროსობის დროს, ის დაეთანხმა ნაციონალ დემოკრატების ცეკა ნაციონალ დემოკრატების სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიღებაზე. კავშირი ჰქონდა ციხიდან გამოსვლის შემდეგ სამხედრო ორგანიზაციასთან. მიესაჯოს მას უმაღლესი სასჯელით, მაგრამ იმ დამსახურების გამო, რომელიც მას მიუძღვის საქართველოს გასაბჭოების დროს, შეეცვალოს უმაღლესი სასჯელი 5 წლის ვადით საქართველოს საზღვრებიდან გადასახლებით“.[8] როგორც ვხედავთ, 1923 წ. 20 მაისის

[6] Заключение по архивно-уголовному делу №8374-59, по обвинению Мазниева Г. И. 5.12.1978. საქართველოს შსს-ს არქივი (I). ფ. № 6. საქ. № 371226, გვ. 101.

[7] მაზნიაშვილის საქმეზე 1977 წელს წარმოებული საზედამხედველო მოკვლევის მასალები პირველად გამოქვეყნდა ნინო ყიფშიძის სტატიაში – „ბრალდება – რომელიც გენერალ გიორგი მაზნიაშვილის დისკრედიტაციისათვის შეითითხნა“ (საარქივო მოამბე, №2, 2008, გვ. 10-15). ამ ნაშრომში ავტორმა მაზნიაშვილის 1921-1923 წწ. ორჯერ დაპატიმრების ფაქტი საგანგებოდ აღნიშნა, თუმცა თარიღები არ დაუზუსტებია. გიორგი მაზნიაშვილის ორჯერ დაპატიმრების შესახებ არაფერია ნათქვამი ც. ჩხარტიშვილის წიგნში. იხ.: ც. ჩხარტიშვილი, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, გვ. 28-30.

[8] აღნიშნული განცხადება დაიბეჭდა იმ პერიოდის ოფიციალურ გამოცემებში: გაზ.: „კომუნისტი“ (25.05.1923), გაზ.: „მუშა“ (25.05.1923). თავდაპირველი ტექსტი რუსულად იყო შედგენილი, ამიტომაც თარგმანში განსხვავებებია გამოცემების მიხედვით. თვალსაჩინო მაგალითია განაჩენის ის ადგილი, რომელშიც ნათქვამია, რომ მაზნიაშვილს დამსახურება „მიუძღვის საქართველოს გასაბჭოების დროს.“ ამ მონაკვეთს გაზ.: „მუშა“ ასე თარგმნის: „მას დამსახურება მიუძღვის საქართველოში საბჭოთა გადატრია-

განაჩენშიც აღნიშნულია გ. მაზნიაშვილის ორჯერ დაპატიმრების ფაქტი. პირველად იგი ამნისტიის ძალით გათავისუფლდა, ხოლო მოგვიანებით სამხედრო ორგანიზაციასთან კავშირის გამო კვლავ დააპატიმრეს. რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეში მითითებულ 19 იანვარს, როდესაც გენერალს მიუსაჯეს დახვრეტა, ეს უნდა იყოს მეორედ 1923 წელს დაპატიმრების შემდეგ გამოტანილი სასჯელის უმაღლესი ზომა,[9] რომელიც 20 მაისს შეუცვალეს ქვეყნიდან გასახლებით.

მაზნიაშვილი და ქართული ემიგრაცია

საქართველოს დატოვების შემდეგ გიორგი მაზნიაშვილი ერთ ხანს ირანში ცხოვრობდა, სადაც მას პატრონობდა მეწარმე და ქველმოქმედი ე. ხოშტარია. ამ პერიოდში ხოშტარიას გართულებული ჰქონდა სპარსეთის მთავრობასთან ურთიერთობა და ამიტომაც მაზნიაშვილმა გადაწყვიტა ევროპაში გამგზავრება და ქართველ ემიგრანტთა დიდ ჯგუფთან შეერთება. 1923 წლის დეკემბერში გენერალი უკვე პარიზში ჩავიდა, სადაც დევნილობაში მყოფმა მთავრობამ მცირე პენსია 500 ფრანკი დაუნიშნა. ერთჯერადად საყოფაცხოვრებო ხარჯებისთვის კი 1200 ფრანკი გამოუყვეს. თავად მაზნიაშვილი აღნიშნავს, რომ მისი პენსია „უდრიდა დახლოებით 50 მანეთს. ეს ფული ეყოფა პარიზში ადამიანს ისე, რომ არც მოკვდეს და არც ცოცხალი დარჩეს“.[10]

პარიზული პერიოდი გიორგი მაზნიაშვილის ცხოვრებაში საკმაოდ რთული აღმოჩნდა. იგი, ძირითადად, ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკოსთა გარემოცვაში ჩნდებოდა, თუმცა კავშირები ჰქონდა საქართველოს მთავრობის წევრებთანაც. 1924 წლის აჯანყების დაწყება მაზნიაშ-

ლების დროს.“ სწორედ ამ სხვაობის გამო ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ სკბ ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის ცაკის ოფიციალურ ორგანოს გაზეთ „კომუნისტს“. იხ.: გაზ.: „კომუნისტი“, 25.05.1923. პუბლიკაცია ასევე მოცემულია: გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი. 1917-1925 წლები. ბათუმი, 1990, გვ. 214-215.

[9] Заключение по архивно-уголовному делу №8374-59. საქართველოს შსს-ს არქივი (I). ფ. № 6, საქ. № 371226, გვ. 101. ასევე იხ.: საქართველოს სსრ-ს პროკურატურის უფროსი მრჩევლის გ. სვანიშვილის წერილი სახელმწიფო უშიშროების სამსახურის 10 განყოფილების უფროსის ა. გოგორიშვილის სახელზე. საქართველოს შსს-ს არქივი (I). ფ. № 6, საქ. № 371226, გვ. 9.

[10] გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი, გვ. 228.

ვილმა და ქართველ ემიგრანტთა ნაწილმა რამდენიმე დღით დაგვიანებით შეიტყვეს. გენერალი იგონებს: „31 აგვისტოს, დაახლოებით შუადღის სამ საათზე, პატარა ჯგუფი ემიგრანტებისა ვისხედით კაფეში და მიმდინარე ამბების შესახებ ვბაასობდით, უცბად კაფეში შემოიჭრა სანდრო ქუთათელაძე და გულამოვარდნით გვითხრა, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან ჩხენკელმა მიიღო რადიო დეპეშის ასლი, რომელიც დაიჭირა ეიფელის კოშკის სადგურმა. რადიო-დეპეშაში იყო სულ სამი სიტყვა: „საქართველოში დაიწყო აჯანყება“. მე, ს. კედია, ალ. ასათიანი და ი. გობეჩია მაშინვე წავედით ჩხენკელთან ამ ამბის გასაგებად. ჩხენკელმა გვაჩვენა რადიო-დეპეშა, მაგრამ ვერაფერი ახსნა-განმარტება ვერ მოგვცა. რადგან, მისი სიტყვით, ეს ამბავი მისთვის სრულიად მოულოდნელი იყო. ამ ამბავმა თავზარი დასცა ყველა ემიგრანტს და მღელვარებაში და შფოთში ჩააგდო. გასაკვირველი აქ არა იყო რა. ყველა ჩვენთაგანს სამშობლოში დარჩა ოჯახი, ნათესავები, მეგობრები და სხვა. მათი ბედ-იღბალი ყველას გვაწუხებდა“.[11]

გიორგი მაზნიაშვილი თავიდანვე წინააღმდეგი იყო საქართველოში აჯანყების მოწყობისა. მას ეს პოზიცია არაერთგზის დაუფიქსირებია კიდეც ემიგრანტთა წრეებში. 1924 წლის დასაწყისში მაზნიაშვილმა მიიღო ცნობა საქართველოში მოსალოდნელი აჯანყების მოწყობასთან დაკავშირებით. გენერალმა ეს ინფორმაცია გადასცა აკაკი ჩხენკელს და ნოე რამიშვილს. ამ შეხვედრას იხსენებს გ. მაზნიაშვილი: „იმ წუთში მივედი მთავრობის წევრებთან და ჩხენკელსა და რამიშვილს, რომლებიც იმ დროს იქ იყვნენ, ვაცნობე ეს ამბავი და ვკითხე, მართალია ეს-მეთქი თუ არა? ორივემ ერთხმად მიპასუხეს, რომ ამის შესახებ მათ არაფერი არ იციან, რომ არავითარი იარაღი მათ არ გაუგზავნიათ და ამასთან დამარწმუნეს, რომ ეს ცნობები ძველია... რის აჯანყება, რა იარაღის გაგზავნაო – მითხრეს ორივემ – სად არის ამისთვის ფული? ჩვენი ისე ვართ გაჭირვებულნი, რომ აღარ ვიცით, შემდეგ თვეში ჯამაგირები როგორ დავარიგოთო“.[12] საქართველოს მთავრობის წევრების სიტყვები წინააღმდეგობაში მოდიოდა რეალობასთან. ცნობილია, რომ ნოე ჟორდანიას გარემოცვამ იცოდა, რაც ხდებოდა საქართველოში და კომუნიკაცია ჰქონდა „პარიტეტულ კომიტეტთან“. რატომღაც გიორგი მაზნიაშვილთან ისინი საგულდაგულოდ მალავენ ამ ინფორმაციას. არ გამოვრიცხავთ, რომ ნაწილი ემიგრანტებისა ეჭვის თვალით უყურებდა დევნილ გენერალს. თბი-

[11] გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი, გვ. 222-223.
[12] გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი, გვ. 220.

ლისში მის გათავისუფლებას 1923 წელს ათასი მითქმა-მოთქმა მოჰყოლია, რასაც მაზნიაშვილი თავადაც არ მალავდა. ამ ჭორებს, რომელსაც ავრცელებდნენ „რუსთაველის პროსპექტზე უსაქმოდ მოხეტიალე ვაჟბატონებში (ეს მისი სიტყვებია – ჯ.ს.)“ პარიზამდეც ჩაუღწევია და მთავრობის წევრთა სიფრთხილეც ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

ნოე ჟორდანიას ინიციატივით, გიორგი მაზნიაშვილი 1924 წლის 19 სექტემბერს სტამბულში გაემგზავრა, რათა აქედან მოეხერხებინა საქართველოში შეღწევა, თუმცა თურქეთში ყოფნისას გენერალი დარწმუნდა, რომ აჯანყება განწირული იყო და საქართველოში ჩასვლას აზრი არ ჰქონდა. მაზნიაშვილი ლტოლვილების მიღების ორგანიზებას შეუდგა. სწორედ ამ დროს შეიტყო გენერალ ა. ჭავჭავაძისაგან, რომ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებისას „პარიტეტულ კომიტეტში“, ევროპიდან მიღებული ცნობის საფუძველზე მუსირებდა აზრი, რომ „რიზესა და ხოფას შუა დგანან იარაღით და სურსათით და დესანტით დატვირთული გემები გენერალ მაზნიაშვილისა და ნ. რამიშვილის მეთაურობით“.[13] ბუნებრივია, ა. ჭავჭავაძის ამ ინფორმაციამ კიდევ უფრო დაძაბა მაზნიაშვილსა და სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას შორის ურთიერთობა. ამას დაემატა კიდევ ერთი არასასიამოვნო ფაქტი – თბილისში გავრცელდა ხმები, თითქოს პარიზში ბოლშევიკებს აჯანყების გეგმა მაზნიაშვილმა გადასცა. 1925 წლის 14 იანვარს მან მიმართა ნ. ჟორდანიას წერილით, სადაც ითხოვდა მთავრობისგან, რომ მინისტრთა კაბინეტის წევრებს ოფიციალური განცხადებით დაედასტურებინათ გენერალ მაზნიაშვილის უდანაშაულობა.[14] ამ განცხადების პასუხად 26 იანვარს მაზნიაშვილს მიუვიდა კ. კანდელაკის წერილი.

„ბ. გიორგი მაზნიაშვილს

დღეს 26 იანვარს, მთავრობის სხდომაზე, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც, განხილულ იქნა თქვენი განცხადება და დაადგინეს: გამოგეცხადოთ თქვენ სრული ნდობა და ამასთან ერთად ეცნობოს საქართველოს ყველა ჩვენ ორგანიზაციებს, რომ ხმები და ჭორები, რომელიც ტრიალებს თქვენი სახელის გარშემო, არის განზრახ მოგონილი ცილისწამება. მთავრობის მდივანი კ. კანდელაკი“.[15]

[13] გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი, გვ. 228.
[14] გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი, გვ. 230-231.
[15] გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი, გვ. 231.

ნაწილობრივ მაზნიაშვილის მოთხოვნა დააკმაყოფილეს, თუმცა მთავარი, რომ ეს გადაწყვეტილება საქართველოში უნდა ჩასულიყო, არ შესრულდა. არავინ იზრუნა იმისთვის, რომ მთავრობის განცხადება მიეწოდებინა საქართველოში არსებულ იატაკქვეშა პარტიული ორგანიზაციებისთვის. დიდი ხნის მანძილზე საქართველოში სჯეროდათ, რომ მაზნიაშვილმა საბჭოთა დაზვერვასთან ითანამშრომლა და 1924 წლის აჯანყების გეგმა გადასცა. პარიზში ყოფნისას გენერალის ფსიქოლოგიური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. მის მოგონებებში არაერთგზისაა აღნიშნული, რა მძიმე ყოფაში უწევდა ცხოვრება მის ოჯახს თბილისში.

იმავდროულად, ემიგრაციაში დისკომფორტს გრძნობდა. თავადვე აღიარებს, რომ „მმართველი პარტიის ხელში ვემსგავსებოდი სათამაშოს, რომელსაც პარტიის რომელიმე წევრი თავის სურვილისამებრ ათამაშებს, ყოველგვარ ექსპერიმენტებს აკეთებინებს და არაფერს ანგარიშს არ უწევს, რადგან არსაიდან დასჯას არ მოელის“.[16] საბოლოოდ გიორგი მაზნიაშვილმა მიიღო საკმაოდ მძიმე გადაწყვეტილება და მოლაპარაკება დაიწყო ბოლშევიკებთან სამშობლოში დაბრუნების უფლების მიცემასთან დაკავშირებით. ამით აშკარად გაიყო გზები მასსა და ემიგრაციის დიდ ნაწილს შორის. გიორგი მაზნიაშვილი საქართველოში 1925 წელს დაბრუნდა. იგი არასდროს არ ყოფილა საბჭოთა რეჟიმის მოტრფიალე, აშკარა შეცდომას უშვებენ ის მკვლევარები, რომლებიც მაზნიაშვილის საქციელში პრობოლშევიკურ ნაბიჯს ხედავენ. მაზნიაშვილი გენერლობის მიღმა ჩვეულებრივი ადამიანი იყო, თავისი სისუსტეებით. მას ენატრება სამშობლო, ოჯახი, ნათესავები. მის ამ ნაბიჯში ადამიანური გრძნობები უფრო ჩანს, ვიდრე კარგად მოფიქრებული პოლიტიკური გადაწყვეტილება. მას პარიზში უსაგნო ხეტიალს ერჩივნა საბჭოთა რეჟიმთან ლოიალურ დამოკიდებულებაში ყოფნა და საქართველოში ცხოვრება. ამიტომაც იყო კიდეც, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სოფელში დასახლდა და საერთოდ გაერიდა აქტიურ პოლიტიკურ თუ სამხედრო საქმიანობას. მას ეს ანიჭებდა სულიერ სიმშვიდეს და სიამოვნებას. ასე რომ არ ყოფილიყო, ბუნებრივია, არც დაბრუნდებოდა. ან ვინ აიძულებდა მას პარიზიდან თბილისში ჩამოსვლას? ერთადერთი დანაშაული მაზნიაშვილისა, თუ ამას დანაშაული შეიძლება ვუწოდოთ, არის ის, რომ მან დაუჯერა საბჭოთა პროპაგანდას და იმას, რომ დაბრუნების შემთხვევაში მას არავინ ახლებდა ხელს. მაგრამ სამშობლოსადმი ნოსტალგიით შეპყრობილი ბევრი ადამიანისთვის ეს

[16] გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი, გვ. 234.

გზა ემიგრაციის მძიმე და მარტოობით აღსავსე ყოველდღიურობიდან თავის დახსნის ერთგვარი საშუალება იყო. მაზნიაშვილს ბოლშევიკებთან გარკვეულ დათმობებზე წასვლა, მაგრამ ეს გამოწვეული იყო გენერლის სურვილით, ყოფილიყო სამშობლოში და თავის უახლოეს ადამიანთა გარემოცვაში.

ქართულმა ემიგრაციამ, განსაკუთრებით უცხოეთში გადახვეწილმა სამხედროების ნაწილმა, მას ვერ და არ აპატია ეს ადამიანური სისუსტე. ქართველ მხედართა კრებამ გიორგი მაზნიაშვილს აყარა გენერლის პატივი. ამ სხდომის ოქმს ხელს აწერს ოთხი ქართველი სამხედრო პირი, გენერლები: გ. კვინიტაძე და ალექსანდრე ერისთავი, ასევე, პოლკოვნიკი მ. წერეთელი და ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

„ქართველ უფროსს მხედრების კრების
დადგენილება
2 იანვარი 1926 წელიწადს.

გენ. მაზნევი მსახურობდა საქართველოს ჯარში დღიდან მისი დაარსებისა, მიიღო მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ომებში და 1921წ. იმ მტრის წინააღმდეგ, რომელიც ეხლაც მეფობს ჩვენს ქვეყანაში.

როდესაც 1921წ. 18 მარტს საქართველოს მთავრობა ზოგიერთ სამხედრო პირების თანხლებით გამოემგზავრა უცხოეთში, გენ. მაზნევი დარჩა საქართველოში და საბჭოთა ხელისუფლებისაგან მიიღო მთავარსარდლის თანამდებობა. მერე გენ. მაზნევი ამ თანამდებობიდან იყო გადაყენებული და დაპატიმრებულიც.

1923წ. იგი იყო განდევნილი ჩვენი სამშობლოდან საბჭოთა ხელისუფლების მიერ და სპარსეთით ჩამოვიდა პარიზში, სადაც ცხოვრობდა საბჭოთა უფლების მხარეზე გადასვლამდე.

1924 წ. ქართველი ხალხის აჯანყების დროს გაემგზავრა სტამბოლში სამშობლოში ჩასასვლელად, მაგრამ ვერ ჩავიდა, რადგან აჯანყება ჩაქრობილი იყო ჩვენი მტრის მიერ.

1925 წ. დაახლოებით ენკენის თვეს გაისმა ხმა, რომ გენერალ მაზნევს აქვს რაღაც მოლაპარაკება საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებთან პარიზში.

ქართველ სამხედრო უფროსნი პირნი გენ. კვინიტაძის თავმჯდომარეობით შეეკითხნენ მას ამის გამო საქართველოს ლეგალიზაციის შენობაში, რისთვისაც ის საგანგებოთ იყო იქ გამოწვეული. მან ამ შეკითხვაზე განაცხა-

და, რომ მართლაც ერთხელ იყო ფორუმოვთან, საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთან და ითხოვა ნებართვა თავისი შვილების ჩამოყვანისა საფრანგეთში და მხოლოდ ეს იყო საგანი მისი მოლაპარაკებებისა. მან იქვე აღიარა თავის შეცდომა, ის გარემოება, რომ ჩვენ სამხედრო პირებს ეს თავის დროზე არ შეგვატყობინა და დავვპირდა, რომ უჩვენოდ არავითარ მოლაპარაკებას არ გააგრძელებდა საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ჩვენ გადმოგვეცა და ჩვენ დაუკითხავად არაფერს უპასუხებდა. მიუხედავად ამ დაპირებისა, როგორც ჩანს, მან არა თუ ეს მოლაპარაკება განაგრძო და გადავიდა ჩვენი მტრის ბანაკში, არამედ მან გამოქვეყნა თავისი მოწოდება ქართველ მხედართა მიმართ, სადაც გმობს საქართველოს ეროვნულ მთავრობას, 1924 წლის ჩვენი ერის აჯანყებას და მოგვიწოდებს ჩვენც გადავიდეთ ჩვენი მტრის ბანაკში. 26 ქრისტესშობის თვეს 1925წ. და 2 იანვარს 1926წ. უფროსს მხედართა კრებას, გენ. კვინიტაძის თავმჯდომარეობით, ჰქონდა მსჯელობა გენ. მაზნევის საქციელისა და მისი საერთო ყოფა ქცევისა გამო საფრანგეთში ყოფნის დროს. კრებამ დაადგინა: გენ. მაზნევი განრიცხულ იქმნას სამხედრო წრიდან და აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა მას აეყაროს გენერლის და საერთოთ სამხედრო სახელწოდება და განრიცხულ იქნას სამხედრო უწყებიდან სამუდამოდ.

ამასთანავე, რადგანაც გენ. მაზნევი პარიზში ყოფნის დროს არა ერთხელ ასრულებდა მთავრობის დავალებებს, ჩაითვალოს როგორც მსახური პირი.

მაშასადამე, აღიძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რათა გენ. მაზნევი დაუყოვნებლივ მიცემულ იყოს სასამართლოში, როგორც მოღალატე ჩვენი სამშობლოსი.

დედანს ხელს აწერენ: გენ. კვინიტაძე; გენ. ალექსანდრე ერისთავი; პოლკ. ს. წერეთელი; ქაქუცა ჩოლოყაშვილი. დედანთან სწორია გენ. კვიტინაძე".[17]

ეს მკაცრი გადაწყვეტილება მოგვიანებით, 22 იანვარს 1926 წლისა, გადაეცა საქართველოს მთავრობის სრულუფლებიან წარმომადგენელს საფრანგეთში, აკ. ჩხენკელს, შესაბამისი წერილის თანხლებით. ამ უკანასკნელ დოკუმენტს ხელს აწერს გენერალი გ. კვინიტაძე. თავისი შინაარსით ეს წერილი საინტერესოა და მასაც აქვე ვაქვეყნებთ.

[17] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). ფ. 1861. აღწ. 3. საქ. 176, გვ. 2-3.

,,საქართველოს მთავრობის სრულუფლებიან
წარმომადგენელს საფრანგეთში
ბატ. ა. ჩხენკელს

ამასთანავე, გაახლებთ ქართველ უფრობს სამხედრო პირების დადგენილებას და გთხოვთ, წარუდგინოთ მთავრობას თანახმად სამხედრო ადათებისა, როდესაც ოფიცერი არღვევს თავის საქციელით პატიოსნებას, იგი უნდა იქმნას მიცემული პატიოსნობის სასამართლოში, რომლის წევრები არიან ამორჩეულნი სამხედრო ამა თუ იმ ნაწილის საზოგადოებიდან. თუ ოფიცერი არის გენერალი, ამ შემთხვევაში ინიშნება უფრობის მიერ საგანგებო სასამართლო, რომელსაც აქვს მსჯელობა ამ პიროვნების საქციელის შესახებ. გენ. მაზნევის საქციელი და საერთოდ მისი ყოფა-ქცევა პარიზში ყოფნის დროს ისეთი არაჩვეულებრივია და მოხდა ასეთ განსაკუთრებულ პირობებში, რომ მე საჭიროთ ვნახე მე თითონ მეკისრა თავმჯდომარეობა ჩემს მიერ დანიშნულ პატიოსნობის დამცველთა საგანგებო სასამართლოში.

გენ. მაზნევის საქციელში გახლავს ორი მწარე: ერთი ზნეობრივი, მეორე – დანაშაულობა თავის სახელმწიფოს წინაშე. პირველის დასჯა ეკუთვნის პატიოსნობის დამსჯელ სასამართლოს; მეორესი კი სახელმწიფო სასამართლოს.

ამ ზნეობრივი მხარეების გარჩევა ეკუთვნის სამხედრო პირების უფლებას და სამხედრო პირებმა დაადგინეს, რომ გენ. მაზნევი იყოს განრიცხული სამხედრო წრიდან. თანახმად სამხედრო წესდებებისა, განრიცხული ამა თუ იმ ნაწილიდან ან წრიდან სამხედრო პირი უნდა იქმნას განრიცხული სამხედრო უწყებიდან სამუდამოდ. ამისთანა განრიცხვა შეადგენს სამხედრო უწყების თავში მდგომ პირის უფლებას. რადგანაც ამისთანა პიროვნება არ არსებობს, მაშასადამე, გენ. მაზნევის სამხედრო უწყებიდან განრიცხვა შეადგენს თვით მთავრობის უფლებას. ამიტომაც ქართველ უფრობს მხედართა გარიცხვას სთხოვს მთავრობას გამოიტანოს გენ. მაზნევის შესახებ დადგენილება სამხედრო უწყებიდან მისი გამორიცხვისა. რაც შეეხება გენ. მაზნევის მიცემისა სახელმწიფო სასამართლოში შექმნილ მდგომარეობის ძალით, ეს შეადგენს აგრეთვე მთავრობის უფლებას.

გენ. მაზნევი საქართველოს აღდგენიდან 1918წ. 26 მაისიდან გახლდათ მსახური ჩვენი მთავრობისა, იმ მთავრობისა, რომელიც აქამდის ცნობილია საფრანგეთის მიერ.

გენ. მაზნევი გადავიდა სამსახურში იმ მთავრობასთან, რომელსაც იგი

არ სცნობდა და ამით უღალატა ჩვენ მიერ ცნობილ მთავრობას და აგრეთვე ქართველ ერს, რომელმაც გაღებული მსხვერპლით და აჯანყებებით მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ იგი არ იტანს ძალით დაყენებულ საბჭოთა ხელისუფლებას და შემოყვანილ უცხო ძალას.

გენ. მაზნევი საფრანგეთში ყოფნის დროს არა ერთხელ ასრულებდა ჩვენი მთავრობის დავალებებს და თავის საქციელით არა მხოლოდ უღალატა მთავრობას, არამედ იგი მოუწოდებს ქართველ მხედრობას, რათა გადავიდნენ მტრის ბანაკში.

ამ მოქმედებით გენ. მაზნევი გადაუდგა კანონიერ მთავრობას და შეუდგა ამით აჯანყების მოწყობას.

ამისთანა საქციელისათვის გენ. მაზნევი უნდა დასჯილ იქნას სასტიკად.

სასამართლოს დანიშვნა და ამ სასამართლოს განაჩენის გამოტანა არის ჩვენი შინაური საქმე და მე მიმაჩნია ამის მოხდენა არ არის შეუძლებელი.

გენ. კვინიტაძე

თანდართულია ქართველ უფროს მხედართა კრების დადგენილების ასლი".[18]

როგორც ვხედავთ, გიორგი მაზნიაშვილი ემიგრაციაში მყოფმა სამხედრო პირებმა გარიცხეს თავისი რიგებიდან და აღძრეს შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, ჩამოერთმიათ მისთვის გენერლის წოდება. ნ. ჟორდანია და მისი მთავრობა მოერიდა ასეთი რადიკალური ნაბიჯის გადადგმას, თუმცა უნდა ითქვას, რომ სამხედრო პირისთვის იმ მომენტისათვის მაზნიაშვილი მოღალატე და ბოლშევიკებთან შეკრული პირი იყო. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ ამ ორივე დოკუმენტში გენერალი მაზნიაშვილის გვარი მაინცდამაინც რუსული ფორმით – „მაზნიევით" იხსენიება. ქართულ ემიგრაციაში მისი საქციელი დასაგმობი იყო და ამ წერილების ტონიც ამით უნდა იყოს განპირობებული. მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ გენერალი თავისი სამშობლოსა და ოჯახის სიყვარულის გამო დაბრუნდა საქართველოში, არავითარი სხვა განზრახვა მას გულში არ ედო. სამშობლოში ჩამოსვლისთანავე ის ჩვეულებრივ ცხოვრებას შეუდგა, დიდ პერიოდს საერთოდ სოფელში ატარებდა. 1937 წლის მაზნიაშვილი დახვრიტეს. მან, საქართველოში სიკვდილი არჩია ევროპაში მშვიდად ყოფნას.

გიორგი კვინიტაძე, მართალია, ამ წერილის ერთ-ერთი ავტორი და

[18] სცსა. ფ. 1861, აღწ. 3, საქ. 176, გვ. 1.

ინიციატორი იყო, მაგრამ მოგვიანებით მისავე შექმნილ მოგონებებში არაერთგზის იხსენებს მაზნიაშვილს, თუმცა „ქართველ უფროსს მხედრობის კრების დადგენილებას“ კვინიტაძე აღარ ახსენებს. ამ მემუარების წერა გენერალმა, მართალია, 1922 წელს დაიწყო, მაგრამ მისი გამოქვეყნება სიცოცხლეში ვერ მოასწრო. ამასთანავე, „მოგონებებს“ მოგვიანებით რამდენჯერმე გაუკეთდა რედაქცია. ამ წიგნის წინასიტყვაობა საერთოდ 1961 წელს დაიწერა, ხოლო უშუალოდ მოგონებები 1985 წელს გამოიცა. ამდენად, გიორგი კვინიტაძეს ჰქონდა დროც და საშუალებაც, გარკვეული შესწორებები გაეკეთებინა თავის მოგონებებში და, მასში, 1921 წლის შემდგომი მოვლენებიც აესახა, მითუმეტეს, რომ რამდენიმე ადგილას ასეთი გვიანდელი სარედაქციო ჩარევის კვალს ვხედავთ კიდეც.[19] ამ რეალობის გათვალისწინებისას თვალში საცემია ერთი დეტალი, კვინიტაძე არსად თავის ჩანაწერებში მაზნიაშვილზე აუგს არ ამბობს, მითუმეტეს, ერთი სიტყვითაც კი არ აღუნიშნავს მას „ქართველ უფროსს მხედრობის კრების“ გადაწყვეტილება. გენერალი კვინიტაძის „მოგონებებში“ მაზნიაშვილი თითქმის ყველგან დადებით კონტექსტშია დახასიათებული.[20]

[19] სოციალ-დემოკრატების კრიტიკისას ერთგან აღნიშნავს, რომ „ახლაც კი, 1961 წელს, 40-წლიანი ემიგრაციის შემდეგ, სოციალ-დემოკრატია კვლავაც ტრაბახობს, დამფუძნებელ კრებაზე 90%-ს შევადგენდით და ხალხი ჩვენ გვიჭერდა მხარსო. ვითომ ასეა? დამფუძნებელ კრებაში სოციალისტთა 90%-ის მიუხედავად, ხალხი უკვე აღარ მიჰყვებოდა ჩვენს ხელისუფალთ, რადგან მიხვდა, რომ მათ მმართველობას ინტერნაციონალური ხასიათი ჰქონდა“. იხ.: გ. კვინიტაძე. მოგონებები. ტ. I. თბ. 1998, გვ. 13.

[20] ერთგან გიორგი კვინიტაძე ასეთ შეფასებას აძლევს თავის თანამებრძოლს გენერალ მაზნიაშვილს: „გენერალი მაზნიაშვილი მამაცი კაცია; რამდენჯერმე მინახავს ტყვიის ზუზუნში და გადაჭრით შემიძლია ამის თქმა. ერთობ არასასურველ ვითარებაშიც მამაცია. მაგრამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სწორედ ესაა მისი ნაკლი – მოჭარბებული სიმამაცე; ხშირად გადადებდა ხოლმე თავის; ხშირად მოქცეულა ისე, რომ შეიძლებოდა თავი წაეგო და ხელიდან გამოგვცლოდა ისეთი კაცი, რომლის დაკარგვაც დიდ ზიანს მოგვიტანდა“ (იხ.: გ. კვინიტაძე. მოგონებები. ტ. I, გვ. 77). ოდნავ ქვემოთ იგი კიდევ ერთ საინტერესო ფაქტს იხსენებს მაზნიაშვილის ბიოგრაფიიდან. ახალციხისკენ შეტევის განვითარების წინ მაზნიაშვილს სერიოზული უსიამოვნება მოუვიდა თავის ხელქვეით სამხედროებთან, რის გამოც მთავრობამ გადაწყვიტა მისი მოხსნა და კვინიტაძის დანიშვნა. ამ მოვლენას გენერალი გიორგი კვინიტაძე ასე იგონებს: „ხაშურში... სამხედრო მინისტრთან შევედი ვაგონში. ვუთხარი, ვიცი მაზნიაშვილის თაობაზე გაგზავნილი თქვენი დეპეშის ამბავი და დაბეჯითებით გთხოვთ, ამას ნუ იზამთ-მეთქი. მიპასუხა, ბორჯომში მაზნიაშვილის ავტორიტეტი ძალიან შელახულია, ხელქვეითებთან უსიამოვნება აქვს, აღარ სჯერათ

ამ ყოველივეს გაცნობის შემდეგ მკითხველს ერთადერთი კითხვა შეიძლება დაებადოს – რატომ სდუმს გენერალი კვინიტაძე მაზნიევის-მაზნიაშვილის საქმეზე 1926 წელს გამოტანილ განაჩენზე? ამასთანავე, მოგონებებში არსად ჩანს ის პათოსი, როგორც წერილშია. ჩვენი აზრით, ამას თავისი ახსნა აქვს. ემიგრაციაში მოგვიანებით საფუძვლიანად მოხვდა მაზნიაშვილის საბჭოთა კავშირში დაბრუნების გადაფასება. იმავდროულად, არ გამოვრიცხავთ „ქართველ უფროსს მხედრობის კრების“ „განაჩენი“ „ცხელ გულზე“ ყოფილიყო მიღებული, მაგრამ შემდგომმა მოვლენებმა სრულიად საწინააღმდეგო

მისი და ამიტომაც აჯობებს მისი გამოწვევაო. მე ჩემსას არ ვიშლიდი და ვეუბნებოდი, მე და მაზნიაშვილი ერთმანეთს კარგად ვიცნობთ და შეხმატკბილებულად ვიმუშავებთ, როგორც საქართველო-სომხეთის ომში იყო; მე, როგორც შტაბის უფროსი, მაზნიაშვილსა და საჯარისო უფროსებს შორის ჩავდგები, სადავო აღარაფერი ექნებათ და ყველაფერი კარგად დასრულდება-მეთქი; ბოლოს, კიდევ ერთხელ დაჟინებით ვთხოვე მაზნიაშვილის დატოვება. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ თხოვნას შემისრულებდა, თუმცა არაფერს არ დამპირება. შტაბში ღამით ჩავედი. გენერლებს მაზნიაშვილსა და სუმბათაშვილს ეძინათ; მათი გაღვიძება არ დავანებე. საქმის ვითარება გამაცნო პოლკოვნიკმა ჯინჯიხიამ, რომელიც შტაბის უფროსი გახლდათ და ის-ის იყო მე-4 პოლკის მეთაურად დაინიშნა. მერე, ვახშმობისას, შტაბის ოფიცერი გავიცანი. მეორე დღეს ნაცნობი სურათი გამეორდა. მაზნიაშვილმა საწერ მაგიდასთან დამსვა და მითხრა: „აჰა, რუქა, ფანქრები, ქაღალდი, მელანი; აბა, შენ იცი“. მეორე დღეს პოზიციები დავათვალიერე და საქმეს შევუდექი. მაზნიაშვილმა მითხრა, შეიძლება მეც წამოგეწიოო. მართლაც გამოსულა, ოღონდ, როცა მარჯვენა ფლანგზე გავიდა, მე იქაურობის დათვალიერება დასრულებული მქონდა და უკვე მარცხენაზე ვიყავი. ღამით დაბრუნდი. ოთახში შესვლისთანავე თვალში მეცა, რომ რაღაცეებს ფუთავდნენ და ალაგებდნენ. მეგონა, მაზნიაშვილი სხვა ბინაში გადადიოდა. უკან დაბრუნებისას გავიგე, მარჯვენა ფლანგზე მაზნიაშვილი სიკვდილს ბეწვზე გადაურჩაო. თურმე ჩვენი სანგრების იქით გადასულა და მოწინააღმდეგისკენ გაუწევია. 200 ნაბიჯი ექნებოდა გავლილი, რომ ცეცხლი გაუხსნეს. მადლობა ღმერთს, უვნებელი გადარჩა. უკან დაბრუნებულმა მეგობრულად ვუსაყვედურე, როგორ შეიძლება თავის ასე გაწირვა, თან არაფრის გამო, ეშმაკს არ არ სძინავს-მეთქი. მითხრა, წაიკითხე ერთი ეგ დეპეშა, საწერ მაგიდაზე რომ დევსო. წავიკითხე. ეს იყო ბრძანება, მაზნიაშვილი გაწვეულ იქნას მისი დივიზიის მობილიზაციის დასაჩქარებლად; ახალციხის ფრონტის სარდლად და ამავე მაზრის გუბერნატორად კი კვინიტაძე დაინიშნოსო. ჩემი თხოვნა არ შეასრულეს. თურმე მაზნიაშვილი სადგურში წასასვლელად ემზადებოდა. დავიწყე დათათბირება, რომ დარჩენილიყო და ვუთხარი, უკვე ვთხოვე, ეს არ ექნათ და ალბათ მოვახერხებ, რომ ბრძანება გააუქმონ-მეთქი. მაზნიაშვილმა არ დაიშალა და წავიდა“ (გ. კვინიტაძე. მოგონებები. ტ. I, გვ. 106-107).

დაანახა ევროპაში დარჩენილ ემიგრაციას. 1937 წელს, როდესაც მაზნიაშვილი ბოლშევიკებმა დახვრიტეს, ემიგრანტ პოლიტიკოსთა თუ სამხედროთა აბსოლუტური უმრავლესობა, რომლებიც თავის დროზე თანაუგრძნობდნენ „ქართველ უფროსს მხედრობის კრების“ გადაწყვეტილებას, საღ-სალამათი იყო და პარიზისა თუ ევროპის სხვა ქალაქების ქუჩებში დასეირნობდა. ბოლშევიკების ტერორს კი შეეწირა მხცოვანი გენერალი, მისი შუათანა ვაჟი – ივანე (ვანო), ხოლო უმცროსი ბორისი საქართველოდან გადაიხვეწა და დიდი ხნის მანძილზე ბაქოში ცხოვრობდა. გენერლის ოჯახის ტრაგედია, ბუნებრივია, ემიგრაციაშიც ეცოდინებოდათ, ამიტომაც მოგვიანებით არავის გახსენებია გენერალ მაზნიაშვილის „ღალატი“.

გიორგი მაზნიაშვილის განკულაკება

საქართველოში გიორგი მაზნიაშვილის მდგომარეობა ბოლშევიკების მმართველობისას სავსე იყო რისკით. ნებისმიერ დროს შეიძლებოდა ახალ ხელისუფლებას შური ეძია მასზე, როგორც მეფის რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალზე, მაგრამ იმდენად დიდი იყო მაზნიაშვილის სურვილი, ეცხოვრა სამშობლოში, რომ იგი ამ საფრთხეს არაფრად აგდებდა.

დღეისთვის ძნელი არის იმის თქმა, მაზნიაშვილი წარმოიდგენდა თუ არა თავისი ცხოვრების ასეთი გზით განვითარებას. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სამშობლოში დაბრუნებისას ის იმედოვნებდა საბჭოთა რეჟიმის კეთილგანწყობას, მაგრამ იგი არც იმდენად გულუბრყვილო იყო, რომ ასე ადვილად დაეჯერებინა საბჭოელთა დაპირებებისათვის. ვინ, თუ არა მან, კარგად იცოდა, როგორ გაუსწორდებოდნენ ბოლშევიკები 1921-1924 წლებში პოლიტიკურ ოპონენტებს. ამდენად, გიორგი მაზნიაშვილის საქართველოში ჩამოსვლა მართლაც იყო ნაკარნახევი სამშობლოში დაბრუნების სურვილით. სხვა მიზანი მაზნიაშვილს ამ ნაბიჯში არ იკითხება.

საქართველოში ცხოვრების პირველი წლები შედარებით მშვიდად მიდიოდა. გენერალი თავის სოფელში დასახლდა და ოჯახურ გარემოში ატარებდა წლებს.

საბჭოთა კავშირში 1928 წლიდან დაიწყო კოლექტივიზაციის პროცესი. სტალინის ამ წამოწყებას სოფლად ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, რომლებიც ბოლშევიკების რეჟიმმა მტრებად გამოაცხადა. მათ საგანგებო სახე-

ლით, „კულაკებით“ იხსენიებდნენ. თავიდან კულაკების მიმართ შედარებით შემწყნარებლურ პოლიტიკას ატარებდა სტალინის რეჟიმი, მაგრამ 1929-1930 წლებში სოფლად მცხოვრები შეძლებული მოსახლეობის პირდაპირი დევნა დაიწყო. 1930 წლის 30 იანვარს პოლიტბიურომ მიიღო დადგენილება კულაკების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით და, ფაქტობრივად, ამით საფუძველი დაუდო პირველ ტერორს. საქართელოს რაიონებშიც გაიშალა „კულაკთა წინააღმდეგ ბრძოლის“ კამპანია. გიორგი მაზნიაშვილი ერთ-ერთი პირველი აღმოჩნდა იმ ადამიანთა სიაში, რომლებიც საშიში იყვნენ საბჭოთა რეჟიმისათვის. 1930 წლის 26 იანვარს კასპის რაიაღმასკომის სხდომაზე „ოქმი №1“ განიხილეს რაიონიდან კულაკებისა და თავადაზნაურების გასახლების საკითხი, მათ შორის მაზნიაშვილის. დოკუმენტაციაში ვკითხულობთ: „მაზნიევი გიორგი ივანეს ძე არის ყოფილი პომეშჩიკი, მეფის და მენშევიკების დროინდელი მთავარსარდალი, რომელსაც შემოჰქონდა ნაქურდალი საქონელი თბილისიდან მენშევიკების დროს და ჰყიდდა ორმაგ ფასად გლეხობაზე. არის ყოფილი ემიგრანტი. წარმოადგენს გლეხობაში და მთავრობისათვის საშიშროებას, მიწებს ამუშავებს დაქირავებული შრომით.

ამის განსახლების სანქცია ეთხოვოს გორის ოლქ აღმასკომს.[21]

გიორგი მაზნიაშვილი განაკულაკეს, თუმცა სხვა მკაცრი სასჯელი მისთვის არ მიუსჯიათ. ამჯერად, გენერალი და მისი ოჯახი გადარჩა დაპატიმრებას და გადასახლებას, თუმცა საბჭოთა რეჟიმმა იგი „შავ სიაში“ შეიყვანა, რომელიც მალე ტრაგედიად ექცა მასსა და მის შვილებს.

გიორგი მაზნიაშვილისა და მისი ვაჟის – ივანეს დახვრეტა

1977 წელს საქართველოს სსრ-ს პროკურატურაში შექმნილი მაზნიაშვილის „საქმეში“ დაცულია ბორის მაზნიაშვილის წერილის საფუძველზე წარმოებული გამოძიების შედეგად გამოტანილი „დადგენილებისა“ და „დასკვნის“ ტექსტი,[22] ასევე შემონახულია სამეულის (ტროიკის) მიერ მაზნიაშვი-

[21] საქართველოს შსს-ს არქივი (II – ყოფილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი. პარტიული ორგანოები ფონდი). ფ. 62. საქ. 15. აღწ. 1. გვ. 3.

[22] Постановление об отказе в опротестовании решения быв. тройки НКВД ГССР da Заключение по архивно-уголовному делу №8374-59, по обвинению Мазниева Г. И. 5.12.1978. საქართველოს შსს-ს არქივი (I). ფ. № 6. საქ. № 371226.

ლის გასამართლების ოქმი.[23] ამ დოკუმენტებიდან ვგებულობთ, რომ გიორგი მაზნიაშვილი დაუპატიმრებიათ 1937 წლის 5 მაისს. საგამომძიებლო საქმეში მითითებული იყო, რომ დაპატიმრებას საფუძვლად დაედო ბ. ა. ლეჟნევას ჩვენება, რომლის საფუძველზეც 1937 წლის 26 აპრილს აღიძრა საქმე.[24] შესაბამის ორგანოებს უწარმოებიათ „გამოძიებაც," რომელსაც დაუდგენია მაზნიაშვილის კავშირი კონტრევოლუციურ დაჯგუფებასთან. საქმე განუხილია „ტროიკას" – აქვსენტი რაფავას, შალვა წერეთლისა და ილარიონ ტალახაძის შემადგენლობით. „სასამართლოზე" მოხსენებით წარმდგარა ვინმე კოვალევი. ოქმში მოკლედაა ჩამოყალიბებული მაზნიაშვილის გასამართლების საფუძვლები: „1925 წელს სსრკ-ში დაბრუნებისას მიიღო დავალება (ჟორდანიას მთავრობისაგან – ჯ.ს.) საქართველოში აჯანყების მოსაწყობად. მჭიდროდ იყო დაკავშირებული კონტრევოლუციური, სამხედრო, ჯაშუშური, ტერორისტული ორგანიზაციის წევრებთან პ. აღნიაშვილთან და გ. თუხარელთან." სამეულმა დახვრეტის განაჩენი გამოიტანა 1937 წლის 7 სექტებერს. დადგენილების ნაწილში მიწერილია – «Расстрелять».[25]

ერთი თვის შემდეგ დახვრიტეს გენერლის ვაჟი – ივანე მაზნიაშვილი, რომელიც ასევე დაპატიმრებული იყო „ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის". როგორც საგამომძიებლო საქმიდან გახდა ცნობილი, თავდაპირველად ივანე მაზნიაშვილი თავს არ ცნობდა დამნაშავედ და უარყოფდა მის ყოველგვარ კავშირს კონტრევოლუციურ ორგანიზაციასთან, რომელიც ვითომდა შექმნილი იყო პოლკოვნიკ თუხარელის მიერ. 1937 წლის 10 ოქტომბერს დაკითხვაზე ივანე მაზნიაშვილმა „აღიარა" დანაშაული და დაადასტურა, რომ თავის დროზე თუხარელმა გადაიბირა და ჩაითრია საიდუმლო სამხედრო ორგანიზაციაში.[26]

[23] Протокол №9. Заседания тройки при Народном Комиссариате Внутренних Дел Грузинской ССР от 7.09.1937. საქართველოს შსს-ს არქივი (I). ფ. № 8. საქ. № 37369. ოქმი 9. ტ. I, გვ. 3. როგორც ცნობილია, 1937 წელს სამეული დღეში ათობით საქმეს იხილავდა და გამოჰქონდა სასჯელის უმაღლესი ზომა. ამ დოკუმენტიდანაც კარგად ჩანს ეს „დროის უკმარისობა". ოქმი ბოლომდე შევსებული არ არის.

[24] Заключение по архивно-уголовному делу №8374-59, по обвинению Мазниева Г. И. 5.12.1978. საქართველოს შსს-ს არქივი (I). ფ. № 6. საქ. № 371226, გვ. 99.

[25] Протокол №9. Заседания тройки при Народном Комиссариате Внутренних Дел Грузинской ССР, გვ. 3.

[26] სამეულის ოქმი ივანე მაზნიაშვილის საქმეზე. იხ.: საქართველოს შსს-ს არქივი (I), ფ. № 8. საქ. № 37391. ოქმი 31. ტ. I, გვ. 15. ასევე. Справка (ცნობა გაცემულია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის, სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარის, იუსტიციის პოლკოვნიკის ტოლკაჩევის მიერ), საქართველოს შსს-ს არქივი (I). ფ. № 6. საქ. № 371226, გვ. 65.

1937 წლის 11 ოქტომბერს ივანე მაზნიაშვილს სამეულმა მიუსაჯა დახვრეტა. 1957 წლის 28 ივნისს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტრიბუნალმა გააუქმა 1937 წლის განაჩენი, რის საფუძველზეც მოხდა ივანე გიორგის ძე მაზნიაშვილის რეაბილიტაცია.[27]

მაზნიაშვილის სახე საბჭოთა თეატრის სცენაზე

მართლაც უცნაური ბედი ჰქონდა გიორგი მაზნიაშვილს. საბჭოთა პერიოდშიც კი შეიძლებოდა ქართულ სცენაზე მისი სახის განსახიერება და თანაც დადებით კონტექსტში. არადა, ამ დროს მისი ვაჟი ბორის მაზნიაშვილი საბჭოთა ხელისუფლებისგან ითხოვდა მამის რეაბილიტაციას და ამაზე საქართველოს პროკურატურა სასტიკ უარს აცხადებდა. გაზეთ „კომუნისტის“ 1977 წლის 19 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა სტატია, რომელიც ეძღვნებოდა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში დადგმულ სპექტაკლს „ისტორიული 24 საათი.“ სტატიაში ვკითხულობთ: „რეჟისორი სიყვარულით მოჰკიდებია ვ. კანდელაკის ნაწარმოებს, მსახიობებიც დიდი გატაცებით თამაშობენ და ქმნიან დასამახსოვრებელ სახეებს, ეს ითქმის ნ. მესხიძის რიფათა გოგიტიძეზე, ც. აბზიანიძის დინა ვაჩნაძეზე, ლ. ღლონტის სერგოზე, ს. ახალაძის ქარუმიძეზე.

სამი გენერლის – მაზნიაშვილის, ანდრონიკაშვილისა და სუმბათაშვილის სრულქმნილი სცენური სახეები შექმნეს ი. ცანავამ, გ. გოგიბერიძემ და მ. შერვაშიძემ, ამაღელვებელი და ამაღლებულია ეპიზოდი, როდესაც ქართველ კომუნისტთა თავკაცი სერგო მოხუც გენერალ მაზნიაშვილს ოსმალთა წინააღმდეგ ლაშქრის გაძღოლას სთხოვს.

ღლონტის გმირის დაჟინებული თხოვნა, ცანავას გმირის სიდინჯე და ფიქრიანი სახე, გამარჯვების შემდეგ სიტყვები: მშობელი მიწის სამსახურში კვლავაც დავიშთებით, მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობით არის ნათქვამი და განცდილი. დრამატურგმა მაზნიაშვილის კეთილშობილური საქციელი გმირობის დიდ სიმაღლეზე აიყვანა“.[28]

---

[27] Определение №353/Н, Военный Трибунал Закавкаского Военного Округа. საქართველოს შსს-ს არქივი (I). ფ. № 6. საქ. № 371226, გვ. 67.

[28] ნ. ღვენეფაძე. ისტორიული 24 საათი. გაზ.: „კომუნისტი“. №245. 19.10.1977. აღნიშნული სტატია სასწრაფოდ გადაიგზავნა უშიშროების კომიტეტში, სადანაც მოხვდა კიდეც გიორგი მაზნიაშვილის საქმეში.

ამ სტატიამ და იმ ფაქტმაც, რომ ი. ცანავამ მაზნიაშვილის როლის შესრულებისთვის „რესპუბლიკის თეატრების დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ სპექტაკლების დათვალიერება – კონკურსზე“ მეორე ხარისხის დიპლომი მიიღო,[29] საქართველოს სსრ პროკურატურაში და უშიშროებაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის, ინაურის, სახელზე დაწერილ საიდუმლო წერილში მითითებულია: „საქმის გადახედვის პროცესში დადგინდა, რომ მაზნიევი გ. ი. დრამატურგის ვ. კანდელაკის პიესაში „ისტორიული 24 საათი“ წარმოდგენილია როგორც დადებით პერსონაჟად, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ბათუმიდან თურქეთის ჯარების განდევნაში და დახმარება გაუწია საბჭოთა ხელისუფლებას.

მაზნიევი გ. ი., როგორც ისტორიული პერსონაჟი, იხსენიება მწერალ გ. კარბელაშვილის წიგნში „რა შეედრება საქართველოს ოქტომბრის თვეში,“ გამოცემული 1977 წელს“.[30]

ეს მასალა წარმოდგენილი იყო შემდგომი რეაგირებისთვის, თუმცა რა შედეგი მოჰყვა პროკურატურისა და უშიშროების ამ მიმოწერას ცნობილი არ არის. რაც შეეხება გიორგი მაზნიაშვილის რეაბილიტაციას, ხელისუფლების კარნახით 1977-1978 წლებში პროკურატურამ უარი უთხრა მისი შვილის – ბორის მაზნიაშვილს – მამის გამართლებაზე. მიუხედავად ამისა, ეს უკანასკნელი კიდევ ერთხელ შეეცადა 1979 წლის აპრილში ამ საკითხის აღძვრას საკავშირო ორგანოების წინაშე, თუმცაღა ამჯერადაც უშედეგოდ.[31]

[29] დაასახელეს გამარჯვებულნი, შეჯამებულია რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის შედეგები. გაზ.: „კომუნისტი“. №63. 16.03.1978.

[30] საქართველოს სსრ პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის ლ. თალაკვაძის საიდუმლო წერილი საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ა. ინაურის სახელზე. საქართველოს შსს-ს არქივი (I). ფ. №6. საქ. № 371226, გვ. 85.

[31] საქართველოს შსს-ს არქივი (I). ფ. № 6. საქ. № 371226, გვ. 106.

Jaba Samushia

MATERIAL FROM THE BIOGRAPHY OF GIORGI MAZNIASHVILI

Summary

Giorgi Mazniashvili was one of the most prominent generals of the Democratic Republic of Georgia (1918-1921). In this article we have attempted to collect some new and unpublished archive material about the life and deeds of Giorgi Mazniashvili. Some biographical details of his life after 1921 are not precisely defined. According to the information we have obtained from the archives, he was arrested twice in 1921-1923. The first arrest took place on 6th October 1921 in accordance with the decision of the Soviet regime. In 1923 he was released, but in January of the same year, was again arrested and sentenced to death. On 20th of May of the same year this harsh penalty was changed to banishment from the country.

Soon afterwards, Giorgi Mazniashvili spent some time in Iran and in December 1923 he arrived in Paris, France. In Paris he cooperated with the First Republic Georgian government in exile, but later the relationship was deteriorated with the members of the government and Giorgi Mazniashvili returned back to Georgia. Initially, Soviet officials allowed him to live peacefully, but later on in 1937 he was executed.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VIII
თბილისი. 2013-2014

გიორგი სოსიაშვილი

რელიგიური უმცირესობები შიდა ქართლში XX საუკუნის I მეოთხედში

როგორც ცნობილია, 1921 წელს, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ქვეყანას მძიმე რეპრესიები დაატყდა. ბოლშევიკურმა ტერორმა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე მოიცვა. განსაკუთრებული სისასტიკით ხელისუფლება ქრისტიანულ ეკლესიას გაუსწორდა, რაც გამოიხატა ტაძრების დახურვით, ასევე სასულიერო პირების მორალური, თუ ფიზიკური განადგურებით. აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის 20-იან წლებში ბოლშევიკებმა საქართველოში ათასზე მეტი ეკლესია დახურეს. ამ დროისათვის ჩვენს ქვეყანაში 1350 ტაძარი იყო მოქმედი, სადაც 1700 მღვდელი, 1527 ბერი და 280 მონაზონი მოღვაწეობდა. მათი რიცხვი რამდენიმე ათეულამდე შემცირდა.[1] მართლმადიდებლური ტაძრები დაუნდობლად იქნა გაძარცვული. საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 15 აპრილს მიიღო № 22 დეკრეტი, რომლის მიხედვითაც ეკლესიების ქონება სახალხო კუთვნილებად გამოცხადდა.[2] ქრისტიანული ეკლესიის მიმართ განხორციელებული ძალადობა ნათლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შიდა ქართლის მაგალითზე, სადაც ხელისუფლებამ არაერთი ეკლესია გააუქმა. საეკლესიო ქონება ადგილობრივი თემების აღმასკომთა წარმომადგენლების მიერ იქნა აღწერილი და ხაზინას ჩაბარდა. განსაკუთრებით ფასეული ნივთები, რომელთაც ისტორიული ღირებულება ჰქონდათ, მთავრობის დადგენილებით, მუზეუმს გადაეცა.[3] რეპრესიები დაატყდა ასევე სომხურ და კათოლიკურ ეკლესიებს. ბოლშევიკებმა გააუქმეს

[1] მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. თბ. 2009, გვ. 1115.

[2] ს. ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927 წწ.). თბ. 2009, გვ. 71.

[3] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში). დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა. თბ. 2013, გვ. 14.

ებრაელთა სინაგოგებიც. საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მართლმადიდებლური, თუ სხვა რელიგიური უმცირესობების მიმართ განხორციელებული ძალადობა დიდხანს იყო შენიღბული.[4]

გორში კათოლიკური ეკლესიის არსებობა საკმაოდ შორეულ წარსულს უკავშირდება. არსებობს ცნობა, რომლის მიხედვით კათოლიკე მისიონერები გორში ჯერ კიდევ XV საუკუნეში დამკვიდრებულან. რუსეთის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი როტიე ვატიკანში 1819 წელს გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნავს, რომ მას უნახავს კათოლიკე მისიონერების მიერ XV საუკუნეში გორში სახლების ნასყიდობის საბუთები.[5] კათოლიკე მისიონერების, კერძოდ, ავგუსტინელების გამოჩენა გორში აქტიურად დაიწყო XVII საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს, როდესაც გორში მყოფ თეიმურაზ I-ის კათოლიკე ბერმა ამბროსიო დუშ ანჟუსმა და მორჩილმა პედრო დუშ სანტოშმა ქეთევან დედოფლის ნეშტის ნაწილი გადასცეს.[6] თეიმურაზმა ავგუსტინელებს გორში ადგილი უბოძა, სადაც კათოლიკეებმა მონასტერი და სახლი ააშენეს.[7] XVII საუკუნის 20-იან წლებში გორს უკავშირდება ასევე თიატინელთა მოღვაწეობაც. რომის პაპის ურბან VIII-ის ბრძანებით, 1627 წ. სჯულის პროპაგანდის კონგრეგაციამ საქართველოში რამდენიმე პატრი გამოგზავნა, მათ შორის: პიეტრო ავიტაბილე, ფრანჩესკო დაპრილე და ჯაკომო დი სტეფანო. თიატინელებს თეიმურაზ I-ის ბრძანებით სახლი და ეკლესია გადასცეს. მოსახლეობაში ისინი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ თავიანთი ქადაგებებით, თუ ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის გაწეული სამედიცინო დახმარებით.[8] თიატინელებმა გორში წმინდა პეტრეს სახელობის ტაძარი ააგეს, რასაც რომის პაპი დიდი კმაყოფილებით შეხვდა.[9] XVII საუკუნის II ნახევარში გორში კაპუცინელი მისიონერებიც იმყოფებოდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა პატრი ჯუსტინო ლივორნოელი. კათოლიკეების ქონება ამ დროს მიტაცებული ჰქონდათ გორში მყოფ სომეხ მღვდლებს. კაპუცინელები საკუთრების

[4] G. Sosiashvili. Educational aspect of the "Red Terror" against religious confession axiting in Georgia. International Conference on education and learning technologies, Barcelona, 2013. Edulearn 13 Abstracts.

[5] ე. მამისთვალიშვილი. გორის ისტორია. ტ. I. თბ. 1994, გვ. 304.

[6] ე. მამისთვალიშვილი. გორის ისტორია. ტ. I, გვ. 306.

[7] მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფ. 1902, გვ. 60.

[8] ე. მამისთვალიშვილი. გორის ისტორია. ტ. I, გვ. 308.

[9] აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბ. 2011, გვ. 120.

უკან დაბრუნებას ითხოვდნენ.[10] კაპუცინელების მოღვაწეობა საკმაოდ ნაყოფიერი იყო. მათ ფეოდალური არისტოკრატიის ბევრი წარმომადგენელი გადმოიბირეს. თუმცა კაპუცინელების წარმატებული საქმიანობა დიდხანს არ გაგრძელდა. როგორც ჟან შარდენი გადმოგვცემს, მალე კათოლიკეებს მრევლიც შეუმცირდათ და შემოსავალიც.[11] კათოლიკური ეკლესიის მდგომარეობა გორში მკვეთრად გაუარესდა XVIII საუკუნის 50-იან წლებში. თეიმურაზ II-ის ბრძანებით, კათოლიკე ბერებს ეკლესია და სახლი ჩამოერთვათ და მათი ქონება არქიეპოსკოპოსს გადაეცა. ამ პერიოდში გორელი კათოლიკეები წირვა-ლოცვას ზუბალაშვილების სახლში ატარებდნენ.[12] 1767 წ. ერეკლე II-ის ბრძანებით, ახალციხის უფროსმა პატრმა ალოიზიმ გორში გამოგზავნა პატრი გიორგი თურანელი. კათოლიკეებს გორში ეკლესიის ასაშენებლად ადგილი უბოძეს. მალე გიორგი თურანელი ერეკლეს ბრძანებით თბილისში გადაიყვანეს, მის მაგივრად კი გამოგზავნეს პატრი ანდრია. ეკლესია დაუსრულებია პატრ მარიუსს, რომელიც 1823 წელს გარდაიცვალა და კათოლიკე სასულიერო პირი ეკლესიაში საკურთხევლის წინ დაკრძალეს.[13] როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ბოლშევიკებმა სხვა კონფესიებთან ერთად კათოლიკური სარწმუნოების დევნაც დაიწყეს. 1923 წელს ხელისუფლებამ გორში არსებული კათოლიკური ეკლესია დახურა.[14] გორის თემის აღმასკომის პრეზიდიუმის ოქმში მითითებულია, რომ ეკლესიის დახურვის მიზეზი იყო კათოლიკეების სალოცავში არსებული ანტისანიტარია, ასევე მრევლის მცირე რაოდენობა. ხოლო კათოლიკეთა ეკლესიის წინამძღვარი პატრი კონსტანტინე საფარაშვილი მიჩნეული იყო, როგორც საბჭოთა წყობილების მოწინააღმდეგე. გორის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმი შუამდგომლობას ითხოვდა შსს სახალხო კომისარიატთან კათოლიკე პატრის საქართველოდან გაძევების შესახებ. სხდომის ოქმში ვკითხულობთ: „ოქმი № 27 გორის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომისა. 22 ოქტ. 1924 წ. დაესწრნენ ამხანაგები: სიამა-

[10] ე. მამისთვალიშვილი. გორის ისტორია. ტ. I, გვ. 321.

[11] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა. თბ. 1975, გვ. 274.

[12] ე. მამისთვალიშვილი. გორის ისტორია. ტ. I, გვ. 331.

[13] ე. მამისთვალიშვილი. გორის ისტორია. ტ. I, გვ. 332.

[14] გ. სოსიაშვილი. კათოლიკური ეკლესია შიდა ქართლში ბოლშევიკური რეპრესიების პერიოდში (უცნობი დოკუმენტების მიხედვით). აკად. მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მოხსენებათა თეზისები. თბ. 2012, გვ. 55.

შვილი, ბადრიაშვილი და ს. საყვარელიძე, თავმჯდომარე ვ. ქურდაძე, მდივანი (არ იკითხება – გ.ს.), მე-17 საკითხი – კათოლიკების ეკლესიის შესახებ. ვინაიდან სამაზრო აღმასკომს აქვს დამტკიცებული საბუთები, რომ აღნიშნულ ეკლესიაში ანტისანიტარიას აქვს ადგილი და დამსწრეთა რიცხვი მცირეა, ამის გარდა პატრი საფარაშვილი ცნობილია კონტრრევოლუციონური მოქმედებით, აღიძრას შუამდგომლობა შ.ს.ს. კომისარიატის წინაშე რათა აღნიშნული საყდარი დახურულ იქნას და პატრი საფარაშვილი, როგორც მავნე და კონტრრევოლუციონური ელემენტი გაძევებულ იქნას საქართველოს ფარგლებიდან, როგორც საბჭოთა კავშირის არა ქვეშევრდომი".[15] როგორც მითითებულია, ეს ოქმი თარიღდება 1924 წლით და აქ საუბარია კათოლიკეთა სალოცავის დახურვის შესახებ, თუმცა ჩვენს ხელთ არსებული სხვა დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ბოლშევიკებს კათოლიკეთა სალოცავი 1923 წელს გაუუქმებიათ. ამას ადასტურებს 1923 წლის 16 სექტემბრით დათარიღებული ვატიკანის დელეგატის წერილი, რომლის ადრესატია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორი. დოკუმენტში ვკითხულობთ:

„შინაგან საქმეთა კომისარს საშა გეგეჭკორს ქ. თბილისში

ბ. კომისარო!

მოგმართე თქვენ უკვე ორ გზით. შესახებ გორის კათოლიკეთა ეკლესიისა რომელიც დახურულ იქმნა კათოლიკე მრევლის სურვილის წინააღმდეგ, რის შესახებ თვითონ მრევლმაც შემოგჩივლათ ეკლესიის დახურვისთანავე საერთო განცხადებით.

მის შემდეგ შემემთხვა ორი თვით მოგზაურობა რუსეთში. იმედი მქონდა, რომ ხსენებული ეკლესია დაბრუნებული დამიხვდებოდა; ხოლო ვინაიდან ეს ესრედ არ იქმნა, კვლავ მოგმართავ თქვენ რათა კეთილ ინებოთ და დაბოლოოთ ეს საკითხი გორის მორწმუნე კათოლიკეთა სასარგებლოდ.

პატივისცემით

დელეგატი ვატიკანისა ადრიანუს სმეტსი. 16 ენკენისთ. 1923 წ."[16]

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან ვატიკანის დელეგატის წერილი, კომისრის მოადგილის – ტალახაძის ხელმოწერით, განსახილველად საქართველოს იუსტიციის საქმეთა სახალხო კომისარს და რესპუბლიკის პროკურორს, ვარძიელს გადაეგზავნა. დოკუმენტში აღნიშნულია:

[15] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. საქმე №33. აღწერა №1.
[16] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. საქმე №33. აღწერა №1, გვ. 18.

„პირადათ. იუსტიციის სახალხო კომისარს და რესპუბლიკის პროკურორს ამხ. ვარძიელს

ამასთან ერთად გიგზავნით თქვენს განკარგულებაში აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორის მომართვას ა.წ. სექტემბრის 15-ის თარიღით 1921 №-ით და კათოლიკეთა ეკლესიების დელეგატის მომართვას ა.წ. 16 სექტემბრიდან № 49, სოფ. ძლევის ჯვარის და ქ. გორის კათოლიკეთა ეკლესიების გახსნის შესახებ. დანართი: მიმოწერა 5 ფურცელზე.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ტალახაძე

საერთო განყოფილების გამგე (გვარი არ იკითხება – გ.ს.), 1923 წ. სექტემბერი“.[17]

ვატიკანის დელეგატის მიმართვამდე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს წერილი გაუგზავნა გორის კათოლიკეთა ეკლესიის წინამძღვარმა კონსტანტინე საფარაშვილმა. წერილში ქართველი პატრი კათოლიკეთა გაუქმებული ეკლესიის აღდგენას და წართმეული საოჯახო, ასევე საეკლესიო ნივთების უკან დაბრუნებას ითხოვდა:

„საქართ. ს.რ. შინაგან საქმეთა სამინისტროს

გორის კათოლიკეთა ეკლესიის წინამძღვარის

კონსტ. საფარიშვილის

თხოვნა

ამ სამი თვის წინეთ, გორის ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მილიციონერების დახმარებით, ასწერეს ჩემი ოთახის ავეჯი და მოწყობილება, იძულებითი ჩამორთმების მიზნით. რამდენიმე დღის შემდეგ ჩამომართვეს კიდევაც ნაწილი ამ ავეჯისა როგორც ხალიჩა, ეტაჟერკა, მაგიდა, სკამები, კუშეტკა და სხვ. დამრჩა რამდენიმე სხვა საგნებთან ერთად სამწერლო მაგიდაც რომლის ჩამორთმევისათვის მაწუხებენ უაღრეს წერტილამდე.

ვინაიდან ეს ნივთები არ ეკუთვნის ადგილობრივ ხელისუფლებას, არამედ გორის კათოლიკე ეკლესიის ახლოს დაარსებულ საქველმოქმედო საზოგადოებას, ეგრეთ წოდებულ კათოლიკეთა „ძმობას“ კათოლიკე ხალხს, რომელიც ხსენებულ ავეჯს და ოთახის მოწყობილებას, სტოებს მუდამ, გორში განწესებულ კათოლიკე მოძღვრის განკარგულებაში, სახმარებლად.

ამისათვის გთხოვთ უმორჩილესად, განკარგულება გასცეთ სადაც ჯერარს, რათა ხსენებული ჩამორთმეული ავეჯი, უკან გვექმნეს დაბრუნებული.

ამასთან ერთად, გავიხსენებ რა გორის კოლიკე ეკლესიის იძულებით

[17] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. საქმე №33. აღწერა №1.

დაკეტვას, წინააღმდეგ ადგილობრივი კათოლიკე მრევლის სურვილისა (სასურველ იქმნებოდა, ამის შესახებ სასტიკი გამოძიება),

გთხოვთ, გორის კათოლიკე ეკლესიის გაღებას და საეკლესიო ნივთების დაბრუნებას (ჩამორთმეულ ნივთების სია დღემდლის არ მოუციათ ჩვენთვის), ვინაიდგან ეკლესიის დაკეტვა და საგნების ჩამორთმევა მოხდა არა თანახმათ 10 აგვისტოს 1923 წ. მთავრობის მიერ გამოცემულ ცირკულიარისა, შესახებ სარწმუნოების საკითხისა.

პატივისცემით

მღ. კონსტ. საფარაშვილი, 10 სექტემბერი 1923 წ. თბილისი აკიმოვის ქუჩა №16“.[18]

კონსტანტინე საფარაშვილის განცხადება შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ, ტალახაძემ, განსახილველად საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს და საქართველოს პროკურორს – ვარძიელს გადაუგზავნა.[19]

1923 წლის 22 სექტემბერს საქართველოს ბოლშევიკური მთავრობა გარკვეულ დათმობებზე წავიდა, რადგან თითქმის ყველა კუთხიდან იგზავნებოდა მორწმუნეთა თხოვნები დახურული სამლოცველოების გახსნასთან დაკავშირებით. მართლმადიდებლებთან ერთად სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლებს ხელისუფლებამ უფლება მისცა, ჩამოეყალიბებინათ და რეგისტრაციაში გაეტარებინათ რელიგიური საზოგადოებები. გორში მცხოვრებმა კათოლიკეებმა ეკლესიის გახსნის და ჩამორთმეული ნივთების დაბრუნების თხოვნით მიმართეს გორის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეს. განცხადებას ხელს აწერდა 68 მორწმუნე.[20] 1923 წლის 11 დეკემბერს გორის კათოლიკეთა ეკლესიის სამრევლოს მზრუნველობის რწმუნებულებმა შემდეგი შინაარსის განცხადება გაუგზავნეს გორის მაზრის აღმასკომის შინა მმართველობას:

„გორის მაზრის აღმასკომის შინა მმართველობას ქ. გორი კათოლიკე ეკლესიის სამრევლოს მზრუნველობის რწმუნებულების

განცხადება

თანახმათ სრულიად საქართველოს მთავრობის 22 სექტემბრის 1923 წ. ცირკულარისა, შესახებ რელიგიულ საზოგადოებათა რეგისტრაციისა, მზრუნ-

[18] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. საქმე №33. აღწერა №1.
[19] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. საქმე №33. აღწერა №1.
[20] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. საქმე №33. აღწერა №1, გვ. 66.

ველობა გიდგენთ ამასთან ერთად, გორის კათოლიკე ეკლესიის არსებულ რელიგიურ საზოგადოების წევრთა რეგისტრაციას.

მზრუნველობის წევრნი, რწმუნებულნი კ. გაბ. საფარაშვილი, ნ. ჯულაბიშვილი, გაბო ჩიტაშვილი, ალექსანდრე ზუბალაშვილი, M. A. Корковидов. ქ. გორი 11 დეკემბერს 1923 წ.“.[21]

მთავრობის 1923 წლის 22 სექტემბრის დადგენილების თანახმად, იმისათვის, რომ მორწმუნეებს რელიგიური საზოგადოება რეგისტრაციაში გაეტარებინათ, სიაში არანაკლებ 50 მორწმუნე უნდა ყოფილიყო. გორის კათოლიკეთა მრევლი 18 წლის ზევით ამ დროისათვის 150 ადამიანს შეადგენდა. კათოლიკეები გორის გარდა ცხოვრობდნენ ასევე ხაშურსა და ბორჯომში.[22] გორის მაზრაში მცხოვრებ კათოლიკეებს მღვდელი –კონსტანტინე გაბრიელის ძე საფარაშვილი ემსახურებოდა, რომელიც წარმოშობით თბილისიდან იყო. საეკლესიო მღვდელმსახურებასთან ერთად იგი მასწავლებლობასაც ეწეოდა.[23] გორის კათოლიკეთა საზოგადოებამ 1923 წლის 29 დეკემბერს სხდომა ჩაატარა. სხდომის ოქმში ვკითხულობთ: „გორის კათოლიკეთა საზოგადოება, მოწვეულ 29 დეკემბერს 1923 წლ. ქ გორში, სააკაანთ მამულში, თანახმად გორის აღმასკომის, 27 დეკემბრის 1923 წ. №10399, ნებართვისა, თანადასწრებით მთავრობის წარმომადგენელის, ამხ. დევდარიანისა, გაეცნო რა ს.ს. მთავრობის 10 აგვისტოს, 22 სექტემბრის და 20 დეკემბრის 1923 წ. ინსტრუქციებსა, შესახებ რელიგიური თავისუფლებისა, რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციისა და ეკლესიების გაღება-დაბრუნებისა, დაადგინა, უპირველესად ყოვლისა, მადლობა ეძღვნას სსრ მთავრობას. მასში რომ, იგი შესაძლებლად სცნობს დახურულ ეკლესიების დაბრუნებას და ანგარიშს უწევს რელიგიურ საკითხში გორის კათოლიკე საზოგადოების გულის სურვილსა;

მეორედ, საზოგადოება გამოსთქვამს ერთხმად, სურვილს, გორის კათოლიკე ეკლესიის გაღებისას, ვინაიდგან, იგი, არ ყოფილა მომხრე, ამ ეკლესიის დაკეტვისა.

მესამედ, საზოგადოებამ საჭიროდ სცნო, სასწრაფოდ მიღებულ იქმნას ყოველგვარი ზომები, მთავრობის დეკრეტში ნაჩვენები, გორის კათოლიკეთა საზოგადოების დაფუძნება-აღდგენის მიზნით. ამისათვის, კათოლიკეთა საზოგადოებამ, კენჭის ყრით აირჩია, ერთხმად, თავის რწმუნებულად მთავრობის წინაშე, გარდა ორი, უკეთუ არსებული ძმათ უფროსებისა, ნიკოლოზ ნიკო-

[21] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. საქმე №33. აღწერა №1, გვ. 68.
[22] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. საქმე №33. აღწერა №1, გვ. 69.
[23] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. საქმე №33. აღწერა №1, გვ. 117.

ლოზის ძე ჯულაბიშვილის და გაბრიელა ალექსის ძე ჩიტაშვილისა და აგრეთვე მღ. კონსტანტინე გაბრიელის ძე საფარაშვილისა, კიდევ სხვა ორნი პირნი: ალექსანდრე ანტონის ძე ზუბალაშვილი და მიხაკა ალექსას ძე კორკოვიდოვი, რომელთაც საზოგადოება სთხოვს, კეთილ ინებონ და, მისი სახელით და მისი პასუხისგების ქვეშ, ჩაიბარონ უკან კათოლიკე ეკლესია, მისი ქონება და განაგონ რელიგიასთან დაკავშირებულნი საქმენი.

მეოთხედ, განიხილა რა საზოგადოებამ, გორის კათოლიკე მრევლის რელიგიური წესდება, დაადასტურა იგი ერთხმად და დაავალა თავის რწმუნებულებს, ხელი მოაწერონ მას, მისი სახელით, და წარუდგინონ ადგილობრივ მთავრობას. აგრეთვე მიანდო მათ, წესდების რომელიმე მუხლის შეცვლის აუცილებლობაში, მოაგვარონ საქმე თანახმად კათოლიკე ეკლესიის წესდებისა.

მეხუთედ, საზოგადოება ეგებება დიდი სიხარულით, მორწმუნეთა რეგისტრაციის საქმეს და თანახმად მთავრობის 22 სექტემბრის 1923 წ. ცირკულიარის მეექვსე მუხლის შენიშვნისა, სისრულეში მოჰყავს იგი. ამისათვის, ადასტურებს იგი, ამ კრებაზე ადრე, ამავე მიზნით უკვე შედგენილ ნაწილობრივად, ხელმოწერილ რეგისტრაციას.

დასასრულ, გორის კათოლიკეთა საზოგადოება გამოსთქვამს იმედს, რომ თანახმად მთავრობის ცირკულიარისა, ადგილობრივი აღმასკომი კეთილ ინებებს და ახლო მომავალში კათოლიკეთა ეკლესიის დაბრუნებით, დააკმაყოფილებს კათოლიკე საზოგადოების ცხოველ სურვილსა. რაზედაც ხელს აწერენ:

კრების თავმჯდომარის მაგიერ: კონსტ. გაბრ. ძე საფარაშვილი,

მდივანი: ალექსანდრე ზუბალაშვილი, ძმათუმთავრესი: გაბო ჩიტაშვილი".[24]

კათოლიკე მორწმუნეთა მიერ შედგენილ წესდებაში გაწერილი იყო ის უფლებები, რასაც სახელმწიფო საზოგადოებაში გაერთიანებულ მორწმუნეებს ანიჭებდა. წესდებაში აღნიშნულია: „ნორმალური წესდება ქ. გორი კათოლიკე ეკლესიის, რომის კათოლიკე სარწმუნოების მაღიარებელთა (განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა) სამრევლოისა ანუ რელიგიურ საზოგადოებისა.

I.

სახელწოდება, მიზანი. მოქმედების ხასიათი და

სამოქმედო რაიონი საზოგადოებისა

1. ხსენებულ საზოგადოებას ეწოდება: რომის კათოლიკე ეკლესიის სარწმუნოების მაღიარებელთა რელიგიური საზოგადოება.

2. მისი მიზანია, შეაერთოს რომის კათოლიკე სარწმუნოების მაღიარე-

[24] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. საქმე №33. აღწერა №1, გვ. 120.

ბელნი პირნი, განურჩევლად სქესისა და ეროვნებისა, დასაკმაყოფილებლად რელიგიურ მოთხოვნილებათა, თანახმად რომის კათოლიკე ეკლესიის.

3. მოქმედების ხასიათი შემდეგნაირია:

ა) განსაზღვრულ დროზე და ადგილზე სრულდება რელიგიური წესები; თანახმად ქრისტეს მოძღვრებისა, რომელსაც ესწრებიან მორწმუნენი,

ბ) რელიგიურ საზოგადოებათა ყრილობებში მონაწილეობას იღებს საზოგადოება.

გ) სამრევლო ორგანო, მზრუნველობას უწევს საზოგადოების ქონებას.

დ) იგივე ორგანო, ქონების მოვლის მიზნით, სდებს საჭირო ხელშეკრულებებს.

ე) ზედმეტი სასულიერო პირები საჭიროების შემთხვევაში, ესენი არჩეულ იქნებიან, თანახმად კათოლიკე ეკლესიის წესისა, მთავრობის კანონის მიხედვით.

4. სამოქმედო რაიონი – გორის კათოლიკე ეკლესიის მზრუნველობის რაიონია: ქ. გორი, ბორჯომი, ხაშური, სურამი და, ორი-სამი სოფლის გარდა, მთელი გორის მაზრა, სადაც კი დაფანტული არიან, რომის კათოლიკე სარწმუნოების მაღიარებელნი პირნი.

II.

წევრთა ჩაწერის და გასვლის წესი

5. საზოგადოების წევრათ ითვლება, ყოველი მორწმუნე პირი, განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა, რომელიც მონათლულია ნათლისღების საიდუმლოთი, სწამს, და აღიარებს რომის კათოლიკე ეკლესიის სარწმუნოებას.

6. წევრთა ჩაწერის წესი – საზოგადოების წევრად ხდება ადამიანი

ა) ნათლისღების საიდუმლოს მიღებით, ოდეს მისი მშობლები უკვე ეკუთვნიან ხსენებულ საზოგადოებას.

ბ) საცხოვრებელ ადგილის გამოცვლით, ოდეს იგი, უკვე კათოლიკე სარწმუნოების მაღიარებელი, გადადის საცხოვრებლად ხსენებულ რელიგიურ საზოგადოების რაიონში.

გ) პიროვნული განცხადებით, ოდეს მას ჰსურს მიიღოს კათოლიკე სარწმუნოება და შეასრულოს ხსენებული რელიგიური საზოგადოების წესები. განცხადება უნდა დაიწეროს ეკლესიის წინამძღვრის სახელზე.

შენიშვნა: რელიგიურ საზოგადოების ანუ მრევლის წინამძღვართან, ინახება სია ხსენებულ საზოგადოების წევრებისა. რომელი სიაც ყოველ წლივ წარედგინება მთავრობას.

7. წევრთა გასვლის წესი – საზოგადოებიდან გასვლა ხდება

ა) პიროვნული განცხადებით მსურველისა.

ბ) დადგენილებით სათანადო ეპარქიული საეკლესიო ორგანოისა.

III. საზოგადოების სახსარი.

8. დასაფარავად საზოგადოების საჭირო ხარჯებისა, საზოგადოებას მოეპოვება თავისუფალი შეწირულობანი მორწმუნეთა, რომელი შემოწირულობანი, შეიძლება მოიხმაროს მან, მხოლოდ რელიგიურ და რელიგიასთან დაკავშირებულ სამეურნეო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

IV. საზოგადოების საქმეთა მართველობა.

9. საზოგადოებას ჰყავს აღმასრულებელი ორგანო ანუ მზრუნველობა, რომელშიც შედიან ეკლესიის წინამძღვარი, ორი ძმათ უმფროსი (სინდიკები) და ორიც ამათი კანდიდატი. ეკლესიის წინამძღვარი განაგებს საეკლესიო საქმეებს და არის თავმჯდომარე მზრუნველობისა.

10. სინდიკებს და მათ კანდიდატებს ირჩევს სამი წლით, მრევლის საერთო კრება თანახმად კათოლიკე ეკლესიის წესისა. მათ უნდა ჰქონდესთ შესრულებული 21 წელიწადი.

11. მზრუნველობის მოვალეობაა:

ა) მოუაროს და განაგოს საზოგადოების განკარგულებაში არსებული ქონება.

ბ) აწარმოოს შესავალ გასავლის (და მორწმუნეთა შორის ნათესაობრივი კავშირის გაგების მიზნით) მონათლულთა, დაქორწინებულთა,

და მიცვალებულთა დავთრები.

12. მზრუნველობის წევრთა ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი უნდა მოიპოვებოდეს ქ. გორში, სადაც არის კათოლიკეთა ეკლესია.

V. საზოგადო კრება.

13. აღმასრულებელი ორგანო, იწვევს საჭიროების დაგვარ და მიღებული წესით, მორწმუნეთა საერთო კრებას

14. საზოგადო კრება ჩაითვლება კანონიერათ, თუ 2/3 წევრებისა დაესწრება, წინააღმდეგ შემთხვევაში გადიდება სხვა დროისათვის და ეს ჩაითვლება კანონიერათ, მიუხედავათ წევრთა რაოდენობისა.

15. ხმის მიცემის უფლებით სარგებლობენ, საზოგადო კრებაზედ, საზოგადოების წევრნი 18 წელს გადახულნი; ხოლო საპასუხისმგებლო თანამდებობაში პასიური ამორჩევისათვის, საჭიროა 21 წელი შესრულებული.

16. ამ მოწვევის მიზანია:

ა) ძმათა უმფროსების არჩევა.

ბ) წლიური ანგარიშების განხილვა.

გ) საზოგადოების უსაჭიროესი სამეურნეო ხასიათის საკითხების განხილვა და გადაჭრა.

17. წესი კითხვების გადაწყვეტისა.

ა) საზოგადო კითხვები, სწყდება ხმების მარტივი უმეტესობით.

ბ) ფრიად მნიშვნელოვანი კითხვებისათვის, საჭიროა, ორი მესამედი ხმებისა.

შენიშვნა: 1) ყოველ შემთხვევაში კრების მოქმედება წარდგენილია ეპარქიული ორგანოსადმი, განსახილველად.

2) საერთო კრების დადგენილებათა შესრულება, ევალება აღმასრულებელ ორგანოს ანუ მზრუნველობას.

VI

წესრიგი წესდების შეცვლისა.

18. წესი ამა საზოგადოებისა შეიძლება შეიცვალოს საერთო კრების დადგენილებით ხმათა 2/3 უმრავლესობით. კრების განაჩენს ახლავს სათანადო ეპარქიული ორგანო და ძალაში შედის მთავრობასთან მოლაპარაკების შემდეგ.

VII

საზოგადოების ბეჭედი.

19. საზოგადოებას მოეპოება საკუთარი ბეჭედი, რომელზედაც გამოხატულია სულიერი ემბლემა და ინახება მზრუნველობის თავმჯდომარესთან.

VIII

საზოგადოების ლიკვიდაციის წესი.

20. რელიგიური საზოგადოების ლიკვიდაცია ხდება თანახმად კათოლიკე ეკლესიის წესებისა – ყოველ შემთხვევაში ეპარქიული ორგანო საქმეს იჭერს ადგილობრივ სამოქალაქო ხელის უფლებასთან.

შენიშვნა: რელიგიური საზოგადოების დახურვის შემდეგ, საერთო კრება ირჩევს მზრუნველობას, რომელიც დახურულ საზოგადოების ქონებას, შესანახად გადასცემს, (ეპარქიულ უმფროსდის თანხმობით და მთავრობის ნებადართვით უახლოეს, იმავე სარწმუნოების მაღიარებელ რელიგიულ საზოგადოებას.

განსაკუთრებითი რელიგიური ნივთები, როგორც:

წირვის შესამოსები, ნაწილები, წმიდა ზეთები, რელიკვიები, მირონი და სხვა... გადადის სათანადო ეპარქიულ ორგანოს განკარგულებაში

წესდება ესე განიხილა და დაადასტურა ერთხმად, გორის კათოლიკეთა საზოგადოებამ, თავის 29 დეკემბერს 1923 წ. მოწვეულ კრების ოქმში. კრება მოწვეული იყო თანახმად გორის აღმასკომის 27 დეკემბრის 1023 წ. №10399 ნებართვისა.

რასაც ვამოწმებთ, იმავე კრებაზე ამორჩეულნი,

რწმუნებულნი: ნ. ჟულაბოვი, კ. გაბ. საფარაშვილი, გაბო ჩიტაშვილი, ალექსანდრე ზუბალაშვილი, M. A. Корковидов, 29 დეკემბერს 1923 წ. ქ. გორი".[25]

წესდებასთან ერთად მთავრობას სარეგისტრაციოდ გადაეცა საზოგადოების პასუხისმგებელ პირთა ნუსხაც: „სია ქ. გორის კათოლიკეთა საზოგადოების სხვა პასუხის მგებელ პირებისა შედგენილი თანახმად მთავრობის 22 სეკტ. 1923 წ. ცირკულიარისა, რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის შესახებ.

№№ რიგზე	გვარი, სახელი, მამის სახელი	საცხოვრებელი ადგილი, მისამართი	სოციალური მდგომარეობა	საზოგადოებრივი სამსახურებრივი მდგომარეობა 1914 წლიდან	რა წოდებას ეკუთვნის	ქონებრივი მდგომარეობა	როლის შეუერთოდა ამ რელიგიურ კულტს	ხელის მოწერა
1	ჯულაბაშვილი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე	სასწვრის ქუჩა	მასწავლებელი პედაგოგი	მასწავლებელი	მოქალაქე	სახლი აქვს	დაბადებიდან	ნ. ჯულაბაშვილი
2	ჩიტაშვილი გაბრიელა ალექსის ძე	დავრიშვილის ქუჩა	მიწის მუშა		გლეხი	მამული აქვს	დაბადებიდან	გაბო ჩიტაშვილი
3	ზუბალაშვილი ალექსანდრე ანტონის ძე	სემინარიის ქუჩა საკ. სახლი	მეწისქვილე	ჯარში მსახურობდა	მოქალაქე	სახლი აქვს	დაბადებიდან	ალექსანდრე ზუბალაშვილი

[25] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. საქმე №33. აღწერა №1.

4	კორკოვიდოვი მიხაკა ალექსანდრეს ძე	ერთობის ქუჩა, კუზანოვის სახლი	მეფურნე		მოკალუ	მაჩული აქვს	დაბადებიდან	Мисакч. А. Корковидов [26]

კათოლიკეთა რელიგიურ საზოგადოებას გორის აღმასრულებელი კომიტეტისაგან 1924 წლის 10 თებერვალს ღვთისმსახურებისათვის გადაეცა ქ. გორში მდებარე ქვითკირის შენობა. კათოლიკეებს დაუბრუნდათ ასევე ჩამორთმეული საეკლესიო ნივთები. ამისათვის გაფორმდა სპეციალური ხელშეკრულება კათოლიკეთა საზოგადოებასა და გორის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელს – ს. ცხოვრებაშვილს შორის:

„ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, წარმომადგენელი კათოლიკე რელიგიური საზოგადოებისა, ქ. გორში მცხ. დავდეთ ეს ხელშეკრულობა გორის აღმასრულებელ კომიტეტთან მის რწმუნებულის ს. ცხოვრებაშვილის სახით მას შინა, რომ 1924 წლ. თებერვლის თვეს 10 რიცხვს აღმასრულებელი კომიტეტისაგან უვადო და უფასო სარგებლობისათვის მივიღეთ ქალ. გორში მდებარე ქვითკირის ღვთის მსახურის შენობა და ღვთის მსახურის საგნები ჩვენი ხელმოწერით განსაკუთრებული აღწერილობით, შემდეგი პირობით:

1) მთელი ჩვენი კათოლიკეთა რელიგიური საზოგადოება მოვალედ რაცხს თავს გაუფრთხილდეს მასზე გადაცემულ სახალხო ქონებას და ისარგებლოს ამ ქონებით მარტოოდენ მისი დანიშნულების შესაფერისად, ამასთან საზოგადოება კისრულობს მთელ პასუხისმგებლობას ჩაბარებული ქონების სიმართლისა და შენახვისათვის, აგრეთვე ამ ხელშეკრულობით თავის თავზე მიღებულ ყველა სხვა მოვალეობის შესრულებისათვის.

2) საზოგადოება მოვალედ რაცხს თავს ტაძრებითა და იქ შენახულ ღვთის მსახურების საგნებით ისარგებლოს და ასარგებლოს ყველა ერთმორწმუნე მარტოდენ რელიგიური მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

3) საზოგადოება მოვალედ რაცხს თავს მიიღოს ყოველი ზომა იმისათვის, რომ მისთვის ჩაბარებული ქონება არ მოხმარდეს ასეთ მიზანს, რომელიც არ შეეფერება ამა ხელშეკრულობის 1-ელ და 2 მუხლს.

4) კერძოდ საზოგადოება მოვალეა აკრძალოს მის გამგებლობაში გადასულ ღვთის მსახურების სადგომში;

ა) საბჭოთა ხელისუფლების სამტროდ მიმართული პოლიტიკური კრე-

[26] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. საქმე №33. აღწერა №1, გვ. 137.

ბების გამართვა:

ბ) საბჭოთა ხელისუფლების ან მისი ცალკე წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართული წიგნების, ბროშურების ფურცლების და ეპისტოლების დარიგება და გაყიდვა.

გ) საბჭოთა ხელისუფლების ან მისი ცალკე წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართული ქადაგების და სიტყვების წარმოთქმა.

დ) საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მცხოვრებთა აღელვების მიზნით ზარის რეკით განგაშის მოხდენა:

5) საზოგადოება მოვალეა თავის ქონებით გაისტუმროს ტაძრის ან სხვა ღვთის მსახურის შენობის და ამ ტაძარში დაცულის საგნების შესანახად საჭირო მიმდიანრე ხარჯების სახელდობრ რემონტი, გათბობა დაზღვევა დაცვა გასტუმრება ვალებისა, გადასახადებისა, ადგილობრივი შენაწირისა და სხვა.

6) საზოგადოება მოვალეა იქონიოს ღვთის მსახურების ქონების საინვენტარო აღწერილობა, სადაც შეტანილი უნდა იქმნას ყოველი ახლად შესული (შეწირულები სხვა ტაძრებიდან გადაცემით ან სხვა გზით) რელიგიური კულტის საგანი, რომელიც ცალკე მოქალაქეების კერძო საკუთრებას არ შეადგენს.

7) საზოგადოება მოვალეა, როცა ღვთის მსახურება არა სწარმოებს შეუშვას ტაძარში აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელნი ქონების დრო გამოშვებით შესამოწმებლად და დასათვალიერებლად.

8) მიღებულ ქონების დაკარგვის ან გაფუჭებისათვის საზოგადოება პასუხს აგებს სოლიდარულად, იმ ზარალის ფარგლებში, რომელიც ქონებას მოუვა.

9) საზოგადოება მოვალეა, უკეთუ საჭირო იქნება მიღებული ქონების უკანვე ჩაბარება ჩააბაროს იგი იმ სახით, რა სახითაც მან მიიღო სასარგებლოდ და შესანახად.

10) უკეთუ საზოგადოება მოისურვებს ხელშეკრულობის მოსპობას იგი მოვალეა ამის შესახებ წერილობით აცნობოს აღმასრულებელ კომიტეტს, ამასთან ამ განცხადების შეტანიდან ერთი კვირის განმავლობაში ეს ხელშეკრულება ძალაში რჩება და საზოგადოება პასუხს აგებს მისი აღსრულებისათვის: საზოაგდოება მოვალეა აგრეთვე ამ ხნის განმავლობაში ჩააბაროს მის მიერ მიღებული ქონება.

11) საზოგადოების ყოველ წევრს, რომელსაც ხელშეკრულობაზე ხელი უწერია შეუძლიან გავიდეს ხელშეკრულობის მონაწილეთა რიცხვიდან, ამისათვის მან წერილობითი განცხადება უნდა შეიტანოს აღმასრულებელ კომი-

ტეტში მაგრამ ეს ვერ იხსნის გასულ პირს პასუხისმგებლობისაგან მთელი ის ზარალისათვის, რომელიც სახალხო ქონებას მოუვიდა ამ ხნის განმავლობაში, როდესაც გასული წევრი მონაწილეობას იღებდა ამ ქონების სარგებლობაში და გამგებლობაში იმ დრომდე, ვიდრე იგი საზოგადოებიდან გავიდოდა.

ამ ხელშეკრულობის დედანი ინახება გორის აღმასრულებელი კომიტეტის საქმეებში, ხოლო სათანადო შემოწმებული პირი გვეძლევა ჩვენ, საზოგადოების წარმომადგენელთ, რომელთაც ამ ხელშეკრულებაზე ხელი გვიწერია და რომელთაც აღწერილობით 15 თებერვალს 1924 წ. რელიგიურის მიზნით, სასარგებლოდ მივიღეთ ღვთისმსახურების შენობანი და მათი დაცული საგნები.

12. უკეთუ საზოგადოება ამ ხელშეკრულობიდან გამომდინარე მოვალეობათა შესასრულებლად არ მიიღებს ყველა შესაძლებელ ღონისძიებას, ხელშეკრულობა ესე სათანადო აღმასრულებელ კომიტეტის მიერ შეიძლება მოისპობილ იქმნას იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება აშკარად იქნება დარღვეული, დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით„.[27]

ხელშეკრულებას თან ერთვის საეკლესიო ნივთების ნუსხაც:

„სია

საეკლესიო ხვთისმსახურის საგნებისა რომლებიც გორის სამაზრო აღმასკომის ადგილობრივი მეურნეობის განყოფილების გამგე ცხოვრებაშვილისაგან მიეცად სარგებლობისათვის ქ. გორის კათოლიკეთა რელიგიურ საზოგადოებას.

№ რიგზე	საგნების დასახელება	რაოდენობა	შენიშვნა
1	სურათი ჟესტში დახატული ჯვარცმა მაცხოვრისა. ჩარჩოში ჩასმული	14 ც.	
2	პეტრე და ივანე	1	
3	ღვთისმშობლის ხატი	1	
4	ღვთისმშობლის ხატი	1	

[27] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. საქმე №33. აღწერა №1, გვ. 136.

5	ეგნატე ლაიოსის ხატი	1	
6	ლოცვები ჩარჩოში ჩასმული	4	
7	მაცხოვრის ხატი	1	
8	ჯვარცმა ხისა	1	
9	შუშის შანდალი თითბრისა ბუდით	2	
10	ჯვარი შარავანდედით სანაწილე	2	
11	ოთხსანთლიანი შანდალი	1	
12	ჯვარცმა იაზმისათვის ხის სანთლის ტარებით	18 ც.	
13	ზედაშისათვის შუშის ლიტრა	2	
14	მაცხოვრის ხატი	1	
15	ხის ჯვარი ხისავე ბურთით	1	
16	აღდგომა ქრისტესი ხეზე დახატული	1	
17	ხის ჯვრები პატარა	9	
18	პატარა ხის შკაფი ბარძიმის შესანახი	1	
19	სასანთლე შკაფი პატარა	1	
20	საჩხაკუნებელი	1	
21	ღვთისმშობელი ფაიფურისა ქანდაკებით	1	
22	სკამი ხავერდით გადაკრული	1	
23	ხის დასადგამი	1	
24	დიდი საფეხური ვერცხლისა	1	
25	საცეცხლური უბრალო	1	
26	მარმარილოს ფირფიტა	1	
27	ჯვარცმა თაბაშირისა	1	
28	ვაზა ფაიფურისა	1	
29	ვაზა და სურა ფაიფურისა	2	
30	პირისაბანი სპილენძისა	1	
31	გვირგვინი მადონისა	1	
32	უსუპი სპილენძისა	1	
33	სანაწილე სპილენძისა	2	
34	ვაზა ფაიფურისა	11	
35	სპილენძის ქვაბი	1	
36	პატარა თეფში	1	
37	დიდი ბადია სპილენძისა	1	

38	შუშის პატარა ჭიქა	1	
39	პატარა თითბრის ფოდნოსი	1	
40	ტანისამოსის ჩოთქი	1	
41	ჯვარცმა პაპეიმაშესი	1	
42	პატარა სკამი ტრაპეზზე დასადგმელი წიგნებისათვის	1	
43	ხის ყუთი	1	
44	წიგნები-ლოცვანი და სახარება	12	
45	ბალდახინი მადონისა	1	
46	ხის ჯვარი	2	
47	შესამოსის ნაწილების	127 ც.	
48	შესამოსი	30	
49	ბაირახი	2	
50	პატარა გადასაფარებელი ხატებისა	11	
51	ბალიშები	4	
52	დიდი გადასაფარებელი	22	
53	პატარები	5	
54	შესამოსის ნაწილები	11	
55	ქუდები ხუთი	5	
56	შესამოსის ნაწილები	1	
57	საწიგნობელი	2	
58	სხვა და სხვა ნაჭრები	20 ც.	
59	მაუდის ნაჭრები	2	
60	კისტი თეთრი და წითელი	2	
61	ბალდადი	2	
62	ხელსახოცი	5	
63	პირსახოცი	3	
64	თიხის ლიტრა	1	
65	ხატის ფარად	1	
66	ხის შანდალი	41	
67	დიდი ხატი	4	
68	ფიზგარმონია	1	
69	კიბე დასაკეცი	1	

70	ვერცხლის ჯვარი	3	
71	ერთი ვერცხლის სურა	1	
72	პატარა სურა ვერცხლისა	1	
73	კანდლის ძირი ვერცხლისა	1	
74	ჩამჩის ძირი ვერცხლისა	1	
75	ბარძიმის ზედ პირი ვერცხლისა	2	
76	გვირგვინი ვერცხლისა	2	
77	შარავანდედი პატარა ვერცხლისა	1	
78	ფეშხუმი სპილენძისა	2	
79	ბარძიმი თითბრისა	1	
80	ჯაჭვი პატარა უბრალო	1	
81	ჯვარი ოქროსი მარგალიტის ძეწკვით ძაფზე ასხმული	1	
82	ამონაბადტი ოქროსი	1	
83	ბეჭედი ოქროსი წითელი თვლით	1	
84	ბარძიმ პისკილი დაოქრული ვერცხლის ნაწილების მისატანი	1	
85	წითელი სუფრა ვარდისფენობისათვის	1	
86	წითელი მაუდის ნაჭერი. თითო არშინ ნახევარი	3	
87	საფარებელი ვარდისფენობისთვის	7	
88	პატარა ფარად	2	
89	წითელი სუფრა ვარდისფენობისთვის	1	
90	უარშიო სუფრა ტილოსი	1	
91	სუფრა ტილოსი 8 არშინი	1	
92	ჰურიფიკატორი ბარძიმის გასაწმენდი ტილოები	50 ც.	
93	ბარძიმის ძირის გასაწმენდი ტილოები	13 ც.	
94	ამირიკა	2 ც.	

ჩავაბარე ს. ცხოვრებაშვილი

ჩავიბარე (გვარი არ იკითხება – გ.ს.)“.[28]

კათოლიკური და მართლმადიდებლური ტაძრების გარდა, ბოლშევიკებმა დახურეს გორში არსებული სომეხი გრიგორიანელების სალოცავი. სომხური

[28] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. საქმე №33. აღწერა №1, 134.

ეკლესია გორში XVI საუკუნის დოკუმენტებით დასტურდება. სიმონ I-ის წყალობის სიგელით გორში მცხოვრები სომეხი სასულიერო პირები სხვადასხვა სახის გადასახადებისაგან გაუთავისუფლებია.[29] როგორც პროფ. ე. მამისთვალიშვილი მიუთითებს, გორში 1802 წლისათვის ოთხი სომხური ეკლესია ყოფილა: 1. ღვთისმშობლის ტაძარი; 2. ღვთისმშობლის მიძინების; 3. წმ. სტეფანესი; 4. ქრისტეს აღდგომის.[30] სომხური ეკლესიები ახპატის ეპარქიას ეკუთვნოდა. აქედან წმ. სტეფანეს ეკლესია, პროფ. ე. მამისთვალიშვილის განმარტებით, XIX საუკუნის I მეოთხედში უნდა დანგრეულიყო. იგი 1824 წელს შედგენილ გორის გეგმაზე აღნიშნული არ არის. სომხებს, როგორც ჩანს, წმ. სტეფანეს სახელობის სალოცავი კვლავ აღუდგენიათ, რადგან აღნიშნულ ტაძარს იხსენიებს გერმანელი მოგზაური აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი, რომელიც საქართველოში 1843 წელს იმყოფებოდა. მისი ცნობით, სომხების ეკლესია შედარებით ახალი იყო და გამოირჩეოდა დასავლური მხატვრობით, მისი ფრესკები პოლონელი მხატვრის მიერ ყოფილა შესრულებული, ეკლესიაში მოგზაურს უნახავს წმ. სტეფანეს ჩაქოლვის სცენაც.[31] საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ხელისუფლებამ გორში სომხური ეკლესიაც დახურა, რასაც მორწმუნეთა მხრიდან მკვეთრი რეაქცია მოჰყვა. 1923 წლის 20 დეკემბერს გორში სომეხმა მორწმუნეებმა კრება მოიწვიეს და ეკლესიის საბჭოს წევრები, ასევე საბჭოს წევრობის კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები და სამღვდელო პირები აირჩიეს. ესენი იყვნენ:

<u>საბჭოს წევრები</u>

1) მესროფ მარქარას ძე მარუტოვი
2) დავით ფარსმანის ძე ხუდადოვი
3) სტეფან ყაზაროვი
4) გარეგინ ედიშეს ძე ტერ-სააკოვი

<u>კანდიდატები</u>

1) ზაქარია გიორგის ძე ჩარუევი
2) პიმენაკ მესროფას ძე მარუტოვი

<u>სარევიზიო კომისია</u>

1) ნიკოლოზ გრიგოლის ძე ტერ-სტეფანოვი

---

[29] ს. ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927 წწ.), გვ. 298.
[30] ს. ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927 წწ.), გვ. 299.
[31] აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ, გვ. 54-55.

2) სერგო იოსეფას ძე მღებროვი

3) გევორქ იაგორას ძე თოროზოვი

<u>ეკლესიის სამღვდელოები</u>

1) ტერ-სააკ ხახანიანცი

2) ტერ-იოზეფ სირიბეგოვი“.[32]

1923 წელს გორში მცხოვრებმა სომეხმა მორწმუნეებმა თხოვნით მიმართეს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარს და რელიგიურ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს ი. ვარძიელს, რომელმაც გორელი სომხების წერილი თანდართული მორწმუნეთა ხელმოწერებით გორის მაზრის აღმასკომს გადასცა.[33]

სომეხმა მორწმუნეებმა ჩამოაყალიბეს რელიგიური საზოგადობა, რომელშიც 307 მორწმუნე იყო გაწევრიანებული.[34]

1923 წლის აგვისტოში გრიგორიანელებმა ეკლესიის გახსნის და სომხურ ეკლესიაში წირვა-ლოცვის აღდგენის თხოვნით მიმართეს გორის მაზრის აღმასკომს. მიმართვაში ვკითხულობთ:

„გორის აღმასკომის შინა სამმართველოს

ქალ. გორში მცხოვრებ სომეხ-გრიგორიანების

თხოვნა

იმ კანონის ძალით, რომელიც გამოსცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ამა წლის 10 აგვისტოს, ყოველ მორწმუნე მოქალაქეს და რელიგიურ საზოგადოებას სრული უფლება ეძლევა აღიაროს თავისი რწმენა და აღასრულოს სარწმუნოებრივი კულტი.

ამ კანონის მიხედვით ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი ქალ. გორში მცხოვრებნი სომეხ-გრიგორიანები ვითხოვთ გაღებულ იქმნას დაკეტილი სომხების ეკლესია წირვა-ლოცვის შესასრულებლათ და გადაეცეს სომეხთა ეკლესიების კუთვნილი ნივთები და სამკაულები მრევლის მიერ ამორჩეულ პირებს.

ქალ. გორი. 1923 წ. 29 აგვისტო“.[35]

გორის წმ. სტეფანეს სომხური ტაძრის მრევლმა დასამტკიცებლად ხელისუფლებას რელიგიური საზოგადოების წესდება წარუდგინა:

[32] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. საქმე №53. აღწერა №1.
[33] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. საქმე №53. აღწერა №1.
[34] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. აღწერა №1.
[35] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. აღწერა №1.

Заявление

На основании инструкции НКЮ НКВД о порядке регистрации религиозных О-в и выдачи разрешении на созыв съезда таковых, опубликованной в «Коммунисте» 22-го сентября 1923 г. №222, просим зарегистрировать О-во во имя св. Степани церкви, для чего, согласно упомянутой инструкции, настоящее заявление подается в трех экземплярах каждый и при нем прилагается также в 3-х экземплярах каждый: 1) Протокол собрания членов названного О-ва 1923 г. 2) принятый этим собранием устав О-ва; 3) список членов О-ва; 4) список членов Совета и священнослужителей О-ва.

Настоящее заявление со всеми приложениями представить один экземпляр с надписью на нем о регистрации О-ва обратно получить и вообще, все формальности, какие только для регистрации потребуются, исполнить, поручаем членам Совета гражданам.

Настоятель церкви – Прот. Тер-Саак. (გვარი არ იკითხება – გ.ს.); ——— (არ იკითხება ასევე მეორე ხელისმომწერის სახელი და გვარი – გ.ს.)

Члены Совета .....Марутов Месроп Маркарович

Худадов Давид (დანარჩენი არ იკითხება – გ.ს.)

(მესამე ხელისმომწერის სახელი და გვარი არ იკითხება – გ.ს.)

Устав Общества

..... Армянской Христианской во имя Степана церкви г. Гори

Горийского уезда Тифлисской губернии.

I. Цель Общества.

§1. Христианское Общество Армянской Апостольской церкви в пределах Соц. Сов. Республики Грузии имеет целью объединения верующих причисленных к приходу церкви, для удовлетворения своих религиозных потребностей по правилам и канонам единой Армянской Апостольской церкви, возгалавлямой Верховным Патриархом – Католикосом всех армян в Эчмиадзине. О-во политическими вопросами не занимается.

II. Права Общества.

§2. С этой целью Общество: а) собирается на установленные по канонам и обрядам Армянской Апостольской Церкви богослужения и присутствует на проповедях религиозно-нравственного характера, б) управляет церковным имуществом, полученным по договору от Исполкома, в)

заключает сделки частно-правого характера, связанные с Управлением церковного имущества, г) участвуют в съездах всех армянских религиозных О-в, д) избирает священно служителей для совершения религиозных обрядов, согласно канонам Армянской Церкви, е) Декр. ВЦК 13-го июня 1923 года, з) имеет при церквах хоровые обьединения для совместного обучения духовной музыке и пению. (Постановление ВЦК 13-го июня 1923 года).

Примечание: Для успешного осуществления означенных целей, каждое религиозное общество армянской церкви находится в общении со всеми армянскими церковными обществами в пределах Российской Федеративной Республики, имеющими одинаковый устав, одобренной Каталикосом всех армян.

III. Состав Общества.

§3. Членами общества могут быть граждане обоего пола, в том числе и несовершеннолетние, принявшие св. крешение по чину Армянской Апостольской Церкви, и признающие главенство Верховного Патриарха-Католикоса всех армян.

Примечание: Правоспособными членам и О-ва считаются лица обоего пола с 18-ти летняго возраста.

§4. Зачисление в члены О-ва производится церковным Советом по подаче письменного заявления по общей форме.

§5. Выбытие из числа членов О-ва производится по письменному заявлению выбывающего или по постановлению 2/3 наличного числа членов О-ва по спискам и по постановлению епархиальных церковных органов.

§6. Списки членов О-ва ежегодно представляются в Отдел Управления. (გამოტოვებულია)..... исполкома.

IV. Средства Общества.

§7. Средства О-ва составляют: а) добровольные пожертвования натурой, деньгами и драгоценностями, собираемые членами О-ва, или его уполномоченными, б) поступления от продажи свечей и кружечного сбора, в) добровольные поступления от духовных треб, д) добровольные членские взносы.

§8. Принадлежащие О-ву суммы употребляются для осуществления целей указанных в §2: а) Неоказание материальной помощи в ней нуждающимся, к членам, так и посторонним, в особенности при стихийных и народных бедствиях, б) на покрытие расходов, связанных с обладанием цер-

ковным имуществом, в) для покрытия расходов на созыв Всероссийских и Епархиальных съездов представителей Армянских церквей, г) на покрытие епархиальных общецерковных нужд, д) на содержание причта церкви и других служителей и е) на канцелярские расходы Церковного Совета.

V. Управление делами О-ва.

§9. Все вопросы, возникающие в жизни О-ва, разрешаются на общих собраниях О-ва открытым голосованием простым большинством голосов, за исключением случаев, предусмотренных в §§5, 14 и 19 Устава О-ва.

Примечание: Поименные голосованя проводятся на собрания при заявлении не менее 3-х лиц присутствующих членов.

§10. Испольнителным органом общего собрания прихожан является приходной Совет, состоящий из 5-ти лиц: из Настоятеля церкви, 4-х членов, и 2-х кандидатов к ним, избираемых на общем собрании сроков на 1 год.

Примечание: Членами приходского Совета могут быть лица обоего пола.

§11. Приходский Совет утверждается епархиальным Начальником, которому принадлежит наблюдение и контроль над деятельностью Приходских Советов епархии.

§12. Приходское Собрание созывается в год раз для выслушания отчета о деятельности приходского Совета, и выборов; в исключительных случаях созывается чрезвычайное общее собрание.

§13. Приходское Собрание избирает ревизионную Комиссию из 3-х лиц для ревизии отчетов и дейтельности Приходского Совета.

§14. Приходскому собранию принадлежит право выбора, приглашения и удаления священно-служителей при соблюдении подачи более половины голосов всех правоспособных членов данного О-ва с последующим посвящением и утверждением Епархиальным Начальником.

VI. О делегатских Съездах Религиозных О-в.

§15. Делегатский съезд религиозных О-в созывается Епархиальным Начальником, который с своей стороны предлагает на обсуждение съезда вопросы о текущих нуждах епархии.

§16. Исполнительный орган Епархиального съезда является Епархиальный Совет, который предлагает на обсуждение съезда годичный отчет о своей деятельности.

§17. Съезд избирает Епархиальный Совет и Начальника епархии сроком на 4 года. Постановление об избрании Епархиального Начальника

восходит на утверждение Каталикоса всех армян.

VII. Порядок Изменения Устава О-ва.

§18. Устав означенного О-ва может быть изменен: а) указаниям Съезда армянских религиозных О-в в Грузии, утвержденного местным Отделом Управления, б) общим собранием данного О-ва по предложению его членов и принятому большинством голосов данного собрания с последующим утверждением его Отделом Управления губ. или областн. Исполкома и в) по предложению подлежащих органов государственной власти.

VIII. Порядок Закрытия О-ва.

§19. О-во закрывается: а) по постановлению соответствующего губернск. или областн. Исполкома и б) по постановлению общего собрания членов О-ва.

§20. В случае закрытия общества все имущество, находящееся в пользовании О-ва возвращается местному Совету по инвентарной описи специально уполномоченным избранным для сего ликвидационным собранием О-ва.

Примечание: Из имущества указанного в §20-ом исключаются предметы особо священного значения, не имеющие материальной ценности как то: Св. антиминсы, Св. дары зипасные, Св. миро, частицы Св. мощей и т.п. священные предметы армяно-церковного почитания, каковые предметы передаются в распоряжение епархиальных органов.

Настоятель церкви Прот. Тер-Саак..... (არ იკითხება გვარი); ——— —— (ასევე არ იკითხება მეორე ხელისმომწერის სახელი და გვარი – გ.ს.)

Члены Совета ..... Марутов Месроп Маркарович

Худадов Давид (მამის სახელი არ იკითხება – გ.ს.)

(არ იკითხება ასევე მესამე ხელისმომწერის სახელი და გვარი – გ.ს.)“.[36]

წესდების დამტკიცების შემდეგ, 1924 წელს 25 იანვარს სომეხ გრიგორიანული ეკლესიის წარმომადგენლებმა გორის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტისაგან უფასო და უვადო სარგებლობაში მიიღეს გორში არსებული ქვის შენობა ღვთისმსახურებისათვის და საეკლესიო ნივთები. სომხურ ეკლესიაში იკრძალებოდა ყველანაირი პროპაგანდა საბჭოთა ხელისუფლების წი-

[36] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. საქმე №53. აღწერა №1, გვ. 19-23.

ნააღმდეგ. გორის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტსა და სომეხ მორწმუნეთა საზოგადოებას შორის ხელშეკრულება გაფორმდა, რომელშიც ვკითხულობთ: „ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, წარმოგიდგენთ სომეხ-გრიგორიანთა რელიგიური საზოგადოებისა, ქალ. გორში ვაწარმოვეთ ხელშეკრულება გორის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტთან, მისი რწმუნებულის შინა მმართველობის განყოფილების გამგე სერგო ცხოვრებაშვილის სახით, მის შინა 1924 წელს 25 იანვრის თვეს 18 რიცხვს. აღმასრულებელი კომიტეტისაგან უვადო და უფასო სარგებლობისათვის მივიღეთ ქალ. გორში მდებარე ქვის ღვთისმსახურების შენობა და ღვთისმსახურების საგნები. თქვენი ხელმოწერით შემოწმებული განსაკუთებული აღწერილობით, შემდეგი პირობით:

1) მთელი ჩვენი სომეხ-გრიგორიანთა რელიგიური საზოგადოება მოვალეთ რაცხს თავს გაუფრთხილდეს მასზე გადაცემულ სახალხო ქონებას და ისარგებლოს ქონებით მარტოოდენ მისი და ... (არ იკითხება – გ.ს.) ..... შესაფერისად. ამასთან საზოგადოებაში კისრულობს პასუხისმგებლობას ჩაბარებული ქონების სიმრთელისა და შენახვისათვის, აგრეთვე ამ ხელშეკრულებით თავის თავზე მიღებულ ყველა მოვალეობის შესრულებისათვის.

2) საზოგადოება მოვალეთ რაცხს თავს ... (არ იკითხება – გ.ს.) ..... და იქ შენახულ ღვთისმსახურების საგნებით ისარგებლოს და ასარგებლოს ყველა ერთმორწმუნე მარტოოდენ რელიგიური მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

3) საზოგადოება მოვალედ რაცხს თავს მიიღოს ზომა იმისთვის, რომ მისთვის ჩაბარებული ქონება არ მოხმარდეს ასეთ მიზანს, რომელიც არ შეეფერება ამა ხელშეკრულების 1-ელ და მე-2 მუხლს.

კერძოდ, საზოგადოება მოვალეა აკრძალოს მის გამგებლობაში გადასრული ღვთისმსახურების სადგომში:

ა) საბჭოთა ხელისუფლების სამტროდ მიმართული პოლიტიკური კრებების გამართვა;

ბ) საბჭოთა ხელისუფლების ან მისი ცალკე წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართული წიგნების, ბროშურების, ფურცლების და ეპისტოლეების დარიგება და გაყიდვა;

გ) საბჭოთა ხელისუფლების ან მისი ცალკე წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართული ქადაგების და სიტყვების წარმოთქმა;

დ) საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მცხოვრებთა აღელვების მიზნით რეკით განგაშის მოხდენა.

4) საზოგადოება მოვალეა თავისი ქონებით გაისტუმროს ტაძრის ღვთისმსახურების შენობის და ამ ტაძარში დაცულის საგნების შესანახად საჭირო მიმდინარე ხარჯები, სახელდობრ რემონტი, გათბობა, დაზღვევა, დაცვა, გასტუმრება ვალებისა, გადასახადებისა, ადგილობრივი შენაწირისა და სხვა;

5) საზოგადოება მოვალეა იქონიოს ღვთისმსახურების ქონების საინვენტარო აღწერილობა, სადაც შეტანილი უნდა იქნას ყოველი ახლად შესული (შეწირულებით, სხვა ტაძრებიდან გადაცემით ან სხვა გზით) რელიგიური კულტის საგანი, რომელიც ცალკე მოქალაქეების კერძო საკუთრებას არ შეადგენს.

6) საზოგადოება მოვალეა, როცა ღვთის მსახურება არა სწარმოებს, შეუშვას ტაძარში აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელნი ქონების დრო გამოშვებით შესამოწმებლად და დასათვალიერებლად.

7) მიღებული ქონების დაკარგვის ან გაფუჭებისათვის საზოგადოება პასუხს აგებს სოლიდარულად, იმ ზარალის ფარგლებში, რომელიც ქონებას მოუვა.

8) საზოგადოება მოვალეა, უკეთუ საჭირო იქნება მიღებული ქონების უკანვე ჩაბარება, ჩააბაროს იგი იმ სახით, რა სახითაც მან მიიღო სასარგებლოთ და შესანახათ.

9) უკეთუ საზოგადოება მოისურვებს ხელშეკრულების მოსპობის, იგი მოვალეა ამის შესახებ წერილობით აცნობს აღმასრულებელ კომიტეტს, ამასთან ამ განცხადების შეტანიდან ერთი კვირის განმავლობაში ეს ხელშეკრულება ძალაში რჩება და საზოგადოება პასუხს აგებს მისი აღსრულებისთვის: საზოგადოება მოვალეა აგრეთვე ამ ხნის განმავლობაში ჩააბაროს მის მიერ მიღებული ქონება.

10) საზოგადოების ყოველ წევრს, რომელსაც ხელშეკრულებაზე ხელი უწერია, შეუძლიან გავიდეს ხელშეკრულების მონაწილეთა რიცხვიდან, ამისათვის მან წერილობითი განცხადება უნდა შეიტანოს აღმასრულებელ კომიტეტში, მაგრამ ეს ვერ იხსნის გასულ პირს პასუხისმგებლობისაგან მთელი ის ზარალისთვის, რომელიც სახალხო ქონებას მოუვიდა ამ ხნის განმავლობაში, როდესაც გასული წევრი მონაწილეობას იღებდა ამ ქონების სარგებლობაში და გამგებლობაში. იმ დრომდე ვიდრე იგი საზოგადოებიდან გავიდოდა.

ამ ხელშეკრულების დედანი ინახება გორის აღმასრულებელი კომიტეტის საქმეებში, ხოლო სათანადოდ შემოწმებული პირი გვეძლევა ჩვენ, საზო-

გადოების წარმომადგენეთა, რომელთაც ამ ხელშეკრულებაზე ხელი გვიწერია და რომელთაც აღწერილობითი 15 იანვრიდან 1924 წ. რელიგიურის მიზნით, სასარგებლოდ მივიღეთ ღვთისმსახურების შენობანი და მათში დაცული საგნები.

11) უკეთუ საზოგადოება ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალეობათა შესასრულებლად არ მიიღებს ყველა შესაძლებელ ღონისძიებას. ხელშეკრულება ესე სათანადო აღმასრულებელ კომიტეტის მიერ შეიძლება მოსპობილ იქნას; იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება აშკარად იქნება დარღვეული, დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით" (დოკუმენტს აქვს ხელმოწერა რუსულ ენაზე, სავარაუდოდ, უნდა იყოს მ. მარუტოვი – გ.ს.).[37]

სხვა რელიგიურ უმცირესობებთან ერთად ბოლშევიკებმა სამლოცველოები ჩამოართვეს ქარელში სურამსა და გორში მცხოვრებ ებრაელებს. ცნობილია, რომ ებრაელები საქართველოს სხვადასხვა რეგიონთან ერთად შიდა ქართლშიც ძველი დროიდან ცხოვრობდნენ. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ქარელში 400 სული ებრაელი სახლობდა, მათ ჰყავდათ ხახამი და ჰქონდათ სინაგოგა.[38] ებრაელები ძველი დროიდან ცხოვრობდნენ აგრეთვე სურამში, გორსა და ურბნისში.[39] როგორც აღვნიშნეთ, ბოლშევიკებმა გორის მაზრაში მცხოვრები ებრაელების სინაგოგებიც დახურეს. მორწმუნე ებრაელები თავიანთი სამლოცველოების დაბრუნებას ითხოვდნენ, ამის გამო ხელისუფლება გარკვეულ დათმობაზე წავიდა. 1923 წლის 3 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცეკასთან არსებულ საეკლესიო საქმეთა კომისიის გადაწყვეტილებით გორის აღმასკომს დაევალა, რომ ქარელში მცხოვრები ებრაელებისთვის სალოცავი დაებრუნებინათ.[40] ქარელელი მორწმუნეების მსგავსად 1923 წლის 20 ნოემბერს გორელმა ებრაელებმა თხოვნით მიმართეს გორის შინა მმართველობის გამგეს, რათა მისცემოდათ უფლება შეკრებილიყვნენ თავიანთ სალოცავში და დაეარსებინათ რელიგიური საზოგადოება. 1923 წელს 25 ნოემბერს შედგა გორში მცხოვრები ებრაელების კრება, რომლის მიზანი იყო ებრაელთა რელიგიური საზოგადოების დაარსება და სალოცავის – სინაგოგის მოწყობა. კრებამ აირჩია პრეზიდიუმი, რომელშიც შევიდნენ: ელა ათანელოვი,

[37] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. აღწერა №1, გვ. 1-3.
[38] ე. მამისთვალიშვილი. ქართველ ებრაელთა ისტორია. თბ. 1995, გვ. 127.
[39] ე. მამისთვალიშვილი. ქართველ ებრაელთა ისტორია, გვ. 106, 122, 124.
[40] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. საქმე №37. აღწერა №1, გვ. 67.

მორდეხ დავარაშვილი, მემე ქოენიშვილი, აბრამ მაღალოვი, იოხაი კრიხელი. კრების ოქმში აღნიშნულია: „1923 წელსა ნოემბერის 25 დღესა შესდგა საზოგადო კრება გორის ქართველ ებრაელთა შესახებ მორწმუნეთა საზოგადოების დაარსებაზე. კრებას დაესწრო გორის სამაზრო აღმასკომის წარმომადგენელი ..... (არ იკითხება – გ.ს.) ებრაელთა მოქალაქეთა რიცხვით ას სულამდინ, თავმჯდომარეთ იქმნა ამორჩეული იოხაი კრიხელი, მდივნათ ისხაკ მამისთვალოვი. დღის წესრიგი იყო შემდეგი საკითხები: 1) რელიგიური საზოგადოების შექმნა 2) პრეზიდიუმის ამორჩევა 3) საზოგადოების წესდების გამომუშავება 4) სალოცავის ..... (გამოტოვებული სტრიქონი არ იკითხება – გ.ს.). კრებამ მამულოვის შემდეგ ერთი ხმით გამოსთქვა სურვილი რათა იქმნეს ..... (არ იკითხება – გ.ს.) რელიგიული ებრაელთა საზოგადოება რაზედაც აღიძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე რათა თანახმათ არსებული კანონებისა მთავრობამ დაგვრთო ნებართვა მოხსენებულ საზოგადოების დაარსების სინაგოგის მოწყობაზე, პრეზიდიუმში იქმნენ ამორჩეული ხუთი მწევრისაგან რის გამოც .... (არ იკითხება – გ.ს.) ხმების უმრავლესობით იქმნება ამორჩეული შემდეგი ელა ატენელოვი, (სახელი არ იკითხება, სავარაუდოდ უნდა იყოს მემე – გ.ს.) ..... ქოენიშვილი, მორდეხ დავარაშვილი, აბრამ მაღალოვი და იოხაი კრიხელი. საზოგადოების წესდების შემუშავება დაევალათ საზოგადოების პრეზიდიუმს.

ოქმის შედგენის შემდეგ კრება დახურულად გამოცხადდა: თავმჯდომარე იოხაი კრიხელი; მდივანი ისხაკ მამისთვალოვი“.[41]

ებრაელთა რელიგიურ საზოგადოებაში გაწევრიანებული იყო 97 მორწმუნე. საზოგადოების რელიგიურ მოსამსახურედ დასახელებულია ხახამი – ბენე კრიხელი.

ებრაელთა რელიგიურმა საზოგადოებამ ხელისუფლებას დასამტკიცებლად წარუდგინა საზოგადოების წესდება. წესდებაში ვკითხულობთ:

„წესდება

ებრაელთა ქალაქ გორის მცხოვრებთა რელიგიური საზოგადოებისა. არსებული საზოგადოების მიზანი.

1. ებრაელთა ქალაქ გორში მცხოვრებთა რელიგიური საზოგადოება ისახავს მიზნათ თავის მოქმედებისა, რომ საშვალება მისცეს თავის წევრებს დაიკმაყოფილონ თავიანთი სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანი და გრძნობანი

[41] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. საქმე №54. აღწერა №1.

თანახმად ებრაული სჯულისა.

2. ამ მიზნით იგი აწყობს ლოცვებს, სარწმუნოებრივ-ზნეობრივ აღმზრდელობით ხასიათის ქადაგებებს სალოცავში და აგრეთვე სათანადო მოსამსახურე პირთა საშვალებით უსრულებს თავის წევრებს სარწმუნოებრივ მოთხოვნილებებს და ადათ წესებს, როგორც: წინდაცვითა, ქორწინებათა, და განქორწინების აქტის შესრულება ებრაული წესით (მას შემდეგ როცა ეს აქტი იქნება შესრულებული არსებული სახელმწიფოებრივი კანონით) ებრაული წესით დაკლული ხორცის მიწოდება საზოგადოებისათვის. „მაცის“ დამზადება. „დამმარხველი ძმობის“ მოწყობა და სხვა.

3. რელიგიური საზოგადოება თავისი პრეზიდიუმის შემადგენლობიდგან აგზავნის თავის წარმომადგენელს საქართველოს ებრაელთა .... (არ იკითხება – გ.ს.) რელიგიური საზოგადოებების საერთო კრებებზე.

4. საზოგადოება პოლიტიკურ სფეროში არ ერევა და არ იღებს არავითარ მონაწილეობას და ემორჩილება არსებულ კანონებს და ხელისუფლებებს.

საზოგადოების შემადგენლობა.

5. ებრაელთა .... (არ იკითხება – გ.ს.) რელიგიური საზოგადოება თავის მოქმედებას ავრცელებს ყველა ებრაელთა დაბადებულზე, რომელიც კი მიმართავს მას სარწმუნოებრივი წესის შესრულებისათვის.

6. თავის სრულ უფლებიან წევრათ სთვლის იგი ყოველ ებრაელს მცხოვრებს ქ. გორში მიწერილს ამ საზოგადოებაზე. 14 წლიდან. ორივე სქესისა.

ადმინისტრაცია.

7. საზოგადოება თავის წევრთა შორიდან, წევრთა ხმის უმრავლესობით (ახდილი კენჭის ყრით) ირჩევს საზოგადოებას პრეზიდიუმს შემდგარს არა ნაკლებ ხუთი წევრისგან და არა მეტი შვიდი წევრისა. ორი წლის ვადით, რომელიც შესდგება შემდეგთაგან: თავმჯდომარე, მისი ამხანაგი, მდივანი, მოლარე და ერთი წევრი:

8. პრეზიდიუმის მოქმედება: ზრუნვა საზოგადოების შინაური საქმეებზე, განაგებს ქონებას საზოგადოების მიერ მიღებულს სათანადო ხელშეკრულებით ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების ორგანოსაგან, სდებს ხელშეკრულებას კერძო ხასიათისას დაკავშირებულ კულტის საგნების წარმოებასთან, ზრუნავს საზოგადოების მატერიალური მდგომარეობისათვის, ნიშნავს კულტისა და სხვა შინაური საქმეებისათვის მოსამსახურე პირთ და საზღვრავს მათ სასყიდელს.

საზოგადოების ფინანსიური წყაროები.

9. საზოგადოება თავის ფინანსიური წყაროთ სთვლის წევრთა მიერ თავისუფალ შემოწირულებას, რომელსაც აგროვებს საზოგადოების პრეზიდიუმის მინდობილობით.

10. საზოგადოება თავის წევრებზე არავითარ იძულებითი გადასახადს არ აწესებს.

მოსამსახურე პირნი.

11. საზოგადოებას ჰყავს შემდეგი მოსამსახურე პირნი: რაბინი, მლოცველი (ხახამი), პირუტყვების დამკვლელი, მქადაგებელი, და აგრეთვე საზოგადოების ქონების შემნახველ-მომვლელნი (მეეზოვე, დარაჯი და სხვა).

12. (შენიშვნა) ყველა ზემოხსენებული თანამდეობანი შეიძლება შეთავსებული იქნან, ასე რომ ერთი და იგივე პირი ორ თანამდებობას ასრულებდეს, ანუ საზოგადოების შეხედულებით ამა თუ იმ თანამდებობის პირი სრულიად მოხსნილი იქმნას.

ყველა ზემო ხსენებულ სასულიერო პირთ ნიშნავს პრეზიდიუმის ხალხიდან დაადასტურებს საზოგადოება (თავისის უმრავლესობით) ჯამაგირებს საზღვრავს პრეზიდიუმი და მსახურებენ პრეზიდიუმთან დადებული პირობების თანახმად.

13. საზოგადოების პრეზიდიუმს აქვს შესაფერი შკაფში ბეჭედი რომელიც ინახება პრეზიდიუმის მდივანთან პრეზიდიუმის კანცელარიაში.

საზოგადოების ლიკვიდაცია.

14. როდესაც საზოგადოება რამე მიზეზით სწყვეტს, რომ ლიკვიდაცია უყოს თავის მოქმედებას ირჩევს განსაკუთრებულ სალიკვიდაციო კომისიას, რომელიც ლიკვიდაციას უშვრება საზოგადოების ყველა მოქმედებას და ამის შესახებ აცნობებს სათანადო ადგილობრივ საბჭოთა ხელის უფლების ორგანოს.

მორდეხ დავარაშვილი, აბრამ მაღალოვი, იოხაი კრიხელი".[42]

გორის სამაზრო აღმასკომსა და გორში მცხოვრებ ებრაელთა რელიგიური საზოგადოებას შორის გაფორმდა ხეკლშეკრულება, რომლის მიხედვით გორის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის რწმუნებულმა ს. ცხოვრებაშვილმა 1924 წლის 17 იანვარს გორელ ებრაელებს უვადოდ და უფასო სარგებლობისათვის გადასცა შენობა და ღთვთისმსახურებისათვის განკუთვნილი ნივთები. ხელშეკრულებაში ვკითხულობთ: „ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერ-

[42] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. საქმე №54. აღწერა №1, გვ. 7.

ნი, წარმომადგენელთა ებრაელთა რელიგიური საზოგადოებისა, ქ. გორის მცხ. დავდეთ ეს ხელშეკრულება გორის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტთან, მისი რწმუნებულის შინა მმართველობის განყოფილების გამგე სერგო ცხოვრებაშვილის სახით, მას შინა, რომ 1924 წელს იანვრის თვეს 17 რიცხვს აღმასრულებელი კომიტეტისაგან უვადო და უფასო სარგებლობისათვის მივიღეთ ..... (არ იკითხება – გ.ს.) მდებარედ .... (არ იკითხება – გ.ს.) ღვთისმსახურების შენობა და ღვთისმსახურების საგნები ჩვენი ხელმოწერით შემოწმებული განსაკუთრებული აღწერილობით, შემდეგი პირობით:

1) მთელი ჩვენი ებრაელთა რელიგიური საზოგადოება მოვალეთ რაცხს თავს გაუფრთხილდეს მასზე გადაცემულ სახალხო ქონებას და ისარგებლოს ამ ქონებით მარტოოდენ მისი დანაშაულების შესაფერისად, ამასთან საზოგადოება კისრულობს მთელ პასუხისმგებლობას ჩაბარებული ქონების სიმრთელისა და შენახვისათვის, აგრეთვე ამ ხელშეკრულებით თავის თავზე მიღებულ ყველა სხვა მოვალეობის შესრულებისათვის.

2) საზოგადოება მოვალედ რაცხს თავს ტაძრებისა და იქ შენახულ ღვთისმსახურების საგნებით ისარგებლოს და ასარგებლოს ყველა ერთმორწმუნე მარტოოდენ რელიგიური მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

3) საზოგადოება მოვალედ რაცხს თავს მიიღოს ყოველი ზომა იმისთვის, რომ მისთვის ჩაბარებული ქონება არ მოხმარდეს ასეთ მიზანს, რომელიც არ შეეფერება ამა ხელშეკრულების I-ელ და 3 მუხლს.

კერძოდ, საზოგადოება მოვალეა აკრძალოს მის გამგებლობაში გადასულ ღვთისმსახურების სადგომში:

ა) საბჭოთა ხელისუფლების სამტროდ მიმართული პოლიტიკური კრებების გამართვა;

ბ) საბჭოთა ხელისუფლების ან მისი ცალკე წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართული წიგნების, ბროშურების, ფურცლების და ეპისტოლეების დარიგება და გაყიდვა;

გ) საბჭოთა ხელისუფლების ან მისი ცალკე წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართვა ქადაგების და სიტყვების წარმოთქმა;

დ) საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მცხოვრებთა აღელვების მიზნით რეკით განგაშის მოხდენა.

4) .... (არ იკითხება – გ.ს.) თავისი ქონებით გაისტუმროს ტაძრის (ან სხვა ღვთის მსახურების შენობის) და ამ ტაძარში დაცულის საგნების შესანახად საჭირო მიმდინარე ხარჯები, სახელდობრ რემონტი, გათბობა,

დაზღვევა, დაცვა, გასტუმრება ვალებისა. გადასახადებისა, ადგილობრივი შენაწერისა და სხვა.

5) საზოგადოება მოვალეა იქონიოს ღვთისმსახურების ქონების საინვენტარო აღწერილობა, სადაც შეტანილი უნდა იქნას ყოველი ახლად შესული (შეწირულებით, სხვა ტაძრებიდან გადაცემით ან სხვა გზით) რელიგიური კულტის საგანი, რომელიც ცალკე მოქალაქეების კერძო საკუთრებას არ შეადგენს.

6) საზოგადოება მოვალეა, როცა ღვთის მსახურება არა სწარმოებს, შეუშვას ტაძარში აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელნი ქონების დრო გამოშვებით შესამოწმებლად და დასათვალიერებლად.

7) მიღებული ქონების დაკარგვის ან გაფუჭებისათვის საზოგადოება პასუხს აგებს სოლიდარულად, იმ ზარალის ფარგლებში, რომელიც ქონებას მოუვა.

8) საზოგადოება მოვალეა, უკეთუ საჭირო იქნება მიღებული ქონების უკანვე ჩაბარება, ჩაიბაროს იგი იმ სახით, რა სახითაც მან მიიღო სასარგებლოდ და შესანახად.

9) უკეთუ საზოგადოება მოისურვებს ხელშეკრულების მოსპობას. იგი მოვალეა ამის შესახებ წერილობით აცნობოს აღმასრულებელ კომიტეტს, ამასთან ამ განცხადების შეტანიდან ერთი კვირის განმავლობაში ეს ხელშეკრულება ძალაში რჩება და საზოგადოება პასუხს აგებს მისი აღსრულებისთვის; საზოგადოება მოვალეა აგრეთვე ამ ხნის განმავლობაში ჩააბაროს მის მიერ მიღებული ქონება.

10) საზოგადოების ყოველ წევრს, რომელსაც ხელშეკრულებაზე ხელი უწერია, შეუძლიან გავიდეს ხელშეკრულების მონაწილეთა რიცხვიდან, ამისათვის მან წერილობითი განცხადება უნდა შეიტანოს აღმასრულებელ კომიტეტში, მაგრამ ეს ვერ იხსნის გასულ პირს პასუხისმგებლობისაგან მთელი ის ზარალისთვის, რომელიც სახალხო ქონებას მოუვიდა ამ ხნის განმავლობაში, როდესაც გასული წევრი მონაწილეობას იღებდა ამ ქონების სარგებლობაში და გამგებლობაში, იმ დრომდე ვიდრე იგი საზოგადოებიდან გავიდოდა.

ამ ხელშეკრულების დედანი ინახება გორის აღმასრულებელი კომიტეტის საქმეებში, ხოლო სათანადოდ შემოწმებული პირი გვაძლევდა ჩვენ, საზოგადოების წარმომადგენელთა, რომელთაც ამ ხელშეკრულებაზე ხელი გვიწერია და რომელთაც აღწერილობითი 1923 წ. რელიგიურის მიზნით, სასარგებლოდ მივიღეთ ღვთისმსახურების შენობანი და მათში დაცული საგ-

ნები.

11) უკეთუ საზოგადოება ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალეობათა შესასრულებლად არ მიიღებს ყველა შესაძლებელ ღონისძიებას. ხელშეკრულება ესე სათანადო აღმასრულებელ კომიტეტის მიერ შეიძლება მოსპობილ იქნას; იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება აშკარად იქნება დარღვეული, დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით.

იოხაი კრიხელი".[43]

ხელშეკრულებას თან ახლდა რელიგიური ნივთების ნუსხაც:

№	საგნების დასახელება	რაოდენობა	შენიშვნა
1.	ბიბლია წიგნი.	ერთი.	„დაბადება"
2.	შკაფი.	ერთი.	
3.	შანდლები.	ორი.	
4.	სკამები.	რვა.	
5.	მაგიდა.	ერთი.	
6.	ბაღდადები ორი.	ორი.	
7.	კალამი.	ერთი (25 მისხ)	ვერცხლისა.
8.	ლამფები. ორ	ორი.	
9.	მაგიდის გადასაფარებელი.	ერთი.	ხავერდისა.
10.	შკაფის ფარდა.	ერთი.	

ზემო აღნიშნული ნივთები ჩავაბარეთ: ს. ცხოვრებაშვილი

ზემო აღნიშნული ნივთები მივიღეთ: მორდეხა დავარაშვილი, იოხაი კრიხელი".[44]

ებრაელთა სალოცავში იკრძალებოდა ყველანაირი სახის პროპაგანდა, რაც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. გორის მაზრის შინა მმართველობის განყოფილების გამგის – ს. ცხოვრებაშვილისაგან გადაცემული ნივთები ჩაიბარეს მორდეხ დავარაშვილმა და იოხაი კრიხელმა. ებრაელთა რელიგიური საზოგადოებისათვის ღვთისმსახურება უნდა გაეწია გორში მცხოვრებ ხახამს – ბენე კრიხელს. შიდა ქართლში მცხოვრებ

[43] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. საქმე №54. აღწერა №1, გვ. 8-9.
[44] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. საქმე №54. აღწერა №1, გვ. 13.

ებრაელთათვის სამლოცველოების დაბრუნება დასტურდება კიდევ ერთი დოკუმენტით, ეს არის საქართველოს კომპარტიის ცეკასთან არსებული საეკლესიო საქმეთა კომისიის 1924 წლის 11 დეკემბრის სხდომის ოქმის ამონაწერი. როგორც ჩანს, სხდომაზე ერთ-ერთი საკითხი იყო მართლმადიდებელი და კათოლიკე მორწმუნეებისათვის, ასევე სომხურ-გრიგორიანული აღმსარებლობის მრევლის და გორის, ქარელის და სურამის ებრაელთათვის სამლოცველოების გადაცემის საკითხი. საეკლესიო საქმეთა კომისიამ გორის მაზრის აღმასკომს დაავალა დაეკმაყოფილებინა მორწმუნეთა შუამდგომლობები და მათთვის გადაეცა თითო ეკლესია ან თითო სალოცავი სახლი.[45]

[45] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. საქმე №52. აღწერა №1, გვ. 11.

Giorgi Sosiashvili

RELIGIOUS MINORITIES IN SHIDA KARTLI REGION IN THE FIRST QUARTER OF THE 20TH CENTURY

Summary

In 1921, after the Russian occupation of Georgia, the country faced very severe repression. The Bolshevik terror touched all the sphere of society. They expressed the roughest attitude towards the Christian belief, which was viewed in closing the churches, and also – moral and physical annihilation of ecclesiastic people. The Orthodox churches were pitilessly robbed. The violence towards the Christian church is clearly seen on the example of Shida Kartli, where number of churches were closed. The church property, after being checked by the representatives of the local executive power, was handed to the treasury. According to the decision made by the government, the things of a special historical value were sent to the museum. The Armenian and Catholic churches experienced the same repression. The Bolsheviks closed the Jewish synagogues too.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VIII
თბილისი. 2013-2014

როლანდ თოფჩიშვილი

ქართველთა კვებითი კულტურის ისტორიიდან: სულუგუნი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეთნიკური კულტურის სფეროში ყველაზე მრავალფეროვანი კვებითი კულტურაა. ეთნიკური მატერიალური კულტურის ბევრი მოვლენა ინდუსტრიალიზმისა და შემდეგ რთული სისტემების ეპოქაში, ფაქტობრივად, გაქრა. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობები, სამოსი. კაცობრიობის დიდი ნაწილი ეთნიკური კულტურის ამ ელემენტებს შეელია. XIX საუკუნეში თუ ადამიანების ეთნიკურობას ტანსაცმლით გამოიცნობდნენ, დღეს ეს უმეტეს შემთხვევაში, შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ მთელ მსოფლიოში ერთი ხალხიდან მეორე ხალხში ფართოდ გავრცელდა სხვათა სასმელები თუ საჭმელები და კულინარებმა საყოველთაოდ, მრავალთათვის მისაღები სიცოცხლის უზრუნველყოფის საშუალებები შექმნეს, კვებითი კულტურა ყველა ხალხმა თითქმის უცვლელად შეინარჩუნა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ადამიანის ორი ინსტინქტიდან ერთ-ერთი სწორად კვებაა.

ორიგინალური და მრავალფეროვანი იყო ქართველთა კვებითი კულტურა, რაც განპირობებული იყო საქართველოს ლანდშაფტით, ბუნებრივ-გეოგრაფიული და კლიმატური მრავალმხრივობით და, აქედან გამომდინარე, სამეურნეო ყოფის მრავალფეროვნებით. ასე რომ, ქართველი ხალხი ამ სფეროში საუკუნეების განმავლობაში ბუნებასთან სრულ ჰარმონიაში შემოქმედებითად ქმნიდა ეთნიკურ კულტურას.

ისევე როგორც კულტურის სხვა სფეროში, კვებითი კულტურის სფეროშიც ქართული ეთნიკური ერთობა თავის თავში ჩაკეტილი და იზოლირებული არ ყოფილა. ქართველები შემოქმედებითად იზიარებდნენ სხვათა კულტურულ მიღწევებს – ეს კი განაპირობებდა ქართული კულტურის პროგრესს. შორს რომ არ წავიდეთ, -მა-ზე დაბოლოვებული კერძების სახელწოდებები პირდაპირ მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ ისინი, ისევე როგორც სხვა ჩვენს მეზობლებს, ძირითადად თურქთაგან გვაქვს შეთვისებული. შეიძ-

ლება დავასახელოთ: *ყაურმა, ჩიხირთმა, ტოლმა, ბასტურმა..,* მაგრამ კულტურის ამ სფეროში არის ისეთი მოვლენები და ელემენტები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ხალხის წიაღში არის წარმოქმნილი.

წინამდებარე სტატია ყველსა და მის ნაირსახეობას – **სულუგუნს/ სულგუნს** – შეეხება. არ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ხორცისა და რძის პროდუქტების დიდი ნაწილი მომთაბარე, მეცხოველეობის მიმდევარი ხალხების შექმნილია, მაგრამ, ამ მხრივ, არც ბინადარნი და მიწათმოქმედნი იყვნენ გამონაკლისნი; ისინი ხომ შემოქმედებითად ამუშავებდნენ ნასესხებ კულტურულ ელემენტებს. საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს ყველის კულტურის მისთვის დამახასიათებელი სახეობა ჰქონდა. მაღალი ხარისხისაა *თუშური გუდის ყველი, იმერული ყველი, სამცხური ყველი* და აქაურივე *ჩეჩილი და ტენილი* (ჩეჩილი ყველი ნაღებთან ერთად თიხის ქოთნებში ჩადებული), *სულუგუნი...* ამ მხრივ ორიგინალური იყო სამხრეთ-დასავლეთი საქართველო. მაგალითად, შავშეთ-იმერხევში ძირითადად ორი სახეობის ყველს ამზადებდნენ, რომელთაგან ერთ-ერთს *ფშვნილაი* ერქვა, რომელსაც ხის ვედროებში – „კროჭებში" – ინახავდნენ და რომელიც ერთ წელიწადს ინახებოდა. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ხანგრძლივად შესანახი ყველის დამზადება ბინადარი, მიწათმოქმედი ხალხების შემონაქმედი იყო. ყველის ხანგრძლივად შენახვის ტრადიცია საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარისათვის იყო დამახასიათებელი. აჭარის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავდა: *„აქ აკეთებენ ყველს ... არაოდესვე წაჭდების, არცა დაობდების, რაჟამს გნებავს, შემგბარი კეთილ-სა მარ არს".*[1]

დავუბრუნდეთ ყველის ნაირსახეობას სულუგუნს. სულუგუნი მაღალი კვებითი ღირებულების გამო 1890-იანი წლებიდან ფოთის ნავსადგურიდან უცხოეთშიც გაჰქონდათ.[2] მას, ეთნოგრაფიული მონაცემებით, დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებში – სამეგრელოში, სვანეთში, იმერეთში, ლეჩხუმსა და რაჭაში – ამზადებდნენ, სამეგრელოში სულგუნს „სელეგინი", „სელეგუნი", „სიოგინი" ერქვა, ხოლო ზემო იმერეთში, რაჭასა და ლეჩხუმში – „გვაჯილა"/„გვაჯილი".[3] სულუგუნი იცოდა *სულხან-საბა ორ-*

[1] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 677.

[2] პ. გუგუშვილი. შინამრეწველობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801-1820 წლებში. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები. 1950, გვ. 94.

[3] ნ. თოფურია. რძის დამუშავების ხალხური წესები სამეგრელოში (ყვე-

ბელიანმაც. მისი განმარტებით „სულუგუნი გადაზელილი ბრტყელი ყველია“.[4] საყურადღებოა, რომ გურიაში სულუგუნს „გადაზელილს“ უწოდებდნენ.

სულუგუნის/ სელეგინის/ სელეგუნის/ სიოგინის, გვაჯილას დამზადების ტექნოლოგიის შესახებ დაწვრილებით საუბარი ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ სულუგუნი ეს არის ჩვეულებრივი „იმერული ყველი“ გადახარშულ-გადაზელილი. იცოდნენ მეორედ მოხარშვაც: „ხალხის გამოცდილებით, მეორედ მოხარშვა აუცილებელი იყო. თუ მეორედ არ მოიხარშებოდა, მაშინ სულუგუნს ერბო შერჩებოდა და მარილს ვერ მოიკიდებდა. ამოღების შემდეგ ლანგარზე – *ჩურუხზე* ზელდნენ ხელით, ორივე ხელით გადაქნავდნენ“.[5] „როდესაც სულუგუნის დიდხანს შენახვა უნდოდათ, მაშინ მას ერთ მხარეზე ხვრეტდნენ და ბაწარზე ასხამდნენ ისე, რომ ერთმანეთს არ შეხებოდნენ. ასხმულ კვერეულებს გასაშრობად ცეცხლთან ახლოს ჭერზე ან მზეზე ჩამოკიდებდნენ. შებოლილი და გამხმარი სულუგუნი დიდხანს ინახებოდა“.[6]

საქართველოში სულუგუნს აფხაზებიც ამზადებდნენ. კავკასიაში სხვა ხალხებისათვის ყველის აღნიშნული სახეობის დამზადება უცნობი იყო. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ყველის გადახარშვა იტალიაშიც სცოდნიათ – რომისა და ნეაპოლის მიდამოებში მოხარშულ ყველს „კაჩო კავლოს“ უწოდებდნენ. „კაჩო კავლო“ ბაზრებში ხილის, ცხოველებისა და ადამიანების ფორმით იყიდებოდა.[7] იტალიური ყველი ქართული სულუგუნისაგან დიდად განსხვავდებოდა: პირველს არ ზელდნენ. ქართული კი გადაზელვის შედეგად მიიღება, რაც განაპირობებდა მის ფენოვან-ფურცლოვანებას. *„ძნელია იმისი თქმა, სულუგუნი ადგილობრივი წარმოშობისაა თუ სესხების გზით არის მიღებული, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ ლიტერატურული და ეთნოგრაფიული მასალებით, მეგრული სულუგუნი საუკეთესო და გაუმჯობესებული ხარისხის პროდუქტია ყველის იმ უამრავ ნაირსახეობას შორის, რომელიც ცნობილია ჩედარიზებულ-დამწიფებული ყველის სახით (ასეთ ჯგუფს მიეკუთვნება იტა-*

ლი). ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა. თბ. 1964, გვ. 46, 51; ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. I. შეადგინა ალ. ღლონტმა. თბ. 1974, გვ. 152.

[4] სულხან-საბა ორბელიანი. თხზულებანი. ტომი IV-2. თბ. 1966, გვ. 118.

[5] ნ. თოფურია. რძის დამუშავების ხალხური წესები სამეგრელოში (ყველი), გვ. 49-50.

[6] ნ. თოფურია. რძის დამუშავების ხალხური წესები სამეგრელოში (ყველი), გვ. 50.

[7] В. Флейшман. Молоко и молочное дело. Вологда-Москва. 1927, გვ. 359.

ლიური კაჩო კავლო). სულუგუნის დამზადება მაღალი ტექნიკით ხასიათდება. მეგრული სულუგუნის თვისებები – ელასტიურობა, ფენოვნება ქართველი მეურნის მიერ გამომუშავებულია ხანგრძლივი დაკვირვებისა და გამოცდილების გზით".[8] მარტვილის რაიონში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებით, „მოხარშულ *ყვაის*/ყველს *სელეგინი*/*სიოგინი* ჰქვია, მოუხარშავს – *კაზია*. თხის რძის ყველი არ ინახება – მატლი გაუჩნდება. ძროხის რძის *სელეგინი* ბევრ ხანს ინახება. სელეგინს ხის ჭურჭელში – *ბუყუნში* ვინახავდით".[9] მთიან სამეგრელოშო სხვაგვარი ყველის დამზადებაც იცოდნენ. შეიძლება დავასახელოთ „გუდას ყველი", რომელიც კვეთის გარეში კეთდებოდა. აგვისტოს შემდეგ – შემოდგომაზე თხის ტყავში/გუდაში რძეს ჩაასხამდნენ, მარილსა და ბევრ პილპილს შეურევდნენ და შუა ცეცხლის თავზე დაკიდებდნენ. გუდაში მოთავსებული რძე თანდათან სქელდებოდა. ერთი თვის შემდეგ გუდაში მოთავსებულ შესქელებულ მასას შუა ცეცხლიდან ჩამოხსნიდნენ, შემდეგ გუდას ატრიალებდნენ, ზელდნენ. სცოდნიათ *დაპწნილი* ყველის დამზადებაც – „დაპწნიდნენ ქალის თმასავით, ან მათრახივით".

ქართული ეთნიკური კულტურის ამ მიღწევას კარგა ხანია სხვები გვედავებიან. ოსი და აფხაზი ავტორები საქართველოს ისტორიას ქურდავენ და ახლა ჯერი ქართულ ეთნიკურ კულტურაზე მიდგა:

I. 1987 წელს ბათუმში ჩატარებულ ეთნოლოგთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე აფხაზმა მკვლევარმა *კოპეშავიძემ* (ახლა *თარჯიმან-ოღლი*) წაიკითხა მოხსენება, რომ სულუგუნის კულტურა ესაა აფხაზთა შემონაქმედი და, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ – მეგრელებმა მისი დამზადება აფხაზთაგან შეითვისეს (რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დასახელებულ ავტორს მოხსენება არ დაუბეჭდავს. ეს საკითხი აღარც მის საკანდიდატო დისერტაციაში ასახულა);

II. ბოლო დროს ცნობილი გახდა, რომ თურქეთში სულუგუნი იყიდება აფხაზური ყველის სახელწოდებით (პროფ. *ავთანდილ ნიკოლაიშვილის* ცნობა);

III. ოსი ავტორები (*ბ. კალოევი* და სხვები) წერენ, რომ სულუგუნი ქართველებმა ოსთაგან შეითვისეს; საყოველთაოდ ცნობილია, რომ ოსებმა სულუგუნის დამზადება საერთოდ არ იცოდნენ, მიუხედავად ამისა, ბ. კალოევი მკითხველს ატყუებს, რომ მას დასავლეთ ოსეთში (დიგორში) ამზადებდ-

[8] ნ. თოფურია. რძის დამუშავების ხალხური წესები სამეგრელოში (ყველი), გვ. 59.

[9] მთხრობელი *ვარდენ (ხუტუ) ექვთიმეს ძე ნაჭყებია*, 88 წლის (2012 წელი, მარტვილის რაიონი, სოფელი ბახა).

ნენ: «Общеизвестна высокая культура приготовления на Кавказе таких сыров, как *осетинский, сулгуни* и *адыгейский,* обладающих высокими вкусовыми качествами. **Осетинский, или *кобинский*, сыр (от названия селения Коби[10] по Военно-Грузинской дороге) приготовляли исключительно из овечьего молока, а сулгуни _ из коровьего, причем первый производили в основном в Восточной Осетии, второй _ в Западной».**[11] სხვა ნაშრომში ეს ავტორი გაუთვითცნობიერებელ მკითხველს ასევე აუწყებს, რომ დასავლეთ ოსებმა დაივიწყეს სულუგუნის დამზადება მონღოლების შემოსევების დროს, როდესაც ალან-ოსების მეურნეობა დაკნინდა და თურმე მეგრელთა შორის სულუგუნის კულტურა ძველმა ირანელებმა შემოიტანეს, რომლებიც კოლხეთში დასახლებულან და საბოლოოდ ქართველთა შემადგენლობაში შესულან: *«наряду с осетинским, или кобинским, сыром **осетинам в старину был известен, по-видимому, не менее популярный сорт сыра – сулгун (дигор),** приготовлявшийся особым способом из коровьего молока. **Осетинами теперь он забыт**, но широко бытует еще в Западной Грузии у мегрелов под таким же осетинским названием – сулгуни и считается у них «высшим сортом». Он делается здесь также из коровьего молока. **Трудно определить время исчезновения этого сыра из быта осетин, но можно полагать, что это произошло в период после монгольского нашествия, характеризующийся, как известно, обшим упадком хозяйства алан-осетин. Возможно, что и к мегрелам этот вид сыра был занесен древнеиранскими племенами, осевшими на их территории и вошедшими в состав этой части грузинского народа».***[12]

იმისათვის, რომ სასურველი რეალობად გაასაღოს, ციტატის ავტორი სიყალბეს სთავაზობს მკითხველს. კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძველი ისტორიის ვერც ერთი სპეციალისტი ვერ დაასაბუთებს ირანელთა დასახლებასა და მათ ადგილობრივ ქართულ მოსახლეობაში შესვლას. მდიდარი ირანული კულტურისაგან ქართველი ხალხი დიდად დავალებულია – მათ ბევრი რამ ისწავლეს ცივილიზებული მეზობლებისაგან, მაგრამ სულუგუნის დამზადება ნამდვილად ქართველებს არავისაგან არ უსწავლიათ. ირანელებსაც ალან-ოსებსავით დაავიწყდათ მისი

[10] საუბარია ხევის სოფელ კობზე, სადაც XIX საუკუნეში თრუსოდან გამოსახლებული ოსები მკვიდრობდნენ.

[11] Б. А. Калоев. Осетинские историко-этнографические этюды. М. 1999, გვ. 15.

[12] Б. А. Калоев. Осетины (Историко-этнографическое исследование). М. 1971, გვ. 101.

დამზადება? ალან-ოსთათვის ამის მიზეზი თუ მონღოლები გამხდარან, ირანელებისათვის სულუგუნის დამზადების ტექნოლოგიის დავიწყების მიზეზების ახსნა გამორჩენია. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ კიდევ ერთი რამ: მართალია, ოსური ენა და ფარსი ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ჯგუფში შედის, მაგრამ ამ ორ ეთნოსს განვითარების სულ სხვადასხვა გზა აქვს გავლილი და კულტურით ისინი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ. ალან-ოსები IV საუკუნის ბოლომდე მომთაბარე ცხოვრების მიმდევარნი იყვნენ, ირანელები კი იმ დროისათვის დიდი ხნის ბინადარნი და მაღალი კულტურისა და ცივილიზაციის შემქმნელნი იყვნენ, რომლებიც ბევრ მეზობელზე დიდ ზეგავლენას ახდენდნენ.

IV. ოსი ავტორები ციტირებენ თანამემამულის *ვ. აბაევის* ნაშრომს. თუმცა მას მსგავსი რამ არსად დაუწერია. ვ. აბაევს მხოლოდ სიტყვა „სულუგუნის“ ეტიმოლოგიის ცდა აქვს მოცემული. ოსი ავტორი ამ სიტყვას ოსური ენის დიგორული დიალექტს უკავშირებდა. მას მხოლოდ ის აქვს აღნიშნული, რომ ლექსიკური ერთეულის პირველი შემადგენელი სიტყვა „სულუ“ ოსური ენის დიგორულ დიალექზე შრატია: «Sulu – свежая молочная сыворотка, остающаяся после створожением молока ... Несомненным заимствованием из дигорского sulgun является мегр., груз. sulugunu, sulguni».[13] «Груз. (западные говоры) *sulguni*, мегр. *sulguni* – «разновидность сыра» < ос. (дигорская форма) *sulugun* (*cixt*) – «(сыр) с сывороткой» или «из сыворотки» (*sulu* плюс формант -*gun*)».[14] ამ სიტყვების ავტორს ავიწყდება, რომ „სულგუნი/სულუგუნი“ სალიტერატურო ქართული ენაზე გამოითქმის, ხოლო მეგრულ მეტყველებაში ის ჟღერს როგორც „სელეგინი/სელეგუნი/სიღოგინი“. ასე რომ, თუ აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულში „გინი“ მეორე კომპონენტია, მაშინ პირველი კომპონენტია არა „სულუ“, არამედ „სიღო“/„სილო“/„სელე“. რა აქვს ამ სიტყვას საერთო შრატის აღმნიშვნელ ოსური ენის დიგორული დიალექტის სიტყვასთან „სულუ“? – არაფერი. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: „სულუგუნი“ ქართული ენის იმერული დიალექტის სიტყვაა: მეგრული „სიღოგინი“,/„სილოგინი“,/„სელეგნი“ იმერულ დიალექტში და აქედან სალიტერატურო ქართულ ენაში შევიდა „სულუგუნის“ ფორმით. მეცნიერი ვალდებული იყო დაედგინა, აღნიშნული სიტყვა ნამდვილად შეიცავს ფორ-

[13] В. И. Абаев. Историко-этимологический словарь осетинского языка. Т. III. М. 1979, გვ. 197.

[14] В. И. Абаев. О некоторых осетинских элементах в грузинском языке. Труды Института языкознания АН СССР. Т. 1956, გვ. 440.

მანტს -გუნ თუ არა. იქნებ ის ფუძისეულია და არა ფორმანტი? არც ისაა გათვალისწინებული, რომ *სულუგუნი* შრატიდან ამოღებული ყველი არაა – ის თერმულად დამუშავებული, გადახარშულ-გადაზელილი ყველია. სინამდვილეში „სიდგინი“,/„სილოგინი“,/„სელეგნი“ მეგრული მეტყველების წიაღშია წარმოქმნილი – „სირსოუა“ ნიშნავს ჭყლეტას, სრესას, ხოლო „გინი“/ „გინო“ – იქით-აქეთ, გაღმა-გამოღმას. „სირგა“/„სირგალი“ კი უშნოდ გრძელია. ამდენად, მეგრული კვების პროდუქტის აღმნიშვნელი სიტყვა „სიდგინი“/ „სილოგინი“/„სელეგინი“ პირდაპირ ნიშნავს უშნოდ გაგრძელებულ, დასრესილ და იქით-აქეთ გადადებულ მსხვილ ჭყინტ მოხარშულ ყველს. *ვ. აბაევს* სხვა არაერთი გულუბრყვილო ეტიმოლოგიაც აქვს მოცემული.

მაგალითად, დვალეთის სოფლის „ტობორზას“ ეტიმოლოგია შეიძლება მოვიყვანოთ. თურმე ეს ლექსიკური ერთეული უნგრულად „ცეკვას“ ნიშნავს. გარდა ლინგვისტური ცოდნისა, ასეთ დროს მკვლევარს საისტორიო ცოდნაც უნდა ჰქონდეს – როდის ჰქონდათ შეხება უნგრელებსა და ოსებს ერთმანეთთან? ყოველ შემთხვევაში, ეს კავკასიის ტერიტორიაზე არ მომხდარა. ალანოსების ერთი ჯგუფი მონღოლთა შემოსევების დროს უნგრეთის ტერიტორიაზე დასახლდა და დროთა განმავლობაში ასიმილირდა. ეს იყო და ეს. ამავე დროს, დვალეთი გვიან შუა საუკუნეებამდე ეთნიკურად ქართული იყო. მეორე, *ვ. აბაევისავე* გამოკვლევებით, ოსურ ენაში ბევრი მეგრელიზმია,[15] მეგრულ მეტყველებაში კი ოსური ლექსიკა საერთოდ არ შეინიშნება. ასე რომ, თუ რაიმე კავშირი არსებობს სიტყვა „სულუგუნის“ პირველ კომპონენტსა (სულ-) და ოსურ ენას შორის, პირიქით ხომ არ უნდა ყოფილიყო?

ვიმეორებთ, ვ. აბაევს არსად დაუწერია, რომ ქართველებმა სულუგუნის გაკეთება ოსებისაგან ისწავლეს; ის მხოლოდ სიტყვის ეტიმოლოგიაზე საუბრობდა. ასეც რომ ყოფილიყო, ტერმინის გადასვლა ერთი ენიდან მეორეში სხვა გზითაც ხდებოდა. მაგალითად შეიძლება ქართული კერძის „ხინკლის“ სახელწოდება ავიღოთ. ხინკალი იმ სახით, რომლითაც ჩვენ მას ვცნობთ, ნამდვილად ქართული საჭმელია, ქართველი ადამიანის შემონაქმედია. ტერმინი კი ხუნძურია. ხუნძურად „ხინკალი“ ხორცებს ნიშნავს და ის სრულიადაც არაა ჩვენი ხინკლის მსგავსი. დაღესტნური ხინკალი ესაა მოხარშული ხორცი და გაბრტყელებული მოხარშული ცომის დიდი ნაჭრები, რომლებიც სუფრაზე ერთად მიაქვთ. „ხაშლამა“ თურქულიდან შემოსული ტერმინია, მაგრამ ამ ტერმინის ქართულ ენაში დამკვიდრებამდე ქართველებმა მოხარშული ხორ-

[15] В. И. Абаев. Осетинский язык и фольклор. I. М.-Л. 1949, გვ. 323-331.

ცის ჭამა არ იცოდნენ? ვიმეორებთ, ლექსიკური ერთეულის ერთი ენიდან მეორეში შესვლა კულტურის ელემენტის შეთვისების დამადასტურებელი არ შეიძლება იყოს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დასავლეთ საქართველოს სხვა ეთნოგრაფიულ მხარეებში (რაჭა, ლეჩხუმი, ზემო იმერეთი) სულუგუნი სხვა სახელწოდებით – „გვავჯილა“ – იყო ცნობილი. ეს სიტყვაც ოსთაგან ხომ არ ჰქონდათ ქართველებს შეთვისებული? „გვავჯილა“ წმინდად ქართული ლექსიკური ერთეულია.

რაც მთავარია, ოსებმა საერთოდ არ იცოდნენ ყველის ასეთი სახეობის, მოხარშული და გადაზელილი ყველის დამზადება. მარტივი შეკითხვა ისმის: ქართველებმა მისი დამზადება ოსებისაგან ისწავლეს და ოსებმა ის დაკარგეს? როგორ მოხდა კულტურის ამ უმნიშვნელოვანესი ელემენტის დაკარგვა? კულტურის ისტორიაში ასეთი ფაქტები საერთოდ დადასტურებული არაა. ეთნიკური კულტურის დაკარგვა მხოლოდ ეთნოსის გაქრობის პარალელურად შეიძლება მოხდეს. ჩვეულებრივი ოსური ყველი კავკასიაში საყოველთაოდ ცნობილია და თუ შესათვისებელი იყო, ქართველებს მისი დამზადება უნდა ესწავლათ.

ოსი ავტორების მიერ მითოლოგემების შექმნასა და სხვათა კულტურის მითვისებას საზღვარი აღარა აქვს. ისინი ვერ შეთანხმებულან იმაზე, თუ როდის ისწავლეს ქართველებმა მათგან სულგუნის დამზადება. ახლახან მოსკოვში ნ. მიკლუხო-მაკლაის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის გრიფით გამოსულ სქელტანიან წიგნში ერთი ხალხიდან მეორე ხალხში კულტურის ელემენტის გადასვლის ახალი თარიღი შემოგვთავაზეს და ის XX საუკუნის დასაწყისით დაათარიღეს. ამავე დროს, ურცხვად „გვიმტკიცებენ“, რომ სულუგუნს დამზადების კულტურა თურმე ოსებისათვის დამახასიათებელი იყო ბოლო დრომდე. დღემდე არც ერთ ეთნოლოგს მსგავსი რამ არასდროს დაუწერია (ზემოთ საუბარი იყო იმის შესახებ, რომ ოსებმა სულუგუნის დამზადება მონღოლების შემოსევების დროს დაკარგეს. ამას *ბ. კალოევი* ღაღადებდა). უპრიანი იქნება აღნიშნული წიგნიდან ტექსტი სრულად მოვიყვანოთ: *«Одной из разновидностей сыров были так називаемые тещие сыры – сылыконд цыхт или сулугуни (в дигорском диалекте), сделанные из сыворотки сылы, оставшейся после приготовления, сыра. Для его производства используют сыворотку, собранную за несколько дней, которую уваривают на медленном огне. Всплывшую от сыворотки, солят. Этот способ приготовления сыра получил широкую известность под осетинским названием сулугуни, означающим в переводе с дигорского диалекта осетинского языка «сделанный из сыворотки»... Технология приготовления осетинского сыра су-*

лугуни, приготовляемого только из цельного молока, как и его название, уже в начале XX в. была перенято грузинами и сыр широко вошёл в их рацион».[16] ასეთი ნაბოდვარი კომენტარის ღირსიც კი არაა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აღნიშული ციტატის ავტორს სულგუნის დამზადების ტექნოლოგიაზედაც კი არ აქვს წარმოდგენა. თურმე სულუგუნი შრატისაგან მზადდება. მხოლოდ ზემონათქვამი უნდა გავიმეოროთ: ლექსიკური ერთეული „სულუგუნი“ შეტანილი აქვს *სულხან-საბა ორბელიანს* თავის ლექსიკონში. ქართველი ლექსიკოგრაფი კი XX საუკუნეზე ძალიან ადრე მოღვაწეობდა – ის 1658 წელს დაიბადა და 1725 წელს გარდაიცვალა.

ახლა აფხაზების შესახებ. ბუნებრივია, აფხაზები, როგორც საქართველოს სახელმწიფოს მკვიდრნი, აქტიურად იყვნენ ჩართული საერთო ქართული კულტურის შექმნაში. გარკვეულია, რომ აფხაზებსა და მათ მეზობელ ქართველებს (მეგრელებსა და სვანებს) კულტურის ზოგიერთი ელემენტი საერთო ჰქონდათ. ამ გარემოებას კი არა მხოლოდ მეზობლობა, არამედ მოსახლეობის ურთიერთშეღწევაც განაპირობებდა. თანამედროვე აფხაზები ჩრდილოეთ კავკასიელი ადიღეელების ენობრივ-ეთნიკური მონათესავენი იყვნენ. სულუგუნი ადიღეური მოდგმის ეთნოსებს არ ჰქონდათ. მათ ეს არ სჭირდებოდათ. თუ რატომ, ამის შესახებ ქვემოთ ვიტყვით. აფხაზებთან ყველაზე ახლოს ენობრივი და ეთნიკური თვალსაზრისით აბაზები დგანან (თურქული სამყარო გვიან შუა საუკუნეებში, XIX საუკუნეში და დღესაც არ ასხვავებდა და არ ასხვავებს აფხაზებსა და აბაზებს ერთმანეთისაგან).

სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ აბაზები ჩრდილოეთ კავკასიაში შავი ზღვის სანაპიროდან – თანამედროვე აფხაზეთის მოსაზღვრე ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთიდან – არიან გადასახლებულნი. აბაზებს შორის ორ ეთნოგრაფიულ ჯგუფს/ტერიტორიულ ერთეულს გამოყოფენ. ესენი არიან *ტაპანტელები* და *აშხარელები/შკარაუა.* ტაპანტელები თანამედროვე აფხაზეთის მოსაზღვრე ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორიიდან (ბზიფისა და ტუაფსეს შორისი მონაკვეთიდან), შავი ზღვის სანაპიროდან ჩრდილოეთ კავკასიაში XIII-XIV საუკუნეებში არიან გადასახლებულნი, ხოლო აშხარელები – XVII საუკუნის შუა ხანებში.[17]

თუ სულუგუნი აბაზურ-აფხაზური ენობრივ-ეთნიკური ერთობის შემონაქმედია, მაშინ ყველა ამ ჯგუფისათვის ის დამახასიათებელი უნდა იყოს.

[16] Осетины. Отв. ред.-ы: З. Б. Цаллагова, Л. А. Чибиров. М. 2012, გვ. 138, 140.

[17] Абазины: историко-этнографический очерк. Черкесск. 1989, გვ. 15; რ. თოფჩიშვილი. კავკასიის ეთნოლოგია. თბ. 2012, გვ. 26.

წინასწარ ვიტყვით, რომ აბაზებიდან ტაპანტელებისათვის უცნობი იყო მოხარშულ-გადაზელილი ყველი, ხოლო აშხარელებისათვის ის აფხაზების საშუალებით ცნობილი იყო.[18] ამრიგად, სულუგუნი აფხაზურ-აბაზური ეთნოსის წიაღში არ შექმნილა. აბაზების ყველაზე დიდი ჯგუფისათვის ის ცნობილი არ იყო. რაც შეეხება აშხარელებს, სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აბაზი აშხარელები ორი ხარისხის ყველს ამზადებდნენ. სულუგუნის ანალოგიურ პროდუქტს აშხარელები „აშვალაგვანს“ უწოდებენ. ეს სიტყვა კი მათ თანამედროვე აფხაზებისაგან აქვთ შეთვისებული (აფხაზ. „აშელაგუან“). აფხაზური „აშელაგუანი“ კი მეგრული მეტყველებიდანაა შესული: „სელეგინი, „სელეგუნი“>„ა-შელაგუან“. სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ აშხარელი აბაზები ორი ხარისხის ყველს იცნობდნენ, რომელთაგან ერთი აბაზური გახლდათ და მეორე – აფხაზური: *«Абазины различали достоинства сыра собственного приготовления и сыра, изготовленного непосредственно в Абхазии. Они называют абхазский качественный сыр – ашэлагуан».*[19]

ამრიგად, თავად აშხარელი აბაზები სულგუნის ტიპის ყველს საკუთრად არ მიიჩნევენ და მას აფხაზურს უწოდებენ. აფხაზურს უწოდებენ იმიტომ, რომ მისი დამზადება მათ უშუალოდ აფხაზთაგან შეითვისეს. დასკვნა ერთმნიშვნელოვანია: სულუგუნი აფხაზურ-აბაზური ეთნიკური ერთობის წიაღში არ წარმოქმნილა. სულუგუნი რომ აბაზურ-აფხაზური ეთნიკური ერთობის შექმნილი არ იყო, ამას ისიც ადასტურებს, რომ *ქიაჩთა* ლოკალური ჯგუფი ტაპანტელ აბაზებშიც იყო და აფხაზებშიც. აფხაზელი *ქიაჩებისაგან* განსხვავებით, ტაპანტელმა *ქიაჩებმა* მისი დამზადება არ იცოდნენ. მათ ცალკეულ ჯგუფებში სულუგუნი (თანამედროვე აფხაზები და აშხარელი აბაზები) ქართველთაგან გავრცელდა მეზობლური თანაცხოვრების შედეგად). აშხარელ აბაზებში სულუგუნის დამზადების ცოდნა იმიტომაც არაა გასაკვირი, რომ მათ შორის გამოიყოფა ფსხუდან გადასახლებული მოსახლეობის ჯგუფი, რომელიც აქ საკმაოდ გვიან, რუსეთის იმპერიის შემოსვლის დროს აღმოჩნდა. ფსხუელი აფხაზების ერთი ჯგუფი, რომელიც ოსმალეთის იმპერიაში არ გადასახლდა, 1864 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა და *კუვინის* ხეობაში აშხარელ აბაზებს შეუერთდა (105 ოჯახი, 736 სული). მოგვიანებით ამ 736 სულს კიდევ 109 სული ფსხუელი აფხაზი შემატებია.[20] მიგრაციებს კი

[18] Абазины: историко-этнографический очерк. Черкесск, გვ. 117.
[19] Ц. Н. Бжания. Из истории хозяйства и культуры абхазов. Сухуми. 1973, გვ. 102.
[20] Абазины: историко-этнографический очерк. Черкесск, გვ. 91.

შედეგად მოჰქონდა კულტურის მთელი რიგი ელემენტების ერთი ეთნოსიდან მეორე ეთნოსში გადატანა. სულუგუნის შემთხვევაში სწორად ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

ხარისხიანი სულუგუნი მხოლოდ ძროხისა და კამეჩის რძისაგან მზადდება. აფხაზებში კი მესაქონლეობა მეორეხარისხოვანი იყო. ისინი ძირითადად მეთხეობას მისდევდნენ და თივის დამზადების ტრადიციაც კი არ ჰქონდათ. როგორც ზემოთაც აღინიშნა, თხის რძის ყველი არ ინახება – მატლი უჩნდება. მთავარი კი ისაა, რომ **ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფებს (ეთნოსებს) ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, კლიმატი კარნახობდა კულტურის ამა თუ იმ ფორმის შექმნას.** ეთნოსები ბუნებასთან ჰარმონიული ურთიერთობის გარეშე ვერც იცხოვრებდნენ. ამ მხრივ **სულუგუნი ანუ გადახარშულ-გადაზელილი ყველი მხოლოდ კოლხური კულტურაა. კოლხეთში მთელი ისტორიის მანძილზე ტენიანობის სიჭარბე იყო. სულუგუნის დამზადების ტექნოლოგიამდე ადგილობრივი მკვიდრნი სწორად ტენის სიჭარბემ მიიყვანა.** მეორედ გადახარშული და გადაზელილი ჩვეულებრივი ყველი, ან კარგა ხნის განმავლობაში გადაზელილი, აგრეთვე კვამლში, და მზეზე გამოყვანილი და გამომშრალი დიდხანს, ჩვეულებრივ, ერთი წლის განმავლობაში ძლებდა და კვებით თვისებებს არ კარგავდა. რაც შეეხება ჩვეულებრივ ამოყვანილ იმერულ ყველს, რასაც სამეგრელოში „კაზიას“ უწოდებდნენ, ის დიდხანს არ ინახებოდა. **განსაკუთრებით პრობლემატური იყო კოლხეთის დაბლობზე, ჭარბი ტენიანობის პირობებში ყველის შედარებით დიდი ხნის განმავლობაში შენახვა. ამიტომაც იყო, რომ ბუნებასთან ჰარმონიაში მყოფმა ქართველმა მეურნემ მისი დამზადების განსაკუთრებულ ტექნოლოგიას მიაგნო.** თუმცა ყველის გადახარშვის ტექნოლოგია იტალიისათვისაც არის ცნობილი (მაგრამ ისინი სულგუნის მსგავს პროდუქტს არ იღებენ, რადგან იქ გადახარშვას გადაზელვის პროცესი არ ახლავს).

მეურნეობის რა ყაიდის მიმდევარ ხალხს უნდა შეექმნა სულგუნის კულტურა? – რა თქმა უნდა, მიწათმოქმედ ხალხს და არა იმ ხალხს, რომლის საქმიანობის მთავარ სფეროს მეცხოველეობა შეადგენდა. ქართველები კი უძველესი მიწათმოქმედი ხალხია. საქართველოში მიწათმოქმედება და მესაქონლეობა სიმბიოზში იყო წარმოდგენილი. მაღალი დონის მიწათმოქმედება კი მესაქონლეობის გარეშე არ ხდებოდა, რადგან გამწევი ძალის გარეშე მიწათმოქმედებას მხოლოდ პრიმიტიული ხასიათი ექნებოდა. ასე რომ, ქართველი ხალხის მეურნეობაში მესაქონლეობაც მიწათმოქმედების ინტერესებისადმი

იყო დაქვემდებარებული. უფრო რომ დავაზუსტოთ, მომთაბარე და ნახევრად-მომთაბარე ხალხებისაგან განსხვავებით, **საქონელი ბარელ ქართველებს შეზღუდული რაოდენობით ჰყავდათ. მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე მესაქონლე ხალხებს არ სჭირდებოდათ მეხცოველეობის პროდუქტების დიდი რაოდენობით გაკეთება და ხანგრძლივად შენახვა. მიწათმოქმედ ხალხებში, რომლებსაც საქონელი შეზღუდული რაოდენობით ჰყავდათ, ასეთი პრობლემა იდგა, მითუმეტეს ისეთ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში, როგორიცაა კოლხეთის დაბლობი — სინესტე არ იძლეოდა მეცხოველეობის პროდუქტების ხანგრძლივად შენახვის საშუალებას. მესაქონლეობის შეზღუდულ პირობებში** (რა თქმა უნდა, მომთაბარეებსა და ნახევრად მომთაბარეებთან შედარებით) **კი ადამიანებს გვიან შემოდგომიდან ლაქტაციის შეწყვეტისა თუ შემცირების გამო, ადრე გაზაფხულამდე რძისა და რძის პროდუქტების დეფიციტიც ჰქონდათ. ამ დეფიციტის შევსების წყარო კი იყო რძის პროდუქტების, ამ შემთხვევაში ყველის, დამზადების ახალი ტექნოლოგიების ძებნა, რასაც ქართველმა მეურნემ ხანგრძლივი დაკვირვებისა და შემოქმედებითი ძიების პროცესში მიაგნო კიდევაც და შექმნა ყველის ისეთი ნაირსახეობა, როგორიცაა სულუგუნი.**

ზემოთ აღინიშნა, რომ სამეგრელოში *სელეგინს/ სიდოგინს/ სილოგინს* ხის ჭურჭელში — *ბუყუნში* ინახავდნენ. თუმცა სულუგუნის სპეციალური შესანახი ქოთანიც შექმნა კოლხეთის დაბლობში მცხოვრებმა ქართველმა მეურნემ. ესაა ე. წ. „სასულგუნე ქოთანი“: *„იგი თავისი ფორმით ვიწრო ტანის, ოდნავ პირგაშლილი თონესა გავს“*.[21] ის ყველა ქართული კერამიკული ჭურჭლისაგან განსხვავებულად გამოიყურებოდა და ორიგინალური იყო. ხის ჭურჭელს — *ბუყუნს* — უპირატესად მწყემსები, ხოლო კერამიკულ „სასულგუნე ქოთანს“ — ოჯახის პირობებში გამოიყენებდნენ.

ცხოვრების რა წესის და მეურნეობის რა ფორმების მიმდევარნი იყვნენ აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ხალხები და ოსები და მათი წინაპარი ალანები? აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ხალხები და ოსების წინაპარი ალანები ისტორიულად ხელშესახებ პერიოდში ბინადარი ცხოვრების და, ამასთან ერთად, მიწათმოქმედების მიმდევარნი არ იყვნენ. **ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ადიღეური ტომები ნახევრადმომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ შორის პრიორიტეტული მეცხოველეობა იყო და არა მიწათმოქმედება. მიწის გამოფიტვის შემდეგ დასახლებული პუნქტი სხვაგან**

[21] თ. ჩიქოვანი. ეთნოარქეოლოგიური ეტიუდები. თბ. 1989, გვ. 16.

გადაჰქონდათ. მეცხოველეობის პროდუქტები კი საკმარისი რაოდენობით ჰქონდათ და მათ წინაშე რძის პროდუქტის – ყველის ხანგრძლივად შენახვის პრობლემა არ იდგა. აბაზებისადმი მიძღვნილ ზემოთ დასახელებულ წიგნში პირდაპირ მითითებულია, რომ *«В силу ряда экономических и политических причин абазины часто меняли местоположение своих аулов, что не способствовало стабильности поселений».*[22] რაც შეეხება ოსთა წინაპარ ალანებს, საყოველთაოდ ცნობილია, რომ IV საუკუნის სამოცდაათიან წლებამდე ისინი ტიპური ნომადები იყვნენ და მათ მთავარ სიმდიდრეს შეადგენდა ცხენი და ცხვარი (და არა საქონელი). ამრიგად, **არც აფხაზებსა და არც ოსებს რძის პროდუქტების, მათ შორის ყველის, შენახვის პრობლემა არ ჰქონიათ და არც ისეთ ბუნებრივ-გეოგრაფიულ, კლიმატურ პირობებში ცხოვრობდნენ, მისი ხანგრძლივად შენახვის ტექნოლოგიის შემოღებაზე ეფიქრათ.**

ასე რომ, სულუგუნი მხოლოდ და მხოლოდ დასავლურქართული კულტურაა/პროდუქტია, კოლხეთის დაბლობში შექმნილი და არა აფხაზური და ოსური. სამწუხაროდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზემოთ დასახელებული ხალხების განათლებამიღებული ადამიანები არა მხოლოდ ქართველთა ისტორიის მითვისებას, არამედ ქართული კულტურული მიღწევების მისაკუთრებასაც ცდილობენ.

P. S. 2013 წლის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ სულგუნზე ოფიციალური პრეტენზია განაცხადეს სომხებმაც; ისინი ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებში სულგუნის ქართული კულტურისადმი მიკუთვნებას ეჭვქვეშ აყენებენ და საჩივარში აღნიშნავენ, რომ „სულუგუნი არ წარმოადგენს ქართული წარმოშობის ყველს, რადგან ის იწარმოებოდა მთელ საბჭოთა კავშირში“. სულუგუნის მთელ საბჭოთა კავშირში წარმოების ფაქტის დადასტურების მიზნით ისინი მიუთითებენ, რომ „საბჭოთა კავშირის პერიოდში პროდუქციის საწარმოებლად გამოიყენებოდა სახელმწიფო სტანდარტები, ე. წ. „გოსტ“, რომელიც მთელი ქვეყნისათვის საერთო იყო. შესაბამისად, ვერ გახდება საქართველოსათვის დამატებითი არგუმენტაცია ქართული გეოგრაფიული აღნიშვნის წარმოშობის დასადასტურებლად“. ამდენად, იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის დროს პროდუქციაზე საქართველოს ცალკე „გოსტი“ არ ჰქონია, „სულუგუნი“ ქართული ეთნიკური კულტურის ნაწილად არ უნდა იქნეს მიჩნეული? მანამ ამ ნონსენსზე რაიმეს ვიტყვით, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სულგუნის ანალოგიურად შესაბამისი ევროპული სტრუქტურები ასევე დამა-

[22] Абазины: историко-этнографический очерк. Черкесск, გვ. 90.

ტებით ისტორიულ-ეთნოლოგიურ არგუმენტაციას მოითხოვენ „აჭარული ჩეჩილის“, „მესხური ჩეჩილის“, „თუშური გუდის ყველის“ და „ჩურჩხელის“ შესახებაც?

რადგან წინამდებარე სტატია „სულუგუნს“ ეხება, ამიტომ ამჯერად მხოლოდ მასზე შევჩერდებით. ვინც კავკასიის ეთნოლოგია კარგად იცის, ყველა დაადასტურებს, რომ არც ანალოგიური სახელწოდებისა და არც ანალოგიური ტექნოლოგიით დამზადებული ყველი სომეხმა ხალხმა არ იცოდა და არ იცის. საბჭოთა კავშირის პერიოდში თუ ქართველი ხალხის დაუკითხავად სულუგუნს სოხეთისა და რუსეთის ყველის ქარხნები აწარმოებდნენ, ეს იმას ადასტურებს, რომ ის ქართული ეთნიკური კულტურის ელემენტს არ წარმოადგენდა? ქართველი ხალხისაგან ვინმემ ნება აიღო მის წარმოებაზე? – რა თქმა უნდა, არა. ახლა მივმართოთ შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას: I. **Алла Тер-Саркисянц. История и культура армянского народа. С древнейших времен до начала XIX в. 2-е издания. М. 2008.** ავტორი საყოველთაოდ ცნობილი სომეხი ეთნოლოგია და მას ყველის მხოლოდ სამი სომხური სახეობა აქვს დადასტურებული და არც ერთი მათგანი არ არის ამ სახელწოდებით („სულუგუნი“) და ტექნოლოგიითაც ახლოსაც კი არაა მოხარშულ-გადაზელილ ყველთან, როგორსაც დასავლეთ საქართველოს გლეხობა საუკუნეების განმავლობაში აწარმოებდა. სომხებმა იცოდნენ: ა) „გლუხ პანირ“ ანუ „თავი ყველი“, ბ) „მოტალი“ ანუ ფხვიერი ყველი და გ) „თელ პანირ“/„ჩეჩილი“ ანუ ძაფისებრი ყველი. იცოდნენ აგრეთვე ყველში მწვანილის, განსაკუთრებით ბეგქონდარას (ინგლისურად: Thyme) შერევა, რომელსაც ტიკებში ინახავდნენ. II. **Армяне. Отв. ред.-ы: Л. М. Варданян, Г. Г. Саркисян, А. Е. Тер-Саркисянц. М. 2012.** სომხებისა და სომხური კულტურის შესახებ ამ შემაჯამებელ სქელტანიან წიგნშიც სომხური ყველის სახეობებიდან იგივე სახეობებია დასახელებული (გვ. 239). დამატებულია კიდევ ერთი სახეობა „შორ“-ი, რომელსაც ყველსა და ხაჭოს შორის რაღაც შუალედური ადგილი ეკავა. ქართული ენის ნებისმიერი მცოდნის ყურადღებას მიიქცევს სომეხ ხალხში გავრცელებული ყველის ერთ-ერთი სახეობის „თელ პანირ“/„ჩეჩილი“ ანუ ძაფისებრი ყველის სახელი. ასეთსავე ყველს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებშიც ამზადებენ და ზუსტად ასეთივე სახელწოდებით. „ჩეჩილი“ ყველი სომხებს ქართველთაგან რომ აქვთ შეთვისებული, ამას პირდაპირ მიუთითებს მისი სახელწოდება – „ჩეჩილი“, რაც ქართული სიტყვაა და სიტყვიდან „აჩეჩილი“, „გაჩეჩილი“ არის მიღებული.

III. **Народы Кавказа. Т. II. Под ред. *Б.* А. Гарданова, А. И. Гулиева, С. Т. Еремяна, Л. И. Лаврова, Г. А. Нерсесова, Г. С. Читая. М. 1962.** სამხრეთ კავკასიის ხალხებისადმი მიძღვნილ ამ ტომის ექვსი რედაქტორიდან ორი ეთნიკური სომეხია. ამ ფაქტზე იმიტომაც ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ისინი საკმაოდ ცნობილი მეცნიერები იყვნენ და მათი უნდობლობა შეუძლებელია. სომხური ყველის სახეობებს შორის დასახელებულია: „გლუხ პანირ“, „თელ პანირ“ და „შორ“-ი (გვ. 470). ახლა ვნახოთ, რა წერია აღნიშნულ წიგნში ქართული ყველის სახეობების და, კერძოდ, „სულუგუნის“ შესახებ: *«В Грузии известны различные сорта сыра: тушинский (овечий), имеретинский, сулгуни. Для приготовления сулгуни молодой пресный сыр из коровьего или буйволиного молока оставляют два-три дня для «дозревания». Затем сыр режут тонкими кусками и опускают их в кипящую воду. Размякшую массу месят, как хлебное тесто, и придают ей форму круглой лепешки. Приготовленный таким способом сулгуни едят или в свежем виде с соусом из молока с мятой и другими пряностями, или же жареным на вертеле, или в сушеном виде, причем его сушат либо на солнце, либо над очагом, и, наконец, из-под рассола. Сулгуни отличается острым кисло-молочным вкусом и ароматом. Центр приготовления сулгуни – Мегрелия (Западная Грузия), откуда (по данным Аристотеля) происходит известная древнему миру колхидская корова»* (გვ. 360) [ქართული თარგმანი: საქართველოში ცნობილია სხვადასხვა სახის ყველი: თუშური (ცხვრის), იმერული, *სულუგუნი.* სულგუნის დასამზადებლად ძროხის ან კამეჩის რძის ახალ უმარილო ყველს ორ-სამ დღეს ინახავენ „დასამწიფებლად“. შემდეგ თხელ ნაჭრებად დაჭრილ ყველს მდუღარე წყალში (ან რძეში – რ.თ.) ჩაუშვებენ. დარბილებულ მასას, როგორც პურის ცომს, ზელენ და მას აძლევენ მრგვალ, კვერეულის ფორმას. ასეთი ხერხით დამზადებულ სულუგუნს ჭამენ როგორც ახალს, რძის „სოუსთან“ პიტნითა და სხვა სანელებლებით, შამფურზე შემწვარს ან მზესა და კერაზე გამხმარს, ანდა წათხში ჩადებულს. სულგუნი გამოირჩევა მძაფრი რძისმჟავური გემოთი და არომატით. სულგუნის დამზადების ცენტრია სამეგრელო (დასავლეთი საქართველო), საიდანაც, არისტოტელეს ცნობით, წარმომავლობს ძველ სამყაროში ცნობილი კოლხური ძროხა“].

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საერთაშორისო ასპარეზზე თავის დაცვა გვიხდება. სამართლიან საერთაშორისო არბიტრაჟს უნდა ვურჩიოთ სულუგუნის დამზადებას დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთ-

ნოგრაფიულ მხარეში (სამეგრელო, სვანეთი, იმერეთი) ქართველ გლეხთა სახლებში დაესწროს. საამისოდ სომხეთის სოფლებიც მოიარონ. აგრეთვე მოინახულონ თბილისისა და ერევნის, ზუგდიდისა და *კიროვაკანის*, ქუთაისისა და *ლენინაკანის* ბაზრებიც, სადაც გლეხები, ბუნებრივია, სახლში დამზადებულ ყველს ყიდიან. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქართული ლექსიკური ერთეული „სულგუნი“ ქართველ მწერალსა და ლექსიკოგრაფს *სულხან-საბა ორბელიანს* (1658-1725) „ლექსიკონი ქართულში“ აქვს შეტანილი. საინტერესოა, ეს სიტყვა სომეხ ლექსიკოგრაფს *რაჩია აჭარიანს* თუ აქვს შეტანილი თავის ლექსიკონში? ზემოთ ისიც აღინიშნა, რომ 1890-იანი წლებიდან საქართველოს საპორტო ქალაქ ფოთიდან დასავლეთ საქართველოში დამზადებული მოხარშულ-გადაზელილი ყველი – „სულუგუნი“ დასავლეთ ევროპაში დიდი რაოდენობით გადიოდა გასაყიდად. იქნებ სომეხმა მეცნიერებმა სომხეთიდან ექსპორტად გასული „სულგუნის“ დამადასტურებელი რაიმე საარქივო დოკუმენტიც გვიჩვენონ.

Roland Topchishvili

FROM THE DIET HISTORY OF THE GEORGIANS: SULUGUNI

Summary

The work deals with suluguni – a very special element of the Georgian diet. Suluguni is a specially cooked "Imeretian (West Georgian) cheese". There are efforts made by Abkhaz and Ossetian authors to relate the provenance of suluguni to Abkhazian and Ossetian cultures. In the present work, however, it is proved that suluguni is entirely Colchian (i.e. West Georgian) product: preparing suluguni by kneading and boiling was due to excessive humidity (thereby suluguni could last for more than a year); the second reason for producing suluguni in the Colchian plain was a small number of cattle in the region with the deficit of cheese during the stoppage of lactation.

Recently the Armenians also expressed their claims for suluguni and started protesting against its registration in international organizations. Their claim is based upon a simplistic argument: in Soviet times suluguni was produced not only in Georgia, but also in every other Soviet republic. In reality, however, the reason for this was the Soviet Union's and not Georgia's "state standard" – GOST (Russian: *ГОСТ*).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VIII
თბილისი. 2013-2014

როზეტა გუჯეჯიანი

ეფრატის (ევფრატის) თემი – Efeler (ზემო მაჭახელი, თურქეთის რესპუბლიკა)

ეძღვნება თურქეთელი ქართველი მოღვაწის
ქაზიმ ირემაძის ნათელ ხსოვნას

ეფრატის თემი,[1] ოფიციალური სახელით – **Efeler-i** ზემო მაჭახელში მდებარეობს. ზემო მაჭახელი თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებშია მოქცეული. ეფრატის მოსახლეობა ეთნიკურად მთლიანად ქართველია. ნაშრომი ეყრდნობა არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას და ავტორისეულ საველე-ეთნოგრაფიულ მასალას.[2] საიტორიო მასალით, თემს „ევფრატი“ ეწოდება, მაგრამ მოსახლეობა ამჟამად „ეფრატს“ წარმოთქვამს.

---

[1] **ეფრატი,** თურქეთის ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით, **სოფლად** (ქოი) არის მიჩნეული, მაგრამ, რეალურად, ეფრატი **თემია** და იგი რამდენიმე ცალკეული სოფლისაგან (მაჰალე) შედგება. ეფრატი ამ მხრივ გამონაკლისი არ არის. ცნობილია, თურქეთის სახელმწიფოს მიერ სოფლად (ქოი) ჩათვლილი ყოველი ქართული დასახლებული პუნქტი რამდენიმე დამოუკიდებელი სახელის მქონე სოფლისაგან შედგება, ანუ ქოი ქმნის სოფელთა (მაჰალეები) კრებულს. ოფიციალურად ყოველი ასეთი კრებული სოფლად (ქოი) არის გატარებული და ერთი გამგებელი (მუხტარი) ჰყავს. ვფიქრობ, მართებული იქნება, ისტორიული ტაო-კლარჯეთის მხარეებში არსებული ტრადიციული ქართული დასახლებული პუნქტების აღსანიშნავად გამოყენებულ იქნეს ტერმინი **თემი** და არა სოფელი. ამგვარი დასახლების სტრუქტურა დამახასიათებელია საქართველოს სხვა მთიანი მხარეებისათვისაც, მაგალითად, სვანეთისა და ზემო აჭარის ყოველი თემი რამდენიმე ცალკეული სოფლისაგან შედგება და მათ თემის სახელი აერთიანებთ.

[2] მთხრობელები ეფრატის თემიდან: **შუქრუ კაია (ვაცაძე), ბესიმ შიმშეკი (სანაძე), ზექერია ავჯი//კვატალიძე, დურალი სარი (გუნდარიძე);** მთხრობელები მინდიეთის თემიდან: **ჰასან შიმშეკი, ჰამდი ოზდემირი (ქათამაძე), აწ გარდაცვლილი ქაზიმ იიემი (ირემაძე).**

ცნობილია, **ზემო მაჭახელი** 6 თემისაგან შედგება: **Camili (ხერთვისი,)** Duzenli **(ზედვაკე), Efeler (ეფრატი), Kayalar (ქვაბითავი), Maral (მინდიეთი), Ugur (აკრია).** თითოეულ თემში რამდენიმე სოფელია (მაჰალე) გაერთიანებული. ადმინისტრაციული ცენტრი **ხერთვისშია,** ზემო მაჭახელი ბორჩხის რაიონს და ართვინის ვილაიეთს (რეგიონს) ეკუთვნის. დღეისათვის ზედა მაჭახელში დაახლოებით 500-მდე ოჯახია, მათგან თითქმის ნახევარი ზამთრობითაც რჩება ხეობაში. შენიშნება პენსიაზე გასულ მაჭახლელთა მშობლიურ მხარეში დაბრუნება ქალაქებიდან.

ეფრატის თემი **ეფრატისწყლის** ხეობაში მდებარეობს. ეფრატისწყლის სათავე **„ჩიქუნართა თაშია“**. ასე უწოდებენ დღემდე მთას, რომლითაც 1921 წლამდე (საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის საზღვრის გავლებამდე) ჩიქუნეთელები სარგებლობდნენ. ხანგრძლივი დროის გასვლის მუხედავად, ზემო მაჭახლელები ტოპონიმს უცველელად ინახავენ.

ეფრატის თემისაკენ სამანქანო გზა მიემართება ხერთვისიდან.[3] ხერთვისის თემიდან, ეფრატისა და მინდიეთის წყლის შეერთების ადგილიდან, გადავივლით ხიდს ეფრატის წყალზე, მარჯვნივ გზა მიდის ზედვაკის თემისაკენ, მარცხნივ კი – ეფრატისა და ქვაბითავისაკენ.

ეფრატის თემში რამდენიმე დიდი და პატარა სოფელია. ეფრატის თემის **დასახლების ტიპი ტრადიციული ქართულია, ხევისპირული.** ვერტიკალურ ზონალობაშია განთავსებული სოფლები და საცხოვრებლები. სოფლები უბნებადაა დაყოფილი. უბნებში, ძირითადად, მოგვარეები, ახლო ნათესავები, განაყრები ცხოვრობენ.

ეფრატის თემის ტერიტორია **ქათამოს ღელიდან** მალევე იწყება. *„ქათამო ადგილ ქვია, ეფრატის გზაშია, მაგრამ ხერთვისია. იქით გადახვალ, კაკალურია, ის ეფრატს ეკუთვნის“.*

პირველი დასახლებული ადგილები ეფრატის თემში, ხერთვისის მხრიდან, არის **ხარკაბავლი, ველიანთი, კაკალური და ჭანჭვალევი**. კაკალური ჯერ „მეჰელედ“ არ ითვლება, მაგრამ მზარდი დასახლებული პუნქტია. ეფრატის ცენტრი **ჯამიკარია,** ჯამიკარს სხვა ორი სახელითაც იხსენიებენ: **ნაქილისვარი** და **სანაკი//სენაკი,** სხვა სოფლები: **ვაციეთი, კიბორეთი, კვატალეთი, სკილენჯეთი, ჩუგათი, ტრედაული, სათლელაი, ბარჯგინავი, ნამზირათი// ნამძირათი, ურწყული, კვესავრი, ზედა ჯამიკარი.**

[3] ხერთვისის თემში დიდღელეს (მინდიეთის ღელეს) ეფრატის ღელე უერთდება და იქმნება მდინარე მაჭახელი.

საინტერესოა სენაკთან//სანაკთან ახლოს მდებარე ერთი ადგილის სახელი – **სანათი//სანათლი – სანათლევი.** ხალხური ეტიმოლოგია ამ ტოპონიმს ეფრატის ეკლესიის კედელთან დაკავშირებულ სინათლეს, უცნაურ ნათებას უკავშირებს: *„ერთი **ქალაქი** ყოფილა აქ ზემოთ, ერთიც **სანათლე,** ენ წინ რომ ნახულა ექ ზემოთ სინათლეაო, მემრე სანათი იქნაო“.* შესაძლოა, ტოპონიმი „სანათი//სანათლე“ სანათლავ ადგილს გულისხმობდეს. ცნობილია, რომ „ქალაქიც“ რეალურად არსებულა და იგი იხსენიება „ტბეთის სულთა მატიანეში“: „თევთისძესა, რომე ქ(ა)ლ(ა)ქს მოკუდა, გ(იორ)გის შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ“.[4] ტოპონიმი შემონახულია ჩვენი დროისთვისაც, „ნაქალაქევის“ ფორმით. გვარი თევთისძე გავრცელებულია ეფრატის მეზობელ ხერთვისის თემში, სოფელ თევთიეთში.

„ქალაქი“ ეფრატიდან ლეკობანისაკენ მიმავალ გზაზე არსებობდა და იყო დიდი დასახლებული პუნქტი, მას დღეს **„ნაქალაქევად“** მოიხსენიებენ. *„ნაქალაქევი ფუნდუღზეა. ზეითაა. ნაქალაქევი ძველებურიდან დარჩენილი სახელია. ქვაზე ნავალის ადგილი ეტყობა იქ ფუნდუღში. აქ ხიდის ქვები სულ იქიდან ჩამოუტანიათ, ასკერი ყოფილა, ხელიდან ხელში გადაუციათ ქვა“.*

ეფრატის დასახლების ისტორია გადმოცემაშია მოთხრობილი. გადმოცემა მითოლოგიურ ელემენტებსაც შეიცავს – გამყინვარების შესახებ: *„ძუელად **ნაქალაქევში** რომ მჯდარან, ნისლი გაჩენილა, სულ გათოვლებულა, თოვლ დუუფარავს იერები. ამდგარან და ქვემოთ წამოსულან და ერთი პარტია იქიდან ჩამოსულან, მეორე პარტია აქედან ჩამოსულან და ამ ეფრატში დამჯდარან. აქ ხეები რაც დუუწყვიან მთლად, ის ნაფოტი ბათუმში ჩუუტანია, იქიდანაც ამოსულან, აქ დამჯდარან. დედეიდან ისე გამიგია. **სათლელაი** იქ ყოფილა, იქ გუუთლიან, სათლელაიში. ახლა გზა მიდის იქით, ფუნდუღში არის გზა. ახლა მერეთაში უნდა მივდეს გზა. ერთი ფუნდუღში არ არის ახლა გზა“.*

ეფრატის თემში მრავალი ღელეა: *„**ჩუგათის, ტრედაულიის და გამზირათის ღელე** ხიდქვეშ იყრება. ხიდის ქვა ფუნდულიდან მუუტანიათ. ეს წყალი ძველად სათლელიდან ჩამოდიოდა“.* არის **ცოცხობანის წყალი, სამთიწყარო, ხაჯიწყარო, თეთრი წყარო, შავაწყალაი, ჭევჭიდი.** *„პაწამთის ქვემოთ **წამალევის ღელეა,** ეფრატს და ხერთვისს უერთდება“. „**ხევქედია, დამპალწყარაა,** ცუდი წყალია. აქეთ დამპალწყარაა, იქით ხევქედი“. „ეს წყალი ჭიშკარაიდან წამოსულია, კარჩხალიდან წამოსული **შრატაის წყალი** მაქზე*

[4] ტბეთის სულთა მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თინა ენუქიძემ. თბ. 1977, გვ. 86.

მოდის. თეთრიწყალი და შრატაის წყალი შეიყრება, ტრედაულის ღელე ხდება. ჩამოდის აქ, აქზე ჩუგათი ღელეს მიეკრება, ჩუგათის ღელეც მუვა ***ნაჩადირევიდან, ინოი წმიდაიდან*** *მუვა, აქზე შეიყრება, ამის მერე* ***ეფრატის ღელე*** *ხდება. ზემოდან მოვა – ქვია ტრედაულის ღელე, ამაი – ჩუგათისღელე". „დიდი წყალი, სამი გოლები ყოფილამ იქიდან მოვა ეს შრატაი. ბათუმიდან რომ ჩანს დიდი ყაიები, თოვლიანი, ის არის ჭიშკარაი."* ***„ნაჩადირავის წყალი ინაიწმიდაიდან*** *იწყებს. იმის მერე ლეკობანია, შავშეთის მთა. ბაძგირეთში ჩახვალ".*

მდინარე ეფრატი იქმნება სანაქის//სენაკის ქვემოთ ხიდთან, სადაც ტრედაულის და ჩუგათის ღელეები ერთდება. აქედან მდინარის სახელი ეფრატია და იგი ხერთვისთან უერთდება დიდღელეს, ანუ მინდიეთის ღელეს, რის შემდეგაც იქმნება **მდინარე მაჭახელი.** გზადაგზა ეფრატისწყალსვე უერთდება ზედვაკის თემის „წვიტი ღელეები" – პატარა ღელეები.

მაჭახლის სოფლებისა და საგვარეულოების შესახებ საყურადღებო მასალა დაცულია გიორგი ყაზბეგის მიერ ტბეთის საკათედრო ტაძარში აღმოჩენილ ხელნაწერში. ამ ხელნაწერს პავლე ინგოროყვა უწოდებს **„სულთა მატიანეს მიჭიხიანის ხევისა".**[5] პეტრებურგის არქივში დაცული ქართული ხელნაწერი 1977 წელს ვრცელი კომენტარებითა და საძიებლებითურთ გამოსცა თ. ენუქიძემ და **„ტბეთის სულთა მატიანე"** დაარქვა.[6] თ. ენუქიძეს, ბუნებრივია, მოყვანილი აქვს გარკვეული არგუმენტები ახალ სახელწოდებასთან დაკავშირებით, მაგრამ ხელნაწერს სახელად, ვფიქრობ, „მიჭიხიანის სულთა მატიანე" უფრო მიესადაგებოდა, ვინაიდან, **ხელნაწერის** მიხედვით, **ძირითადად სწორედ მაჭახლის ხეობის მოსახლეობა ჩანს შემწირველად**.

მატიანეში იხსენიება ეფრატიც: „ყ(ოველ)თა ევფრატით შემომწირვ(ე)ლთა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ".[7]

ძირძველ ეფრატელებად მიიჩნევენ **ვაცაძეებს, ჯარდენიძეებსა და კიბორიძეებს.** *„ვაცაძე – ვაციეთიდანაა,* ***კიბორიძე*** *– კიბორეთიდან,* ***ჯარდენიძე*** *სულ ენ წინ ნაქალაქევს მჯდარა,* ***გუნდარიძე//ქონდარიძე*** *– ახალი მოსულია, ძველად ქონდარიძე იყო, ქვაბითავიდან მოსულია",* ***„კვატალიძე*** *კვატალეთიდანაა, ძველად სავშეთდან მოსულან", არის გვარი* ***სვანაძე,*** *სვანაიდან,* ***კაკალიძე*** *- კაკალურიდან* და სხვ.

---

[5] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან. თბ. 1954, გვ. 96.

[6] ტბეთის სულთა მატიანე.

[7] ტბეთის სულთა მატიანე, გვ. 82.

მატიანეში რამდენიმეჯერ იხსენიება **ვაცაძეთა** საგვარეულო, ისინიც დღესაც ცხოვრობენ ეფრატის თემის სოფელ ვაციეთში: „ს(უ)ლსა სმადელისა **ვაცასძისა** ნიკ(ო)ლ(ო)ზისა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ნ“;[8] „ს(უ)ლსა ვაცასძისა ი(ოვან)ეს და მისის მეუღლისა მარიამის შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ“.[9]

მრავალჯერ იხსენიებიან **ჯარდენიძეებიც:** „ს(უ)ლსა ჯარდენიძისა ი(ოვა)ნესა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ“;[10] „ს(უ)ლსა ჯარდენისძისა ბასილი თერნაეთისა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ“;[11] „ს(უ)ლსა ჯარდენისძეთა ვაჟთასა ნიკ(ო)ლ(ო)ზისა და გიორგის(ა)სა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ“.[12]

მატიანეში იხსენიება მრავალი **გუნდარისძე.** „ს(უ)ლსა გუნდარისძისა ხუცისა და(ვი)თისა და ს(უ)ლსა მისისა მეუღლისა მარ(ია)მისა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ“;[13] „გუნდარისძეს ხუცეს ესაიას შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ;[14] ს(უ)ლსა გუნდარისძისა ქუთნასასა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ“.[15]

სავარაუდოა, რომ მატიანეში მოხსენიებული **„კაკალისძე“** დღევანდელ **კაკალურში** მცხოვრებ **კაკალიძეთა** წინაპარია: „ს(უ)ლსა კაკალისძისა მიქ(ა)ელ(ი)სა და მი(სი)სა მეუღლ(ი)სა რუსუდანის შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ“.[16]

ეფრატელი ჩანს მატანეში მოხსენიებული **„ივანე სკინეჯეთისა“,**[17] რადგან **სკილენჯეთი** დღეს დასტურდება ეფრატის ერთ-ერთ სოფლად. **სკინეჯეთი** სხვაგანაც იხსენიება: „ს(უ)ლსა **სკინეჯეთ წიქარაისა** შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ“.[18]

ეფრატელებს აქვთ თავიანთი მთა – „თა“: *„ახვალ იქით იალაი – **გორგითი, ჩიქუნარეთი და ფუნდული მთაა.** ძველად აქედან იარებოდენ, გზა ეტყობა ნავალი“. **„ყიშლა არა გვაქვს.** მთაზე მივდიოდით. მთის გზაზე გევიართ: საჩაირე, ზედათისთავი, დიდქედი, ლამაზყანა, ლაყვანა, დიდღელე, გოგრელი, ნაჩადირევი. „სოფელი ორად რიგდება, ამ კუთხესა მარჯვნივ ტრედაულია, მარცხნივ კუთხეშია ნამძირათი. ნამძირათიდან აისვლება გორგითში,*

[8] ტბეთის სულთა მატიანე, გვ. 6.
[9] ტბეთის სულთა მატიანე, გვ. 110.
[10] ტბეთის სულთა მატიანე, გვ. 64.
[11] ტბეთის სულთა მატიანე, გვ. 76.
[12] ტბეთის სულთა მატიანე, გვ. 78.
[13] ტბეთის სულთა მატიანე, გვ. 60.
[14] ტბეთის სულთა მატიანე, გვ. 62.
[15] ტბეთის სულთა მატიანე, გვ. 76.
[16] ტბეთის სულთა მატიანე, გვ. 60.
[17] ტბეთის სულთა მატიანე, გვ. 88.
[18] ტბეთის სულთა მატიანე, გვ. 92.

გორგითიდან აისვლება შრატაში, შრატიდან ჭიშკარას გადიარ, უკან არის ჩიქუნარების თა. ჩიქუნარები, ჩხუტუნარები იარებოდნენ აქ. ჩიქუნარებს თა ეს არი, ჩხუტუნარების თა ლეკობანშია“. 1921 წლიდან საბჭოთა მხარეს დარჩენილი ჩიქუნეთის მოსახლეობისათვის „ჩიქუნართა თა“ მიუწვდომელი გახდა. „ჩიქუნართა თა“, ჩიქუნელებისავე თხოვნით, ზემო მაჭახლელებს აუთვისებიათ: *„საძწყარო უძახიან, იქაური სოფლებისა ყოფილა ჩიქუნეთთა, ჩიქუნათლებ წუურთმევიან იმათთვის, ზორით, მუშტით, უურთმევიან, მათი გამხდარა მთა. ჩიქუნარები რომ ველარ ამოუვლიან, შემოუთვლიან, რომ თქვენ ედით, ისვენ იმათ არ ამოუიდნენეო, ჩურუგაიში გადასულან ჩიქუნეთთაზე აქ ვის რომე ნათესავი ყავდენ. ჩიქუნეთ თაზე ახლა მინდიელიც არი, ხერთვისელიც, ქვაბითაველი არ არის, ზედვაკელიც, ეფრატელიც. ოთხი სოფელი ჩიქუნარ თაზე იარებიან, ამა მთელი არა, ნახევარ-ნახევარი: მინდიელი 3-4 მოსახლეა, ხერთვისელი 7-8 მოსახლე, ეფრატელი ბევრი არიან, ზედვაკელიც 20 მოსახლე იყო. სულ 80-90 მოსახლე იყო ჩიქუნართაზე, ახლა – თექვსმეტია. გორგითში სახლები იდგა. ჩიქუნარები ენ წინ იარებოდენ ჩუგათი ღელიდან ჩიქუნეთ თაზე. მემრე აქ ეფრატიდან დამჯდარი კუთხიდან გზა მიუცემიან, ჭიშკარაიდან, იქიდან რომ გზა მიუცემიან, იმათ გორგითას ყიშლაები გუუკეთებიან, დასასვენების, ათ დღეს, ოც დღეს იქ დაარჩებოდენ. ახლაც ჩვენი ხალხი გორგითში არიან, იქ არიან საქონელი ჩამოყვანილი“.*

მთისკენ მიმავალი გზის აღწერილობა: *„მთისკენ ღელე-ღელე წევდოდით. ორად რიგდება ღელე. იმკენა ღელიდან წეისვლებოდა გორგითში, იქიდან ჭიშკარაიდან ჩიქუნეთ თაზე, ქვეიდან რიგდება ებრიკას მთიებიდან ართვინში გეისვლება. ამკენიდან – ლეკობანში, ლოდივაკე, ინაწმიდა, ლეკობანი. მთაში ფეხით აქედან 8 საათი გინდოდა, ცხენი თუ გყავ და ჭვირთ თუ წიკავ და საქონლით, უმფრო გვიან, ერთი დღეზე ვერ მივდოდით. საქონლით გორგითში დევისვენებდით და ისე წევდოდით. გორგითში სახლები იდგა. ახლაც ჩვენი ხალხი გორგითში არიან, იქ არიან საქონელი ჩამოყვანილი. ათ დღეს უკან ჩამოიბარგვიან სოფელში. ჭიშკარაი გორგითის თავშია. გორგითში რომ შესვლამდი ღელე ჩამოა, იმ ღელეს უნდა წაყვე. გორგითის თავში მარცხნივ კუთხეა, თავში, იქ არის“.*

ეფრატელები საკმაოდ მოკლე ხანში გადადიოდნენ მინდიეთის თემში ძველი გზით. *„აქ ზედანაც გზა წეხვიდოა, აქზე ტყეში გადაჭრიდა, მინდიეთ მივდოდა. იქ ტყიებში რომ შეხვდე, ალაგ-ალაგ არის ის გზები, არ დაკარგულა“.*

ეფრატიდან გზა გადადიოდა **ბერთაშიც,** საიდანაც ისტორიული **ნიგალის ხეობაში, ანუ ართვინის მიდამოებში,** ადვილად ჩადიოდნენ, გადადიოდნენ მდინარე ჭოროხის მარჯვენა მხარეს არსებულ ქართულ სოფლებში – **ებრიკის თემში.** *„ქვემოთ წყლით ნაფოტი ჩამოსულა, ამით ინახა ეფრატიო. ეფრატიდან გზა იმკენ, ლივანისკენ გადადოდა. ზამთარშიც აქ ქვეიდან არ ჩამოვა ეფრატელი, ზევიდან გადიარს. ისინი ბერთაისკენ მიდიოდნენ. ეფრატი იმ სისხო დადგენილი იყო, მის თავს ემესიჯებოდა, იმდენი ქალაქობა ჰქონდა. მიწაქვეშებში, ყენიებ ქვეშქებში რომ ჩანს, იქ დიდი ქალაქი ყოფილა. ქვაბითავ რო რაცხა ხალხი არი, ისინი ხერთვისიდან ასულან. იაილებიც ერთი აქვთ. ხერთვისიდან აბარგული ყოფილა. ეფრატიც ისე იქნებოდა, ეფრატელი კაცი თუ იმკენ გადავლა უნდა ბერთისკენ, ლივანისკენ. ეფრაატი სახელი ჩემი ჭკუით ვამბობ, რომ კერძოდ ყოფილა. ფეხით აგყვებით, ქედზე პლაკიებით გუუკეთებიან გზები, იქიდან* ***თურმანეთ*** *უნდა გადახვიდე, იქიდან* ***სათლელ.*** *ეს გზა ძველადაც ისე ნახმარია. მაჭახელ ამეიარდა მგზავრი, ერთი ღელე მაჭახლიდან ამოხველ, შავშეთისკენ გედეიარ. ეფრატის ღელე კერძოთია, იმას არ გედიარ. იქაური გზა* ***ინაიწმიდანდან ჩავლიეთიდან ბერთას*** *ჩადიოდა.* ***ბერთაიდან არტანუჯ*** *გახდებოდა. იმ კაცის მოსავალი – ქალაქი, შეიძლებოდეს, რომ მაჭახელზეც ბევრად წინე* ***ლივანეა.*** *ის კაცი იქიდან ისე იარებოდა. მინდიელმა ლივანე ბელქი არც იცოდა“.*

ცნობილია, მაჭახლის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე ხანგრძლივი ისტორიის მქონეა. მაჭახელი ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობების გამო ძველი მსოფლიოს მთავარი საქარავნო-სავაჭრო გზის ერთ მონაკვეთს მოიცავდა და გვიან შუა საუკუნეებშიც შავშეთისაკენ მიმავალი გზა მაჭახელზე გადიოდა, გადმოცემით, ამ მხარის ბოლო თემში – ეფრატში მდებარეობდა ერთ-ერთი საბაჟო პუნქტი.[19]

მაჭახლის ხეობა უძველესი დროიდან მოყოლებული და ასევე, მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ-სამეურნეო ცხოვრებაში. ამ მხარეში უწყვეტად ცხოვრობდა ადგილობრივი მოსახლეობა. რეგიონის თავისებურებები განპირობებული იყო გეოგრაფიული პირობებით.

მაჭახლის ძველი სახელი **მიჭიხიანია.** მიჭიხიანი **ტბეთის ეპარქიაში** შედიოდა. „მტბევარის სამწყსო: დახატულას ზედათი ანაკერთს აქეთი სულა შავშეთი მიჭიხიანთ ბატონის კათალიკოზის. იმ ქვეყნის ეპისკოპოსის იასაუ-

[19] ნ. კახიძე. მაჭახლის ხეობა. ბათუმი. 1974, გვ. 7-8.

ლიც ის ყოფილა, აჭარა დანდალოს ზეითი მას ჰქონია, დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათელის სამწყსო ყოფილა“.[20]

ოსმალეთის მიერ საქართველოს ამ ნაწილის დაპყრობის შემდეგ მაჭახელი **ოსმალთა იმპერიის** ფარგლებში მოექცა. მოსახლეობაც თანდათანობით გამუსლიმდა. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალით ცნობილია, რომ მაჭახლელები მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ყველაზე გვიან გამაჰმადიანებულან.[21]

1878 წლიდან მაჭახელზე გავრცელდა რუსეთის იმპერიის იურისდიქცია. რუსეთის ანტიქართული პოლიტიკის შედეგად 1879-1882 წლებში ხეობა დატოვა მრავალმა მუჰაჯირად წასულმა ქართველმა. ამ დროს თითქმის განახევრდა მოსახლეობის რაოდენობა. მაჭახლელთა ნაწილი გადასახლდა **ორდუს ვილაიეთში, ნაწილიც მარმარილოს ზღვის რეგიონებში.** მუჰაჯირად წასულთა ერთი ნაწილი რამდენიმე წლის შემდეგ უკანვე დაბრუნებულა და მამაპაპეულ საცხოვრისში აღუდგენია კერა. ნაწილი კი ახალი დასახლებების ადგილებში დარჩენილა, მათ შთამომავლებს დღესაც მჭიდრო ურთიერთობა აქვთ მაჭახელში მცხოვრებ ნათესავებთან.

1921 წლიდან ზედა მაჭახელი კვლავ თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. ამ დროიდან იწყება ბათუმსა და ზედა მაჭახლის ხეობას და მასთან ერთად მთელ შავშეთს, კლარჯეთს, ნიგალის მხარესა და ამიერტაოს შორის არსებული ტრადიციული სოციალური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მოშლა და ნოვაციური ყოფითი ელემენტების გაჩენა/დამკვიდრება.

ცნობილია, ზედა მაჭახლის ხეობა ორგანულად იყო დაკავშირებული ქვედა მაჭახელთან. თურქეთის შემადგენლობაში მოქცეულ ისტორიული საქართველოს სხვა ნაწილებთან მას რთული გეოგრაფიული პირობების გამო ზამთრობით გზა ეკეტება. ზედა მაჭახელში სამანქანო გზა ადის მხოლოდ თურქეთის მხრიდან. ქლასკურთან და ბორჩხასთან დამაკავშირებელი ეს გზა პაწამთაზე დიდთოვლობის გამო ხშირად თვეობითაც იკეტება.

საქართველოს გათავისუფლების შემდეგ (1991 წელი) თანდათანობით მომზადდა ნიადაგი და რამდენიმე წლის წინ ზამთრობით ხეობაში ჩაკეტილ ზედა მაჭახლელებს, უფლება მიეცათ ქვედა მაჭახელში გადასვლისა და იქიდან სარფის გზით თურქეთისკენ გადაადგილებისა. ამგვარ მგზავრობას თურ-

[20] დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში (ატლასითურთ). თარგმნა ა. ტოტოჩავამ. ბათუმი. 1988, გვ. 77.
[21] ზ. ჭიჭინაძე. ქართველების გამაჰმადიანება. ტფ. 1907.

ქეთის ადმინისტრაციის ნებართვით თურქეთის სპეციალური „სერვისი“ ემსახურება. ორ სახელმწიფოს შორის მზადდება ზედა და ქვედა მაჭახლის დამაკავშირებული გზის გახსნა. ეს გზა უშუალო საზღვარია საქართველოსთან (ქვედა მაჭახელი, ხელვაჩაურის რაიონის სოფელი ზედა ჩხუტუნეთი).

საქართველოს გათავისუფლება და თურქეთთან საზღვრის გახსნა უდიდესი სიხარულის მომტანი იყო მთელი 60 წლით ერთმანეთისაგან დაშორებული ნათესავებისათვის ზემო და ქვემო მაჭახელში. *„ჩემი დედამთილი საფუტკრეთიდან იყო, სამძღვარი რომ შეიქმნა მისი ყველაი იქით დარჩომილა, სულ ტიროდა, ამ რელეში მოვდოდა, ასე წყალ ამოიღებდა, სმიდა და ჩემ სოფელში ჩეიარე, წყალოო, ასე იტყოდა. ნაფოტ ჩაგდებდა, ფოთლებ, ჩემს სოფელში წაიღე, წყალოო. მეესწრა სამძღვრის გახსნას, ნახა დები, ამბობდა, სირბილით ჩავალ და ვნახავო. მე გვეიყვანე ხოფას და სარფში რომ გვეიყვანე, იტირა, მე ჩემ მიწაზე ფეხი დავადგიო. სამ თვეს იყო იქ. იქ ძმა დახვდა, მაზე პატარაი დები დახვდა. ჭარნალში ცხოვრობენ. ჩემ ტაიამ ახლა ბათუმში ჩეიჩოჩა“.*

ეფრატის თემში მდებარეობდა **„მაჭახლის დედა-ეკლესიად“** წოდებული ტაძარი. ამ ადგილას, ეკლესიის საძირკველზე, ეკლესიისავე ქვებით აგებულია ჯამე. ადგილს **სანაკი//სენაკი** ჰქვია. ამჟამად სახელს წარმოთქვამენ როგორც **„სანაქ“-ი.** შემონახულია სამონასტრო კომპლექსისა და გვირაბების სისტემა. ეფრატის თემში ჩაწერილი გადმოცემით, ეფრატის დედა-ეკლესიაში მოღვაწე უკანასკნელ მღვდელს, რომელსაც **სვიმონ ეფრატელი** რქმევია, ხელისუფლების (ოსმალეთის ხელისუფლება) თანხმობით, **ეფრატის ეკლესიიდან წაულია ქართული ხელნაწერები და ტბეთში გადაუტანია.** მღვდელი წარმოშობით იმერხევის სოფელ **უსტამისიდან** ყოფილა. მთხრობელთა აზრით, „ტბეთის სულთა მატინე“ ეფრატის ეკლესიიდან არის წაღებული სვიმონ ეფრატელის მიერ: *„ამ ქილისეს ფაფაზი*[22] *რომ წასულა, ოსმანლი ყოფილა აქ, ოსმანლს უთქვია რომ, თქვენ თუ გამუსლიმდებითო, მთელი მიწს მოგცემთო ეფრატში, გადასახდასაც აღარ მისცემთო. ფაფაზსაც უთქვია, რომ მე ვერ გავმუსლიმდებიო, მე ხრიტიანად უნდა მოვკვდეო, ჯერ ერთი ჩემს ხალხს დევეკითხვიო. მოუკრებია ხალხი, მეო ვერ უნდა გავმუსულმანდეო, მეო ქილისეში რაც მაქვსო, წიგნები, იმის წაღების ნება მომეციითო. ოსმანლებს ნება მიუციათ. აქედან წასულა ის ფაფაზი ტიბეტში, ის ყოფილა* ***სვიმონ ეფრატელი.*** *ის ყოფილა* ***უსტამისელი.*** *აქაური ქითაბები ტიბეტში ნახულა. ამის*

[22] ფაფაზი – მღვდელი.

მერე ჩვენებს ყველგან მიწა ქონებიან, მერმე გუუყიდიან. ***აქზე იმმაირი ლამაზი ქილისე ყოფილა. კანკრიეთ ვუმახდით გალმეში, იქიდან რომ წამოდგებოდნენეო და ქილისეს დეინახავდნენ, კანკალს იწყებდნენ, იმფერი ლამაზი ყოფილა ქილისე, იქ კანკრიეთი[23] იმაზე დაარქვესო.“***

„ნაქილისვარის“ ახლოს, ახლანდელ ჯამიკარში//სანაკში//სენაკში მეტად საინტერესო ნანგრევებია შემორჩენილი.[24] მოჩანს სხვადასხვა ნაგებობის

[23] კანკრიეთი ხერთვისის თემს ეკუთვნის.

[24] საბჭოთა სივრცეში და შემდგომაც მაჭახლის ტრადიციული ყოფის, ხელოსნობის დარგების და სხვ. შესახებ სამეცნიერო შრომები გამოსცა ნოდარ კახიძემ (ნ. კახიძე. მაჭახლის ხეობა). საზღვრის გახსნის შემდეგ ზემო მაჭახლელთა (ადგილობრივი და მუჰაჯირთა შთამომავალი) მეტყველების თავისებურებების შესახებ უძვირფასესი ინფორმაცია მკითხველს შუშანა ფუტკარაძემ მიაწოდა (შ. ფუტკარაძე. ჩვენებურების ქართული. ბათუმი, 1993, გვ. 333-370). ზემო მაჭახლის თანამედროვე ყოფისა და კულტურის შესახებ პირველი ინფორამცია მოგავწოდეს – ირაკლი კოპლატაძემ და ირინე გივიაშვილმა. საქართველოს მოქალაქე მეცნიერთა მხრიდან ისინი პირველნი სტუმრობდნენ ზემო მაჭახელს. 2008 წელს შედგა ქართველ მეცნიერთა ჯგუფის (ნ. შოშიტაშვილი, ნ. ავალიშვილი, რ. გუჯეჯიანი, ტ. ფუტკარაძე, გ. ჭეიშვილი) მცირე ექსპედიცია (აპრილი, ივნისი). გვმასპინძლობდა აწ გარდაცვლილი ბატონი ჰალით ოზკეთის (ფუტკარაძის) ოჯახი. ამ ექსპედიციის შედეგები გამოქვეყნდა რამდენიმე სტატიის სახით (რ. გუჯეჯიანი, რ. თოფჩიშვილი, ნ. შოშიტაშვილი, გ. ჭეიშვილი. ეთნოგრაფიული ზედა მაჭახელი (2008 წლის პირველი ნახევრის ექსპედიციის შედეგები) – კრ. „ტბელობა“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, საქართველოს საპატრიარქო, ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი. სხალთის ეპარქია. 2008, გვ. 318-322; რ. გუჯეჯიანი, რ. თოფჩიშვილი, ტ. ფუტკარაძე, ნ. შოშიტაშვილი, გ. ჭეიშვილი. ზედა მაჭახელი. ქართველური მემკვიდრეობა. ტ. XII. ქუთაისი, 2008, გვ. 73-87). 2010 წელს ზემო მაჭახელში იმუშავა ბათუმელ ეთნოლოგთა ჯგუფმა (ნ. კახიძე, რ. მალაყმაძე). გამოქვეყნდა რამდენიმე უაღრესად საინტერესო ნაშრომი (ნ. კახიძე, რ. მალაყმაძე. მაჭახლის ხეობის დედაეკლესია. „ჩვენი სულიერების ბალავარი“. III. თბ. 2011, გვ. 48-55; რ. მალაყმაძე. ზედა მაჭახელი. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სასწავლო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. აჰმედ ოზქან მელაშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები „საქართველო და თურქეთი: კულტურულ ურთიერთობათა ისტორია, დღევანდელობა და პერსპექტივები“. თბ. 2012). 2012-2013 წლების განმავლობაში ზემო მაჭახელში შედგა შედარებით ხანგრძლივი ექსპედიციები (ნ. შოშიტაშვილი, რ. გუჯეჯიანი). გამოქვეყნდა სტატიები: რ. გუჯეჯიანი. ვახტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ) – ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე თურქეთში (1936-2003 წწ.), თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის

კედლები, დავათვალიერეთ რამდენიმე დარანი. ნანგრევთა დიდი ნაწილი ბაღებისა და ბაღჩების ქვეშაა მოქცეული. *„აქავრობა ყორეთი იყო აშენებული, ქვით აშენებული, ზედანაც მიწა მოყრილი, თავანიც ქვით ქონდა გაკეთებული და წითლად იყო მოხატული. წარწერა არ ქონდა. იქ გაღმა ვაციეთი ვთქვით, იქ გზა ის ქნა, დუუცვალა დედემ, გზა ზეით იყო და ქვეით ჩეიტანა. იქზე მოთხარა, ორი დიდვანი დერგი გამოვდა. ერთი გამოიღეს და კირით შეკრილი, არ გატყდება, კირით შეკრილია. ბევრი ძველია. 15 კაცმა კატრებზე გააკრეს და ისე მიიტანეს და ახლა არის იქ ძველ სახლში არი. მეორე გატყდა, ვერ ამოიღეს“.*

ეფრატის ეკლესიის დანგრევის შემდგომ სამრეკლო კიდევ დიდხანს მდგარა. ეკლესიის საძირკველი ამჟამდაც შეინიშნება. ნანგრევი კედლის ერთი მოზრდილი ნატეხი სენაკის ქვემოთ, მდინარის პირას დევს ამჟამადაც. *„ამ ქილისეს ქვების ნატეხია ქომოთ. ქილისე დუუტეხიათ ჯამიკარ და აქ გადმუაგდეს“.* ნამტვრევი დიდი მოცულობისაა, თლილი ქვები ქვითკირითაა შედუღაბებული. ის მდინარეში ჩაუგდიათ და მთელი 50 წელი ხიდქვეშ წყალში დებულა, ამ რამდენიმე წლის წინ კი წყალს გამოურიყავს და ახლა იქვე ხიდთან ნაპირზეა გადმოტანილი.

ეკლესიის ნაშალი ქვის ნაწილი გამოყენებულია იქვე ეზოში აგებული მეჩეთის დამხმარე ნაგებობის საძირკვლად, რომლის ინტერიერიც ქართული ტრადიციული დედაბოძითა და ორნამენტებითაა შემკული.

ყურადღებას იმსახურებს ტოპონიმი **„სათლელი“.** ეთნოგრაფული მასალა ავლენს ამ ადგილზე ქვის საბადოებისა და ქვისმთლელობის ტრადიციების არსებობას.

სენაკის//სანაკის ასასვლელთან კიდევ რამდენიმე ისტორიული მნიშვნელობის ძეგლია. შემონახულია ულამაზესი **თაღოვანი ხიდი, რომელსაც ყრუ ხიდს უწოდებენ,** რადგან მდინარის კალაპოტის ცვლილების შემდეგ ხიდის ქვეშ სიმშრალეა და იქ სამნქანო გზა გადის. გზისა და მდინარის მეორე მხარეს კი **ძველი სასაფლაოა.** სასაფლაო სხვადასხვა პერიოდის საფლავებითაა მოფენილი. არის ერთი ნაწილი, რომელსაც ქრისტიანთა საფლავებად მიიჩნევენ. ეს საფლავები ქვის მაღალი ყორეებითაა შემოსაზღვრული. ზოგიერთი ქვა თლილია. *„აქავრობა თლათ ზველია. როგორც კი მუსლიმი გახდენ, სხვა*

შრომები. ტ. IV. თბ. 2011, გვ. 364-375; რ. გუჯეჯიანი. მინდიეთის თემი (ზედა მაჭახელი, თურქეთის რესპუბლიკა), თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. VI. თბ. 2012, გვ. 357-371 და სხვ.

საფლავები გააკეთეს, ქვემოა ეტრაფზე არის მუსულმანის საფლავები“.

გარდა **„ყრუ ხიდისა“,** ეფრატის შემოსასვლელში, ხერთვისიდან მომავალ გზაზე, კიდევ სხვა **თაღოვანი ხიდიცაა** შემონახული. უფრო ქვემოთ კი მდინარე ეფრატზე გადებულია **ხის გადახურული ხიდი,** რომელსაც მოსახლეობა „დაბურვილ ხიდს“ უწოდებს.

ძველი ქართული ხალხური არქიტექტურის ელემენტები წარმოდგენილია სენაკში//სანაკში დანგრეული ეკლესიის ადგილზე აგებული მეჩეთის ინტერიერში, ხეზე კვეთილობის ნიმუშები ქართული ორნამენტებითაა შესრულებული.

ზედა მაჭახელი დღესაც მდიდარია ტყეებით, ხის ძვირფასი სამშენებლო ჯიშებით, თანაც რეგიონი ნაკრძალ ზონადაა გამოცხადებული, იგი იუნესკოს მიერ დაცულ ტერიტორიადაა აღიარებული. ეს კი იცავს ზედა მაჭახლის ტყეებს გავერანებისაგან, ასევე ჰესების მშენებლობისაგან. ჰესების მშენებლობის შეჩერებას ზემო მაჭახლის მთელი მოსახლეობის სერიოზული ბრძოლა დასჭირდა. მათ თავიდან თურქეთის, ხოლო შემდეგ სხვადასხვა საერთაშორისო სასამართლოს მიმართეს რეგიონის ეკოლოგიური წონასწორობის შესანარჩუნებლად.

მოსწავლეები მოკლებულნი არიან თავიანთ სოფლებში განათლების მიღების შესაძლებლობას. მთელ ზედა მაჭახელში არის მხოლოდ ერთი სკოლა-ინტერნატი. იგი მდებარეობს ხერთვისში 8-წლიანი სწავლებით. სკოლის მოსწავლეები ორშაბათიდან პარასკევამდე სკოლა-ინტერნატში ცხოვრობენ, შაბათ-კვირას კი თავ-თავიანთ ოჯახებს უბრუნდებიან. სკოლაში ქართული ენა არ ისწავლება.

მეურნეობის ტრადიციული დარგებიდან ეფრატელები მისდევენ **მიწათმოქმედებას** (ხორბლის კულტურა თითქმის გამოდევნილია სიმინდით) და **მესაქონლეობას** (ჰყავთ მცირე რაოდენობით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, თხა, ცხვარი). ყანებისა და სათიბების დიდი ნაწილი ბოლო ოცი წლის განმავლობაში დაიფარა თხილის ბუჩქებით, რადგან იგი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წრმოადგენს.

შემონახულია **ტერასული მეურნეობის (ოროკები)** ზოგიერთი ნიშანი. ტერასები (ოროკები) ხის ან ქვის მასალითაა ამოშენებული და გამაგრებული. შემონახულია **მაღლარი ვაზის ჯიშებიც** (ჩხავერი). ვაზი მაღალ ხეებზეა აშვებული, ძირითადად, ლეკის ხეზე.

ცოცხალია **ტრადიციული ქართული შრომითი ურთიერთდახმარების ფორმა — ნადი.** მაჭახლელთა ნადი განსაკუთრებით საინტერესო სანახავია,

რადგან ამ მხარეში შემონახულია ქართული მარავალხმიანობა და ნადური სიმღერები შრომითი პროცესის განუყრელი ატრიბუტია **(ნადური (ყანური), „ელესა“).** ნადი სცოდნიათ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის პერიოდშიც და მშენებლობის დროსაც.

ეფრატელებს აქვთ ბაღ-ბოსტნები. ზედა მაჭახლის ტრადიციული კვებითი სისტემა, ძირითადად, რძის ნაწარმისა და მცენარეულისაგან შედგება. ყოველდღიური საკვებია და, ფაქტობრივად, პურის მაგივრობას წევს მჭადი. შეჭამანდები მრავალფეროვანია: ფხალლობიო, მალახტო, კვახის შორვა, სხვადასხვა სახის მჟავეები. რძისაგან ამზადებენ კარაქს, ნაღებს, მაწონს, რამდენიმე სახის ყველს: ჩეჩილი, ფშვნილაი და სხვ.

ეფრატში განვითარებულია მეფუტკრეობა. XIX საუკუნის მონაცემებით, გამორჩეული მეფუტკრეები ცხოვრობდნენ მინდიეთსა და ეფრატში.[25] მეფუტკრეობას ბევრი ოჯახი მისდევს ამჟამადაც და უკვე მთელ თურქეთსა და ასევე ევროპაშიც განთქმულია მაჭახლის თაფლი.

ცოცხალია და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაშია მოყვანილი **ხითხუროობის ტრადიცია**. ადგილობრივი ხელოსნები აშენებენ სახლებს, სამეურნეო ნაგებობებს და ამზადებენ ხის ავეჯს (კარადა, კიდობანი, ტახტი, მაგიდა, სკამი...).

უფროს თაობას ახსოვს ტრადიციული სულიერი კულტურის ზოგიერთი ელემენტი, მაგალითად, **ახალი წლის აღნიშვნის წმინდა ქართული წესი. ახალ წელს „ჩვენებურ ახალწელს“ უწოდებენ.** ახალ წელს ჩვენებური ე. წ. ძველი სტილით, 14 იანვარს ზეიმობდნენ. სასურველად ითვლებოდა მამრობითი სქესის მეკვლე, რადგან ამბობენ, ქალებს ცუდი ფეხი აქვთო. „ახალწელს დილას ადრე კაცი ჩევდოდა ახორში, საქონელ ჩუუდებდა, კარგ რაღაცეებ ჩუუდებდენ ემ დილას საჭმელს, ბალახებს. ყოჩ ამეიყვანდნენ სახლში დილაზე, დიდი ყოჩი უნდა ყოფილიყო, კაცმა უნდა ჩავიდეს. ყოჩი უნდა მოიყვანოს. მერე მერე გააგდეს. მეფეხურად კაცს წეიყვანდენ, ქალს – არა. მე წიმიყანდენ, კაი ფეხისა ხარო, მე მიხაროდა, ალბათ, კაი ვარო. ხილს მომართმევდნენ, კარგ რაცხებს, შექერი, ვაშლი“. ცნობილია, რომ ხარის ან ცხვრის შეყვანა სახლში და კერიის გარშემო სამჯერ შემოტარება ახალი წლის დილით ახასიათებდათ სვანებსა და თუშებსაც. ასეთივე ტრადიცია არსებობდა პარხლისწყლის ხეობის ქართულ სოფლებშიც.

შემონახულია **გარეგნობის (გარგნობა)** ხალხური დღეობის ფრაგმენტე-

[25] ნ. კახიძე. მაჭახლის ხეობა, გვ. 53.

ბი. გარეგნობის დღეს ეფრატელები მაღლა მთებზე ადიოდნენ და დღეობას მართავდნენ. დღეობა აპრილის დასაწყისში აღინიშნებოდა. მთაზე შლიდნენ სუფრას, „სამობდნენ“ (ცეკვავდნენ), მღეროდნენ. ამ დღეს აკრძალული იყო გარედან რამის, თუნდაც ფიჩხის, შემოტანა, გველი შემოჰყვებაო. „გარგნობა ვიცოდით, აქაც არი. აპრილშია. იმ დღეს ჭვირთს არ მევტანთ გარედან. რამეს, გველი არიან, ის მოვაო და ისე იტყვიან“. ტერმინი **„გარეგნობა//გარგნობა“** თითქმის უცნობია თანამედროვე საზოგადოებისათვს. დღეობა აღდგომის მეორე დღეს აღინიშნებოდა გურიასა და ქვემო იმერეთში, ასევე ქვემო მაჭახელში. **გარეგნობის,** როგორც საეკლესიო კალენდრით არსებული დღესასწაულის, შესახებ საუბრობს **ექვთიმე კოჭლამაზაშვილი.** იგი გამოთქვამს საყურადღებო აზრს, რომ გარეგნობა ნამდვილად ქრისტიანული დღესასწაულია და ძველისძველი წარმოშობა აქვს, რასაც ადასტურებს **იერუსალიმური განჩინება VII საუკუნისა.** მასში აღდგომის მეორე დღის განგება იწყება შემდეგნაირად: „დღესა ორშაბათსა, **გარეგნობასა, პირველსა ზატიკსა“** – კრებაი წმიდასა ანასტასიას“.[26]

ეფრატის თემში დაცულია თამარ მეფესთან დაკავშირებული ლეგენდა-გადმოცემები. ეს გადმოცემები, ძირითადად, ზ. ჭიჭინაძის მიერ XIX საუკუნის მიწურულს დაფიქსირებული ლეგენდების ვარიაციებია,[27] გადმოცემების არსებობას ადასურებს ი. კოპლატაძეც.[28] თამარ მეფის ხსოვნა „ქაალქთან“, ეფრატის „დედა-ეკლესიასთან“ და დარ-ავდართან არის ასოცირებული. ისტორიული მახსოვრობის უმთავრეს ელემენტსაც ეფრატთან თამარ მეფის მჭიდრო კავშირის ხსოვნა ქმნის. ეფრატის ეკლესია წმიდა მეფის სახელთან არის ასოცირებული. თვლიან, რომ „ქაალქში“ სიცოცხლე ჩქეფდა და იქ ყოველ წელს ამობრძანდებოდა თამარ მეფე. ქალაქი დაიქცა მას შემდეგ, რაც იქიდან თამარ მეფე წავიდა. გადმოცემით, მანამ, ***„ენ წინ თამარაჲ კარჩხალის მთაზე, ნაქალაქევში ცხოვრობდა, ამ მხარეში ზამთარი არ სცოდნია, წევდა და ზამთარიც მოვდა, ქალაქიც დეიქცა“.***

სხვადასხვა გადმოცემით, თამარ მეფე ზაფხულობით ხშირად სტუმრობდა მაჭახელს. იგი ხან ქვედა მაჭახლიდან (გვარას ციხიდან) ამობრძანდებო-

[26] ე. კოჭლამაზაშვილი. რა დღესასწაულია გარეგნობა? ჟურნ.: „ლიტერატურა და ხელოვნება“. №5-6. თბ. 1992.
[27] ზ. ჭიჭინაძე. წმ. თამარ მეფე ქართველ მაჰმადიანებში შეკრებილის ცნობებით. აღწერილი და მეოთხეთ გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან. ტფ. 1913.
[28] ი. კოპლატაძე. თქმულებები თამარ მეფის საფლავის შესახებ ისტორიულ კლარჯეთში. ჟურნ.: „ფიროსმანი“. №5. სტამბოლი. 2008, გვ. 26-29.

და, ხან კი შავშეთიდან გადმოდიოდა კარჩხალის მთის გადმოსასვლელებით. ერთხელაც მაჭახლის კოშკიდან გადმოუხედავს და დაუნახავს სასწაულებრივი ცეცხლი//სხივი **ეფრატის** მთაზე. მეფეს განულაგებია ჯარისკაცები ექვსი საათის სავალზე და გაუყვანია საიდუმლო მიწისქვეშა გზა ქვედა მაჭახლის ციხიდან ზედა მაჭახლამდე და იმ ღვთისაგან მინიშნებულ ადგილზე **დიდი ეკლესია აუგია, იქვე აუშენებია ციხე-კოშკიც.**[29]

თამარ მეფესვე უკავშირდება **„ქალაქის“** ისტორია: იმერხეული და ზედა მაჭახლური გადმოცემებით, თამარ მეფეს ციხე და სასახლე ჰქონია „ნაქალაქევში“ და სწორედ აქედან დაუნახავს სასწაულებრივად ანთებული ცეცხლი//მოკაშკაშე სხივი ეფრატის ეკლესიასთან. მეფეს ეფრატის ეკლესია მალევე მოუნახულებია, თუმცა მაინცდამაინც არ მოსწონებია და ახალი ეკლესიის აგება უბრძანებია მეზობელ თემში – ჭერთვისში. დაუწყიათ მშენებლობა, მაგრამ მშენებლებს სამუშაო იარაღები დილაობით ადგილზე აღარ ხვდებოდათ, რაც მეფისთვის მოუხსენებიათ. მეფე დაფიქრებულა და უთქვას: თუ ასეა, შეწყვიტეთ ახალი ეკლესიის შენება, ისევ ეფრატის ეკლესია დარჩეს ამ ხეობის მცხოვრებ **ქართველთა დედა ეკლესიად,** თუმცა იგი ღარიბად არის ნაშენი, მაგრამ მე გავამდიდრებ, მე შევმოსავ მას ყოვლის სამკაულებითო.[30]

ისტორიული მახსოვრობის თვალსაზრისით საინტერესოა ეფრატის ტაძართან დაკავშირებული სხვა ლეგენდაც: „ის სხივი, ეკკლესიის აღშენების შემდეგაც ჩნდებოდა ეკკლესიის ერთს კედელზე, რომელ კედელიც გაკეთებულ იყო იმ ქვის ალაგას, სადაც პირველად ჩნდებოდა უქრობელი ლამპარი. ეკლესიის დასრულებისა და შემკობის შემდეგ... წყევლა-კრულვა დაუდვიათ, რომ ეს ეკლესია არამც და არამც არავინ დააქციოს, თუ თავისით დაიქცეს ოდესმე, მაშინ ეს კედელი მაინც დარჩეს საშვილიშვილოდო“.[31]

ცხადია, ლეგენდის სიუჟეტით, აქ ცნობილ მითოლოგიურ ფაბულასთან – ღვთიური ცეცხლის თვითჩენასთან გვაქვს საქმე, რაც ამ შემთხვევაში ღვთიური მადლის გარდამოსვლის მაუწყებელია და ერთგვარი მინიშნებაცაა იმისა, თუ სად უნდა აიგოს ტაძარი. ამგვარი პასაჟები ქრისტიანულ გადმოცემებთან პოვებს აშკარა პარალელებს და ჩვენთვის, ბუნებრივია, განსაკუთ-

[29] ა. ახვლედიანი. თამარ მეფის სახე აჭარულ სიტყვიერებაში. ბათუმი. 1970, გვ. 49.

[30] ზ. ჭიჭინაძე. წმ. თამარ მეფე ქართველ მაჰმადიანებში შეკრებილის ცნობებით, გვ. 22.

[31] ზ. ჭიჭინაძე. წმ. თამარ მეფე ქართველ მაჰმადიანებში შეკრებილის ცნობებით, გვ. 22-23.

რებით მნიშვნელოვანია ასეთი საერთოქართული მენტალური მახასიათებლების არსებობა ზედა მაჭახლის ტრადიციულ ყოფაში.

აღსანიშნავია, რომ ზ. ჭიჭინაძის მიერ ჩაწერილი სიუჟეტები დღესაც ცოცხალია და ეს ლეგენდები გარკვეული სახეცვლილებებით ამჟამადაც ფიქსირდება ზედა მაჭახელში. მათი დღემდე არსებობა ტრადიციული ქართული კულტურის სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთი საყურადღებო გამოვლინებაა.

ეფრატის თემი, ისევე როგორც მთელი ზემო მაჭახელი, საინტერესოა ენობრივადაც. სასიხარულოა, რომ ბავშვებიც კი ქართულად ლაპარაკობენ და ეს გამონაკლისს წარმოადგენს თანამედროვე სიტუაციაში. თურქეთში მოქცეულ ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეთა შორის ამ ეტაპზე მხოლოდ მაჭახელში არ დგას ქართული ენის დაკარგვის მკვეთრი საფრთხე.

ეფრატის მოახლეობაში შემონახულია წლის თვეების სახელები: ***„იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ქირეზაი, ჩურულაი, მარიობაი, ენკენიაი, ყოჩობაი, წიფობაი, ქრიშობითვე, ასე იტყოდა ნენე“.***

ზემო მაჭახლის მხარე ეთნოგრაფიული კვლევის თვალსაზრისით მრავალმხრივ საინტერესოა. ვლინდება ზოგიერთი ისეთი ეთნოგრაფიული რეალია, მაგალითად ქართული ჩვეულებითი სამართლის ელემენტები, ცოცხალი ქართული მრავალხმიანობა და სხვ., რომლებიც ისტორიული ტაოს, კლარჯეთის, ფოცხოვის, ერუშეთის, იმერხევის, შავშეთის, არტაანის, კოლას მხარეებში უკვე გამქრალია. კვლევა ამ მიმართულებით გრძელდება. საგულისხმოა, რომ ტრადიციული ქართული კულტურის არაერთი სეგმენტი შემონახულია მაჭახლიდან მიგრირებულ, ე. წ. მუჰაჯირთა შთამომავლების კომპაქტურ დასახლებებშიც (მარმარილოს ზღვისა და შავიზღვისპირეთის რეგიონებში).

„დაბურვილი ხიდი“

ქრისტიანული სასაფლაო

ეკლესიის ნაშთები და არქიტექტურული დეტალები

ქართული ორნამენტები ჯამეს ინტერიერში

ქვის თაღოვანი ხიდები ეფრატში

ტრადიციული საცხოვრებელი ნაგებობა

Rozeta Gujejiani

THE EPHRATI COMMUNITY – EFELER (ZEMO (UPPER) MACHAKHELI, REPUBLIC OF TURKEY)

Summary

The paper discribes the historical-ethnographic picture of Ephrati – one of the communities of Zemo (Upper) Machakheli. The work is based on the field-ethnographic material and the existed scholarly literature. The main characteristics of the traditional and contemporary life of the Ephrati community are revealed. It includes history of Ephrati community, forms of accommodation and settlement, cultural household types, and the legends and family stories.

The preserved monuments (former churches, mosque, medieval stone and wooden bridges, family and agricultural tools, etc.) of the Georgian folk architecture are described.

Several elements of the traditional Georgian spiritual culture are analyzed: celebrations of the New Year and "Gargnoba".

The description and analysis of modern social-cultural processes of the Ephrati community and Zemo (Upper) Machakheli in common are represented.

The ethnic identity issues of the local Georgian population are emphasized.

Tedo Dundua, Giorgi Zhuzhunashvili

CHANGING THE IMPERIAL PATTERN: LIFE IN THE SOUTH-WEST GEORGIA UNDER THE OTTOMANS AND THE RUSSIANS (1870-1914)*

The following common features can be traced for the Ottoman and the Russian Empires starting from the 70-s of the 19th c. onwards:

1) Byzantinism – both Empires saw themselves as heir of "Kingdom of the Romans", i.e. East European hegemonic power, former rapidly regressing, from this point of view, latter yet being desirable protector;
2) Continental imperialism; these multinational Empires comprised both, Europe and Asia. European and Asian provinces had different statuses, Asians being beyond the favour as usually;
3) Both metropolises (Eastern Thrace and Anatolia, for the Ottoman Empire, and Russia itself, for the Russian Empire) still possessed prominent agricultural sections;
4) At a certain degree, both metropolises used the state socialistic way to run the economics (state property was especially prominent in the Russian industry);
5) Moderate rates of modernization.

And the differences are as follows:

1) Nonhereditary autocracy of the Ottomans, and hereditary monarchy in Russia;
2) Absence of the estates (i.e. privileged restricted group) in the Ottoman

* The paper was presented at the 4th Turkish Studies Project of the University of Utah Conference – The Caucasus at Imperial Twilight: Nationalism, Ethnicity and Nation-Building (1870s-1920s). June 5-8, 2013. Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Tbilisi. Georgia.

Empire; and, on the contrary, existence of the estates everywhere through the Russian Empire;

3) The Ottomans had reputation for cosmopolitism while selecting the bureaucracy in the centre, and some respect for national feelings in the provinces. And the Russian Imperial structures were served by the Russian aristocracy;
4) Russian aristocracy, holding the Imperial offices, was Orthodox Christian totally, and Islam was prerequisite to have a job in the Ottoman structure.

Very prominent Georgian-Turkish commercial relations pass through the small towns like Ardahan and Artvin, Oltu and Yusufeli, and the outskirts, with the local folk being thoroughly engaged in this service. Many of them, the Turkish citizens, speak also the Georgian language, as a family one. And Georgian historical monuments, scattered everywhere, are under special care of the Turkish government. Knowledge of history of this interaction is a way to build the most rational network.

Georgian principality of Samtskhe-Saatabago was incorporated by the Ottomans in the 16th c. as they wished to secure their Anatolian domains while confronting the Safavis. Georgian feudals lost their lands just to receive them back as the state property now in their use instead of military service rendered to sultan. As zaims and timariots, the Georgians also packed the local administration, i.e. of Gürgistan (Childir) Vilayet, maintaining the Georgian language due to the permanent economic links with the rest of Georgia.[1]

These bilingual warriors resisted the Russian army bravely, while assault of Akhaltsikhe on August 15th, 1828.[2] Indeed, they cared much for their social privileges. Reunification with the rest of Georgia was a great idea, even under Russian hegemony, but there was no need for the timariots in the Christian Em-

[1] T. Dundua, A. Tabuashvili. Emancipation of the Serfs in the Southern and South-Western Georgia (Childir Vilayet) (in Georg. with Engl. summary). To the Splendid Hermitage Places of Klarjeti. Special Issue. Proceedings. Institute of Georgian History. Faculty of Humanities. Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Tbilisi, 2012, pp. 134-141.

[2] Military reports show heavy fightings while the sieges of small Georgian towns like Akhalkalaki, Akhaltsikhe and Atskuri (to outline their strength, the defenders of Akhalkalaki used to say – "guy from Kars is better than three from Yerevan, and two guys from Kars are no match for one from Akhalkalaki"; defenders of Akhaltsikhe used to say – "it is easier to hunt down the moon from the sky, than moon from Akhaltsikhe mosque"). The garrisons of these fortresses refused to surrender and they fought severely. In: Утверждение русского владычества на Кавказе. Т. 4. Ч. 2. Под ред. генерал-майора В. Потто. Время Паскевича. Турецкая война. 1828-1829 годы. Тиф. 1908, pp. 59, 86.

pire. They never knew what could be the next step – the lands in their use, were they to be delivered to them in hereditary possession, or – just taken away forever. There was only one thing they were quite sure about – namely, no administrative positions for them in the Russian Empire, these positions were all reserved for the Orthodox Russians.

Russo-Turkish war of 1828-1829 gave to Russia control over two Georgian-speaking provinces of Childir Vilayet – Samtskhe (with Akhaltsikhe as principle town) and Javakheti (with Akhalkalaki as principle town). Some of the timariots received land in possession thus obtaining the same rights as the rest of the Georgian aristocracy – only few auxiliary provincial administrative positions were reserved for them. Those working on the state lands preserved the same status.[3] And local commercial classes were too tiny either to protest, or not the changing of constitution. Perhaps, there was enough reason for many Muslim Georgians to leave the Christian Empire. Still, economic reintegration of Georgia to its logical and historical boundaries was in action, progressive from every point of view.

Capture of Artaani/Ardahan fortress while Russo-Turkish war of 1877-1878 again shows Georgians fighting against the Russians.[4] No other signs of local activities are traced. Why? What made Muslim Georgians so indifferent? What happened in the Ottoman Empire towards the midst of the 19th c.?

Even up to 1878 the commodity turnover between Muslim Georgia and Georgia proper was prominent. It is well recorded that South-West Georgia produced definitely more food than needed just to be sold Northwards, and this was happening while the Ottoman rule.[5] By 1877 even the Chans from Rize district, speaking the Mingrelian/West Georgian language, and having sultan as supreme ruler, “ . . . move intensively to Adjara, Guria, Kartli (provinces of

[3] T. Dundua, A. Tabuashvili. Emancipation of the Serfs in the Southern and South-Western Georgia (Childir Vilayet) (in Georg. with Engl. summary). To the Splendid Hermitage Places of Klarjeti. Special Issue. Proceedings. Institute of Georgian History. Faculty of Humanities. Ivane Javakhishvili Tbilisi State University, pp. 139-140.

[4] Russian officer reports about enemy forces of some 5000 moving through Shavsheti region after they had left Ardahan. Then they quarrelled with pasha being left with only 700 men, the rest went home, i.e. that was local militia. In: Материалы для описания русско-турецкой войны 1877-1878 гг. на Кавказско-Малоазиатском театре. Т. 1. СПб. 1904, p. 337. Next report contains note about militia gathering in Artanuji/Ardanuç. In: Материалы для описания русско-турецкой войны 1877-1878 гг. на Кавказско-Малоазиатском театре. Т. 1, p. 360.

[5] С. С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом. Т. 2. Тиф. 1907, p. 260.

Georgia) and Tiflis itself".[6] There could be only one way – that is economic reintegration of Georgia. That is also why the Muslim Georgians were so indifferent towards the Ottomans.

Due to the Russian advance, the sites of Batumi, Artvini and Artaani[7] were left by many Turks from former provincial administration.[8] So, the Turks and not bilingual Muslim Georgians formed the local administration by that time. That is also why the Muslim Georgians were so indifferent towards the Ottomans.

System of the timars was abolished in the 30s of the 19th c. Former timariots were offered pension instead of land. Still, there was a possibility for them to buy former timar as mulk, i.e. in hereditary possession, from which they would pay taxes to support new regular army.[9] Only few Georgian begs, i.e. Muslim Georgian nobles, mostly Khimshiashvilis, are mentioned in the 2nd half of the 19th c. and later, as the subjects of Tsar.[10] That means as follows: Georgian timariots failed to get the mulks. Later, the Russians allotted only some of them, receiving pension, with the lands.[11]

---

[6] I. Chavchavadze. Ottoman Georgia (in Georg.). "Iveria". April 21, 1877, №8, p. 11.

[7] Places where the Georgians dwelt and captured by the Russians were divided into two newly formed provinces (область): that of Kars and Batumi. In: С. С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом. Т. 2, pp. 256, 258, 260; Ekv. Takaishvili. Archaeological Expedition of 1907 in Kola-Oltisi and Changli (in Georg.). Paris. 1938, p. 3. Province of Kars included the following Georgian historical provinces: Tao, Kola, Artaani, Erusheti, Photskhovi (С. С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом. Т. 2, p. 261; Ekv. Takaishvili. Archaeological Expedition of 1907 in Kola-Oltisi and Changli (in Georg.), p. 3; Ведомость о количестве коренного населенія Карсской области въ 1904 году. Памятная книжка и адресъ-календарь Карсской области на 1906 годъ. Карсъ. 1906 г. №1). Province of Batumi included the following Georgian historical provinces: Adjara, Klarjeti, Shavsheti (С. С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом. Т. 2, p. 260).

[8] We know for sure that former Turkish administration evacuated itself from the town of Kars. In: National Archive of Georgia. Central Historical Archive. F 1438. Descr. 1. From the Material Collected by B. Esadze. Case 712. Emigration and Migration in the Province of Kars (in Russ.), p. 3. This model can be used for the whole province.

[9] M. Svanidze. History of Turkey (1299-2000) (in Georg.). Tb. 2007, pp. 289-290, 313.

[10] Ekv. Takaishvili. Archaeological Expedition of 1907 in Kola-Oltisi and Changli (in Georg.), p. 17. Most of the population are Muslim Georgians, and the begs are Khimshiashvilis – that is what he tells while describing Oltisi district (округ) in the province of Kars.

[11] Ex. Only small part of land in Batumi district (округ) was private (13500 desetinas from total 345594). The rest is state property. In: A. Bendianishvili, M. Samsonadze, S. Kokrashvili, D. Tchumburidze, O. Janelidze. Russian Colonialism (in Georg.). Tb. 2008, p. 170.

Very feudal in essence, local Muslim élite suffered from the other changes too. Legal equality, now introduced in the Ottoman provinces, cut their privileges at provincial level. Here is the whole story narrated by "Iveria", very popular in the 19th c. Georgian newspaper, issued in Tbilisi/Tiflis: " . . . now sultan's government decided to deal with the begs. In 1856 they summoned the leaders of the Georgian nobles (the begs) to Istanbul. The request was as follows: old family charters were needed to be checked and substituted by the new ones. The begs, willingly presenting all the charters, signed by the Georgian kings, sultans or the shahs, thought of sultan's grace. As soon as the government cheated out of these charters, they locked them in archives saying the words of Tanzimat: all the subjects of the Empire are equal before the law".[12] "With Tanzimat and legal equality being established by the Ottomans, the aznauris (Georgian nobles) lost their privileges. The begs started to receive the pension and aznauris became equal to the peasants".[13] That is also why the Muslim Georgians were so indifferent towards the Ottomans.

The Muslim Georgians, what did they receive after being incorporated into the Russian Empire?

1. There was land reserved for some of the former begs and membership in local militia
2. Peasants remained mostly at the state lands
3. And all they joined the Christian Georgians.

[12] P. Umikashili. Ottoman Georgia. Adjara (in Georg.). "Iveria". May 26, 1877. №13, p. 14.

[13] P. Umikashili. Ottoman Georgia. Shavsheti (in Georg.). "Iveria". June 30, 1877. №18, p. 9.

Maps

GEORGIA AND TURKEY TODAY
Sokhumi
BLACK SEA
Tskhinvali
Batumi
Akhaltsikhe
Tbilisi
Akhalkalaki
Artvin
Ardanuç
Ardahan
Rize
Yusufeli
Oltu
Kars


FEUDAL GEORGIA
Sokhumi
BLACK SEA
Tskhinvali
Batumi
Akhaltsikhe
Tbilisi
Samtskhe-
Akhalkalaki
Artanuji
Artvini
Artaani
Rize
Saatabago
Oltisi
Kars


CHILDIR VILAYET
Sokhumi
BLACK SEA
Tskhinvali
Batumi
Akhaltsikhe
Tbilisi
Childir
Akhalkalaki
Artanuji
Artvini
Artaani
Rize
Vilayet
Oltisi
Kars


SAMTSKHE AND JAVAKHETI
IN THE RUSSIAN EMPIRE
Sokhumi
BLACK SEA
Tskhinvali
Batumi
Samtskhe
Akhaltsikhe
Tbilisi
Javakheti
Childir
Artvini
Artanuji
Akhalkalaki
Artaani
Rize
Vilayet
Oltisi
Kars


FORMER CHILDIR VILAYET
IN THE RUSSIAN EMPIRE
Sokhumi
BLACK SEA
Tskhinvali
Tbilisi
Batumi
Akhaltsikhe
Akhalkalaki
Artvini
Artamuji
Artaani
Rize
Yusufeli
Oltisi
Kars

Николай Джавахишвили

Некоторые аспекты проекта модернизации государственного строя Восточногрузинского царства, созданного накануне формирования местной администрации Российской империи*

Один из достойнейших представителей тысячелетней царской династии Багратионов (Багратидов, по-грузински – «Багратиони») – царевич *Иоанн Георгиевич Багратиони* (1768-1830) был выдающимся грузинским государственным и военным деятелем, фельдцехмейстером и, одновременно, ученым, юристом, писателем, энциклопедистом и лексикографом.[1]

Здесь же следует отметить, что грузинская государственность берет начало в глубине тысячелетий. С IX века – включая начало XIX века в Грузии правила царская династия Багратионов. Этот замечательный род, наряду с прославленными царями, дал многих выдающихся государственных, духовных и военных деятелей не только Грузии, но и соседним с ней империям – Ирана, России и Турции (Османской империи).

Иоанн родился 16 мая 1768 года, в Тбилиси, в картлийско-кахетинской (восточногрузинской) царской семье. Его дедом был царь Ираклий II (1720-1798), который царствовал с 1744 года по 11 января 1798 года, отец же его – царь Георгий XII (1746-1800) царствовал с 11 января 1798 года по 28 декабря 1800 года.

Царевич Иоанн был вторым сыном Георгия XII, братом наследника престола – царевича Давида Багратиони (1767-1819).

10 мая 1799 года Иоанн представил своему венценосному отцу про-

---

* მოხსენება წაკითხულია გდანსკის უნივერსიტეტში III პოლონურ-ქართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა თემაზე: „პოლონეთისა და კავკასიის სამეფისნაცვლოების ისტორიიდან (XIX საუკუნე)“.

[1] Барамидзе А. Царевич Иоанн (Багратиони). ГСЭ («Грузинская советская энциклопедия»). Т. 5. Тбилиси, 1980, с. 188 (На грузинском языке).

ект необходимых реформ в Картлийско-Кахетинском царстве, который известен под названием «Законоположение».[2]

«Законоположение» – уникальный по своему значению памятник для изучения грузинского права, политического и юридического мышления, системы образования, экономики, хозяйственного и военного устройства конца XVIII века.[3]

Названный проект имел целью модернизацию и европеизацию государственного строя Картлийско-Кахетинского царства. Иоанн Багратиони хорошо осознавал сложность сложившегося в ту пору положения в Грузии, в частности, как в Восточногрузинском (Картли-Кахети), так и Западногрузинском (Имерети) царствах, и видел выход из него в осуществлении целого ряда реформ.

Автор проекта подробно рассмотрел вопросы реформирования государственного управления и военного ведомства. Очевидно, что проект предусматривал усиление царской власти и обуздание феодалов. Согласно проекту, в Грузии следовало сформировать дисциплинированную регулярную армию европейского типа, в которой были бы как инфантерия и кавалерия, так и артиллерийская часть. Солдат должен был служить в армии в течение пяти лет, по истечении срока службы ему разрешалось вступить в брак. Помимо этого, проект предусматривал и обновление вооружения.

В проекте должное внимание уделялось развитию образования, предлагалось основать новые учебные заведения как в столице, так и в Гори – главном городе региона Картли и Телави – главном городе региона Кахети. Следовало также создать хранилище рукописей и библиотеку.

С целью экономического развития страны особое внимание следовало уделить расширению торговли и ремесленничества, что в свою очередь увеличило бы доходы казны. Лиц, подвизавшихся в этой сфере, следовало всемерно поддерживать и поощрять.

Проект предусматривал также усовершенствование системы публичных наказаний. Лицо, уличенное в государственной измене, независимо от происхождения и положения в обществе, строго наказывалось. Такое же суровое наказание мог понести и убийца.

---

[2] Багратиони Иоанн Законоположение (Проект государственных преобразований Восточно-Грузинского царства). Подготовка текста, введение, словарь и указатели И. Сургуладзе. Тб. 1957 (На груз. яз.)

[3] Надареишвили Г. Законоположение царевича Иоанна, ГСЭ. Т. 5. Тб. 1980, с. 188-189 (На груз. яз.).

Иоанн Багратиони прилагал большие усилия для внедрения в Грузии вышеназванных новшеств. «Законоположение» представляло собой поистине значительное начинание, которое, к сожалению, не удалось осуществить.

В представленном труде мы попытаемся обозреть некоторые аспекты проекта модернизации государственного строя Картлийско-Кахетинского царства, созданного накануне формирования местной администрации Российской империи. В частности, мы рассмотрим должностной аппарат и систему государственных наград Восточногрузинского царства по проекту Иоанна Багратиони. Очерк состоит из двух частей: 1) Должностной аппарат Восточногрузинского царства по проекту Иоанна Багратиони; 2) Система государственных наград Восточногрузинского царства по проекту Иоанна Багратиони.

1. ДОЛЖНОСТНОЙ АППАРАТ ВОСТОЧНОГРУЗИНСКОГО ЦАРСТВА ПО ПРОЕКТУ ИОАННА БАГРАТИОНИ

В «Законоположении» сохранен принцип преемственности должностей государственного административного аппарата, однако считалось необходимым также определённое реформирование должностного аппарата.

Заслуживает внимания тот факт, что автор «Законоположения», наряду с перечисленными в нём проектами важнейших государственных реформ, отвел достойное место и исчерпывающе рассмотрел предложения о введении новых чиновничьих должностей. Он не только перечислил эти должности, но и, в отдельных случаях, описал их функции и обязанности.[4]

Предусмотрено и введение новых должностей. В частности, следовало создать должности, назначенные на которых лица координировали бы деятельность грузинских дипломатов за рубежом, систему образования, упорядочили проблемы нуждавшихся слоев населения (в том числе вдов и сирот) и т. д.

В проекте Иоанна Багратиони названы следующие должности, из коих основную часть мы разъясним здесь же:

1) **Сахлтухуцеси –** один из визирей (министр); в средневековой Грузии ведал делами царского двора, управлял царским двором и доменом, министр двора, обер-гофмаршал; ему принадлежало право скреплять царские грамоты. Сахлтухуцеси имелись и у крупных феодалов, светских и церковных;

[4] Багратиони Иоанн. Законоположение, с. 10-21

2) **Визирь чрезвычайных и полномочных послов –** высший чиновник, министр иностранных дел;

3) **Ешикагасбаши** – в XVII веке заменил мандатуртухуцеса, глава исполнительного аппарата, следил за порядком при царском дворе, обер-церемониймейстер. В конце XVIII века это звание переводится на русский язык и как «генерал-адъютант»;

4) **Мдиванбеги** – постоянный царский судья. Сначала таких судей было немного, но уже к XVIII веку их число превышало три десятка; советник;

5) **Мдивани** – письмоводитель, секретарь;

6) **Назири** – управитель двора;

7) **Наиби** – наместник, управитель, в сочетании с другими званиями – помощник, заместитель;

8) **Меджинибетухуцеси –** главный конюший, обер-шталмейстер;

9) **Амилахори –** конюший, один из высших сановников, помощник военного министра и главнокомандующего;

10) **Мухранис батони** – потомственный управитель Мухранского владения;

11) **Кизикис моурави** – управитель Кизикского края;

12) **Моурави** – правитель города, провинции, управитель имения;

13) **Милахвари** – влиятельный чиновник хозяйственной части;

14) **Сардали –** военачальник, воевода, командующий военным округом;

15) **Кешикчибаши** – глава кешиков, телохранителей царя или князя;

16) **Топчибаши** – генерал от артиллерии;

17) **Хазинадари** – управитель государственной казны;

18) **Начальник Монетного двора;**

19) **Мцералтухуцеси** – начальник писцов;

20) **Мцерали** – писец**;**

21) **Мехмандари** – принимающий гостей;

22) **Парештухуцеси –** начальник над царскими камердинерами;

23) **Иасаули** – есаул, младший чин исполнительного и судебного аппаратов, полицейский;

24) **Меитари** – чиновник при царе для поднесения ему карманных платков, обер-гардеробмейстер;

25) **Насахчибаши** – начальник аппарата царских палачей;

26) **Насахчи** – царский палач;

27) **Мамасахлиси/Кевхи** – сельский старшина;

28) **Нацвали** – заместитель;

29) **Асасбаши** (начальник ночного караула) и т. д.

Здесь же следует отметить, что некоторые названия вышеперечисленных должностей – иностранного происхождения[5] и укоренились в грузинском языке в результате длительного общения Грузии со странами – носителями данного языка. В их числе были как соседние империи – Персидская и Османская, так и в определенные периоды – арабский и монгольский миры.

В проекте названы также те лица, которые осуществляли надзор над доходами от вина, зерна, убойного скота и провианта другого типа; гражданскими, военными и церковными строениями; делами вдов и сирот; а также над теми, кто руководил людьми следующих профессий: церковными служителями и лицами, занимающимися делами просвещения; врачами; художниками, певцами и музыкантами; производителями пороха; ювелирами; караванщиками и торговцами; мелкими ремесленниками и торговцами, в частности, торговцами вином, мясом, фруктами и зеленью, мануфактурным товаром; шапочниками; ткачами; красильщиками; сапожниками; парикмахерами; свечниками; каменщиками; столярами; токарями; кузнецами; скорняками; производителями посуды, замков и ключей и т.д.[6]

Перечислив должности и частично охарактеризовав их функции, Иоанн Багратиони пишет: «Другие должности остались неизменными, как это было прежде. Начальник от письмоводителей или писцов должен быть один, а его подопечными – другие писцы».[7]

По мнению профессора Иванэ Сургуладзе вышеприведенное предложение можно объяснить двояким образом:

1) Существующие прежде должности, за исключением названных, оставались неизменными. Это предположение подкрепляется тем фактом, что автор проекта не перечислил все должности государственных чиновников. Таким образом, те должности, которые он назвал, были либо новые (им же продуманные), либо они должны были претерпеть определенные функциональные изменения. Поскольку автор даже не назвал должности оста-

[5] Дворянские роды Российской империи. Т. III (Князья). Руководители авторского коллектива П. Гребельский и С. Думин. Под редакцией С. Думина. Москва, 1996, с. 15-16.

[6] Багратиони Иоанн. Законоположение, с. 10-21.

[7] Багратиони Иоанн. Законоположение, с. 21.

льных чиновников, видимо, он считал нужным оставить их без изменения;

2) В проекте не были учтены изменения, касающиеся всех названных должностей. В частности, из перечисленных в нем должностей некоторые новые, другие – старые. В одних случаях в отношении старых должностей предполагались изменения их прав и обязанностей, в других же их компетенция оставалась неизменной.[8]

По проекту Иоанна Багратиони государственные чиновники делились по их рангу, о чём ясно свидетельствует размер их жалованья.

К первому рангу государственных чиновников относились: сахлтухуцеси, визирь чрезвычайных и полномочных послов; мухранис батони, амилахори и кизикис моурави. Их оплата составляла 100 туманов.

Здесь же разъясним, что термин «туман» – монгольского происхождения, восходит к слову «думан», который равнялся 10.000-м. 1 туман составлял 10 миналтунов, а 1 миналтун содержал 50 абазов или 10.000 динаров. Грузинский тумани содержал 10.000 полудрахмовых медных монет.[9]

Из перечисленных выше государственных чиновников первого ранга представителями центральной царской власти были только сахлтухуцеси и визирь чрезвычайных и полномочных послов, т. е. министр. Первый являлся чиновником высшего ранга при царском дворе, и такая должность существовала в Грузии с древнейших времен. Она соответствовала должности обер-гофмаршала при европейских царских дворах.

Несмотря на то, что мухранис батони, амилахори и кизикис моурави являлись чиновниками местного значения, они были чрезвычайно влиятельными феодалами, которые параллельно своей основной должности иногда занимали должность чиновника при царском дворе.

На должность мухранис батони традиционно назначался представитель одного из княжеских родов Багратионов – *Багратион-Мухранбатонишвили* (в России – *Багратиони-Мухранские*), который роднился с царствующей ветвью этой династии. Его удельным имением с начала XVI века был Мухрани, который расположен недалеко от Тбилиси, на территории региона Картли/Карталинии (Центральная Грузия).

Родоначальником этого знаменитого и влиятельного владетельного княжеского рода был царевич Баграт (владетель в 1512-1540 годах), сын первого царя Картли Константина II (царствовал в 1478-1505 годах) и мла-

[8] Багратиони И. Законоположение, с. 043-044.

[9] Джавахишвили И. Грузинская нумизматика-метрология. В книге: Джавахишвили И. Сочинения в 12 томах. Т. IX. Тб. 1996, с. 575 (На груз. яз.).

дший брат царя Картли Давида X (царствовал в 1505-1525 годах). От царствующего брата царевич Баграт получил в удел Мухрани. Он и его потомки носили титул владетелей Мухранских и княжили в Мухрани до упразднения Восточно-Грузинского (Картлийско-Кахетинского) царства и принудительного присоединения его к России (начала XIX века). Глава рода – владетель княжества – именовался Мухранбатони, все его младшие родственники – Мухранбатонишвили (по-грузински буквально – «дети Мухранбатони»). В качестве ближайших родственников царствующей карталинской ветви Багратионов владетели Мухранские сохранили положение принцев крови и нередко призывались для управления страной в случае отсутствия государя, а иногда даже становились царями. Например, царь Картли Ростом I (царствовал в 1633-1658 годах), не имея детей, усыновил и нарек своим наследником своего ближайшего родственника Вахтанга Мухранбатони, правнука упомянутого выше царевича Баграта. В 1658 году, после смерти царя Ростома I, на престол Картли вступил Вахтанг Мухранбатони, который известен как царь Вахтанг V (царствовал в 1658-1676 годах). Его брат Константин наследовал Мухранский удел.[10]

Амилахори был помощником главнокомандующего вооруженными силами. Своими правами и обязанностями эта должность соответствовала должности шталмейстера при европейских царских дворах. На эту должность назначались представители знаменитого и влиятельного грузинского княжеского рода – *Амилахвари* (в России – *Амилахваровы, Амилахоровы* и *Амилахори),* местом жительства которого был регион Картли.

Кизики является частью региона Кахети. На должность его моурави, т.е. правителя, как правило, назначались представители знаменитого и влиятельного грузинского княжеского рода – *Андроникашвили* (в России – *Андрониковы),* которые селились в Кахети.

Чиновниками второго ранга были: первый хазинадари, кешикчибаши, первый мдивани царского двора, первый назири, милахвари, а также моуравы городов, расположенных на территории Грузинского царства, в том числе региона Казахи, который в настоящее время находится на территории Азербайджанской республики. Их жалованье составляло 60 туманов.

Царскому духовнику назначалось жалованье в 40 туманов, священникам царского двора – 12, главным дьяконам – 8, певчим – 6 туманов.

Топчибаши (генерал от артиллерии) назначалось 100 туманов, леча-

[10] Дворянские роды Российской империи. Т. III, с. 53-54

щему врачу – 40, меитари – 25, служащим низшего ранга – 3 тумана, а также одежда и пища.

Жалованье гражданских чиновников в соответствии с занимаемыми ими должностями определялось в пределах от 20 до 60 туманов.

Жалованье военнослужащих определялось следующим образом (в туманах): сардалу (военачальнику) – 50, минбаши (тысяченачальнику) – 30, пятисотначальнику и заместителю кешикчибаши (главе телохранителей царя) – 20, узбаши (сотнику) – 12, его помощнику – 8, пехотинцу – 2, помимо одежды и пищи.[11]

Далее мы определим сущность, права и обязанности некоторых особенно значительных должностей, из коих часть существовала в Грузии с древнейших времен, другая же часть была предложена Иоанном Багратиони, который проявил себя истинным новатором в данной области.

1) **Сахлтухуцеси.** Проектом было предусмотренно значительно урезать его функции. В частности ему сохранялась лишь хозяйственная функция и то в отношении царских крестьян. На него возлагались управление царским дворцом и надзирательство над доходами от царских крестьян. Ему же подчинялись писцы и другие чиновники.

2) **Визирь чрезвычайных и полномочных послов.** Эта должность, ранее не существовавшая при грузинском царском дворе, соответствовала должности министра иностранных дел. Отдельные функции нового должностного лица, судя по памятникам древнегрузинского права, были распределены между должностями местумре (чиновником, ведавшим встречей царских гостей, стольником) и мехмандари (принимающим гостей). В проекте предлагалось также создание независимого ведомства иностранных дел ввиду особой значимости и необходимости данной структуры. В новом ведомстве должны были служить: один ешикагасбаши, мехмандары и писцы. Автор проекта ставил также вопрос о совершенствовании внешней политики Картлийско-Кахетинского царства и дружеских отношений с соседними странами.

3) **Хазинадари.** Эта должность по своему содержанию соответствовала должности управителя государственной казны. Должностное лицо ведало всеми денежными доходами государства. В проект было внесено предложение о создании чрезвычайного казенного ведомства. Отметим здесь же, что по памятникам древнегрузинского права функции финансо-

[11] Багратиони И. Законоположение, с. 42-43.

вой власти возлатались на мечурчлетухуцеси, должность которого соответствовала должности министра финансов.

4) **Начальник караванов и торговцев.** Эта должность, которая ранее не существовала, по проекту соответствовала должности министра торговли. Лицу, занимавшему эту должность, вменялось в обязанность руководство внешней и внутренней торговлей. В проекте предлагалось также создание чрезвычайного торгового ведомства, которого в Грузии до того не существовало.

5) Ешикагасбаши. Согласно проекту, в стране эту должность должны были занимать четыре человека, которые должны были служить: I. Постоянным сопровождавшим лицом царя; II. В вооруженных силах царства; III. Лицом, принимавшим послов; IV. Начальником есаулов. Они должны были иметь своих подчиненных.

6) **Царский наиби в городе.** Такой должности в Грузии прежде не существовало. На наиби возлагались надзирательство над городской жизнью и населением, а также контроль за соответствием городских цен и единиц меры и веса действующим стандартам. Отметим, что по сведениям памятников древнегрузинского права полновластным правителем города являлся городской моурави (в настоящее время – мер города). В проекте не видно, каковыми должны были быть взаимоотношения между назначенным царем наиби и моурави того же города.

7) **Церемониймейстер.** Эта должность при грузинском царском дворе ранее не существовала. Лицу, назначенному на эту должность, вменялось в обязанность организация и руководство мероприятиями, намеченными при царском дворе. В старину эту обязанность совмещал ешикагасбаши.[12]

8) **Меарзетухуцеси.** Эта была новая, ранее не существовавшая должность при царском дворе. На меарзетухуцеси возлагалось поднесение царю просьб, жалоб, а также книг. У него должен был быть и свой подчиненный.[13]

Следует отметить, что по издревле существующему при царском дворе обычаю, за час до обеда, царь выходил на балкон и получал от своих поданных просьбы. В проекте предусматривалось, что царь должен был ответить на эти просьбы не позднее пяти дней.[14]

В проекте затронуты также и другие сферы центрального управления государством. В частности, отдельно выделены отрасли просвещения,

[12] Дворянские роды Российской империи. Т. III, с. 16.
[13] Багратиони И. Законоположение, с. 10-13.
[14] Багратиони И. Законоположение, с. 50.

здравоохранения и др.

Рассмотренный нами проект Иоанна Багратиони свидетельствует о том, что автор хорошо был знаком с должностной системой многих стран. Он опирался на опыт, существующий в других странах, в том числе в Российской империи, под покровительством которой находилось в то время Картлийско-Кахетинское царство.

Итак, царевич Иоанн Георгиевич Багратиони в 1799 году создал проект реформ Картлийско-Кахетинского царства, вошедший в историю под названием «Законоположение».

Помимо всего, автор проекта немалое место уделил суждению о должностном аппарате. Он не только перечислил вводимые должности, но и, в некоторых случаях, объяснил их сущность и функции. В проекте был сохранен принцип преемственности должностей государственного административного аппарата, однако автор одновременно счел необходимым в некоторых случаях и его реформирование. Было решено введение новых должностей, которые бы координировали сферу просвещения, иностранных дел, финансовую, торговую и др., упорядочили проблемы материально нуждавщегося слоя населения и т.д.

2. СИСТЕМА ГОСУДАРСТВЕННЫХ НАГРАД ВОСТОЧНОГРУЗИНСКОГО ЦАРСТВА ПО ПРОЕКТУ ИОАННА БАГРАТИОНИ

В «Законоположении» значительное место уделено проекту создания грузинских государственных наград – орденов и медалей. Правил награждения орденами и медалями до тех пор в Грузии не существовало. Однако с древнейших времен было принято присвоение заслуженным лицам княжеского и дворянского достоинствам, переходящего переходившим по наследству; освобождение от крепостной зависимости (с зачислением в свободное крестьянство); дарование земельного надела вместе или без крепостных. Было принято также награждение дорогим боевым оружием, породистым конем и т.д. Следует отметить, что исключительно богатой была традиция награждения оружием за боевые заслуги, поскольку грузинский народ постоянно вел борьбу за выживание и сохранение христианской веры и государственности.[15]

[15] Джавахишвили Н. Грузинская фалеристика. Тб. 1995, с. 9-15 (На груз. яз.).

Отметим, что к 1799 году в соседних с Грузией странах, за исключением Российской империи, не было государственных наград в виде орденов и медалей. Награды такого типа были введены в Османской империи именно в 1799 году, а в Персии – в 1808 году.

Иоанн Багратиони в своем «Законоположении» уделил особое внимание идее учреждения национальных наград. Он не только перечислил названия знаков отличия, подлежащих установлению, но и детально описал внешний вид каждого из них.[16]

Названная концепция установления грузинских государственных наград – орденов и медалей – рассмотрена в нашем труде «Грузинская фалеристика»,[17] в котором впервые в грузинской историографии монографически изучены вопросы национального наградоведения.

Царевич Иоанн считал нужным установление следующих национальных наград:

1) **Орден св. Нины Каппадокийской** – I и II степени.

Внешне орден должен был иметь форму звезды. На установленном в её центре медальоне должны были быть изображены: св. Нино Каппадокийская, хитон Господен и животворящий столп (в древней столице Картли (Центральная Грузия) – Мцхета – в IV веке был возведен храм животворящего столпа – «Светицховели»). Орден I степени должен был иметь белого цвета с красной оторочкой наплечную ленту. По существу такой же должен был быть и орден II степени, однако сравнительно малого размера и с нашейной лентой.

Весьма примечательно соображение Иоанна Багратиони о том, что высшей государственной наградой в Грузии должен был быть орден св. Нино. В 319 году св. Нино прибыла в Грузию из Каппадокии (ныне на территории Турецкой республики). Поселившись в Мцхета, она в течение шести лет проповедовала христианство и именем господа Иисуса Христа чудодейственно исцеляла хворых, молилась за сирых и бедных. По истечении 6 лет царица Картли Нана приняла христианство, затем и муж её – царь Мириан и все члены царской семьи.[18] В 326 году христианство в Картли было объявлено государственной религией.

Симптоматично, что композиция, данная на медальоне, вместе с портретом св. Нино должна была завершиться изображением хитона Гос-

[16] Багратиони И. Законоположение, с. 22-23.
[17] Джавахишвили Н. Грузинская фалеристика, с. 9-15.
[18] Ломинадзе Б. Св. Нино. ГСЭ. Т. 7. Тб. 1984, с. 438-439 (На груз. яз.).

подня и животворящего столпа. По преданию хитон Иисуса после его распятия привезли из Иерусалима в Грузию мцхетские евреи. Хитон захоронен недалеко от Тбилиси, в г. Мцхета под главным столпом кафедрального храма «Светицховели» и считается главной святыней храма. Эта легенда в древнегрузинских исторических сочинениях передана в различных вариантах, а в XII веке грузинский автор – Николай (Николоз) Гулаберидзе посвятил хитону Христову специальный труд.[19]

Хитону Господня отведено почетное место и в грузинской геральдической символике. Его изображение было помещено на государственном гербе Царства Грузинского, а также на гербах грузинских царей, вышедших из династии Багратиони.[20] Этот факт ясно свидетельствует о значении хитона Христова в грузинском изобразительном искусстве.

2) **Орден св. царя Давида Строителя** – I, II, и III степени.

На орденском знаке, имеющем форму звезды, должен был быть изображен портрет самого выдающегося грузинского царя – Давида IV (царствовал в 1089-1125 гг.), которого за колоссальные заслуги перед государством грузинская православная церковь причислила к лику святых. На ордене предполагалась надпись – «За отечество, мужество и преданность». Орден I степени должен был иметь наплечную ленту красного цвета с кружевной оторочкой белого цвета. Орден II степени имел нашейную ленту, а III степени – нагрудную. Ими следовало награждать за мужество с жалованной грамотой впридачу, в которой отмечались бы заслуги награждаемого. Этими орденами могли награждаться как светские, так и духовные лица, для которых предполагался орден II степени.

3) **Орден св. царицы Кетеван** – I и II степени.

На орденском знаке должен был быть изображен портрет принявшей мученическую смерть за христианскую веру грузинской царицы – Кетеван, которая была представительницей картлийской ветви династии Багратиони и женой царя Кахети Давида I (царствовал в 1601-1602 гг.). В 1624 году, когда овдовевшая царица находилась в Персии, шах Аббас I предложил ей принять мусульманскую веру и стать его женой. Он считал, что этот шаг царицы Кетеван, пользовавшейся высокой репутацией по всей Грузии, был бы успешным началом процесса исламизации глубоковерующего православного грузинского народа. Однако царица была непреклон-

[19] Ломинадзе Б. Хитон. ГСЭ. Т. 5. Тб. 1980, с. 489 (На груз. яз.).
[20] Асатиани Т. Грузинская геральдика. Тб. 2002 (На груз. яз.).

на и поплатилась за свою веру жизнью. 22 сентября 1624 года она героически приняла смерть в Ширазе (Иран). Ее мучения были описаны как грузинскими, так и иностранными авторами, в частности, итальянцами – Грегорием Орсини и Пьетро дела Вале (1586-1652), поляком Яном Тадеушом Крушинским (1675-1757), французом Клодом Маленгром и др. Немецкий драматург Андреас Грифиус (1616-1664) посвятил царице свою трагедию «Грузинка Кетеван или несокрушимая твердость». В иностранных источниках царица Кетеван иногда упоминается под именем «Катерина». Грузинская православная церковь причислила её к лику святых.[21]

Согласно проекту изображение царицы помещалось в медальоне, расположенном в центре звезды. Орден должен был иметь алую ленту с кружевной оторочкой желтого цвета. Орденом предполагалось награждать знатных грузинских дам.

4) Медаль святых царей Арчила и Луарсаба.

На медали предполагалось поместить изображения царей – Арчила и Луарсаба, которые царствовали в разное время и которых грузинская православная церковь причислила к лику святых. Медалью, которую украсила бы пестрая лента, должны были награждать за отвагу.

Арчил был эрисмтаваром (начальствующим, по некоторым источникам – царем) Картли в VIII веке. Его власть распространялась и на Эгриси (Западная Грузия). Он самоотверженно боролся с арабскими завоевателями, пока его не пленили в одном из боев. Предводитель арабов Асим предложил Арчилу принять ислам, но, получив твердый отказ, приказал умертвить его пытками.[22]

Царь Картли Луарсаб II (1592-1622) царствовал в 1606-1615 годах. Он максимально пытался спасти свою родину от нападения османских и персидских захватчиков. Однажды, прибыв в Персию, Луарсаб от своего зятя Аббаса I получил предложение перейти в мусульманскую веру. Царь Картли отказался от его предложения шахиншаха и был по приказу шаха умерщвлен.[23]

5) Медаль св. Георгия.

На аверсе серебряной медали должен был быть изображен св. Георгий Победоносец, а на реверсе – надпись «За смелость и мужество». Ме-

[21] Чхатараишвили К. Царица Кетеван. ГСЭ. Т. 10. Тб. 1986, с. 498.
[22] Богверадзе А. Арчил Стефанозович. Энциклопедия «Грузия». Т. 1. Тб., 1997, с. 220-221 (На груз. яз.).
[23] Джамбуриа Г. Луарсаб II. ГСЭ. Т. 6. Тб. 1983, с. 301 (На груз. яз.).

даль должна была иметь нашейную ленту желтого или красного цвета; предназначалась для награждения представителей низшего социального слоя. Кавалер этой медали должен был иметь также некоторые привилегии, например, запрещалось его физическое наказание.

6) Почетная сабля.

На сабле следовало выгравировать надпись, подобно ордену св. царя Давида Строителя, – «За отечество, мужество и преданность». Отметим, что подобная награда, как и во многих других государствах мира, давалась за боевые заслуги и воинскую доблесть.

Итак, как видно из рассмотренного проекта, можно сказать, что Иоанн Багратиони был хорошо осведомлен в системе наград европейских государств того времени, а также Российской империи. Об этом свидетельствуют описания внешнего вида вводимых наград, резко выраженная иерархия, которая определяля, кого и за какие заслуги следовало награждать знаками отличия.

Примечательна религиозная нагрузка будущих грузинских наград – все они, кроме одного, («Почетная сабля») носили имена святых. Даже на Почетной сабле должно было быть выгравировано имя св. царя Давида Строителя. Этим царевич Иоанн отдал дань древней грузинской традиции, согласно которой в сознании грузина христианство отождествлялось с национальностью.

Иоанн Багратиони опирался на опыт христианских стран того времени, в том числе и православной России. В данном случае его соображения были продиктованы объективной реальностью.

Автор проекта учел то обстоятельство, что в тот период Картлийско-Кахетинское царство находилось под покровительством России и грузинскую систему наград привел некоторым образом в соответствие с системой наград Российской империи. Например, если в России наивысшей государственной наградой считался орден св. апостола Андрея Первозванного (учрежден в 1699 году), царевич Иоанн счел эквивалентной ей грузинской наградой орден св. Нины Каппадокийской, а эквивалентом русской военной награды – ордена св. Георгия (учрежден в 1769 году) – орден св. царя Давида Строителя. Грузинским эквивалентом ордена св. Екатерины, предназначенного для знатных русских дам, Иоанн Багратиони счел орден св. царицы Кетеван.

Что касается Почетной сабли, на рукояти которой согласно проекту вместе с именем св. царя Давида Строителя следовало выгравировать над-

пись «За отечество, мужество и преданность», то она напоминает русское «Золотое Георгиевское оружие», у которого был клинок с надписью на эфесе «За храбрость».[24]

О прогрессивности и демократичности мышления грузинского царевича свидетельствует особая награда, предполагаемая для низших социальных слоев – медаль св. Георгия.

Думаем, не лишено интереса, как сложилась дальнейшая жизнь царевича Иоанна после создания «Законоположения».

28 декабря 1800 года в Тбилиси скончался царь Георгий XII. С этого дня до июня 1801 года Картлийско-Кахетинским царством управлял наследник престола царевич Давид Георгиевич Багратиони (1767-1819). Он управлял царством как правитель, но не как царь.

18 декабря 1800 года, еще при жизни царя Георгия XII, император Павел I подписал тайный манифест об упразднении Картлийско-Кахетинского царства и вхождении его в состав Российской империи. Аналогичного содержания манифест был издан новым императором России Александром I – 12 сентября 1801 года.

В 1803 году российская императорская власть принудительным образом переселила в Санкт-Петербург большинство членов Картлийско-Кахетинской царской семьи, среди коих был и царевич Иоанн.

Сосланный в Россию царевич Иоанн, как и многие из членов царского дома Багратионов, занимался в основном интеллектуальной деятельностью и оставил богатое литературное наследие. Он скончался 15 февраля 1830 года и похоронен в Санкт-Петербурге, в Лавре св. Александра Невского.[25]

Таким образом, царевич Иоанн Георгиевич Багратиони, блестящий представитель династии Багратионов, в 1799 году создал проект реформ Картлийско-Кахетинского царства, где, наряду с другими важными вопросами государственного устройства, значительное место уделил введению грузинских государственных наград – орденов и медалей.

[24] Дуров В. Ордена России. Москва. 1993, с. 75.
[25] Дворянские роды Российской империи. Т. III, с. 74.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VIII
თბილისი. 2013-2014

რეცენზია

ლერი თავაძე

რეცენზია ზურაბ ბატიაშვილის (დარუჯანაშვილი) ნაშრომზე: ტრაპიზონის იმპერია XIII საუკუნეში

სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის კვლევის ცენტრი. სერია: სამხრეთ კავკასია და ანატოლია – 9. თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“, 2013. 138 გვერდი. ISBN 978-9941-445-28-6

ტრაპიზონის იმპერია, მიუხედავად არსებობის ხანმოკლე პერიოდისა, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა XIII-XV საუკუნეების არა მხოლოდ მცირე აზიის, არამედ მთელი შავი ზღვის რეგიონის ისტორიაში. უფრო მეტიც, ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიის კვლევის თვალსაზრისითაც, ვინაიდან სწორედ ტრაპიზონის იმპერიის მოსახლეობის ერთ ნაწილს ქართველურ ენებზე მოსაუბრე ხალხები, ლაზები და ჭანები, შეადგენდნენ. ამრიგად, საქართველოს ისტორიისთვის და, ზოგადად, ქართველი ერის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით ტრაპიზონის იმპერიის 257-წლიან (1204-1461 წწ.) ისტორიას დიდი ადგილი უკავია. ამ კუთხით ქართულ ისტორიოგრაფიაში ფრიად მნიშვნელოვან ინტერესს იწვევდა ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის მრავალი საინტერესო საკითხი. მათ შორის ერთ-ერთია ტრაპიზონის იმპერიის დაარსება.[1]

[1] ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან: ოთხი საისტორიო ნარკვევი. პირველად გამოიცა 1929 წელს თბ. 1989, გვ. 52-94; ო. ლორთქიფანიძე. ტრაპიზონის სამეფოს წარმოშობის საკითხისათვის. თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული. VI. თბ. 1953; გ. გოზალიშვილი. ჯვაროსანთა IV ლაშქრობა და ბიზანტია. თსუ შრომები 37. თბ. 1960; ი. ბერაძე. ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საკითხისათვის. თბ. 1971; რ. მეტრეველი. თამარ მეფე: ეპოქის პოლიტიკურ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა. თბ. 1991, გვ. 193-199; ლ. ურუშაძე. ტრაპიზონის კომნენთა შტო და საქართველოს ბაგრატიონთა სამეფო კარი. ჟურნ. ცისკარი. № 4. თბ. 1991, გვ. 144-148; ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის შესახებ. თბ. 2006, გვ. 108-110, 273-279; მ. სტეფნაძე.

სწორედ აღნიშნულ თემას მიუძღვნა ზურაბ ბატიაშვილმა თავისი 2012 წელს გამოცემული ვრცელი მონოგრაფია „ტრაპიზონის იმპერიის დაარსება“.[2] ამ ნაშრომზე აღარ შევჩერდებით, ვინაიდან მას „საისტორიო კრებულის“ მე-2 ტომში საკმაოდ ვრცელი რეცენზია მივუძღვენით.[3] მასში შევეცადეთ გვეჩვენებინა ნაშრომის როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარეები, გვსურდა მკითხველს სათანადო წარმოდგენა ჰქონოდა ამ აკადემიური გამოცემის შესახებ, ხოლო თავად ავტორისთვის მიგვეთითებინა იმ ხარვეზებზე, რომლებსაც იმედი გვქონდა სამომავლოდ გაითვალისწინებდა და, შესაბამისად, ასახავდა თავისი მონოგრაფიის ხელახალი გამოცემის დროს ან სხვა ნაშრომის პუბლიკაციისას. მაგრამ ხდება პირიქით. გავიდა ერთი წელი და სრულიად შემთხვევით ვიხილე იმავე ავტორის, ზურაბ ბატიაშვილის, რიგით მეორე ნაშრომი ტრაპიზონის იმპერიის თემატიკის შესახებ, გამოცემული 2013 წელს.

2013 წელს გამოცემული ნაშრომი, „ტრაპიზონის იმპერია XIII საუკუნეში“, ერთგვარი გაგრძელებაა წინა ნაშრომისა, ამას ავტორი წინასიტყვაობაშიც მიუთითებს და მიზნად ისახავს აღწეროს ტრაპიზონის იმპერიის ისტორია იმპერატორ ალექსი I კომნენოსის (1204-1222 წწ.) გარდაცვალებიდან იმპერატორ ალექსი II კომნენოსის (1297-1330 წწ.) ტახტზე ასვლამდე (გვ. 7). ჩვენი მიზანია, სწორედ ამ მონოგრაფიის ირგვლივ გავაკეთოთ გარკვეული შეფასებები.

დასაწყისშივე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზურაბ ბატიაშვილს არც კი ჩაუხედავს ჩვენს 2012 წელს დაბეჭდილ რეცენზიაში და, აქედან გამომდინარე, იგი არც გაუთვალისწინებია. ეს მაშინ, როდესაც მასში ბევრი ისეთი ფაქტი იყო განხილული, რომლებიც ავტორს დანამდვილებით წაადგებოდა ამ ახალ

ტრაპიზონის იმპერიის დაარსების მიზეზისათვის. ქართული დიპლომატია (წელიწდეული). 7. თბ. 2000, გვ. 155-172; გ. გამრეკელი. კომნენოსები საქართველოში. შოთა მესხია 90 – საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი. თბ. 2006, გვ. 145-150; მ. გაბაშვილი. ტრაპიზონი ქართული წყაროების მიხედვით. თსუ შრომები აღმოსავლეთმცოდნეობის სერია. № 327. თბ. 1998; მ. გაბაშვილი. ტრაპიზონის იმპერიის დაარსების წინაპირობები: დავით კურაპალატი. თამარ გამსახურდია 70 – საიუბილეო კრებული მიძღვნილი თამარ გამსახურდიას ნათელი ხსოვნისადმი: მშვენიერება მოსილი სევდით. თბ. 2007, გვ. 117-149; ე. მამისთვალაშვილი. საქართველო და ტრაპიზონის იმპერიის დაარსება. აღმოსავლეთმცოდნეობა. № 2. თბ. 2013, გვ. 157-187.

[2] ზ. ბატიაშვილი (დარუჯანაშვილი). ტრაპიზონის იმპერიის დაარსება. თბ. 2012.

[3] ლ. თავაძე. ზურაბ ბატიაშვილი (დარუჯანაშვილი). ტრაპიზონის იმპერიის დაარსება. საისტორიო კრებული. ტ. 2. თბ. 2012, გვ. 372-386.

მონოგრაფიაში, რომ არაფერი ვთქვათ იმ მრავალრიცხოვან ლიტერატურაზე, რომელიც ჩვენ მივუთითეთ ზემოხსენებულ რეცენზიაში. მაგრამ ზ. ბატიაშვილი თავის ახალ მონოგრაფიაში იგნორირებას უკეთებს არა მხოლოდ ჩვენს რეცენზიას, არამედ არ იყენებს, ან სათანადოდ ვერ იყენებს იმ ნაშრომებს, რომლებიც მრავლად ჰქონდა მოხმობილი თავის წინამდებარე, 2012 წლის პუბლიკაციაში. ახალი მონოგრაფია ამ კუთხით ძალიან სუსტია. ნაშრომის პარაგრაფები ტრაპიზონის თითოეული იმპერატორის მმართველობას მიუყვება, ასეთებია: ანდრონიკე I გიდონი (1222-1235), იოანე I (1235-1238), მანუელ I (1238-1263), ანდრონიკე II (1263-1266), გიორგი (1266-1280), იოანე II (1280-1297), თეოდორა (1285).[4] ამის შემდეგ სამი პარაგრაფია: „დიდი კომნენოსების ტიტული", „კომნენოსთა და ტრაპიზონელთა სიმბოლიკა" და „ეკლესია და მონასტრები". ბოლოში არის მოცემული „დასკვნის მაგიერ". ნაშრომს ასევე აქვს ინგლისური რეზიუმე, საძიებლები და ბიბლიოგრაფია.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომი კომპილაციური ხასიათისაა, მასში ორიგინალური დასკვნები ძალიან ცოტაა, ხოლო ავტორისეული კვლევა, პრაქტიკულად, საერთოდ არ ჩანს.

დასაწყისი შედარებით ვრცელია და საინტერესო თხრობაა მოცემული იმპერატორ ანდრონიკე I გიდონის (1222-1235 წწ.) შესახებ (გვ. 9-29), მაგრამ იგი უპირატესად ეყრდნობა სპეციალურ ლიტერატურას, განსაკუთრებით თეოდორ უსპენსკის (გვ. 13-21), რიგ შემთხვევაში კი თურქ ავტორებს, რომელთა ინფორმაცია ორიგინალურობით არ გამოირჩევა, თუ არ ჩავთვლით იმ გადმოცემებს, რომლებიც მათ ადგილობრივი მოსახლეობისგან აქვთ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალის სახით. ასევე, უშუალოდ საისტორიო წყაროების მოშველიების ნაცვლად ავტორი სარგებლობს სპეციალურ ლიტერატურაში მოტანილი ცნობებით. მაგალითად, როდესაც ზ. ბატიაშვილს მოაქვს ცნობა ჭანებისა და ლაზების მონაწილეობაზე საქართველოს ლაშქარში 1228 წელს, მას დამოწმებული აქვს რამდენიმე აღმოსავლელი ავტორი (გვ. 26). რეალურად ეს ინფორმაცია ამოღებულია რ. შუკუროვის მონოგრაფიიდან, რომელიც ზ. ბატიაშვილს ასევე აქვს დამოწმებული. მაგრამ სრულიად გაუგებარია, თუ რატომ იმოწმებს ავტორი პირველწყაროებს მაშინ, როდესაც ისინი ნანახიც არა აქვს? ეს კი იქიდან ჩანს, რომ სხვა ადგილას ეს ავტორები (ალ-ნასავი,

[4] მიუხედავად იმისა, რომ პარაგრაფების სათაურში მოყვანილ ტრაპიზონის იმპერატორების ქრონოლოგიას ბოლომდე არ ვიზიარებთ, პარაგრაფების დასახელებისას უცვლელად ვტოვებთ წიგნში მოცემული ავტორისეულ ქრონოლოგიას (იხ.: გვ. 5, 9, 30, 32, 45, 48, 55, 75).

ჯუვეინი, რაშიდ ედ-დინი) არსად არიან დამოწმებულნი. ასეთი მაგალითების მოყვანა ნაშრომის სხვა მონაკვეთიდანაც შეიძლება (გვ. 27, 72 და ა.შ.). როგორც ჩანს, ავტორს პრეტენზია აქვს, რომ იგი იცნობს სათანადო საისტორიო წყაროებს, რაც ასე არ არის. უფრო მეტიც, ის კარგად არ იცნობს არც სპეციალურ ლიტერატურას. იმავე ჭანებისა და ლაზების შესახებ ორი ვრცელი წერილი გამოქვეყნებული აქვს ერეკლე ჟორდანიას,[5] რომელიც სწორედ ტრაპიზონის იმპერიაში მოსახლე ქართველებს ეხება, არც ერთ მათგანს ბატიაშვილი არ იცნობს და დაუმსახურებელ იგნორირებას უკეთებს. ჯალალ ედ-დინის მიერ ტაოს დაკავებაზე საუბრისას ავტორი იმოწმებს რ. შუკუროვის ნაშრომს (გვ. 26), ეს მაშინ, როდესაც ტაოში დატრიალებული მოვლენები სათანადო წყაროებზე დაყრდნობით კარგად აქვს გაშუქებული გ. ჯაფარიძეს,[6] რომელსაც ზ. ბატიაშვილი არ იცნობს. ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება.

მიუხედავად იმისა, რომ თხრობა ანდრონიკე I გიდონის მმართველობის შესახებ საინტერესო წასაკითხია, ის, როგორც უკვე ითქვა, მთლიანად კომპილაციურია. მასში ავტორის ორიგინალური მსჯელობა არ ჩანს.

შემდეგი პარაგრაფები ეხება იოანე I (1235-1238), მანუელ I (1238-1263), ანდრონიკე II (1263-1266), გიორგი (1266-1280), იოანე II (1280-1297), თეოდორა (1285) იმპერატორების მმართველობას (გვ. 30-78). ეს ინფორმაცია ენციკლოპედიური ხასიათისაა და დიდწილად იქ მოცემული მასალა იმაზე მეტი არ არის, ვიდრე ეს წარმოდგენილია ვიკიპედიაში. უფრო მეტიც, დიდი ნაწილი წიგნში მოყვანილი ინფორმაციისა სწორედ ვიკიპედიიდან არის ამოღებული (გვ. 30, 32, 35, 38, 40, 43-5, 47, 50, 54-5, 73, 75-6 და სხვა), რაც აკადემიური გამოცემის პრეტენზიის მქონე წიგნისთვის სრულიად შეუწყნარებელია. როგორც ჩანს, ავტორს უბრალოდ არ ისურვა მოეძებნა ის პირველწყაროები, რომლებსაც იყენებდნენ ვიკიპედიის კონკრეტული გვერდების შემდგენლები, ხოლო საისტორიო წყაროებსა და სპეციალური ლიტერატურაზე გასვლას ზ. ბატიაშვილმა არჩია ინფორმაცია პირდაპირ ვიკიპედიიდან ამოეკრიფა.

ზემოხსენებული პარაგრაფებიდან შედარებით ვრცელი ინფორმაცია მო-

[5] Э. Г. Жордания. Этнический состав населения и некоторые вопросы топонимики Понта в XIII-XVвв. Часть I: Лазы. Byzantinoslavica. 58. 1997, გვ. 125-139; Э. Г. Жордания. Этнический состав населения и некоторые вопросы топонимики Понта в XIII-XVвв. Часть II: Чаны. Byzantinoslavica. 60. 1999, გვ. 71-86.

[6] გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში. თბ. 1995, გვ. 191-193.

ცემულია მანუელ I (1238-1263), გიორგი (1266-1280) და იოანე II (1280-1297) იმპერატორებისადმი მიძღვნილ პარაგრაფებში, თუმცა ვერც ისინი ასცდნენ კომპილაციურ ხასიათს, რაც ამ მონოგრაფიას ლაიტმოტივად გასდევს. გიორგი იმპერატორის შესახებ მოცემული ინფორმაცია ბრაიერისა და პატარიძე-ჯანჯღავას ნაშრომების კომპილაციაა (გვ. 48-54). ხოლო იოანე II-ის შესახებ ცნობები, თ. უსპენსკის გარდა (გვ. 56-61), ავტორს პირველწყაროდან, გიორგი პახიმერეს თხზულებიდან, ამოუკრეფია, თუმცა ყოველგვარი ორიგინალური, ავტორისეული, მოსაზრებების დართვის გარეშე (გვ. 70-4). არის იშვიათი გამონაკლისებიც, თუმცა მათ მეტი არგუმენტაცია სჭირდებათ (გვ. 37, 69, 87, 93).

ზ. ბატიაშვილი, თავისი წინა მონოგრაფიის მსგავსად, აქაც იმეორებს ისტორიოგრაფიაში ძველად გაბატონებულ შეხედულებებს ტრაპიზონის იმპერიაში პროქართულ და პრობიზანტიურ პოლიტიკურ დასებს შორის ბრძოლის შესახებ და ტრაპიზონის იმპერიაში მიმდინარე სხვადასხვა მოვლენას ამ კონტექსტში განიხილავს (გვ. 70, 118 და სხვა), რაც, როგორც ადრე მივუთითეთ, არ არის გაზიარებული თანამედროვე ბიზანტინოლოგიაში,[7] მაგრამ, როგორც ჩანს, ზ. ბატიაშვილი არც ჩვენს რეცენზიებს კითხულობს და კარგად არც ის ლიტერატურა აქვს წაკითხული, რომელიც ბოლო ხანებში გამოვიდა ტრაპიზონის იმპერიის ირგვლივ (რ. შუკუროვი, ს. კარპოვი – ორივე ავტორს იგი იცნობს), რომელშიც მოსაზრებები ორი პოლიტიკური დასის ბრძოლის შესახებ ტრაპიზონის იმპერიაში გაზიარებული არ არის. კარგი იქნებოდა ბატიაშვილს აეხსნა, თუ რაში გამოიხატება იოანე II-ის მიერ პროქართული ორიენტაციის არჩევა. ამასთან, ავტორს აშკარად ერევა გიორგი პახიმერესთან მოხსენიებული ტრაპიზონის იმპერატორი იოანე II და სევასტოკრატორი იოანე I დუკა თესალიის მმართველი ერთმანეთში, ხოლო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მიმდინარე მოვლენები მცირე აზიაში გადმოიტანა (გვ. 70-1). ეს არის ის იშვიათი შემთხვევა, როდესაც ავტორი, ზურაბ ბატიაშვილი, საისტორიო წყაროს საკუთარ, ორიგინალურ, ინტერპრეტაციას აძლევს და ამავე დროს უხეშ შეცდომას უშვებს. გაუგებრობა ამ შემთხვევაში გეორგიკის VII ტომში არსებულმა ინფორმაციამ გამოიწვია, რომელშიც ცნობები იოანე სევასტოკრატორის შესახებ იმგვარად არის მოყვანილი, თითქოს იგი იოანე II (1280-1, 1285-97 წწ.) დიდ კომნენოსს, ტრაპიზონის იმპერა-

[7] ლ. თავაძე. ზურაბ ბატიაშვილი (დარუჯანაშვილი). ტრაპიზონის იმპერიის დაარსება, გვ. 383.

ტორს, ეხებოდეს.[8] მაგრამ, რეალურად, გეორგიკაში მოყვანილი ეს ინფორმაცია, როგორც აღვნიშნეთ, სევასტოკრატორ იოანე დუკას (დაახ. 1240-1289 წწ.) ეხება.[9] მიუხედავად გეორგიკაში გაპარული ლაფსუსებისა, ავტორი, ზურაბ ბატიაშვილი, ვალდებული იყო გადაემოწმებინა იქ მოცემული ცნობები, რაც მან საჭიროდ არ ჩათვალა.

თეოდორას (1285) შესახებ მიძღვნილ პარაგრაფში (გვ. 75-8) ავტორი კვლავინდებურად არ ითვალისწინებს ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილ ნაშრომებს და არ იმოწმებს დ. შველიძის საინტერესო გამოკვლევას, რომელშიც ტრაპიზონის იმპერატორი თეოდორა (1282-1285 წწ.) გაიგივებულია საქართველოს მეფე დიმიტრი II თავდადებულის პირველ მეუღლესთან.[10] ზ. ბატიაშვილის ნაშრომის ეს ნაწილი პატარიძე-ჯანჯღავას წიგნისა და ვიკიპედიის მოკლე ანოტაციაა.

მომდევნო პარაგრაფში – „დიდ კომნენოსთა ტიტული“ (გვ. 79-87) – ავტორი იგნორირებას უკეთებს არა მხოლოდ იმ ნაშრომებს, რომლებიც თავის დროზე მივუთითეთ წინა რეცენზიაში, არამედ არ იყენებს არც იმ შრომებს, რომლებიც ქართულ ისტორიოგრაფიაში შეიქმნა, კერძოდ, მ. გაბაშვილის ვრცელ სტატიას ტრაპიზონის იმპერატორების ტიტულატურის შესახებ. სამეცნიერო თვალსაზრისით ასევე არაფრის მთქმელია ნაშრომის შემდეგი მონაკვეთი – „კომნენოსთა და ტრაპიზონელთა სიმბოლიკა“ (გვ. 88-94), ხოლო ენციკლოპედიური ხასიათისაა პარაგრაფი: „ეკლესია-მონასტრები“ (გვ. 98-117). ისთმონდისა და ბრაიერ-ვინფილდის წიგნების იშვიათი მითითების გარდა, აქ ავტორი უპირატესად ინტერნეტმასალასა და თურქ ავტორებს ეყრდნობა. ერთგვერდიანი დასკვნა – „დასკვნის მაგიერ“ (გვ. 118) – ისეთივე სუსტია, როგორიც მთლიანად ნაშრომი.

ნაშრომის ერთ-ერთი თუ არა ერთადერთი დადებითი მხარე ილუსტრაციებია, რომლებიც დასკვნას მოსდევს და ყველანაირი ნუმერაციის გარეშე 26 გვერდს იკავებს. წიგნს ბოლოში დართული აქვს ინგლისური რეზიუმე (გვ. 119), საძიებლები (გვ. 120-31) და გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები (გვ. 132-8).

---

[8] გიორგი პახიმერე. გეორგიკა. ტ. VII. ბიზანტიელი მწერლების ცნობების საქართველოს შესახებ. თბ. 1967, გვ. 73.

[9] The Oxford Dictionary of Byzantium. Vol. 2. Ed. by A. Kazhdan. Oxford University Press, 1991, გვ. 1045.

[10] დ. შველიძე. პოლიტიკური შეუღლებანი ძველ საქართველოში. თბ. 2001, გვ. 26-32.

ნაშრომის უარყოფითი შეფასების ფონზე, ასევე, დადებითად მოჩანს ისიც, რომ ზ. ბატიაშვილი იშვიათად, მაგრამ მაინც, მიმართავს ისეთ თანადროულ ავტორებს, როგორებიც არიან: მიხაელ პანარეტოსი, გიორგი პახიმერე და სხვა. წიგნში დამოწმებულია ტრაპიზონის იმპერიის ისეთი გამოჩენილი მკვლევრები, როგორებიც არიან: თ. უსპენსკი, ე. ბრაიერი, დ. ვინფილდი, მ. კურშანსკისი, ს. კარპოვი, რ. შუკუროვი და ა.შ. თუმცა, სამწუხაროდ, ზემოხსენებული ავტორების ციტირება ნაშრომის საერთო შეფასებაზე გავლენას ვერ ახდენს. ჩვენი აზრით, მხოლოდ სპეციალური ლიტერატურის ცოდნა და იქიდან ინფორმაციის მოტანა არ არის საკმარისი აკადემიური გამოცემის მეტნაკლებად სრულყოფისათვის, მით უფრო, თუ ეს ინფორმაცია არაორგანიზებულად და შერჩევით არის მოტანილი. შერჩევითობაზე იმიტომ ვსაუბრობ, რომ ზ. ბატიაშვილს მთელი რიგი ისტორიული ფაქტების ინტერპრეტაციის დროს გათვალისწინებული არ ჰყავს მის მიერვე დამოწმებული ცნობილი ავტორები (ე. ბრაიერი, ს. კარპოვი, რ. შუკუროვი და სხვა). წიგნის ავტორი კონკრეტული ისტორიული ფაქტის დასახელებისას, როგორც წესი, მხოლოდ ერთ ავტორს ეყრდნობა და უგულვებელყოფს მეორეს. ამასთან, რაც მთავარია, პრინციპი ავტორების შერჩევისა არის აბსოლუტურად გაუგებარი. ყველაფერი ამის გამო ციტირებები ქაოტურ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ამგვარად, ზურაბ ბატიაშვილის (დარუჯანაშვილი) კიდევ ერთი მონოგრაფია ტრაპიზონის იმპერიის თემატიკის ირგვლივ, თავისი წინა ნაშრომისგან განსხვავებით, ნამდვილად არ შეიძლება ჩაითვალოს ავტორის წინგადადგმულ ნაბიჯად. ზ. ბატიაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობაში თუ „ტრაპიზონის იმპერიის დაარსება“ ერთი საკითხის ირგვლივ მოტანილი მასალის მრავალფეროვნებით და ავტორისეული ორიგინალური დასკვნებით იყო გაჯერებული, ეს ახალი მონოგრაფია არც ახალი ლიტერატურით არის გამორჩეული და, მით უფრო, არც ავტორის ორიგინალური მსჯელობით.

XIII საუკუნის ტრაპიზონის იმპერიის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი განსაკუთრებით სოციალურ-ეკონომიკური, ისტორიულ-გეოგრაფიული და, თუნდაც პოლიტიკური ისტორიის გარკვეული საკითხები ნაშრომში განხილული არ არის. უფრო მეტიც, ავტორი კარგად არ არის გაცნობიერებული აღნიშნული პერიოდის შესახებ არსებულ საისტორიო წყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურაში. ტრაპიზონის იმპერიის XIII საუკუნის ისტორიის შესახებ არსებულ ძირითადი წყაროების სათანადო ანალიზს ჩვენ აღნიშნულ ნაშრომში ვერ ვხვდებით. ავტორის ძირითადი სახელმძღვანელო ვიკიპედია, თურქულე-

ნოვანი შრომები და რამდენიმე ქართული და დასავლური გამოცემაა, რომელთა დიდი ნაწილი ავტორს არაორგანიზებულად აქვს გამოყენებული და, მიუხედავად გარკვეული ლიტერატურის დამოწმებისა, მათ იგი სათანადოდ ვერ იყენებს.

სარეცენზიოდ შერჩეული ნაშრომის ირგვლივ კიდევ ბევრის დაწერა შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ყველაფერი საკმარისად ითქვა. შეცდომებისგან დაზღვეული არც ერთი მკვლევარი არ არის. უფრო მეტიც, შეუძლებელია, თუნდაც ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის ირგვლივ ამომწურავად გაეცნო ყველა ნაწარმოებს, ეს ვერც ზურაბ ბატიაშვილმა მოახერხა, მაგრამ აშკარად მეტი შეეძლო.

იმედს ვიტოვებთ, რომ ზურაბ ბატიაშვილი, რომელსაც ნამდვილად აქვს სათანადო სამეცნიერო ლიტერატურა და ცოდნა, თუნდაც ტრაპიზონის იმპერიის თემატიკის ირგვლივ, სამომავლოდ შემოგვთავაზებს ერთობ გადამუშავებულ და სათანადოდ მომზადებულ მონოგრაფიას ტრაპიზონის იმპერიის შესახებ, რომელშიც XIII საუკუნე საისტორიო წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის გამოყენებით საფუძვლიანად იქნება შესწავლილი და იმგვარად გააზრებული, როგორც ეს შეშვენის ნამდვილ აკადემიურ გამოცემას.